

მორის შალთაბაძე

გივი მიქანაძე

მანა (ზორია) ხასია

სასჯელაღსრულების სამართალი



მორის
შალიკაშვილი

გივი
მიქანაძე

მანია (ზოია)
ხასია

სასჯელატსრულების
სამართალი
(სახელმძღვანელო)

თბილისი
2014



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

Published with the financial support of the Open Society Georgia Foundation. The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of the Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

მორის შალიკაშვილი:	შესავალი; პირველი თავი; მესამე თავი; 4.3 ქვეთავი; მერვე თავი; 10.1 ქვეთავი; მეთერთმეტე თავი; მეთორმეტე თავი.
გივი მიქანაძე:	მეორე თავი; 4.2 ქვეთავი; მეშვიდე თავი; 9.5 ქვეთავი; მეცამეტე თავი
მაია (ზოია) ხასია:	4.1 ქვეთავი; მეხუთე თავი; მეექვსე თავი; მეცხრე თავი.
ანტონ ქელბაქიანი:	მეათე თავი (10.1 ქვეთავის გარდა).

გამოცემის რაოდენობა 300 ცალი



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

E-mail: Lawyers.world@yahoo.com;

<https://www.facebook.com/PublishingHouseLawyersWorld>

ISBN 978-9941-9354-6-6

წინასიტყვაობა

წინამდებარე სახელმძღვანელო სასჯელალსრულების სისტემის საქმიანობის, მსჯავრდებულებთან მოპყრობის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების ერთ სახელმძღვანელოდ წარმოდგენის პირველი მცდელობაა.

სასჯელალსრულების სამართლის სწავლა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აქტუალური გახდა ბოლო წლებში. სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით მნიშვნელოვანია სტუდენტებს ხელი მიუწვდებოდეთ არა მხოლოდ მშრალ საკანონმდებლო აქტებსა და კანონქვემდებარე დოკუმენტებზე, არამედ ჰქონდეთ კვალიფიციური განმარტების საფუძველზე კანონმდებლობის სწორად აღქმისა და გაგების შესაძლებლობა.

მართალია მსოფლიოში არსებობს სასჯელალსრულების სისტემის მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტების ფართო სპექტრი, მთავარია საზოგადოების დაინტერესებულ ნაწილს (სტუდენტებს, სისტემის თანამშრომლებსა თუ სხვა მსურველებს) სწორად მიეწოდოთ ინფორმაცია მისი დანიშნულებისა და გამოყენების გზებზე.

სახელმძღვანელოს ავტორების მხრიდან გარდა საკანონმდებლო აქტებისა, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ევროპის სასამართლოს პრაქტიკას ადამიანის უფლებათა დარღვევის იმ ნაწილში, რომელიც ასახავს სასჯელალსრულების სისტემაში ჩადენილ ფაქტებს, რაც სტუდენტებს ფართო მსჯელობის საშუალებას მისცემს.

ასევე, სახელმძღვანელოში განხილულია სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა სასჯელალსრულების სისტემის საქმიანობასა თუ სასჯელის აღსრულების პროცესთან დაკავშირებით, რაც სტუდენტებს აძლევს შედარებითი ანალიზის შესაძლებლობას.

წინამდებარე სახელმძღვანელო მიზნად ისახავს სასჯელალსრულების სისტემასთან დაკავშირებით საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის გადმოცემას პრაქტიკული სახელმძღვანელოს სახით, რაც უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელო მასალა იქნება, როგორც

უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, ასევე პენიტენციალური და პრობაციის სისტემის თანამშრომლებისთვის, რომლებიც სწავლებას გაივლიან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში“.

სახელმძღვანელოს ავტორთა ჯგუფი განსაკუთრებულ მაღლიერებას გამოხატავს ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“-ს მიმართ, რომლის მხარდაჭერითაც განხორციელდა სახელმძღვანელოს მომზადება და გამოცემა.

ავტორთა ჯგუფი მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სახელმძღვანელოს მომზადებაში: ანა ძაძამიას, ანტონ ქელბაქიანს და არჩილ ორდენიძეს, აგრეთვე, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს, რომელთაც ფასდაუდებელი მასალა მიაწოდეს ავტორებს სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესში.

შესავალი

სასჯელალსრულების სამართლის სწავლა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არასოდეს ყოფილა ისეთი აქტუალური როგორც ბოლო ათი წლის განმავლობაში.

2006 წლის თებერვალში იმდროინდელმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ყოველწლიური შემაჯამებელი საანგარიშო საპარლამენტო მოხსენებისას გამოაცხადა, რომ ქვეყანაში დანაშაულის მიმართ უნდა დაწყებულიყო „ნულოვანი ტოლერანტობა“ და სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდა განეხორციელებინათ პრინციპი - „ყველა ციხეში“.

საქართველოში გამოცხადებულმა ნულოვანი ტოლერანტობის კრიმინალურმა პოლიტიკამ და „ყველა ციხეში“ პრინციპის გატარებამ მეტად მძიმე შედეგები იქონია სასჯელალსრულებით დაწესებულებებზე - გამოიწვია მათი გადატვირთვა.¹ „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში ბოლო წლებში ხშირად იყო მითითებული სასჯელალსრულების დაწესებულებების გადატვირთულობის გამო ადამიანის უფლებების დარღვევის თაობაზე.

სასჯელალსრულების სამართლის სწავლება შეუძლებელია მხოლოდ ერთი რომელიმე კანონის საფუძველზე. სასჯელალსრულების სამართლის საგნის სწავლების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს კონსტიტუციის იმ პრინციპებზე, რომლებიც მსჯავრდებულისთვის/ბრალდებულისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. შეუძლებელია ასევე სასჯელალსრულების სამართლის საგნის სწავლება სისხლის სამართლის ნორმების გამოყენების და ანალიზის გარეშე. მნიშვნელოვანია ასევე სასჯელალსრულების სამართალი (მაგ.: მსჯავრდებულის რესოციალიზაცია; ციხის სუბკულტურის კვლევა და ა.შ.) განხილულ იქნას კრიმინოლოგიის კუთხით.

1 „ნულოვანი ტოლერანტობის“ კრიმინალური პოლიტიკის შედეგების შესახებ იხილეთ: მ. შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები. თბილისი 2013. გვ. 25-27.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2007 წლიდან სისტემატურად ისწავლება სასჯელალსრულების სამართალი. ამ დისციპლინას ყოველწლიურად 100-150 სტუდენტი შეისწავლის. სტუდენტები საგანს სწავლობდნენ ლექტორის მიერ მათთვის გადაცემული მასალის საფუძველზე. ამ სფეროს ექსპერტებში რამდენჯერმე დადგა დღის წესრიგში სასჯელალსრულების სამართლის სახელმძღვანელოს დანერის იდეა, თუმცა უსახსრობის გამო ამ იდეამ ვერ ჰპოვა განხორციელება. 2012 წელს ექსპერტთა ჯგუფმა ფონდისგან „ღია საზოგადოება - საქართველო“ მიიღო სამეცნიერო გრანტი, რომლის ფარგლებშიც მოხერხდა წინამდებარე სახელმძღვანელოს დამუშავება და გამოცემა.

სასჯელალსრულების სამართლის სახელმძღვანელოს გამოცემა ხელს შეუწყობს როგორც დარგის განვითარებას, ასევე სასჯელალსრულების სამართლით სტუდენტთა დაინტერესებას. ამ სფეროთი დაინტერესებული სტუდენტები შექმნიან მომავლის იმ ბირთვის, რომლებიც შეძლებენ სისტემის გადახალისებას და ევროპული სტანდარტების დონემდე მიყვანას.

სასჯელალსრულების სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვა შეუძლებელია ამ უფლებების ცოდნის გარეშე. მოცემული სახელმძღვანელო ფართოდ განიხილავს პატიმართა იმ უფლებებს, რომლის დაცვაც აუცილებელია სასჯელალსრულების დანესებულების თანამშრომლების მიერ.

სამწუხაროა, რომ სასჯელალსრულების სამართლის თემაზე ქართულენოვანი ნაშრომები ძალიან ცოტაა, ამიტომ ავტორთა კოლექტივი შეეცადა აქტიურად გამოეყენებინა როგორც უცხოენოვანი ლიტერატურა, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

პირველი თავი

სასჯელალსრულების სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში

1.1 სასჯელალსრულების სამართლი და მისი ადგილი სამართლის სისტემაში

კლასიკური მიდგომით სამართალი იყოფა ორ სფეროდ: კერძო და საჯარო. კერძო სამართლისგან განსხვავებით, რომელიც აღიარებს პირადი ავტონომიის პრინციპს, „საჯარო სამართალი, პირიქით, მოქმედებს ლეგალურობისა და კანონით შებოჭვის პრინციპით. საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება დადგენილი კანონით.“² საჯარო სამართალი ყველა იმ დავას მოიცავს, სადაც ერთ-ერთ მხარედ სახელმწიფოა წარმოდგენილი.³

თანამედროვე მიდგომით სისხლის სამართალი თავისი მნიშვნელობის გამო ცალკე გამოიყოფა, რის შედეგადაც სამართლის დაყოფა ხდება სამი მიმართულებით:⁴ კერძო სამართალი, საჯარო სამართალი და სისხლის სამართალი.⁵

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმ საკითხზე, თუ რომელ სფეროს განეკუთვნება სასჯელალსრულების სამართალი.

პირველი მოსაზრების თანახმად, სასჯელალსრულების სა-

2 გ. ხუბუა, სამართლის თეორია. თბილისი 2004. გვ. 208.

3 გ. კაჟაშვილი. კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნის პრინციპები. ზურაბ ახვლედიანის 80 წლის საიუბილეო გამოცემა (დავით ბატონიშვილის ინსტიტუტის სტატიათა კრებული). თბილისი 2013. გვ. 43.

4 მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება. თბილისი 2011. გვ. 12.

5 ლადო ჭანტურიას აზრით სისხლის სამართალი საჯარო სამართალს მიეკუთვნება. სისხლის სამართალი არეგულირებს „სახელმწიფოს რეპრესიული უფლების წარმოშობას (მატერიალური სისხლის სამართალი) და მის განხორციელებას (ფორმალური სისხლის სამართალი: სისხლის სამართლის პროცესი). სისხლის სამართლის კუთვნილებას საჯარო სამართლისადმი ის განსაზღვრავს, რომ მხოლოდ სახელმწიფოს აქვს სისხლის სამართლებრივი დასჯის უფლებამოსილება, ე.წ. დასჯის მონოპოლია“. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი 2011. გვ. 18.

მართალი არ არის სისხლის სამართლის ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ის არეგულირებს და ემსახურება სასჯელის აღსრულებას. ის ნაწილია საჯარო სამართლის, კერძოდ, განსაკუთრებული ადმინისტრაციული სამართლისა,⁶ რომელიც აერთიანებს მმართველობითი საქმიანობის ისეთ სფეროებს,⁷ როგორცაა, სამშენებლო სამართალი, საპოლიციო სამართალი, საგადასახადო სამართალი, სოციალური სამართალი, საბაჟო სამართალი, ეკოლოგიური სამართალი და ა.შ.

მეორე მოსაზრება ეფუძნება მართლმსაჯულების განხორციელების სამი სვეტის პრინციპს (*Drei-Säulen-Theorie der Justiz*) და სასჯელაღსრულების სამართლის ადგილს განსაზღვრავს სისხლის სამართლის სისტემაში. ამ სისტემის მიხედვით, მართლმსაჯულების პირველ სვეტს წარმოადგენს კანონმდებლობა და მატერიალური სისხლის სამართალი; მეორე სვეტს - სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე და საპროცესო ნორმები, ხოლო მესამე სვეტს - სასჯელაღსრულების სფერო.⁸

მართლმსაჯულების განხორციელების სამი სვეტის პრინციპი სასჯელაღსრულებით სამართალს აღიარებს, როგორც სისხლის სამართლის სისტემის დამოუკიდებელ ნაწილს, რაც ხელს შეუწყობს მის განვითარებას.⁹

სასჯელი წარმოადგენს სისხლის სამართლის ერთ-ერთ ძირითად ინსტიტუტს. სასჯელის ცნების, მიზნების და თეორიების განხილვას საუნივერსიტეტო სისხლის სამართლის კურსის სწავლებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

სასჯელაღსრულების სამართალი აწესრიგებს სასჯელაღსრულებით სისტემაში შემავალი ორგანოების (არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო და სასჯელაღსრულების დეპარტამენტი) ორგანიზაციული მოწყობის საკითხებს, მმართველობითი ფუნქციების განხორციელებას და ადმინისტრაციულ წარმოებას, შესაბამისად, ის უნდა

6 Kommentar zum Sreafvollzugsgesetz. 3. Auflage. Darmstadt 1990. S. 1.

7 გ. ხუბუა/ლ. თორთლაძე (რედ.), განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი. თბილისი 2012. გვ. 28.

8 G. Kaiser/H.-J., Kerner/H. Schöch, Strafvollzug. Ein Lehrbuch. Heidelberg 1982. S. 25.

9 იქვე.

ჩაითვალოს საჯარო სამართლის სისტემის ნაწილად, რომლის მიზანია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია (პატიმრობის კოდექსის პირველი პუნქტის პირველი ნაწილი). პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის შესახებ კანონმდებლობის მიზნების ორი კომპონენტის დამთხვევა სასჯელის მიზნებთან მხოლოდ სასჯელაღსრულების დაწესებულების მუშაობის სწორ და აუცილებელ მიმართულებაზე (მიზანზე) მიუთითებს.

სასჯელაღსრულების სამართლის კვლევის საგანი მიმართულია იმ სამართლის ნორმებზე, რომლებიც სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის საქმიანობას აწესრიგებს. ასეთ დროს – „გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ნორმატიული საფუძვლის ანალიზს, რომლებიც ადმინისტრაციის კანონიერ მოქმედებებს განაპირობებენ“.¹⁰ წინამდებარე სახელმძღვანელოს შექმნის ფარგლებში გაანალიზებული იქნება სასჯელის აღსრულების სფეროში დღეს მოქმედი კანონები და ნორმატიული აქტები. საკანონმდებლო ბაზის შეფასება და ანალიზი მოხდება მსჯავრდებულის რესოციალიზაციის კუთხით, ვინაიდან სასჯელაღსრულების სისტემა გრძელვადიანი პერსპექტივით უპირველეს ყოვლისა სწორედ მსჯავრდებულის რესოციალიზაციას უნდა ემსახურებოდეს.

1.2 სასჯელაღსრულების სამართლის მიზანი, პრინციპები და მოქმედების სფერო

სასჯელაღსრულების სამართლის მიზანი ჩამოყალიბებულია საქართველოს კანონში „პატიმრობის კოდექსის“ პირველი მუხლის პირველ ნაწილში. აღნიშნული კანონის მიხედვით, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების (სასჯელაღსრულების სამართლის) მიზანია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.

10 ლ. იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია. თბილისი 2009. გვ. 17.

ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის სამი მიზნიდან ორი. აღნიშნული მიუთითებს სასჯელისა და სასჯელის აღსრულების მჭიდრო კავშირზე.

ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია შესაძლებელია ერთ კონტექსტშიც იქნას განხილული.

ციხის პირობებში ახალი დანაშაულის თავიდან აცილება შეიძლება იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი.¹¹ მოკლევადიანი პერსპექტივით ახალი დანაშაულის თავიდან აცილება შესაძლებელია მიღწეულ იქნას დამნაშავე პირის საზოგადოებისგან იზოლირებით - მისთვის თავისუფლების აღკვეთის მისჯით. გრძელვადიანი პერსპექტივით ახალი დანაშაულის თავიდან აცილება გაგებულ უნდა იქნას, როგორც კანონმდებლის სურვილი ციხის გარეთ და შიგნით მსჯავრდებულის მიმართ ისეთი სარეაბილიტაციო ღონისძიებების, პროგრამების განხორციელებას, რაც მსჯავრდებულის რესოციალიზაციას ანუ მასში „საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობრივი ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას“ შეუწყობს ხელს (საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, მუხლი 116).

საქართველოს კანონში „პატიმრობის კოდექსის“ პირველი მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილია ის ძირითადი პრინციპები, რომელიც დაცული უნდა იქნას სასჯელის აღსრულების პერიოდში. ეს პრინციპებია: კანონიერების, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის.

გთავაზობთ, აღნიშნული პრინციპების მოკლე მიმოხილვას სასჯელაღსრულების სამართლის ასპექტში.

კანონიერების პრინციპი (ან კანონიერება) გულისხმობს

11 შეად.: მ. შალიკაშვილი/გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები. თბილისი 2011. გვ. 68, 69.

კანონებისა და სამართლებრივი აქტების ზუსტად და განუხრელად დაცვას და შესრულებას ყველა სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობისა თუ ცალკეული პირების მიერ.¹² კანონიერება არის დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი აუცილებელი და ძირითადი ელემენტი.¹³ კანონიერების პრინციპი საჯარო სამართლის უმთავრესი ასპექტია. „სახელმწიფო ორგანომ ყველა შემთხვევაში უნდა იმოქმედოს კანონის მოთხოვნათა დაცვით. კანონიერების პრინციპს საჯარო სამართალში იმიტომ ენიჭება დიდი მნიშვნელობა, რამდენადაც იგი არეგულირებს მოქალაქესა და სახელმწიფო ორგანოს შორის ურთიერთობას. ეს ურთიერთობა არის იერარქიული და, შესაბამისად, მოქალაქეც განსაკუთრებულად უნდა იყოს დაცული.“¹⁴

თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ სფეროს არ სჭირდება ისე კანონიერების პრინციპის დაცვა, როგორც სასჯელაღსრულების ორგანოებს, ვინაიდან, ამ უწყებებში მოქალაქეები (თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები) 24 საათიანი ზედამხედველობის ქვეშ, ჩაკეტილ სივრცეში იმყოფებიან და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მათი უფლებების შელახვა უფრო ადვილად არის შესაძლებელი.¹⁵

ჰუმანიზმის პრინციპი, „ჰუმანიზმი“ ნიშნავს ადამიანის სიცოცხლეს, მისი პიროვნებისადმი პატივისცემას, მისივე ინტერესების, უფლებების და თავისუფლებების დაცვა-გათვალისწინებას,¹⁶ კაცთმოყვარეობას.¹⁷

ჰუმანიზმის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს გასული საუკუნის ბოლოს საქართველოში სასჯელის უმალღესი ზომის, სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხი. 1997 წლის 11 ნოემ-

12 პ. ცნობილადე (რედ.), კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართალი. ცნობარი. თბილისი 1998. გვ. 58.

13 იქვე.

14 გ. ხუბუა, სამართლის თეორია. თბილისი 2004. გვ. 208.

15 იხ.: ფ. ზიმბარდოს სტენფორდის ციხის ექსპერიმენტი (4.3 ქვეთავი).

16 გ. ნაჭყებია/ი. დვალაძე (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი: სახელმძღვანელო. თბილისი 2007. გვ. 33.

17 არნ. ჩიქობავა (მთ. რედ.), ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი 1986. გვ. 591.

ბერს მიღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული კანონი „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ“. იმ არგუმენტებს შორის, რომლებსაც ემყარებოდა საქართველოს პარლამენტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ კანონის მიღებისას, ორი არგუმენტი გამომდინარეობდა ჰუმანიზმის პრინციპიდან: „არ შეიძლება სახელმწიფო იყოს ჰუმანური, თუ იგი იყენებს სიკვდილით დასჯას და სიცოცხლეს არ აღიარებს, როგორც ხელშეუვალ ღირებულებას; სიკვდილით დასჯა არის არაქრისტიანული, ჰუმანიზმისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული სასჯელი.“¹⁸

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში განთავსებული უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები მიეკუთვნებიან იმ მსჯავრდებულთა კატეგორიას, რომელთაც სასამართლოს მიერ 2000 წლიდან მიესაჯა უვადო პატიმრობა.

საკითხავია, რამდენად შეესაბამება გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა ჰუმანიზმის პრინციპს?

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოში მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 70 წელია.¹⁹ 2008 წლის სტატისტიკური მონაცემებით მსჯავრდებულთა 10 პროცენტი 50 წელს გადაცილებულია, ხოლო 45 პროცენტი 30-იდან 50 წლამდეა. ამგვარად, მსჯავრდებულთა ნახევარზე მეტი 30 წელს გადაცილებულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკით 15 წელზე ზევით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა 2007 წლიდან 2009 წლის სექტემბრის ჩათვლით მიესაჯა 1 322 მსჯავრდებულს.

თუ მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 70 წელია და, თუ გავითვალისწინებთ სასჯელაღსრულების დანესებულებებში იმ დროს არსებულ ცხოვრების პირობებს (გადატვირთულობა, არასათანადო სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, ხშირ შემთხვევაში არაადამიანური მოპყრობა,

18 ჯ. ხეცურიანი, ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში. თბილისი 2011. გვ. 126; იხილეთ ასევე: გ.ნიკოლაიშვილი, საქართველოს ციხეები. თბილისი 2001. გვ.109.

19 www.statistics.ge

არასათანადო სამედიცინო მომსახურება, მოხუცებულების მო-
თხოვნილებების გაუთვალისწინებლობა) მაშინ საშუალოდ, 50
წლის მამაკაცისთვის სასჯელის სახით 15 წლით ან მეტი ვადით
თავისუფლების აღკვეთა შესაძლებელია გაუტოლდეს მისთვის
უვადო თავისუფლების აღკვეთის მისჯას, ვინაიდან იმის აღ-
ბათობა, რომ იგი ციხიდან ჯანმრთელი ან თუნდაც ცოცხალი
გამოვიდოდა მინიმალური იყო. აღნიშნული შესაძლებელია მიჩ-
ნეულ იქნას ჰუმანიზმის პრინციპის დარღვევად. იმის მიუხედა-
ვად, რომ ადამიანმა დანაშაული ჩაიდინა, სახელმწიფო მას უნდა
მოეპყრას ჰუმანურად, ანუ კაცთმოყვარედ, ადამიანურად. ჰუ-
მანიზმის პრინციპის ხელყოფის ყველაზე მძიმე გამოვლინებად
სასჯელალსრულების სფეროში შეიძლება პატიმრის მიმართ წა-
მების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის განხორცილება
ჩაითვალოს.²⁰ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერ-
თაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, ყველა თავისუფლე-
ბაზეზღუდულ პირს უფლება აქვს ჰუმანურად მოექცენ და პატი-
ვი სცენ მის თანდაყოლილ პიროვნულ ღირსებას.

დემოკრატიულობის პრინციპი მოიცავს ყველა იმ ნორმას,
რომელიც არეგულირებს სახელმწიფო სტრუქტურებში ხალხის
წარმომადგენელთა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას.²¹
პატიმრობის კოდექსში მოცემული დემოკრატიულობის პრინ-
ციპი შესაძლებელია განხილულ იქნას ფართო და ვიწრო გაგე-
ბით. ფართო გაგებით იგი გულისხმობს სასჯელალსრულების
პოლიტიკის შემუშავებაში ხალხის, სამოქალაქო საზოგადოების
მონაწილეობას არჩევნების გზით. ვიწრო გაგებით გულისხმობს
სამოქალაქო სექტორის მონაწილეობას სასჯელალსრულების
სისტემის მართვაში (მაგ. სასჯელალსრულების დაწესებულების
საქმიანობის კონტროლის პროცესში ცალკეული მოქალაქეების
ჩართულობა).²²

დღეის მდგომარეობით დემოკრატიულობის პრინციპი ხორ-

20 შეად. გ. ნაჭყებია/ი. დვალიძე (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწი-
ლი: სახელმძღვანელო. თბილისი 2007. გვ. 37.

21 ლ. იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია.
თბილისი 2009. გვ. 169.

22 იგივე, გვ. 167.

ციელდება მხოლოდ ფართო გაგებით, ანუ საქართველოს მოქალაქეები არჩევენებში მონაწილეობით განსაზღვრავენ კრიმინალური პოლიტიკას (მათ შორის სასჯელალსრულების მიდგომების). სამოქალაქო საზოგადოების ცალკეული წევრების მიერ, სასჯელალსრულების დაწესებულების საქმიანობის კონტროლის მექანიზმი განსაზღვრულია საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ მეოთხე თავში - „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მონიტორინგი“. აღნიშნული თავი შედგება ორი მუხლისგან: მუხლი 31-ე და მუხლი 32-ე. 31-ე მუხლის თანახმად, დეპარტამენტის, პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შიდა უწყებრივ შემონიშნებასა და მონიტორინგს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სამინისტროს შესაბამისი სამსახური. ხოლო 32-ე მუხლის მიხედვით, დეპარტამენტის, პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მიერ წამების, არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის მიზნით განხორციელებულ საქმიანობას – „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით ზედამხედველობს სპეციალური პრევენციული ჯგუფი.

როგორც ვხედავთ, სასჯელალსრულების დაწესებულების საქმიანობაზე მონიტორინგი ევალება შიდა უწყებრივ სამსახურს – სახალხო დამცველის აპარატთან შექმნილ სპეციალურ პრევენციის ჯგუფს და არა საზოგადოების ცალკეულ წევრებს ან საზოგადოების ცალკეულ წევრებისგან შექმნილ ჯგუფს. არადა სამოქალაქო ასოციაციები დემოკრატიული მმართველობის ეფექტურობასა და სიმყარეს უწყობს ხელს.²³ ასეთი ჩართულობა ხელს უწყობს სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობისადმი (მათ შორის სასჯელალსრულების სისტემისადმი) ნდობის ჩამოყალიბებას და დამკვიდრებას.²⁴ აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანია სწორედ ისეთი სასჯელალსრულების სისტემისთვის, რომელიც რეფორმის პროცესშია და პრობლემები გააჩნია ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.

23 რ. დ. პატნემი, როგორ ვამუშაოთ დემოკრატია. თბილისი 2005. გვ. 109.

24 იქვე.

სასჯელალსრულების სისტემაში დემოკრატიის პრინციპის განხორციელებად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოებში არასამთავრობო ორგანიზაციის და საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის მონაწილეობა.

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლიდან. აღნიშნული მუხლის თანახმად, „ყველა ადამიანი თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კანონის წინაშე თანასწორობას ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპად მიიჩნევს, რომლის „მიზანია, არ დაუშვას არსებითად თანასწორის უთანასწოროდ მოპყრობა ან პირიქით“.²⁵

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1493 და 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილებაში შემდეგნაირად განმარტა: „მე-14 მუხლის არსის გაგებისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს კანონის წინაშე თანასწორობის განსხვავებას გათანაბრებისგან. ამ პრინციპის ფარგლებში, სახელმწიფოს ძირითადი მიზანი და ფუნქცია ადამიანების სრული გათანაბრება ვერ იქნება, რადგან ეს თავად თანასწორობის იდეასთან, უფლების არსთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში. თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას“. „კანონის წინაშე თანასწორობის უფლებისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნა, 25 იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება.

რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისთვის, არსებითად თანასწორთ შუექმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწორობებს პირიქით“.

კანონის წინაშე თანასწორობის უფლება მსჯავრდებულებთან მიმართებაში შემდეგნაირად უნდა იქნას განხილული. მსჯავრდებულების არამსჯავრდებულებთან გათანაბრებას კი არ ითხოვს მოცემული პრინციპი, არამედ მათთვის ღირსების დაცვას. ამავე დროს, აუცილებელია მსჯავრდებულთა ჯგუფის, როგორც „მნიშვნელოვნად თანასწორის“²⁶ მიმართ ერთნაირი მიდგომების და საკანონმდებლო ნორმების გამოყენება. „თანასწორობის პრინციპის დარღვევა ხდება იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო კანონის ნორმის ადრესატთა ერთ ჯგუფს, ადრესატთა მეორე ჯგუფთან შედარებით განსხვავებულად მოეპყრობა, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფებს შორის არ არსებობს ისეთი მასშტაბის განსხვავება, რომლითაც შეიძლება გამართლებული იქნას უთანასწორო მოპყრობა“.²⁷

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი არ არის ამონურვადი. ეს მუხლი „იცავს ადამიანებს ნებისმიერი საფუძვლით დისკრიმინაციისგან“.²⁸

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი არის სისხლის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომლის არსიც სასჯელის მიზნებიდან გამომდინარეობს,²⁹ გულისხმობს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა იყოს ინდივიდუალური და ადამიანმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ საკუთარი ქმედებისთვის.³⁰

26 კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები. თბილისი 2003. გვ. 323.

27 იგივე, გვ. 325.

28 თ. ტულუში/გ. ბურჯანაძე/გ. მშვენიერაძე/გ. გოცირიძე/გ. მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. თბილისი 2013. გვ. 36.

29 გ. ნაჭყებია/ი. დვალიძე (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი: სახელმძღვანელო. თბილისი 2007. გვ. 31.

30 მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება. თბილისი 2011. გვ. 619.

უფრო კონკრეტულად, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი გულისხმობს, სასჯელის შეფარდების დროს სასამართლოს მიერ ყველა იმ გარემოების გათვალისწინებას, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევას და დანაშაულის ჩამდენ პიროვნებას ახასიათებს. იქნება ეს დანაშაულის ჩადენისას გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოებები და ა.შ.³¹

„სასჯელის ინდივიდუალიზაცია გამსჭვალულია პედაგოგიური სულისკვეთებით. როგორც აღზრდის პრობლემა სწორად ვერ გადაწყდება პედაგოგიური შაბლონით, აღსაზრდელთა ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინების გარეშე, ისე პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპი პრაქტიკულად ვერ განხორციელდება ბრალეულთა პიროვნული თავისებურების გათვალისწინების გარეშე. მითუმეტეს, რომ სასჯელის მიზანი არის არამარტო სამართლიანობის აღდგენა, არამედ მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობის აღდგენაც, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ – პოზიტიური პასუხისმგებლობის აღზრდაც. დანაშაულის ჩამდენი პირის პიროვნება მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე არ დაიყვანება. ამიტომ სასამართლო ვალდებულია ღრმად შეისწავლოს ბრალეულის პიროვნება, მისი წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები... მისი მისწრაფებაა აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.“³²

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენება სასჯელალსრულების პროცესში გაგებულ უნდა იქნას შემდეგნაირად:

- სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიერ, ციხის ნორმების ან კანონის დარღვევის შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის ან ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება მოხდეს ინდივიდუალურად, გათვალისწინებულ იქნას მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები;

31 გ. ნაჭყებია/ი. დვალიძე (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი: სახელმძღვანელო. თბილისი 2007. გვ. 30.

32 იქვე.

- სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპში შეიძლება, ასევე ვიგულისხმოთ სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური მიდგომა, ანუ სასჯელის მოხდის პერიოდში გასათვალისწინებელია მსჯავრდებულის პიროვნების შესახებ, ყველა ის გარემოება და თვისება, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას.

ზემოთ აღნიშნულ პრინციპებთან ერთად, პატიმრობის კოდექსის მეორე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „საქართველოს კანონმდებლობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ, შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.“

სასჯელაღსრულების სამართლის მოქმედების სფერო განისაზღვრება „პატიმრობის კოდექსის“ მეოთხე მუხლით. ამ მუხლის თანახმად, „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა გამოიყენება როგორც საქართველოს მოქალაქეთა, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ, საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი წესით“.

სასჯელაღსრულების სამართლის მოქმედებას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ხელს უშლის პოლიტიკური რეალობა, კერძოდ ის, რომ საქართველოს მთავრობის იურისდიქცია ვერ ვრცელდება ქვეყნის დაახლოებით 20%-ზე, აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე.

საინტერესოა, ასევე თუ როგორია საქართველოს კანონმდებლობის მიმართება საერთაშორისო ხელშეკრულებებთან. საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „საქართველოს კანონმდებლობა, შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებ-

სა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მესამე პუნქტი ადგენს საქართველოს საკანონმდებლო აქტების, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების მიმართ მოქმედების შემდეგ იერარქიას: ა) საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი; ბ) საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება; გ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება; დ) საქართველოს ორგანული კანონი; ე) საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

სასჯელალსრულების სფეროში მოქმედ ძირითად კანონს წარმოადგენს საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“. საკანონმდებლო იერარქიაში ორივე სამართლებრივი აქტი საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე დაბლა დგას, ამიტომ სასჯელალსრულების სფეროში ნორმათა კოლიზიის შემთხვევაში – საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს ნაციონალურ კანონმდებლობაზე - საქართველოს კანონზე - უპირატესი ძალა გააჩნია. ამ მხრივ საინტერესოა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება №3/2058. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მოსამართლე დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას, საქმეზე ნოვიცკა პოლონეთის წინააღმდეგ (*Nowicka vs. Poland*) და დაადგინა „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმის შეუსაბამობა ევროპულ სტანდარტთან, რომელიც მსჯავრდებულს უფლებას აძლევდა ესარგებლა თვეში ერთი პაემნით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ საქმეზე

ნოვიცკი პოლონეთის წინააღმდეგ დაადგინა, რომ პატიმრობაში ყოფნისას ოჯახის წევრების ნახვასთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა თვეში მხოლოდ ერთი ვიზიტით, არღვევს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს (ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). საქალაქო სასამართლომ ევროპული კონვენცია აღიარა რა ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად, მიანიჭა მას უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის საფუძველზე და მოსთხოვა მოპასუხე იუსტიციის სამინისტროს გამოეცა ნორმატიული აქტი, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა ევროპული კონვენციის მერვე მუხლის მოთხოვნილებებთან.³³

1.3 კონსტიტუციური პრინციპები სასჯელაღსრულების სამართალში

1.3.1 სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში გააუღერებული სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა პირველ რიგში გულისხმობს ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრების სურვილს. სამართლებრივ სახელმწიფოს გააჩნია ორი გაგება: მატერიალური და ფორმალური. სამართლებრივი სახელმწიფოს მატერიალური გაგების თანახმად, სამართალი, რომლითაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები იზღუდება, უნდა იყოს სამართლიანი.³⁴

„ხელისუფლების შეზღუდვა და თვითშეზღუდვა, რასაც გულისხმობს სამართლებრივი სახელმწიფო საზოგადოებისგან სახელმწიფოს დისტანცირებასა და ხელისუფლების თვითნებობის აღკვეთის გზით, კანონის წინაშე ინდივიდთა თანასწორობას ისახავს მიზნად.“³⁵ „სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმალური გაგება ხაზს უსვამს იმას, თუ რა ინსტიტუტების და პროცე-

33 კ. კორკელია, როგორ უზრუნველყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით. თბილისი 2010. გვ. 52,53.

34 ლ. იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია. თბილისი 2009. გვ. 184.

35 ი. კობახიძე, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, N1, 2013, გვ. 309.

სუალური მასშტაბებით უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ხელისუფლება“.³⁶ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ისეთი პრინციპები, როგორებიცაა კანონის უზენაესობის, ხელისუფლების დანაწილების და სასამართლოში გასაჩივრების.³⁷

სამართლებრივი უსაფრთხოება, თანაზომიერება, სახელმწიფო საქმიანობაში თვითნებობის აკრძალვა და სასამართლო კონტროლი, განსაზღვრულობა და ნდობა არის სამართლებრივი სახელმწიფოს (ან სამართლიანობის დამკვიდრების) აუცილებელი ელემენტები.³⁸

მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ სამართლიანობის დამკვიდრების (სამართლებრივი სახელმწიფოს) ოთხ ელემენტს სასჯელაღსრულების კუთხით.

სამართლებრივი უსაფრთხოება

სამართლებრივი უსაფრთხოება მოიცავს რამდენიმე ელემენტს: აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის წინასწარ განსაზღვრა; კანონების და სამართლებრივი ნორმების გარკვეულობა; სამართლის მიმართ მოქალაქის ნდობის ჩამოყალიბება; სამართლის მთელი სისტემის ურთიერთწინააღმდეგობისგან გათავისუფლება (დაცვა); მოქალაქეთა შესაძლებლობა ინფორმირებული იყოს სამართლის შინაარსის შესახებ (სამართლის საჯაროობა).³⁹

სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის თანახმად, „ინდივიდს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საკმაოდ მკაფიოდ შეიცნოს ქცევის წესი და ამის საფუძველზე განსაზღვროს თავისი ქცევის შინაარსი“.⁴⁰

36 ლ. იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია. თბილისი 2009. გვ. 185.

37 იქვე.

38 F. Hufen, Staatsrecht II. Grundrechte. München 2007. S. 11.

39 ლ. იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია. თბილისი 2009. გვ. 199-202.

40 ი. კობახიძე, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, N1, 2013, გვ. 320.

სამართლებრივი უსაფრთხოებისთვის ჩამოთვლილი თითოეული ელემენტი მეტად მნიშვნელოვანია სასჯელალსრულების სისტემაში სამართლის აღსასრულებლად, ასე მაგალითად, მსჯავრდებულს უნდა შეეძლოს განსაზღვროს სასჯელალსრულების ორგანოს საქმიანობა წინასწარ, რომ მოახდინოს საკუთარი საქციელის მის საქმიანობაზე ორიენტირება, აღნიშნულით ნაკლებად მოხდება უთანხმოება მსჯავრდებულსა და სასჯელალსრულების ადმინისტრაციას შორის; სასჯელალსრულების ნორმები უნდა იყოს გარკვევით ჩამოყალიბებული და არ უნდა იძლეოდეს ორაზროვნად გაგების შესაძლებლობას, ვინაიდან გაუგებარმა ნორმამ შესაძლებელია მსჯავრდებულის მხრიდან არასწორი ინტერპრეტაცია და მისი უკმაყოფილება გამოიწვიოს; მსჯავრდებულები თუ არ იქნებიან ინფორმირებულები საკუთარი უფლებების შესახებ, არ შეეძლება მათი დაცვა, და ბოლოს, ერთ-ერთი საინტერესო საკითხია სასჯელალსრულების სამართლის მიმართ მოქალაქის ნდობის ჩამოყალიბება. სასჯელალსრულების სამართლის მიმართ მოქალაქის ნდობის საკითხი პირდაპირ კავშირშია მოქალაქის სასჯელალსრულების სისტემის ნდობაზე და ზოგადად მოქალაქის ნდობაზე თანამოქალაქეთა მიმართ (სოციალური კაპიტალი).

„ნდობის საზოგადოება გულისხმობს სახელმწიფოს არა სიძულვილს, არამედ მის სიყვარულს თუ არა, მასთან ნაკლებ დაპირისპირებას მაინც. არ შეიძლება სახელმწიფოში მუდმივად შენთან დაპირისპირებულ დანესებულებას ხედავდე.“⁴¹ მსჯავრდებულს თუ ექნება ხედვა, რომ სახელმწიფო, სასჯელალსრულების სისტემა მასთან დაპირისპირებული კი არ არის, არამედ პირიქით, სურს მისი დახმარება (გამოსწორება), მისი რესოციალიზაცია უფრო ადვილი მისაღწევი იქნება. რაც შეეხება ადამიანებისადმი ურთიერთნდობის საკითხს, ანუ ნდობას მსჯავრდებულსა და ზედამხედველს შორის, აქ საქართველოს მოსახლეობა დიდი პრობლემის წინაშე დგას. 2008 წელს საქართველოში ჩატარებული კვლევის თანახმად, მოსახლეობის მხოლოდ 18

41 ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა კონტროლი საქართველოში. თბილისი 2007. გვ. 141.

პროცენტს მიაჩნია, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა სანდოა.⁴² თუ მსჯავრდებულსა და ზედამხედველს შორის ურთიერთობა უნდობლობით დაინყება, პირველი – შემდგომში მისი გამოსწორება მეტად რთული იქნება და დიდ ძალისხმევასთან იქნება დაკავშირებული, და მეორე – ხელს შეუშლის სასჯელალსრულების დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას⁴³ და მსჯავრდებულის რესოციალიზაციას.

თანაზომიერება

თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში ნებისმიერი ჩარევის განხილვისას აუცილებელია დადგინდეს, რომ: 1) ჩარევა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს; 2) ჩარევა გამოსადეგია დადგენილი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – აღნიშნული პირობა დაკმაყოფილებულია, როდესაც მიზნის მიღწევა თუნდაც თეორიულად არის შესაძლებელი; 3) ჩარევის ფორმა და ინტენსივობა აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ჩარევა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს შედარებით რბილი საშუალება, რომელიც მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, ისეთივე ეფექტურ შედეგს მოგვცემს; 4) ჩარევა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი (თანაფარდობის ვინრო გაგება) – ჩარევის შესაბამისობის დადგენისას წარმოებს ჩარევის შეზღუდულ და დაცულ სიკეთეთა ორმხრივი შედარება (ანონ-დანონვა).⁴⁴

თანაზომიერების პრინციპი მოცულია ყველა ევროპის გაერთიანების წევრი სახელმწიფოების სამართალწესრიგში. „მას, როგორც საყოველთაო სამართლებრივ პრინციპს, პირველადი სამართლის ხარისხი აქვს და აღიარებულია [ევროპის] გაერთიანების სამართლებრივი ღონისძიებების შემზღუდველ ყოვლის-მომცველ პრინციპად.“⁴⁵

42 მ. შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია. თბილისი 2012. გვ. 39.

43 სოციალური კაპიტალის ნაკლებობამ შესაძლებელია ადამიანში თავდაცვითი ინსტიქტი გააძლიეროს და აგრესია გამოიწვიოს. იხ.: მ. შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია. თბილისი 2012. გვ. 39, 40.

44 ა. დემეტრაშვილი/ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი. თბილისი 2011. გვ. 92,93.

45 გ. გაბრიჩიძე, თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამარ-

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანაზომიერების პრინციპი „პირდაპირ კავშირშია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. სწორედ თანაზომიერების პრინციპი ადგენს მატერიალურ მასშტაბებს კანონმდებლისთვის ძირითადი უფლებების შეზღუდვისას. თუ ნორმა ამ პრინციპებს არ შეესაბამება, ის დაუშვებელია თვითნებობის შესაძლებლობას. სახელმწიფოს თვითნებობა ადამიანის თავისუფლების სფეროში კი ავტომატურად ნიშნავს ადამიანის ღირსების, როგორც კონსტიტუციური წესრიგის უმაღლესი პრინციპის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სხვა კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას, ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლების არაკონსტიტუციურ ხელყოფას“.⁴⁶

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილების თანახმად, „თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, ძირითად უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა ემსახუროდეს ლეგიტიმურ მიზანს, [და თუ ნორმა] არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, არ ექვემდებარება თანაზომიერების ტესტს და ხელყოფს ძირითადი უფლების ხელშეუხებელ არსს“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-7 მუხლის⁴⁷ მნიშვნელობიდან, დანიშნულებიდან გამომდინარე, სწორედ მასში ამოიკითხა „თანაზომიერების პრინციპის“ ძირითადი არსი და კონსტიტუციით აღიარებულ პრინციპად მიიჩნია.⁴⁸

თლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში. კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. თბილისი 2006. გვ. 68.

46 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება.

47 საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“.

48 ქ. ერემაძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში. თბილისი 2013. გვ. 23.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილების თანახმად, „ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები წარმოადგენენ ადამიანის ღირსების დაცვის სამართლებრივ გარანტიას. ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება კი მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება. ამიტომ ამ უფლებებში სახელმწიფოს არათანაზომიერი, გადამეტებული ჩარევა ხელყოფს ადამიანის ღირსებასაც“.

სასჯელალსრულების სამართლის კუთხით მეტად მნიშვნელოვანია მსჯავრდებულის უფლების შეზღუდვის დროს თანაზომიერების პრინციპის გამოყენების საკითხი.

მსჯავრდებულისთვის სასჯელალსრულების დაწესებულებაში ნებისმიერი ხასიათის შეზღუდვა უნდა განხორციელდეს ზემოაღნიშნული თანაფარდობის პრინციპის ელემენტების დაცვით. „ადამიანის უფლებების შეზღუდვის სფეროში თანაზომიერების პრინციპის გამოყენება საჯარო და კერძო ინტერესების შეჯერებას ითხოვს. სამართლებრივ სახელმწიფოდ ორგანიზებული საზოგადოების თითოეული წევრი იმის მოლოდინშია, რომ საზოგადოებაში სიკეთის გადანაწილება სამართლიანად მოხდება“.⁴⁹ კერძო ინტერესი შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესის საფუძველზე.⁵⁰

ამავე დროს აქტუალურია საკითხი, თუ რამდენად აკმაყოფილებს გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა თანაზომიერების პრინციპის კრიტერიუმებს. აღნიშნული გარკვეულ უნდა იქნას თითოეული სისხლის სამართლის საქმის შესწავლით. ჩვენ განვიხილავთ სასამართლო პრაქტიკიდან ერთ სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც კარგად წარმოაჩენს გრძელვადიან თავისუფლების აღკვეთას თანაფარდობის კონსტიტუციურ პრინციპთან მიმართებაში, ანუ საკითხავია, მოყვანილ კონკრეტულ საქმეზე ხომ არ არღვევს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის პატივსა და ღირსებას გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა?

49 ლ. იზორია, ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი. ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში. სტატიათა კრებული. თბილისი 2002. გვ. 46.

50 იქვე.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე №1-108-2008 თანახმად, მსჯავრდებული არის 1956 წელს დაბადებული ქალბატონი, რომელიც სასამართლომ 2009 წლის 3 აპრილის განაჩენით სცნო დამნაშავედ, სსკ 108 მუხლით და მიუსაჯა 2 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონით „ამინისტიის შესახებ“ გაუნახვერდა. გარდა ამისა, ამავე განაჩენით მსჯავრდებულ ქალბატონს ხუთჯერ ჩადენილი თაღლითობისთვის მიესაჯა 23 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საკითხავია, 23 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა გაივლის თუ არა თანაფარდობის კონსტიტუციური პრინციპის ტესტის კრიტერიუმებს, კერძოდ, არის თუ არა 23 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა 53 წლის ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახავი?

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილების თანახმად, „პატივისა და ღირსების უფლების შეზღუდვისას სახეზე უნდა იყოს დამამცირებელი მოპყრობა, რომელსაც აქვს შემდეგი კრიტერიუმები: მოპყრობა მსხვერპლში აღძრავს შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდას; ეს განცდა ამცირებს და აკნინებს მსხვერპლს; განცდა ტეხს მსხვერპლის ფიზიკურ ან მორალურ მდგომარეობას; მოპყრობის მიზანია მსხვერპლის დამცირება; მოპყრობის ხარისხი აღწევს სიმკაცრის მინიმალურ დონეს მაინც“.

53 წლის ადამიანისთვის 23 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთის მისჯამ შესაძლებელია გამოიწვიოს შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდა, ვინაიდან მან იცის, რომ იგი ციხეს ცოცხალი ვეღარ დატოვებს (ქალების საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოში 70-75 წელია, რაც ციხის პირობებში უფრო კლებულობს); მსჯავრდებულში მორალური (ფსიქოლოგიური) მდგომარეობის გაუარესებას, რაც შეიძლება აისახოს მის ფიზიკურ მდგომარეობაში (თვითდაზიანებებში).⁵¹

51 პროფესორი ოთარ გამყრელიძე თვლის, რომ 60 წლის ადამიანისთვის 30 წლით თავისუფლების აღკვეთის მისჯა უტოლდება უვადო თავისუფლების აღკვეთას. იხ.: ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები. მესამე ტომი. თბილისი 2013. გვ. 112.

ამ მხრივ საინტერესოა ასევე გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცდილება. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ თანაზომიერების პრინციპის დარღვევად ჩათვალა სანქციის ისეთი ზომა და ფორმა, რომელსაც მსჯავრდებულის სუბსტანციის განადგურება შეუძლია. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, გრძელვადიანი სასჯელი მიმართულია მსჯავრდებულის მიერ საკუთარი პიროვნების პატივისცემის გასანადგურებლად და ეწინააღმდეგება თანაზომიერების პრინციპს.⁵²

გერმანულ სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ გრძელვადიანი სასჯელის დანიშვნა მსუბუქი სახის დანაშაულისთვის ეწინააღმდეგება პროპორციულობის კონსტიტუციურ პრინციპს.

„თანაზომიერების და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპები პირდაპირ არის დაკავშირებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და ამდენად, ამ პრინციპების დარღვევა, როგორც წესი, თავისთავად ნიშნავს ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევას.“⁵³

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, გრძელვადიანი სასჯელი (23 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა) ისეთი სახის დანაშაულისთვის, როგორც არის თაღლითობა (თუნდაც მრავალგზის) მისჯილი 53 წლის ადამიანისთვის ეწინააღმდეგება პროპორციულობის კონსტიტუციურ პრინციპს, ვინაიდან ლახავს ადამიანის პატივსა და ღირსებას. კერძოდ, გრძელვადიანი სასჯელი მიმართულია და ანადგურებს მსჯავრდებულის მიერ საკუთარი პიროვნებისადმი პატივისცემის გრძნობას, ტეხს მას მორალურად და ფიზიკურად, ხელს უშლის (სპობს) მის სოციალურ გარემოსთან ურთიერთობას.

52 A. Schönke/H. Schröder, Strafgesetzbuchkommentar. 27. Auflage, München 2006. S. 781-782.

53 ი. კობახიძე, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, N1, 2013, გვ. 326.

სახელმწიფო საქმიანობაში თვითნებობის აკრძალვა

სახელმწიფო საქმიანობაში თვითნებობის აკრძალვა გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების მოვალეობას საკუთარი გადაწყვეტილებები დასაბუთებულად მიიღონ.⁵⁴

სასამართლო კონტროლი

სასამართლო კონტროლი სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. სახელმწიფო ორგანოების საქმიანობისგან კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვა ხდება სწორედ სასამართლოში. სასამართლოში განხორციელებული კონსტიტუციური უფლების დაცვა საჯარო ხელისუფლების მხრიდან ცალკეული ადამიანის სამართლებრივ სფეროში ჩარევისა და შეზღუდვისგან უნდა იყოს მაქსიმალურად დაცული,⁵⁵ ანუ საჯარო ხელისუფლება არ უნდა ერეოდეს სასამართლო საქმიანობაში.

სასამართლო კონტროლი შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების შეზღუდვა დაექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას.⁵⁶

რაციონალური საჯარო სამსახური და საჯარო მოსამსახურეთა ნეიტრალიტეტი

რაციონალური საჯარო სამსახური და საჯარო მოსამსახურეთა ნეიტრალიტეტი სამართლებრივი სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია.

სახელმწიფო ვალდებულია შექმნას საჯარო სამსახურის სისტემა, რომელიც ემყარება „მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კადრების სტაბილურობის პრინციპს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწი-

54 ლ. იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია. თბილისი 2009. გვ. 202.

55 ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 2011. გვ. 320.

56 იქვე.

ფო მიიღებს ავტოკრატიული და ოლიგარქიული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბების რისკს.⁵⁷

არასტაბილური საჯარო სამსახური ბუნებრივად განაპირობებს პატრიმონიული, პოლიტიზებული მმართველობის სისტემის განვითარებას, სადაც ურთიერთობები პირად ერთგულება-სა და არაფორმალურ კავშირებს ემყარება.⁵⁸

„საჯარო მოსამსახურეთა ნეიტრალიტეტი მოითხოვს საჯარო მოსამსახურეთა მხრიდან უფლებამოსილების პოლიტიკური თუ სხვა თვალსაზრისით მიუკერძოებელ განხორციელებას“.⁵⁹

1.3.2. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი დაცულია საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში. კონსტიტუციის პრეამბულაში მოცემულია ექვსი ფუნდამენტური მიზანი, რომელთა რეალიზაცია სახელმწიფოს მთავარ ამოცანად არის მიჩნეული. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის თანახმად, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ [1]დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, [2]ეკონომიკური თავისუფლება, [3]სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, [4]უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, [5]განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და [6]სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას.

სოციალურ სახელმწიფოში მოიაზრება სოციალური უსაფრთხოება, ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის შექმნა (შენარ-

57 ი. კობახიძე, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, N1, 2013, გვ. 314.

58 იქვე.

59 იქვე.

ჩუნება), სოციალური სამართლიანობა⁶⁰ და სოციალური თანასწორობა.⁶¹

სოციალური სახელმწიფოს გერმანული დოქტრინა⁶² სოციალური სახელმწიფოს პრინციპს მოიაზრებს ორი განსხვავებული კუთხით: (1) სოციალური - წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით (მაგ. სოციალურ-ეკონომიკური კონტრასტების გათანაბრება) და (2) სოციალური - სოციალური ურთიერთობების ხელის შეწყობა და დაცვა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 18 მაისის №2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „იმ საზოგადოებაში, რომელმაც კონსტიტუციის პრეამბულაშივე თავის უმთავრეს მიზნად გამოაცხადა ეკონომიკური თავისუფლების, დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრება, სახელმწიფოს მიერ გატარებული სამართლებრივი პოლიტიკა და კანონმდებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა თავსდებოდეს ამ პრინციპების ფარგლებში“, ხოლო ამ ფარგლების დარღვევა, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების იგნორირებაა.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც სოციალური სახელმწიფოს მოწყობის საფუძველი. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს აკისრებს სოციალური სახის ვალდებულებებს, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს სოციალურად დაუცველი მოქალაქის დახმარება.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს

60 ბ. ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო - საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებისთვის? კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები. სტატიათა კრებული. თბილისი 2012. გვ. 113.

61 თ. ზაალიშვილი, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, მისი ელემენტები და ადამიანის ღირსების უფლება - საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის საფუძველი. თსუ-ს ჟურნალი „სამართალი“, 2012, გვ. 269.

62 ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 2011. გვ. 312-319; გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (BverGE) 35, 202 - ლეზახის საქმე.

მიხედვით, მსჯავრდებული პირის (ციხის პირობებში) რესოციალიზაცია ეფუძნება ადამიანის ღირსებას და სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. მსჯავრდებულს, როგორც ადამიანური ღირსების მატარებელ პირს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ღირსეულად (გამოსწორებული) დაუბრუნდეს საზოგადოებას. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას იზრუნოს იმ პირებზე, რომელთაც სოციალურ განვითარებაში ხელი ეშლება, იმის მიუხედავად, მიუძღვის თუ არა პიროვნულად ბრალი შეეზღუდოს სოციალური განვითარება.⁶³ ასეთი პიროვნებების კატეგორიას განეკუთვნებიან მსჯავრდებულები და ციხიდან გათავისუფლებული პირები.⁶⁴

სოციალური სახელმწიფოს პრინციპის სასჯელალსრულებით მნიშვნელობაზე საინტერესოა გერმანიის ფედერალური სასამართლოს 1973 გადაწყვეტილება ე.წ. „ლებახის საქმეზე“.⁶⁵ 1969 წელს გერმანიაში, სოფელ ლებახში სამი ახალგაზრდა თავს დაესხა სამხედრო ნაწილს, მოკლა ოთხი მძინარე ჯარისკაცი და გაიტაცა მათი იარაღი და ტყვია-წამალი. დამნაშავეები იყვნენ ახლო მეგობრები, რომელთაც ერთმანეთთან ჰქონდათ ჰომოსექსუალური ურთიერთობა. მოპოვებული იარაღით ისინი აპირებდნენ თავდასხმებს ქონების დაგროვების მიზნით. დაგროვებული ქონებით კი სურდათ სამხრეთის ზღვების სანაპიროზე უზრუნველად ეცხოვრათ. ნაფიცმსაჯულთა სასამართლომ სამი მოსამართლის და ექვსი ნაფიცმსაჯულის მონაწილეობით ორ მთავარ დამნაშავეს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მესამეს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება დანაშაულის მესამე თანამონაწილე 1973 წელს გაეთავისუფლებინა პირობით ვადამდე. მსჯავრდებულის გათავისუფლების დღეს ტელეკომპანია „ZDF“

63 ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 2011. გვ. 315.

64 გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BVerfG 35, 202 (235)).

65 გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BVerfG 35, 202; ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 2011. გვ. 131; კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები. თბილისი 2003. გვ. 122.

გეგმავდა ერვენებინა ორსაათნახევრიანი დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით „ჯარისკაცების მკვლელობა ლებახში“. „ფილმი მაყურებელს უამბობდა დანაშაულის წინაისტორიას, ჩადენის დეტალებს, გამოძიების მოქმედებას, დამნაშავეთა დაკავებასა და გასამართლების ფაქტებს. ფილმში მოცემული იყო სამივე დამნაშავის ფოტოსურათი მათი ნამდვილი სახელების მითითებით“.⁶⁶ საკონსტიტუციო სასამართლომ ტელეკომპანია „ZDF“-ს აუკრძალა დოკუმენტური ფილმის ჩვენება და განაცხადა: „მსჯავრდებულს, როგორც კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ღირსების მატარებელ პირს, შესაძლებლობა უნდა მიეცეს, სასჯელის მოხდის შემდეგ ინტეგრირებულ იქნას საზოგადოებაში. მსჯავრდებულის ინტერესი რესოციალიზაციაზე გამომდინარეობს გერმანიის კონსტიტუციის მეორე მუხლის პირველი ნაწილიდან. საზოგადოების მხრიდან თუ ვიმსჯელებთ, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს იმ ადამიანებზე ან ჯგუფებზე ზრუნვას, რომელთაც პიროვნული სისუსტის ან საკუთარი ბრალეულობის გამო, ხელი ეშლებათ პიროვნული და სოციალური განვითარებისთვის, ასეთ ადამიანთა ჯგუფს მიეკუთვნებიან ასევე მსჯავრდებულები.“⁶⁷

სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზაციისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ე.წ. “ცხოვრების ცვალებადი შემთხვევებისაგან” დაცვა.⁶⁸

თავისუფლების აღკვეთა, რა თქმა უნდა, თავისთავად არ არის ადამიანის ღირსების შემლახავი. მაგრამ საჭიროა სახელმწიფომ ციხის პირობებში მსჯავრდებულს შეუქმნას ყველა პირობა, რათა იგი საზოგადოებაში დაბრუნდეს, როგორც პასუხისმგებლობით აღსავსე მოქალაქე, რომელიც ცხოვრებას დანაშაულის ჩადენის გარეშე გააგრძელებს. ამ მხრივ, აუცილებელია, რომ მსჯავრდებულს რეალურად მიეცეს შანსი დაბრუნდეს თა-

66 კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები. თბილისი 2003. გვ. 122.

67 გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BVerfG 35, 202 (235)).

68 თ. ზაალიშვილი, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, მისი ელემენტები და ადამიანის ღირსების უფლება - საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის საფუძველი. თსუ-ს ჟურნალი „სამართალი“, 2012, გვ. 270.

ვისუფლებაში ყოველგვარი (ციხის პირობებიდან გამომდინარე) უარყოფითი შედეგების გარეშე.⁶⁹

სახელმწიფოს უფლება აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის გამოიყენოს თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ იგი ვალდებულია ციხის პირობები იყოს მსჯავრდებულისთვის გამოსწორების მომტანი (სოციალური სახელმწიფოს პრინციპი).⁷⁰

ევროსაბჭოს მინისტრთა საბჭოს 2003 წლის რეკომენდაციით (Rec(2003)23) თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების საცხოვრებელი პირობები, შეძლებისდაგვარად ბევრ თავისუფლებაში არსებული ცხოვრების პირობებთან უნდა იყოს მიახლოებული,⁷¹ რათა არ მოხდეს მსჯავრდებულის დიდი ხნით თავისუფლებააღკვეთის გამო მისი სოციალური გადაგვარება.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულიდან გამომდინარე, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი მსჯავრდებულების რესოციალიზაციასთან მიმართებაში მოცემულია კონსტიტუციის 39-ე მუხლში⁷² და საქართველოს სახელმწიფოს ავალდებულებს ციხის პირობებში უზრუნველყოს მსჯავრდებულთა (მით უფრო მაღალი სასჯელით თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა) რესოციალიზაცია. სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს მათი სოციალური ურთიერთობების შენარჩუნებაზე და გააღრმავებაზე, რათა მსჯავრდებულებში არ მოხდეს მათი (ციხის დატოვების შემდეგ) რესოციალიზაციისთვის აუცილებელ ინსტიტუტებთან გაუცხოვება (ოჯახი, სკოლა, მეგობრები, ნათესავები).

69 გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BverfGE) 45, 187 (229).

70 ლ. იზორია, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. (მუხლი 39). თბილისი 2013. გვ. 484.

71 K. Drenkhahn, Langstrafenvollzug und Menschenrechte. In: Neue Kriminalpolitik 1/2009. S. 10.

72 ლ. იზორია, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. (მუხლი 39). თბილისი 2013. გვ. 483-484.

1.3.3. სამართლის ეკონომიკური ანალიზი

„სასჯელის გამოყენება სახელმწიფოს ძვირი უჯდება“.⁷³ პროფესორ ოთარ გამყრელიძის მოსაზრება სასჯელის გამოყენების ეკონომიურობის შესახებ, დიდი ხანია შესწავლის საგანია დასავლეთის განვითარებული სამართლის ქვეყნებისთვის.⁷⁴

„სამართლის ეკონომიკურ ანალიზს აინტერესებს იურიდიული სანქციების აღსრულებაზე განეული ხარჯები“.⁷⁵

ბუნებრივი და სახელმწიფოებრივი რესურსების სწორად და გააზრებულად გამოყენება არის ქვეყნის განვითარების აუცილებელი პირობა.⁷⁶

სამართლის ნორმის ეკონომიკური ანალიზით მიღებული დასკვნა, უნდა შეესაბამებოდეს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს, კერძოდ, სოციალურ სამართლიანობას,⁷⁷ ანუ სახელმწიფო რესურსების მიზნობრივად და სამართლიანად გადანაწილებას. „[სოციალური] სამართლიანობა მოითხოვს, რომ კანონმა დაიცვას საზოგადოების სუსტი და ნაკლებად უზრუნველყოფილი წევრები.“⁷⁸

სამართლის ეკონომიკური ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია კრიმინალური პოლიტიკის ეკონომიკურად წარმართვისთვის. სასჯელის ეკონომიკური ანალიზის დროს ერთმანეთს უნდა იქნას შედარებული თავისუფლების აღკვეთისთვის და მისი ალტერნატიული სასჯელის გამოყენებისთვის დახარჯული ეკონომიკური სახსრები. თავისუფლების აღკვეთის გამოყენება არ

73 ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები. მესამე ტომი. თბილისი 2013 წელი. გვ. 111.

74 ა. ქირია, სამართლის ეკონომიკური ანალიზი და მისი მეთოლოგიური საზღვრები. ი. ბურდული (რედ.) საკორპორაციო სამართლის კრებული. II. თბილისი 2014. გვ. 17-22.

75 გ. ხუბუა, სამართლის თეორია. თბილისი 2004. გვ. 111.

76 მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია. მეორე გამოცემა. თბილისი 2011. გვ. 254.

77 ბ. ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო -საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის? კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები. სტატიათა კრებული. თბილისი 2012. გვ. 113.

78 გ. ხუბუა, სამართლის თეორია. თბილისი 2004. გვ. 112.

შეიძლება სახელმწიფოს იმაზე მეტი თანხა უჯდებოდეს, ვიდრე ალტერნატიული სასჯელის გამოყენება, მით უფრო, რომ მსჯავრდებულის რესოციალიზაციის თვალსაზრისით თავისუფლების აღკვეთის შემდეგ უფრო არის შანსი, რომ დამნაშავემ დანაშაული კვლავ ჩაიდინოს.⁷⁹

სახელმწიფომ უნდა გაანალიზოს, თუ რომელი სახის სასჯელის გამოყენება არის მისთვის ეკონომიკურად და სასჯელის მიზნების შედეგობრივად (მსჯავრდებულის რესოციალიზაცია) უფრო მისაღები.

ციხეში მსჯავრდებულთა რაოდენობის წინასწარ განსაზღვრა შესაძლებელია სწორი კრიმინალური პოლიტიკის განხორციელებით. სახელმწიფოს კრიმინალური პოლიტიკა და სასჯელის გამოყენება დამყარებული უნდა იყოს განუყოფელი ხარჯის და მიღებული სარგებლის შედარების ასპექტზე (Kosten-Nutzen Überlegungen).⁸⁰

ევროსაბჭოს 1999 წლის რეკომენდაციით (Recommendation R (99) 22), სასურველია გრძელვადიანი სასჯელების შემცირება და მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის სარეაბილიტაციო ღონისძიებებით (პროგრამებით) ჩანაცვლება.⁸¹

თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის თვალსაზრისით გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით.

1.3.4. წამების აკრძალვა

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მეორე და მესამე ნაწილის მიხედვით, „(2) დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. (3) დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფალბაზე ზღუდული პირის ფიზიკური და ფსიქოლოგიური იძულება.“

79 შეად.: მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია. მეორე გამოცემა. თბილისი 2011. გვ. 255,256; ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები. მესამე ტომი. თბილისი 2013 წელი. გვ. 111.

80 F. Dünkelf/ B. Geng, Fakten zur Überbelegung im Strafvollzug und Wege zur Reduzierung von Gefangenenraten. In: Neue Kriminalpolitik 3/2004. S. 149.

81 იქვე.

წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენებისგან დაცვა ადამიანის აბსოლუტური უფლებაა.⁸² „წამების ან წამების მუქარის აკრძალვის აბსოლუტური ხასიათი არაორაზროვნად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, იმპერატიულად არის განსაზღვრული“⁸³ კონსტიტუციის მე-17 მუხლის მესამე ნაწილში. კონსტიტუციის მე-17 მუხლის ჩანაწერი პირდაპირ მიუთითებს სასჯელის სამართლიანობასა და ჩადენილ ქმედებასთან შესაბამისობის აუცილებლობაზე.⁸⁴ „დანაშაულის ჩამდენი პირი არ უნდა იქცეს დანაშაულთან ბრძოლის შიშველ ობიექტად“.⁸⁵

სასჯელის აღსრულებას არ შეიძლება მოჰყვეს იმაზე მეტი ტკივილი, რაც თავისუფლების აღკვეთით არის გამოწვეული. მსჯავრდებულის ინდივიდუალური და სოციალური პირობები შენარჩუნებულ უნდა იქნას ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე.⁸⁶ ამისთვის სახელმწიფო ვალდებულია სასჯელაღსრულების დანებებულებები უზრუნველყოს საარსებო მინიმუმით, რომელიც არ შელახავს ადამიანის პატივსა და ღირსებას.⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში⁸⁸ შემდეგნაირად განიმარტა პატივისა და ღირსების უფლების შეზღუდვა: „პატივისა და ღირსების უფლების შეზღუდვისას

82 თ. ტულუში/გ. ბურჯანაძე/გ. მშვენიერაძე/გ. გოცირიძე/გ. მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. თბილისი 2013. გვ. 98.

83 მ. ტურავა, წამება და წამების მუქარა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად... სისხლისსამართლებრივად ნებადართული ღონისძიება? (ეროვნული და ევროპული მიდგომები მაგნუს გეფგენის საქმის მიხედვით. კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო. სტატიათა კრებული. თბილისი 2011. გვ. 198.

84 კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები. თბილისი 2003. გვ. 88.

85 იქვე.

86 კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები. თბილისი 2003. გვ. 88; ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 2011. გვ. 16.

87 ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 2011. გვ. 16.

88 იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება.

სახეზე უნდა იყოს დამამცირებელი მოპყრობა, რომელსაც აქვს შემდეგი კრიტერიუმები: მოპყრობა მსხვერპლში აღძრავს შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდას; ეს განცდა ამცირებს და აკნინებს მსხვერპლს; განცდა ტეხს მსხვერპლის ფიზიკურ ან მორალურ მდგომარეობას; მოპყრობის მიზანია მსხვერპლის დამცირება; მოპყრობის ხარისხი აღწევს სიმკაცრის მინიმალურ დონეს მაინც. დამამცირებელი მოპყრობის ფაქტი უნდა დადგინდეს ობიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით და არა სავარაუდო მსხვერპლის სუბიექტური შეგრძნებებისა და განცდების ანალიზის საფუძველზე. ...პატივისა და ღირსების ხელმყოფი კანონი უნდა შეიცავდეს ნორმებს, რომლებიც იქნებოდა იმდენად მკაცრი, ამორალური და უსამართლო, რომ ისინი ობიექტური თვალსაზრისით მოახდენდნენ: პიროვნების მიერ თავის თვალში საკუთარი მორალური თვისებების შეფასების (ღირსების) ან საზოგადოების მხრიდან პიროვნების შეფასებითი დამოკიდებულების (პატივის) დაკნინებას. ... პატივისა და ღირსების კონსტიტუციურ დაცვას აქვს შემდეგი მიმართულებები: ადამიანის სხეულის მთლიანობის, ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვა; ადამიანის ღირსეულად ცხოვრებისთვის აუცილებელი სამართლიანი სოციალური პირობების უზრუნველყოფა; სამართლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფა; ადამიანის, როგორც ინდივიდის პიროვნულობის დაცვა“.

საინტერესოა, ხომ არ იწვევს გამოუსწორებელ ფსიქიკურ და ფიზიკურ ზიანს, „ტეხს მსხვერპლის ფიზიკურ ან მორალურ მდგომარეობას“ მსჯავრდებულისთვის უვადო თავისუფლების აღკვეთის მისჯა, რითაც შეილახება მისი პატივი და ღირსება?

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 1977 წლის 21 ივნისის №E-45, 187 გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ ადამიანის ღირსების შესაბამისი სასჯელალსრულების წინაპირობები მოიცავს უვადო თავისუფლებათა აღკვეთისთვის შანსს როდესმე გახდეს თავისუფალი. აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, დამნაშავეს მკვლელობისთვის მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულის ადვოკატმა საკონსტიტუციო სარჩელით მოითხოვა სასჯელის ამ სახის გაუ-

ქმება, რადგან იგი (უვადო თავისუფლების აღკვეთა) არღვევდა ადამიანის ღირსებას, ვინაიდან იგი, მთელი სიცოცხლე ციხეში უნდა ყოფილიყო და ვერ შეძლებდა საკუთარი პიროვნების განვითარებას და როგორც ინდივიდი სიცოცხლეშივე მკვდარი იქნებოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ მოუსმინა მრავალ ექსპერტს, რომლებიც კვლევას ატარებდნენ იმ მსჯავრდებულების პიროვნების განვითარების შესახებ, რომლებსაც გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა ჰქონდათ მისჯილი. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღიარა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა ადამიანის ღირსების უმძიმეს დარღვევას წარმოადგენდა, მაგრამ ამ სასჯელის ზომის არსებობა დასაშვებად მიიჩნია, თუ მსჯავრდებულს ექნება შანსი გარკვეული დროის შემდეგ ისევ გახდეს თავისუფალი და გავიდეს ციხიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეწყალების ინსტიტუტი არ იქნა საკმარისად მიჩნეული. სასამართლომ მოითხოვა კანონმდებლისგან, რომ სისხლის სამართლის კოდექსში პირდაპირ ყოფილიყო განერილი, თუ რამდენი წლის მოხდის შემდეგ ექნებოდა უვადო თავისუფლება აღკვეთილს შესაძლებლობა დაეტოვებინა ციხე. ასეთ ვადად კანონმდებლის მიერ მოგვიანებით განისაზღვრა 20 წელი.⁸⁹

საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი უვადო თავისუფლებააღკვეთილისთვის სასჯელის გადახედვას არეგულირებს 72-ე და 73-ე მუხლებით. ერთ შემთხვევაში უვადო თავისუფლება აღკვეთილი პირი შეიძლება გათავისუფლდეს ციხიდან, თუ მან მოიხადა 25 წელი, ხოლო მეორე ნორმის მიხედვით 20 წლის შემდეგ.⁹⁰

89 გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლოს 1977 წლის 21 ივნისის №E-45, 187 გადაწყვეტილება. იხ.: კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები. თბილისი 2003. გვ. 89; ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 2011. გვ. 16.

90 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და თუ საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის, მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა“. ამავე კოდექსის 73-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების

საკონსტიტუციო სასამართლოს დღემდე არსებითად არ უმსჯელია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მეორე ნაწილით დაცული უფლების შესახებ.⁹¹ ამ მხრივ ძალიან საინტერესო პრაქტიკა გააჩნია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომელიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში განიხილავს ევროსაბჭოს ნევრ სახელმწიფოებში წამების ფაქტებს. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის შინაარსი შეესაბამება კონსტიტუციის მე-17 მუხლის ნორმას.⁹² ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას.

1984 წლის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კონვენციის თანახმად, წამება ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც საშინელი ტკივილი ან ტანჯვა (არ აქვს მნიშვნელობა, ფიზიკური თუ სულიერი), განზრახ მიაღწა პირს იმ მიზნით, რომ მისგან ან მესამე პირისგან მოპოვებულყო ინფორმაცია ან აღიარება მისი ქმედების დასჯისთვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა (ან არსებობს ეჭვი, რომ ჩაიდინა), ან დააშინონ ან გამოიყენონ იძულება მისი ან მესამე პირის მიმართ, ან სხვა რაიმე მიზნით,

აღკვეთა შეიძლება შეეცვალოს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების შეზღუდვით, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი და თუ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის, მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა.“

91 თ. ტულუში/გ. ბურჯანაძე/გ. მშვენიერაძე/გ. გოცირიძე/გ. მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. თბილისი 2013. გვ. 99.

92 მ. ტურავა, წამება და წამების მუქარა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად... სისხლისსამართლებრივად ნებადართული ღონისძიება? (ეროვნული და ევროპული მიდგომები მაგნუს გეფგენის საქმის მიხედვით. კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო. სტატიათა კრებული. თბილისი 2011. გვ. 198.

რომელიც ეფუძნება ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას.⁹³

წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას შორის უმთავრესი განსხვავება მდგომარეობს მიყენებული ტანჯვის სიმძიმეში. მარტივად რომ ვთქვათ, არაადამიანური მოპყრობა გულისხმობს წამებასთან შედარებით ნაკლები სიძლიერისა და ინტენსივობის არასათანადო მოპყრობას,⁹⁴ ხოლო დამამცირებელია ქმედება, რომელიც მსხვერპლში წარმოშობს შიშს, ტკივილს, დამცირების გრძნობას და ინვეს მასში დამთრგუნველი გრძნობის აღძვრას, რამაც შეიძლება დაამციროს იგი, შელახოს მისი ღირსება და გატყუოს ადამიანის ფიზიკური და მორალური მდგომარეობა.⁹⁵

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლო მე-3 მუხლის დარღვევისას მხედველობაში იღებს კონკრეტული საქმის ყველა გარემოებას, „აფასებს განხორციელებული მოპყრობისა თუ სასჯელის სისასტიკეს, ითვალისწინებს მსხვერპლის სქესს, ასაკს, ფიზიკურ თუ სულიერ მდგომარეობას და მოპყრობის განხორციელების შედეგად დამდგარ შედეგებს, აგრეთვე, დაკისრებული სასჯელის პროპორციულობას ჩადენილ დანაშაულთან. რამდენიმე საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ მოპყრობა, მიუხედავად იმისა, რომ იყო არასასიამოვნო და უხეშიც კი, არ ითვლებოდა არაადამიანურად ან დამამცირებლად. მაგალითად, *Guzzardi vs Italy* საქმეში ბ-ნი გუზარდის მდგომარეობა, რომელიც პატიმრობაში იმყოფებოდა კუძულზე, ყოველგვარი ეჭვის გარეშე ჩაითვალა არასასიამოვნოდ და მომაბეზრებლადაც კი, მაგრამ მიუხედავად ამისა, სასამართლოს აზრით, მის მიმართ განხორციელებულმა მოპყრობამ ვერ მიაღწია მე-3 მუხლით დადგენილ მინიმალურ ზღვარს.“⁹⁶

93 წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო 1984 წლის კონვენცია, ძალაში შევიდა 1987 წლის 26 ივნისს.

94 ბ. ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. თბილისი 2004. გვ. 151, 153.

95 კ. კუბლაშვილი, სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით. კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველო კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. სტატიათა კრებული. თბილისი 2006. გვ. 202.

96 ბ. ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. თბილისი 2004. გვ. 151, 153.

სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ყველაზე ხშირად ხორციელდება თავისუფლების აღკვეთის ან წინასწარი დაკავების დაწესებულებებში.⁹⁷

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დადგინა, რომ „პიროვნების მუდმივი მოთავსება პირობებში, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს არღვევს, შესაძლებელია არღვევდეს მე-3 მუხლის დებულებებს“.⁹⁸

გთავაზობთ, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებულ იმ გადანყვეტილებებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობასთან.

საქმეზე კადიკისი ლატვიის წინააღმდეგ⁹⁹ ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ საკნის ფართი, რომელშიც იმყოფებოდა განმცხადებელი 6 კვადრატული მეტრი იყო. საკნის ნახევარზე მეტი ეკავა დასაძინებელ ადგილს. თავისუფალი მოძრაობისთვის დარჩენილი ტერიტორია მხოლოდ 2,5 კვადრატული მეტრი იყო. რადგან დაკავებულთან ერთად სხვა ოთხი ან ხუთი პიროვნება მაინც იმყოფებოდა, თითოეულ პიროვნებას დაახლოებით 1,2 – 1,5 კვადრატული მეტრი ფართი ჰქონდა გამოყოფილი. საკანი მოკლებული იყო ბუნებრივ განათებას. ვენტილაცია სათანადოდ ვერ მუშაობდა. დაკავებულებს საკნის გარეთ გასვლის შესაძლებლობა ნაკლებად ჰქონდათ, გარდა ტუალეტსა და აბაზანისა.

დენტული სამართალი. თბილისი 2004. გვ. 145.

97 კ. კუბლაშვილი, სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით. კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველო კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. სტატიათა კრებული. თბილისი 2006. გვ. 203.

98 ზ. ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები – პრეცედენტული სამართლით დადგენილი უახლესი სტანდარტები. კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები. სტატიათა კრებული. თბილისი 2009. გვ. 80.

99 Kadikis v. Latvia, (განაცხადი №62393/00, 2006 წლის 4 მაისი).

განმცხადებელი საკნის გადატვირთულობის გამო ფეხის გაშლასაც ვერ ახერხებდა. მოუწესრიგებელი იყო მათი კვების საკითხიც, დაკავებულები დღეში მხოლოდ ერთხელ იღებდნენ ნორმალურ საკვებს. იმისათვის, რომ ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დადგინდეს სულაც არ არის აუცილებელი ხსენებული ყველა დარღვევა ერთდროულად მოხდეს, სასამართლოს აზრით სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულების დარღვევა შესაძლებელია, მაგალითად, ადეკვატური საკვებით პატიმრის მომარაგების პასუხისმგებლობის შეუსრულებლობითაც დადგინდეს.¹⁰⁰

საქმეზე პიერსი საბერძნეთის წინააღმდეგ¹⁰¹ ევროსასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ დაკავებული სასჯელს იხდიდა გადატვირთული საკნის პირობებში, უხდებოდა საპირფარეშოს გამოყენება მესაკნის თანდასწრებით და ესწრებოდა მესაკნის მიერ განხორციელებულ ანალოგიურ პროცესს. სასამართლოს თქმით მე-3 მუხლის დარღვევა სახეზეა, თუ ციხის პირობები პატიმარში წარმოშობს „მწუხარებისა და დაბალი ღირსების განცდას, რაც ამცირებს და აუარესებს მის მდგომარეობას, რასაც შეიძლება მსჯავრდებულის მორალური და ფიზიკური გატეხვა“ გამოიწვიოს.

საქმეზე კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ¹⁰² ევროსასამართლომ მესამე მუხლის დარღვევა აღიარა საკნის გადატვირთულობის გამო. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი მოთავსებული 20.8 კვ. მეტრ საკანში (მთავრობის თანახმად), რომელიც განკუთვნილი იყო 8 პატიმრისთვის. საკანში განთავსებული იყო ორსართულიანი საწოლები. სასამართლოს გადაწყ-

100 ბ. ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები – პრეცედენტული სამართლით დადგენილი უახლესი სტანდარტები. კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები. სტატიათა კრებული. თბილისი 2009. გვ. 81, 82.

101 Peers v. Greece (განაცხადი №28524, 2001 წლის 5 აპრილი).

102 Kalashnikov v. Russia (განაცხადი №47095/99, 2002 წლის 15 ივლისი).

ვეტილებით, წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა ერთი პატიმრის საშუალო პერსონალურ სივრცედ მიიჩნია 7 კვ. მეტრი,¹⁰³ ე.ი. 8 პატიმრისთვის 56 კვ. მეტრი. რვა ადგილიან საკანში იმყოფებოდა 21 ადამიანი. სერიოზული გადატვირთულობის გამო, პატიმრები იძულებულნი იყვნენ დაეძინათ რიგ-რიგობით, რვასაათიანი ინტერვალებით. საკანში ძილი გართულებული იყო მუდმივი განათებისა და იმ ხმაურის გამო, რომელიც გამოწვეული იყო პატიმართა დიდი რაოდენობით. ძილის უკმარისობამ მძიმე შედეგი შეიძლება იქონიოს პატიმრის ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე.

საქმეზე პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ¹⁰⁴ ევროსასამართლომ მესამე მუხლის დარღვევა დაადგინა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულის არასათანადო მკურნალობის გამო. 2007 წლის 18 იანვარს ხვიჩა პოლოსიანმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს. განმცხადებელი ხვიჩა პოლოსიანი საქართველოს მოქალაქეა, დაიბადა 1972 წელს და ცხოვრობს ბოდბისხევში. ქურდობისთვის საპატიმრო სასჯელის მოხდის პერიოდში, 2006 წლის ოქტომბერში, მომჩივანს ციხის საავადმყოფოში ჩაუტარდა ქირურგიული ოპერაცია. 2006 წლის 11 ნოემბერს ის გადაიყვანეს რუსთავის სასჯელალსრულების მე-6 დაწესებულებაში.

განმცხადებელი ჩიოდა, რომ ნაიარევი არ იყო სრულად შეხორცებული, რის შედეგადაც იგი დაინფიცირდა. იმავე თვეში აპლიკანტის ადვოკატმა წერილობით მიმართა იუსტიციის სამინისტროს.

103 იმ შემთხვევაში თუ მსჯავრდებული სხვა მსჯავრდებულებთან ერთად იმყოფება თითოეულ პატიმარზე, როგორც მინიმუმ, უნდა მოდიოდეს (შესაძლებელია 7 კვ. მეტრის ნაცვლად) 4 კვ. მეტრი. იხ.: ბ. ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები – პრეცედენტული სამართლით დადგენილი უახლესი სტანდარტები. კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები. სტატიათა კრებული. თბილისი 2009. გვ. 81.

104 Poghosian v. Georgia (განაცხადი №9870/07, 2009 წლის 24 თებერვალი).

ნისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის დირექტორს და აცნობა, რომ მისი მარწმუნებლის სისხლის ანალიზი უჩვენებდა ორგანიზმში ვირუსული C ჰეპატიტის არსებობას. ის ითხოვდა მომჩივნის გადაყვანას ციხის საავადმყოფოში, მისთვის საჭირო გამოკვლევებისა და ეფექტიანი სამედიცინო მკურნალობის ჩატარების მიზნით. ადვოკატმა რამდენჯერმე წამოაყენა აღნიშნული მოთხოვნა, მათ შორის მიმართა ციხის დირექტორსაც, თუმცა უშედეგოდ. ციხის დირექტორმა 2006 წლის დეკემბერში პასუხად ადვოკატს აცნობა, რომ მომჩივანი გამოიკვლია ჰემატოლოგმა, რომელმაც, მართალია, დაადგინა ქრონიკული ვირუსული C ჰეპატიტის არსებობა, მაგრამ მიიჩნია, რომ დაავადება არ იყო იმდენად მწვავე, რომ საჭირო ყოფილიყო მომჩივნის გადაყვანა ციხის საავადმყოფოში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ციხის საავადმყოფოდან განეხრის შემდეგ მომჩივანი ციხის სამედიცინო პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ იყო და, რადგან ნაიარევი მსუბუქად იყო ინფიცირებული, შესაძლებელი გახდა მისთვის შედეგიანი მკურნალობის განევა. მომჩივანმა თვითონ დაადასტურა, რომ ოპერაციის შემდგომმა პერიოდმა გართულებების გარეშე ჩაიარა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ციხის საავადმყოფოსა და რუსთავის სასჯელალსრულების მე-6 დაწესებულებაში მომჩივნისთვის ოპერაციის შემდგომ განეულ მკურნალობასთან დაკავშირებით არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი. რაც შეეხება პატიმრობისას განეულ მკურნალობას C ჰეპატიტთან დაკავშირებით, სასამართლომ, პირველ ყოვლისა, აღნიშნა, რომ რამდენიმე ანალიზის მიუხედავად, რომლებმაც დაადასტურა მომჩივნის დაავადება ამ ვირუსით, საქმის მასალებიდან არ გამოდინარეობდა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა „თავი შეიწუხეს“ შემდგომი აუცილებელი ანალიზების, მაგალითად, ინფექციის ოდენობის, ვირუსის გენოტიპის განსაზღვრის ან ბიოფსიის ჩატარებისთვის. ასეთი ანალიზების საჭიროება მით უფრო ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც 2006 წლის დეკემბერში ჰემატოლოგმა დაასკვნა, რომ დაავადება იყო ქრონიკული და ვირუსი აგრძელებდა გამრავლებას.

სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმრის ჯანმრთელობის

დასაცავად საკმარისი არ არის მისი გამოკვლევა და დიაგნოზის დასმა. აუცილებელია დიაგნოზის შესაბამისი სამედიცინო მკურნალობის უზრუნველყოფა, ისევე, როგორც სათანადო სამედიცინო მეთვალყურეობა. შესაბამისად, სასამართლომ მიუღებლად მიიჩნია, რომ მომჩივნის არაერთგზის მოთხოვნა მისთვის მკურნალობის განეწესთან დაკავშირებით დარჩა უპასუხოდ ან უყურადღებოდ.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მის წარმოებაში ამჟამად 40-მდე საჩივარი იყო ქართულ ციხეებში არსებული სამედიცინო დახმარების შესახებ და მიიჩნია, რომ არსებობდა სისტემური პრობლემა – ავადმყოფი, მათ შორის ვირუსული C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების არასათანადო მკურნალობის თვალსაზრისით. მან მიიჩნია, რომ ეს ამძიმებდა საქართველოს პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კუთხით.

ყოველივეს გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ ვირუსული C ჰეპატიტით დაავადებულ მომჩივანს პაციენტობის პერიოდში ვერ გაუწიეს სათანადო მკურნალობა, რაც კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაა. ევროსასამართლოსთვის ანაზღაურების მოთხოვნის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის გამო სასამართლოს ზიანის ანაზღაურება სახელმწიფოსთვის არ დაუკისრებია.

გადანყვეტილებაში ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ,¹⁰⁵

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხაზს უსვავს, რომ ავადმყოფი პაციენტის დაბრუნება სასჯელალსრულების დაწესებულებაში მის სრულ განკურნებამდე ან იქამდე, სანამ მკურნალობის კურსის ჩატარება სამედიცინო დაწესებულების გარეთაც არ იქნება შესაძლებელი, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ტოლფასია და წარმოადგენს ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

განმცხადებელი ირაკლი ღავთაძე საქართველოს მოქალაქეა. იგი დააკავეს 2006 წლის 19 ოქტომბერს და 21 ოქტომბერს მოათავსეს თბილისის №5 საპყრობილეში. 2007 წლის 4 აპრილს

105 Ghavtadze v. Georgia (განაცხადი №23204/07, 2009 წლის 3 მარტი)

განმცხადებელს მიესაჯა 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა იარაღის უკანონოდ ტარებისა და ყაჩაღობისთვის. 2007 წლის 4 ივლისს განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრდა და სასჯელის ხანგრძლივობა 8 წლამდე და 6 თვემდე შემცირდა. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, განმცხადებელი იყენებდა ნარკოტიკულ საშუალებებს ვენაში შეყვანის გზით. იგი ამტკიცებს, რომ დაპატიმრებამდე ჯანმრთელი იყო და №5 საპყრობილეში მოთავსების შემდეგ მძიმედ დაავადდა. განმცხადებელი სამჯერ იყო ჰოსპიტალიზებული ციხის საავადმყოფოში ჯანმრთელობის გაუარესების გამო. მას ჰქონდა C ჰეპატიტის მწვავე ვირუსი, მაგრამ, ამის მიუხედავად, 2007 წლის 10 თებერვალს განმცხადებელი №5 საპყრობილეში დააბრუნეს. სამედიცინო მასალებით ირკვევა, რომ განმცხადებლის ციხის საავადმყოფოდან გადაყვანა არ იყო ექიმის მიერ ნებადართული. 2007 წლის 15 თებერვალს, ჰოსპიტალიზაციის შეწყვეტიდან ხუთი დღის შემდეგ, განმცხადებელი ციხეში მოინახულეს წამებისა და ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის წარმომადგენლებმა. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, მას არ ჰქონია ექიმთან კონსულტაციის შესაძლებლობა. როგორც აღნიშნული ვიზიტის შემდეგ გაკეთებული მოხსენებებიდან ირკვევა, განმცხადებელი, რომელიც განთავსებული იყო ჩვეულებრივ საკანში, ექიმების მოთხოვნით, გადაიყვანეს ციხის სამედიცინო ბლოკში გამოკვლევების ჩასატარებლად. მათ დაასკვნეს, რომ აუცილებელი იყო, ყოველგვარი ვადების გარეშე, განმცხადებლის მოთავსება შესაბამის კლინიკაში გამოკვლევების, ანალიზებისა და მკურნალობის ჩატარების მიზნით. მომდევნო დღეებში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემდეგ, 2007 წლის 20 თებერვალს, ციხის ექიმმა მოითხოვა განმცხადებლის ციხის სამკურნალო დანესებულებაში გადაყვანა, რაც იმავე დღეს მოხდა. მეორე ჰოსპიტალიზაცია განხორციელდა 2007 წლის 20 თებერვლიდან 31 მარტამდე პერიოდში. 2007 წლის 31 მარტს განმცხადებელი განერეს ციხის სამკურნალო დანესებულებიდან და დააბრუნეს №5 საპყრობილეში. დაუზუსტებელია, იყო თუ არა ამის თაობაზე ექიმების ნებართვა და გაუგრძელდა თუ არა განმცხადებელს ციხეში ექიმის მიერ დანიშნული მკურ-

ნალობის კურსი. მესამედ, 2007 წლის 23 აპრილს, ციხის ექიმმა დაადგინა, რომ განმცხადებელს აწუხებდა ტუბერკულოზური პლევრიტი, საერთო გადაღლილობა და სუნთქვის უკმარისობა, ასევე – მაღალი ტემპერატურა. ექიმმა მოითხოვა განმცხადებლის სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია, რაც იმავე დღეს შესრულდა.

კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, რათა უზრუნველყოს, რომ თითოეული პაციმარი იმყოფებოდეს მისი ადამიანური ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი ან ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პაციმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და, რომ პაციმრობის პირობებში ადეკვატურად იქნას უზრუნველყოფილი პაციმრის ჯანმრთელობა, კერძოდ, შესაბამისი მედიკამენტების მიწოდებით. ამრიგად, არასაკმარისი მედიკამენტოზური მკურნალობა და, ზოგადად, ავადმყოფის ყოფნა არაადეკვატურ საპაციმრო პირობებში, წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

ლოგისტიკური და ფინანსური პრობლემების მიუხედავად, სახელმწიფო ვალდებულია, ისე მოაწყოს თავისი პენიტენციალური სისტემა, რომ უზრუნველყოს პაციმრების ადამიანური ღირსების პატივისცემა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი მაღალი სიცხიანობის გამომწვევი მიზეზები და განმცხადებელს აწუხებდა მწვავე ვირუსული ჰეპატიტი და სხვა დაავადებები, 2007 წლის 10 თებერვალს ის გადაიყვანეს თბილისის №5 საპყრობილეში და მოათავსეს ჩვეულებრივ საკანში. გადაყვანამდე რამდენიმე დღით ადრე ექიმებმა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეაფასეს, როგორც მძიმე. სასამართლოს აზრით, ციხეში გადაყვანა მით უფრო გაუმართლებელი იყო, იმ დროისთვის თბილისის მე-5 საპყრობილეში, რომელიც მედპერსონალის ნაკლებობას განიცდიდა, არ არსებობდა მსგავსი სენით დაავადებული პაციმრების მოთავსების არავითარი პირობა. თბილისის №5 საპყრობილეში ჰიგიენური პირობების მხრივ არსებული მდგომარეობისა და კანზე ქავილით გამოწვეული დაზიანებების გათვალისწინებით, განმცხადებელს მუნი შეეყარა. სასამართლო არ იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომელიც,

ალიარებს განმცხადებლის პიოდერმიით დაავადების მიზეზად ციხეში არსებულ არაჰიგიენურ პირობებს ასახელებს. თუ პატიმარი ვალდებულია, დაიცვას აღნიშნული წესები, მაშინ მას შესაბამისი საშუალებებიც უნდა ჰქონდეს და უნდა იმყოფებოდეს ადეკვატურ ჰიგიენურ პირობებში. მაგრამ, როგორც წამების სანინაალმდეგო კომიტეტის მოხსენებიდან ირკვევა, ამ პერიოდში თბილისის №5 საპყრობილეში ერთ ადგილზე ოთხი პატიმარი მოდიოდა, ხოლო საკნები ბინძური და ნესტიანი იყო. გარდა ამისა, საკნების დაზიანების დონე „აღწერას“ არ ექვემდებარებოდა. აქედან გამომდინარე, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ საყოველთაო სიბინძურის, ნესტიანობისა და დაზიანებების პირობებში განმცხადებლის საკანი, სადაც არ უნდა ყოფილიყო ის, მთელ საპყრობილეში გამონაკლისს წარმოადგენდა და დანარჩენი დაწესებულებისგან განსხვავებით, ის შესაბამისად მოვლილი და განიავებული იყო.

სასამართლო ასკვნის, რომ საქართველოს შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა არ შეასრულეს განმცხადებლის ჯანმრთელობის დაცვის, ასევე მისთვის საკმარისი და ადეკვატური მკურნალობის ჩატარების პოზიტიური ვალდებულება, C ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის მკურნალობის თვალსაზრისით. შედეგად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და მოპასუხე სახელმწიფოს დაევალა 9.000 (ცხრა ათასი) ევროს მორალური ზიანის სახით ანაზღაურება.

საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებებიდან ევროსასამართლომ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა სასჯელალსრულების კუთხით დაფიქსირა შემდეგ საქმეებზე: ალიევი საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადების №522/04, 2009 წლის 13 იანვარი); რამიშვილი და კობრეიძე საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადის №1704/06, 2009 წლის 27 იანვარი); გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადის №4313/04, 2009 წლის 20 ოქტომბერი). ზემოაღნიშნულ სამივე საქმეზე მომჩივანი მოქალაქეები სასჯელს იხდიდნენ თბილისის №5 საპყრობილეში მეტად მძიმე ჰიგიენურ პირობებში: გადა-

ტვირთული საკანი, მორიგეობით ძილი, საკანში სინესტე, ანტი-სანიტარია და ღია საპირფარეშო.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებებში 2 ოქტომბრის არჩევნების შემდგომ პერიოდში ნაკლებად, მაგრამ მაინც ჰქონდა ადგილი მსჯავრდებულთა არაადამიანურ მოპყრობას.¹⁰⁶

1.3.5 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად, „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, სატელეფონო საუბარი და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.“

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის განმარტებისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: „კონკრეტული უფლების ადეკვატური უზრუნველყოფით ადამიანის ღირსების დაცვისას სახელმწიფო, იმავდროულად, ვალდებულია გაითვალისწინოს დემოკრატიულ, სამართლებრივ და სოციალურ სახელმწიფოში ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება. ამიტომ კანონმდებლობა უნდა შექმნას სოციალური თანაცხოვრების ხელშეწყობისა და შენარჩუნების გათვალისწინებით, თუმცა იმ სავალდებულო პირობით, რომ დაცული იქნება თითოეული პიროვნების თვითმყოფადობა“.¹⁰⁷

კონსტიტუციის მე-20 მუხლი აკისრებს სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულების სახით, რომ არ ჩაერიოს მუხლით დაცული უფლების სარგებლობაში და უზრუნველყოს პიროვნების

106 საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში. გვ. 12, 122-126.

107 ქ. ერემაძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში. თბილისი 2013. გვ. 18.

დაცვა, ხოლო პოზიტიური ვალდებულება ითხოვს, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს პირადი ცხოვრების პატივისცემა, „რაც პირველ რიგში, გულისხმობს პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელისშემშლელი გარემოებების, შეზღუდვების აღკვეთას“.¹⁰⁸

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხი ასევე გავალისწინებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლში, ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-16 მუხლში, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლში და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლში. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევაზე სასჯელალსრულების კუთხით საკმაოდ ხშირად უმსჯელია.¹⁰⁹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირადი ცხოვრების უფლების კუთხით არსებითად არ აქვს განხილული არც ერთი სასჯელალსრულების სფეროს მიკუთვნებული საქმე. საინტერესოა საქმე „დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული საქმე არსებითი განხილვისთვის არ მიიღო. მოსარჩელე ითხოვდა იმ ნორმატიული აქტების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლებიც პატიმარს უზღუდავდა ოჯახის წევრთან შეხვედრის უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით „პატიმრის უფლება, შეინარჩუნოს ოჯახური ურთიერთობები არ იყო დაცული კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით. არამედ, ეს საკითხები მონესრიგებული იყო კონსტიტუციის მე-16 მუხლით და 36-ე მუხლის მეორე პუნქტით, რომლებიც

108 თ. ტულუში/გ. ბურჯანაძე/გ. მშვენიერაძე/გ. გოცირიძე/გ. მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. თბილისი 2013. გვ. 189.

109 იხ.: ს. პაპუაშვილი, თავისუფლება აღკვეთილი პირების უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. სტატიათა კრებული. თბილისი 2006. გვ. 244-254.

ეხებოდნენ ადამიანის პირადი ცხოვრების ისეთ ასპექტებს, როგორცაა ადამიანის პიროვნული განვითარებისთვის აუცილებელი პერსონალური კავშირები და ოჯახური ურთიერთობა.¹¹⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება მეტად საინტერესოა და აუცილებლად მივიჩნევთ მის განხილვას.¹¹¹ კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, „მოსარჩელები არიან მსჯავრდებულები და იხდიან სასჯელს მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელალსრულების დაწესებულებაში. მოსარჩელე დ. სართანია სასჯელს იხდის რუსთავის №2 საერთო, მკაცრი და საპრობილის რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში. მას შესაძლებლობა აქვს შეხვედეს მეუღლესა და მცირეწლოვან შვილებს ორ თვეში ერთხელ, ერთი საათით, მხოლოდ შუშის გამყოფი ბარიერის მიღმა ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის მე-4 პუნქტითა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 28 დეკემბრის „მკაცრი რეჟიმის დაწესებულების დებულებისა და შინაგანანგის დამტკიცების შესახებ“ №366 ბრძანების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტით. ხოლო მოსარჩელე ა. მაჭარაშვილი მსჯავრდებულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პირველად ჩადენისთვის და სასჯელს იხდის მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში, დედასთან და არასრულწლოვან შვილთან შეხვედრის შესაძლებლობა მას ეძლევა თვეში ერთხელ. პატიმრებისათვის პაემნის შეზღუდვა თვეში ერთი და ორ თვეში ერთი პაემნის უფლებამდე, მოსარჩელების აზრით, წარმოადგენს მათი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას და არ შეიძლება გამართლებული და პროპორციული იყოს იმ მიზნებისა, რის მიღწევასაც ცდილობს სახელმწიფო მსგავსი შეზღუდვების დაწესებით.“¹¹²

110 თ. ტულუში/გ. ბურჯანაძე/გ. მშენიერაძე/გ. გოცირიძე/გ. მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. თბილისი 2013. გვ. 195.

111 იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება.

112 იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნის-

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელის განხილვის პერიოდში შეიცვალა „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 74 მუხლის მე-4 პუნქტი და მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში, უფლება მიეცა ჰქონდეს თვეში არა უმეტეს ერთი პაემნისა, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი პაემნის გარდა. „აღნიშნული ნორმის ახალი რედაქციის შესაბამისად, ნებისმიერ პირს, რომელიც სასჯელს იხდის მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში, მათ შორის რეციდიული დანაშაულისთვის მსჯავრდებულებსაც, უფლება აქვთ ჰქონდეთ თვეში არა უმეტეს ერთი პაემნისა, დამატებითი პაემნის გარდა. შესაბამისად, „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის მე-4 პუნქტი აღარ ადგენს განსხვავებულ წესს მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი იმ მსჯავრდებულებისთვის, რომლებიც სასჯელს იხდიან რეციდიული დანაშაულისთვის. მაგრამ ამავდროს, უცვლელი დარჩა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება „მკაცრი რეჟიმის დაწესებულების დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში პაემანს მხოლოდ ორი თვეში ერთხელ ითვალისწინებს. შესაბამისად, ორივე მოსარჩელის მიმართ მოქმედებას განაგრძობს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, რომელიც „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის ახალ რედაქციას მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება.“¹¹³

საკონსტიტუციო სასამართლომ განჩინებაში იმსჯელა ზოგადად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხზე, და როგორც აღინიშნა, არ მიიღო წარმოებაში არსებითი განხილვისათვის იმ გარემოების გამო, რომ ოჯახური ურთიერთობები არ იყო დაცული კონსტიტუციის მე-20 მუხლით. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით ასეთი ურთიერთობა ანუ მსჯავრდებუ-

სის №1/2/458 განჩინება, I.პ.5,6.

113 იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება, I.პ.1,2.

ლის პაემანის უფლება განხილული უნდა იქნას კონსტიტუციის 36-ე მუხლის მეორე ნაწილის და მე-16 მუხლის ფარგლებში.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინებაში დაფიქსირებული მოსაზრება რა თქმა უნდა სწორია. აღნიშნული განჩინებით სასამართლომ მსჯავრდებულის პაემნის უფლებას ხედავს კონსტიტუციის ორ მუხლში (მე-16 და 36-ე მეორე ნაწილი).

მსჯავრდებულის პაემნის უფლება გულისხმობს ურთიერთობის შესაძლებლობას 1) ოჯახის წევრებთან და 2) სხვა პირებთან (ანუ არაოჯახის წევრები).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინებაში მსჯავრდებულის შეხვედრა ოჯახის წევრებთან კონსტიტუციის 36-ე მუხლის მეორე ნაწილის განხილვის სფეროს, ხოლო მსჯავრდებულის „სხვა პირებთან“ (არაოჯახის წევრებთან) შეხვედრა კონსტიტუციის მე-16 მუხლის სფეროს მიაკუთვნა.

კონსტიტუციისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის პატიმრის ან ზოგადად ოჯახის წევრების ურთიერთობა რეგულირდებოდა პირადი ცხოვრების უფლების ფარგლებში (ევროკონვენციის მე-8 მუხლი),¹¹⁴ გერმანული კანონმდებლობით კი პატიმართა პაემანთან დაკავშირებული ურთიერთობა რეგულირდება გერმანიის კონსტიტუციის მეორე და მეექვსე მუხლით,¹¹⁵ რაც საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლს და 36-ე მუხლის მეორე ნაწილს შეესაბამება. საქართველოს კონსტიტუციის 20-ე მუხლის პირველი ნაწილის ჩანაწერს - „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი“ გერმანიის კონსტიტუცია არ იცნობს, ამი-

114 ბ. ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. თბილისი 2004. გვ. 262; ი. გივიაშვილი, გადამწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პროცედურული მოთხოვნა და მისი კავშირი დემოკრატიასთან. კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები. სტატიათა კრებული. თბილისი 2012. გვ. 73.

115 K. Laubenthal, Strafvollzug. Sechste Auflage. Heidelberg 2011. S. 311 - 313.

ტომ არის, რომ მსჯავრდებულის პირადი ცხოვრების საკითხი მონმდება პიროვნების განვითარების უფლების ჭრილში (გერმანიის კონსტიტუციის მეორე მუხლი) ხოლო მსჯავრდებულის პაემანის კონსტიტუციურობა მონმდება გერმანიის კონსტიტუციის მეექვსე მუხლებით (ოჯახის სახელმწიფოს მხრიდან დაცვის პრინციპი).

საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება გასაკრიტიკებელია ფორმალურობის კუთხით. სასამართლო არ შედის მსჯავრდებულის პაემანის უფლების კონსტიტუციის მე-16 და 36 მუხლების ფარგლებში სიღრმისეულ განმარტებასა და კომენტარში, რაც მეტად სამუხებარია. ძალიან კარგია ამ მხრივ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1973 წლის ლებახის საქმე. სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილება ეხება სამართლებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს: 1) რადიო ან ტელემაუწყებლობების თავისუფლების კონფლიქტს სხვა კონსტიტუციით დაცულ სიკეთეებთან; 2) პიროვნული თავისუფლების შელახვისა და ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებული საზოგადოების ინტერესის ურთიერთშეფარდება; 3) სოციალური სახელმწიფოს მნიშვნელობა მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საკითხში.¹¹⁶ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თავისი გადაწყვეტილებებით ხელს უწყობს, ანვითარებს და ამკვიდრებს სამოსამართლო სამართალს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა საზოგადოების იმ ნაწილის დიდი ინტერესი, რომელიც 2009 წელს სასჯელალსრულების დანესებულებაში იხდიდა სასჯელს,¹¹⁷ ან რომელსაც შესაძლებლობა არ ჰქონდა თვეში ერთხელ მაინც შეხვედროდა თავის მსჯავრდებულს და უფრო

116 გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BVerfG 35, 202); ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 2011. გვ. 131; კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები. თბილისი 2003. გვ. 122.

117 სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2009 წელს თავისუფლება აღკვეთილ პირთა რაოდენობა სასჯელალსრულებით დანესებულებებში შეადგენდა დაახლოებით 20 ათას მსჯავრდებულს. მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია. მეორე გამოცემა. თბილისი 2011. გვ. 168.

ფართოდ უნდა განემარტა მსჯავრდებულის პაემანის უფლება და მისი გამოყენება საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პატიმრების პაემანის უფლება არ უნდა განეხილა კონსტიტუციის მე-20 მუხლის (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის) ფარგლებში, როგორც ამას აკეთებს ადამიანის უფლებათა სტრასბურგის ევროპული სასამართლო. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ჩანაწერები მეტად იდენტურია: ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მის მიმონერას (ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი), ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმონერა... ხელშეუხებელია (კონსტიტუციის მე-20 მუხლი). კონსტიტუციის მე-20 მუხლში არ არის აღნიშნული „ოჯახური ურთიერთობის ხელშეუხებლობა“, რის გამოც საკონსტიტუციო სასამართლომ სწორად მიუთითა კონსტიტუციის 36-ე მუხლზე, ხოლო ისეთ შემთხვევებში, მსჯავრდებულის პაემანის უფლებაზე სხვა პირებთან განხილულ უნდა იქნას კონსტიტუციის მე-16 მუხლის ქრილში.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს გაზარდოს დავის საგანი, თუ მოსარჩელე არ იქნება ამის წინააღმდეგი. ამით ხელი შეეწყობა საქართველოში სამართლის და კონკრეტულად სამოსამართლეო სამართლის განვითარებას.

ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მიმართებაში შეიძლება დაიყოს შემდეგ კომპონენტებად: თვით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა (სამარტოო პატიმრობა, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა, კონტაქტი ოჯახის წევრებთან); კორესპონდენციის ხელშეუხებლობა.¹¹⁸

118 ს. პაპუაშვილი, თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპუ-

1.3.6 უფლებების შეზღუდვა სასჯელალსრულების დანესებულებებში

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ძირითად უფლებებს, გარემოების მიუხედავად ინარჩუნებენ თავისუფლებააღკვეთილი პირები. ეს უფლებები არ შეიძლება შეიზღუდოს კანონიერი საფუძვლის გარეშე. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ბევრჯერ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელების დროს დაიცვას პატიმრის ღირსება: ადამიანის არსებობისთვის აუცილებელი ინდივიდუალური და სოციალური პირობები (მათ შორის უფლებები) მსჯავრდებულებს უნდა გააჩნდეთ დაპატიმრების მიუხედავად.¹¹⁹ პატიმრობაში მყოფი პირები დროებით კარგავენ თავისუფლების უფლებას. ზოგიერთი უფლება შეიძლება შეიზღუდოს დაპატიმრების ფაქტის გამო. ეს უფლებებია: პირადი თავისუფლების უფლება, გადაადგილების თავისუფლება, აზრის თავისუფლად გამოხატვის თავისუფლება, შეკრებების თავისუფლება, არჩევნებში ხმის მიცემის უფლება და ა.შ.¹²⁰

მსჯავრდებულს შეუზღუდავად აქვს სიცოცხლის და პირადი ხელშეუხებლობის¹²¹ დაცვის უფლება.¹²²

მსჯავრდებულისთვის უფლებების შეზღუდვის დროს აუცილებელია თანაზომიერების და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპების დაცვა. მსჯავრდებულისთვის უფლე-

ლი სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. სტატიათა კრებული. თბილისი 2006. გვ. 244-254.

119 K. Laubenthal, *Strafvollzug. Sechste Auflage.* Heidelberg 2011. S. 19.

120 ს. პაპუაშვილი, თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. სტატიათა კრებული. თბილისი 2006. გვ. 242.

121 მსჯავრდებულის ფიზიკური დაცვის უფლება გულისხმობს ტკივილისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას, თუნდაც სამოქალაქო საავადმყოფოში გაქცევის მაღალი რისკის მიუხედავად. იხ.: G. Kaiser/H.-J., Kerner/H. Schöch, *Strafvollzug. Ein Lehrbuch.* Heidelberg 1982. S. 103.

122 G. Kaiser/H.-J. Kerner/H. Schöch, *Strafvollzug. Ein Lehrbuch.* Heidelberg 1982. S. 103.

ბების შეზღუდვა სასჯელალსრულების დანესებულების თანამშრომლისთვის არ გულისხმობს ამ უფლების დარღვევის შესაძლებლობას. სასჯელალსრულების დანესებულების თანამშრომელმა უნდა იცოდეს, რომ „ადამიანი უფლებაა“!¹²³ თუ მსჯავრდებულს ძირითად უფლებებს ჩამოვაშორებთ იგი „მოაზროვნე ცხოველი“¹²⁴ დარჩება მხოლოდ.

1.4 სასჯელალსრულების სამართლის კრიმინოლოგიური ასპექტები

სასჯელალსრულების დანესებულებაში ემპირიული კვლევის ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს ორი მიმართულებით: 1)კრიმინოლოგიური და 2)სანქციის აღსრულების კუთხით ანუ პენოლოგიური მნიშვნელობით. სასჯელალსრულების დანესებულებაში ჩატარებული კვლევა ხორციელდება სოციოლოგიური მეთოდების გამოყენებით. სოციოლოგიურ სამეცნიერო კვლევის განხორციელებისას დიურკემი იყენებდა შვიდ „სანიმუშო“ ნაბიჯს: პრობლემის განსაზღვრა, ლიტერატურის მიმოხილვა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, კვლევის გეგმის შერჩევა, მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა გაანალიზება და დასკვნების გაკეთება.¹²⁵

სამეცნიერო კვლევა უნდა იქნას შეფასებული ორი ნიშნით: დასაბუთებულობა და სანდოობა. დასაბუთებულობა არის მაჩვენებელი, რომლითაც გამოკვლევა საზღვრავს იმას, რისი განსაზღვრის მცდელობაც არსებობს, ხოლო სანდოობა არის მაჩვენებელი, რომლითაც გამოკვლევა ღებულობს იგივე შედეგებს, როდესაც იმეორებს პირველად ან სხვა მეცნიერების გამოკვლევებს.¹²⁶

123 ბ. ზოიძე, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა: უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში. თბილისი 2013. გვ. 15.

124 იქვე.

125 ქ. კალჭუნი/დ. ლათი/ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 2,3,4). თბილისი 2007. გვ. 7.

126 იგივე, გვ. 22.

1.4.1 კრიმინოლოგიური კვლევის მნიშვნელობა

კრიმინოლოგია, როგორც ადამიანის გამოცდილების სისტემურ ერთიანობაზე დამყარებული მეცნიერება შეიძლება სამ მნიშვნელოვან ცნებაში გამოიხატოს: დამნაშავე, დანაშაული და დანაშაულის კონტროლი.¹²⁷ სასჯელალსრულების დაწესებულების როლი დამნაშავის პიროვნების კვლევაში მეტად მნიშვნელოვანია. ციხე, როგორც დამნაშავის ცხოვრების გამოცდილების ეტაპი მეტად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის პიროვნებაზე. შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია დამნაშავის პიროვნების კვლევის ეს ციხის ცხოვრების ეტაპის გაანალიზება. მნიშვნელოვანია კვლევა იმ საკითხზე, თუ რამდენ წელში კარგავს პატიმარი სოციალური ურთიერთობების (სრულყოფილად) განხორციელების უნარს, ანუ საინტერესოა თავისუფლების აღკვეთის რა ვადაა საჭირო, რომ მსჯავრდებულმა დაკარგოს სოციალური ურთიერთობების სრულყოფილად განხორციელების უნარი.¹²⁸

დანაშაულის კონტროლის კუთხით აუცილებელია ასევე ციხის სუბკულტურის კვლევა. ხშირად, ციხის სუბკულტურა მოქმედებს ციხის გარეთაც. სუბკულტურის ავტორიტეტული კრიმინალური ნევრები როგორც ციხეში, ასევე ციხის გარეთ ქმნიან კრიმინალურ ჯგუფებს. ეს ჯგუფები ერთმანეთთან კოოპერირებენ და ერთ საერთო მიზანს ემსახურებიან. ასეთი ჯგუფების განცალკევებით ციხის გარეთ, ან ციხის შიგნით შესწავლა ნაკლებად არის შედეგის მომტანი. აუცილებელია ჯგუფის კომპლექსური შესწავლა, რაც წარმოუდგენელია ციხეში კრიმინოლოგიური კვლევის გარეშე.

იმისათვის, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებაში კრიმინოლოგიური კვლევა განხორციელდეს, აუცილებელია სწორად დაიგეგმოს იგი და ზედმიწევნით ზუსტად შეირჩეს კვლევის მეთოდი, ანუ მსჯავრდებულებისგან ინფორმაციის მიღების მექანიზმი. მაგალითად, ციხის კრიმინალური სუბკულტურის

127 მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია. მეორე გამოცემა. თბილისი 2011. გვ. 3; G. Kaiser/H.-J. Kerner/H. Schöch, Strafvollzug. Ein Lehrbuch. Heidelberg 1982. S. 27.

128 G. Kaiser/H.-J. Kerner/H. Schöch, Strafvollzug. Ein Lehrbuch. Heidelberg 1982. S. 27.

კვლევის დროს, როდესაც გვსურს, გავიგოთ სუბკულტურის იერარქია, ქცევის კოდექსი, სადამსჯელო სისტემა და ა.შ. გამოკითხვის ჩატარება გაუმართლებელია. ვინაიდან სუბკულტურის ჩვეულებრივი წევრები ავტორიტეტული წევრების მიერ იმართებიან და კითხვარის პასუხები არ იქნება მათი (ჩვეულებრივი წევრების) ნების გამოვლინება.

სასჯელალსრულების დანესებულებაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი კვლევის მეთოდები: გამოკითხვა, დაკვირვება, ექსპერიმენტი, შინაარსის ანალიზი და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

გამოკითხვა

სოციოლოგიაში, ისევე როგორც კრიმინოლოგიაში, ყველაზე ხშირად მიმართავენ კვლევის ფორმას - გამოკითხვას. გამოკითხვა შეიძლება იყოს, როგორც დამოუკიდებელი კვლევის მეთოდი, ასევე სხვა კვლევის მეთოდის შემადგენელი ნაწილი, მაგ., დაკვირვების ან ექსპერიმენტის დროს საცდელი პირის გამოკითხვა.

კითხვა შეიძლება იყოს ღია ან დახურული. „ღია“ კითხვების დროს სავარაუდო პასუხები არ არის მითითებული, ხოლო „დახურული“ კითხვების დროს მითითებულია ორი ან მეტი სავარაუდო პასუხი.¹²⁹

„ღია“ კითხვები გამოიყენება: ა) თუ ინფორმაცია ქცევის იმ წესების შესახებ, რომლის გამოკვლევასაც მკვლევარი ცდილობს - მწირია, ბ) თუ მოსაკვლევა გამოკითხულთა დამოკიდებულების დადგენა, გ) თუ დიფერენციული ქცევის წესებია გამოსაკვლევნი, რათა მოხდეს ამ წესების ერთმანეთთან დამოკიდებულების დადგენა და ჰიპოთეზების ჩამოყალიბება.

მარტივად რომ ვთქვათ, იქ სადაც გამოსაკვლევნი მოვლენის შესახებ ინფორმაცია ნაკლებია, მიზანშეწონილია „ღია“, ხოლო თუ ინფორმაცია გამოსაკვლევნი მოვლენისადმი დიდია უმჯობესია „დახურული“ კითხვების დასმა.

გამოკითხვა შეიძლება იყოს ზეპირი და წერილობითი, წინასწარ მომზადებული კითხვარის მეშვეობით. კითხვარი ისე

129 მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია. მეორე გამოცემა. თბილისი 2011. გვ. 16.

უნდა იყოს შედგენილი, რომ რესპოდენტის მიერ გამოკვლევის-თვის (მკვლევარისთვის) სასურველი პასუხები იქნას გაცემული.

ზეპირი გამოკითხვის ყველა ფორმა, რომელთაც არასტანდარტული კითხვარი და კითხვათა რიგითობის ნაკლები სტრუქტურა გააჩნიათ, არის ინტერვიუ. სოციოლოგიურ ლიტერატურაში ინტერვიუ მოხსენიებულია აგრეთვე როგორც: „ღია გამოკითხვა“, „საუბარი“, „კვალიტატიური ინტერვიუ“ ან „ღრმა ინტერვიუ“.

სასჯელალსრულების დანესებულებაში ხშირია სწორედ ზეპირი გამოკითხვის ჩატარება - ინტერვიუ. ინტერვიუს დროს ხდება კითხვის დაზუსტება, რაც ხშირად აუცილებელია მსჯავრდებულისთვის, რათა მან სწორად გაიგოს საკვლევი თემის და დასმული კითხვის შესახებ.

ინტერვიუ, როგორც კვლევის მეთოდი წარმოებს ზედაპირული მონახაზის თანხლებით, ანუ მკვლევარს მომზადებული აქვს სამი-ხუთი კითხვა, მაგრამ მათ გაღრმავებას ახდენს ინტერვიუს პერიოდში. ინტერვიუს მიზანია მკვლევარმა დასმული კითხვების მეშვეობით მიიღოს მისთვის საჭირო (ღრმა) ინფორმაცია. ამ მხრივ მკვლევარს გააჩნია თავისუფალი მოქმედების უფრო დიდი სპექტრი, ვიდრე სხვა სოციოლოგიური მეთოდების გამოყენების დროს. მას შეუძლია კითხვათა თავისუფალი ფორმულირება, დალაგება და დამატებითი (განმარტებითი) კითხვების დასმა.¹³⁰

ინტერვიუს ჩატარებისთვის საჭიროა მკვლევარი წინასწარ ფლობდეს ინფორმაციას გამოსაკითხი პიროვნების შესახებ, მის განვილ და არსებულ ცხოვრების პირობებს.¹³¹ ინტერვიუს ჩატარება და მისი შეფასება დიდ დროსთან არის დაკავშირებული, ამიტომ უნდა მოხდეს მხოლოდ ადამიანთა პატარა ჯგუფის და კვლევისთვის სპეციალური პრობლემის გამოყოფა და მათზე ინტერვიუს მთელ პერიოდში მაქსიმალური კონცენტრაცია.

ინტერვიუ შეიძლება მკვლევარის მიერ ნოტირებულ იქნას ინტერვიუს პროცესში. ინტერვიუს აუდიო ან ვიდეო ჩანერა შე-

130 ქ. კალპუნი/დ. ლაითი/ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 2,3,4). თბილისი 2007. გვ. 34.

131 ე. გიდენსი, სოციოლოგია. თბილისი 2011. გვ. 630.

საძლებელია მხოლოდ რესპოდენტის თანხმობით. იქ, სადაც ინტერვიუს აუდიო ან ვიდეო ჩანერა შესაძლებელია მკვლევარმა უნდა მიმართოს საუბრის ამგვარად სრულ დაფიქსირებას, რადგან: 1. მას შეეძლება სრული კონცენტრაცია გააკეთოს რესპოდენტთან საუბარზე, 2. მოხდება საუბრის ყველა დეტალის სრული დაფიქსირება, რაც შეიძლება მკვლევარს ინტერვიუს ხელით ნოტირების დროს გამოორჩეს ან არ მიაქციოს სათანადო ყურადღება და 3. მსჯავრდებულები ხშირად საუბრობენ ციხის „სლენგით“, რაც შესაძლებელია უცნობი იყოს მკვლევარისთვის. ერთი ასეთი სლენგის უცოდინრობამაც კი, შესაძლებელია მკვლევარი ღირებული ინფორმაციის გარეშე დატოვოს. ინტერვიუს ჩანერა კი მკვლევარს შესაძლებლობას მისცემს ზუსტად გაიგოს მონათხრობის შინაარსი.

წერილობითი გამოკითხვის დროს რესპოდენტს ეძლევა ან ეგზავნება კითხვარი, რომელსაც იგი ავსებს და უკან უბრუნებს მკვლევარს. ამ პროცედურის დროს გასათვალისწინებელია: 1. რესპოდენტის მისამართი იყოს აქტუალური; 2. კითხვარი უნდა იყოს მოკლე, დასმული კითხვები გასაგები და ადვილად მისახვედრი, 3. კითხვარის შევსება დამოკიდებულია რესპოდენტის სურვილზე, რაც თემის ინტერესიდან გამომდინარეობს, 4. კითხვარის შევსება დამოკიდებულია, როგორც კითხვების შინაარსზე, ასევე რესპოდენტის გონებრივ შესაძლებლობაზე, გაიგოს დასმული კითხვა და გასცეს სათანადო პასუხი.

ზეპირი გამოკითხვისგან განსხვავებით, წერილობითი გამოკითხვა მკვლევარის უფრო ნაკლებ ენერგიას მოითხოვს და ნაკლებ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ინტერვიუს გარეშე გამოკითხვის ჩატარებას გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები, დადებითი: არ მოხდება რესპოდენტზე კითხვარის შევსებისას ზეგავლენის მოხდენა, და უარყოფითი: შეუძლებელია რესპოდენტისთვის მისთვის გაუგებარი კითხვის განმარტება.

წერილობით გამოკითხვას გააჩნია თავისი უარყოფითი და დადებითი მხარეები:

დადებითი: ნაკლები ხარჯები; ნაკლები დროის საჭიროება; გეოგრაფიულად ქვეყნის ყველა რეგიონში ჩატარების შესაძლე-

ბლობა; გაუგებარი კითხვების განმარტება; რესპოდენტზე არავითარი ზეგავლენის მოხდენა; რესპოდენტს გააჩნია საკმარისი დრო კითხვარის შესავსებად.

უარყოფითი: კითხვარის შევსების სიტუაციის გაკონტროლების შეუძლებლობა; შევსებული კითხვარის უკან მიღების საშიშროება.

მკვლევარი წერილობით გამოკითხვას ატარებს იმ შემთხვევაში, თუ სხვა მეთოდის ჩატარება შეუძლებელია, ხოლო ინტერვიუ დროის და თანხის არქონის გამო გამოირიცხვლია.

გარდა ამისა, კითხვარი უნდა იყოს თემატურად დალაგებული, ჩასატარებელ გამოკვლევაზე ორიენტირებული და მოკლე. რესპოდენტს არ უნდა დაეკარგოს სურვილი მისი შევსების, იმის გამო, რომ ეს დიდ დროს მოითხოვს. წესრიგმა, რომლის მიხედვითაც სოციოლოგი სვამს კითხვას, შესაძლოა გავლენა იქონიოს პასუხებზე.¹³²

გამოკითხვა ყოველთვის არის მიზანმიმართული, სისტემატიური, მკვლევარის მიერ კონტროლირებული და საგნობრივი.

კითხვები შეიძლება ორიენტირებული იყოს გამოკითხულის აზრის, ქცევის, შეფასების დაფიქსირებაზე ან უბრალოდ ამა თუ იმ ფაქტის კონსტატაციაზე.

იმისათვის, რომ გამოკითხულები იყვნენ გულახდილნი გამოკითხვის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი კრიტერიუმები:¹³³

- ა) მკვლევარი ვალდებულია დაიცვას გამოკითხულთა ანონიმურობა;
- ბ) რესპოდენტები პასუხობენ სიმართლეს;
- გ) მკვლევარს უნდა ჰქონდეს იმის გრძნობა, რომ შეაფასოს ამბობს თუ არა რესპოდენტი სიმართლეს;
- დ) რესპოდენტებს გააჩნიათ განათლების მაღალი დონე (აღნიშნული შესაძლებელია პრობლემა გახდეს ციხის პირობებში);
- ე) რესპოდენტს ჩადენილი აქვს მცირე დანაშაული ან საერთოდ არა აქვს დანაშაული ჩადენილი;

132 ქ. კალჰუნი/დ. ლაითი/ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 2,3,4). თბილისი 2007. გვ. 34.

133 K.-D. Opp, Abweichendes Verhalten und Gesellschaftsstruktur. Neuwid 1974. S. 60.

- ვ) რესპოდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაზე, უნდა შეესაბამებოდეს ჯგუფის სხვა ნევრების მონათხრობს;
- ზ) რესპოდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს პოლიციის მიერ დაფიქსირებულ და სისხლისსამართლის საქმეში არსებულ საგამოძიებო მასალებს (თუ ამის შესაძლებლობა არსებობს);
- თ) კითხვარში მოცემული დანაშაულის სახეებიდან რესპოდენტს არ ჩაუდენია არც ერთი, ან მხოლოდ მცირე ნაწილი.

მოცემული კრიტერიუმებიდან, რაც უფრო მეტის შესრულება შეეძლება რესპოდენტს, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ ზუსტად იქნას დადგენილი პირის ვიქტიმიზაცია.

გამოკითხვის მეთოდს გააჩნია სამი სახის პრობლემა: 1. რესპოდენტის აღქმა; 2. რესპოდენტის მახსოვრობა. 3. გადმოცემის სურვილი. შესაძლებელია რესპოდენტი პატიმარს აღქმული ჰქონდეს და ახსოვდეს კიდევ კითხვაში დასმული საკითხი, მაგრამ მკვლევარისადმი, ან მის მიერ გაცემული ინფორმაციისადმი გამოყენების ნდობის არქონის გამო, მან შეიძლება არ ისაუბროს ამის თაობაზე.

ექსპერიმენტი

ექსპერიმენტი მეცნიერს აძლევს შესაძლებლობას დაადგინოს გამომწვევი მიზეზისა და შედეგის ურთიერთობა. ექსპერიმენტში მეცნიერს შეუძლია გამოსცადოს ჰიპოთეზა – „რომ ერთი ცვლადი სიდიდე გავლენას ახდენს მეორე ცვლად სიდიდეზე, თუ ეს მიზეზობრივად იქნა გამოწვეული - საგნების შემოტანით სპეციალურად შექმნილ სიტუაციაში, რომელიც მკვლევარებს საშუალებას აძლევს აკონტროლოს ცვლად სიდიდეზე რაიმე გავლენის მომხდენი არსებითი ფაქტორები“.¹³⁴ ექსპერიმენტი შეიძლება იყოს სავლელ და ლაბორატორიული. სიტუაციათა უმრავლესობა რომელიც აინტერესებს სოციალურ მეცნიერებებს ლაბორატორიებში ვერ იქმნება, რადგან მასში მონაწილე

134 ქ. კალჰუნი/დ. ლათი/ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 2,3,4). თბილისი 2007. გვ. 34

პირებმა იციან, რომ აკვირდებიან, ამიტომ ისინი არაბუნებრივად იქცევიან.¹³⁵

დაკვირვება

დაკვირვება, როგორც კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდი გულისხმობს მეცნიერის (მკვლევარის) უშუალო მონაწილეობას კვლევის სფეროში. დაკვირვებითი კვლევის სფერო შეიძლება გამომდინარეობდეს ყოველდღიური ცხოვრებიდან. იგი ჩვეულებრივი ცხოვრების დაკვირვებისგან განსხვავდება იმით, რომ ის არის: ა) სისტემატიური, ბ) მიზანდასახული და გ) მეთოდურად მკვლევარის მიერ კონტროლირებადი.

დაკვირვება არის მიზანმიმართული, წინასწარგანზრახული და სპეციალურად ორგანიზებული აღქმა, რომელიც დამკვირვებლის ამოცანით არის განპირობებული. ეს მეთოდი არის რეალობის აღქმის ფორმა, რომელიც შესასწავლი ობიექტის კანონზომიერებიდან გამომდინარეობს.

სხვა სიტყვებით, დაკვირვება უბრალოდ ყურებას ნიშნავს, დამკვირვებელი ერთვება სიტუაციაში, სადაც მისთვის საინტერესო ქცევა ხორციელდება, აკვირდება და აფიქსირებს ქცევის თავისებურებებსა და გამოვლენის სიხშირეს.¹³⁶

დაკვირვება მეტად ძლიერი ინფორმაციის მიღების საშუალებაა სასჯელალსრულების დაწესებულებაში კრიმინალური სუბკულტურული დაჯგუფების კვლევისას, როდესაც ჯგუფის წევრებმა არ იციან დაკვირვების შესახებ და მკვლევარი ჯგუფის წევრებთან სისტემატიური ურთიერთობით იღებს მათზე მისთვის საჭირო ინფორმაციას.¹³⁷ ინფორმაციის მიღება თავის მხრივ დამოკიდებულია თავად მკვლევარის უნარზე, მოიპოვოს კვლევაში ჩართული ადამიანების ნდობა.¹³⁸

ისეთ შემთხვევებში, როდესაც მკვლევარი არ ეუბნება დასაკვირვებელ პირებს საკუთარი მიზნების შესახებ, დღის წეს-

135 ე. გიდენსი, სოციოლოგია. თბილისი 2011. გვ. 632.

136 ე. გიდენსი, სოციოლოგია. თბილისი 2011. გვ. 627.

137 შეად.: ქ. კალჭუნი/დ. ლაითი/ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 2,3,4). თბილისი 2007. გვ. 40.

138 ე. გიდენსი, სოციოლოგია. თბილისი 2011. გვ. 628.

რიგში შეიძლება დადგეს კვლევის ეთიკური საკითხი, კერძოდ, კვლევის სუბიექტის პირადი უფლების შესახებ.¹³⁹

შინაარსის ანალიზი

შინაარსის ან დოკუმენტის ანალიზი სოციოლოგიაში ხასიათდება, როგორც წყარო სოციალური ქცევის აღწერისთვის და გამორკვევისთვის.

სოციოლოგიურ მეცნიერებაში შინაარსის ანალიზი, როგორც კვლევის მეთოდი იყოფა ორ ნაწილად: დოკუმენტების ანალიზი და შინაარსის ანალიზი.

დოკუმენტის ანალიზი კრიმინოლოგიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მეთოდად ითვლება, კრიმინოლოგიური ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით.

დოკუმენტის ანალიზში პირველ რიგში იგულისხმება მათში მითითებული, დაფიქსირებული ინფორმაციის მეცნიერულად გამოყენება.

დოკუმენტებში იგულისხმება, ადამიანების მიერ შედგენილი დოკუმენტები, რომელთა ანალიზით და განმარტებით შესაძლებელი ხდება ადამიანის ქცევის, დამოკიდებულების და სხვა სოციალური მდგომარეობის მეცნიერული კუთხით გაანალიზება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ოფიციალური კრიმინალური სტატისტიკის ანალიზი სხვადასხვა ვარიანტების მიხედვით: ასაკი, სქესი, სოციალური და ოჯახური მდგომარეობა, დამნაშავის ეთნიკური წარმომავლობა და სხვ.

ამგვარი დოკუმენტებია: პირადი დოკუმენტები (წერილები, დღიურები); ჩანაწერები; ყველა სახის აქტები; ფოტოსურათები და სხვ. ამ დოკუმენტებს შორის ფრიად მნიშვნელოვანია პატიმრის პირადი საქმე.

პატიმრის სისხლის სამართლის საქმე არის დოკუმენტი, რომელიც ყოველი პატიმრის მიმართ დგება და რომელშიც პატიმრის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინახება: განაჩენი, დისციპლინარული ღონისძიებები და სხვა პატიმრის პირადი დოკუმენტები. მათი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია პა-

139 ქ. კალჭუნი/დ. ლათი/ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 2,3,4). თბილისი 2007. გვ. 41.

ტიმრის მდგომარეობის, ქცევის და დამოკიდებულების შესახებ კვლევისთვის გარკვეული, ფრიად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება.¹⁴⁰

შინაარსის ანალიზში იგულისხმება ისეთი დოკუმენტების ანალიზი, რომელთაც კომუნიკაციის მნიშვნელობა გააჩნია. მაგ., საგაზეთო სტატიები; რადიო-ტელე გადაცემები; წერილები, პროტოკოლები.

სასჯელალსრულების კუთხით შინაარსის ანალიზის ემპირიული მეთოდის მნიშვნელობა გულისხმობს დამნაშავის პიროვნების შესწავლას, სწორედ განაჩენების ან სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზზე.

კრიმინალური სტატისტიკა

კრიმინალური სტატისტიკის ქვეშ მოიაზრება დანაშაულის კონტროლის სახელმწიფო ორგანოების მიერ სისტემატურად შედგენილი (შეგროვილი) მონაცემები დანაშაულის და/ან დამნაშავის შესახებ.¹⁴¹

კრიმინალურ სტატისტიკას გააჩნია ოთხი მნიშვნელობა: 1) ოფიციალური კრიმინალური სტატისტიკა არის სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ანგარიში; 2) ოფიციალური კრიმინალური სტატისტიკა იძლევა ინფორმაციას ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის შესახებ; 3) ოფიციალური კრიმინალური სტატისტიკით ხდება მოსახლეობის ინფორმირება დანაშაულის დინამიკის, მდგომარეობის და სტრუქტურის შესახებ; 4) ოფიციალური კრიმინალური სტატისტიკა ხელს უწყობს დანაშაულის კონტროლს და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას.¹⁴²

ოფიციალური კრიმინალური სტატისტიკა შედგება ხუთი სახელმწიფო ორგანოს მიერ შემუშავებული მათემატიკური ციფრებისგან: პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს, სასჯელალსრულების და პრობაციის სტატისტიკა. სასჯელალსრულებ-

140 J.-M. Jehle, Ein Problemabriss unter Datenschutzaspekten. In: J.-M. Jehle (Hrsg.), Datenzugang und Datenschutz in der kriminologischen Forschung. Wiesbaden 1987. S. 24.

141 მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია. მეორე გამოცემა. თბილისი 2011. გვ. 22.

142 იგივე, გვ. 23.

ბის სტატისტიკა მოიცავს მონაცემებს პატიმართა რაოდენობის შესახებ, პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, ამინისტიის და შეწყალების შედეგად ციხიდან გათავისუფლებული მსჯავრდებულების შესახებ. პრობაციის სტატისტიკა მოიცავს პრობაციონერების რაოდენობას. სტატისტიკური ცხრილები იკითხება რიგებში და სვეტებში. თითოეული უჯრა შეიცავს ინფორმაციის ნაწილს, რომელიც გამოსახულია სიტყვით, რიცხვით, პროცენტულობით ან სხვა სტატისტიკური განზომილებით.¹⁴³

საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ 118¹ მუხლის 2014 წლის 16 აპრილის თანახმად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის „სამინისტრო ხელს უწყობს სისტემის ორგანოში ისეთი კრიმინოლოგიური კვლევების განხორციელებას, რომელთა მიზანია მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის, დანაშაულის პრევენციისა და სარეაბილიტაციო პროგრამების მეცნიერული შესწავლა“.

1.4.2 მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მნიშვნელობა

მსჯავრდებულის რესოციალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თვალსაზრისით. რესოციალიზირებული მსჯავრდებულის საფრთხეს აღარ შეუქმნის საზოგადოებას და აღარ დაარღვევს ქცევის აღიარებულ ნორმებს. საზოგადოებას დიდი ინტერესი აქვს იმის, რომ მსჯავრდებულის იქნას რესოციალიზირებული.¹⁴⁴

მსჯავრდებულის რესოციალიზაციისადმი საზოგადოების ინტერესი არის დაკვეთა სახელმწიფო ორგანოებისადმი, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ მართლმსაჯულების განხორციელებასთან.

სახელმწიფოსთვის რესოციალიზირებული მსჯავრდებულის მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების გამო:

- აღარ ჩაიდენს დანაშაულს და საზოგადოებაში არ დაამკ-

143 ქ. კალჭუნი/დ. ლათი/ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 2,3,4). თბილისი 2007. გვ. 19.

144 R.-P. Calliess/H. Müller-Dietz, Strafvollzugsgesetz-Kommentar. München 2000. S. 15.

ვიდრებს დაუცველობის გრძნობას, რაც მძიმედ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე;

- არარესოციალიზირებული მსჯავრდებული არის სახელმწიფოსთვის ადამიანური რესურსის დაკარგვა;
- არარესოციალიზირებული მსჯავრდებული განმეორებით ჩაიდენს დანაშაულს, რაც სახელმწიფოს აიძულებს უფრო მეტი ეკონომიკური ხარჯი გასწიოს ციხის პირობებში მის შესანახად;
- არარესოციალიზირებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა თუ გაიზრდება და ხშირი გახდება მათ მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენა, სახელმწიფო იძულებული იქნება ლიბერალურიდან გადავიდეს მკაცრ კრიმინალურ პოლიტიკაზე, რისთვისაც სახელმწიფოს უფრო მეტი ეკონომიკური და ადამიანური რესურსის მობილიზება მოუხდება.

მსჯავრდებულის რესოციალიზაციასთან დაკავშირებით დანვრილებით იხილეთ 3.2 ქვეთავი.

მეორე თავი

სასჯელალსრულების დანესებულებაჲსა და მსჯავრდებულთა სტატისტიკური ანალიზი

2.1 სასჯელალსრულების დანესებულებათა რაოდენობა

საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-8 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სასჯელალსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ დანესებულებას ქმნის და აუქმებს სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრი. მინისტრის №184 ბრძანება (27.12.2010) ადგენს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის მოქმედ დანესებულებათა ნუსხას. აღნიშნული ბრძანების თანახმად, 2014 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით სასჯელალსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მოქმედებდა 15 დანესებულება, მათ შორის №11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დანესებულება (თბილისი), №5 ქალთა სპეციალური დანესებულება (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი), №18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დანესებულება (თბილისი) და №19 ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი (მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი).

სასჯელალსრულების სისტემაში მოქმედ დანესებულებათაგან 3 ფუნქციონირებს დასავლეთ საქართველოში (ქუთაისის №2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დანესებულება, №3 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დანესებულება (დაბა ხელვაჩაური, ურეხის დასახლება) და გეგუთის №14 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დანესებულება), ხოლო დანარჩენი 12 – აღმოსავლეთ საქართველოში (კერძოდ, თბილისში, რუსთავში, გარდაბნისა და მცხეთის მუნიციპალიტეტში განთავსებული დანესებულებები).

მოქმედი 15 დანესებულებიდან 6 თავისუფლების აღკვეთის და 9 შერეული ტიპის დანესებულებაა.

2.2 სასჯელაღსრულების დაწესებულებათა ლიმიტი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №184 ბრძანებით (27.12.2010) განსაზღვრულია თითოეული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ლიმიტი. 2014 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით აღნიშნული ლიმიტი შეადგენდა 23 342, რაც ცალკეულ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებზე გადანაწილებული შემდეგნაირ მონაცემებს აფიქსირებს:

დაწესებულება	ლიმიტი
№2 დაწესებულება (ქუთაისი)	1840
№3 დაწესებულება (დაბა ხელვაჩაური)	557
№5 დაწესებულება (ქალთა) (გარდაბნის მუნიციპალიტეტი)	1349
№6 დაწესებულება (გარდაბნის მუნიციპალიტეტი)	1601
№7 დაწესებულება (თბილისი)	108
№8 დაწესებულება (თბილისი)	3672
№9 დაწესებულება (თბილისი)	1142
№11 დაწესებულება (არასრულწლოვანთა) (თბილისი)	160
№12 დაწესებულება (თბილისი)	730
№14 დაწესებულება (გეგუთი)	2690
№15 დაწესებულება (დაბა ქსანი)	3861
№16 დაწესებულება (რუსთავი)	2704
№17 დაწესებულება (რუსთავი)	2050
№18 დაწესებულება (თბილისი)	180
№19 დაწესებულება (დაბა ქსანი)	698

2.3 ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სტატისტიკა

2014 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობამ 10185 შეადგინა, აქედან 1535 ბრალდებული და 8650 მსჯავრდებული (მათ შორის 9847 მამაკაცი, 252 ქალი და 86 არასრულწლოვანი მამაკაცი).¹⁴⁵ დანაშაულის კატეგორიის მიხედვით,¹⁴⁶ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები შემდეგნაირად გადანაწილდნენ: ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის¹⁴⁷ მსჯავრდებულები – 922, მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულები¹⁴⁸ – 3029 და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულები¹⁴⁹ – 4697.¹⁵⁰

წინამდებარე სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შესაძლოა დავასკვნათ, რომ მსჯავრდებულთა 9% სასჯელს იხდის ნაკლებად მძიმე დანაშაულის, 30% – მძიმე დანაშაულის, ხოლო 61% – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის. აღნიშნული მეტყველებს, რომ მსჯავრდებულთა 91% იხდის ხუთ წელ-

145 საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წერილი 07.07.2014

146 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილი ადგენს დანაშაულის სამ კატეგორიას: 1. ნაკლებად მძიმე; 2. მძიმე; და 3. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს.

147 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12(2) მუხლის თანახმად, ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას.

148 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12(3) მუხლის თანახმად, მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.

149 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12(3) მუხლის თანახმად, განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

150 საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წერილი 07.07.2014

ზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას, რაც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2003)23 რეკომენდაციის პირველი მუხლის განმარტებით გრძელვადიანი პატიმრობის ტოლფასია.¹⁵¹

151 „...გრძელვადიანი პატიმარი არის პირი, რომელიც იხდის სასჯელს ან რამდენიმე სასჯელს, რომელიც მთლიანად შეადგენს ხუთ ან მეტ წელს.“

მესამე თავი

სასჯელალსრულების დანესეხულების მიზანი

სასჯელალსრულების დანესეხულების ძირითად მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.

3.1 საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა

სასჯელალსრულების სამართალი უზრუნველყოფს სოციალურ ურთიერთობათა სტაბილურობას.¹⁵² ეს ურთიერთობები შეიძლება იყოს როგორც ციხის შიგნით ისე ციხის გაერთ, ანუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა შესაძლებელია გაგებულ იქნას ფართო და ვიწრო გაგებით. ვიწრო გაგებით საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა გულისხმობს ციხის პერსონალის და სხვა მსჯავრდებულების დაცვას, ხოლო ფართო გაგებით - ზოგადად, საზოგადოების დაცვას.

ამერიკელმა ფსიქოლოგმა აბრაჰამ მასლოუმ ჩამოაყალიბა მოთხოვნილებათა ხუთი ძირითადი სფერო:¹⁵³ 1) ფიზიოლოგიური (ჭამა, ძილი); 2) უსაფრთხოების და დაცულობის (სტაბილურობა, წესრიგი); 3) მიკუთვნების და სიყვარულის (ოჯახი, მეგობრები); 4) საკუთარი თავის პატივისცემის (საკუთარი თავის პატივისცემა, აღიარება); 5) თვითრეალიზაციის (საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარება). როგორც ვხედავთ, აბრაჰამ მასლოუმის აზრით, ადამიანისთვის უსაფრთხოებისა და დაცულობის მოთხოვნილება ბიოლოგიური მოთხოვნილებების შემდეგ უპირველესია. უსაფრთხოებისა და დაცულობის მოთხოვნილება გულისხმობს სტაბილურობას და წესრიგს.

ევროპული ციხის წესების, 2006 წლის რეკომენდაციის №2 დანართის 52-ე პუნქტის თანახმად, პატიმრის ციხეში მიღებიდან უმოკლეს ვადაში უნდა მოხდეს პატიმრის შეფასება უსაფრ-

152 გ. ხუბუა, სამართლის თეორია. თბილისი 2004. გვ. 46.

153 გ. ლაცაბიძე, განვითარების თეორიები. მეორე გამოცემა. თბილისი 2010. გვ. 86; მ. ხასია, პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა სახელმძღვანელო. თბილისი 2008. გვ. 157.

თხოვბის კუთხით, ანუ რამდენად შეიძლება იგი წარმოადგენდეს საფრთხეს დაწესებულების პერსონალისთვის, სხვა პატიმრებისთვის, ვიზიტორებისთვის და რამდენად შეიძლება მან მიიყენოს თვითდაზიანებები.¹⁵⁴

3.2 მსჯავრდებულის რესოციალიზაცია

მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მნიშვნელობის განხილვამდე აუცილებელია სოციალიზაციის პროცესის გარკვევა.

სოციოლოგიაში გამოყენებული სოციალიზაციის ცნება ფართოდ არის გავრცელებული პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიაში, კრიმინოლოგიაში და გულისხმობს პროცესს, რომლის დროსაც „უმწეო ბავშვი თანდათან გადაიქცევა თვითცნობიერ, მცოდნე და იმ კულტურის შემთვისებელ პიროვნებად, რომელშიც იგი დაიბადა“.¹⁵⁵ ბავშვისთვის სოციალიზაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ სოციალურ ჯგუფსა და კატეგორიას განეკუთვნება იგი, და როგორია ამ ჯგუფების ქცევის წესი.¹⁵⁶ ოჯახი წარმოადგენს ბავშვის სოციალიზაციის პირველად წყაროს, საზოგადოებაში ინტეგრაციის აუცილებელ ინსტიტუტს.¹⁵⁷ ოჯახი თავის მხრივ არის საზოგადოების ნაწილი. „ოჯახის ფასეულებები, დამოკიდებულებები და ცხოვრების წესი ირეკლავს სოციალური კლასის, რელიგიის, ეთნიკურ ჯგუფისა და ქვეყნის იმ კუთხის ჩვევებს, რომლის ნაწილიც თვითონ არის.“¹⁵⁸

წარმატებული სოციალიზაციისთვის აუცილებელი ფაქტორია კონფორმიზმისკენ სწრაფვა. სოციალიზაციის არმქონე ადამიანი ურჩხულია, რადგან შესაძლებლობა არა აქვს სხვა ადამიან-

154 მ. ხასია, პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა სახელმძღვანელო. თბილისი 2008. გვ. 123.

155 ე. გიდენსი, სოციოლოგია. თბილისი 2011. გვ. 50; H. Cornel/G. Kavamura-Reindl/B. Maelicke/B.R. Sonnen (Hrsg.), Resozialisierung. 3. Auflage. Baden-Baden 2009. S. 38.

156 ქ. კალჭუნი/დ. ლაითი/ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 5-13). თბილისი 2007. გვ. 16.

157 მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია. მეორე გამოცემა. თბილისი 2011. გვ. 175.

158 ქ. კალჭუნი/დ. ლაითი/ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 5-13). თბილისი 2007. გვ. 37.

ნის ქცევა სუბიექტურად შეაფასოს და რეაგირება მოახდინოს.¹⁵⁹

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია მჭიდრო კავშირშია მის მიერ განვლილ სოციალიზაციის პროცესთან. ხშირად რესოციალიზაციას პირველად ან შემცვლელ სოციალიზაციასაც ეძახიან.¹⁶⁰ აღნიშნულით ყურადღება მახვილდება ადამიანის სოციალიზაციის პირობების პრობლემებზე, არასაკმარის სოციალიზაციაზე,¹⁶¹ რომელმაც შესაძლოა განაპირობა მისი დამნაშავედ ჩამოყალიბება.¹⁶²

ადამიანის სოციალიზაციის პროცესი რასაკვირველია არ მთავრდება ბავშვობის დასრულებასთან ერთად. ეს პროცესი გრძელდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში.¹⁶³

კრიმინოლოგიის და სისხლის სამართლის ლიტერატურაში მრავალი რესოციალიზაციასთან დაკავშირებული ცნება არსებობს. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:¹⁶⁴

- რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულის სოციალურ ცხოვრებაში დაბრუნება ან დაბრუნება ადამიანთა გაერთიანებაში;
- რესოციალიზაცია არის სოციალიზაციის პროცესის ნაწილი, რა დროსაც წინსართი „რე“ არის იმის გამომხატველი, რომ სოციალიზაციის პროცესის ნაწილი განხორციელდა საზოგადოებისგან განცალკევებით (ციხეში), რის გამოც მისი (ამ ადამიანის) საზოგადოებაში ხელმეორედ (განახლებულად) დაბრუნება აუცილებელია;
- რესოციალიზაცია არის სწავლის პროცესი, რომლის

159 H. Cornel/G. Kavamura-Reindl/B. Maelicke/B.R. Sonnen (Hrsg.), Resozialisierung. 3. Auflage. Baden-Baden 2009. S. 28.

არასოციალიზირებული ბავშვების შესახებ იხილეთ მაგალითები: ე. გიდენსი, სოციოლოგია. თბილისი 2011. გვ. 51.

160 იქვე.

161 G. Kaiser, Kriminologie. 3. Auflage. Heidelberg 1996. S. 199.

162 H. Cornel/G. Kavamura-Reindl/B. Maelicke/B.R. Sonnen (Hrsg.), Resozialisierung. 3. Auflage. Baden-Baden 2009. S. 28.

163 ქ. კალჭუნი/დ. ლათი/ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 5-13). თბილისი 2007. გვ. 37.

164 H. Cornel/G. Kavamura-Reindl/B. Maelicke/B.R. Sonnen (Hrsg.), Resozialisierung. 3. Auflage. Baden-Baden 2009. S. 29, 30.

დროსაც მსჯავრდებული სწავლობს დანაშაულის გარეშე ცხოვრებას, ქცევას;

- რესოციალიზაცია არის თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვის სოციალიზაციის სპეციალური ფორმა, რომლის მიზანია სამართლებრივი თვითშეგნების ჩამოყალიბება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ნორმებისადმი პატივისცემა;
- რესოციალიზაცია არის ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთობა - საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაციის პროცესი. ინტეგრაციის პროცესის დროს მნიშვნელოვანია თავიდან იქნას აცილებული მსჯავრდებულის ეტიკეტირება და განტევების ვაცად ქცევა;¹⁶⁵
- რესოციალიზაცია, როგორც სოციალური სახელმწიფოს პრინციპით მოცული მსჯავრდებულის უფლება, არის სახელმწიფოს კრიმინალური პოლიტიკის იარაღი დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი.¹⁶⁶

ამერიკულ ლიტერატურაში მსჯავრდებულის ციხის პირობებში რესოციალიზაციის პროცესი დესოციალიზაციით იწყება.¹⁶⁷ ერვინ გოფმანის თანახმად,¹⁶⁸ ციხე არის ტოტალური ინსტიტუცია,¹⁶⁹ სადაც მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესი იწყება მისი დესოციალიზაციით. დესოციალიზაციის პროცესის დროს მსჯავრდებული კარგავს იმ ძველ, საზოგადოებისთვის მიუღებელ, ფასეულობებს და ღირებულებებს, რომელმაც მის მიერ დანაშაულის ჩადენა გამოიწვია.¹⁷⁰ დესოციალიზაციის

165 ეტიკეტირების და განტევების ვაცის თეორია იხ.: მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია. მეორე გამოცემა. თბილისი 2011. გვ. 38, 47.

166 G. Kaiser/H.-J. Kerner/H. Schöch, Strafvollzug. Ein Lehrbuch. Heidelberg 1982. S. 24.

167 მ. შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია. თბილისი 2012. გვ. 135.

168 E. Goffman, Asyle. Über die soziale Situation psychiatrischer Patienten und anderer Insassen. Frankfurt am Main 1972. S. 17.

169 ციხის გარდა ტოტალურ ინსტიტუციად მოიაზრება ფსიქიატრიული სავადმყოფო, ბავშვთა სახლი, საჯარისო ნაწილი. ქ. კალჭუნი/დ. ლაითი/ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 5-13). თბილისი 2007. გვ. 50; მ. ბალიაშვილი, სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი 2010. გვ. 44.

170 მ. ბალიაშვილი, სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი

პროცესის შემადგენელ ნაწილად მოიაზრება: საკუთარი ტანისა-
მოსის ჩამორთმევა და მსჯავრდებულის უნიფორმის გადაცემა;
თავის გაპარსვა, წარსულის დავინწყების მიზნით. პიროვნულო-
ბის დაკარგვა გამოიხატება ჯგუფთან ერთად ბანაობაში, ქამა-
სა და ძილში, მიმართვაში არა სახელებით და გვარებით არამედ,
ნომრებით.¹⁷¹ დესოციალიზაციის პროცესი ანადგურებს მსჯა-
ვრდებულის საკუთარ „მე“-ს (Self-ის) გრძნობას და უნერგავს
ზემდგომისადმი მორჩილებას. „ტოტალური ინსტიტუტები ხელს
უწყობენ [მსჯავრდებულის] ფსიქოლოგიურ რეგრესს: ისინი
ნერგავენ ბავშობისდროინდელ დაუცველობის შეგრძნებას და
დამოკიდებულებას“.¹⁷² ციხის პირობებში უკვე დესოციალიზი-
რებულ მსჯავრდებულის რესოციალიზაციას ახორციელებს
ციხის ადმინისტრაცია.

მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიზნით, მისი დესო-
ციალიზაცია შესაძლებელია ინვევდეს კონსტიტუციით გარან-
ტირებული უფლებების დარღვევას. მსჯავრდებულის რესოცია-
ლიზაციის ცნების ქვეშ ასევე, სხვა ისეთი ცნებები მოიაზრება
როგორებიცაა: გამოსწორება, აღზრდა, სოციალიზაცია, მკურ-
ნალობა, რეაბილიტაცია. განვიხილოთ თითოეული ეს ცნება
მსჯავრდებულის რესოციალიზაციასთან მიმართებით.

გამოსწორება

გამოსწორება, როგორც მსჯავრდებულის რესოციალიზა-
ციის ქვეშ მოქცეული ცნება ბოლო 40 წლის განმავლობაში კრი-
მინოლოგიაში აღარ გამოიყენება. გერმანულ ლიტერატურაში
გამოსწორება გულისხმობდა დამნაშავის, როგორც სულიერად
ავადმყოფი ადამიანის, ნების სანინაალმდეგოდ, მის გამოსწო-
რებას.¹⁷³

2010. გვ. 44.

171 ქ. კალჰუნი/დ. ლათი/ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 5-13). თბილი-
სი 2007. გვ. 50; მ. ბალიაშვილი, სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები.
თბილისი 2010. გვ. 44.

172 ქ. კალჰუნი/დ. ლათი/ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 5-13). თბილი-
სი 2007. გვ. 50.

173 H. Cornel/G. Kavamura-Reindl/B. Maelicke/B.R. Sonnen (Hrsg.), Resozialisierung.
3. Auflage. Baden-Baden 2009. S. 35.

აღზრდა

ხშირად აღზრდა და რესოციალიზაცია სინონიმებადაც კი გამოიყენება. რესოციალიზაცია სწორედ ხელახალ **აღზრდას** გულისხმობს. გერმანულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ლაიტმოტივად აღიარებულია აღზრდა,¹⁷⁴ რომელიც მსჯავრდებული არასრულწლოვანის მიმართ კონკრეტული ინდივიდუალური ღონისძიებების განხორციელებით მიიღწევა, ანუ გერმანიის სისხლის სამართალი მსჯავრდებულის აღზრდაზე საუბრობს, თუ იგი არასრულწლოვანია, ხოლო თუ იგი ზრდასრულია - რესოციალიზაციაზე.

არასრულწლოვანთა აღზრდის იდეა გამომდინარეობს კრიმინოლოგიური თეორიიდან და კვლევებიდან. არასრულწლოვანთა დანაშაული არის ნორმალური, ეპიზოდური და ყველა დროში გავრცელებული, ამავდროს თავისუფლების აღკვეთას მძიმე პიროვნული შედეგები მოაქვს გარდატეხის ასაკში მყოფი არასრულწლოვანისთვის.¹⁷⁵ ამიტომ, არასრულწლოვანის (ხელახალი) აღზრდა ჯერ კიდევ შესაძლებელი და აუცილებელია მისთვის კრიმინალური კარიერის თავიდან ასაცილებლად.

მოზარდში, გარდატეხის პერიოდით გამონვეული პრობლემების გამო, შესაძლებელია ფერხდებოდეს სოციალიზაციის პროცესი, ამიტომ არასრულწლოვანი დამნაშავის მიმართ სასჯელი უნდა იყოს აღმზრდელითი ხასიათის მატარებელი.¹⁷⁶

სოციალიზაცია

სოციალიზაცია და რესოციალიზაცია შესაძლებელია სინონიმებადაც კი ჩაითვალოს, მით უფრო, რომ მსჯავრდებულის

174 ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სანქციები არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში გერმანული კანონმდებლობის მიხედვით. მ. ლეკვიშვილი/მ. შალიკაშვილი (რედ.), არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები. სტატიათა კრებული. თბილისი 2011. გვ. 246.

175 H. Diemer/A. Schoreit/B.-R. Sonnen, Jugendgerichtsgesetz-Kommentar. 3. Auflage. Heidelberg 1999. S. 457.

176 მ. შალიკაშვილი/ გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები. თბილისი 2011. გვ. 68, 69.

რესოციალიზაცია რეალურად სწორედ მის ხელახალ სოციალიზაციას გულისხმობს.¹⁷⁷

მკურნალობა

საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ თანახმად, ცნებაში მკურნალობა იგულისხმება ჯანმრთელობის მკურნალობა. მკურნალობას რესოციალიზაციასთან იმდენად აქვს კავშირი, რამდენადაც მკურნალობის ცნებაში, ასევე იგულისხმება ფსიქიკური აშლილობის მქონე მსჯავრდებულის მკურნალობა, ფსიქიატრიული დახმარების განევა („ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი).

რეაბილიტაცია

საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ მიხედვით, რეაბილიტაციაში იგულისხმება ის ღონისძიებები, რომელიც აუცილებელია მსჯავრდებულის რეაბილიტაციისთვის.

რეაბილიტაციის ცნება გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების ან პირობების მქონე ადამიანის (პატიმრების) საზოგადოებაში ინტეგრაციას.¹⁷⁸ ამიტომ რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის ცნებები მეტად ახლოს დგას ერთმანეთთან. ამ ორი ცნების განსხვავება არის მათი მიზანი, რეაბილიტაცია გულისხმობს კონკრეტული პროგრამის მეშვეობით კონკრეტული შედეგის მიღწევას (ნარკოტიკული ნივთიერების მიღებაზე უარის თქმა, პროფესიული რეაბილიტაცია),¹⁷⁹ როცა რესოციალიზაცია უფრო ზოგადი შეიძლება იყოს (საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაცია).

საინტერესოა, ის ძირითადი ასპექტები, რომელსაც უნდა

177 ვინაიდან მოცემულ თავში სოციალიზაციის შესახებ იყო საუბარი, აქ მისი გავრცობისაგან თავს ვიკავებთ.

178 H. Cornel/G. Kavamura-Reindl/B. Maelicke/B.R. Sonnen (Hrsg.), Resozialisierung. 3. Auflage. Baden-Baden 2009. S. 46.

179 G. Kaiser/H.-J. Kerner/H. Schöch, Strafvollzug. Ein Lehrbuch. Heidelberg 1982. S. 450.

აკმაყოფილებდეს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესი:¹⁸⁰

- მსჯავრდებულის კონსულტაცია, მისთვის რჩევის მიცემა პირადი პრობლემების მოგვარების, საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელისშემწყობი თუ ხელისშემშლელი პირობების შესახებ (ხელისშემწყობი პირობების გაძლიერება, ხელისშემშლელი პირობების აღმოფხვრა);
- მსჯავრდებულის მოტივაცია გაიუმჯობესოს საკუთარი ცხოვრების მდგომარეობა (მსჯავრდებულმა უნდა გამოიყენოს სახელმწიფოსგან ან სამოქალაქო სექტორისგან მისთვის შეთავაზებული საზოგადოებაში ინტეგრაციის ნებისმიერი შანსი);
- მატერიალური დახმარების განწევა. აქ იგულისხმება პირველადი მოხმარების საჭირო საგნებიდან დაწყებული (ყოფილი) მსჯავრდებულის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა;
- პროფესიულ ან ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაში მსჯავრდებულის ხელშეწყობა;
- კრიზისული სიტუაციების მართვის სწავლა, ან თანხლება;
- სოციალური კონტაქტების აღდგენაში ან ახალი კონტაქტების დამყარებაში დახმარება;
- საკუთარი საქციელისადმი მსჯავრდებულის მიერ პასუხისმგებლობის აღებაში¹⁸¹ დახმარება (მისი გამხნელება; მონოდება, რომ ეს კონკრეტული ქმედება კარგი, საზოგადოებისთვის მისაღები საქციელია);
- საზოგადოებაში საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ყოფილი პატიმრების, თუ მსჯავრდებულების მიმართ ტოლერანტული განწყობის დასამკ-

180 H. Cornel/G. Kavamura-Reindl/B. Maelicke/B.R. Sonnen (Hrsg.), Resozialisierung. 3. Auflage. Baden-Baden 2009. S. 50; G. Kaiser/H.-J. Kerner/H. Schöch, Strafvollzug. Ein Lehrbuch. Heidelberg 1982. S. 396.

181 მსჯავრდებულის მიერ საკუთარი დანაშაულებრივი საქციელისათვის პასუხისმგებლობის აღება უფრო ადვილია, თუ დამნასავესა და დაზარალებულს შორის განხორციელდება მედიაცია.

ვიდრებლად. იმის გაცნობიერება, რომ ყოფილი მსჯავრდებულის საზოგადოებაში რეინტეგრაციამ შესაძლებელია მათ მიერ განმეორებითი დანაშაული აღარ გამოიწვიოს და საზოგადოება არ დააზარალოს.

დასკვნის სახით, შესაძლებელია რესოციალიზაციის ცნება ასე იქნას ჩამოყალიბებული: რესოციალიზაცია არის სოციალური სახელმწიფოს პრინციპით (საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით და 36 მუხლის მეორე ნაწილით) მოცული მსჯავრდებულის უფლება ხელახლა დაბრუნდეს საზოგადოებაში, მსჯავრდებულის შანსი განმეორებით მიიღოს მონაწილეობა სოციალიზაციის პროცესში და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება შექმნას საკმარისი პროგრამები და ინიციატივები დამნაშავის გამოსასწორებლად, რათა დაცული იქნას საზოგადოებრივი წესრიგი.

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების მიხედვით, სახელმწიფოს მხრიდან მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის „ყველა სათანადო საშუალება უნდა იქნას გამოყენებული, მათ შორის, რელიგია, განათლება, პროფესიული ორიენტაცია და ტრენინგები, სოციალური დაცვა, დასაქმებასთან დაკავშირებული კონსულტაციები, ფიზიკური განვითარება, მორალური დამოკიდებულების განმტკიცება და ყოველივე ზემოაღნიშნული, უნდა შეესაბამებოდეს პატიმრის პიროვნულ ხასიათს. გათვალისწინებული უნდა იქნას პატიმრის სოციალური და კრიმინალური წარსული, ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა და შესაძლებლობები, მისი ტემპერამენტი, სასჯელის ზომა და გათავისუფლების პერსპექტივები“ (ნესი №66 (1)).

პატიმრებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტებთან ერთად აუცილებელია პატიმრების კატეგორიების განსაზღვრა, რათა დადგინდეს, ვინ შეიძლება იქნას რესოციალიზირებული.

ჩრდილოეთ ამერიკული ციხის მაგალითზე, შრაგის¹⁸² მიერ ჩამოყალიბებულ იქნა მსჯავრდებულთა ოთხ ტიპი:¹⁸³ პროსო-

182 C. Schrag, Some Foundation for a Theory of Correction. In: D. Cressey, (Ed.): The Prison. New York 1964.

183 K. Laubenthal, Strafvollzug. Sechste Auflage. Heidelberg 2011. S. 128; S. Harbordt, Die Subkultur des Gefängnisses. Eine soziologische Studie zur Resozialisierung. Stuttgart 1967. S. 76.

ციალური, ანტისოციალური, ფსევდოსოციალური და ასოციალური.

პროსოციალური მსჯავრდებულები ორიენტირებულები არიან ლეგალურ ნორმებზე. მათ უფრო მეტი ურთიერთობა აქვთ სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ვიდრე სხვა მსჯავრდებულებთან. მათი უმრავლესობა პირველად არის ციხეში, ან არასრულწლოვნობის და მოზარდობის დროს არ გამოირჩეოდნენ კრიმინალური საქმიანობით. ხშირად ესენი არიან სიტუაციის გამომყენებელი დამნაშავეები (*Gelegenheitsstäter*) ან მოძალადეები, რომლებიც ძლიერი სოციალური ან ფსიქოლოგიური ზენოლის ქვეშ იმყოფებოდნენ. პროსოციალური ტიპის მსჯავრდებულებს ნაკლები კრიმინალური საქმიანობის პრაქტიკა გააჩნიათ. ისინი თავის თავს არ მიიჩნევენ დამნაშავეებად (კრიმინალებად). მათ მჭიდრო კავშირი აქვთ საკუთარი ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან.

ანტისოციალური მსჯავრდებულების ტიპი აღიარებს კრიმინალურ ნორმებს, აქვს სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაციასთან მინიმალური კონტაქტი, მაგრამ ხშირი და კარგი კონტაქტი აქვს ასოციალური მსჯავრდებულების გარდა ყველა სხვა ტიპის მსჯავრდებულებთან. განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პროცენტული მაჩვენებელი მათში ძალიან მაღალია. ისინი ახალგაზრდობაშივე იწყებენ დანაშაულის ჩადენას და დანაშაულიდან შემოსული ქონებით ირჩენენ თავს. მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებია: ყაჩაღობა, ქურდობა ბინაში შეღწევით, ჯანმრთელობის დაზიანება. ისინი ეკონომიურად ცუდი შესაძლებლობის მქონე ოჯახებიდან არიან და ღარიბულ სოციალურ გარემოში ცხოვრობენ.

ფსევდოსოციალური მსჯავრდებულების ტიპი ხშირად იცვლის ნორმებისადმი ორიენტაციას. მათი ნდობა არ შეიძლება. კარგი ურთიერთობა აქვთ როგორც სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ასევე მსჯავრდებულებთან. ისინი მოზარდობაში დანაშაულს არ ჩადიან. ისინი დანაშაულის ჩადენას მას შემდეგ იწყებენ, რაც რესპექტაბელურ საზოგადოებრივ პოზიციას მიაღწევენ. ისინი თეთრსაყელოიან დამნაშავეთა

კატეგორიას განეკუთვნებიან. ძირითადად, თაღლითობაა მათი დანაშაულებრივი საქმიანობა. ამ ტიპის მსჯავრდებულებისათვის დამახასიათებელია არათანმიმდევრული აღზრდა, საშუალო ფენიდან წარმომავლობა და უკეთესი სასკოლო და სამუშაო მდგომარეობა, ვიდრე ანტისოციალური ტიპისთვის. შესაძლებელია, რომ ფსევდოსოციალური ტიპის მსჯავრდებულები უბრალოდ კარგი „მსახიობები“ იყვნენ.

ასოციალური მსჯავრდებულები, როგორც ფსევდოსოციალური მსჯავრდებულები ლოიალურები არიან, როგორც მორალური, ასევე საკანონმდებლო ნორმების მიმართ. მათ არა აქვთ ხშირი კონტაქტი არც დანესებულების ადმინისტრაციასთან, არც მსჯავრდებულებთან. მათ ნდობა არ აქვთ და შიშით ეკიდებიან ნებისმიერი ხასიათის პერსონალურ ურთიერთობებს. ყველა დანარჩენი ტიპის მქონე მსჯავრდებულებზე მათ დანაშაულის ჩადენის ყველაზე დიდი სტაჟი აქვთ. მათში ძალიან მაღალია განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი. ისინი დანაშაულს ხშირად ყოველგვარი მოტივის გარეშე ჩადიან. ასოციალური მსჯავრდებულები მშობლებისგან მიტოვებულები არიან. მათ სოციალური ურთიერთობების უნარი არა აქვთ განვითარებული. ისინი ზედმეტად ეგოცენტრისტულები არიან და არ შეუძლიათ წარსულის შეცდომებიდან სწავლა და საკუთარი მომავლის დაგეგმვა.

წარმატებული რესოციალიზაცია შესაძლებელია პროსოციალური მსჯავრდებულებისთვის. ისინი მზად არიან მონაწილეობა მიიღონ შემოთავაზებულ სარეაბილიტაციო-აღმზრდელი პროგრამებში. საკითხავია, როგორ დაიცავენ რესოციალიზაციის შედეგებს გრძელვადიანი სასჯელის მოხდის შემთხვევაში პროსოციალური ტიპის მსჯავრდებულები კრიმინალური სუბკულტურის ზეწოლის დროს.

საქართველოს სახალხო დამცველი 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღნიშნავს, რომ „მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის პერიოდში უნდა მიიღოს ან გააღრმავოს შესაბამისი განათლება და პროფესიული უნარ-ჩვევები, მიეცეს საშუალება, მონაწილეობა მიიღოს სპორტულ თუ სხვა სახის ღონისძიებებში,

კონკურსებში, ჰქონდეს შესაბამისი პირობები, რათა თვალყური ადევნოს გარეთ მიმდინარე პროცესებს, კონტაქტი იქონიოს ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან. ეს ყველაფერი აუცილებელია მსჯავრდებულის საზოგადოებაში დაბრუნებისთვის მოსამზადებლად. სასჯელალსრულების სისტემაში აღნიშნული კომპონენტი დღესდღეობით უმნიშვნელოა - საანგარიშო პერიოდში მხოლოდ რამდენიმე დანესებულებაში ფუნქციონირებდა სასწავლო თუ სარეაბილიტაციო პროგრამები“.¹⁸⁴

184 საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში. გვ. 85.

მეოთხე თავი

სასჯელალსრულების დანახეზულების პერსონალი

4.1 სასჯელალსრულების პერსონალი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით

სასჯელალსრულების სისტემის საქმიანობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს სისტემის ორგანოები, რომელთა წარმატებულ საქმიანობასა და ეფექტურ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული – სასჯელალსრულების სისტემაში პატიმართა/მსჯავრდებულთა განთავსების ადეკვატური პირობების შექმნა, სასჯელის მოხდის პირობების უზრუნველყოფა, პატიმრებთან მოპყრობის რელევანტური გარემოს შექმნა და სხვ.

სასჯელალსრულების სისტემას ხელმძღვანელობს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, რომლის საქვეუწყებო სტრუქტურას შესაბამისად წარმოადგენს სასჯელალსრულების დეპარტამენტი თავისი ქვემდებარე პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის ორგანოებით, მოცემული სტრუქტურა შესაბამისად ახორციელებს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას, ხოლო რაც შეეხება არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებას ახორციელებს პრობაციის ეროვნული სააგენტო, რომელიც სამინისტროს დაქვემდებარებაში შედის როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. იგი თავის საქმიანობას ახორციელებს პრობაციის ბიუროების მეშვეობით. სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს ასევე სასჯელალსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, რომელიც ახორციელებს სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალი ყველა სტრუქტურის თანამშრომელთა პირველად თუ, პროფესიულ გადამზადებას, სახელმძღვანელო მასალების გამოცემას და მის უფლებამოსილებაში შემავალ სხვა ფუნქციებს.

პატიმრობის კოდექსი განსაზღვრავს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემას და სისტემის ორგანოებს, კერძოდ “პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის

აღსრულების სისტემის ორგანოები არიან სასჯელაღსრულების დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი) და მის დაქვემდებარებაში არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები. სისტემის ორგანოები ფუნქციონირებენ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში.”

კანონმდებლობა ასევე განმარტავს სასჯელაღსრულების სისტემაში დასაქმებულ პირთა სტატუსს, რომ სისტემის მოსამსახურეები არიან სახელმწიფო სპეციალური ან სამხედრო ნოდების მქონე პირები, აგრეთვე სხვა საჯარო მოსამსახურეები (შემდგომ – სამინისტროს მოსამსახურე). კანონმდებლობა ადგენს მოცემული სისტემის თანამშრომელთათვის არასტანდარტულ სამუშაო რეჟიმს და მათ მიერ შესაბამისი უნიფორმის ტარების ვალდებულებას „სისტემის ორგანოს მოსამსახურისთვის დადგენილია არანორმირებული სამუშაო დღე. სისტემის ორგანოს მოსამსახურე, როგორც წესი, ატარებს სამსახურებრივ ფორმას. სისტემის ორგანოს მოსამსახურის სამსახურებრივი ფორმის ატრიბუტიკას ამტკიცებს მინისტრი.¹⁸⁵“ სასჯელაღსრულების სისტემის პერსონალი სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და პერსონალის პროფესიონალიზმზე, მათ საქმიანობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობა.

2014 წლის 16 აპრილის №2241 კანონით - პატიმრობის კოდექსში შეტანილი ცვლილებით კანონმდებლობაში შეტანილ იქნა ჩანაწერი, რომელიც არეგულირებს სისტემის მოსამსახურეთა სამსახურში მიღების, გათავისუფლების წესსა და პირობებს, ასევე იმ სხვა დეტალებს, რომელიც დაკავშირებულია მოსამსახურის მხრიდან თავისი საქმიანობის შესრულების სპეციფიკასთან. პერსონალის სამსახურებრივი საქმიანობის დეტალებს განიხილავს ასევე საქართველოს მთავრობის დადგენილება №137 2014 წლის 10 თებერვალი „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“.

185 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 6. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოები, პ-3-4

ქართული პრაქტიკის მიხედვით, სასჯელალსრულების სისტემის ხელმძღვანელ რგოლს წარმოადგენს სასჯელალსრულების დეპარტამენტი, რომელიც გვევლინება, როგორც სასჯელალსრულების დაწესებულებების ხელმძღვანელი – მაკოორდინირებელი სტრუქტურა, დეპარტამენტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, „რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია მინისტრის წინაშე. დეპარტამენტის თავმჯდომარე წელიწადში არანაკლებ ორჯერ წარუდგენს მინისტრს ანგარიშს განეული საქმიანობის თაობაზე. მინისტრის მოთხოვნის საფუძველზე დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალდებულია წარუდგინოს მას რიგგარეშე ანგარიში მის მიერ განეული მუშაობის თაობაზე¹⁸⁶.“ რაც შეეხება სასჯელალსრულების დაწესებულებას, მას ხელმძღვანელობს დაწესებულების დირექტორი, რომლის დანიშვნისა და გათავისუფლების წესს განსაზღვრავს კანონმდებლობა “პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დეპარტამენტის თავმჯდომარე მინისტრთან შეთანხმებით.¹⁸⁷”

სასჯელალსრულების დეპარტამენტი პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას ახორციელებს მის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებების საშუალებით, ასეთი ტიპის დაწესებულებებს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, წარმოადგენენ “ პატიმრობის დაწესებულება; თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება; ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება.¹⁸⁸” დაწესებულებებს ქმნის და აუქმებს მინისტრი, ამასთან მინისტრს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ტიპის დაწესებულებებისა, საჭიროების შემთხვევაში შექმნას შერეული ტიპის დაწესებულება.

186 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 7. დეპარტამენტი

187 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 6 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის სისტემის ორგანოები

188 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 8. დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებები

მიუხედავად დანესებულების განსხვავებული ტიპებისა, სისტემის პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის წესი, ასევე ყველა ის სტანდარტი, რაც მოსამსახურეთა საქმიანობას არეგულირებს ერთგვაროვანია და განსხვავებული სპეციფიურობით არ ხასიათდება. კერძოდ, კი კანონით განსაზღვრული ფორმულირება თანაბრად ვრცელდება ყველა მათგანზე, რომ “სისტემის ორგანოში დასაქმებული არიან სახელმწიფო სპეციალური ან სამხედრო წოდების მქონე პირები, აგრეთვე სხვა საჯარო მოსამსახურეები”, რომელთა ატესტაცია ტარდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კანონმდებლობა ადგენს თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესს, სისტემის ორგანოში სტაჟირების გავლის წესს, თუმცა, ამავდროულად ადგენს იმ შეზღუდვებს, რომელიც განაპირობებს სისტემაში მიღებაზე უარის საფუძველს, ასევე ადგენს სამსახურიდან გათავისუფლების, საქმიანობის პროცესში მახასიათებლების მიხედვით პასუხისმგებლობისა და წახალისების ფორმებსა და პროცედურებს. აღნიშნულ კომპონენტებს კანონმდებლობის შესაბამისობაში ადგენს ასევე, მთავრობის დადგენილება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის შესახებ. სისტემის მოსამსახურეთა საქმიანობასთან მიმართებაში გარკვეულ სტანდარტებს ადგენს ასევე, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის №183 ბრძანებით (2010 წლის 27 დეკემბერი) დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი“, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს სისტემის თანამშრომელთა ქცევის წესებს.

კანონმდებლობა ადგენს ყველა თანმდევ პროცედურას, სისტემაში მუშაობის ყველა ეტაპს – პირის სამსახურში მიღებიდან გათავისუფლებამდე, სოციალური გარანტიების ჩათვლით. პირველ ნაბიჯს წარმოადგენს სისტემის ორგანოში სამუშაოდ მიღე-

ბა, რომლის წესს განსაზღვრავს, როგორც პატიმრობის კოდექსი, ასევე დებულება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის შესახებ. კანონმდებლობა ადგენს სამსახურში მიღების ასაკს, განათლების მინიმალურ ზღვარს, მოთხოვნას მის ფიზიკურ და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით და მიღების წესს, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს სამსახურში კონკურსის წესით მიღებას, “სისტემის ორგანოში სამუშაოდ მიიღება საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს საშუალო განათლება მაინც, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და თავისი პიროვნული თვისებებით, განათლებით, ფიზიკური მომზადებითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები. პირი სისტემის ორგანოში სამუშაოდ მიიღება, როგორც წესი, კონკურსის შედეგად.¹⁸⁹”, გარდა აღნიშნულისა, სამსახურში მიღების სტანდარტებს უფრო კონკრეტულად გადმოსცემს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესი, რომელიც განმარტავს სამსახურში მიღების, როგორც ქვედა, ისე ზედა ზღვარს მოსამსახურის სტატუსის მიხედვით, ასევე უფრო დეტალურად საუბრობს კონკურსის სპეციფიკაზე, „სისტემის ორგანოში სამუშაოდ მიიღება 18-დან 40 წლამდე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც იცის სახელმწიფო ენა და თავისი პიროვნული თვისებების, განათლების, ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, შეძლებს შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. 18-დან 21 წლამდე პირები მიიღებიან მხოლოდ უმცროსი სპეციალური წოდების მქონე თანამდებობებზე. საქართველოს მოქალაქეთა სისტემის ორგანოში მიღება ხდება სპეციალური კონკურსის წესით. ვაკანტურ თანამდებობაზე სპეციალური კონკურსის გარეშე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც უკვე მიღებულია სისტემის ორგანოში, აყვანილია კადრების განკარგულებაში, მსახურობს სამინისტროში ან/და გააჩნია შესაბამისი სპეციალური ან სამხედრო წოდება. სისტემის ორგანოებში სპეციალური კონკურსის გარეშე ინიშნებიან დეპარტამენტის

189 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 12⁴. სისტემის ორგანოს მოსამსახურე;

თავმჯდომარის მოადგილეები და პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორები. უმცროსი და საშუალო სპეციალური წოდების მქონე თანამდებობებზე მიიღებიან საშუალო ან უმაღლესი განათლების მქონე პირები. უფროსი და უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე თანამდებობებზე მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები¹⁹⁰”.

მნიშვნელოვანია პერსონალის კვალიფიკაცია და მომზადების ხარისხი, რათა მათ შეძლონ დაკისრებული მოვალეობის სწორად და კვალიფიციურად შესრულება, რასაც ესატყვისება მოქმედი კანონმდებლობა, სადაც ვხვდებით დათქმას სავალდებულო პროფესიულ მომზადებასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გაიაროს მოსამსახურემ სამსახურში მიღებისას. სასწავლო პროცესის არადამაკმაყოფილებლად გავლას კანონი ცნობს, როგორც თანამდებობიდან დათხოვნის ერთ-ერთ საფუძველს.” პირი სისტემის ორგანოში სამუშაოდ მიღებისას, აგრეთვე სისტემის ორგანოს მოსამსახურე სამსახურში მიღების შემდეგ, დადგენილ ვადაში გადის სავალდებულო პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსებს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სასჯელალსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში (შემდგომ – სასწავლო ცენტრი). სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფს სისტემის ორგანოს მოსამსახურეთა მუდმივ პროფესიულ მომზადებას, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. სავალდებულო პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსების არადამაკმაყოფილებლად გავლა არის პირის სისტემის ორგანოში სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმის, აგრეთვე სისტემის ორგანოს მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი.¹⁹¹”

სასჯელალსრულების სისტემაში კარგი და წარმატებული

190 საქართველოს მთავრობის დადგენილება №137 - “პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ” - მუხლი 6. სამსახურში მიღების წესი

191 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 12⁵. სისტემის ორგანოში სამუშაოდ მიღების წესი

კადრების მოზიდვას ემსახურება 2014 წლის საკანონმდებლო ცვლილება, რომელმაც დაადგინა სასჯელალსრულების სისტემაში სტაჟირების ხელმისაწვდომობა, რომლის თანახმადაც, კანონი განსაზღვრავს, რომ “დასაშვებია სისტემის ორგანოში სტაჟირების გავლა.¹⁹²”

მიუხედავად სასჯელალსრულების სისტემაში კადრების საჭიროებისა, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა სხვადასხვა საშუალებებით ხელს უწყობს კადრების მოზიდვას, პარალელურ რეჟიმში იგი სისტემის ორგანოში სამუშაოდ მიღებისთვის ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს, რომელიც არც თუ მცირე ჩამონათვალს წარმოადგენს, კერძოდ სისტემის ორგანოში სამუშაოდ არ მიღების საფუძველია ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთის არსებობა: “განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევ პირი, თუ ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ აქვს; პირი, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს; პირი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ არის ცნობილი; პირი, რომელსაც სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება; პირი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამედიცინო დასკვნის თანახმად, არ აკმაყოფილებს შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს; პირი, რომელიც შესაბამისი თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით უკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს; და უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, გარდა კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისისა.¹⁹³”

192 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 12⁶. სისტემის ორგანოში სტაჟირების გავლა

193 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 12⁷. სისტემის ორგანოში სამუშაოდ მიღებისათვის დადგენილი შეზღუდვები; საქართველოს მთავრობის დადგენილება №137 - “პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ” - მუხლი 7. შეზღუდვები სისტემის ორგანოში მიღებისა და სამსახურის გავლასთან დაკავშირებით; საქართველოს კანონი საჯარო

განსხვავებით პატიმრობის კოდექსისგან “პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესი” ადგენს, მოსამსახურისთვის სამსახურის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობებს და საფუძვლებს, კერძოდ “სისტემის ორგანოში სამსახურის შეჩერების ძირითადი საფუძვლებია: მოსამსახურის მოტივირებული და დასაბუთებული წერილობითი განცხადება სამსახურის შეჩერების შესახებ, რომელსაც დეპარტამენტის თავმჯდომარე აკმაყოფილებს გონივრული ვადით; შვებულება; მოსამსახურის კანდიდატად წამოყენება საპრეზიდენტო ან წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი; კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით, მოსამსახურისთვის სხვა სამსახურებრივი დავალების დაკისრება; კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული გადამზადება; მოსამსახურის დროებითი გათავისუფლების სხვა შემთხვევები (კანონის შესაბამისად ან მის საფუძველზე).¹⁹⁴” მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობის კოდექსში მოცემულ დათქმებს ვერ ვხვდებით, ყოველ მოცემულ პროცედურას ასევე არეგულირებს საქართველოს კანონი “საჯარო სამსახურის შესახებ”¹⁹⁵, რომლის მოქმედების სფეროს წარმოადგენს სასჯელაღსრულების სისტემის პერსონალის, როგორც საჯარო მოხელეების საქმიანობასთან დაკავშირებული პროცედურები.

სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულება არეგულირებს სასჯელაღსრულების სისტემის მოსამსახურეებთან დაკავშირებულ ორ მნიშვნელოვან კომპონენტს, მოსამსახურის გადაყვანა¹⁹⁶ და მოსამსახურის სამსახურებრივი გადაყვანა სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში¹⁹⁷, რომელიც განსაზღ-

სამსახურის შესახებ, მუხლი 17. პირი, რომელიც არ მიიღება საჯარო სამსახურში.

194 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 30. სამსახურის შეჩერების საფუძვლები

195 საქართველოს კანონი “საჯარო სამსახურის შესახებ”, თავი X სამსახურიდან განთავისუფლება

196 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 10. მოსამსახურეთა გადაყვანა

197 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოებში სახელმწიფო სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შეს-

ვრავს, თუ რა შემთხვევაში და რა საფუძვლების არსებობისას შეიძლება მოხდეს სისტემის მოსამსახურის გადაყვანა სხვა სამსახურში, ან სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, კერძოდ, „მოსამსახურეთა თანამდებობრივი გადაყვანა ხორციელდება: ზემდგომ თანამდებობაზე – მოსამსახურის თანხმობით, სამსახურებრივი დანიშნულებით; თანაბარ თანამდებობაზე – მოსამსახურის თანხმობით, ვაკანტურ თანამდებობათა აუცილებელი დაკომპლექტების ან სხვა სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;“ მოსამსახურის გადაყვანა, ასევე შესაძლებელია დაბალ თანამდებობაზე შემდეგი საფუძვლების არსებობისას “შტატებით გათვალისწინებული თანამდებობების შემცირებისას; ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, სამედიცინო კომისიის დასკვნის შესაბამისად; სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე; პირადი თხოვნით; ატესტაციის შედეგების საფუძველზე; დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის საფუძველზე.” როგორც წესი ბრძანებულება ასევე ადგენს გადაყვანის პროცედურებს და იმ აუცილებელ პირობებს, რომელიც წინ უნდა უძღოდეს გადაყვანას” მოსამსახურის გადაყვანა ხორციელდება მისი განათლებისა და გამოცდილების გათვალისწინებით. პირის სხვა სპეციალობით დანიშნას, როგორც წესი, წინ უნდა უძღოდეს მისი შესაბამისი სამსახურებრივი გადამზადება. შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, დაბალ თანამდებობაზე გადაყვანისას, მოსამსახურეს შეიძლება შეუნარჩუნდეს ადრე დაკავებული თანამდებობის შესაბამისი თანამდებობრივი სარგო. დაწესებულების ლიკვიდაციის, შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო, გათავისუფლებული მოსამსახურე პირადი თანხმობით ირიცხება მოხელეთა რეზერვში.“ ასევე, დებულება ადგენს მოსამსახურის სამსახურებრივი გადაყვანას სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, რომელიც ხორციელდება შემდეგი პროცედურების ახებ, მუხლი 13. მოსამსახურის სამსახურებრივი გადაყვანა სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში

დაცვით “მოსამსახურის გადაყვანა სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში შეიძლება მხოლოდ მისივე თანხმობით, დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე. სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მოსამსახურის გადაყვანის დროს, მისთვის სახელმწიფო საბინაო ფონდიდან საცხოვრებელი ბინის (სახლის) გამოყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში, მას ეძლევა შესაბამისი კომპენსაცია დროებითი საცხოვრებელი ბინის (სახლის) ქირის გადასახდელად, ამასთან, მას და მისი ოჯახის წევრებს უნაზღაურდებათ მგზავრობისა და ტვირთის გადაზიდვის ხარჯები.”

სისტემის პერსონალის სამსახურებრივი საქმიანობის ეფექტურად შესრულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს, როგორც მისი ნახალისება სამსახურებრივი საქმიანობის კეთილსინდისიერად და წარმატებით შესრულებისთვის, ასევე მის მიმართ ადეკვატური დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენება, თუ იგი რაიმე ფორმით დაარღვევს მისთვის კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობებს. ნახალისების და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებს ვხვდებით, როგორც პატიმრობის კოდექსში, ასევე პრეზიდენტის ბრძანებულებაში სამსახურის გავლის წესის შესახებ, რომელი დოკუმენტებიც განმარტავენ, როგორც აღნიშნული ღონისძიებების სახეებს, ასევე გამოყენების პროცედურებს, კერძოდ მოსამსახურის ნახალისება მოიცავს შემდეგ მიდგომებს “სამინისტროს მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისთვის ასეთ დროს გამოიყენება ნახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; ფულადი პრემიის მიცემა; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; სამინისტროს სიგელით დაჯილდოება; სამკერდე ნიშნით დაჯილდოება; სამინისტროს მედალიონით დაჯილდოება; სამინისტროს მედლით დაჯილდოება; მორიგი სახელმწიფო სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება; დაკისრებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა; სამოქალაქო ან სამსახურებრივ-სამშტატო იარაღით დაჯილდოება. სამინისტროს

მოსამსახურის მიმართ ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნას ნახალისების რამდენიმე ფორმა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისთვის სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება წარდგენილ იქნას სახელმწიფო ჯილდოზე.¹⁹⁸ ასევე, კანონმდებლობა ადგენს სამსახურებრივი პასუხისმგებლობის ღონისძიებებს და სტანდარტებს, რომელიც გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირმა დაარღვია კანონით და დაწესებულების შინაგანანესით დადგენილი მოთხოვნები „რითაც ხელი შეუშალა დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას ან/და დაარღვია სხვა პირთა კანონიერი უფლებები, “სამინისტროს მოსამსახურე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის ჩადენისთვის პასუხს აგებს საერთო წესით. დისციპლინური დარღვევისთვის სამინისტროს მოსამსახურეს ეკისრება შემდეგი დისციპლინური სახდელები: შენიშვნის მიცემა; გაფრთხილების მიცემა; საყვედურის გამოცხადება; სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა; სახელმწიფო სპეციალური წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითება; არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება; თანამდებობიდან ჩამოქვეითება; სამსახურიდან გათავისუფლება. დაუშვებელია, ერთი დისციპლინური დარღვევისთვის სამინისტროს მოსამსახურისთვის 2 ან მეტი დისციპლინური სახდელის დაკისრება.¹⁹⁹”

ზემოაღნიშნული ნახალისებისა და პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების საფუძველს წარმოადგენს პერსონალის მხრიდან მათი უფლება-მოვალეობების ჯეროვანი შესრულება ან შეუსრულებლობა, ამდენად, პატიმრობის კოდექსი განმარტავს სისტემის მოსამსახურის უფლება მოვალეობებს, რომელიც გარკვეულწილად მოსამსახურებს უდგენს ჩარჩო პირობებს, თუ როგორია მისი უფლებების არეალი და რა ვალდებულებები გააჩნია მას იმ პერიოდში, როცა ის სასჯელაღსრულების სისტემას წარმოადგენს, აღნიშნულ დათქმებს ასევე ვხვდებით ბრძანებულებაში სამსახურის გავლის წესის შესახებ, 198 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 12¹⁰. სამინისტროს მოსამსახურის ნახალისება

199 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 12¹¹. სამინისტროს მოსამსახურის პასუხისმგებლობა

ხოლო ზოგად განმარტებას, რომელიც ყველა საჯარო მოხელეზე ვრცელდება ადგენს საქართველოს კანონი “საჯარო სამსახურის შესახებ”.²⁰⁰ პატიმრობის კოდექსის მიხედვით სასჯელალსრულების სამინისტროს მოსამსახურეს უფლება აქვს “უშუალო ხელმძღვანელს წარუდგინოს წინადადებები მისი საქმიანობის სრულყოფის თაობაზე და მიიღოს მუშაობისთვის აუცილებელი კონსულტაციები; ისარგებლოს სამართლებრივი და სხვა საჭირო მასალებით; მიიღოს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები და ჰქონდეს შესაბამისი სამუშაო პირობები; ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებითა და გარანტიებით.”²⁰¹ ასევე პატიმრობის კოდექსი განსაზღვრავს იმ ვალდებულებების ნუსხას, რომლის შესრულებაც მას ევალება სისტემაში მუშაობის მთელ პერიოდში, კერძოდ, მოსამსახურე ვალდებულია “სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიცვას ბრალდებულის/მსჯავრდებულის და მოქალაქის კანონიერი უფლებები; პირნათლად შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები; დაიცვას პროფესიული ეთიკის წესები. სპეციალური მითითების გარეშე დაიცვას ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც მის სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირდება; შეასრულოს ხელმძღვანელის კანონიერი ბრძანება, განკარგულება და მითითება; დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელმძღვანელის დავალებები; შეასრულოს შინაგანაწესის მოთხოვნები; გაუფრთხილდეს სახელმწიფო საკუთრებას, დაიცვას მატერიალური ფასეულობები; შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოვალეობები.”²⁰²

კანონმდებლობა ადგენს ასევე გარკვეულ აკრძალვებს სისტემის მოსამსახურეებისთვის, როგორცაა გაფიცვაში მონაწილეობა, რომელიც ეკრძალება არა სისტემის ყველა მოსამ-

200 საქართველოს კანონი “საჯარო სამსახურის შესახებ, თავი III მოსამსახურის უფლებები და გარანტიები/თავი IV სამსახურებრივი მოვალეობანი

201 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 12⁸ სამინისტროს მოსამსახურის უფლებები და მოვალეობები, ნაწილი 1

202 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 12⁸ სამინისტროს მოსამსახურის უფლებები და მოვალეობები, ნაწილი 2

სახურეს, არამედ პირებს, რომლებიც გარკვეულ ფუნქციებს ასრულებენ, კერძოდ გაფიცვაში მონაწილეობა ეკრძალება სამინისტროს მოსამსახურეს, რომელიც “სისტემის ორგანოში სამედიცინო საქმიანობას ახორციელებს; ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში; ახორციელებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულ, აგრეთვე პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების ტერიტორიებზე მომხდარ დანაშაულთა წინასწარ გამოძიებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; სისტემის ორგანოს მოსამსახურეს²⁰³.”

სისტემის ეფექტური მუშაობისთვის მნიშვნელოვან განმსაზღვრელ კომპონენტს გარდა პერსონალის შერჩევისა და მათი უფლებამოსილების მკაცრი ჩარჩოების დადგენისა, ასევე წარმოადგენს მათი სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა, რაც პატიმრობის კოდექსით დარეგულირდა 2014 წლის მაისის საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, კერძოდ სოციალური დაცვა თავის თავში მოიაზრებს ისეთ საკითხებს, როგორცაა: დაზღვევის ხელმისაწვდომობა, თანამდებობრივ სარგოზე დანამატი გაკვეთილი კატეგორიის პერსონალისთვის, ზიანის ანაზღაურება და სხვა კომპონენტები, კერძოდ, “სისტემის ორგანოს მოსამსახურე ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას. ამასთანავე, შესაძლებელია სისტემის ორგანოს მოსამსახურის მეუღლისა და არასრულწლოვანი შვილების დაზღვევა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. სისტემის ორგანოს მოსამსახურის ხელფასი შედგება თანამდებობრივი სარგოსა და სახელმწიფო სპეციალური ნოდებისთვის დადგენილი დანამატისგან. სახელმწიფო სპეციალური ან სამხედრო ნოდების მქონე სისტემის ორგანოს მოსამსახურეს შეიძლება მიეცეს ხელფასზე დანამატი ნამსახურები წლებისათვის, სასურსათო ულუფის კომპენსაცია, აგრეთვე სხვა დანამატები და კომპენსაციები. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება 203 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 12⁸ სამინისტროს მოსამსახურის უფლებები და მოვალეობები, ნაწილი 3

ბისას სახელმწიფო სპეციალური ან სამხედრო წოდების მქონე სისტემის ორგანოს მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით. სისტემის ორგანოს მოსამსახურის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სახელმწიფო სპეციალური ან სამხედრო წოდების მქონე სისტემის ორგანოს მოსამსახურის სხეულის დაზიანების შემთხვევაში მას ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება შემდეგი ოდენობით: სხეულის მძიმე დაზიანებისას – 7 000 (შვიდი ათასი) ლარი; სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებისას – 4 000 (ოთხი ათასი) ლარი; სხეულის მსუბუქი დაზიანებისას – 2 000 (ორი ათასი) ლარი. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში სისტემის ორგანოს მოსამსახურისთვის შეიძლება განისაზღვროს ამ კანონით გათვალისწინებული სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებები და შეღავათები.²⁰⁴

ქართული კანონმდებლობის თანახმად, დგინდება გათავისუფლების შემთხვევაში პირისთვის თანამდებობრივი სარგოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში შენარჩუნების შესაძლებლობა, კერძოდ სისტემის ორგანოს მოსამსახურე შეიძლება აყვანილ იქნას კადრების განკარგულებაში არა უმეტეს ოთხი თვისა. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში სისტემის ორგანოს მოსამსახურეს ორი თვის განმავლობაში უნარჩუნდება ხელფასი ბოლო დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, რაც საშუალებას აძლევს გათავისუფლებულ პირს ჰქონდეს გარკვეული დრო სხვა სამსახურის მოძიებისა და დასაქმებისთვის.

გარდა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული რეგულირების მექანიზმებისა სასჯელალსრულების სისტემის მოსამსახურეთა საქმიანობის სტანდარტებს ადგენს საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პატიმრობისა და თავისუფლების 204 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 12⁹. სისტემის ორგანოს მოსამსახურის სოციალური დაცვა

აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი²⁰⁵, რომელიც თავისთავად არ წარმოადგენს სამართლებრივი რეგულირების მექანიზმს, მას რეკომენდაციის ხასიათი აქვს და უფრო მოსამსახურეთა ქცევის მორალურ მხარეს არეგულირებს, კერძოდ დოკუმენტი ადგენს მოსამსახურეთა საქმიანობის ძირითად პრინციპებს; ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან მოპყრობის ეთიკას; კორუფციასთან ბრძოლას და სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებს, მოუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი უკვე შეიძლება მოძველებულად ჩაითვალოს და მიზანშეწონილი იქნებოდა მისი გადამუშავება ან ანალოგიური დანიშნულების სხვა დოკუმენტის შემუშავება, მისი არსებობა თავისთავად უკვე წარმოადგენს ხელშემწყობ კომპონენტს სისტემის პერსონალის ეფექტური მუშაობისთვის.

4.2 სასჯელაღსრულების პერსონალი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით

ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში ციხეში მუშაობა საჯარო სამსახურს განეკუთვნება. მინისტრები და მაღალჩინოსნები უნდა აჩვენებდნენ, რომ ისინი აფასებენ ციხის თანამშრომლებს მათ მიერ განეული სამუშაოსთვის და საზოგადოებას ხშირად უნდა შეახსენონ, რომ ციხეში მუშაობა მნიშვნელოვანი საჯარო სამსახურია.²⁰⁶

სამწუხარო რეალობას წარმოაჩენს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელებული პრაქტიკა, რომ ციხის თანამშრომლებს უფრო დაბალი რანგის პირებად მიიჩნევენ, ვიდრე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის სხვა სფეროს წარმო-

205 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №183 (2010 წლის 27 დეკემბერი) -საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ

206 ე. კოილი, პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისთვის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, 2007. გვ. 12

მადგენლებს, მაგალითად პოლიციელებს. ხშირად ეს გამოხატულია ციხის თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ოდენობაში, რომელიც ბევრ ქვეყანაში საკმაოდ დაბალია. შედეგად კი, ხშირად ძალიან ძნელია სათანადო კვალიფიციური პერსონალის აყვანა ციხეში სამუშაოდ. მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელია, რომ მათი ხელფასები დადგინდეს სათანადო ოდენობით, ხოლო შრომითი ურთიერთობების სხვა პირობები, იყოს ისეთივე, როგორც დანესებულია საჯარო სამსახურის მსგავსი თანამდებობებისთვის.²⁰⁷

ბევრ ქვეყანაში ციხის პერსონალის აყვანა ძალზედ რთულია. შედეგად, ამ ადგილებში სამუშაოდ მიდიან მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც სხვა სამუშაოს ვერ შოულობენ. ხანდახან ისინი ციხეში მუშაობას იწყებენ სავალდებულო სამხედრო ალტერნატივის სახით და სამუშაოს ტოვებენ, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემათ.²⁰⁸

ზემოთქმულის აღმოფხვრისა და ციხის პერსონალთან დაკავშირებით საერთო მიდგომის განსაზღვრის მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებმა კონკრეტული სტანდარტები შეიმუშავეს და შესთავაზეს ნევრ სახელმწიფოებს. ამ მხრივ, აღსანიშნავია სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებული გაეროსა და ევროპის საბჭოს დოკუმენტები, რომლებიც მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ პერსონალთან დაკავშირებულ საკითხებს. უფრო მეტიც, რამდენიმე დოკუმენტი უშუალოდ პერსონალის ეთიკურ და ორგანიზაციულ საკითხებს უკავშირდება. კერძოდ, ეს დოკუმენტებია:

გაეროს დოკუმენტები: 1. პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (წესი 46-54); 2. მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი;²⁰⁹ 3. ძირითადი პრინციპები მართლწესრიგის დამცველ პირთა მიერ ძალისა და

207 იქვე, გვ. 14

208 იქვე, გვ. 15

209 მიღებულია გენერალური ასამბლეის 1979 წლის 17 დეკემბრის 34/169 რეზოლუციით

იარაღის გამოყენების შესახებ;²¹⁰ 4. წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (წესი 81-87);²¹¹ 5. წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (წესი 29-35).

ევროპის საბჭოს დოკუმენტები: 1. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)² ევროპის ციხის წესების შესახებ (წესი 71-89); 2. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (97)¹² საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების შესახებ; 3. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)⁵ ციხის თანამშრომელთა ეთიკის ევროპის კოდექსის შესახებ; 4. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008)¹¹ სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ (წესი 127-134); 5. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (84)¹² უცხოელი პატიმრების შესახებ (წესი 25-26); 6. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)¹² უცხოელი პატიმრების შესახებ (წესი 38-40); 7. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)²³ ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ (წესი 36-39).

ციხის ადმინისტრაცია უნდა იღწვოდეს ციხის ყველა კატეგორიის პერსონალის ყურადღებით შერჩევითვის, რადგან ციხის კარგი მუშაობა დამოკიდებულია ამ თანამშრომლების კეთილსინდისიერებაზე, ჰუმანურობაზე, კომპეტენტურობასა და პირად თვისებებზე.²¹² მსგავსი სულისკვეთებაა გატარებული ევროპის ციხის წესებში, რომლის მიხედვითაც როდესაც ხდება ახალი თანამშრომლის შერჩევა, ციხის ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ინტეგრაციის, ადამიანურობის და პროფესიონალიზმის მხარეებზე, აგრეთვე, პერსონალურ შესა-

210 მიღებულია გაეროს მერვე კონგრესზე დანაშაულის აღკვეთისა და დანაშავეთა მოპყრობის შესახებ, ჰავანა, კუბა, 1990წ.

211 მიღებულია გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის 45/113 რეზოლუციით

212 პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 46(1)

ბამისობაზე კომპლექსურ სამუშაოსთან, რომლის შესრულებაც მათ მოუწევთ.²¹³

კადრების შერჩევის პროცედურები უნდა იყოს დეტალური, ნათელი, სამართლიანი და არადისკრიმინაციული. სამსახურში აყვანა-არაყვანაზე პასუხისმგებელი ორგანო უნდა შედგებოდეს შესაბამისი გამოცდილების მქონე პირებისგან და უნდა მუშაობდეს მიუკერძოებლად.²¹⁴ იმის მიუხედავად, თუ რა მეთოდები გამოიყენება პიროვნული მახასიათებლების შესარჩევად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საზომი მექანიზმების მიუკერძოებლობა, ვალიდურობა და კანონიერება.²¹⁵

კადრების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქალი და მამაკაცი კადრების სასურველი რაოდენობით წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, ასევე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა, რათა შესაძლებელი იყოს ექვმიტანილის ან მსჯავრდებულის საჭიროებების დაკმაყოფილება.²¹⁶ მაღალ თანამდებობებზე კადრების შერჩევა ეფუძნება პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას და მენეჯერულ პოტენციალს. ეფექტური მომსახურების ან მომსახურებების მიწოდების ინტერესებიდან გამომდინარე, მაღალი თანამდებობის კადრების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს კარიერული ზრდის შესაძლებლობები, ასევე, ახალი მიდგომებისა და კონკრეტული უნარ-ჩვევების განვითარება. გარე შერჩევის შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შერჩეულ პიროვნებას გააჩნდეს შესაბამისი გამოცდილება და უნარები.²¹⁷

ეთიკური ნორმების დაცვის კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა ევროპის საბჭოს ფორმატში მიღებული ციხის თანამშრომელთა ეთიკის ევროპული კოდექსი, რომელმაც განსაზღვრა მისი მოქმედების სფერო (ვრცელდება პენიტენციალუ-

213 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2, წესი 77

214 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (97)12 საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების შესახებ, წესი 8

215 იქვე, წესი 9

216 იქვე, წესი 10

217 იქვე, წესი 11

რი სისტემის იერარქიის ნებისმიერ საფეხურზე მომსახურე პერსონალზე) და ციხის პერსონალის ძირითადი მიმართულებები: (ა) ანგარიშვალდებულება; (ბ) კეთილსინდისიერება; (გ) ადამიანური ღირსების პატივისცემა და დაცვა; (დ) მოვლა და დახმარება; (ე) სამართლიანობა, მიუკერძოებლობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა; (ვ) თანამშრომლობა და (ზ) კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა. რეკომენდაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს ციხის პერსონალის მიერ, ყველა დონეზე, პირადად პასუხისგება საკუთარი ქმედების ან ქვეშევრდომთათვის გაცემული ბრძანებების შედეგებზე.²¹⁸

კადრების სათანადო შერჩევისა და აყვანის შემდეგ საჭიროა მათი სათანადო გადამზადება. ახლადმიღებული თანამშრომლების უმრავლესობას ნაკლებად ან საერთოდ არ გააჩნია ციხის სამყაროს ცოდნა და გამოცდილება. თავდაპირველად საჭიროა პერსონალში განმტკიცებულ იქნას ეთიკური კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც უნდა ხდებოდეს ციხის ადმინისტრირება.²¹⁹

თანამშრომელთა სათანადო გადამზადება საერთაშორისო სტანდარტების ის მოთხოვნაა, რაც იწყება სამუშაოზე აყვანის მომენტიდან და უწყვეტად გრძელდება სამუშაოს საბოლოოდ დატოვებამდე. საჭიროა არსებობდეს ყველა ასაკისა და რანგის თანამშრომლის უწყვეტი განვითარების რეგულარული შესაძლებლობები.²²⁰

საწყისი ტრენინგის პროგრამები უნდა მოიცავდეს თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, რომლებიც ინდივიდუალურ დაავალებებსა და ფუნქციებს უკავშირდება, ასევე, სამსახურის მონყობასა და ფუნქციების შესახებ ინფორმაციას. პროგრამები უნდა მოიცავდეს ქცევის, კომუნიკაციისა და სხვა ადამიანური

218 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)5 ციხის თანამშრომელთა ეთიკის ევროპის კოდექსის შესახებ, წესი 4(ა)

219 ე. კოილი, პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისთვის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი 2007. გვ. 23–24

220 იქვე, გვ. 24

უნარ-ჩვევების დაკვირვებასა და ინტერპრეტაციის საკითხების შესწავლას.²²¹

მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, უწყვეტი ტრენინგი უნდა მოიცავდეს სხვადასხვა კატეგორიის თანამშრომლებთან ჩასატარებელ პროგრამებს, განურჩევლად მათი ნოდებისა და ფუნქციებისა, რათა გაუმჯობესდეს სამსახურში სხვადასხვა კატეგორიის კადრებს შორის თანამშრომლობა. შესაბამისად, ტრენინგის პროგრამები სხვადასხვა სპეციალობის მქონე წევრებისგან შემდგარი ჯგუფების ერთად მუშაობის სწავლებას უნდა ისახავდეს მიზნად.²²²

უნდა განხორციელდეს ტრენინგების სისტემატური შეფასება ტრენინგების ეფექტურობის გაზომვის მიზნით, რათა გაირკვეს, ერთი მხრივ, რა შეისწავლეს მონაწილეებმა და მეორეს მხრივ, რამდენად იყენებენ მიღებულ ცოდნას სამსახურში.²²³

გაეროსა და ევროპის საბჭოს სტანდარტები დამატებით განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რაც დაწესებულია პერსონალისთვის, რომელიც მუშაობს ციხეში, სადაც პატიმართა სპეციალური კატეგორიების წარმომადგენლები არიან განთავსებული. კერძოდ:

არასრულწლოვან პატიმრებთან მომუშავე პერსონალი

პერსონალი უნდა იყოს კვალიფიციური და უნდა მოიცავდეს ისეთ სპეციალისტთა საკმარის რაოდენობას, როგორებიცაა მასწავლებლები, პროფესიული ინსტრუქტორები, იურისტები, სოციალური მუშაკები, ფსიქიატრები და ფსიქოლოგები; ამ და სხვა ტიპის სპეციალისტები მუდმივი შტატიით უნდა იქნან დაქირავებულნი.²²⁴ პერსონალს ისეთი ტრენინგი უნდა ჩაუტარდეს, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას ეფექტურად განახორ-

221 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (97)12 საზოგადოებრივი საწესდებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების შესახებ, წესი 17

222 იქვე, წესი 25

223 იქვე, წესი 27

224 წესები თავისუფლებააკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, წესი 81

ციელოს დაკისრებული პასუხისმგებლობები, კერძოდ, ტრენინგები ბავშვის ფსიქოლოგიაში, ბავშვის კეთილდღეობასა და ადამიანის უფლებათა და ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებში.²²⁵

უნდა არსებობდეს არასრულწლოვნებთან მომუშავე პერსონალის სამსახურში აყვანისა და შერჩევის სპეციალური პროცედურები, რომლებიც მხედველობაში მიიღებს არასრულწლოვნებთან და მათ ოჯახებთან ურთიერთობისთვის აუცილებელი ხასიათის თავისებურებებსა და პროფესიულ კვალიფიკაციას.²²⁶

არასრულწლოვნებთან მუშაობაში შესაფერისი მოხალისეების ჩართვა მისასაღმებელი უნდა იყოს.²²⁷

არასრულწლოვან პატიმართა დაწესებულების ხელმძღვანელობას უნდა დაევალოს ისეთ პირებს, რომელთაც გააჩნიათ კარგად განვითარებული ლიდერული თვისებები, შეუძლიათ ეფექტიანი რეაგირება მოახდინონ რთულ და ურთიერთსაინინალმდეგო მოთხოვნებზე, რომელიც მათ წაეყენებათ როგორც არასრულწლოვანთა, ისე პერსონალის მხრიდან.²²⁸

ქალ პატიმრებთან მომუშავე პერსონალი

რიგი ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ქალებს ისევე კარგად შეუძლიათ ციხის თანამშრომლის მოვალეობის შესრულება, როგორც მამაკაცებს. მართლაც, შესაძლო კონფრონტაციის პირობებში ქალი თანამშრომლების ადგილზე ყოფნამ ხშირად შეიძლება განმუხტოს უმართავი ინციდენტი.

მამაკაცი მუშაკების ქალთა განყოფილებაში დაშვება უნდა ხდებოდეს მხოლოდ ქალი თანამშრომლების თანხლებით.²²⁹ პა-

225 იქვე, წესი 85

226 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008)11 სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ, წესი 128.1

227 იქვე, წესი 131.2

228 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, ევროპის საბჭოს გამოცემა, თბილისი, 2014წ., გვ. 139

229 პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 53(2)

ტიმარ ქალებზე ზრუნვა და ზედამხედველობა უნდა დაევალოს მხოლოდ ქალ მუშაკებს; იმავდროულად, ეს არ უნდა უშლიდეს ხელს მამაკაც მუშაკებს, კერძოდ, ექიმებსა და პედაგოგებს, შეასრულონ თავიანთი პროფესიული მოვალეობები ქალთა დაწესებულებებში ან ქალებისთვის გამოყოფილ ცალკე განყოფილებაში.²³⁰

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა თავის მეცხრე საერთო ანგარიშში აღნიშნა, რომ ორივე სქესის თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული შერეული პერსონალი არის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვანი გარანტი. მამრობითი და მდედრობითი სქესის თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული პერსონალის არსებობას შესაძლოა ჰქონდეს დადებითი ეფექტი, როგორც პატიმრების ფსიქოლოგიური, ასევე – დაწესებულებებში ნორმალური გარემოს ჩამოყალიბების თვალსაზრისით. სქესის მიხედვით შერეული პერსონალის არსებობა, აგრეთვე იძლევა თანამშრომელთა მოვალეობების სათანადოდ გადანაწილების საშუალებას გენდერული კუთხით დელიკატური საკითხების დროს, მაგალითად, როგორცაა ჩხრეკა.²³¹

ქალთა ციხის თანამშრომლების გადამზადებამ საშუალება უნდა მისცეს მათ უპასუხონ პატიმარი ქალების განსაკუთრებულ სოციალური რეინტეგრაციის საჭიროებებს და მართონ უსაფრთხო და სარეაბილიტაციო დაწესებულებები. ქალი თანამშრომლების გადამზადება ასევე უნდა მოიცავდეს ხელმძღვანელ პოზიციებზე ხელმისაწვდომობას იმ მიზნით, რომ შემუშავდეს ქალი პატიმრების მოპყრობისა და მათ მიმართ მზრუნველობის პოლიტიკა და სტრატეგია.²³²

ქალთა ციხის მმართველობაში ჩართულმა ყველა თანამშრომელმა უნდა გაიაროს სპეციალური ტრენინგი გენდერულ საკითხებზე და დისკრიმინაციისა და სექსუალური ძალადობის

230 იქვე, წესი 53(3)

231 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, ევროპის საბჭოს გამოცემა, თბილისი, 2014წ., გვ. 145

232 წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, წესი 29

აკრძალვაზე.²³³ ციხის ყველა თანამშრომელმა, რომელიც მუშაობს ქალ პატიმრებთან, უნდა გაიაროს ტრენინგი გენდერულად განსაკუთრებულ საჭიროებებსა და ქალი პატიმრების უფლებებზე.²³⁴ ციხის იმ თანამშრომლებისთვის, სადაც ბავშვებს დედებთან დარჩენის უფლება აქვთ, უზრუნველყოფილ უნდა იქნას ცნობიერების ამაღლების ტრენინგი ბავშვთა განვითარებისა და მათი ძირითადი ჯანდაცვის საკითხებზე, რათა მათ შეძლონ სათანადო დახმარების აღმოჩენა საჭიროებების ან საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში.²³⁵

უცხოელ პატიმრებთან მომუშავე პერსონალი

უცხოელ პატიმრებთან მომუშავე პერსონალი შერჩეული უნდა იქნას იმ კრიტერიუმების საფუძველზე, რომელიც მოიცავს კულტურულ, სენსიტიურობის, ინტერაქციის უნარ-ჩვევებსა და ლინგვისტურ უნარებს.²³⁶ უცხოელ პატიმრებთან მომუშავე პერსონალი მომზადებული უნდა იყოს კულტურული განსხვავებების პატივისცემისა და იმ კონკრეტული პრობლემების გასაცნობიერებლად, რომლებიც შესაძლოა ჰქონდეთ ასეთ პატიმრებს.²³⁷ გათვალისწინებული უნდა იყოს გარკვეული პერსონალის მომზადება უცხოელ პატიმრებთან უფრო ინტენსიური მუშაობისთვის და მათი შესაძლებლობების გაზრდა. ამის მიღწევა შესაძლებელია სპეციალიზირებული ტრენინგის მეშვეობით, მაგალითად, ენის სწავლის მეშვეობით ან იმ კონკრეტული სირთულეების შესწავლით, რაც წარმოიშობა უცხოელი პატიმრების კონკრეტულ ჯგუფთან მიმართებით.²³⁸

233 იქვე, წესი 32

234 იქვე, წესი 33(1)

235 იქვე, წესი 33(3)

236 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)12 უცხოელი პატიმრების შესახებ, წესი 38

237 იქვე, წესი 39.2

238 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (84)12 უცხოელი პატიმრების შესახებ, წესი 26

უვადო და გრძელვადიან პატიმრებთან მომუშავე პერსონალი

უვადო და გრძელვადიან პატიმრებთან მომუშავე პერსონალმა უნდა გაიაროს ტრენინგი დინამიური უსაფრთხოების აღქმის მიზნით, რომ შეძლოს უსაფრთხოების დაცვისთვის თავისი შეხედულებების გამოყენება მოვალეობების შესრულებისას.²³⁹ პერსონალის მანიპულაციის გაზრდილი რისკის გამო, უნდა ნახალისდეს პერსონალის მობილურობისა და როტაციის პრინციპი.²⁴⁰ უნდა ეწყობოდეს რეგულარული შეხვედრები და დისკუსიები პერსონალის სხვადასხვა კატეგორიას შორის იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სწორი ბალანსი პატიმრების პრობლემების თანაგრძნობით გაგებასა და კონტროლის სიმკაცრეს შორის.²⁴¹

პატიმრებთან მომუშავე სამედიცინო პერსონალი

ყველა დაწესებულებას უნდა ჰყავდეს სულ მცირე ერთი ისეთი კვალიფიციური მედიცინის მუშაკი მაინც, რომელსაც ფსიქიატრიაშიც ექნება განათლება.²⁴² ყოველი ციხე უნდა სარგებლობდეს მინიმუმ ერთი კვალიფიციური თერაპევტის მომსახურებით.²⁴³

ციხის ექიმებსა და ექთნებს უნდა გააჩნდეთ სპეციალური ცოდნა, რომელიც მათ დაეხმარება გაუმკლავდნენ ციხის პირობებისთვის დამახასიათებელი პათოლოგიების გარკვეულ ფორმებს და შეძლონ სამკურნალო მეთოდების ციხის პირობებთან და გარემოსთან ადაპტირება. სასჯელალსრულების სისტემის სამედიცინო მომსახურების სპეციფიკური ხასიათი შესაძლოა ამართლებდეს ოფიციალური პროფესიული სპეციალიზაციის შემოღებას ექიმებისა და ექთნებისთვის, დიპლომის შემდგომი

239 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ, წესი 37(ბ)

240 იქვე, წესი 38

241 იქვე, წესი 39

242 პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 22(1)

243 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2, წესი 41.1

გადამზადებისა და პერიოდული სამსახურებრივი შიდა ტრენინგების საფუძველზე.²⁴⁴

4.3 სასჯელალსრულების პერსონალის კრიმინოლოგიური ასპექტი

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის და სასჯელალსრულების დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისთვის მეტად მნიშვნელოვანია მომსახურე პერსონალის ფსიქიკური სიმყარე, ნორმატიული და მორალური ღირებულებებისადმი ორიენტაცია და სოციალური დაცვის გარანტიები.

ციხის მომსახურე პერსონალის შესახებ საინტერესო ლაბორატორიული ექსპერიმენტი ჩაატარა ფილიპე ზიმბარდომ. ეს ექსპერიმენტი ცნობილია „სტენფორდის ციხის ექსპერიმენტის“ სახელით.²⁴⁵ 1971 წლის ზაფხულში ზიმბარდომ და მისმა კოლეგებმა გაზეთში გამოაქვეყნეს განცხადება, რომლითაც ეძებდნენ ხელოვნურად მოწყობილ ციხეში ცხოვრების მსურველებს. 70 მსურველიდან მათთან ინტერვიუს და ფსიქოლოგიური ტესტების შემდეგ შეირჩა 24 კანონმორჩილი, ემოციურად სტაბილური, ფიზიკურად ჯანმრთელი და საშუალო, ნორმალური სტუდენტი. მონეტის ალაღბედზე აგდებით სტუდენტები ორ ჯგუფად იქნენ გაყოფილი - პატიმრები და ზედამხედველები. სტენფორდის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ყოფილი პატიმრის დახმარებით და რჩევებით, რომელსაც 17 წელი ჰქონდა ციხეში გატარებული, ექსპერიმენტის ორგანიზატორები ცდილობდნენ ბუნებრივ რეალობასთან ახლოს მოეწყოთ ციხის პირობები.

ექსპერიმენტის მონაწილენი დღიურად იღებდნენ 15 დოლარს. დაგეგმილი იყო, რომ ექსპერიმენტი ჩატარებულიყო ორი კვირის განმავლობაში.

ექსპერიმენტის მიმდინარეობის პერიოდში პატიმრები ციხეში იმყოფებოდნენ, ხოლო ზედამხედველები სტანდარტულად 8 საათს მუშაობდნენ. ზედამხედველები ატარებდნენ უნიფორმას და პატიმრებს ნომრებით მიმართავდნენ. პატიმრებმა მიიღეს

244 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, ევროპის საბჭოს გამოცემა, თბილისი, 2014წ., გვ. 74-75

245 მ. შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია. თბილისი 2012. გვ. 138.

ისეთი ტანისამოსი, რომ მათი პიროვნება სასაცილო გამოჩენილიყო. პატიმრები ვალდებული იყვნენ ზედამხედველებისათვის მიემართათ: „ბატონო ზედამხედველო“.²⁴⁶

ექსპერიმენტისთვის რეალობის შექმნის მიზნით პოლიციის მიერ ე.წ. „პატიმრები“ საკუთარ სახლში იქნენ დაპატიმრებულნი. მეზობლების თვალწინ ისინი პოლიციელებმა გამოიყვანეს სახლიდან, ეჭვმიტანილად გამოაცხადეს, ხელბორკილები დაადეს და ციხის „ზედამხედველებს“ გადასცეს.²⁴⁷ პოლიციელები ატარებდნენ ისეთივე ფორმის სათვალეებს, როგორც „ზედამხედველები“.

ექსპერიმენტის მონაწილე პატიმრები ციხეში მისვლისთანავე გააშიშვლეს, დაბანეს, თმები შეაჭრეს, ფეხებზე მძიმე ბორკილები დაადეს²⁴⁸ და ტანსაცმლის ნაცვლად ხალათი (kittel) ჩააცვეს, რომელსაც ორივე მხარეს პატიმრის საიდენტიფიკაციო ნომერი ეწერა.²⁴⁹

„ზედამხედველებისთვის“ განსაკუთრებული ინსტრუქცია არ მიუციათ. მათ უბრალოდ დაევაღათ ციხეში წესრიგი დაცვათ და „პატიმრებისგან“ აღიარება მოეპოვებინათ. ისინი ვალდებული იყვნენ თავად გადაეწყვიტათ როგორ მოქცეოდნენ პატიმრებს.

გარდა ამისა, ზედამხედველები ატარებდნენ ისეთ სათვალეებს, რომ პატიმრებს მათი თვალები არ დაენახათ და დაცული ყოფილიყო ანონიმურობა და ადგილი არ ჰქონოდა პატიმრების შებრალებას.

„ზედამხედველები“ - ის სტუდენტები, რომლებიც მშვიდობიანი და განონასწორებულნი იყვნენ აგრესიულად, ზოგჯერ სადისტურადაც კი იქცეოდნენ. „პატიმრების“ მხრიდან მცირე პროტესტიც კი იწვევდა „პატიმრებისთვის“ ჭამის, ძილის ან დაბანის პრივილეგიის ჩამორთმევას. „ზედამხედველები“ წესების

246 Das Stanford-Gefängnis-Experiment: eine Simulationsstudie über die Psychologie in Haft. იხ.: www.Prisonexp.org

247 იქვე

248 ბორკილის დადების მიზეზი იყო პატიმარზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა, რომ მას არ დაეინყებოდა, რომ იგი ციხეში იმყოფებოდა.

249 Das Stanford-Gefängnis-Experiment: eine Simulationsstudie über die Psychologie in Haft. იხ.: www.Prisonexp.org

დაუმორჩილებლობის გამო „პატიმრებს“ ასევე აიძულებდნენ საპირფარეოს ხელით რეცხვას, აზიდვებს ზურგზე ზედამხედველის ფეხის დადგმით ან კარცერში ჩასმას, ტუალეტში გასვლაზე უარის თქმას, შუალამისას დასათვლელად გაღვიძებას. ერთ-ერთი „პატიმარი“ მოათავსეს ცალკე საკანში შიმშილობის გამოცხადებისთვის. თავდაპირველად მისმა მეგობარმა „პატიმრებმა“ მას მხარი აუბეს და პროტესტი გამოთქვეს მის ცალკე საკანში გადაყვანაზე. მაგრამ როდესაც „ზედამხედველმა“ არჩევანის საშუალება მისცა ცალკე მოთავსებული „პატიმრის“ გათავისუფლების სანაცვლოდ ერთი ღამით საბანზე ეთქვათ მათ უარი, მათ საბანი აირჩიეს და „პატიმარი“ ცალკე საკანში სატანჯველად განირეს.²⁵⁰ ამით პატიმრებში მოისპო ერთიანობის გრძნობა. „ზედამხედველები“ ცდილობდნენ ისეთი ახალი დასჯის მეთოდების მოფიქრებას, რომ „პატიმრებს“ თავი უფრო დამცირებულად ეგრძნოთ.

ავტორიტეტის მოპოვების მიზნით „ზედამხედველები“ ყოველ ღამე ხმაურით და სტვენით აღვიძებდნენ პატიმრებს და აკონტროლებდნენ. პატიმრები იძულებულნი იყვნენ საკნებიდან გამოსულიყვნენ და საკუთარი ნომერი დაესახელებინათ.

ექსპერიმენტის მეორე ღამეს „პატიმრებმა“ პროტესტი გამოთქვეს არსებულ მდგომარეობაზე, აიხიეს ნომრები, შეურაცხყოფას აყენებდნენ „ზედამხედველებს“ და სანოლები საკნის კარებს მიადგეს, ბარიკადები მოაწყეს. „ზედამხედველები“ ძალიან გაბრაზდნენ „პატიმრების“ ამ საქციელზე და ითხოვდნენ დამატებითი ძალების მოყვანას. ღამის სმენას ეთხოვა დარჩენილიყვნენ და დილის სმენასთან ერთად წესრიგი დაემყარებინათ. „ზედამხედველებმა“ გადანყვიტეს ძალადობას ძალადობით გასწორებოდნენ. ისინი ცეცხლსაქრობ ქაფს ასხავდნენ პატიმრებს, უვარდებოდნენ საკანში, გამოჰყავდათ, აშიშვლებდნენ და სანოლებს ართმევდნენ. ბუნტის ორგანიზატორები ცალ-ცალკე „სამართლო საკანში“ მოათავსეს. სამ „პატიმარს“, რომლებიც აქტიურად არ მონაწილეობდნენ ბუნტში პრივილეგია მიეცათ. მათ სხვების დასანახად დაუბრუნეს ტანისამოსი და

250 ქ. კალჭუნი/დ. ლათი/ს. კელერი, სოციოლოგია (თავები 2,3,4). თბილისი 2007. გვ. 36.

განსაკუთრებული საჭმელი მიუტანეს. ამით ზედამხედველებმა მოახერხეს პატიმრებს შორის არსებული სოლიდარობა დაემსხვრიათ.²⁵¹

ერთ დღეს ციხეში მოეწყო პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიის სხდომა. კომისიის წევრებს პატიმრები არ იცნობდნენ, ისინი სტენფორდის უნივერსიტეტის დოქტორანტები და მომუშავე მდივნები იყვნენ. პატიმარი, რომელიც ფიქრობდა, რომ მისი გათავისუფლება შეიძლებოდა – უნდა წარმდგარიყო კომისიის წინაშე. კომისიის წინ გამოსული ყველა პატიმარი მზად იყო უარი ეთქვა უკვე გამომუშავებულ გასამრჯელოზე, თუ მას პირობით ვადამდე გაათავისუფლებდნენ. კომისიის თავმჯდომარე იყო ყოფილი პატიმარი, რომელიც რჩევებს აძლევდა ექსპერიმენტის ორგანიზატორებს. იგი იქცა ისეთ მკაცრ და შეუბრალებელ ციხის თანამშრომლად, რომელსაც პატიმრობის დროს თავად ვერ იტანდა. როდესაც სხდომა დამთავრდა და გაითავისა თუ რას აკეთებდა, ცუდად გახდა. იგი დაემსგავსა ციხის იმ პერსონალს, რომელმაც პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ მისი 16 განაცხადი არ დააკმაყოფილა.²⁵²

„პატიმრებს“ ექსპერიმენტამდე სტაბილური ფსიქიკის მქონე სტუდენტებს სულ მალე განუვითარდათ პათოლოგიური ქცევები. ისინი მალე შეეგუვნენ ბედს და „ნასწავლი დაუხმარებლობის“, „დასწავლილი უმწეობის“ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ექსპერიმენტის დაწყებიდან 36 საათის შემდეგ ერთ-ერთმა ლიდერმა „პატიმარმა“ თავშეუკავებელი ყვირილი დაიწყო. მას აღენიშნებოდა სიბრაზე, აზროვნების დეზორგანიზაცია და ღრმა დეპრესია. მომდევნო დღეებში კიდევ სამ „პატიმარს“ განუვითარდა სტრესული სიმპტომები. კიდევ ერთ „პატიმარს“ სხეულზე ფსიქოსომატური გამონაყარი გაუჩნდა. შესაბამისად, ექსპერიმენტში მონაწილე 10 პატიმრიდან 5-მა მეორე დღეს უარი თქვა მონაწილეობაზე შიშის, დეპრესიის და ფსიქოსომატური სიმპტომების გამო.

ციხის ექსპერიმენტი ექვსი დღის შემდეგ შეწყვეტილ იქნა,

251 Das Stanford-Gefängnis-Experiment: eine Simulationsstudie über die Psychologie in Haft. nb.: www.prisonexp.org

252 იქვე.

რადგან „ზედამხედველების“ მხრიდან „პატიმრებზე“ განხორციელებულმა არაადამიანურმა მოპყრობამ ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ „პატიმრებისთვის“ აუტანელი გახდა. „ზედამხედველთა“ მინიმუმ ერთი მესამედი ისე აგრესიულად ეპყრობოდა „პატიმრებს“, რომ ექსპერიმენტის ორგანიზატორებმა უარი განაცხადეს ექსპერიმენტზე – კონტროლის დაკარგვის შიშით.

ლაბორატორიული ექსპერიმენტით ზიმბარდომ დაასკვნა,²⁵³ „რომ ციხეში მყოფ ადამიანთა ქცევას უფრო მეტად განსაზღვრავს თავად ციხის სიტუაცია, ვიდრე მასში მყოფი ადამიანების ინდივიდუალური მახასიათებლები“.²⁵⁴

ციხის ექსპერიმენტი შეწყდა შემდეგი ფაქტორების გამო:²⁵⁵

- ცალმხრივად ძალაუფლების გადანაწილება “ზედამხედველებსა” და “პატიმრებს” შორის. სოციალური როლების გადანაწილების დროს ისე შესამჩნევი იყო ძალაუფლების სიმბოლოების გადანაწილება (“პატიმრები მიმართავდნენ “ბატონო ზედამხედველო”, ხოლო “ზედამხედველები” პატიმრებს მიმართავდნენ ნომრებით), რომ ძალაუფლების დემონსტრირება “ზედამხედველებისა” და “პატიმრების” ურთიერთობის ნაწილი გახდა. “ზედამხედველები” და “პატიმრები” მოერგნენ იმ სოციალურ როლს, რომელიც საზოგადოებაში მათ შესახებ არსებობდა;
- “ზედამხედველების” მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება განაპირობა მათ მიერ უნიფორმის ტარებამ და იმ ფაქტმა, რომ ისინი პოლიციასთან ერთად მუშაობდნენ (ძალაუფლების სიმბოლის სოციალური თვალსაჩინოება);
- “პატიმრებმა” ძალიან სწრაფად ისწავლეს საკუთარი უმწეობა. ექსპერიმენტში ისინი ნეგატიურად იქნენ შესულნი. მათმა სასაცილო ჩაცმულობამ და ნომრებით მიმართვამ განაპირობა მათი პიროვნებისადმი უპატივცემულობა და დამორჩილება “ზედამხედველებისად-

253 ზიმბარდოს ციხის ექსპერიმენტის კრიმინოლოგიური შეფასება იხ.: მ. შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია. თბილისი 2012. გვ. 140.

254 ე. გიდენსი, სოციოლოგია. თბილისი 2011. გვ. 633.

255 H.J. Schneider, Kriminologie der Gewalt. Leipzig 1994. S. 112.

მი”. დიდი მნიშვნელობის მატარებელი იყო აგრეთვე ის ფაქტიც, რომ “პატიმრები” ვალდებულები იყვნენ “ზედამხედველებისთვის” მიემართათ ბატონობით - “ბატონო ზედამხედველო”.

- ზიმბარდომ ექსპერიმენტის შემდეგ გამოყო ციხის ზედამხედველების სამი ტიპი:
 - მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ზედამხედველები. ისინი კანონმორჩილი ადამიანები არიან და ციხის კანონებს იცავენ.
 - „კარგი ბიჭები“ - ზედამხედველები, რომლებიც პატიმრებს ეხმარებოდნენ და არ სჯიდნენ;
 - პატიმრების მტერი და უსამართლო ზედამხედველი, რომლის მიზანი იყო პატიმრის ისეთი ფორმებით დასჯა, რომ მისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა და მისი პიროვნება გაეტეხა. ასეთი ზედამხედველები ძალაუფლებით ამაცობენ და ძალაუფლების გამომჟღავნება სიამოვნებთ. არ არსებობს არავითარი ფსიქოლოგიური ტესტი, რომელიც წინასწარ მათ საქციელს იწინასწარმეტყველებს.²⁵⁶

256 Das Stanford-Gefängnis-Experiment: eine Simulationsstudie über die Psychologie in Haft. იხ.: www.prisonexp.org

მეხუთე თავი

ბრალდებულის/მსჯავრდებულის სასჯელალსრულების დანახეზულაზაში მიღება

5.1 სასჯელალსრულების დანახეზულაზაში მიღება

სასჯელალსრულების დანახეზულაზაში (საპატიმრო დანახეზულაზა/თავისუფლების აღკვეთის დანახეზულაზა²⁵⁷) ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიღების პროცესი არის თავისუფლება აღკვეთილი პირის პირველი შეხება საპატიმრო ადგილთან, ამდენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიღების კანონით დადგენილი პროცედურების განუხრელი შესრულება, როგორც სამართლებრივი სტანდარტების დაცვის, ასევე მასთან მოპყრობის თვალსაზრისით.

სასჯელალსრულების სისტემაში პირველად მოხვედრილი პირის განსაკუთრებულ მოწყვლადობას უსმევს ხაზს ენდროუ კოილი ნიგნში “სასჯელალსრულების სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა დაცვის პოზიციიდან”, თავში “პატიმრის ციხეში მიღების პროცედურები”, სადაც ის აღნიშნავს, რომ “დაკავებულები და პატიმრები განსაკუთრებით დაუცველები არიან დაკავების ან პატიმრობის ადგილზე პირველად მისვლისას. საერთაშორისო სამართალი აღიარებს, რომ სიცოცხლის უფლებას, წამებისა და არასათანადო მოპყრობისგან თავისუფლების უფლებას ამ პერიოდში დაცვის განსაკუთრებული ჩარჩო ესაჭიროება, რიგ საერთაშორისო დოკუმენტებში აღნიშნულია დაპატიმრებული პირის უფლებები და ციხის თანამშრომლების ვალდებულებები დაკავების ადგილზე პირველად მიღების დროს იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს დაცვა წამების, არასათანადო მოპყრობის, გაუჩინარების, მკვლელობის და თვითმკვლელობისგან.”²⁵⁸

257 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 8, დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული დანახეზულაზები

258 ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის, თბილისი, 2007, გვ 39

გარდა იმისა, რომ ციხესთან პირველი შეხებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პატიმრის დაცვას წამებისგან თუ მისი უფლებების სხვა სახით დარღვევისგან, ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პირის მიღების პროცედურების დაცვას და მის ინფორმირებას იმ უფლებებისა და მოვალეობების²⁵⁹ შესახებ, რომელიც მას გააჩნია ციხეში ყოფნის პერიოდში.

ციხეში მიღების პროცედურებს განსაზღვრავს, როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ასევე სახელმძღვანელოში განხილული არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი, რომლებიც ადგენენ სტანდარტებს მიღების პროცედურებთან დაკავშირებით. აღნიშნული სტანდარტების დაცვა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ციხეში პირველად შემოსული პირის ადაპტირება არსებულ გარემოსთან და შემდგომში სასჯელის მოხდის ნორმალური გარემო პირობების ორგანიზება, იმდენად რამდენადაც სასჯელის მოხდა არ გახდეს დამატებითი, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ტრამვა ციხეში მოთავსებული პირისთვის.

მიღების პროცედურების სანყის ეტაპს წარმოადგენს ის დოკუმენტები, რომლებსაც ეფუძნება ბრალდებულის/მსჯავრდებულის შესაბამის დანესებულებაში მიღება, საქართველოს პატიმრობის კოდექსის 33-ე მუხლის (მუხლმა ცვლილება განიცადა 2014 წლის 16 აპრილის №2241 კანონით მიღებული ცვლილებებით) “ბრალდებულის/მსჯავრდებულის პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში მოთავსების საფუძველი”, განსაზღვრავს თუ რა საფუძვლების არსებობისას არის შესაძლებელი, რომ პირი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სახით იქნას მიღებული დანესებულებაში, რა დოკუმენტების არსებობა ადასტურებს პირის დანესებულებაში მიღების კანონიერებას და როგორი უნდა იყოს პროცედურები მიღების პროცესში, “ბრალდებულის პატიმრობის დანესებულებაში შესახლებისთვის აუცილებელია სასამართლოს გადამწყვეტილება პირისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების

259 პატიმრობის კოდექსი მუხლი 49 პ-2

შესახებ, ბრალდებულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტი ფოტოსურათით და დაკავების ოქმი, როდესაც კანონმდებლობა ითვალისწინებს დაკავების ოქმის შედგენას. ხოლო მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შესახლებისთვის აუცილებელია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც მას შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, მსჯავრდებულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტი ფოტოსურათით და დაკავების ოქმი, როდესაც კანონმდებლობა ითვალისწინებს დაკავების ოქმის შედგენას.²⁶⁰

როგორც აღინიშნა მიღების პროცედურების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, წარმოადგენს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ინფორმირება მისი უფლებებისა და შიდა რეგულაციების შესახებ, რათა დაპატიმრებულ პირს ხელი შეეწყოს შეეგუოს ციხის გარემოს და შეძლოს სასჯელის მოხდა ნორმალურ გარემოში, როგორც ფიზიკურად ისე ფსიქოლოგიურად. წესების თანახმად²⁶¹ “მიღებისას და შემდგომ, საჭიროებისამებრ, პატიმრებს ხშირად უნდა ეცნობოთ წერილობით და ზეპირად, მათთვის გასაგებ ენაზე თავიანთი უფლებების, მოვალეობებისა და ციხის დისციპლინის მარეგულირებელი წესების შესახებ”. მნიშვნელოვანია წესების ის ნაწილი, სადაც ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებულ მიდგომას ვხვდებით, როგორცაა პატიმართა ინფორმირება იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც იწარმოება მის მიმართ. “პატიმრებს უნდა შეატყობინონ მათთან დაკავშირებით მიმდინარე სამართალწარმოებისა თუ საპროცესო მოქმედებების შესახებ, ან მსჯავრდებულის შემთხვევაში - მოსახდელი ვადისა და პირობით ვადადღე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობების

260 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 33. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსების საფუძველი

261 ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2, 2006 წლის 11 იანვარი, ევროპის ციხის წესები, თავი ინფორმაცია, წესი 30.1

შესახებ.²⁶² აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით ყურადღების ცენტრში ხვდება არა მხოლოდ მისი მნიშვნელობის გამო, არამედ იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული სახის მიდგომებს ქართული კანონმდებლობა ამ ფორმატში არ განიხილავს.

გარდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში განთავსებული პირის ინფორმირებისა ქართული კანონმდებლობა²⁶³ ასევე განსაზღვრავს პირის პატიმრობასთან დაკავშირებით სხვა პირთა ან/და ორგანიზაციათა ინფორმირების სტანდარტებს, რაც ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს პირის ციხეში განთავსებისა და შემდგომი სასჯელის მოხდის პერიოდში, რათა ოჯახმა თუ იმ ინსტიტუტებმა/სტრუქტურებმა, რომლებიც რაიმე ფორმით დაკავშირებული არიან პირის ციხეში მოთავსებასა თუ სასჯელის მოხდის პროცესთან, დროულად და ამომწურავად მიიღონ ინფორმაცია მისი ამა თუ იმ საპატიმრო ან/და სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოთავსების შესახებ. კანონმდებლობის თანახმად, განსაზღვრულია იმ პირთა წრე, ვისაც უნდა ეცნობოს პირის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მიღების შესახებ და რა ვადაში უნდა მოხდეს ინფორმირება, ასევე კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დაწესებულებაში განთავსებულ პირთა ინფორმირებას მისი უფლებების შესახებ, რაც ხელს უწყობს პირის სასჯელის მოხდის პროცესთან შეგუებას და დისციპლინის მოთხოვნათა სწორად დაცვის უზრუნველყოფას. “ადმინისტრაცია ვალდებულია ბრალდებულის მიღების შესახებ დაუყოვნებლივ ან მიღებიდან არა უგვიანეს ერთი სამუშაო დღისა აცნობოს გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს და ბრალდებულის ახლო ნათესავს ან ბრალდებულის თხოვნით სხვა პირს ან ბრალდებულის ადვოკატს მის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში. ადმინისტრაცია ვალდებულია მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ადგილზე მიღების შესახებ დაუყოვნებლივ ან მიღებიდან არა

262 ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2, 2006 წლის 11 იანვარი, ევროპის ციხის წესები, თავი ინფორმაცია, წესი 30.3

263 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 34. “შეტყობინება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ადგილის შესახებ”

უგვიანეს ერთი სამუშაო დღისა აცნობოს განაჩენის გამომტან სასამართლოს და მსჯავრდებულის ახლო ნათესავს, მსჯავრდებულის თხოვნით სხვა პირს ან მსჯავრდებულის ადვოკატს მის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში²⁶⁴.”

სხვა პირთა ინფორმირებას ამა თუ იმ პატიმრის საპატიმრო დაწესებულებაში განთავსებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ეროვნული კანონმდებლობაც, თუმცა ქართული კანონმდებლობა ისეთი დეტალური განმარტებით არ ხასიათდება ოჯახის ინფორმირებასთან დაკავშირებით, როგორ დეტალურ განხილვასაც ვხვდებით საერთაშორისო სტანდარტებში, მაგალითად, ევროპის ციხის წესები განმარტავს, რომ “ციხეში პატიმრის მიყვანისას, ასევე პატიმრის გარდაცვალებისას ან მისი მძიმე ავადმყოფობისას, ან საავადმყოფოში პატიმრის გადაყვანისას, ციხის ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მის მეუღლეს ან პარტნიორს, ან თუ პატიმარი დაუოჯახებელია, მის უახლოეს ნათესავს ან პატიმრის მიერ სახელდებულ პირს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პატიმარმა თვითონ ითხოვა შეუტყობინებლობა²⁶⁵.” აქვე აღსანიშნავია წესების მიდგომა პატიმრის სურვილისადმი, რომელიც გამოხატავს პატივისცემას პატიმრის ინტერესების მიმართ და იღებს გადაწყვეტილებას, რომ იმ შემთხვევაში თუ პატიმარი ითხოვს არ მოხდეს მისი ახლობლებისა თუ ოჯახის წევრების ინფორმირება.

ციხეში პატიმრის მიყვანისა და მისი ციხეში ცხოვრებისადმი მიდგომის თავისებურებებს, განიხილავს ენდროუ კოილი ნიგნში “სასჯელალსრულების სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა დაცვის პოზიციიდან”,²⁶⁶ საუბარია იმაზე, რომ პატიმრების

264 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 49. “მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიღების წესი.”

265 ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2, 2006 წლის 11 იანვარი, ევროპის ციხის წესები, წესი 24.9 - კონტაქტი გარე სამყაროსთან

266 ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშ-

უძლურების შეგრძნება დაყვანილი იყოს მინიმუმამდე და სას-
ჯელის მოხდა დაიწყოს მართლმსაჯულებისა და სამართლიანო-
ბის ფარგლებში, რომელიც იწყება ციხეში მიღების პირველივე
მომენტიდან, ციხეში პატიმარი მიღებისთანავე, კერძოდ, “ციხე-
ში ცხოვრება უნდა დაიწყოს და გაგრძელდეს მართლმსაჯულე-
ბისა და სამართლიანობის ფარგლებში ისე, რომ მინიმუმამდე
იყოს დაყვანილი პატიმრების მიერ უძლურების შეგრძნება. პა-
ტიმრები უნდა გრძნობდნენ, რომ ისინი რჩებიან უფლებებისა
და მოვალეობების მქონე მოქალაქეებად. ეს განსაკუთრებით
მნიშვნელოვანია, ციხეში პირველად მიყვანისას. ციხეში მიღების
პირველი პროცედურიდან შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში
პატიმარს უნდა ეცნობოს შინაგანანესი, რა მოეთხოვება მას და
რას შეიძლება მოელოდეს იგი ციხის თანამშრომლებისგან. თუ
შესაძლებელია პატიმრებს უნდა მიეცეთ ციხის შინაგანანესის
ინდივიდუალური ასლი.”

მიღების პროცედურები, გარდა თავად ბრალდებულის/
მსჯავრდებულის და სხვა კანონით გათვალისწინებული პირე-
ბის ინფორმირებისა, როგორც უფლებების ასევე კანონით გა-
თვალისწინებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით, ეროვნულ
კანონმდებლობაში და საერთაშორისო სტანდარტებში ვხვდე-
ბით სხვა აუცილებელ მოთხოვნებს, რომელიც მიღების პროცე-
დურების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, როგორცაა მი-
ღებისას სამედიცინო შემოწმება²⁶⁷ და დათვალიერება. ასევე სა-
ქართველოს კანონმდებლობისა და მინიმალური სტანდარტული
წესებისგან განსხვავებით ევროპის ციხის წესები აქცენტს აკე-
თებს უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფაზე მო-
ცემულ ეტაპზე, როგორც მიღების პროცედურების შემადგენელ
ნაწილზე, “მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე პატიმრისთვის
უსაფრთხოების სათანადო დონე უნდა განისაზღვროს.”²⁶⁸ ასევე
წესები აყენებს მოთხოვნას, განისაზღვროს უსაფრთხოებისად-

რომელთათვის, თბილისი, 2007. გვ 44

267 ევროპის ციხის წესები, იხილეთ მეექვსე თავი - ჯანმრთელობის
დაცვის უფლება

268 ევროპის ციხის წესები, წესი 16. ბ

მი საშიშროება, რომელსაც პატიმარი წარმოადგენს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპის ციხის წესების მიდგომები მიღების პროცედურებთან დაკავშირებით, სადაც იგი ძირითად აქცენტს აკეთებს მსჯავრდებულის დანესებულებაში მიღების შემთხვევაში სოციალური პროგრამების განსაზღვრის აუცილებლობაზე, რასაც ქართული კანონმდებლობა მსჯავრდებულის დანესებულებაში მიღების პირველ ეტაპზე არ განიხილავს, კერძოდ “პატიმრის სოციალური მდგომარეობის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა შეფასდეს, რათა მოხდეს მისი პირადი საჭიროებების გადანყვეტა. მსჯავრდებულის შემთხვევაში, დადგენილ უნდა იქნას საჭირო ზომები იმ პროგრამების განსახორციელებლად²⁶⁹.”

ევროპის ციხის წესებში სხვა შესაბამისი დოკუმენტების მსგავსად ვხვდებით ასევე სამედიცინო შემოწმების მოთხოვნას, როგორც პატიმრის დანესებულების მიღების პროცედურის შემადგენელ ნაწილს და ამ შემთხვევაში აქცენტს აკეთებს რომ “ყოველი ხილული დაზიანება და საჩივარი დანესებულებაში მიყვანამდე განცდილი ცუდად მოპყრობის შესახებ და სამედიცინო საიდუმლოებას დაქვემდებარებული ნებისმიერი ინფორმაცია პატიმრის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რომელსაც მნიშვნელობა აქვს პატიმრის ან სხვათა ფიზიკური ან ფსიქიკური კეთილდღეობისთვის²⁷⁰” - უნდა იყოს მიღებისთანავე შესწავლილი და დაფიქსირებული.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ევროპის ციხის წესები, როდესაც ის ადგენს ვალდებულებას სამედიცინო პერსონალისადმი მოახდინოს ახლადმიღებული პირის სამედიცინო შემოწმება²⁷¹ “მედიცინის მუშაკი ან კვალიფიციური მედდა, რომელიც ანგარიშვალდებულია ექიმის წინაშე, უნდა ნახულობდეს

269 ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2, 2006 წლის 11 იანვარი, ევროპის ციხის წესები 16. დ

270 ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2, 2006 წლის 11 იანვარი, ევროპის ციხის წესები 15.1.

271 ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2, 2006 წლის 11 იანვარი, ევროპის ციხის წესები, თავი ექიმის მოვალეობები, წესი 42.1

პატიმრებს მათი მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე და ჩაუტაროს მათ სამედიცინო გამოკვლევა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს აშკარად არ წარმოადგენს აუცილებლობას.”

პატიმართა მიღების პროცედურების განხილვისას ქართული კანონმდებლობა ყურადღებას უთმობს დამოკიდებულებას იმ პატიმრებისადმი, რომლებიც ვერ ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას ან არ იციან წერა-კითვა, აღნიშნულ მიდგომებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მათ ინფორმირებას უფლებებისა და მოვალეობების შესახებ დაწესებულებაში მიღების დროს, “მსჯავრდებულს დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით, მისთვის გასაგებ ენაზე, უნდა გააცნონ მისი უფლებები და მის მიმართ მოსამსახურეთა მოპყრობის წესები, ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესები, დისციპლინური და სხვა სახის მოთხოვნები.”²⁷² აღნიშნული სფეროსადმი განსაკუთრებულ მიდგომას ჩვენ ვხვდებით ყველა იმ საერთაშორისო სტანდარტების განხილვისას, რომელიც განიხილავს პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებებს, ამასთან ნიგში “პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან” თავში “დიდი რაოდენობით პატიმრების მიღება”, განმარტებულია თუ როგორ და რა ფორმით უნდა მოხდეს ინფორმაციის მიწოდება იმ ადამიანებისთვის, ვინც არ იციან სახელმწიფო ენა, არ იციან ან არ შეუძლიათ წერა-კითხვა, კერძოდ “უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ მათაც, ვინც ვერ ლაპარაკობს ადგილობრივ ენაზე, ვინც წერა-კითხვის უცოდინარია ან ინვალიდია, მიიღონ და გააცნობიერონ ეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ეს სხვადასხვაგვარად შეიძლება გაკეთდეს: შესაძლებელია, ვინმემ წაუკითხოთ ან განუმარტოს წესები, შესაძლებელია ჰყავდეთ იმავე ენაზე მოსაუბრე ადამიანი, ზოგ ქვეყანაში გამოიყენება ვიდეოჩანანერებიც.”²⁷³

272 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 49. მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიღების წესი, პ. 2

273 ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშ-

5.2 რეგისტრაცია/რეესტრი

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს ბრალდებულისა თუ მსჯავრდებულის დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში მიღების პროცედურების ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტებს, როგორიცაა რეესტრის წარმოების და ბრალდებულების ფოტოგრაფირებისა და დაქტილოსკოპირების²⁷⁴ წესი და პირობები, რომელიც ასევე განხილულია საერთაშორისო სტანდარტებით. “ბრალდებული, რომელიც პატიმრობის დაწესებულებაში მიიღება აღირიცხება ბრალდებულთა რეესტრში, ხოლო მსჯავრდებული, რომელიც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაიგზავნება აღირიცხება მსჯავრდებულთა რეესტრში. პატიმრობის დაწესებულებაში ბრალდებულის მიღებისას სავალდებულოა მისი ფოტოგრაფირება და დაქტილოსკოპირება. ფოტოსურათები და მათი ნეგატივები, აგრეთვე დაქტილოსკოპიური ბარათი და სიტყვიერი პორტრეტი ბარათის მიხედვით ინახება ბრალდებულის პირად საქმეში, რომელიც პატიმრის შემთხვევაში გადაიგზავნება შესაბამის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.”

პატიმართა დაწესებულებაში მიღების დროს რეესტრის წარმოების წესს ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს საერთაშორისო სტანდარტები, რომლის თანახმადაც, ბრალდებულის/ მსჯავრდებულის დაწესებულებაში მიღება უნდა მოხდეს მათი უფლებების სრული დაცვით და ამასთან მნიშვნელოვანია ეროვნული კანონმდებლობისგან განსხვავებული მიდგომა, როდესაც გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები მიღების პროცედურებს უკავშირებს დაწესებულების უსაფრთხოებისა და დაცვის ინტერესებს და მის გათვალისწინებას მიღების პროცედურებთან შესაბამისობაში. კერძოდ, ზემოაღნიშნული წესები²⁷⁵ დეტალურად ადგენს რეეს-

რომელთათვის, თბილისი, 2007, გვ. 58

274 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 35. “ბრალდებულთა/პატიმართა რეესტრები”

275 პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, მიღებულ იქნა 1955 წელს ჟენევაში გამართულ გაეროს პირველ კონგრესზე, რომელიც ეძღვნებოდა დანაშაულის პრევენციას და სამართალდამრ-

ტრის არსებობის²⁷⁶ აუცილებლობას და მის სტანდარტებს: “პატიმრობის ადგილებში უნდა არსებობდეს რეესტრი აკინძული ჟურნალის სახით, რომელშიც გვერდები დანომრილია და სადაც შეტანილ უნდა იქნას თითოეული პატიმრის შესახებ ინფორმაცია”, ამასთან წესები განსაზღვრავს თუ რა სახის ინფორმაცია უნდა იქნას დაფიქსირებული ჟურნალში, როგორცაა: მონაცემები პიროვნების შესახებ, მისი პატიმრობის მიზეზები და ხელისუფლების წარმომადგენელი იმ ორგანოს დასახელება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება თავისუფლების აღკვეთის შესახებ; პატიმრის ციხეში შესვლის და გასვლის დღე და საათი. ასევე სტანდარტებში ვხვდებით იმ აუცილებელი დოკუმენტის განმარტებას, რომლის გარეშეც დაუშვებელია პატიმრის მიღება “პატიმრის ციხეში მიღება დაუშვებელია პატიმრობის შესახებ მოქმედი ბრძანების გარეშე”, ამგვარი ბრძანების დეტალები წინასწარ უნდა იყოს შეტანილი რეესტრში.

ისევე როგორც გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები, ევროპის ციხის წესები²⁷⁷ თავში “მიღება” ადგენს ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაწესებულებაში მიღების²⁷⁸ პროცედურებს, დეტალურად განიხილავს რეესტრის შედგენის წესსა და პირობებს, დაწესებულებაში პატიმრის მიღებისას საჭირო აუცილებელი დოკუმენტის ხასიათს და იმ მონაცემების დეტალურ ნუსხას, რომელიც უნდა იყოს შეტანილი რეესტრში, “არც ერთი პირის მიღება ან მოთავსება საპატიმრო დაწესებულებაში არ უნდა მოხდეს შესაბამისი სათანადო აქტის გარეშე, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. მიღებისას თითოეულ პატიმართან დაკავშირებით უნდა მოხდეს შემდეგი დეტალების დაუყოვნებლივ დაფიქსირება: პატიმრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოპყრობას, დამტკიცებულ იქნა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციით და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციით.

276 გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 7

277 ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2, 2006 წლის 11 იანვარი, ევროპის ციხის წესები

278 ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2, 2006 წლის 11 იანვარი, ევროპის ციხის წესები, თავი მიღება, წესი 14-16

ბელი ინფორმაცია; დაპატიმრების მიზეზი და პასუხისმგებელი პირი, რომელმაც გასცა შესაბამისი განკარგულება; მიღების დღე და საათი; პატიმრის პირადი ნივთების ნუსხა, რომლებიც უნდა მოთავსდეს საპატიმრო დაწესებულების შემნახველ განყოფილებაში.”

გარდა რეესტრის წარმოებისა, რომელიც ინარმოება ბრალდებულის/მსჯავრდებულის საპატიმრო დაწესებულებაში მიღების დროს, ქართული კანონმდებლობა ასევე ადგენს პირადი საქმის²⁷⁹ შედგენისა და წარმოების წესსა და პირობებს, პირადი საქმის წარმოება იწყება ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიღებისას და ინარმოება მის გათავისუფლებამდე, ხოლო გათავისუფლების შემდეგ ინახება არქივში. “ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმე დგება მისი დაპატიმრებიდან გათავისუფლებამდე. გათავისუფლების შემდეგ პირადი საქმე ინახება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების არქივში. პირადი საქმის წარმოების წესს, საქმისთვის დასართავი დოკუმენტების ჩამონათვალს და არქივში მისი შენახვის ვადას განსაზღვრავს მინისტრი.”

5.3 გადაყვანა სასჯელის მოსახდელად

საპატიმრო დაწესებულებაში პირის მიღებისა და ყოფნის გაგრძელებას წარმოადგენს მისი სხვა დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად გადაყვანა, რომელიც ასევე განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, რომელიც ადგენს თუ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან რა ვადაში შეიძლება პირი გადაყვანილ²⁸⁰ იქნას სხვა დაწესებულებაში. გადაყვანის წესი და პირობები განისაზღვრება შესაბამისი კანონქვემდებარე აქტით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი. “სასამართლოს მიერ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებიდან არა უგვიანეს 20 დღისა დეპარტამენტის თავმჯდომარე იღებს

279 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 36. “ბრალდებულის/პატიმართა პირადი საქმე”

280 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 47. “პატიმრის სასჯელის მოსახდელად გაგზავნა”

გადაწყვეტილებას, თუ რომელი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა მოიხადოს პატიმარმა სასჯელი. პატიმრობის დაწესებულების ადმინისტრაცია მსჯავრდებულს სასჯელის მოსახდელად აგზავნის დეპარტამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან არა უგვიანეს 20 დღისა.” ქართული კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას, რიგ გარემოებებში მსჯავრდებული დატოვებულ იქნას სასჯელის მოსახდელად საპატიმრო დაწესებულებაში, კერძოდ: მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელის მოხდა განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, მისივე წერილობითი თანხმობით, მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით შეიძლება დატოვებულ იქნას პატიმრობის დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. ამ შემთხვევაში მსჯავრდებულზე ვრცელდება უფლებები, რომელიც განსაზღვრულია იმ ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სადაც რისკების გათვალისწინებით განთავსებული იქნებოდა მსჯავრდებული და რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია პატიმრობის დაწესებულებაში. პატიმრობის დაწესებულების ტერიტორიაზე მსჯავრდებულის გადაადგილების წესსა და პირობებს განსაზღვრავს მინისტრი. სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად მსჯავრდებულის პატიმრობის დაწესებულებაში დატოვება ფორმდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით²⁸¹.”

ბრალდებულის/მსჯავრდებულის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიღების სტანდარტების გაანალიზებისა და ქართული პრაქტიკის განხილვის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია განვიხილოთ ევროპის ქვეყნების პრაქტიკა, თუ როგორია მოცემულ ქვეყნებში არსებული სტანდარტები სასჯელაღსრულების სისტემის სხვადასხვა სფეროს საქმიანობასთან მიმართებაში და რა მსგავსებებს ან განსხვავებულ თავისებურებებს შევხვდებით ქართულ პრაქტიკაში შედარებითი ანალიზის მიხედვით. კერძოდ, სახელმძღვანელოში განხილულია ირლანდიის და ესტონეთის პრაქტიკა მოცემულ ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციების მიხედვით.

281 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 48. “პატიმრის დატოვება პატიმრობის დაწესებულებაში”, პ-1

პატიმრის მიღების პროცესის განხილვისას ირლანდიის პრაქტიკაში²⁸² ვხვდებით თუ რა ინფორმაცია უნდა იყოს დაფიქსირებული ჩანაწერში და ვინ უნდა განახორციელოს იგი, სადაც ვხვდებით უფრო დეტალური ჩანაწერების წარმოების მოთხოვნას, ასევე ცალსახად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ოჯახის წევრებისა და მეგობრების ინფორმირებას. აღსანიშნავია დაწესებულებაში მიღებული პატიმრის შეფასების ინსტიტუტის არსებობა, რომელიც სასჯელის მოხდის პროცესში ერთვება დაწესებულებაში პატიმრის მიღებისთანავე. ასევე ირლანდიის პრაქტიკაში მნიშვნელოვანია რამდენიმე განსხვავებული კომპონენტი, რომელსაც კანონი განსაზღვრავს, ეს არის ადმინისტრაციასთან შეხვედრა და გათავისუფლების თარიღის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის ადგილზე მიყვანის პროცესშივე. „მიღებასთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა იყოს დაფიქსირებული შესაბამისი პირის მიერ, რომელიც დანიშნულია ციხის ხელმძღვანელის მიერ. ჩანაწერი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: პატიმრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ეროვნება და სხვა ინფორმაცია, რომელიც პიროვნების იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა; პატიმრის ფიზიკური შეფასება, ფიზიკური თავისებურებები და ნებისმიერი განმასხვავებელი ნიშანი ან/და იარა მის სხეულზე; ნებისმიერი მახასიათებელი პატიმრის ფიზიკური დაზიანებების შესახებ, რომელიც აღინიშნებოდა მისი მიღების დროს; ნებისმიერი მონაცემი, რომელიც დაფიქსირდა პატიმრის მიღების დროს სამედიცინო შემოწმებისას, მისი მდგომარეობისა და დამოკიდებულებების შესახებ, რაზეც ის გადის მკურნალობის კურსს ან გადიოდა მკურნალობას, ასევე ინფორმაცია ნებისმიერი სახის მედიკამენტის შესახებ, რომელსაც იგი იღებდა; ნებისმიერი ოჯახის წევრის ან სხვა პირის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც პატიმარი ასახელებს; ბრძანება ან ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტი/დაკავების სამართლებრივი საფუძველი; პატიმრის მიღების დრო და თარიღი; ციხის დასახელება, სადაც პატიმარი

282 Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007 ~"Prison Rules", Published by the stationery office Dublin To be purchased directly from the Governement Publications Office

იყო გადაყვანილი სხვა ციხიდან, ციხე საიდანაც პატიმარი იქნა გადმოყვანილი; რელიგია/სარწმუნოება (თუ ასეთი გააჩნია) რომელსაც პირი მიეკუთვნება ან მიაკუთვნებს საკუთარ თავს; ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, წესრიგისა და პატიმრის უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ციხის ხელმძღვანელობა ჩათვლის საჭიროდ.”

ქართული კანონმდებლობისგან ნაწილობრივ განსხვავებულ მიდგომებს ვხვდებით ირლანდიის პრაქტიკის განხილვისას ინფორმირების ნაწილში, სადაც საუბარია არა მხოლოდ ოჯახის წევრების, არამედ მეგობრების ინფორმირების ხელმისაწვდომობაზე, რაც პოზიტიური პრაქტიკის ნაწილში უნდა იქნას განხილული მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით. “პირის დაკავების, ციხეში განთავსების ან ერთი ციხიდან მეორეში გადაყვანის შემთხვევაში, რამდენადაც შესაძლებელია სწრაფად უნდა მოხდეს ოჯახის წევრის ან სხვა იმ პირის ინფორმირება, რომელსაც თვითონ დაასახელებს, ინფორმირება იმ ციხის დასახელებისა და მისამართის შესახებ, სადაც ეს პირი იმყოფება”. ირლანდიის პრაქტიკა განსაკუთრებული ყურადღებით განიხილავს იმ პირის შესახებ ინფორმირებას, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი. ასევე, აღსანიშნავია დამოკიდებულება იმ შემთხვევების მიმართ, როდესაც ადმინისტრაცია ვერ უკავშირდება ოჯახის წევრს ან დასახელებულ პირს და ვერ ახდენს მათ ინფორმირებას პირის ციხეში განთავსების შესახებ “თუ ციხის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ პირი რომელიც არის 18 წელზე ზევით და გონივრულ ვადაში არ/ვერ უკავშირდება ოჯახის წევრებს ან იმ პირებს ვინც მის მიერ იყო დასახელებული, ციხის ხელმძღვანელობამ მთელი ძალისხმევა უნდა გამოიყენოს ამ კავშირების აღსადგენად.”

მნიშვნელოვანია ასევე განვიხილოთ ირლანდიის პრაქტიკა უფლებების, მოვალეობებისა და შეღავათების შესახებ ბრალდებულის/მსჯავრდებულის ინფორმირების ნაწილში, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია საინფორმაციო ბუკლეტების გადაცემაზე, რომელიც განმარტავს, როგორც უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე იმ შეღავათების შესახებ ინფორმაციას,

რომლებიც დაკავშირებულია კანონით გათვალისწინებული შეღავათების გავრცელებასა და მის შესაძლო ვადებთან, სადაც განსაკუთრებულ მიდგომებს ვხვდებით. იმ შემთხვევების განხილვისას, როდესაც ესა თუ ის უფლებები ამოქმედდა პატიმრის ციხეში ყოფნის დროს” ყველა პატიმარს მის ციხეში განთავსებამდე უნდა გადაეცეს საინფორმაციო ბუკლეტი მისი უფლებების, მოვალეობებისა და კანონით გათვალისწინებული შეღავათების შესახებ. “ყველა პატიმარს, რომელიც განთავსებული იყო ან იმყოფება ციხეში ამ უფლებების ამოქმედებამდე უნდა გადაეცეს საინფორმაციო ბუკლეტი მისი უფლებების, მოვალეობებისა და კანონით გათვალისწინებული შეღავათების შესახებ²⁸³.” აქვე წესებში საუბარია იმაზე, რომ ნებისმიერი არსებული წესების და ბრძანებების სრული ასლები, რომლებიც პირდაპირ ეხება პატიმრებს უნდა იყოს ხელმისაწვდომი მათთვის.

აღსანიშნავია უცხოელ პატიმრებთან მიდგომა ირლანდიის პრაქტიკის მიხედვით, რომ მათ ინფორმაცია მიეწოდოთ მათთვის გასაგებ ენაზე, როგორც ზეპირად, ისე წერილობით, ასევე საუბარია შემთხვევებზე, როდესაც პატიმარს არ შესწევს უნარი ნაიკითხოს ან გაიგოს ბუკლეტში მოცემული ინფორმაცია. ციხის ადმინისტრაციას ევალება მიიღოს ზომები რათა დარწმუნდეს, რომ პატიმრის უფლებები, ვალდებულებები, პრივილეგიები, რომელიც გათვალისწინებულია ბუკლეტში მოცემული წესებით, განემარტა პატიმარს დაუყოვნებლივ, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წესები, რომლებიც განსაზღვრავენ ადმინისტრაციასთან შეხვედრის სტანდარტებს, რასაც დეტალური განხილვის ფორმით არ ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობა და მას ასევე დეტალური განხილვის ფორმით არ ვხვდებით საერთაშორისო სტანდარტებში”. ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია პატიმრის ციხეში მიღებისთანავე იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს შესაძლებელია შეხვედეს პატიმარს, რათა დარწმუნდეს, რომ ის ინფორმირებულია მისი

283 Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007 „Prison Rules“, Published by the stationery office Dublin To be purchased directly from the Government Publications Office, rule 13

უფლებების, მოვალეობებისა და შეღავათების შესახებ, ასევე შემდგომში უზრუნველყოფილი იქნება მისი ინფორმირება მნიშვნელოვანი მოვლენებისა და იმ ინფორმაციის შესახებ, რამაც შესაძლებელია მისი ყურადღება მიიპყროს.”

ირლანდიის პრაქტიკაში ვხვდებით, განსხვავებულ მიდგომას პატიმრის/მსჯავრდებულის ინფორმირების შესახებ მისი გათავისუფლების თარიღთან დაკავშირებით, სადაც განხილულია რომ უნდა მოხდეს მათი დაუყოვნებლივ ინფორმირება. “პატიმარი, რომელიც იყო მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთით, გარდა უვადო თავისუფლების აღკვეთა მისჯილი პირებისა, მისი დაპატიმრებისთანავე, იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს შესაძლებელია უნდა იყოს ინფორმირებული მისი შესაძლო გათავისუფლების თარიღის (თარიღების) შესახებ, რომელიც გამოთვლილი იქნება, როგორც სასჯელის მოხდისგან ვადამდე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობის გარეშე და გათავისუფლების უფლებით. იმ შემთხვევაში თუ მოხდება სასჯელისგან გათავისუფლების თარიღის შეცვლა (გარდა უვადო თავისუფლება აღკვეთილი პირებისა) დაუყოვნებლივ უნდა იყოს ინფორმირებული თარიღის შესახებ²⁸⁴”.

მიღების პროცედურებთან დაკავშირებით განსხვავებულია ესტონეთის პენიტენციური სისტემის პრაქტიკაც,²⁸⁵ სადაც კანონი ცალსახად განსაზღვრავს პატიმრის დროებით მოსაცდელ საკანში მოთავსებას, ვიდრე მოხდება მისი შემონმება. სადაც ასევე განსაზღვრულია პატიმრისთვის საკნის განპირობება და მისი პირველადი ნივთებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა. „ციხეში გაგზავნილი პატიმარი დროებით თავსდება მოსაცდელ საკანში ვიდრე მოხდება მისი შემონმება (ჩხრეკა), მისი პირადი ნივთებისგან განცალკევებულად. მოსაცდელ საკანში პატიმარს სურვილის მიხედვით შეუძლია იქონიოს მხოლოდ აუცილებელი ნივთები. ციხეში პირველად მიღების შემთხვევაში პატიმარი გადის სამედიცინო შემონმებას. პატიმრის პირადი ნი-

284 იქვე

285 Правила внутреннего распорядка Вирусной тюрьмы, Утверждено Приказом директора Вирусной тюрьмы, № 1-1/19 от 30.01.2013 г. №19ХВИ, пункт 3

ვთები შეიტანება პირადი ნივთების რეგისტრაციის სიაში. ციხის მოხელე (Тюремный чиновник) იღებს გადაწყვეტილებას, პატიმარისთვის ციხის შიგნით განთავსების შესახებ, განუსაზღვრავს მას საკანს, სანოლ ადგილს, და ადგილს ნივთების შესანახად.”

პატიმართა/მსჯავრდებულთა საპატიმრო თუ სასჯელის აღსრულების ადგილზე მიღებისას განხილული ეროვნული კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტების თუ ევროპის ქვეყნების პრაქტიკის განხილვისას ვხვდებით რამდენიმე ძირეულ კომპონენტს, რომლებიც მნიშვნელოვანია იქნას დაცული პირის საპატიმრო დაწესებულებაში მოხვედრისას, რათა მას გაუადვილდეს იმ ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური სტრესის დაძლევა, რომელიც დაკავშირებულია საპატიმრო დაწესებულებაში მოხვედრასთან, ამასთან უზრუნველყოფილი იყოს მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. კომპონენტები, რომლებიც განხილულია სახელმძღვანელოში მოიცავს: მიღების პროცედურების დაცვას და მიღებისთვის საჭირო აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენას, ასევე ასეთი დოკუმენტების სახეებს, სამედიცინო შემოწმებას პირის საპატიმრო დაწესებულებაში მიღებისას; უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, ასევე გათავისუფლების შესაძლო ვადების შესახებ პატიმრების ინფორმირებას, პატიმრის ოჯახის წევრებისა და რელევანტური სახელმწიფო სტრუქტურების ინფორმირებას ამა თუ იმ პირის საპატიმრო დაწესებულებაში განთავსების შესახებ, ასევე რეესტრისა და პირადი საქმის წარმოებას, სადაც მოხდება პატიმრობაში მყოფი პირის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციის ჩანერა. ყოველივე ზემოაღნიშნული ეტაპების სწორად და კანონის მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელება ხელს უწყობს პატიმრის/მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის პროცესის და სასჯელის მოხდის ადგილების საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას.

მეექვსე თავი

მსჯავრდებულის უფლებები

„საპატიმრო დაწესებულებებში უამრავი ადამიანი იხდის სასჯელს, მაგრამ ისინი პატიმრობაში იმყოფებიან, როგორც დასჯილები და არა იმისთვის, რომ იქ დაისაჯონ - თავისუფლების აღკვეთა უკვე თავისთავად არის სასჯელი, ამიტომ ციხეში არსებული პირობები და მოპყრობა არ უნდა გადაიქცეს სასჯელის დამატებით ფორმად. მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი პატიმრობით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება. თავისუფლების აღკვეთის მიუხედავად ცხოვრების პირობები მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული ნორმალური ცხოვრების პირობებთან²⁸⁶.“

ადამიანის თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, მისი უფლებები შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ იმ დოზით და ფარგლებში, რაც პირდაპირ უკავშირდება მის თავისუფლების აღკვეთას, რა თქმა უნდა შეზღუდვების განხილვისას არ მოიაზრება ადამიანის ის უფლებები, რომლებიც აბსოლუტურ უფლებებს განეკუთვნებიან და რომლებიც უნარჩუნდება ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერი სტატუსის ქონისას, მათ შორის მისი დაპატიმრების/თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში.

“უფლებები ყველა პატიმარს აქვს იმის მიუხედავად, იმყოფებიან ისინი წინასწარ პატიმრობაში, თუ უკვე შეეფარდათ სასჯელი. მნიშვნელოვანი ხასიათის დამატებით საყურადღებო მოსაზრებები ეხება პატიმართა ცალკეულ ჯგუფებს, კერძოდ, რომელთაც სასჯელი ჯერ არ შეეფარდებიათ, არასრულწლოვნებს, ახალგაზრდა პატიმრებს და ქალებს. დაკავებული და დაპატიმრებული პირები ინარჩუნებენ ადამიანის ყველა უფლებას, გარდა იმ უფლებებისა, რომლებიც მათ დაკარგეს თავისუფლების აღკვეთის შედეგად. ციხის ადმინისტრაციას და ციხის თანამშრომლებს უნდა ესმოდეთ, რას გულისხმობს ეს

286 Making Standards Work, Penal Reform International, 2006 London, United Kingdom. 1-8

პრინციპი. ზოგი რამ ძალზედ ნათელია. მაგალითად, წამება და განზრახ სასტიკი, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობა მთლიანად აკრძალულია. გასაგები უნდა იყოს, რომ ეს აკრძალვა არ ეხება მხოლოდ უშუალო ფიზიკურ და ფსიქიკურ ზენოლას. იგი ეხება ასევე მთლიანად იმ პირობებს, რომელშიც პატიმრები იმყოფებიან²⁸⁷”

სახელმძღვანელოს მიექვსე თავში ადამიანის უფლებების ნაწილში განხილულია, იმ უფლებათა სპექტრი, რომლებიც პატიმარს უნარჩუნდება ან/და უჩნდება პატიმრობის პირობების არსებობისას, კერძოდ მოცემულ თავში ვხვდებით, ისეთი უფლებების განხილვას, როგორიცაა: ადეკვატური საცხოვრებელი ფართობი და პირობები; სუფთა ჰაერზე ყოფნა; ჰიგიენა, თეთრეული და ტანსაცმელი; კვება; უფლება სოციალურ ურთიერთობაზე გარე სამყაროსთან (მიმონწერა, სატელეფონო საუბრები, ურთიერთობა ადვოკატთან, პაემანი და სხვა); განათლების უფლება; შრომის უფლება; ჯანმრთელობის დაცვის უფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და სხვ.

6.1 ადეკვატური საცხოვრებელი პირობები

იმის გადამწყვეტისას, თუ რა ფართი უნდა გამოეყოს თითოეულ პატიმარს საცხოვრებლად, მნიშვნელოვანია, მხედველობაში იქნას მიღებული, თუ რამდენი ხანი უნდა გაატაროს პატიმარმა ამ ფართში ოცდაოთხი საათის განმავლობაში. მცირე ფართი ნაკლებად საზიანოა, თუ ის მხოლოდ დასაძინებლად გამოიყენება და პატიმარი დღის განმავლობაში სხვა ადგილას იმყოფება, სხვა საქმიანობა დაკავებული. ციხის გადავსების ყველაზე უარესი შემთხვევა არის მაშინ, როდესაც პატიმრებს თითქმის მთელი დროის გატარება უნევთ ამ საკნებსა ან ოთახებში და გარეთ გამოდიან მხოლოდ ჯგუფურად ვარჯიშისთვის, ინდივიდუალურად დაკითხვის ან სტუმართან შეხვედრისთვის. სწორედ ასე ხდება ზოგ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი იმ ციხეებში,

287 ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის, თბილისი, 2007. გვ 54

სადაც წინასწარ დაკავებაში მყოფი პატიმრები ან მოკლევადიანი მსჯავრდებულები არიან.

ადეკვატურ საცხოვრებელ პირობებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია განვიხილოთ ევროპის სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებშიც წამებისა და არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობის ქრილში განხილულია საცხოვრებელი ფართობისა და საცხოვრებელი პირობების არაადეკვატურობა სასჯელის აღსრულების ადგილებში.

მიზანშეწონილი იქნება მოცემულ საკითხთან მიმართებაში განვიხილოთ საქმეები საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც საქართველოს ახლონარსულში არსებულ პრაქტიკას ასახავს, მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ ვერ მოახერხა სათანადო პირობების უზრუნველყოფა, “2003 წლის 31 ოქტომბერს განმცხადებელი ჩიოდა, რომ თბილისის მე-5 საპყრობილეში მისი პატიმრობის პირობები ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 მუხლს. ის მოთავსებული იყო 35 პატიმართან ერთად საკანში, რომელიც 24 პირისთვის იყო განკუთვნილი, ამ გადაჭედვის გამო პატიმრები იძულებული იყვნენ, დაეძინათ რიგრიგობით, საკანი კი ჯანმრთელობისთვის საშიში – ნესტიანი და უჰაერო იყო²⁸⁸.”

სასამართლოს არგუმენტების თანახმად, “კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, თითოეული თავისუფლებააღკვეთილი პირი უზრუნველყოს ისეთი პირობებით, რაც არ ლახავს მის ადამიანურ ღირსებას და შეფარდებული ღონისძიების აღსრულების მეთოდები მას არ უქვემდებარებს ისეთ ტანჯვას, რომელიც სცილდება სასჯელისთვის დამახასიათებელი, აუცილებელი ტანჯვის დონეს. ამასთან, პატიმრის ჯანმრთელობის გარდა მისი კეთილდღეობა უნდა იქნას უზრუნველყოფილი თავისუფლების აღკვეთის პრაქტიკული მოთხოვნების გათვალისწინებით.”

მოცემულ საქმეში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ავალდებულებს სახელმწიფოს შექმნას პატიმრისთვის სასჯელის მოხდის ადეკვატური პირობები, მიუხედავად იმისა

288 CASE of ALIEV v. GEORGIA (#522/04)

თუ რა ეკონომიკური და ფინანსური რესურსები გააჩნია სახელმწიფოს, “სახელმწიფო ვალდებულია, ტექნიკური და ფინანსური პრობლემების მიუხედავად, იმგვარად მოაწყოს მისი სასჯელალსრულებების სიტემა, რომ არ შელახოს პატიმრის ადამიანური ღირსება²⁸⁹.”

სასამართლომ ალიევის საქმეში მისი განთავსების პირობებთან დაკავშირებით დაასკვნა, რომ “იმისთვის, რომ მოპყრობა მოექცეს მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში, არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს “სიმძიმის მინიმუმს”, ამ მინიმუმის შეფასება შედარებითია და დამოკიდებულია საქმის მთელ რიგ გარემოებებსა და ასევე მოპყრობის ხანგრძლივობაზე, ფიზიკურ და სულიერ შედეგზე, ხოლო სათანადო შემთხვევაში - მსხვერპლის სქესზე, ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მტკიცებულებათა შესაფასებლად სასამართლო იყენებს ყოველგვარ ეჭვს მიღმა მტკიცებულების კრიტერიუმს. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სხვა დასკვნების მხედველობაში მიღებით, სასამართლოს არ მიაჩნია, რომ საერთო სინესტიტ, ჩამონგრეული კედლებით და ჯანმრთელობისთვის საშიში სხვა პირობებით, განმცხადებლის საკანი წარმოადგენდა ერთადერთ გამონაკლისს თბილისი მე-5 საპყრობილეში. მთავრობამ არ წარმოადგინა ფოტოსურათები ან ტექნიკური მონაცემები საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად. მომხდარი მოვლენების დროს მე-5 საპყრობილეში სურათების გადაღება ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო.”

მოცემულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო მიიჩნევს, რომ მის ხელთ არსებული მტკიცებულებები შესაძლებლობას იძლევა დაასკვნას, რომ “განმცხადებელი იმყოფებოდა პატიმრობის იმ პირობებში, რომელსაც ასაჩივრებს განცხადებით, მაშინ, როდესაც, განმცხადებელი დაავადებული იყო გულის დაავადებით და ასთმითი სინდრომით, იგი ერთი წლის და ოთხი თვის განმავლობაში იმყოფებოდა საკუთარი ლოგინის გარეშე, მუდმივ უჭაერობას და ჯანმრთელობისთვის საშიშ მდგომარეობაში. სასამართლო თვლის, რომ პატიმრობის ასეთმა პირობებმა

289 CASE of ALIEV v. GEORGIA (#522/04)

განმცხადებელს მიაყენა იმგვარი ტანჯვა, რაც სცილდება თავისუფლებააღკვეთილის სასჯელისთვის დამახასიათებელი აუცილებელი ტანჯვის დონეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი²⁹⁰.”

როგორც ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ჩანს მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პატიმართა საცხოვრებელ ფართობს და პირობებს, რაც ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია სასჯელის მოხდის ადეკვატური პირობების უზრუნველყოფისთვის, რაზეც საერთაშორისო სტანდარტებთან ერთად მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს ქართული კანონმდებლობა.

პატიმართა საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით, პატიმრობის კოდექსი ადგენს თუ როგორია ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელი ფართობი და პირობები²⁹¹ ეროვნული სტანდარტების მიხედვით, რომელიც გარკვეულწილად განსხვავებულია თავისუფლებააღკვეთილ პირთა სტატუსის მიხედვით. პატიმრობის კოდექსის შესაბამისი თავი²⁹² განსაზღვრავს, რომ ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის გამოყოფილი საცხოვრებელი უნდა შეესაბამებოდეს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით²⁹³ “ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ”, დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს და უნდა უზრუნველყოფდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის შენარჩუნებას, თუმცა გარდა აღნიშნული დათქმისა კანონმდებლობა ასევე ადგენს ნორმებს, რომელიც უნდა

290 CASE of ALIEV v. GEORGIA (#522/04)

291 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 15. საცხოვრებელი პირობები, პ.2, 3

292 თავი III ბრალდებულისა და მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობა

293 საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №87-83/ნ, 2011 წლის 20-25 მაისი, მუხლი 3

იქნას დაცული, რათა ბრალდებულის/მსჯავრდებულის განთავსების პირობები იყოს ადეკვატური თავისუფლების აღკვეთის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან, კერძოდ, კანონმდებლობა ადგენს საცხოვრებელი ფართობის მინიმალურ ნორმებს, რომელიც უნდა იყოს დაცული პირის შესაბამისი ტიპის დაწესებულებაში განთავსების დროს, „1 მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები. 1 ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა პატიმრობის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 3 კვ.მეტრზე ნაკლები.“

გარდა საცხოვრებელ საკანში პატიმრისთვის გამოყოფილი ფართობისა კანონმდებლობა ადგილს უთმობს ისეთი საერთო პირობების უზრუნველყოფას, როგორიცაა განათება, ვენტილაცია, რომელიც უნდა იყოს რელევანტურად ადეკვატური, უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების უზრუნველსაყოფად “ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას. ბრალდებული/მსჯავრდებული აგრეთვე უზრუნველყოფილი უნდა იყოს გათბობით. ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნებრივი ან/და ხელოვნური ვენტილაციით.²⁹⁴”

მნიშვნელოვანია მიდგომა, რომელსაც კანონმდებლობაში ვხვდებით საცხოვრებელ პირობებთან მიმართებაში, რომელიც განკუთვნილია გარკვეული განსაკუთრებული კატეგორიის პატიმრებისთვის, რომლებსაც ქართული კანონმდებლობის თანახმად უნდა შეექმნათ განსხვავებული საცხოვრებელი პირობები, “ორსულ ქალებს, მეძუძურ დედებს, არასრულწლოვნებს, ავადმყოფებს, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხანდაზმულებს (ქალებს – 60 წლიდან, მამაკაცებს – 65 წლიდან) უნდა ჰქონდეთ სხვა ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან შედარებით გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები²⁹⁵.”

294 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 15. საცხოვრებელი პირობები, პ 4

295 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 15. საცხოვრებელი პირობები, პ 5

საერთაშორისო სტანდარტების განხილვისას, როდესაც გვეძლევა შესაძლებლობა გავაკეთოთ შედარებითი ანალიზი ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს შორის ვხვდებით არაერთ მნიშვნელოვან განსხვავებას, რომელშიც კანონმდებლობა არ ესატყვისება მოცემულ სტანდარტებს და ასევე ვხვდებით კომპონენტებს, როდესაც კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად იხილავს სხვადასხვა კომპონენტებს პატიმართა განთავსების პირობებსა თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

გაეროს მინიმალური სტანდარტულ წესებში ვხვდებით დათქმას, თუ როგორი უნდა იყოს საკანში პატიმრის ყოფნის ზოგადი პირობები, როგორი სტანდარტებით უნდა ხდებოდეს განსაკუთრებული კატეგორიის მსჯავრდებულების საცხოვრებელი პირობების ორგანიზება, თუმცა მოცემული სტანდარტები არ უთითებენ საცხოვრებელ ფართობზე და სხვა კონკრეტულ დეტალებზე, კერძოდ “ქალთა საპატიმრო დაწესებულებებში უნდა იყოს ცალკე სათავსოები ფეხმძიმე და მშობიარე ქალების მოსავლელად, იქ, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ მშობიარობა მოხდეს არა ციხის, არამედ სამოქალაქო ჰოსპიტალში. თუ ბავშვი იბადება ციხეში, ეს არ უნდა იყოს მოხსენიებული ბავშვის დაბადების მონუმბაში. იქ, სადაც პატიმარ დედებს უფლება აქვთ დაიტოვონ ბავშვი თავისთან, გათვალისწინებული უნდა იყოს ბაგების შექმნა. ბაგებში უნდა მუშაობდეს კვალიფიციური პერსონალი და იქ ბავშვები დატოვონ იმ პერიოდებში, როდესაც ისინი მოკლებულნი არიან დედის მზრუნველობას²⁹⁶.

მინიმალური სტანდარტული წესები ასევე განმარტავს, რომ “დაწესებულებებში, სადაც ცხოვრობენ და მუშაობენ პატიმრები: ფანჯრები უნდა იყოს საკმარისი ზომის იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა დღის შუქზე და უნდა იყოს ისე კონსტრუირებული, რომ უზრუნველყოს სუფთა ჰაერის მიწოდება იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა. ხელოვნური განათება საკმარისი

²⁹⁶ გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 23

უნდა იყოს იმისთვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა მხედველობის გაუარესების საფრთხის გარეშე²⁹⁷.”

რაც შეეხება ევროპის ციხის წესებს²⁹⁸ მნიშვნელოვანია რამდენიმე კონკრეტული დათქმა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ეროვნული სტანდარტებით არსებულ მოთხოვნებთან, მაგალითად - სასურველია პატიმრებთან ჩატარდეს კონსულტაცია ვიდრე მოხდება მათი განთავსება ამა თუ იმ საკანში, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს პატიმრის, როგორც ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე მისი თუ საკანში მყოფი სხვა პირების უსაფრთხოების თვალსაზრისით “საცხოვრებლის საერთო გამოყენება უნდა იყოს შესაძლებელი მხოლოდ მაშინ, თუ ეს ამ მიზნის შესაბამისია და პატიმრებიც ეთავსებიან ერთმანეთს. პატიმრებს შეძლებისდაგვარად უნდა მიეცეთ არჩევანის შესაძლებლობა, სანამ მიეთითებათ საძინებლის ერთობლივი გამოყენება²⁹⁹.” გარდა აღნიშნულისა ევროპული ციხის წესები ადგენს საკნის პირობებისთვის დადგენილ ზოგად სტანდარტებს და უთითებს, რომ წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან აღნიშნული სტანდარტები განერილ იქნას ეროვნული კანონმდებლობით. “რამდენადაც შესაძლებელია, პატიმრებთან უნდა ჩატარდეს კონსულტაცია მათი საწყისი განთავსების ადგილის შესახებ, ასევე, ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში შემდგომი გადაყვანისას. პატიმრებისთვის უზრუნველყოფილი შენობა, განსაკუთრებით კი, საძინებელი კორპუსი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემის და, შეძლებისდაგვარად, ასევე, განმარტოების მოთხოვნებს. გარდა ამისა, დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, კლიმატური პირობებისა და, განსაკუთრებით, ფართის ოდენობის, ჰაერის მოცულობის, განათების და ვენტილაციის პირობების გათვალისწინებით.³⁰⁰”

აღსანიშნავია ასევე, რომ ევროპის ციხის წესები განათები-

297 გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 11

298 ევროპის ციხის წესები, წესი 17-18

299 ევროპის ციხის წესები, წესი 18.6

300 ევროპის ციხის წესები, წესი 17.3

სა და ვენტილაციის ნაწილში ადგილს უთმობს არა მხოლოდ იმ საკნების მდგომარეობას, სადაც პატიმრები განთავსდებიან, არამედ ყველა იმ ადგილს, სადაც ისინი მუშაობენ ან უბრალოდ იკრიბებიან. “ყველა შენობაში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან: ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მისცეს პატიმრებს, იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათებისას ნორმალურ პირობებში. ასევე, აუცილებელია, ხდებოდეს სუფთა ჰაერის მოძრაობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ჰაერის კონდიციონერების სისტემა; ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს.”

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპის ციხის წესების ის ნაწილი, სადაც ვხვდებით ისეთ განსხვავებულ მიდგომას, როგორცაა საკანში სიგნალიზაციის არსებობა, რომლითაც პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერ დროს გამოიძახოს ციხის თანამშრომელი. “უნდა არსებობდეს სიგნალიზაციის სისტემა, რაც საშუალებას მისცემს პატიმრებს, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ პერსონალს.”³⁰¹

წესები ასევე უდგენს სახელმწიფოებს მოთხოვნას, რომ კანონმდებლობით იქნას მიღებული პრევენციული ზომები, იმისათვის რომ ციხის გადატვირთულობამ არ მოახდინოს ზეგავლენა და არ მოხდეს ინდივიდუალური პატიმრის მდგომარეობის გაუარესება “ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს იმას, რომ ამ მოთხოვნების დარღვევა არ მოხდეს ციხეების გადატვირთულობით. პატიმრების განთავსება ღამით, ჩვეულებრივ, უნდა მოხდეს ინდივიდუალურ საკნებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უმჯობესია მათი მოთავსება საერთო საძინებელში.”³⁰²

ციხეებში გადატვირთულობისა და პატიმართა საცხოვრებელ პირობებთან და საცხოვრებელ ფართობთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია არაერთი ქვეყნის მანკიერი პრაქტიკა, რომელსაც ვხვდებით ევროპული სასამართლო საქმეების განხილვისას,

301 ევროპის ციხის წესები, წესი 18.2

302 ევროპის ციხის წესები, წესი 18.5

მაგალითად, პრეცედენტული საქმე³⁰³ “კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ³⁰⁴”, სასამართლომ პატიმრის საყოფაცხოვრებო პირობები და გარემო, სადაც განმცხადებელი იყო განთავსებული შეაფასა, როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, კერძოდ განმცხადებელი მისთვის განკუთვნილ საცხოვრებელ ფართობს და პირობებს აღწერდა შემდეგნაირად: “მაგადანის IZ-47/1 წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაში მისი განცხადებით იგი იმყოფებოდა საკანში, რომლის საერთო ფართობიც შეადგენდა 17² მეტრს და რომელშიც განთავსებული იყო 8 ნარი, მიუხედავად ამისა საკანში თითქმის ყოველთვის იმყოფებოდა 24 პატიმარი, რომელთა 18-მდე შემცირება მხოლოდ რამდენჯერმე მოხდა, ისინი იძულებულნი იყვნენ და ეძინათ მორიგეობით, რადგან ერთ საწოლზე 3 პატიმარი მოდიოდა, სხვები იწვნენ ან ისხდნენ იატაკზე და ელოდნენ მათ ჯერს. საკანში ძილი პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, იმის გამო რომ ტელევიზორი ჩართული იყო დღეღამის განმავლობაში და მთელი დღე საკანში ინტენსიური მოძრაობა იყო. საკნის განათება მოზომილად იყო ჩართული. საკანი, რომელიც არ ნიავებოდა ზაფხულის განმავლობაში იყო აუტანლად ცხელი, ხოლო ზამთარში ცივი, საკანში არსებული ცუდი ჰაერის გამო პატიმრები იძულებული იყვნენ საკნის ფანჯარა მუდმივად ღია ჰქონოდათ. მწვევლების გარემოცვაში განმცხადებელი იძულებული იყო გამხდარიყო პასიური მწვეელი.”

მოცემულ საქმეში სასამართლო აფიქსირებს, რომ განმცხადებელი მაგადანის IZ-47/1 წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაში იმყოფებოდა 1995 წლის 25 ივნისიდან 1999 წლის 20 ოქტომბრამდე და 1999 წლის 9 დეკემბრიდან 2000 წლის ივნისამდე. სასამართლო აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების თანახმად კონვენციის

303 კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (განაცხადი 47095/99) Kalashnikov v. Russia (სტრასბურგი 15 ივლისი 2002 წელი) განაცხადი - 1998 წლის 1 დეკემბერი

304 კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (განაცხადი 47095/99) Kalashnikov v. Russia (სტრასბურგი 15 ივლისი 2002 წელი) განაცხადი - 1998 წლის 1 დეკემბერი

მოქმედება ვრცელდება იმ ფაქტებზე, რომლებსაც ადგილი ქონდა მისი ძალაში შესვლის შემდგომ, კონკრეტული სახლმწიფოს მიერ რატიფიკაციის შემდეგ. რუსეთის ფედერაციისთვის კონვენცია 1998 წლის 5 მაისს ძალაში შევიდა, თუმცა განმცხადებლის საპატიმრო პირობების შეფასებისას სასამართლო მხედველობაში მიიღებს პატიმრობის მთლიან პერიოდს მათ შორის ვადას 1998 წლის 5 მაისამდე.

სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განმცხადებელი მოთავსებული იყო 17² მეტრ (განმცხადებლის ინფორმაციით) და 20,8² მეტრ (მთავრობა) საკანში, რომელიც განკუთვნილი იყო 8 პატიმრისთვის. საკანში განთავსებული იყო 2 იარუსიანი საწოლები შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნული აღჭურვილობა მისაღებ სტანდარტებს, მოცემულ კონტექსტში სასამართლო აღნიშნავს, რომ წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა (წსკ) ერთი პატიმრის საშუალო პერსონალურ სივრცედ მიიჩნია 8² (იხ. 2nd General Report – CPT/inf (92) 3, &43), ე.ი. 8 პატიმრისთვის 56 კვ. მეტრი. მიუხედავად იმისა, რომ საკანი განკუთვნილი იყო 8 პატიმრისთვის, განმცხადებლის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად. პატიმართა რიცხვი მისი პატიმრობის პერიოდში მერყეობდა 18 დან 24 მდე. 1997 წლის 27 დეკემბერს იმყოფებოდა 21, 1999 წლის 8 იანვარს - 18. (საქმიდან პარაგრაფი 43; 73). სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მთვრობამ თავის მხრივ აღიარა, რომ გადატვირთულობის მიზეზით საპატიმროში 1 საწოლზე მოდიოდა საშუალოდ 2-3 პატიმარი.

სასამართლომ არ ჩათვალა აუცილებლად განმცხადებელსა და მთავრობას შორის მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებული უთანხმოების გარჩევა, წარმოდგენილი ციფრების თანახმად თითოეული პატიმრის პერსონალური სივრცე საშუალოდ 0,9-1,9 კვ მეტრი იყო, შესაბამისად საკანი გამუდმებით გადატვირთულ მდგომარეობაში იყო, რაც თავისთავად წინ სწევს მესამე მუხლის შესაძლო დაღვევის საკითხს.

სერიოზული გადატვირთულობის გამო პატიმრები იძულებულნი იყვნენ დაეძინათ რიგ-რიგობით 8 საათიანი ინტერვალებზე.

ბით, როგორც ეს გათავასუფლებების მოთხოვნით 1993 წლის 16 ივნისს გაკეთებულ მიმართვაში ჩანს, განმცხადებელი მოცემულ პერიოდში სანოლს უზიარებდა 2 თანამესაკნეს (საქმიდან №74). საკანში ძილი გართულებული იყო მუდმივი განათებისა და იმ ხმაურის გამო, რომელიც გამონვეული იყო პატიმართა დიდი რაოდენობით, შედეგად განვითარებულმა ძილის უკმარისობამ სავარაუდოდ ცუდი შედეგი იქონია პატიმრის ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე.

სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ადეკვატური ვენტილაციის არ არსებობის პირობებში პატიმართა დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, რომელთაც შეეძლოთ თამბაქოს მოხმარება მდგომარეობა კიდევ უფრო გაუსაძლისი ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი გაჰყავდათ ყოველდღიურ ერთ საათიან გასეირნებაზე, დარჩენილი დროის განმავლობაში იგი გამოკეტილი იყო ძალიან მცირე სივრცის მქონე საკანში.” ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლო საქმეში კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ დაადგინა დარღვევა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით.

პატიმრის/მსჯავრდებულის საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით, ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო პრაქტიკის განხილვა, სადაც ვხვდებით მიდგომებს, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ქართული კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტებისა და პრაქტიკისგან, მაგალითად საცხოვრებელ ფართობთან და პირობებთან მიმართებაში თუ განვიხილავთ ირლანდიის³⁰⁵ პრაქტიკას, სადაც ვხვდებით მსჯავრდებულთა განთავსებისას საკნის შესაბამისობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებას, რომლის მაჩვენებელია ის ფაქტორი, რომ აღნიშნული შესაბამისობის დამტკიცება წარმოადგენს მინისტრის კომპეტენციას, ასევე აღსანიშნავია თანამშრომლის გამოძახებისთვის საჭირო სამუალებების საკანში არსებობის სავალდებულოება, “მინისტრმა ციხის ან ციხის ნაწილთან მი-

305 Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007 “Prison Rules”., Published by the stationery office Dublin To be purchased directly from the Government Publications Office

მართებაში უნდა დაამტკიცოს, რომ საკანი ან ოთახი შესაბამისია მსჯავრდებულთა განთავსებისთვის, მისი ზომის, განათების, გათბობის, ვენტილაციის და მონყობილობის მიხედვით. მინისტრს შეუძლია დაადგინოს საკნებში განსათავსებელ პირთა მაქსიმალური რაოდენობა სპეციფიკის გათვალისწინებით. ყოველი საკანი ან ოთახი, სადაც განთავსებული არიან პატიმრები უნდა იყოს მონყობილი სპეციალური მექანიზმით, რომელი საშუალებითაც ჩაკეტილ მსჯავრდებულს შეუძლია მიიქციოს ციხის ოფიცრის ყურადღება და ეს მექანიზმი უნდა მუშაობდეს შეუზღუდავად.”

ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფა წარმოადგენს სასჯელის მოხდის აუცილებელ პირობას, რათა სასჯელის მოხდა არ იყოს დამამცირებელი და ღირსების შემლახავი და იგი გახდეს მსჯავრდებულის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და რესოციალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორი.

6.2 სუფთა ჰაერზე ყოფნა

პატიმართა უფლებების განხილვისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს მის უფლებას ადეკვატური დრო გაატაროს საკნის გარეთ, სუფთა ჰაერზე, რაც ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესანარჩუნებლად.

სუფთა ჰაერზე ყოფნის აუცილებლობის ხაზგასმას და შესაბამის სტანდარტებს ვხვდებით ენდროუ კოილის წიგნში “პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან”, სადაც იგი განმარტავს, რომ “ბევრი პატიმარი, განსაკუთრებით წინასწარ პატიმრობაში მყოფნი, დღის უდიდეს ნაწილს ატარებენ ჩაკეტილში, შედარებით ვიწრო გარემოში და სინათლესა და სუფთა ჰაერზე შეზღუდული ხელმისაწვდომობით. ამ პირობებში, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის მოსაზრებებიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ მათ მიეცეთ საკმარისი დრო ყოველდღიურად გარეთ ყოფნისთვის, აგრეთვე, სეირნობისა ან სხვა საქმის კეთებისთვის.

სუფთა ჰაერზე ყოფნის მინიმალური რეკომენდებული დროა

ერთი საათი დღეში. ამ პერიოდში პატიმრებს უნდა შეეძლოთ შედარებით ფართო ადგილას სეირნობა. ზოგ ქვეყანაში გავრცელებული პრაქტიკაა, რომ ყოველდღიურად თითო საათით დიდი რაოდენობით პატიმარი გაჰყავთ ვინრო, კედლებით შემოზღუდულ ეზოებში, რაც პრაქტიკულად იგივე საკანია, ოღონდ თავლია, არ აკმაყოფილებს ღია გარემოში ვარჯიშის შესაძლებლობის მიცემის ვალდებულებას. ღია გარემოში ვარჯიშის უფლება აქვს ყველა პატიმარს, მათ შორის მათაც, ვინც რაიმე ფორმით გამოცალკევებული ან დასჯილია.³⁰⁶

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს მსჯავრდებულის სუფთა ჰაერზე³⁰⁷ ყოფნის სტანდარტებს, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დაწესებულებებში მყოფი პირებისთვის, რომლებიც მიეკუთვნებიან დახურული ტიპის დაწესებულებებს და სადაც თავისუფლებააღკვეთილი პირები ძირითადად, დღელამის უმეტეს დროს განთავსებული არიან დახურულ საკნებში, კანონმდებლობა ასევე ადგენს სუფთა ჰაერზე ყოფნის წესსა და პირობებს, “ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს დღის განმავლობაში არანაკლებ 1 საათით სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლება. ბრალდებულის/მსჯავრდებულის გასეირნება ხდება დღის საათებში, პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მიერ საამისოდ გამოყოფილ ადგილზე. გასეირნება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.³⁰⁸”

საერთაშორისო სტანდარტების³⁰⁹ განხილვისას ვხვდებით სუფთა ჰაერზე ყოფნის დადგენილ მინიმალურ ზღვარს, თუმცა აღსანიშნავია, მიდგომის განსხვავებული ხასიათი, როდესაც სუფთა ჰაერზე ყოფნა ქართული კანონმდებლობისგან განსხ-

306 ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის, თბილისი, 2007 გვ. 70.

307 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 25. გასეირნება

308 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 14. ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებები, პუნქტი - ზ)

309 გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 21

ვაგებით არ მოიაზრებს მხოლოდ პირის საკნის გარეთ ყოფნას, არამედ მინიმალური სტანდარტული წესები ადგენს ვარჯიშის, ვარჯიშისთვის საჭირო აღჭურვილობის ქონის ვალდებულებას, ასევე მნიშვნელოვანია მიდგომა, რომელსაც მინიმალური სტანდარტული წესები განსაზღვრავს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით.

“იმ პატიმრებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული სუფთა ჰაერზე, გააჩნიათ მინიმუმ ერთი საათით მაინც ეზოში სათანადო ფიზიკური ვარჯიშის უფლება, თუ ამას ამინდი უწყობს ხელს. სათანადო ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვანი და სხვა პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ფიზიკური ვარჯიშის დროს – თამაშის შესაძლებლობით. ამისთვის საჭიროა სათანადო მოედნების, დანადგარებისა და ინვენტარის არსებობა.”

მინიმალური წესების მსგავსად ევროპის პენიტენციური წესებიც ადგენს სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც დაწესებულებებში უნდა მოხდეს ვარჯიშისა და დასვენების ხელშეწყობა, ასევე მნიშვნელოვანია წესებში მოცემული განმარტება თუ რა ალტერნატივა უნდა იქნას გათვალისწინებული ავდრის დროს, როცა მსჯავრდებულს არ შეუძლია იმყოფებოდეს ღია სივრცეში, ქართული კანონმდებლობა მიუხედავად გასეირნების უფლების კანონმდებლობით გამყარებისა არ საუბრობს ისეთ სპეციფიურ საჭიროებებზე, როგორცაა ავდრის დროს პატიმრებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა სუფთა ჰაერზე ყოფნის უზრუნველსაყოფად, თუმცა თუ ქართულ პრაქტიკას განვიხილავთ, ვხვდებით განსხვავებულ რეალობას, როდესაც დაწესებულებების უმრავლესობაში, სასეირნო ეზოები აღჭურვილია ნაწილობრივ გადახურული სივრცით, რომელიც იძლევა უამინდობისას დახურულ სივრცეში სეირნობის შესაძლებლობას. ევროპული ციხის წესების თანახმად “ყოველ პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ყოველდღიურად მინიმუმ ერთი საათი მაინც ივარჯიშოს სუფთა ჰაერზე, თუ ამინდი იძლევა ამის საშუალებას. ავდრის პირობებში, პატიმრებს ალტერნატიული შესაძლებლობა უნდა მიეცეთ სავარჯიშოდ. სათანადოდ ორგა-

ნიზებული ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს სიჯანსაღეს და უზრუნველყოფს ფიზიკურ ვარჯიშსა და დასვენებას, უნდა წარმოადგენდეს რეჟიმის განუყოფელ ნაწილს³¹⁰.”

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვან და ეროვნული კანონმდებლობისგან განსხვავებულ მიდგომებს ვხვდებით საერთაშორისო პრაქტიკის განხილვისას, კერძოდ ირლანდიის პრაქტიკაში მსჯავრდებულის სუფთა ჰაერზე ყოფნასთან³¹¹ დაკავშირებით, მნიშვნელოვანია სუფთა ჰაერზე ყოფნის დადგენილი პერიოდულობა კვირის განმავლობაში და ასევე ხანგრძლივობა, რომელიც საკმაოდ მოცულობითია ქართული პრაქტიკისგან განსხვავებით, კერძოდ ირლანდიის პრაქტიკის მიხედვით - კვირაში მინიმუმ 5 დღე. დღეში 5 საათი პირი უნდა იმყოფებოდეს საკნის გარეთ და ასევე გარდა ვარჯიშისა და სუფთა ჰაერზე ყოფნისა მას ამ პერიოდში უნდა ქონდეს შესაძლებლობა ურთიერთობა იქონიოს სხვა პატიმრებთან, რაც მკვეთრად განსხვავდება ქართული პრაქტიკისგან, რომლის მიხედვითაც დახურული ტიპის დაწესებულებებში მსჯავრდებულებს არა აქვთ უფლება ურთიერთობა იქონიონ სხვა საკანში განთავსებულ მსჯავრდებულთან.

„ყოველ მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს უფლება, გაატაროს საკნის გარეთ იმდენი თავისუფალი დრო რამდენიც პრაქტიკულად შესაძლებელია და ადმინისტრაციის შეხედულებისამებრ იქონიოს ურთიერთობა სხვა მსჯავრდებულებთან. ყოველ მსჯავრდებულს, რომელიც იმყოფება ციხეში უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ ისეთ აქტივობებში, როგორიცაა მუშაობა, განათლება, პროფესიული სწავლება და ისეთი პროგრამები, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი დანაშაულის თავიდან არიდებას და მსჯავრდებულის ხელახალ ინტეგრაციას საზოგადოებაში. ყოველი მსჯავრდებული, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შე-

310 ევროპის ციხის წესები, ვარჯიში და დასვენება წესი -27.1

311 Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007 „Prison Rules“. Published by the stationery office Dublin To be purchased directly from the Government Publications Office

საძლებელია უნდა იყოს ჩართული სტრუქტურირებულ აქტივობაში არანაკლებ 5 საათისა კვირაში 5 დღე.”

6.3. ჰიგიენა

საპატიმრო დაწესებულებებში ჰიგიენური პირობების დაცვა მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სასჯელის მოხდის ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად, რათა უზრუნველყოფილი იყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პირობები, ასევე არ შეილახოს ადამიანის ღირსება მოცემულ პერიოდში.

ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ყურადღება დაუთმოს ევროპის სასამართლო პრაქტიკას, სადაც არაერთ საქმეს ვხვდებით, რომელიც უკავშირდებოდა ციხეში არასათანადო ჰიგიენური პირობების არსებობა და სწორედ აღნიშნული პირობებიდან გამომდინარე შფასებულ იქნა, როგორც მე-3 მუხლის დარღვევა. ასეთი საქმეების რიცხვში ვხვდებით საქმეებს საქართველოს წინააღმდეგ, კერძოდ, კობრეიძე და რამიშვილი საქართველოს წინააღმდეგ³¹², სადაც საქმის აღწერილობიდან დგინდება, რომ “2006 წლის 11 იანვარს რამიშვილი ჩვეულებრივი საკნიდან გადაიყვანეს კარცერში. ეს იყო დისციპლინური ღონისძიება მობილური ტელეფონის გამოყენებისთვის. კარცერი ფართით 5,65 მ²; სადაც ის იმყოფება სხვა პირთან ერთად, საკანი გათვალისწინებული იყო ერთი პირისთვის. რამიშვილმა თავის საჩივარში ადმინისტრაციას განუცხადა კარცერში არსებულ პირობებზე. მან განმარტა, რომ საკანი სავსე იყო მწერებითა და მღრღნელებით, კარცერს არ ჰქონდა ფანჯარა და ვენტილაცია, რის გამოც იგი იყო ნესტიანი. ონკანიდან 24 საათის განმავლობაში უწყვეტად მოედინებოდა წყალი, რაც იწვევდა ხმაურს. კარცერის კუთხეში მოთავსებული იყო ვიწრო მილსადენი, რომელსაც საპირფარეოს დანიშნულება ჰქონდა, იგი არ იყო გამოყოფილი და საშინელი სუნი იდგა. კარცერში იყო პარაზიტებით ინფიცირებული ერ-

312 CASE of RAMISHVILI And KOKHREIDZE v. GEORGIA (#1704/06)

თადერთი საწოლი, რომელიც თავისი ზომებით არ იყო გათვალისწინებული ორი ადამიანისთვის.”

ევროპის სასამართლომ საქმეზე კოხრეიძე და რამიშვილი საქართველოს წინააღმდეგ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, კერძოდ “სასამართლომ აღნიშნა, რომ ბატონ რამიშვილს უნდა ესარგებლა 120 სმ სიგანის მქონე საწოლით უცნობ ადამიანთან ერთად, უფრო მეტიც, საკანში იყო ღია საპირფარეშო, რომლის გამოყენების დროსაც სხვა პატიმარს შეეძლო ეყურებინა მისთვის. კარცერში მისი ყოფნის პერიოდში საერთოდ არ იყო დაცული განცალკევების ელემენტარული პირობები. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ იქ არსებული სანიტარული პირობები ყოვლად მიუღებელი იყო და დაადგინა, რომ აპლიკანტი იმყოფებოდა არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებში, რითაც დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

ციხეში ჰიგიენის დაცვის საკითხის განხილვისას, როგორც საერთაშორისო სტანდარტებში, ასევე საქართველოს კანონმდებლობაში ვხვდებით დათქმებს, რომლებიც ორიენტირებულია სასჯელალსრულების დაწესებულებებში შესაბამისი ჰიგიენის პირობების უზრუნველყოფასა და მის დაცვაზე. პატიმრობის კოდექსი განსაზღვრავს თუ როგორი სტანდარტი უნდა იყოს შექმნილი დაწესებულებებში ჰიგიენის დაცვასთან დაკავშირებით.

„ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნები და დაიცვას პირადი ჰიგიენა პატივისა და ღირსების შეუღალხავად. როგორც წესი, ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს შხაპის კვირაში ორჯერ მიღების შესაძლებლობით, ასევე საპარაკმახერო მომსახურებით არანაკლებ თვეში ერთხელ. ადმინისტრაციას ეკრძალება მოსთხოვოს ბრალდებულს/მსჯავრდებულს თმის მთლიანი გადაპარსვა, თუ არ არსებობს ექიმის მოთხოვნა ან ჰიგიენური აუცილებლობა³¹³.”

საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში ვხვ-

313 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 21. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი ჰიგიენა

დებით უფრო კონკრეტულ მოთხოვნებს ჰიგიენურ პირობებთან და საჭიროებებთან დაკავშირებით, როგორცაა სანიტარული კვანძებისა და საშხაპების გონივრული რაოდენობა და სხვა საჭირო ნივთები, რომელიც უნდა გააჩნდეს პატიმრებს ჰიგიენის დაცვის უზრუნველყოფისთვის.

„სანიტარული მოწყობილობები საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ თითოეულმა პატიმარმა შეძლოს თავისი ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მაშინ, როდესაც ეს მას სჭირდება სისუფთავისა და წესიერების პირობებში³¹⁴.“

მინიმალურ სტანდარტულ წესებში განერილია პატიმრების ვალდებულება დაიცვან ჰიგიენა “საბანაო მოწყობილობანი და შხაპების რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს იმისათვის რომ ყოველ პატიმარს შეეძლოს და იყოს ვალდებული იბანოს ან მიიღოს შხაპი შესაბამის ტემპერატურაზე (კლიმატის მიხედვით) და ისეთი სიხშირით, როგორც ამას მოითხოვს ჰიგიენის საერთო პირობები, წლის პერიოდისა და გეოგრაფიული რაიონის გათვალისწინებით, ანუ ზომიერი კლიმატის პირობებში - კვირაში ერთხელ მაინც. დანესებულების ყველა იმ ნაწილში, რომლითაც პატიმრები რეგულარულად სარგებლობენ, უნდა იყოს სათანადო წესრიგი და განსაკუთრებული სისუფთავე. პატიმრებს მოეთხოვებათ, რომ ყოველთვის იყვნენ სუფთად, ამისთვის საჭიროა მათი მომარაგება წყლით და პირადი ტუალეტისთვის საჭირო ისეთი ნივთებით, რომლებიც აუცილებელია სისუფთავისა და ჯანმრთელობის დასაცავად.

მინიმალურ სტანდარტულ წესებში ასახულია არა მხოლოდ საცხოვრებელი სადგომის და გარემოს სისუფთავის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნები, არამედ მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პატიმრის პირადი ჰიგიენის და გარეგნული იერის შენარჩუნების ხელშეწყობას, “იმისათვის რომ პატიმრებმა შეძლონ ისეთი გარეგნული იერის შენარჩუნება, რომელიც თავსებადი იქნება ადამიანურ ღირსებასთან, მათ უნდა მიეცეთ საშუალება იზრუნონ თავიანთ ვარცხნილობაზე და სურვილის შემთხვევაში ჰქონდეთ რეგულარულად გაპარსვის საშუალება.”

314 გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, ნესი 12 - 16

ევროპული ციხის წესები³¹⁵ ყურადღებას უთმობს ციხის ტერიტორიაზე არსებული ყველა ადგილის სუფთად შენახვის აუცილებლობასა და პატიმრის მიღების დროს იმ საკნების პირობებზე, სადაც უნდა მოხდეს მსჯავრდებულების განთავსება "როდესაც პატიმრები მიჰყავთ ციხეში, სუფთა უნდა იყოს ის საკნები და სხვა განყოფილებები, სადაც პატიმართა განთავსება ხდება", ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპული პენიტენციალური წესების განმარტება სანიტარულ სადგომებთან დაკავშირებით, რომელიც წესების თანახმად განმარტოების საშუალებას უნდა იძლეოდეს „პატიმრებს იოლად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი სანიტარულ სადგომებზე, რომლებიც ჰიგიენურია და განმარტოების საშუალებას იძლევა“, აღნიშნული მიდგომა განხილულ იქნა სახელმძღვანელოში ევროპის სასამართლო საქმის "კობრეიძე და რამიშვილი საქართველოს წინააღმდეგ" განხილვისას, კერძოდ ევროპული ციხის წესების თანახმად "ციხის ყოველი ნაწილი უნდა იყოს შენახული სათანადოდ სუფთა მდგომარეობაში. უნდა მოხდეს ადეკვატური სამყოფლის უზრუნველყოფა, რათა ყოველმა პატიმარმა შეძლოს შხაპით ან აბაზანით სარგებლობა კლიმატისადმი შესატყვისი ტემპერატურის პირობებში, თუ ეს შესაძლებელია – დღიურად, ან კვირაში ორჯერ მაინც (თუ საჭიროა, უფრო ხშირადაც), ზოგადი ჰიგიენის ინტერესებიდან გამომდინარე."

ევროპულ ციხის წესები განიხილავს აგრეთვე ქალთა სპეციფიური საჭიროების გათვალისწინების აუცილებლობას - "უნდა მოხდეს ქალთა სანიტარული საჭიროებების სპეციალური უზრუნველყოფა."

ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტის განხილვისას, როგორცაა პატიმართა ჰიგიენური პირობებისა და გარემოს უზრუნველყოფა, საინტერესოა საერთაშორისო პრაქტიკის განხილვა, სადაც ჰიგიენასთან მიმართებაში რამდენიმე მნიშვნელოვან, საქართველოსგან განსხვავებულ მიდგომას ვხვდებით, ირლანდიის პრაქტიკის მიხედვით ერთ-ერთ ასეთ მიდგომას წარმოადგენს სამრეცხაოსა და სანიტარული კვანძების მოწყობა საკნებ-

315 ევროპული ციხის წესები, წესი 19.1-19.7

ში³¹⁶ „რამდენადაც ეს შესაძლებელია სანიტარული კვანძები და სამრეცხაო უნდა იყოს მოწყობილი მსჯავრდებულის საკანში/ოთახში, სადაც ადეკვატური სანიტარული კვანძი და სამრეცხაო არ არის მიწოდებული საკანში/ოთახში, მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული ხელმისაწვდომობა სანიტარულ კვანძებსა და სამრეცხაოზე.“

ირლანდიის პრაქტიკის განხილვისას ასევე ყურადღებას იპყრობს მიდგომა აბანოსა და ცხელი დუშის გამოყენებასთან დაკავშირებით, როდესაც ეს კომპონენტი მოაზრებულია, როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნების ერთ-ერთი ფაქტორი³¹⁷, ასევე აღსანიშნავია ციხის ვალდებულება უზრუნველყოს მსჯავრდებული უფასო ტუალეტის საშუალებებით, რაც საჭიროა ჰიგიენისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. „ნებისმიერ პატიმარს უნდა ჰქონდეს ცხელი აბანოს ან დუშის ხელმისაწვდომობა გამონაკლისის გარეშე, თუ ამას არ მოითხოვს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. მსჯავრდებულს უფლება აქვს მიიღოს ცხელი დუში იმდენად ხშირად რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, მაგრამ მას შეუძლია მოითხოვოს ცხელი დუში არანაკლებ კვირაში ერთხელ.“ აქვე ირლანდიის პრაქტიკაში ადგილი ეთმობა მსჯავრდებულის ვალდებულებებს³¹⁸ სუფთად და წესრიგში იქონიოს ჰიგიენის საშუალებები და ის ნივთები, რომლებიც მას თან აქვს, „მსჯავრდებული ვალდებულია იქონიოს საკანი/ოთახი, ჭურჭელი, წიგნები, ტანსაცმელი, ლოგინი და თეთრეული და სხვა ნივთები რომელსაც ის იყენებს სუფთა და დალაგებულ მდგომარეობაში.“

ჰიგიენის პირობების განხილვისას საერთაშორისო პრაქტიკის ნაწილში ყურადღებას იპყრობს ესტონეთის პრაქტიკა, კერ-

316 Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007 ~Prison Rules”, Published by the stationery office Dublin To be purchased directly from the Government Publications Office 24, 25.2

317 Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007 ~Prison Rules”. Published by the stationery office Dublin To be purchased directly from the Government Publications Office

318 იქვე

ძოდ დათქმა ჰიგიენის საშუალებების უფასოდ³¹⁹ მიწოდებასთან დაკავშირებით იმ პირებისთვის, რომლებიც არ არიან ეკონომიურად უზრუნველყოფილი. მოცემული კომპონენტი თავისი თვისობრივი ნიშნით ყურადღებას იპყრობს, როგორც შესაძლო დისკრიმინაციული მიდგომის აღმოფხვრის ერთ-ერთი გზა, “მცირედ უზრუნველყოფილ მსჯავრდებულს თუ არ გააჩნია ჰიგიენის საშუალებები, ან არა აქვს თანხა მის შესაძენად, მას შეუძლია ციხის ადმინისტრაციას მიმართოს განცხადებით მარტის, ივნისის, სექტემბრის და დეკემბრის ბოლო კვირას, განცხადებაში ნათლად უნდა იკითხებოდეს და მოიცავდეს სახელი (ბეჭდური ასოებით) დაბადების თარიღი, შენობის დასახელება და საკნის ნომერი.”, საინტერსოა ესტონეთის პრაქტიკა პატიმრის შერჩევის პროცესთან მიმართებაში, როგორც ნაკლებად უზრუნველყოფილი, კერძოდ - შერჩევა ხდება მის ანგარიშზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩარიცხული თანხის მიხედვით “განცხადება ჰიგიენური საშუალებების პაკეტის მიღების შესახებ დაკმაყოფილდება თუ განმცხადებლის ანგარიშზე განცხადების შეტანამდე 3 თვის განმავლობაში იყო არაუმეტეს 9.60 ევროსი”. კანონმდებობა ასევე ადგენს გაცემის პერიოდულობას და რეგულირებას, როგორც დაწესებულებაში მყოფი, ასევე ახლადმიღებული პატიმრის მიმართ, “დადებითი პასუხის შემთხვევაში იგი გაიცემა კვარტალში ერთხელ გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია განცხადების საფუძველზე გასცეს საკონტაქტო პირმა. თუ მსჯავრდებული ციხეში შედის კვარტლის შუაში და მას არ აქვს ჰიგიენური საშუალებები ამ შემთხვევაში მას დაუყოვნებლივ გადაეცემა აუცილებელი ჰიგიენური საშუალებები. მსჯავრდებულს რომელსაც ჰიგიენის საშუალებები გადაეცათ დაწესებულებაში შემოსვლისას მას კვარტალის დასრულებამდე არა აქვს განაცხადის გაკეთების უფლება.”

ციხეში ჰიგიენური პირობების დაცვის განსაკუთრებულ საჭიროებაზე და მნიშვნელობაზე უთითებს ევროპის სასამართლოს განხილული საქმე კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ,

319 Правила внутреннего распорядка Вирусной тюрьмы, Утверждено Приказом директора Вирусной тюрьмы, № 1-1/19 от 30.23.01.2013 г. №1ХВИ, 11.3

საქმეში³²⁰ ევროპის სასამართლო ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს იმ ჰიგიენურ პირობებზე, რომელშიც განმცხადებელი და მისი თანამოსაკნეები იმყოფებოდნენ ციხეში ყოფნის დროს. “განმცხადებლის ინფორმაცია: საკნის კუთხეში განთავსებული საპირფარეო განცალკევების შესაძლებლობას არ იძლეოდა. მცირე ზომის გამყოფი კედელი საპირფარეოს ყოფდა ხელსაბანისგან, მაგრამ არა საკნის დანარჩენი საცხოვრებელი ფართიდან და სასადილო მაგიდიდან. საპირფარეო განთავსებული იყო იატაკიდან 0,5 მეტრი სიმაღლეზე, მაშინ როცა გამყოფი კედლის სიმაღლე 1.1 მეტრი იყო, შესაბამისად, პატიმარი ბუნებრივ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდა სხვა პატიმრების და ციხის ზედამხედველის თვალწინ, რომელიც საკანს კარის საზედამხედველო ხვრელიდან ადევნებდა თვალყურს. საკანი სავსე იყო ტარაკნებითა და ჭიანჭველებით, რომელთა გასანადგურებლად არავითარი ზომები არ მიუღიათ, ერთადერთი სადეზინფექციო საშუალება იყო ერთი ლიტრი ქლორიანი წყალი, რომელიც პატიმრებს კვირაში ერთხელ ტუალეტის დეზინფექციისთვის ეძლეოდათ.

სასამართლო მოცემულ საქმესთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ განმცხადებლის საკანში არსებული მკბენარების გასანადგურებლად სანიტარული ღონისძიებები არ ხორციელდებოდა. მთავრობამ მოცემული პრობლემები აღიარა და აღნიშნა, რომ მინისტრის 1989 წ. ბრძანების საფუძველზე ციხის ადმინისტრაცია ვალდებული იყო მიეღო ზომები დაწესებულების მკბენარი მწერებისგან განმენდის მიზნით, თუმცა განმცხადებლის საკანში აღნიშნული ზომები არ განხორციელებულა. საკანში არსებულ სანიტარულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა საპირფარეოს 1.1 მეტრი სიმაღლის გამყოფი კედელი, რომელიც საპირფარეოსა და ხელსაბანს შორის იყო. იგი ვერ უზრუნველყოფდა საპირფარეოს საცხოვრებელი სივრცისგან გამიჯვნას, შესაბამისად, განმცხადებელი იძულებული იყო ბუნებრივი მოთხოვნილებები სხვა პატიმრების თვალწინ დაეკმაყოფილებინა.

320 კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (განაცხადი 47095/99) Kalashnikov v. Russia (სტრასბურგი 15 ივლისი 2002 წელი) განაცხადი - 1998 წლის 1 დეკემბერი

მთავრობის მიერ წარმოდგენილ ფოტოებზე ჩანს ბინძური საკანი მსგავსი საპირფარეოებით.”

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ საქმეში “კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ” დაადგინა მე-3 მუხლის დაღვევა.

ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია, როგორც სასჯელის მოხდის ღირსეული პირობების, ასევე პატიმართა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად.

6.4 თეთრეული და ტანსაცმელი

პატიმართა თეთრეულითა და ტანსაცმელით მომარაგების თვალსაზრისით შესაბამის მიდგომებს ვხვდებით, როგორც ეროვნულ კანონმდებლობაში, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტებში, თუმცა შესაბამისად ვხვდებით განსხვავებულ მიდგომებს, რომელიც მნიშვნელოვანია პატიმართა სასჯელის მოხდის ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად.

ენდროუ კოილი წიგნში „პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან“ განმარტავს, რომ “საერთაშორისო სტანდარტები სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, პატიმარი უზრუნველყოს ისეთი ტანსაცმლით, რომელიც საკმარისია სითბოს ან სიგრილის შესანარჩუნებლად, მისი ჯანმრთელობის მოთხოვნილების მიხედვით. ამავე სტანდარტებით, აკრძალულია პატიმრების დამამცირებელი ან შეურაცხყოფელი ტანსაცმლით შემოსვა. ეს სტანდარტები აგრეთვე ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყონ ტანსაცმლის სუფთად და ჰიგიენურად შენარჩუნება ან უზრუნველყონ პატიმრები ასეთი საშუალებებით. ციხის უნიფორმა არ უნდა იყოს დამსჯელი ღონისძიების ნაწილი და არც პატიმრის დასამცირებლად იყოს გამიზნული. ამიტომ, ციხის ადმინისტრაციებმა მიატოვეს ის არასაჭირო პრაქტიკა, როდესაც პატიმრებისგან ისრებიანი და ზოლებიანი უნიფორმის ტარებას მოითხოვდნენ. სანოლი და თეთრეული შეიძლება სხვადასხვა იყოს ადგილობრივი ტრადიციიდან გამომდინარე. ბევრ ქვეყა-

ნაში ნორმად ითვლება ანეულ სანოლზე ძილი. სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით, თბილი კლიმატის რეგიონებში, შეიძლება გავრცელებული იყოს პირდაპირ მინაზე სანოლის გაშლის ან ნოხის დაგების ჩვეულება. პატიმრების სანოლიც ადგილობრივი ჩვეულების მიხედვით უნდა მოეწყოს. მთავარია, რომ ყველა პატიმარს ჰქონდეს საკუთარი სანოლი ან სასანოლე ნოხი, სუფთა თეთრეული და საკუთარი საძინებელი ფართი.³²¹

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს, რომ ბრალდებული/მსჯავრდებული უნდა იყოს უზრუნველყოფილი, როგორც ტანსაცმლით ასევე ლოგინის მოწყობილობით, კერძოდ თუ მათ პირადი ტანსაცმელი არ გააჩნიათ ციხის ადმინისტრაციის ვალდებულებაში გადადის მათი უზრუნველყოფა. კანონმდებლობა განმარტავს, რომ თუ ბრალდებულს ან მსჯავრდებულს არ აქვს სეზონის შესაბამისი ტანსაცმელი, მას ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ტანსაცმლით³²², რომელიც გარდა იმისა, რომ უნდა იყოს სეზონის შესაბამისი, ამასთან არ უნდა ლახავდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, ასევე უნდა გადაეცეს თეთრეული და მსჯავრდებულებს ადმინისტრაციის გადანყვეტილებით შესაძლებელია დაევალოს სპეციალური ტანსაცმლის ტარება. „თუ ბრალდებულს/მსჯავრდებულს არა აქვს პირადი ტანსაცმელი, ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მას სეზონის შესაფერისი სპეციალური ტანსაცმლით, რომელიც თავისი ფორმით არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას. აუცილებლობის შემთხვევაში მსჯავრდებულს ეძლევა სამუშაო ტანსაცმელი. ბრალდებულს/მსჯავრდებულს პირად სარგებლობაში უნდა ჰქონდეს სანოლი და თეთრეული, რომელიც მას უნდა გადაეცეს სუფთა და დაუზიანებელი. ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს თეთრეულის სისუფთავე. ადმინისტრაციას შეუძლია მსჯავრდებულს მისცეს სპეციალური ტანსაცმელი, რომელიც თავისი ფორმით არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას. ბრალდებუ-

321 ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის, თბილისი, 2007 გვ. 69

322 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 22. ბრალდებულის/მსჯავრდებულის ტანსაცმელი და თეთრეული

ლისთვის/მსჯავრდებულისთვის სპეციალური ტანსაცმლის ტარება სავალდებულოა.”

მოცემულ ნაწილში ქართული კანონმდებლობის მოთხოვნები შეესატყვისება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, თუმცა გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები³²³ ხაზს უსვამს შემთხვევას, თუ მსჯავრდებულს არა აქვს სამოქალაქო ტანსაცმლის ტარების უფლება, მას უნდა მიენოდოს შესაბამისი ტანსაცმელი. „პატიმრებს, რომლებსაც არა აქვთ სამოქალაქო ტანსაცმლის ტარების უფლება, უნდა მისცენ სპეციალური ტანსაცმელი, რომელიც შეესაბამება მოცემულ კლიმატს და ხელს შეუწყობს მათი ჯანმრთელობის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში შენარჩუნებას. ეს ტანსაცმელი არ უნდა ატარებდეს შეურაცხყოფელ ან დამამცირებელ ხასიათს. ტანსაცმელი უნდა ინახებოდეს სუფთად და მოწესრიგებულად. რეცხვა და თეთრეულის გაცემა უნდა ხდებოდეს ჰიგიენის მოთხოვნის შესაბამისად. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც პატიმარი ხელისუფლების წარმომადგენელთა ნებართვით ტოვებს დაწესებულებას, მას უნდა დაერთოს საკუთარი ან სხვა ისეთი ტანსაცმლის ჩაცმის ნება, რომელიც არ იქნება თვალშისაცემი.”

მნიშვნელოვანია მინიმალურ სტანდარტულ წესებში სპეციალური წესების არსებობა თეთრეულთან და ქვეშაგებთან მიმართებაში, ასევე წესები, რომლებიც მკაცრად გამორიცხავს ციხეში ისეთი ტიპის გადატვირთულობას, როდესაც მსჯავრდებულს შესაძლებელია არ ჰქონდეს ინდივიდუალური საწოლი, „ყოველი პატიმარი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ცალკე საწოლით ადგილობრივი და ეროვნული ნორმების შესაბამისად, აგრეთვე ცალკე თეთრეულით, რომელიც გაცემის მომენტში უნდა იყოს სუფთა და სისუფთავის შენარჩუნების მიზნით ხშირად იცვლებოდეს.”

ევროპის ციხის წესები მოცემულ თავში “ტანსაცმელი და ქვეშაგები”³²⁴ ასევე ადგენს მსჯავრდებულისთვის სეზონის შესაბამისი ტანსაცმლით უზრუნველყოფის ვალდებულებას მისი

323 პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 17

324 ევროპის ციხის წესები, თავი - ტანსაცმელი და ქვეშაგები, წესი 20.1 - 21

არქონის შემთხვევაში, თუმცა აქვე აღსანიშნავია მიდგომა, რომელსაც ევროპის ციხის წესები ადგენს იმ შემთხვევისთვის, როდესაც პირი შესაძლებელია გაყვანილ იქნას დაწესებულებიდან, რა შემთხვევაშიც ტანსაცმელი არ უნდა უსმევდეს ხაზს მის სტატუსს, რაც მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული, როგორც მის ადამიანურ ღირსებასთან, ასევე უკაშირდება მის უსაფრთხოებას, “პატიმრები, რომელთაც არა აქვთ სათანადო ტანსაცმელი, ან არ გააჩნიათ საკუთარი სამოსი, უზრუნველყოფილი უნდა იქნან კლიმატის შესაბამისი ტანსაცმლით. ამგვარი ტანსაცმელი არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი ან ღირსების დამამცირებელი. ყველა ტანსაცმელი კარგ მდგომარეობაში უნდა იყოს შენარჩუნებული და, საჭიროებისამებრ, შეიცვალოს. პატიმრებს, რომელთაც ეძლევათ ციხიდან გასვლის ნებართვა, არ უნდა მოეთხოვოთ ისეთი ტანსაცმლის ტარება, რომელიც შესამჩნევს გახდის მათ სტატუსს. ყოველი პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკე საწოლით და ცალკე ქვეშაგებით, რომელიც მოწესრიგებულ მდგომარეობაში უნდა იქონიოს და შეიცვალოს იმდენად ხშირად, რომ მისი სისუფთავე იყოს დაცული.”

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, შერჩეული ქვეყნებიდან, ირლანდიის პრაქტიკა მოცემულ თავში მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული მიდგომებისგან, თუმცა აღსანიშნავია დეტალური აღწერა იმ შემთხვევისა, როდესაც მსჯავრდებულს უფლება არა აქვს გამოიყენოს პირადი ტანსაცმელი³²⁵, “მსჯავრდებულს შეუძლია ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ყოფნის პირობებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით ატაროს პირადი ტანსაცმელი, ციხეში, ასევე როდესაც ის მიდის სასამართლოზე ან სხვა მიზეზით გადის დაწესებულების გარეთ, თუ: ტანსაცმელი აკმაყოფილებს სისუფთავის პირობებს; ტანსაცმელი ადეკვატურია ტემპერატურისა და ჯანმრთელობისთვის; ტანსაცმელი არ უნდა იყოს შენახული როგორც დანაშაულის ნივთმტკიცება ან დისციპლინური დარღვევის ნივთმტკიცება; მსჯავრდებულს

325 Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007 “Prison Rules”. Published by the stationery office Dublin To be purchased directly from the Government Publications Office

უფლება აქვს რეგულარულად გამოიცივლოს ტანსაცმელი მათ შორის საცვლები.”

ესტონეთის პრაქტიკის განხილვისას მნიშვნელოვანია ასევე დეტალური აღწერა³²⁶ ტანსაცმლისა და თეთრეულის მოვლისადმი, რომელიც განმარტავს, თუ რა შემთხვევაში უზრუნველყოფს ადმინისტრაცია პატიმრებს ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის უფასო რეცხვითა და შეკეთებით, რა ნივთები მიიღება სარეცხად და რა არ მიიღება “ციხის მიერ გაცემული თეთრეულის, პირსახოცის და სამუშაო ტანსაცმლის რეცხვა და შეკეთება უფასოა. ერთ ჯერზე სარეცხად შეიძლება ჩაბარდეს ციხის მიერ გაცემული ტანსაცმლის 50%. სარეცხში არ მიიღება ქვედა საცვალი, წინდები, ბენვისა და ტყავის ნივთები, ასევე ზედა ტანსაცმელი, რომელიც სამრეცხაოში შეიძლება მიიღონ გამონაკლის შემთხვევებში, როცა მსჯავრდებული თავისი ხელმოწერით დაადასტურებს განცხადებაში, რომ მან იცის გარეცხვის შედეგად შესაძლო მოსალოდნელი შედეგების შესახებ (ფერის ცვლა, ნაჭრის განელვა ან შევიწროება და სხვა).

ციხე უზრუნველყოფს მსჯავრდებულისთვის თეთრეულის შეცვლას, პირსახოცისა და ციხის ტანსაცმლის, როგორც წესი ყოველი მე-14 დღის შემდეგ. საბანი და ბალიში იცვლება წელიწადში ერთხელ, ლეიბი აუცილებლობის შემთხვევაში. საფუძვლიან შემთხვევაში მსჯავრდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თეთრეულის, საბნის, ბალიშის და ლეიბის შეცვლა. თუ მსჯავრდებულს არ შეუძლია თეთრეულის შეცვლის დროს იმყოფებოდეს საკანში, ამ შემთხვევაში ის ტოვებს თავის თეთრეულს დაკეცილს სანოლის ფეხებთან თვალსაჩინო ადგილზე. სარეცხი საშუალებების შეძენის ხარჯებს, რომელიც საჭიროა პირადი ნივთების გასარეცხად იხდის მსჯავრდებული. სარეცხი საშუალებები იყიდება ციხის მაღაზიაში. მსჯავრდებულს შეუძლია პირადი ტანსაცმელი ჩააბაროს გასარეცხად სამრეცხაოში, ამ შემთხვევაში ის ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი ანაზღაურება წინასწარ დადგენილი პრეისკურანტის მეშვეობით.”

ევროპის სასამართლო საქმეების განხილვისას ასევე ვხვ-

326 Правила внутреннего распорядка Вирусной тюрьмы, Утверждено Приказом директора Вирусной тюрьмы, № 1-1/19 от 30.23.01.2013 г. ЙЫХВИ,

დებით ციხეში არსებულ პრობლემებს თეთრეულთან და ტან-საცმელთან მიმართებაში, რომელიც სასამართლომ ჩათვალა დარღვევად, მაგალითად საქმეში კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ³²⁷, განმცხადებელი ეხება თეთრეულის, ტანსაცმლისა და სასადილო ნივთების მიწოდების დროს არსებულ ხარვეზებს. “იგი აცხადებს, რომ მისთვის არასოდეს მიუციათ ნორმალური თეთრეული და სასადილო ნივთები, რომელსაც იგი ხშირად საკუთარი თანამესაკენებისგან თხოულობდა.”

6.5 კვება

კვების ორგანიზება და პატიმართა საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა სასჯელაღსრულების სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულებაა, რომელიც პირდაპირ აისახება პატიმართა ჯანმრთელობაზე და ნორმალური პირობების უზრუნველყოფაზე. აღნიშნულ სფეროს ეხმიანება ენდროუ კოილი თავის სახელმძღვანელოში, როდესაც ის განმარტავს კვების უზრუნველყოფის პირობებს და მნიშვნელობას სასჯელის მოხდის პერიოდში - “ზრუნვის ერთ-ერთი უძირითადესი ვალდებულებაა ის, რომ ციხის ადმინისტრაციამ ყველა პატიმარი უზრუნველყოს საკმარისი საკვებით და სასმელით, რათა პატიმრები არ იტანჯებოდნენ შიმშილით ან არასაკმარისი კვებით გამოწვეული ავადმყოფობებით. ადამიანებისთვის თავისუფლების ჩამორთმევით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ჯეროვნად იზრუნოს მათზე. ეს აბსოლუტური მოვალეობაა, რომლიდან გადახვევა დაუშვებელია. საკვების უკმარისობის შემთხვევაში, ციხის ადმინისტრაციამ ყველა ღონეს უნდა მიმართოს იმისათვის, რომ ციხის შიგნით ან ციხის კუთვნილი მიწა გამოიყენოს დასამუშავებლად და ორგანიზება გაუწიოს პატიმრების დასაქმებას ამ კუთხით. “მაღავიში ციხის ადმინისტრაციამ, არასამთავრობო ორგანიზაცია “ციხის საერთაშორისო რეფორმასთან” მჭიდრო თანამშრომლობით, შეიმუშავა ციხის მეურნეობების და

327 კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (განაცხადი 47095/99) Kalashnikov v. Russia (სტრასბურგი 15 ივლისი 2002 წელი) განაცხადი - 1998 წლის 1 დეკემბერი

მათი პროდუქტიულობის გაუმჯობესების პროექტი. ეს ამ ქვეყნის ციხეებს ეხმარება საკვები პროდუქტებით თვითმომარაგებაში, პატიმრების, ციხის თანამშრომლებისა და მათი ოჯახების გამოკვებაში, აგრეთვე, პატიმრებისთვის სოფლის მეურნეობის საქმის სწავლებაში. საკვები უნდა მიეწოდოს რეგულარულად განსაზღვრულ ინტერვალებში მთელი 24-საათიანი პერიოდის განმავლობაში. კვების საკითხი იმგვარად უნდა მოეწყოს, რომ პატიმრებმა საკვები მიიღონ სათანადო პირობებში. საპირფარეშო და სააბაზანო საშუალებები, საკვები და სასმელი, მათ უნდა მიეცეთ ინდივიდუალური ჭურჭელი და მათი სუფთად შენარჩუნების შესაძლებლობა. ჩვეულებრივ, მათ არ უნდა აიძულონ იმავე ოთახში საკვების მიღება, სადაც სძინავთ. საჭიროების შემთხვევაში, კვებისთვის ცალკე ადგილი უნდა გამოიყოს. აუცილებელია, რომ პატიმრებს რეგულარულად ჰქონდეთ სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობა. ასეთი წყლის მარაგი გამოცალკევებული უნდა იყოს იმ წყლისგან, რომელიც სანიტარული საჭიროებებისთვის გამოიყენება³²⁸.”

კვების პირობების უზრუნველყოფას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს საქართველოს პატიმრობის კოდექსი, რომელიც დეტალურად ადგენს მსჯავრდებულთა კვების ეროვნულ სტანდარტებს³²⁹ კვების პერიოდულობას, გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც მსჯავრდებულებს ექმნებათ განსაკუთრებული კვების პირობები, ასევე დამატებითი კვების პროდუქტების მიღების შესაძლებლობას, რომელიც დამოკიდებულია დეპარტამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებაზე. ამასთან კანონი განმარტავს, რომ - პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში საკვები უნდა შეიცავდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელ კომპონენტებს. აკრძალულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასჯის მიზნით საკვების კალორიულობის შემცირება. “ბრალდებული/მსჯავრ-

328 ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის, თბილისი, 2007. გვ. 71

329 პატიმრობის კოდექსი, 23ე მუხლი, მსჯავრდებულის/ბრალდებული კვება

დებული ადმინისტრაციამ ყოველდღიურად უნდა უზრუნველყოს სამჯერადი კვებით. ორსულ ქალებს, მეძუძურ დედებს, არასრულწლოვნებს, ავადმყოფებს, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხანდაზმულებს (ქალებს – 60 წლიდან, მამაკაცებს – 65 წლიდან) უნდა შეექმნათ მათი მდგომარეობის შესაბამისი კვების პირობები.”

აქვე კანონმდებლობა განსაზღვრავს დამატებითი კვების პროდუქტების შეძენის ხელმისაწვდომობას, სადაც განმარტებულია თუ სად და რა ფორმით შეუძლია შეიძინოს ან მიიღოს დამატებითი კვების პროდუქტები საპატიმრო/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულმა პირმა “ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, პატიმრობის/ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში შეიძინოს დამატებითი კვების პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები იმ თანხით, რომელიც მან გამოიმუშავა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მუშაობისას ან მის პირად ანგარიშზე ჩარიცხეს ახლო ნათესავებმა ან სხვა პირებმა. დამატებითი კვების პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების საგნების შესაძენად ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი სახსრების გამოყენება დაიშვება მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, დეპარტამენტის თავმჯდომარის ნებართვით მიიღოს დამატებითი კვების პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები ამანათის სახით. ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუზღუდავი რაოდენობით უნდა ჰქონდეს სუფთა სასმელის წყალი.”

გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული ზოგადი სტანდარტებისა ასევე კანონქვემდებარე აქტით³³⁰ დადგენილია კვების ნორმები და კალორიულობა, როგორც ძირითადი კა-

330 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №87-83/6 2011 წლის 20-25 მაისი “ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ”

ტეგორიის, ასევე კანონით განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევებისთვის. მოცემული ბრძანება უფრო დეტალურად განსაზღვრავს კვების ორგანიზაციას სასჯელალსრულების სისტემის დაწესებულებებში, სადაც განმარტებულია კვების რეჟიმი, ხარისხის დაბალანსება და სხვა ის აუცილებელი მოთხოვნები, რომლებიც მნიშვნელოვანია პატიმრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად “დაწესებულებაში კვების ორგანიზაცია უნდა შეესაბამებოდეს დაბალანსებულობისა (ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების თანაფარდობა) და კალორიულობის დადგენილ ნორმებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას დაწესებულებაში მყოფ პირთა ჯანმრთელობის შენარჩუნება. დაუშვებელია საკვების კალორიულობის შემცირება დისციპლინური სადამსჯელო ღონისძიებების გატარების მიზნით. განსაკუთრებული (დღეღამური) კვების რეჟიმის საჭიროების მქონე ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ექიმის მიერ სამედიცინო ჩვენების შესაბამისად დადგენილი სამკურნალო კვებისთვის აუცილებელი პროდუქტებით, ამ ბრძანების დანართის №1-ის მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულებაში მყოფ პირს უფლება აქვს დამატებითი კვების პროდუქტები მიიღოს ამანათებით, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში შეიძინოს კვების პროდუქტები იმ თანხით, რომელიც მან გამოიმუშავა დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მუშაობით, ან მის ანგარიშზე ჩარიცხეს სხვა პირებმა ან ორგანიზაციებმა.”

მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების მიდგომა კვების ხარისხთან და პროცედურებთან მიმართებაში, რომელთა განხილვისას პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში ეროვნული კანონმდებლობისგან განსხვავებით, გარდა საკვების ხარისხისა და პერიოდულობისა ყურადღება ეთმობა საკვების დამზადებისა და მიწოდების ხარისხს და პროცედურებს, “ციხის მმართველობამ ყოველი პატიმარი უნდა უზრუნველყოს ჩვეულ საათებში ისეთი საკვებით, რომელიც იქნება საკმარისად კარგი ხარისხის, კარგად დამზადებული და მიწოდებული. აგრეთვე, საკმარისად ნოყიერი, ძალების აღსად-

გენად და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. სასმელი წყალი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყოველი პატიმრისთვის ნებისმიერ დროს, შეუზღუდავი რაოდენობით³³¹.”

ევროპული პენიტენციური წესები³³² ასევე ყურადღებას უთმობს ყველა იმ სტანდარტს, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით და მინიმალური წესებით, თუმცა ამ შემთხვევაში ვხვდებით საკვების შესაბამისობის განსაზღვრას ასაკის, ჯანმრთელობის და ფიზიკური მდგომარეობის, რელიგიის, კულტურის და მუშაობის ხასიათის მიხედვით, ამასთან სამედიცინო პერსონალის როლს საკვების მიწოდებასთან დაკავშირებით. “პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სათანადო საკვებით, მათი ასაკის, ჯანმრთელობის და ფიზიკური მდგომარეობის, რელიგიის, კულტურის და მუშაობის ხასიათის გათვალისწინებით. საკვები რაციონის მოთხოვნები, როგორცაა კალორიულობა და ცილების შემცველულობა, გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით. საკვების მომზადება და საჭმელად გამოტანა უნდა ხდებოდეს ჰიგიენურ პირობებში. გათვალისწინებული უნდა იყოს სამჯერადი კვება, გონივრულ ინტერვალებში. პატიმრებისთვის სუფთა სასმელი წყალი უნდა იყოს ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი. ექიმმა ან კვალიფიციურმა მედდამ უნდა მოითხოვოს საკვები რაციონის შეცვლა კონკრეტული პატიმრისთვის, როდესაც ეს საჭიროა სამედიცინო მოსაზრებით.”

აღსანიშნავია საერთაშორისო პრაქტიკა მსჯავრდებულთა კვებასთან დაკავშირებით, კერძოდ ირლანდიის პრაქტიკაში³³³ ყურადღებას იპყრობს საკვების მიწოდების ხარისხზე ორიენტირება და საკვების განსხვავებულობა, ასევე მსჯავრდებულისთვის დიეტური და რელიგიური კვების დაცვის ხელშეწყობა. „ციხე ვადებულია უზრუნველყოს, რომ ყოველ მსჯავრდებულს

331 გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები - წესი 20

332 ევროპის ციხის წესები - წესი 22.1-22.6

333 Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007 ~Prison Rules“. Published by the stationery office Dublin To be purchased directly from the Governement Publications Office

მიენოდოს შესაბამისი რაოდენობის, ჯანმრთელი და საკვებად ვარგისი საკვები და სასმელი, ყოველ დღე, ეს საკვები და სასმელი უნდა იყოს კარგად მომზადებული, კარგად მიწოდებული და გონივრულად განსხვავებული. შინაგანანესისა და უსაფრთხოების დაცვით ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია შექმნას პირობები იმისათვის, რომ მსჯავრდებულებმა დაიცვან დიეტა ან რელიგიური და კულტურული თავისებურებები, რომელსაც ისინი იცავენ.”

კვების ორგანიზებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია განვიხილოთ ესტონეთის პრაქტიკის³³⁴ განსხვავებული მიდგომები, კერძოდ მნიშვნელოვანია მსჯავრდებულისთვის დიეტური და ვეგეტარიანული საკვების მიწოდებისა და მიწოდების შეწყვეტის სტანდარტები, აქვე მოცემულ კომპონენტში განიხილავს ციხის შინაგანანესი შიმშილობის გამოცხადების პროცედურებს და ხელშეწყობას. ესტონეთის პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საკვების სუფთად, სანიტარული ნორმების დაცვით გაცემის უზრუნველყოფას. “იმ პირების სიას, რომლებიც საჭიროებენ დამატებით კვებას ადგენს სამედიცინო განყოფილების უფროსი. როგორც წესი თვეში ერთხელ ვეგეტარიანული საკვების მისაღებად რელიგიური ან სამედიცინო თვალსაზრისით მსჯავრდებული მიმართავს საკონტაქტო პირს განცხადებით, რომელიც არეგისტრირებს განცხადებას. თუ მსჯავრდებული ითხოვს ვეგეტარიანულ საკვებს რელიგიური თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში განცხადებას განიხილავს ციხის კაპელანი. თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ამ შემთხვევაში ციხის ექიმი. თუ მსჯავრდებულს დანიშნული აქვს ვეგეტარიანული კვება ჯანმრთელობის, მდგომარეობის გამო მონმდება მსჯავრდებულის მიერ მაღაზიაში შეძენილი პროდუქტები. თუ იმ პერიოდში, როცა მსჯავრდებულს ციხე უზრუნველყოფდა ვეგეტარიანული კვებით, მას კი მაღაზიაში შეძენილი აქვს ხორცის პროდუქტები, ამ შემთხვევაში ციხე უწყვეტს მას ვეგეტარიანული საკვების მიღებას.” საყურადღებოა ასევე პატიმრისადმი დამოკიდებულება საკვების მიღებაზე უარის თქმის

334 Правила внутреннего распорядка Вирусской тюрьмы, Утверждено Приказом директора Вирусской тюрьмы, № 1-1/19 от 30.23.01.2013 г. ЙЫХВИ,

შემთხვევაში, “საკვების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში მსჯავრდებული მიმართავს დირექტორს წერილობით ამის შესახებ, ზეპირი განცხადებისას ეს ფიქსირდება ციხის შესაბამის ჟურნალში. საკვების მიღების დაწყების შესახებ მსჯავრდებული ასევე მიმართავს დირექტორს წერილობით. მსჯავრდებული ხელახლა იღებს ციხის საკვებს განცხადების წარდგენის შემდეგ საკვების გაცემის დროიდან. საჭიროების შემთხვევაში ციხეს შეუძლია საკვები შეცვალოს მშრალი ულუფით. მსჯავრდებულს ეკრძალება სხვას გადასცეს მასზე გაცემული ციხის საკვები. ჭურჭელს მსჯავრდებული რეცხავს თვითონ, ციხის თანამშრომელს უფლება აქვს უარი თქვას საკვების გაცემაზე უსუფთაო ჭურჭელში. თუ წამოიჭრება პრეტენზია საკვების ხარისხთან დაკავშირებით, მსჯავრდებული ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს უფროს მორიგე სპეციალისტს ზედამხედველობის მეშვეობით. დაგვიანებით პრეტენზიების წაყენება არ კმაყოფილდება იმ მიზეზით, რომ შეუძლებელია საკვების შემოწმება.”

ევროპის სასამართლოს მიერ განხილული პრეტენდენტული საქმე, კალაშნიკოვი³³⁵ რუსეთის წინააღმდეგ ასევე მნიშვნელოვან ხარვეზებს აფიქსირებს საკვების მიწოდების ნაწილშიც, სადაც ძირითადი ყურადღება ეთმობა არა მხოლოდ საკვების ხარისხს, არამედ მისი მიღების პროცესს და საკვების მიწოდების ფორმას, “პატიმრები საკვებს მიირთმევდნენ სასადილო მაგიდაზე, რომელიც საკნის საპირფარეშოდან მხოლოდ ერთი მეტრით იყო დაშორებული, საკვები ცუდი ხარისხის იყო.”

6.6 უფლება სოციალურ ურთიერთობაზე გარე სამყაროსთან (მომონრა, სატელეფონო საუბრები, ურთიერთობა ადვოკატთან, პაემანი და სხვა)

გარე სამყაროსთან ურთიერთობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია პატიმრის სულიერი მდგრადობის შენარჩუნებისთვის, მისი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პრო-

335 კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (განაცხადი 47095/99) Kalashnikov v. Russia (სტრასბურგი 15 ივლისი 2002 წელი) განაცხადი - 1998 წლის 1 დეკემბერი

ცესის ეფექტურად წარმართვისთვის და პირდაპირ აისახება სასჯელალსრულების სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებაზე. არ შეიძლება პატიმრის სრული იზოლირება გარე სამყაროსგან რა სახის დანაშაული არ უნდა ჰქონდეს მას ჩადენილი. “ოჯახის წევრებსა და მეგობრებს უნდა მიეცეთ საშუალება, რომ ციხეში მოინახულონ პატიმრები. აღნიშნული ვიზიტები უნდა განხორციელდეს იმდენად ბუნებრივ პირობებში, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა დანესებულება. მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი მყუდროება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვიზიტები, განსაკუთრებით კი, ახლო ოჯახის წევრებთან, არის არა პრივილეგია, არამედ ადამიანის ელემენტარული უფლება. ვიზიტების პირობებისა თუ სიხშირის შეზღუდვა გამართლებული უნდა იქნას ყოველ მოცემულ ვითარებაში. პრეზუმფციის დონეზე უნდა მიიჩნეოდეს, რომ ნებადართულია ვიზიტების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც ხორციელდება შეძლებისდაგვარად ყველაზე მისაღებ პირობებში. ოჯახის ვიზიტებთან ერთად, ასევე, მნიშვნელოვანია სხვა ტიპის კონტაქტიც. პატიმრებს უნდა შეეძლოთ, მაქსიმალურად თავისუფლად მიიღონ და გაგზავნონ წერილები და, შესაძლებლობის შემთხვევაში, ისარგებლონ ტელეფონით³³⁶.”

გარე სამყაროსთან ურთიერთობის³³⁷ კონტექსტში ეროვნული კანონმდებლობა ძირითადად განიხილავს მიმონერას, პაემნის უფლებას, სატელეფონო საუბრებს, იურიდიულ დახმარებას, დანესებულების დროებით დატოვებს და სასჯელალსრულების დანესებულებიდან ხანმოკლე გასვლას.

მიმონერის ნაწილში კანონმდებლობა განიხილავს წერილების გაგზავნის პერიოდულობას, გაგზავნისა და მიღებული წერილების ადრესატისთვის გადაცემის პროცედურებს, სანერი საშუალებებით მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა უზრუნველყოფას, კორესპონდენციების შემონემების სტანდარტებს და იმ

336 ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის, თბილისი, 2007. გვ. 156

337 პატიმრობის კოდექსი - მუხლი 16. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმონერა, პ 1-5;

ადრესატებს, რომელთანაც გაგზავნილი კორესპონდენციები შემოწმდება არ ექვემდებარება. “ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები ამ კოდექსით დადგენილი წესით. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სახელზე შემოსული წერილების მისთვის ჩაბარებას, აგრეთვე ბრალდებულის/მსჯავრდებულის წერილების ადრესატისთვის გაგზავნას უზრუნველყოფს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია (შემდგომში – ადმინისტრაცია). პირადი ხასიათის კორესპონდენცია ადრესატს ეგზავნება ბრალდებულს/ მსჯავრდებულს ხარჯით. ადმინისტრაცია ბრალდებულს/მსჯავრდებულს მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფს საწერი საშუალებებითა და ქაღალდით. ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია ექვემდებარება შემოწმებას, რაც მოიცავს ვიზუალურ დათვალიერებას, კორესპონდენციის შინაარსის გაცნობის გარეშე, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, დასაბუთებული ვარაუდისას, თუ შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, ადმინისტრაცია უფლებამოსილია გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და საჭიროებისამებრ შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა, რის თაობაზედაც დაუყოვნებლივ ეცნობება კორესპონდენციის გამგზავნს. დახურული კონვერტით მიღებული კორესპონდენცია უნდა გაიხსნას ბრალდებულს/მსჯავრდებულის თანდასწრებით. აღნიშნული კორესპონდენცია ექვემდებარება ვიზუალურ დათვალიერებას, შინაარსის გაცნობის გარეშე.”

განსაკუთრებით კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის შემთხვევაში, კორესპონდენციის შესაძლო შემოწმების საკითხის განხილვისას, მნიშვნელოვანია ყურადღება დაეთმოს კანონმდებლობის იმ ნაწილს, სადაც ვხვდებით ცალსახა აკრძალვას, რომელიც დადგენილია ადმინისტრაციის მიმართ, რომ მათ არა აქვთ გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობა, “ადმინისტრაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს ეკრძალება, შეაჩეროს ან/და

შეამონმოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, დეპარტამენტი, საქართველოს სახალხო დამცველი, დამცველი, პროკურორი.³³⁸

პაემნის უფლება გარე სამყაროსთან ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რადგანაც იგი მსჯავრდებულს/ბრალდებულს აძლევს ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან პირადი კონტაქტის საშუალებას და განიხილება, როგორც რესოციალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. კანონმდებლობა პაემნების მუხლში განმარტავს, რომ “აკრძალულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული იზოლაცია³³⁹.” პაემნის უფლება განიხილება, როგორც პატიმრობის კოდექსით, ასევე სასჯელალსრულების დაწესებულებების დებულებებით³⁴⁰, პაემნის უფლების ნაწილში განხილულია პირთა წრე, ვისთანაც ბრალდებულს/მსჯავრდებულს ეძლევათ შეხვედრის უფლება, ასევე შეხვედრის რაოდენობა, ხანგრძლივობა, როგორც გრძელვადიანი ისევე მოკლევადიანი პაემნები და მისი განხორციელების სტანდარტები.

ეროვნული კანონმდებლობა განმარტავს, რომ “ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს მის ახლო ნათესაებთან (შვილი, მეუღლე, პირი ვისთანაც ჰყავს საერთო შვილი, მშობელი (მშვილებელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობლები, გერი, ნაშვილები და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისწული,

338 პატიმრობის კოდექსი - მუხლი 16. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმონერა, ნაწილი 1-5;

339 პატიმრობის კოდექსი - მუხლი 17. პაემნის უფლება ნაწილი 1;

340 საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №97 - 2011 წლის 30 მაისი

ძმისწული და მათი შვილები, ბებია და პაპა, ბებუის დედ-მამა და პაპის დედ-მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი და მამიდაშვილი, აგრეთვე ის პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და ეწეოდა საერთო მეურნეობას პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში) ხანმოკლე პაემნის უფლება. აღნიშნულ პირებთან შეხვედრაზე პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის თანხმობა/მოტივირებული უარი ბრალდებულს/მსჯავრდებულს ეცნობება წერილობით³⁴¹.”

კანონმდებლობა განმარტავს პაემნების განხორციელების პროცედურებს, რომელიც უნდა განხორციელდეს ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვით, რომ კანონით განსაზღვრულ პირებთან ბრალდებულის/მსჯავრდებულის ურთიერთობის კონტროლი უნდა განხორციელდეს მისი პატივისა და ღირსების შეუღახავად. ასევე კანონში და დაწესებულებების დებულებებში ვხვდებით პაემნების განხორციელების პროცედურებს და ვაძვებ, რომლის დაცვა პატიმრობისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პირობას, რომ მას მიეცეს ოჯახის წევრთან თავისუფალი, სრულფასოვანი კონტაქტის შესაძლებლობა, “ ხანმოკლე პაემნის მოთხოვნის თაობაზე ინფორმაცია ადმინისტრაციას წერილობით მიეწოდება. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირი ადმინისტრაციას წარუდგენს ახლო ნათესაობის დამადასტურებელ დოკუმენტს. ადმინისტრაცია ხანმოკლე პაემნის მოთხოვნის თაობაზე განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა უზრუნველყოფს ხანმოკლე პაემნის ორგანიზებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს უარის თქმის მოტივირებული საფუძველი, რის თაობაზედაც განმცხადებელი იმავე დღეს უნდა იქნას ინფორმირებული³⁴²”. კანონმდებლობის განხილვისას რამდენიმე სახის პაემნის განმარტებას და გამოყენების პროცედურებს, როგორცაა მოკლევადიანი (1-დან ორ საათამდე), საოჯახო და ხანგრძლივი (23 საათი) პაემანი. მოკლე-

341 პატიმრობის კოდექსი - მუხლი 17. პაემნის უფლება ნაწილი 2;

342 პატიმრობის კოდექსი - მუხლი 17. პაემნის უფლება ნაწილი 5-6;

ვადიანი პაემნის რაოდენობა დაწესებულებების ტიპების მიხედვით, კანონმდებლობით შემდეგნაირადაა დარეგულირებული - “დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - 1 თვის განმავლობაში 4 ხანმოკლე პაემანი, ხოლო ნახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ხანმოკლე პაემანი. ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - 1 თვის განმავლობაში 2 ხანმოკლე პაემანი, ხოლო ნახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი. დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - 1 თვის განმავლობაში 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო ნახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - 1 თვის განმავლობაში 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო ნახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი.”

ქართულ სასჯელაღსრულების სისტემის პრაქტიკაში მოცემულ პერიოდში ქალი მსჯავრდებულების მიმართ მოქმედებს საოჯახო პაემნის ინსტიტუტი, რომელიც მკვეთრად განსხვავდება მამაკაცი მსჯავრდებულებისთვის განკუთვნილი პაემნებისგან. თუმცა გამოყენების პროცედურები მოცემულ შემთხვევაში სრულად იდენტურია, კერძოდ “ქალ მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს შვილთან, ნაშვილებთან, გერთან, შვილიშვილთან, მეუღლესთან, პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელთან (მშვილებელთან), ბებიასთან, პაპასთან, დასთან და ძმასთან საოჯახო პაემნის უფლება. ბრალდებულს/მსჯავრდებულს დეპარტამენტის თავმჯდომარის თანხმობით შეიძლება მიეცეს იმ პირებთან საოჯახო პაემნის უფლება, რომლებიც გათვალისწინებული არ არიან ამ მუხლის მე-2 ნაწილით³⁴³”.

პაემნების ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ხანგრძლივი პაემნის უფლებას, რომელიც საშუალებას აძლევს მსჯავრდებულებს შეინარჩუნონ ოჯახთან კონტაქტი, არ ჩამოცილდნენ იმ დადებითი ზემოქმედების შესაძლებლობას, რასაც მათ მიმართ ავლენენ ოჯახის წევრები და რაც

343 პატიმრობის კოდექსი - მუხლი 17³. პაემნის უფლება ნაწილი 2-2¹;

მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მსჯავრდებულის საზოგადოებაში ეფექტური დაბრუნების შესაძლებლობას. რაც მთავარია ოჯახის შენარჩუნების შესაძლებლობას, რაც ამა თუ იმ პირის პატიმრობის შემთხვევაში ხშირად დგება რისკის ქვეშ. ხანგრძლივი პაემანი ითვალისწინებს 23 საათის განმავლობაში მსჯავრდებულის კანონით განსაზღვრულ პირებთან ერთად ცხოვრების შესაძლებლობას დაწესებულების შესაბამისად მოწყობილ ტერიტორიაზე, კერძოდ “მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს შვილთან, ნაშვილებთან, გერთან, შვილიშვილთან, მეუღლესთან, პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელთან (მშვილებელთან), ბებიასთან, პაპასთან, დასთან და ძმასთან ხანგრძლივი პაემნის უფლება. ხანგრძლივი პაემნის მოთხოვნის თაობაზე ადმინისტრაცია წერილობით უნდა იქნას ინფორმირებული 2 კვირით ადრე. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულმა პირმა ადმინისტრაციას უნდა წარუდგინოს ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ადმინისტრაცია ხანგრძლივი პაემნის მოთხოვნის თაობაზე განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 2 კვირისა უზრუნველყოფს ხანგრძლივი პაემნის ორგანიზებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს უარის თქმის მოტივირებული საფუძველი, რის თაობაზედაც განმცხადებელი 10 დღის ვადაში უნდა იქნას ინფორმირებული³⁴⁴.” ხანგრძლივი პაემნის რაოდენობა დაწესებულებების ტიპების მიხედვით, კანონმდებლობით შემდეგნაირადაა დარეგულირებული “დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - 1 წლის განმავლობაში 6 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 3 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი. ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - 1 წლის განმავლობაში 3 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი. დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება -1 წლის განმავლობაში 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.”

344 პატიმრობის კოდექსი - მუხლი 17². პაემნის უფლება ნაწილი 2-4;

ხანგრძლივ პაემნებთან მიმართებაში კანონმდებლობა ადგენს იმ შემთხვევების ნუსხას, როდესაც მსჯავრდებულს ერთმევა ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობა, “ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევათ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს, აგრეთვე იმ მსჯავრდებულს, რომელიც არის საკარანტინო რეჟიმში, დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი ან/და შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა.”³⁴⁵

პაემნების ნაწილში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს იმ მსჯავრდებულებისთვის შეხვედრის ორგანიზება და ხელშეწყობა, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები. გარდა ოჯახის წევრებთან შეხვედრისა ამ შემთხვევაში ყურადღება ეთმობა მათ ურთიერთობებს თავიანთი ქვეყნების დიპლომატიურ დაწესებულებებთან და საკონსულოებთან, “ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, უფლება აქვს, შეუზღუდავად შეხვდეს თავისი ქვეყნის საკონსულოს წარმომადგენელს ან იმ ქვეყნის უფლებამოსილ დიპლომატიურ წარმომადგენელს, რომელიც საქართველოში ითავსებს მისი ქვეყნის ინტერესების დაცვას. უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ ურთიერთობები თავიანთი ქვეყნების დიპლომატიურ დაწესებულებებთან და საკონსულოებთან. იმ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოში დიპლომატიური დაწესებულებები და საკონსულოები არ გააჩნიათ, უფლება აქვთ, ჰქონდეთ ურთიერთობები იმ სახელმწიფოთა დიპლომატიურ დაწესებულებებთან და საკონსულოებთან, რომლებმაც საკუთარ თავზე აიღეს მათი ინტერესების დაცვა, ან სახელმწიფოთაშორის ორგანოებთან, რომლებიც ამ პირთა ინტერესებს იცავენ.”³⁴⁶

ბრალდებულის/მსჯავრდებულის დამცველთან შეხვედრა³⁴⁷ ეროვნული კანონმდებლობით შეიძლება განვიხილოთ გარე სამ-

345 პატიმრობის კოდექსი - მუხლი 17². პაემნის უფლება ნაწილი 6;

346 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 17, პაემნის უფლება, ნაწილი 13

347 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 18 იურიდიული დახმარება

ყაროსთან ურთიერთობის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტად, საქართველოს პატიმრობის კოდექსი განსაზღვრავს შეხვედრის სტანდარტებს და ცალსახად გამორიცხავს კონტროლის არსებობას. “ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს დამცველთან ყოველგვარი შეზღუდვისა და ჩარევის გარეშე შეხვედრის უფლება. პატიმრობის/ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების თანამშრომლებს შეუძლიათ დამცველთან შეხვედრას დააკვირდნენ ვიზუალურად, ტექნიკური საშუალებით დისტანციური დაკვირვებისა და ჩანერის პირობებში, მაგრამ მოსმენის გარეშე.”

გარდა პაემნებისა გარე სამყაროსთან ურთიერთობის საშუალებად კანონმდებლობა ასევე განიხილავს, სატელეფონო საუბრებს, ამანათისა და ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნას, კერძოდ, აღნიშნულ კომპონენტებს კანონმდებლობა განიხილავს, როგორც ზოგად ნაწილში, ასევე კერძო ნაწილში სადაც განხილულია დაწესებულებები რეჟიმის მიხედვით, ნახევრად ღია დაწესებულებაში³⁴⁸, დახურული ტიპის დაწესებულებაში³⁴⁹, ქალთა დაწესებულებაში და არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში. “მსჯავრდებული, რომელიც სასჯელს იხდის დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უფლება აქვს - “1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს შეუზღუდავი რაოდენობის სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, ხოლო ნახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი³⁵⁰” ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, განთავსებულ პირს, უფლება აქვს “1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 4 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო ნახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა

348 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 62. სასჯელის მოხდის პირობები ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში

349 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 65. სასჯელის მოხდის პირობები დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, პუნქტი 1. ქვეპუნქტი- გ

350 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 60². დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პირობები, ნაწილი 2, პ-გ

უმეტეს 15 წუთისა³⁵¹; მსჯავრდებული, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს: “1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა³⁵².” მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის განსაკუთრებული რისკის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უფლება აქვს “1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 1 სატელეფონო საუბარი არაუმეტეს 10 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – 1 სატელეფონო საუბარი – არაუმეტეს 10 წუთისა.³⁵³”

ქართული კანონმდებლობა განიხილავს ბრალდებულის უფლებას სატელეფონო საუბრებზე “ადმინისტრაციის კონტროლით, საკუთარი ხარჯით აწარმოოს მიმოწერა და 1 თვის განმავლობაში 3-ჯერ ჰქონდეს სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა³⁵⁴”. კანონმდებლობა ასევე ადგენს სატელეფონო საუბრების განხორციელების წესსა და პირობებს, რაოდენობა და კონტროლის მექანიზმებს “პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის სატელეფონო საუბარი აკრძალულია. სატელეფონო საუბარი ხორციელდება ბრალდებულის/ მსჯავრდებულის ხარჯით და ადმინისტრაციის კონტროლით.”

საერთაშორისო სტანდარტების განხილვისას იკვეთება გარე სამყაროსთან ურთიერთობის განსაკუთრებული მნიშვნელობა სასჯელის მოხდის/პატიმრობის პერიოდში, მაგალითად მინი-

351 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 62. სასჯელის მოხდის პირობები ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ნაწილი 2, პ-გ

352 პატიმრობის კოდექსი მუხლი 65. სასჯელის მოხდის პირობები დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ნაწილი 2, პ-გ

353 პატიმრობის კოდექსი, 66³. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პირობები, ნაწილი 2, პ-გ

354 პატიმრობის კოდექსი მუხლი 79, ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებაში ყოფნის პირობები ნაწილი 1, პ-გ

მალური სტანდარტები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს გარე სამყაროსთან ურთიერთობის აუცილებლობას და განსაზღვრავს³⁵⁵, რომ აუცილებელი ზედამხედველობის პირობებში პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, რომ მიმოწერისა და ვიზიტების საშუალებით რეგულარული ურთიერთობა იქონიონ ოჯახებთან და შეუბღალავი რეპუტაციის მქონე მეგობრებთან, აღსანიშნავია რომ მეგობრებთან ურთიერთობის კომპონენტს ქართული კანონმდებლობა პრაქტიკულად არ უთმობს ყურადღებას. ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უცხოელ პატიმრებთან მიმართებაში გარე სამყაროსთან ურთიერთობის მნიშვნელობა და თავისებურებები. „უცხოელ პატიმრებს უნდა შეექმნათ პირობები მათი ქვეყნის დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლებთან ურთიერთობისთვის. პატიმრებს, რომლებიც ისეთი ქვეყნებიდან არიან, რომელთაც არ გააჩნიათ დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობა, აგრეთვე ლტოლვილებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს, უნდა ეძლეოდეთ კონტაქტების ისეთივე საშუალება იმ ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან, რომელიც თავის თავზე იღებს მათი ინტერესების დაცვას ან ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომლის ფუნქციებშიც შედის ასეთი პირობების დაცვა.“

მინიმალური სტანდარტული წესები გარე სამყაროსთან ურთიერთობის კომპონენტში განიხილავს ასევე საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობას. “პატიმრებს უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ რეგულარულად გაეცნონ ახალი ამბების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილებს, გაზეთების, პერიოდული ან სპეციალური საუწყებო პუბლიკაციების, რადიოს, ლექციების ან სხვა ისეთი საშუალებებით, რომლებიც ნებადართული და კონტროლირებადია ადმინისტრაციის მიერ,” ასევე ესატყვისება ქართული კანონმდებლობა, რომელიც ანალოგიურად უთმობს ყურადღებას პატიმართა საინფორმაციო საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტს³⁵⁶, სადაც განმარტავს, როგორც

355 გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, კონტაქტები ოჯახებთან და მეგობრებთან 37-39

356 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 20. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

რადიო და ტელე ტრანსლიაციის ხელმისაწვდომობას პრესითა და ლიტერატურით სარგებლობის სტანდარტებს.

ევროპის პენიტენციური წესების³⁵⁷ განხილვისას განსხვავებულ მიდგომად შეიძლება განვიხილოთ მისი დამოკიდებულება იურიდიული კონსულტაციისა და გარემო პირობების მოწყობასთან, ასეთი კონსულტაციისთვის, ასევე ერთ-ერთი უმთავრესი ყურადღება წესებში ეთმობა ასეთი კონსულტაციის კონფიდენციალობას, რაც უფრო მეტ მნიშვნელობას მატებს ასეთი სახის კონსულტაციების საჭიროებას და ხარისხს. “ყოველ პატიმარს აქვს იურიდიული კონსულტაციის მიღების უფლება და ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს სათანადო ფართი ასეთი დახმარების ხელმისაწვდომობისთვის. პატიმრებს საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერ იურიდიულ საკითხზე შეუძლიათ მიმართონ მათ მიერვე შერჩეულ იურისტ-კონსულტანტს საკუთარი ხარჯებით. თუ არსებობს უფასო იურიდიული კონსულტაციის პროგრამა, ციხის ადმინისტრაციამ ამის თაობაზე უნდა აცნობოს ყველა პატიმარს. კონსულტაციები და სხვა კომუნიკაციები, ასევე, კორესპონდენცია სამართლებრივ საკითხებზე პატიმრებს შორის და მათსა და იურიდიულ კონსულტანტებს შორის უნდა იყოს კონფიდენციალური. სასამართლო ხელისუფლებას შეუძლია, გამონაკლის შემთხვევებში, შეზღუდვები დაანესოს ასეთ კონფიდენციალურობაზე, სერიოზული დანაშაულის ან ციხის უსაფრთხოებისა და უშიშროების დარღვევის თავიდან ასაცილებლად. პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ, ან/და თვითონ ინახავდნენ მათი საქმის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.” ქართული კანონმდებლობა ევროპული ციხის წესების მსგავსად, ასევე განიხილავს იურიდიული კონსულტაციის ხელმისაწვდომობას, თუმცა მოცემულ ნაწილში ჩვენ არ ვხვდებით ასეთ დეტალურ განხილვას და იგი ძირითადად მოიცავს დამცველის ყოლის შესაძლებლობას და მასთან შეხვედრების განხორციელების სტანდარტებს³⁵⁸.

357 ევროპის ციხის წესები 23.1-23.6

358 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 18, იურიდიული დახმარება

გარე სამყაროსთან კონტაქტის³⁵⁹ ფარგლებში ევროპის პენიტენციური წესები პრიორიტეტს ანიჭებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ხშირ კომუნიკაციას გარე სამყაროსთან, ასევე ადგენს თუ რა შემთხვევაში შეიძლება შეხვედრებისა და კომუნიკაციების შეზღუდვა, ამასთან მნიშვნელოვანია დათქმა, რომელიც ადგენს ეროვნული კანონმდებლობისადმი მოთხოვნას, რომ კანონმდებლობით დადგენილი უნდა იყოს იმ ორგანოების ზუსტი ნუსხა, რომლებთანაც პატიმარს არ შეიძლება შეეზღუდოს შეხვედრა. ევროპული წესები ასევე ხაზს უსვამს მსჯავრდებულის ინფორმირებას ოჯახთან და საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რათა მოხდეს მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში. “პატიმრებს ნებაერთვა უნდა მიეცეთ, რაც შეიძლება ხშირად იქონიონ ურთიერთობა წერილით, ტელეფონით თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებით თავიანთ ოჯახებთან, სხვა პირებთან და გარე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე, დაენიშნოთ პაემნები ამ ადამიანებთან. კომუნიკაციები და პაემნები შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს და მონიტორინგს, რომელიც საჭირო იქნება სისხლის სამართლის გამოძიების გასაგრძელებლად, წესრიგის შესანარჩუნებლად, უსაფრთხოებისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად და სისხლის სამართლის დანაშაულთა აღსაკვეთად, დანაშაულის მსხვერპლთა დასაცავად. მაგრამ სასამართლო ხელისუფლების მიერ დაწესებული ასეთი შეზღუდვები, მათ შორის კონკრეტული შეზღუდვები, მაინც უნდა აკმაყოფილებდეს კონტაქტის დასაშვებ მინიმალურ დონეს.”

მნიშვნელოვანია ევროპის ციხის წესების დათქმა, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ - “ეროვნული კანონმდებლობა უნდა აკონკრეტებდეს ეროვნულ და საერთაშორისო ორგანოებს და თანამდებობის პირებს, რომლებთანაც კომუნიკაცია პატიმრებს არ უნდა შეეზღუდოთ.”

ეროვნული კანონმდებლობისგან მნიშვნელოვან განსხვავებას ვხვდებით საერთაშორისო პრაქტიკის განხილვისას, მაგალითად, ირლანდიის პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთ-

359 ევროპის ციხის წესები 24.1-24.09

მოზა შეხვედრების რაოდენობას³⁶⁰, როგორც 18 წლამდე ასევე 18 წელზე ზევით ასაკის მსჯავრდებულების მიმართ, ასევე აღსანიშნავია ისეთი განსხვავებული პრაქტიკა, როგორცაა მეგობრებთან ურთიერთობას. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს იმ მსჯავრდებულებისადმი დამოკიდებულება, რომლებსაც არა ყავთ ნათესავები და მეგობრები და რომლებიც საჭიროებენ გარე სამყაროს წარმომადგენლებთან შეხვედრას. “ყოველ მსჯავრდებულს, რომელიც მიღწეულია 18 წლის ასაკს უფლება აქვს ჰქონდეს არანაკლებ ერთი შეხვედრისა კვირაში ნათესავებთან და მეგობრებთან, არანაკლებ 30 წუთის ხანგრძლივობით. მსჯავრდებულს, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 2 შეხვედრა კვირაში ნათესავებთან და მეგობრებთან, არანაკლებ 30 წუთის ხანგრძლივობით.” ყურადღება უნდა მიექცეს მიუსჯელი პატიმრების შეხვედრების ორგანიზებას, სადაც ქართული პრაქტიკისგან განსხვავებით არ ჩანს რაიმე განსაკუთრებული საჭიროება სპეციალური ნებართვის მიღებისა საგამოძიებო ან სასამართლო ორგანოებისგან “მიუსჯელ პატიმარს უნდა ჰქონდეს თითო შეხვედრა ყოველ დღე ნათესავებთან და მეგობრებთან 15 წუთის ხანგრძლივობით კვირაში 6 დღე, სადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, მაგრამ სადაც შესაძლებელი არ არის არანაკლებ 3 დღეში ერთხელ.”

მოცემული ქვეყნის პრაქტიკაში საინტერესო მიდგომებს ვხვდებით ადმინისტრაციის უფლებამოსილების განხილვისას, როდესაც მათ აქვთ უფლება მისცენ პირს დამატებითი პაემანი ან შეუზღუდოს მათ ასეთი უფლება, სადაც მთავარ კომპონენტს წარმოადგენს მიზანი, რისთვისაც დირექტორს შეუძლია მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება, “დირექტორს უფლება აქვს დართოს ნება: მსჯავრდებულს მიიღოს მინიმალურზე მეტი რაოდენობის ან ხანგრძლივობის პაემანი, ის თუ თვლის, რომ ეს სასარგებლოა მისი რეაბილიტაციისა და კეთილდღეობისთვის; შინაგანაწესის, უსაფრთხოებისა და დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე შეზღუდოს მსჯავრდებულის მიერ დასახელებულ პირებთან

³⁶⁰ Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007, “Prison Rules”. Published by the stationery office Dublin To be purchased directly from the Governement Publications Office

შეხვედრა. შეზღუდოს მნახველთა რაოდენობა არუმეტეს 3 პირისა.”

ახსოლუტურად განსხვავებულია მიდგომა გარე სამყაროსთან ურთიერთობის კომპონენტში იმ პატიმრებთან მიმართებაში, რომლებსაც არ ჰყავთ ახლო ნათესავები ან მეგობრები, ამ შემთხვევაში კანონმდებლობა აძლევთ მათ გარკვეულ შესაძლებლობას არ იყოს იზოლირებული გარე სამყაროსგან და არ ჰქონდეს გარიყულობის შეგრძნება “მსჯავრდებულს, რომელსაც ნათესავები ან მეგობრები არ ჰყავს და სურვილი აქვს შეხვედრის, ამის შესახებ უნდა მიმართოს ადმინისტრაციას წერილობით, სადაც მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ვიზიტის მიზნების შესახებ, ასეთი შეხვედრა შეიძლება იყოს ნებადართული თუ არსებობს შემდეგი პირობები, რომელიც მხედველობაში იქნება მიღებული: არსებობს შეთანხმება ასეთი შეხვედრის შესახებ; მსჯავრდებულის ინტერესებიდან გამომდინარე; შინაგანანესის დაცვის, უსაფრთხოებისა და დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ან/და თუ აუცილებლობა გამომდინარეობს: გამოძიების და საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, დანაშაულის პრევენციის, დანაშაულის თავიდან აცილების ან გამოვლენის ხელშეწყობის მიზნით; თუ ნებისმიერი პირი იმყოფება შიშის ან რისკის ქვეშ; მძიმე დანაშაული ან სტრესი, რომელიც გამოწვეული იყო მსხვერპლის ან მსხვერპლის ოჯახის წევრების მიმართ დანაშაულის გამო, რომლისთვისაც მსჯავრდებული არის გასამართლებული; სამართლებრივი ქმედების დაწყება მესამე მხარის მიმართ; ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე; სხვა პირების უფლებებისა და თავისუფლების დარღვევა და სხვა მსჯავრდებული არაა ვალდებული მიიღოს მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შეხვედრები.”

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ირლანდიის პრაქტიკა განიხილავს ვიდეოზარის³⁶¹ უფლებას და ტარიფებს. “როდესაც არსებობს შესაბამისი პირობები და პრაქტიკა ადმინისტრაციას შეუძლია, როგორც ვიზიტის ალტერნატივა მისცეს უფლება მსჯავრდებულს და დაწესებულების გარეთ მყოფ პირს

361 იქვე

იქონიონ კომუნიკაცია ვიდეოზარის საშუალებით.”

ირლანდიის განსხვავებული პრაქტიკა ყურადღებას იპყრობს წერილების³⁶² გაგზავნის ნაწილში, როდესაც განიხილავს წერილების სხვა პირებთან გაგზავნის პრაქტიკას თავისი ქონების მართვის ან ბიზნეს ინტერესებიდან გამომდინარე და უცხოელ პატიმრებთან მიმართებაში. “მიუხედავად პატიმრებს გარდა ოჯახის წევრებისა შეუძლიათ დამატებით გააგზავნონ და მიიღონ წერილები სხვა პირებთან თავისი ქონების მართვის ან ბიზნეს ინტერესებიდან გამომდინარე. მსჯავრდებული, რომელიც აგზავნის 7-ზე მეტ წერილს კვირაში, შესაძლებელია მოეთხოვოს გაგზავნის ხარჯებისა და საწერი საშუალებების თანხის ანაზღაურება. უცხოელ მსჯავრდებულებს და მსჯავრდებულებს, რომლებიც მსჯავრდებული არიან თანხის გადაუხდელობის გამო შეუძლიათ გააგზავნონ დამატებით წერილები იმ პირებთან, ვისთანაც შეხვედრის უფლება აქვთ.”

სატელეფონო ზარის ნაწილში ირლანდიის კანონმდებლობა ასევე ცალ-ცალკე განიხილავს მიდგომას მსჯავრდებულებთან, რომლებიც არ არიან მიღწეული 18 წელს და რომლებსაც შეუძლებელია 18 წელი, რის მიხედვითაც განიხილავს ზარების პერიოდულობას და ხანგრძლივობას. მნიშვნელოვანია, რომ სატელეფონო ზარების შემთხვევაშიც ირლანდიის კანონმდებლობა შეხვედრების ანალოგიურად განიხილავს სატელეფონო ზარების უფლებას.

მნიშვნელოვანია საქართველოსგან განსხვავებული პრაქტიკა, რომელიც ირლანდიის კანონმდებლობაში გვხვდება, სადაც საუბარია შემთხვევაზე, როდესაც შეხვედრა ხდება მსჯავრდებულთან ან ბრალდებულთან, რომელიც ბრალდებული/მსჯავრდებულია თანხის გადაუხდელობის ან გადასახადის გადაუხდელობის გამო, მიუხედავად იმისა პირს გადასახადი დაკისრებული ჰქონდა სისხლისსამართლებრივი თუ სამოქალაქო სამართლებრივი წესით, ასეთ შემთხვევაში კანონმდებლობა უშვებს შესაძლებლობას მსჯავრდებული/ბრალდებული ნებისმიერ გონივრულ დროს შეხვედეს მისთვის სასურველ პირს თუ შეხ-

362 იქვე

ვედრის მიზანი დაკავშირებულია თანხის გადახდასთან, ასეთი შეხვედრა კონტროლდება ციხის ოფიცრების მიერ თუ ადმინისტრაციის მხრიდან გამონაკლისის სახით სხვა გადანყვეტილება არ იქნა მიღებული.

რაც შეეხება სამართლებრივ დახმარებასთან დაკავშირებით დამცველთან შეხვედრას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ გარემოებას, რომ შეხვედრა შესაძლებელია შედგეს ნებისმიერ გონივრულ დროს ციხის ოფიცრის მხოლოდ ვიზუალური დაკვირვების რეჟიმში, თუ მსჯავრდებული/ბრალდებული ან ვიზიტორი სხვა რამეს არ მოითხოვს.

გარე სამყაროსთან ურთიერთობის ნაწილში ესტონეთის პრაქტიკის განხილვისას განსხვავებულ მიდგომას ვხვდებით იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებელია დაიშვას პაემანზე მომსვლელი პირის შეცვლა³⁶³, ასევე აღსანიშნავია გრძელვადიანი პაემნებისადმი მიდგომა, როცა იგი შინაგანანესით განსაზღვრულია, როგორც 24 საათიანი შეხვედრა, მაგრამ დასაშვებად განიხილება უფრო გრძელვადიანი შეხვედრა. “მოკლევადიანი პაემანზე მნახველი უნდა დარეგისტრირდეს 5 დღით ადრე ან ტელეფონით ან ელფოსტით, ან მსჯავრდებულმა უნდა წარადგინოს წერილობითი განცხადება. პაემნის გადადების ან პაემანზე მომსვლელი პირის შეცვლის შემთხვევაში მსჯავრდებულმა უნდა აცნობოს ციხის ადმინისტრაციას მინიმუმ 2 დღით ადრე. ტელეფონით და ელფოსტით დარეგისტრირება შესაძლებელია განსაზღვრულ დღეებში. გრძელვადიანი პაემანი ხორციელდება განსაზღვრულ დღეებში 12:00 და მეორე დღის 12:00 საათამდე, შესაძლებელია გამონაკლისის სახით დაიშვას უფრო გრძელვადიანი პაემანი.”

ყურადღებას იპყრობს პაემანზე მოსული პირის პაემანზე არ დაშვების საფუძვლების არსებობა, რომელიც მნიშვნელოვანია, როგორც პაემნის ნორმალურად განხორციელების უზრუნველსაყოფად, ასევე დანესებულების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე “პაემანზე არ დაიშვება პირი, რომელზეც არსებობს ეჭვი, რომ იმყოფება ალკოჰოლური თრობის ქვეშ, ნარ-

363 Правила внутреннего распорядка Вирусной тюрьмы, Утверждено Приказом директора Вирусной тюрьмы, № 1-1/19 от 30.23.01.2013 г. ЙЫХВИ, - 13.

კოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ, ან რომელიც არ ემორჩილება ციხის თანამშრომლის კანონიერ მოთხოვნებს, ან მიმართავს ციხის თანამშრომელს შეურაცხმყოფელი სიტყვებით, ემუქრება, უპატივცემულო სიტყვებით მიმართავს, ან შინაგანანესის გაცნობის შემდეგ ცდილობს პაემანზე შეიტანოს აკრძალული ნივთები. ციხეს აქვს უფლება შეწყვიტოს პაემანი (ადვოკატთან შეხვედრის გარდა), თუ შეხვედრის მიმდინარეობის დროს ირღვევა ციხის შინაგანანესი, ან საფრთხე ექმნება ციხის უსაფრთხოებას. აქვს უფლება შეამოწმოს მსჯავრდებულის და მნახველის ყოფნა პაემანზე და მათი მდგომარეობა.”

რაც შეეხება ტელეფონის ზარს³⁶⁴, ესტონეთის პრაქტიკაში განსხვავებულია მიდგომები ზარის განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებით, რომელიც ასევე შიდა სისტემაშიც განსხვავებულია (დახურულ და ღია განყოფილებებში). ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შემთხვევები, როდესაც მსჯავრდებულს/ბრალდებულს შეზღუდული აქვს კომუნიკაცია ამა თუ იმ პირთან. “დახურულ განყოფილებაში - მსჯავრდებულს უფლება აქვს მიმართოს ტელეფონზე დარეკვის სურვილით ციხის თანამშრომელს. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს სახელი, გვარი საკნის ნომერი და განცხადების წარდგენის თარიღი. განცხადებაში შეიძლება მიეთითოს ნომერი და მიზეზი. განცხადების საფუძველზე ზარი განხორციელდება მეორე დღეს. მსჯავრდებული, რომელსაც კონტაქტები შეზღუდული აქვს განცხადება უნდა წარადგინოს არაუგვიანეს წინა დღისა. განცხადებაში გარდა პირადი მონაცემებისა მსჯავრდებულმა უნდა მიუთითოს სახელები და ტელეფონის ნომრები იმ პირებისა, რომელთანაც საუბარი სურს. ციხე ამოწმებს მონაცემების სანდოობას. თუ გამოირკვა, რომ მსჯავრდებულმა წარმოადგინა ტელეფონის ნომერი პირისა, რომელთანაც საუბრის უფლება მას არა აქვს, სატელეფონო ზარის ორგანიზატორი არკვევს მიზეზს, უხსნის მსჯავრდებულს უარის მიზეზს და უარს ეუბნება

364 Правила внутреннего распорядка Вирусской тюрьмы, Утверждено Приказом директора Вирусской тюрьмы, № 1-1/19 от 30.01.2013 г. йЫХВИ, - 13.9

ზარზე. თანხმობის შემთხვევაში ციხის თანამშრომელი კრეფს სასურველ ნომერს”.

ღია დანესებულებაში განსხვავებულ მიდგომებს ვხვდებით სახელმწიფო დანესებულებებში დარეკვისას და ადმინისტრაციის ინფორმირების საკითხში განხორციელებულ ზარებთან მიმართებაში - “ღია დანესებულებაში მსჯავრდებულებს დარეკვის უფლება ეძლევათ დღის განრიგით დადგენილ დროს, თუ მსჯავრდებულს სურს დარეკვა სხვა საათებში სახელმწიფო დანესებულებაში, ადგილობრივ თვითმმართველობაში ან ადვოკატთან, ამ შემთხვევაში ან დასაბუთებული განცხადება უნდა წარუდგინოს ადმინისტრაციას დარეკვის წინა დღეს. მსჯავრდებულმა ციხის ზედამხედველს საღამოს შემომნებისას უნდა წარუდგინოს (გარდა ბრალდებულისა) ნერილობითი მონაცემები დარეკილი ნომრების შესახებ, რომელიც მან განახორციელა დღის განმავლობაში.”

ესტონეთის პრაქტიკის განხილვისას გარე სამყაროსთან ურთიერთობის ნაწილში ვხვდებით მოკლევადიან გასვლას და გაყვანას³⁶⁵, როდესაც მსჯავრდებულს მოკლევადიანი გასვლის დროის გარდა სხვა კონტროლის საშუალებებისა ევალება წარმოადგინოს მთელი გასვლის პერიოდის გეგმა და საკონტაქტო ინფორმაცია ყველა იმ პირებისა, ვისთანაც შესაძლებელია მსჯავრდებულს ჰქონდეს შეხვედრა, რათა ციხის ადმინისტრაციას ჰქონდეს სრული კონტროლის მექანიზმები. რაც შეეხება მოკლევადიან გაყვანას აქ მნიშვნელოვანია, რესოციალიზაციის მიზნით პირის გაყვანის შესაძლებლობა, როდესაც ადმინისტრაციას შუამდგომლობით მიმართავს ის თანამშრომელი, რომელიც ახორციელებს მსჯავრდებულის გაყვანას. “მოკლევადიან გასვლაზე განცხადების გაკეთება შეუძლია მხოლოდ მსჯავრდებულს, რასაც თან უნდა დაურთოს გასვლის გეგმა, განცხადება შეუძლია წარადგინოს თვეში ერთხელ. განცხადების შეტანა უნდა მოხდეს 5 დღით ადრე. განცხადებაში უნდა მიეთითოს ძირითადი მონაცემები, მოცულობითი და დასაბუთებული ყოველი მოთხოვილი დღის გეგმა, მისამართი, სადაც მსჯავრდებულის

365 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 14. მოკლევადიანი გასვლა და გაყვანა

ძირითადად იქნება, ზუსტი მისამართები პირებისა და დაწესებულებებისა, რომელიც უნდა მოინახულოს, ასევე ტელეფონის ნომრები. არასრული მონაცემები, რომელიც ციხის ადმინისტრაციას არ აძლევს საშუალებას გააკონტროლოს მსჯავრდებულის გადაადგილება ან მიზანი გაუგებარია, შესაძლებელია იყოს უარის საფუძველი. გასვლის მთელი დროის განმავლობაში მსჯავრდებული უნდა იყოს ხელმისაწვდომი კონტაქტისთვის გასვლის ნებართვაზე მითითებულ მისამართზე განსაზღვრულ დროებში, რათა ციხის ადმინისტრაციას და პოლიციას მისი შემომწმების შესაძლებლობა მიეცეს. მსჯავრდებული ვალდებულია გასვლის განმავლობაში დადგენილ დროს მოახსენოს ინფორმაცია ციხის წარმომადგენელს გარდა გამონაკლის შემთხვევებისა და გეგმის ან საცხოვრებლის შეცვლის შემთხვევაში მსჯავრდებულმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ციხის მორიგეს.”

რაც შეეხება მიმონერას და საფოსტო გზავნილებს³⁶⁶ აქაც ესტონეთის პრაქტიკაში ვხვდებით რადიკალურად განსხვავებულ მიდგომებს. “მსჯავრდებულს უფლება აქვს ყოველდღე გადასცეს ადმინისტრაციას თითო კონვერტი, რომელიც ეგზავნება ადმინისტრაციის ხარჯებით. ციხის ხარჯებით იგზავნება წერილები ადამიანის უფლებათა კანცლერს, ადმინისტრაციას, პრეზიდენტის კანცელარიას, პროკურორს, გამომძიებელს ან პროკურორს. გარდა ზემოთ აღნიშნულისა წერილები იგზავნება მსჯავრდებულის ხარჯებით. მსჯავრდებულს, რომელსაც ბოლო 6 თვის განმავლობაში პირად ანგარიშზე არ ჰქონდა 12,78 ევრო და ასევე ციხეს მისთვის არ შეუთავაზებია სამუშაო შეიძლება მიეცეს დღეში 1 თაბახის ფურცელი ყოველ ციხის ხარჯზე გასაგზავნ წერილზე. მსჯავრდებული (გარდა ბრალდებულისა), რომელმაც უარი განაცხადა მუშაობაზე, სანერი ფურცელი არ გადაეცემა.”

საქართველოს კანონმდებლობა ცნობს გარე სამყაროსთან ურთიერთობის კიდევ ერთ სახეს სასჯელალსრულების დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლის უფლებას, რაც რეგულირდება პატიმრობის კოდექსით, ხანმოკლე გასვლის უფლება ვრცელდება სასჯელის გარკვეული პერიოდის მოხდის შემდეგ და აძლევს

366 Правила внутреннего распорядка Вирусной тюрьмы, Утверждено Приказом директора Вирусной тюрьмы, № 1-1/19 от 30.01.2013 г. ЙЫХВИ, - 15.

საშუალებას მსჯავრდებულს იცხოვროს ოჯახთან ერთად გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნელინადში - “მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში და რომლის მიმართაც არ მოქმედებს დისციპლინური სახდელი ან ადმინისტრაციული პატიმრობა, უფლება აქვს, ნელინადში ორჯერ ისარგებლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. არასრულწლოვნებს, აგრეთვე ფეხმძიმე ქალებს და 3 წლამდე ბავშვების დედაებს უფლება აქვთ, ნელინადში სამჯერ ისარგებლონ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. ხანმოკლე გასვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც³⁶⁷”

ხანმოკლე გასვლის საკითხის განხილვისას ადმინისტრაცია ყურადღებას ამახვილებს მსჯავრდებულის პიროვნებაზე და მისი სანდოობის ხარისხზე “თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შუამდგომლობის განხილვისას მხედველობაში მიიღება: მსჯავრდებულის პიროვნება; ოჯახური მდგომარეობა; მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე; დანიშნულების ადგილი; სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებიც დადებითად ან უარყოფითად ახასიათებს მსჯავრდებულს.”

აღსანიშნავია უზრუნველყოფის ღონისძიებების არსებობის სავალდებულო ხასიათი, პირისათვის ხანმოკლე გასვლის ნებართვის გაცემისას, რაც ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია შემაფერხებელ ხასიათსაც ატარებდეს “თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შუამდგომლობის განხილვისას დეპარტამენტის თავმჯდომარეს შეუძლია გამოიყენოს შემდეგი უზრუნველყოფის ღონისძიებები: გირაო – არანაკლებ 2000 ლარისა; პირადი თავდებობა; ელექტრონული კონტროლის (მონიტორინგის) საშუალება. შესაძლებელია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ერთად გამოყენება. თავისუ-

367 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 27. მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა

ფლების აღკვეთის დანესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში. “

ხანმოკლე გასვლის უფლების გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის.

გარე სამყაროსთან ნებისმიერი სახით ურთიერთობა, თუ ის არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს წარმოადგენს უმთავრეს გზას მსჯავრდებულის საზოგადოებაში დაბრუნებისა და საზოგადოებაში ეფექტური ინტეგრაციისთვის.

6.7 უფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე

მასობრივი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უნდა განვიხილოთ, როგორც სასჯელის მოხდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც ხელს უწყობს პატიმრის გარე სამყაროსთან უწყვეტ კონტაქტს, მის ინფორმირებულებას გარე საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რაც მნიშვნელოვანი კომპონენტია მისი გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებაში დამკვიდრებისთვის.

საინფორმაციო ხელმისაწვდომობაზე საუბრობს ენდროუ კოლი ნიგნი³⁶⁸ “პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან” თავში საკითხავი ლიტერატურის, ტელევიზიისა და რადიოს ხელმისაწვდომობა “პატიმრებს უნდა შეეძლოთ, თვალყური მიადევნონ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს. აღნიშნული კავშირი გარე სამყაროსთან უზრუნველყოფს იმას, რომ პატიმარი არ გაუცხოვდეს იმ გარე სამყაროგან, სადაც მას მოუწევს დაბრუნება გათავისუფლების შემდეგ. ამ მიზნით, პატიმარს ხელი უნდა მიუწვდებოდეს წიგნებზე, გაზეთებზე, ჟურნალებსა თუ ტელევიზორზე.

საქართველოს კანონმდებლობა მასობრივი ინფორმაციის

368 ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის, თბილისი, 2007. გვ. 150

საშუალებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით მე-20 მუხლში “მასობრივი ინფორმაციის საშუალებები”³⁶⁹ უშვებს რადიო და ტელე-ტრანსლაციების, ინტრანეტით სარგებლობის შესაძლებლობას, ასევე ჟურნალ-გაზეთებისა და პუბლიკაციების გამონერის შესაძლებლობას. ადგენს პირთა კატეგორიას, ვისაც არ ეძლევა აღნიშნული საინფორმაციო საშუალებებით სარგებლობის უფლება³⁷⁰. “ ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს პრესის გაცნობისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობა. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როგორც წესი, ხდება რადიო და ტელეტრანსლაცია. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისა, ასევე შესაძლებელია ინტრანეტით სარგებლობა. ბრალდებულს/მსჯავრდებულს, გარდა სამართლო საკანში მოთავსებული ბრალდებულისა/მსჯავრდებულისა, შესაძლებელია მიეცეს რადიოტრანსლაციის მოსმენისა და ტელეტრანსლაციის ნახვის უფლება სამუშაოსგან თავისუფალ დროს, შესაბამისი დაწესებულების დებულებით დადგენილი წესით. ბრალდებულს/მსჯავრდებულს ან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯგუფს ადმინისტრაციის თანხმობით, დაწესებულების ტიპით გათვალისწინებული შეზღუდვების შესაბამისად, შეიძლება ჰქონდეს პირადი რადიომიმღები და ტელევიზორი, თუ მათი გამოყენება არ არღვევს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების მოთხოვნებს და სხვა ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა სიმშვიდეს. მან აღნიშნული ტექნიკა შეიძლება შეიძინოს თავისი ხარჯით ან მიიღოს ამანათის სახით.”

კანონმდებლობა განმარტავს თუ როდის აქვს ადმინისტრაციას უფლება ჩამოართვას მსჯავრდებულს ტელევიზორი ან რადიომიმღები, ასევე კანონმდებლობა განმარტავს ჩამორთმეული ნივთების შენახვისა და გადაცემის წესებს “დებულების

369 პატიმრობის კოდექსი - მუხლი 20. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, პ 2

370 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №97 - 2011 წლის 30 მაისი

მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაცია უფლებამოსილია ჩამოართვას ბრალდებულს/ მსჯავრდებულს ტექნიკა და გადასცეს მის ახლო ნათესავს. ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუძლია საკუთარი სახსრებით, გონივრული ოდენობით გამოიწეროს სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, რელიგიური და მხატვრული ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, მიიღოს სანერი საშუალებები, გარდა მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული აკრძალული ნივთებისა³⁷¹.”

საერთაშორისო სტანდარტების განხილვისას, საინფორმაციო საშუალებებთან ხელმისაწვდომობის ნაწილში ვხვდებით ზოგადად მწირ ინფორმაციას და შესაბამისად, ფართო არეალი მისი გამოყენების სტანდარტებთან დაკავშირებით არ გვხვდება, მაგალითად, გაეროს მინიმალურ სტანდარტულ წესებში³⁷² ვხვდებით განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ სინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობა, რაც უზრუნველყოფს მათთვის ინფორმაციის მიღებას. ”პატიმრებს უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ რეგულარულად გაეცნონ ახალი ამბების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილებს, გაზეთების, პერიოდული ან სპეციალური საუნწყებო პუბლიკაციების, რადიოს, ტელევიზიების ან სხვა ისეთი საშუალებებით, რომლებიც ნებადართული და კონტროლირებადია ადმინისტრაციის მიერ³⁷³.”

ევროპის პენიტენციური წესები ინფორმაციის ნაწილში³⁷⁴ განიხილავს მსჯავრდებულის ინფორმირებას დაწესებულებაში მიღების დროს, ასევე სამართალწარმოებისა და საპროცესო მიმდინარეობისა და სხვა საკითხების შესახებ ინფორმირებას. ასევე, წესები განიხილავს განსხვავებულ მიდგომებს პატიმრის გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, რომ პატიმრებს უნდა

371 პატიმრობის კოდექსი - მუხლი 20. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, პ 4

372 გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, - წესი 39

373 იქვე

374 ევროპის ციხის წესები - თავი ინფორმაცია წესი 30.1 -30.3; 24.10 24.12

მიეცეთ საშუალება, რეგულარულად შეიტყონ საზოგადოებრივი საქმეების შესახებ, ისარგებლონ საინფორმაციო საშუალებებით და ჰქონდეთ მასმედიის საშუალებებთან ურთიერთობა. “მიღებისას და შემდგომ, საჭიროებისამებრ, პატიმრებს ხშირად უნდა ეცნობოთ წერილობით და ზეპირად, მათთვის გასაგებ ენაზე, თავიანთი უფლებების, მოვალეობებისა და ციხის დისციპლინის მარეგულირებელი წესების შესახებ. პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, საკუთრებაში იქონიონ მათთვის მიწოდებული ინფორმაციის წერილობითი ვერსია. პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, რეგულარულად შეიტყონ საზოგადოებრივი საქმეების შესახებ და ამისთვის გამოიწერონ და იკითხოთ გაზეთები, პერიოდული გამოცემები და სხვა პუბლიკაციები, მოუსმინონ რადიოს ან სატელევიზიო გადაცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო ხელისუფლების მიერ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ინდივიდუალურ შემთხვევაში, კონკრეტული აკრძალვაა დაწესებული³⁷⁵.”

მნიშვნელოვანია ევროპული ციხის წესების მიდგომა მასმედიასთან პატიმრის ურთიერთობის საჭიროებასთან დაკავშირებით, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ქართული კანონმდებლობის მიდგომებისგან, რომელიც ცალსახად გამორიცხავს პატიმრის მასმედიასთან ურთიერთობის შესაძლებლობას, მაგალითად “პატიმრებს უნდა მიეცეთ მასმედიასთან ურთიერთობის ნებართვა, თუკი არ არსებობს ასეთი კომუნიკაციის აკრძალვის ანგარიშგასაწევი მიზეზი უსაფრთხოებისა და უშიშროების მოსაზრებიდან გამომდინარე, რომელიც განპირობებულია საზოგადოებრივი ინტერესით, ასევე, დაზარალებულის თუ სხვა პატიმრების ან პერსონალის დაცვის ინტერესებით³⁷⁶.”

რაც შეეხება საერთაშორისო პრაქტიკას, ამ შემთხვევაში განვიხილავთ ესტონეთის პრაქტიკას, სადაც ძირითადი ყურადღება ეთმობა საინფორმაციო საშუალებების გამონერას³⁷⁷, ასევე რეგულაციებით განსაზღვრულია რადიოსა და ტელევიზი-

375 ევროპის ციხის წესები - თავი ინფორმაცია წესი 24.10

376 ევროპის ციხის წესები - თავი ინფორმაცია წესი 24.12

377 Правила внутреннего распорядка Вирусной тюрьмы, Утверждено Приказом директора Вирусной тюрьмы, № 1-1/19 от 30.01.2013 г. Йыхви, - 15.3.

ის გამოყენების საათები. “იმისთვის, რომ გამოიწეროს პერიოდული გამოცემები მსჯავრდებულმა განცხადებით უნდა მიმართოს ადმინისტრაციას, სადაც მითითებულია რომელი გამოცემა უნდა გამოიწეროს, ასევე მიუთითებს თანხმობას მისი ანგარიშიდან თანხის გამოყენების თაობაზე. თავისი სახსრებით შეკვეთილი გაზეთები ან/და ჟურნალები მსჯავრდებულს ეძლევა ციხის თანამშრომლის მეშვეობით. საკაბელო ტელევიზია, საკანში დამონტაჟებული რადიო და განათება საკნებში ირთვება 6:00 დან 22:00 საათამდე.”

პატიმართა საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობა შესაძლებელია განვიხილოთ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის³⁷⁸ მე-10 მუხლის ფარგლებში, სადაც ევროპის კონვენცია განმარტავს ინფორმაციის გავრცელებისა და მიღების ხელმისაწვდომობას “ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.”

კონვენციის მე-10 მუხლი სახელმწიფოს ასევე აძლევს შესაძლებლობას, ინფორმაციის მიღება ან/და გავრცელება დაექვემდებაროს შეზღუდვებს, ამდენად ეს ცალსახად უთითებს თუ რა შემთხვევაში უნდა იყოს შეზღუდული ინფორმაციის მიღება ან/და გავრცელება, სადაც შეზღუდვის განმაპირობებელ ფაქტორად არ გვხვდება პატიმრობა, თუ ამისთვის სხვა გარემოებები არ არსებობს “ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ნებსებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისთვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების

378 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი, მუხლი 10, გამოხატვის თავისუფლება,

დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.”

6.8 განათლების უფლება

“არავის შეიძლება აღეკვეთოს განათლების უფლება!³⁷⁹”

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია განათლების უფლებას განიხილავს, როგორც ყველასთვის თანაბარ უფლებას და განმარტავს, რომ “ყველას აქვს განათლების უფლება”, განურჩევლად ნებისმიერი სტატუსისა, ასევე დეკლარაცია განმარტავს თუ რა მიზნისკენ უნდა იყოს მიმართული განათლების პროცესი “განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრულყოფილი განვითარებისკენ და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის განმტკიცებისკენ.³⁸⁰” აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მაღალმოთხოვნად საჭიროებად უნდა განვიხილოთ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან მიმართებაში, რათა მათ განუვითარდეთ პატივისცემა საზოგადოებისადმი და ორიენტაცია აიღონ მათ პიროვნულ განვითარებაზე.

ენდროუ კოილი საინტერესოდ აღწერს პატიმართა განათლებასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის შედეგებს და განმარტავს ციხეში განათლების მნიშვნელობას და მოტივაციას, თუ რატომ შეიძლება დაუთმოს განათლებას დრო პატიმარმა – “ციხეში მყოფ ბევრ ადამიანს “ განათლების დაბალი დონე აქვს. დიდმა ნაწილმა არ იცის წერა-კითხვა. ინგლისსა და უელსში ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ პატიმართა 65% ის განათლება არ არის ის, რაც ჩვეულებრივ მოეთხოვება 11 წლის ბავშვს, ხოლო საერთო მოსახლეობის შემთხვევაში, ეს პროცენტული მაჩვენებელი 23%-ზე დაბალია. განათლების დაბალმა დონემ, სავარაუდოდ, გავლენა მოახდინა მათ ცხოვრებაზე ციხეში მოსვლამდე და შეიძლება მათ მიერ დანაშაულის ჩადენაშიც დიდი

379 ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი, პარიზი 20 მარტი 1952 წელი

380 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 26

როლი ითამაშა. სამწუხაროდ რეალობაა, მაგრამ ზოგი ადამიანისთვის თვით ციხეში ყოფნის ფაქტი და ის, რომ გარკვეული ვადის განმავლობაში ერთ ადგილას უნევს დროის გატარება, წარმოადგენს პირველ რეალურ შესაძლებლობას, ხელი მიჰყოს სათანადო განათლების შექმნას³⁸¹.”

საქართველოს კონსტიტუცია, დეკლარაციის შესაბამისად ყველა პირს განურჩევლად მისი სტატუსისა აძლევს განათლების უფლებას “ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.” შესაბამისად ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ არსებული განათლების სისტემა იყოს შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან “სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან.” ციხეში განათლების სისტემის დარეგულირებასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია კონსტიტუციით დადგენილი წესი საბაზო განათლებასთან მიმართებაში “სახელმწიფო თავის ხარჯზე უზრუნველყოფს საბაზო განათლებას.” მოცემული დათქმა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პენიტენციურ სისტემაში იმყოფება არაერთი პირი, რომელსაც არა აქვს საბაზისო განათლება და მისი საჭიროება მკვეთრად გამოხატულია, როგორც არასრულწლოვანთა ისე სრულწლოვან პატიმართათვის.

მსჯავრდებულთა განათლების უფლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან მიდგომას ვხვდებით საქართველოს პატიმრობის კოდექსში, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა საერთოდ არ საუბრობს ბრალდებულთა უმაღლესი განათლების მიღების პროცედურებზე და ხელშეწყობაზე, არცერთ ეტაპზე. კერძოდ, ქართული კანონმდებლობა ცალკე თავს უთმობს მსჯავრდებულთა განათლებას³⁸², სადაც განხილულია, რომ დაწესებულებაში უნდა შეიქმნას პირობები ზოგადი და პროფე-

381 ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის, თბილისი, 2007, გვ 98

382 პატიმრობის კოდექსი, თავი XVIII - მსჯავრდებულთა განათლება - მუხლი 113

სიული განათლების მისაღებად, ასევე განიხილავს ბიბლიოთეკის როლს, როგორც მსჯავრდებულთა განათლების ერთ-ერთ კომპონენტს. კანონმდებლობა ავალდებულებს სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას შექმნას პირობები და ხელი შეუწყოს დაწესებულებაში განათლების მიღებას. “თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია შექმნას პირობები, რათა მსჯავრდებულებმა მიიღონ ზოგადი და პროფესიული განათლება.” აქვე ადგილი ეთმობა ბიბლიოთეკის, როლს და მისი მოწყობის სავალდებულოობას “თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია დაწესებულებაში მოაწყოს ბიბლიოთეკა, რომელშიც უნდა იყოს როგორც საგანმანათლებლო ლიტერატურა, ისე მსჯავრდებულთათვის გასაგებ ენაზე თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობა.”

ზოგადი და პროფესიული განათლების კომპონენტში³⁸³ კანონმდებლობა განიხილავს არასრულწლოვანთათვის საბაზისო განათლების მიცემის სავალდებულოობას “მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს საშუალება, მიიღოს სრული ზოგადი განათლება”, რომელიც უნდა განხორციელდეს დადგენილი წესის შესაბამისად, რომელსაც ადგენს “საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანება”³⁸⁴.

ქართული კანონმდებლობა ადგენს არასრულწლოვანთა განათლების უფლების რეალიზების ხელშეწყობის სავალდებულოობას და ასევე ყურადღებას უთმობს იმ მსჯავრდებულთა სახელმწიფო ენის შესწავლის ხელშეწყობას, რომლებიც ვერ ფლობენ ქართულ ენას, “არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის დაწყებითი და საბაზო განათლების მიცემა სავალდებულოა. მსჯავრდებულს, რომელიც ვერ ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, უნდა შეექმნას პირობები მის დასაუფლე-

383 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 114. მსჯავრდებულთა ზოგადი განათლება; მუხლი 115. მსჯავრდებულთა პროფესიული განათლება

384 მსჯავრდებულთა განათლებისა და პროფესიული სწავლების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე, ბრძანება №614/6

ბლად.” რაც შეეხება ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას კანონმდებლობა არ ადგენს მისი უზრუნველყოფის სავალდებულობას სასჯელალსრულების სისტემის ადინისტრაციის მიმართ, იგი უბრალოდ ადგენს სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესი უნდა იყოს მოწყობილი თუ ის განხორციელდება ამა თუ იმ დაწესებულების ბაზაზე “თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ზოგადი განათლების მიწოდება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული პროგრამით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას. ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობები და საათობრივი ბადე.”

ქართული კანონმდებლობა განიხილავს განათლების კიდევ ერთ დონეს, რომელიც უნდა მიეწოდოს სასჯელალსრულების სისტემაში განთავსებულ პირებს, როგორცაა პროფესიული განათლება, რა შემთხვევაშიც კანონმდებლობა ცალსახად ავალდებულებს სასჯელალსრულების სისტემას შექმნას პირობები მსჯავრდებულთა პროფესიული განათლების მისაღებად, “თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულთათვის უნდა შეიქმნას პროფესიული განათლების მიღების პირობები.”, ამასთან კანონმდებლობა ადგენს, თუ რომელი პროფესიების შესწავლას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი დაწესებულებებში. “მსჯავრდებულთა პროფესიული განათლების დროს უპირატესობა ეძლევა იმ პროფესიებს, რომელთა შესწავლაც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პირობებშია შესაძლებელი.” ასევე მნიშვნელოვანია კანონმდებლობის მიდგომა პროფესიული განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემასა და გაცემის ნებსებთან დაკავშირებით, რომელიც რეგულირდება არსებული სტანდარტებით და მას არა აქვს რაიმე სპეციფიური რეგულაცია, როგორც ციხეში მიღებული პროფესია, “თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პროფესიული განათლების შედეგად მიღებულ კვალიფიკაციას ადასტურებს

საატესტაციო ორგანო „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

საერთაშორისო სტანდარტების განხილვისას ასევე მნიშვნელოვან მიდგომას ვხვდებით განათლების, როგორც სასჯელის მოხდს პროცესისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული კომპონენტის მიმართ, ევროპის საბჭოს სპეციალურ რეკომენდაციაში³⁸⁵, განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული ციხეში განათლების საჭიროებებზე და მიმართულებებზე, ასევე ყურადღება ეთმობა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა განათლებას, ციხის გარეთ განათლების ხელმისაწვდომობასა და შესაბამისი ფონდების არსებობას, რომლებიც ხელს შეუწყობს მსჯარდებულთა განათლებას.

რეკომენდაცია პირველ რიგში განმარტავს ყველა პატიმრის ხელმისაწვდომობაზე სკოლისა და პროფესიული განათლების ასევე კულტურული, სპორტული და სხვა სახის განათლებისა და ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობაზე. “ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა, რომელიც შედგება სკოლის საგნებისგან, პროფესიული განათლებისგან, შემოქმედებითი და კულტურული საქმიანობისგან, ფიზიკური განათლებისა და სპორტისგან, სოციალური განათლებისა და ბიბლიოთეკისგან. პატიმრებისთვის განათლება უნდა იყოს გარე სამყაროში იგივე ასაკის სამიზნე ჯგუფის განათლების შესაბამისი და სასწავლო შესაძლებლობების არეალი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ფართო. ციხის განათლების მიზანი უნდა იყოს პიროვნების განვითარება, მისი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.”

რეზოლუციაში ასევე ვხვდებით მოთხოვნებს, რომელსაც იგი სასჯელალსრულების სისტემას და სისტემის პერსონალის მიმართ აყენებს, რომ ხელი შეუწყონ პატიმართა განათლებას “ყველა პირი ჩართული ციხის ადმინისტრირებასა და მენეჯმენტში შეძლებისდაგვარად ხელს უნდა უწყობდეს ციხეში განათლებას. ყველა ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული პატიმრის მხარდასაჭერად, განათლების ყველა სფეროში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.”

385 ევროპის საბჭოს მინიტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(89) 12 ციხეში განათლების შესახებ;

რეზოლუცია განმარტავს საგანმანათლებლო პროგრამებისა და ციხის პედაგოგების მიერ სწავლების შესაბამისი მეთოდების გამოყენებაზე “უნდა არსებობდეს საგანმანათლებლო პროგრამები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ციხის მასწავლებლის მიერ მოზრდილთა სწავლების ადეკვატური მეთოდების გამოყენება.”

მნიშვნელოვანია მიდგომა წერა-კითხვის და სირთულეების მქონე პატიმრების განათლების უზრუნველყოფის საკითხისადმი, სადაც რეზოლუცია განმარტავს, რომ “განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული სირთულეების მქონე პატიმრებს და განსაკუთრებით წერა-კითხვასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პატიმრებს.”

მნიშვნელოვანია რეზოლუციის მიდგომა ასევე ისეთი ტიპის განათლებაზე, როგორცაა პროფესიული განათლება, ბიბლიოთეკაზე ხელმისაწვდომობა და ის განსხვავებული მიდგომები, რომლებიც ქართული კანონმდებლობით არ არის რეგულირებული, როგორცაა სოციალური და სპორტული განათლება “პროფესიული განათლების მიზანი უნდა იყოს ინდივიდის ფართო განვითარება ისევე, როგორც შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციებისადმი მგრძობელობის გამომუშავება; პატიმრებს უნდა ჰქონდეთ დაშვება კარგად აღჭურვილ ბიბლიოთეკაზე, სულ მცირე კვირაში ერთხელ; მხარდაჭერილ და აქცენტირებული უნდა იყოს პატიმრების ფიზიკური განათლება და სპორტი; სოციალური განათლება უნდა მოიცავდეს პრაქტიკულ ელემენტებს, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ პატიმარს მართონ ყოველდღიური ცხოვრება ციხეში, საზოგადოებაში მისი დაბრუნების გამარტივების თვალსაზრისით.”

რეზოლუციის თანახმად, შემოქმედებით და კულტურულ საქმიანობებს უნდა დაეკისროს მნიშვნელოვანი როლი, ვინაიდან ამ საქმიანობებს აქვთ პოტენციალი პატიმრებს მისცენ განვითარებისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობა; როდესაც შესაძლებელია პატიმარს უნდა მიეცეს ციხის გარეთ განათლების მიღების შესაძლებლობა.

რეზოლუცია ასევე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს საზოგადოების ჩართულობას ციხეში სწავლების პროცესში და ასევე

ციხის გარეთ სწავლების ხელმისაწვდომობას “სადაც განათლების მიღება ხდება ციხეში. გარე საზოგადოება შეძლებისდაგვარად სრულად უნდა იყოს ჩართული. მიღებულ უნდა იქნას ზომები იმისთვის, რომ პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა ციხის გარეთ გააგრძელონ განათლების მიღება, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფონდები, აღჭურვილობა და პერსონალი, რომელიც პატიმრებს შესაძლებლობას მისცემს მიიღონ შესაბამისი განათლება.”

განათლებას ასევე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები, რომელიც განმარტავს, რომ სადაც კანონით დასაშვებია განათლება უნდა იყოს უზრუნველყოფილი, ასევე ყურადღებას უთმობს რელიგიურ განათლებას, ასევე იმ პირებთან და უწყებებთან ურთიერთობების შენარჩუნებასა და გამყარებას, რომლებიც ციხის გარეთ დახვდებიან მათ გათავისუფლების შემთხვევაში. “იმ ქვეყნებში, სადაც ეს დაშვებულია, პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობით, რელიგიური განათლების ჩათვლით. წერა-კითხვის უცოდინართა და არასრულწლოვანთა განათლება სავალდებულო უნდა იყოს და ციხის მართვის ორგანოებმა ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ³⁸⁶.”

მინიმალური სტანდარტული წესები გარკვეულწილად ადგენს, თუ როგორი უნდა იყოს ციხეში არსებული საგანმანათლებლო სისტემის სტანდარტები და მისი შესაბამისობა საზოგადოებაში არსებულ სტანდარტებთან, რაც პირდაპირ აისახება მიღებული განათლების გამოყენების შესაძლებლობაზე პირის გათავისუფლების შემდეგ “პატიმრების განათლება შეძლებისდაგვარად დაკავშირებული უნდა იყოს ქვეყანაში არსებულ განათლების სისტემასთან იმ მიზნით, რომ მომავალში ამ პატიმრებმა დაუბრკოლებლად შეძლონ სწავლის გაგრძელება.”

ევროპის ციხის წესები ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ციხეში განათლების კომპონენტს, სადაც ვხვდებით ზემოაღნიშნული სტანდარტებისგან განსხვავებულ მიდგომას, რო-

386 გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, თავი განათლება და კულტურული საქმიანობა, წესი 77-81

გორიცაა მრავალმხრივი განათლების ხელმისაწვდომობა, რაც მსჯავრდებულის ინდივიდუალურ საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული და ამ ნაწილში პრიორიტეტს სწორედ წერა-კითხვის უცოდინარ ან სხვა საჭიროების მქონე ახალგაზრდა პატიმრებს ანიჭებს. “ყოველი სასჯელაღსრულების დანესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პატიმრებს, რომელთაც წერა-კითხვის და ანგარიშის სწავლის საჭიროება აქვთ და აკლიათ საბაზისო და პროფესიული განათლება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა და სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმრების განათლებას³⁸⁷.”

საერთაშორისო პრაქტიკის განხილვისას საერთაშორისო სტანდარტების მსგავსად ვხვდებით ფართო მიდგომას, რომელიც გარკვეულწილად განსხვავდება ქართული პრაქტიკისგან, კერძოდ ირლანდიის პრაქტიკის გაცნობისას განათლების³⁸⁸ საკითხისადმი ისეთ მიდგომებს ვხვდებით, როგორცაა მოქნილი საგანმანათლებლო სისტემის არსებობა ყველა ციხეში, რომელიც მიმართული უნდა იყოს შემდეგი მიზნებისკენ “გაუმკლავდეს თავისუფლების აღკვეთას; მიაღწიოს პირად განვითარებას; მოემზადოს ციხიდან გათავისუფლების შემდგომი ცხოვრებისათვის; გამოუმუშავდეს უწყვეტი განათლების მოთხოვნილება და შესაძლებლობა.” ასევე ცალკე თავი ეთმობა პროფესიულ სწავლებას, სადაც გარდა ზოგადი განათლების თავში განხილული მიზნებისა მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა “პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას; გააუმჯობესოს თავისი პერსპექტივა გათავისუფლების შემდეგ შრომითი მოწყობისთვის.³⁸⁹” მო-

387 ევროპის ციხის წესები, თავი განათლება - წესი 28.1 - 28.7

388 Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007, “Prison Rules”. Published by the stationery office Dublin To be purchased directly from the Government Publications Office, Education and Library

389 Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007 “Prison Rules”. Published by the stationery office Dublin To be purchased directly from the Government Publications Office - PART 13 VOCATIONAL TRAINING

ცემული მიზნების განხილვისას ვხვდებით მთავარ მიზანს, რომ მთელი პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს გათავისუფლების შემდგომ ცხოვრების მოწყობის ხელშეწყობისკენ.

ირლანდიის პრაქტიკაში ასევე განსაკუთრებულ პრიორიტეტულ მიდგომას ვხვდებით ფსიქოლოგიურ მომსახურებისადმი³⁹⁰, სადაც მითითებულია, რომ მინისტრი ვალდებულია შექმნას ციხეში ფსიქოლოგიური მომსახურების ისეთი ხელმისაწვდომი გარემო, რომელიც საჭიროა მსჯავრდებულის საჭიროებიდან გამომდინარე. ასევე მნიშვნელოვანია სტადარტები, რომელიც განსაზღვრავს იმ პირის საქმიანობას, რომელიც ახორციელებს ფსიქოლოგიურ მომსახურებას³⁹¹ ციხეში, “მიანოდოს ფსიქოლოგიური მომსახურება, რომელიც შეესაბამება ქვეყანაში არსებულ ფსიქოლოგის პროფესიული ეთიკის სტანდარტებს. მოქმედ კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან შესაბამისობაში; მოეპყრონ პატიმრებს ისეთივე ღირსებისა და პატივისცემის ფარგლებში, როგორც ეპყრობიან არა პატიმარ პაციენტებს; მიანოდონ პატიმრებს ისეთი ფსიქოლოგიური მომსახურება, რომელიც საჭიროა მათი ფსიქიური ჯანმრთელობისთვის, გაუწიონ დახმარება მათ პიროვნულ განვითარებას, რათა გამოუმუშაონ მათ ციხის შემდგომ ცხოვრებასა და დანაშაულებრივ ქმედებაზე პასუხისმგებლობის აღების გრძნობა” და ა.შ

ესტონეთის პრაქტიკაში ყურადღებას ვუთმობთ ორ ძირითად, ქართული პრაქტიკისთვის ახალ კომპონენტებს, როგორიცაა ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული პროგრამის განხორციელება და სახელმწიფო ენის შესწავლის სავალდებულოობაზე, რომელიც წარმოიშობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ. “ინდივიდუალური გეგმის მიხედვით პროგრამის შესასრულებლად, ციხე ამისამართებს მსჯავრდებულებს განათლების მისაღებად და სახელმწიფო ენის შესასწავლად,

390 Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007, ~Prison Rules”. Published by the stationery office Dublin To be purchased directly from the Governement Publications Office, Education and Library - Provision of psychology service

391 Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007, ~Prison Rules”. Published by the stationery office Dublin To be purchased directly from the Governement Publications Office, Education and Library - Performance of functions by psychologist

ასევე უზრუნველყოფს ძირითადი სასკოლო განათლების მიღებას იმ პირებისთვის, ვინც ვალდებულია მიიღოს საშუალო განათლება. სახელმწიფო ენის შესწავლის ვალდებულება ციხის მიერ ორგანიზებული კურსების საშუალებით წარმოიშობა როცა გამამტყუნებელი განაჩენი შევა ძალაში ან ინდივიდუალური გეგმის შემუშავების დროს მომზადებული გეგმის შემთხვევაში. ღია დანესებულებაში გადაყვანა არის მთავარი მიზეზი, რათა მიიღოს გარეთ სწავლის უფლება. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც მსჯავრდებული სწავლობს დაუსწრებლად ან ექსტერნად, დირექტორის ნებართვით³⁹².”

6.9 შრომის უფლება

“საკუთარი თავის მატერიალური უზრუნველყოფის გზის პოვნა ციხიდან გამოსვლის შემდეგ პატიმრის საზოგადოებაში რეინტეგრაციის უნარის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ბევრი პატიმრისთვის ციხეში ყოფნის დრო შეიძლება მათთვის პირველი შესაძლებლობაც კი იყოს პროფესიულ-ტექნიკური უნარ-ჩვევების შესაძენად და რეგულარული სამუშაოს საკეთებლად. მთავარი მიზანი, რის გამოც პატიმრებს მუშაობა მოეთხოვებათ, არის მათი მომზადება ციხიდან გამოსვლის შემდეგ ნორმალური შრომითი ცხოვრებისთვის და არა ადმინისტრაციის სასარგებლოდ ფულის გამომუშავება ან მთავრობის სხვა დანესებულებების სასარგებლოდ ქარხნებში მუშაობა. უნდა გვახსოვდეს, რომ დასაქმება სოციალური რეაბილიტაციის მხლოდ ერთი ელემენტია. სრულფასოვანი რეაგირება გულისხმობს ყველა იმ უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას, რაც საზოგადოებაში დასაბრუნებლად საჭირო, სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა უნარ-ჩვევებზეა მოთხოვნა.³⁹³”

392 Правила внутреннего распорядка Вирусской тюрьмы, Утверждено Приказом директора Вирусской тюрьмы, № 1-1/19 от 30 23.01.2013 г. ИЫХВИ - 17.3

393 ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის, თბილისი, 2007, გვ 93

“ყველა ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისგან დაცვის უფლება³⁹⁴” - ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია განმარტავს, რომ ყველა ადამიანი სარგებლობს შრომის უფლებით და არ შეიძლება მათი შეზღუდვა მათი სტატუსიდან გამომდინარე.

ენდროუ კოილი ნიგნში “პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან”, განმატავს თუ რა ტიპის სამუშაოთი შეიძლება იყოს დაკავებული პატიმარი და რომ ეს არ უნდა იყოს იძულებითი შრომა, რომელიც უნდა იყოს მიზანმიმართული იქითკენ, რომ მსჯავრდებულს დაეხმაროს გათავისუფლების შემდგომ ცხოვრების მოწყობაში. “იძულებით ან სავალდებულო შრომა ზოგადად აკრძალულია, თუმცა, საერთაშორისო დოკუმენტები მკაფიოდ განმარტავენ, რომ პატიმრების მიერ შესრულებული სამუშაო ავტომატურად ამ კატეგორიაში არ ხვდება. მსჯავრდებული პატიმრები შეიძლება დაავალდებულონ, იმუშაონ გარკვეული გარანტიების პირობით. ესენია: სამუშაოს უნდა ჰქონდეს მიზანი, სამუშაო უნდა დაეხმაროს მათ იმ უნარ-ჩვევების შეძენაში, რომლებიც მათ გამოადგება გათავისუფლების შემდეგ; პატიმრებს უნდა გადაუხადონ მათ მიერ შესრულებული სამუშაოსთვის; შრომის პირობები ძირითადად იგივე უნდა იყოს, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო სამუშაო ადგილზე, განსაკუთრებით, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებით; შრომის საათები არ უნდა იყოს გადაჭარბებული და უნდა ტოვებდეს დროს სხვა საქმიანობებისთვის. ციხეში მუშაობას ორი ძირითადი მიზანი უნდა ჰქონდეს უნარ-ჩვევები და ცოდნა.”

საქართველოს კანონმდებლობა ასევე ეხმაურება მსჯავრდებულთა დასაქმების საჭიროებას³⁹⁵, სადაც ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი არის მსჯავრდებულთა სურვილი. კანონი კრძალავს ადამიანის იძულებას იმუშაოს ან ასეთი სამუშაო იყოს პატივისა და ღირსების შემლახავი, ამასთან განმარტავს სამუ-

394 გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მ 23

395 პატიმრობის კოდექსი, თავი XVII მსჯავრდებულთა შრომა - მუხლი 110. მსჯავრდებულთა შრომითი საქმიანობის ზოგადი პრინციპები

შაოს შესრულების წესს, პირობებს და ადგილს, სადაც უნდა მოხდეს მსჯავრდებულის დასაქმება. “აკრძალულია მსჯავრდებულის იძულება, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც ლახავს ადამიანის პატივსა და ღირსებას. მსჯავრდებულები მუშაობენ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, თუ დაწესებულებას აქვს მათი დასაქმების შესაძლებლობა. მსჯავრდებულები მუშაობენ მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე. მსჯავრდებულის შეიძლება დასაქმებულ იქნას აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო ან არასახელმწიფო დაწესებულებაში.”

კანონმდებლობა ასევე საუბრობს იმ სტანდარტებზე თუ როგორ უნდა მოხდეს მსჯავრდებულთა შრომის ანაზღაურება “მსჯავრდებულის შესრულებული სამუშაოსთვის იღებს ხელფასს საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. მსჯავრდებულს ხელფასი ერიცხება პირად საბანკო ანგარიშზე. ხელფასის სრული განკარგვის უფლება მსჯავრდებულს მიეცემა გათავისუფლებისას. მას უფლება აქვს, ეს თანხა თავისი შეხედულებისამებრ გადაუგზავნოს ახლო ნათესავებსა და სხვა პირებს.”

კანონმდებლობა ასევე განმარტავს საწარმოების³⁹⁶ შექმნის წესსა და მათი საქმიანობის თავისებურებებს, რომლებიც მოახდენენ პატიმრების დასაქმებას სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე. ასევე კანონმდებლობა ცალსახად განსაზღვრავს თუ როგორი უნდა იყოს მსჯავრდებულისთვის შექმნილი სამუშაო პირობები სასჯელაღსრულების სისტემაში. “თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია და დამსაქმებელი ვალდებული არიან მსჯავრდებულს შეუქმნან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო შრომის პირობები. სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შრომის დაცვის, უსაფრთხოება და საწარმოს სანიტარული წესები განისაზღვრება საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მუშაობს სწავლისგან თავისუფლებული პატიმრობის კოდექსი, მუხლი 111. საწარმოები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე

ფალ დროს, ამასთანავე, სწავლისა და მუშაობის დრო არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს. ზეგანაკვეთური მუშაობა, აგრეთვე მუშაობა უქმე დღეებში შესაძლებელია მხოლოდ მსჯავრდებულის თანხმობით. ამასთანავე, სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს³⁹⁷.”

საერთაშორისო სტანდარტების განხილვისას ვხვდებით ევროპის საბჭოს მინისტრათა კომიტეტის სპეციალურ რეკომენდაციას³⁹⁸, რომელიც ეძღვნება ციხეში შრომის ორგანიზებას და მსჯავრდებულთა სამუშაო პირობებითა და გარემოთი უზრუნველყოფას, რეკომენდაცია განმარტავს სახელმწიფოების ვალდებულებას მოცემულ საკითხთან მიმართებაში, რომ კონკრეტულად განსაზღვრული სტატუსი და პრიორიტეტი მიანიჭონ ციხეში მუშაობას.

რეკომენდაცია ავალდებულებს სახელმწიფოებს ინსტიტუციური საჭიროებიდან გამომდინარე, ხელმისაწვდომი გახადონ სათანადო რესურსები სამუშაო პროგრამების მხარდასაჭერად და ამ მიზნისათვის სრულად გამოიყენონ მენეჯმენტის ადეკვატური და თანამედროვე სისტემები, ტექნიკა და პროდუქციის წარმოება.

რეკომენდაცია განმარტავს, რომ სახელმწიფოებმა - “ადაპტირება გაუკეთონ სამუშაო პირობებს, შესასრულებელ მიზნებსა და ანაზღაურებას იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი იქნება პრაქტიკაში და მხედველობაში მიიღონ გარე სტანდარტებისგან განსხვავებული ციხის სამუშაოს განსაკუთრებული ხასიათი. აღიარონ მუშაობის მნიშვნელობა და მისი გათვალისწინება მენეჯმენტში ყველა დონეზე, როდესაც ხდება პერსონალის შერჩევა და მათი ტრენინგი. კოორდინაცია გაუწიონ შრომის მოთავსების სისტემას სასჯელაღსრულების რეჟიმების მენეჯმენტის სხვა ასპექტებთან.”

გარდა ევროპის საბჭოს მინისტრათა კომიტეტის სპეციალურ რეკომენდაციისა პატიმართა შრომას განიხილავს ასევე სხვა საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც ორიენტირე-

397 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 112. სამუშაო პირობები

398 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია (75)25 - ციხეში შრომის თაობაზე

ბულია ზოგადად სასჯელალსრულების სისტემის საქმიანობის დარეგულირებაზე, კერძოდ მინიმალური სტანდარტული წესები განსაზღვრავს, რომ შრომა არ უნდა იყოს მათთვის წამების ტოლფასი, და სამუშაო უნდა იყოს ფიზიკური და ფსიქიკური მონაცემების შესაბამისად, სამუშაო უნდა ამაღლებდეს მსჯავრდებულის კვალიფიკაციას, წესები ყურადღებას უთმობს ციხეში სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას, რასაც უნდა ახორციელებდეს უშუალოდ ციხის ადმინისტრაცია და არა კერძო კომპანიები. წესები ასევე ყურადღებას უთმობს პატიმართა შრომის ანაზღაურებას, „პატიმრების შრომა არ უნდა იყოს მათთვის წამების ტოლფასი. ყველა პატიმარი უნდა მუშაობდეს ექიმის მიერ დამონმებული თავისი ფიზიკური და ფსიქიკური მონაცემების შესაბამისად. პატიმრები დაკავებულნი უნდა იყვნენ სასარგებლო შრომით, რომელმაც უნდა შეავსოს ნორმალური სამუშაო დღე. პატიმრებისთვის მიცემული სამუშაო შეძლებისდაგვარად, უნდა იყოს ისეთი, რომ აუმაღლოს ან მიანიჭოს მათ კვალიფიკაცია, რომელიც გათავისუფლების შემდეგ მისცემს კეთილსინდისიერი შრომის შესაძლებლობას. პატიმრებს უნდა ჰქონდეთ სამუშაოს არჩევის შესაძლებლობა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ხელობის არჩევის წესსა და დაწესებულების მართვისა და დისციპლინის მოთხოვნებს. სამუშაო მეთოდები და ორგანიზება უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების ფარგლებს გარეთ არსებულ სამუშაოს, რათა მოხდეს პატიმრების თანდათანობითი მომზადება საზოგადოებასთან ინტეგრირებისთვის. პატიმართა ინტერესები არ უნდა იქნას გამოყენებული დაწესებულების მიერ მატერიალური მოგების მიღების მიზნით³⁹⁹.”

მნიშვნელოვანია ქართული კანონმდებლობისგან მკვეთრად განსხვავებული მიდგომა ციხეში სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებით “უმჯობესია, რომ ციხეში სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხელმძღვანელობა ხორციელდებოდეს უშუალოდ ციხის ადმინისტრაციის, და არა კერძო კომპანიების მიერ.”

399 ვაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, თავი - შრომა ციხეში, წესი 71 -79

გარდა დასაქმების აუცილებლობისა მინიმალური სტანდარტული წესები განიხილავს სამუშაოების შესრულებისას უსაფრთხოების ღონისძიებისა და კონტროლის საკითხს და ახდენს დიფერენცირებას იმის მიხედვით, თუ რომელი სამუშაო ექვემდებარება კონტროლს და რომელი არა და რა უნდა გაკეთდეს ამ შემთხვევაში. “პატიმრები, რომლებიც ასრულებენ ისეთ სამუშაოს, რომელიც არ ექვემდებარება დანესებულების მიერ კონტროლს, უნდა იმყოფებოდნენ ამ უკანასკნელთა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. უსაფრთხოების წესები, რომელიც ითვალისწინებს მუშაკთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, გათვალისწინებულია ყველა დანესებულებაში. უზრუნველყოფილია პატიმართა დაცვა სამუშაო მოვალეობის შესრულების დროს მიღებული დაზიანებისგან. აღნიშნული გათვალისწინებულია თავისუფალ მუშაკთა უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონმდებლობით.”

მინიმალური სტანდარტული წესები განიხილავს პატიმართა შრომის ანაზღაურების საკითხს და შრომის ორგანიზაციის სტანდარტებს, ასევე შემთხვევებს, როდესაც პატიმრები შესაძლებელია ასრულებდნენ სხვა ორგანიზაციების შეკვეთებს, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი შრომის ანაზღაურება, კერძოდ, “იმ შემთხვევების გარდა, როდესაც პატიმრები ასრულებენ სხვა სამთავრობო სტრუქტურების შეკვეთას, სამუშაოს შემკვეთები ვალდებული არიან გადაუხადონ ადმინისტრაციის სამუშაოსათვის გათვალისწინებული ხელფასის სრული თანხა პატიმრების მწარმოებლური შრომის გათვალისწინებით. სამუშაო დღის ან კვირის მაქსიმალური ხანგრძლივობა დგინდება კანონით ან ადმინისტრაციული დადგენილებების საფუძველზე, თავისუფალი მუშებისთვის კანონით დადგენილი ადგილობრივი წესების გათვალისწინებით. სამუშაო დრო უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ პატიმრებს ჰქონდეთ კვირაში ერთი დასვენების დღის საშუალება, სწავლისთვის და სხვა სახის საქმიანობისათვის საკმარისი თავისუფალი დრო, რაც აუცილებელია მათი გამოსწორებისთვის. პატიმრებმა უნდა მიიღონ თავისი შრომის სამართლიანი ანაზღაურება გარკვეული სისტემის ფარგლებში.

ამ სისტემის შესაბამისად, პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საშუალება დახარჯონ მათ მიერ გამოიმუშავებული ფულის ნაწილი მაინც, რათა შეიძინონ პირადი მოხმარების კანონით დაშვებული ნივთები და გაუგზავნონ თავისი ანაზღაურების ნაწილი ოჯახს. ეს სისტემა ასევე უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ პატიმრის მიერ გამოიმუშავებული ფულის ნაწილი შესაძლებელია მიეცეს ადმინისტრაციას, რომელიც გადასცემს პატიმარს ამ თანხას მისი გათავისუფლებისას.”

მნიშვნელოვანია ევროპის პენიტენციური წესების⁴⁰⁰ მიდგომა პატიმრის დასაქმებასთან დაკავშირებით, რომელიც აღნიშნავს, რომ პატიმრის მუშაობა უნდა აღიქმებოდეს როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი, ასევე როგორც მინიმალური წესები ევროპის პენიტენციური წესებიც ხაზს უსმევს იმ გარემოებას, რომ შრომა პატიმარს უნდა უნარჩუნებდეს ან უვითარებდეს გათავისუფლების შემდგომ თავის რჩენის უნარს. პენიტენციური წესები განსაზღვრავს, რომ არ უნდა არსებობდეს დისკრიმინაცია გენდერული საფუძვლით. “სასჯელალსრულების დაწესებულებაში პატიმრის მუშაობა უნდა აღიქმებოდეს, როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი და არასდროს არ უნდა იქნას გამოყენებული სასჯელის სახით. ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი უზრუნველყოს. პატიმრისთვის განკუთვნილი სამუშაო შეძლებისდაგვარად ისეთი უნდა იყოს, რომ უნარჩუნებდეს ან ავითარებდეს პატიმრის მიერ გათავისუფლების შემდგომ თავის რჩენის უნარს. მე-13 წესის თანახმად, უზრუნველყოფილი სამუშაოს ტიპთან მიმართებით, არ უნდა არსებობდეს დისკრიმინაცია გენდერული საფუძვლით. სამუშაოზე, რომელიც ასევე მოიცავს პროფესიულ სწავლებას, უნდა დასაქმდნენ პატიმრები, რომლებსაც შეუძლიათ მისგან სარგებლობის მიღება, განსაკუთრებით, ახალგაზრდა პატიმრები. პატიმრებს უნდა შეეძლოთ, თავად შეარჩიონ საქმიანობის ის ტიპი, რომელშიც მონაწილეობის სურვილიც აქვთ – არსებული სამუშაოს ლიმიტის ფარგლებში, აგრეთვე, სათანადო პროფესიული შერჩევის, წესრიგისა და

400 ევროპის ციხის წესები, თავი - სამუშაო, 1 წესი- 26.- 26.17

დისციპლინის მოთხოვნების შესაბამისად.”

ევროპული ციხის წესები ყურადღებას უთმობს პატიმართა პროფესიული ტრამვის ან/და დაავადების შემთხვევაში შესაბამისი ანაზღაურების უზრუნველყოფას “პატიმართათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამრეწველო ტრავმისას ანაზღაურების მიღების გარანტია, მათ შორის, პროფესიული დაავადების დროს და მისი პირობები არ უნდა იყოს იმაზე ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე კანონმდებლობით არის გათვალისწინებული ჩვეულებრივ მომუშავე მუშაკათათვის.”

საერთაშორისო პრაქტიკის განხილვისას ყურადღება დაეთმო ესტონეთის პრაქტიკას, სადაც ვხვდებით საქართველოსგან განსხვავებულ პრაქტიკას, კერძოდ აქ განხილულია მსჯავრდებულის სამეურნეო მომსახურებაში დასაქმების თავისებურება და დაწესებულების გარეთ სამუშაო, რომლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ღია დაწესებულებაში გადაყვანა, “საკონტაქტო პირი, რომელიც პასუხისმგებელია მსჯავრდებულების დასაქმებაზე, ახორციელებს აღრიცხვას მსჯავრდებულებისა, რომლებსაც აქვთ რაიმე სახის პროფესიული უნარ-ჩვევების ან დამსაქმებლის შუამდგომლობის საფუძველზე, შესაძლებლობის შემთხვევაში გაანაწილოს მსჯავრდებული სამუშაოზე. საკონტაქტო პირი ადგენს ელექტრონულ შუამდგომლობას მსჯავრდებულის სამეურნეო მომსახურებაში ან სანარმოოში დასაქმების მიზნით. მსჯავრდებულის ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანა არის მთავარი საფუძველი იმისა, რომ მსჯავრდებულმა იმუშაონ დაწესებულების გარეთ. სამუშაო ინსტრუმენტი, რომელიც აქვს მსჯავრდებულს უნდა იყოს მონიშნული (მარკირებული) მსჯავრდებული ვალდებულია გააფრთხილოს პასუხისმგებელი პირი თუ ინსტრუმენტი დაიკარგა, გაფუჭდა ან გატყდა.”⁴⁰¹

მსჯავრდებულის დასაქმება არის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი, მსჯავრდებულისთვის როგორც სასჯელის მოხდის პერიოდში მისი ფსიქოლოგიური და ეკონომიური მდგომარეობის სტაბილურობის თვალსაზრისით, ასევე უმთავრესი კომპონენტია გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესში,

401 Правила внутреннего распорядка Вирусской тюрьмы, Утверждено Приказом директора Вирусской тюрьмы, № 1-1/19 от 30.23.01.2013 г. ЙЫХВИ - 17.4

რათა პირი გათავისუფლდეს სამუშაო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, რაც მას დაეხმარება ცხოვრების პირობების მოწყობაში.

6.10 ჯანმრთელობის დაცვის უფლება

პატიმრობაში მყოფი ადამიანები ინარჩუნებენ ფუნდამენტურ უფლებას კარგ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და უფლებას, მიიღონ სამედიცინო ზრუნვა ისეთი ხარისხით, რაც უთანაბრდება, სულ ცოტა, ფართო საზოგადოებისთვის განეული სამედიცინო ზრუნვის ხარისხს. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ (მუხლი 12) ადგენს “ყველას უფლებას, ისარგებლოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის ყველაზე მაღალი ხელმისაწვდომი სტანდარტით”.

ყველა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან ერთად, პატიმრებს, მათი სტატუსიდან გამომდინარე, აქვთ დამატებითი გარანტიები. როდესაც სახელმწიფო ადამიანს ართმევს თავისუფლებას, იგი თავის თავზე იღებს მის ჯანმრთელობაზე ზრუნვის პასუხისმგებლობას, როგორც პატიმრობაში ყოფნის პირობების, ისე ამ პირობებიდან გამომდინარე აუცილებელი ინდივიდუალური მოპყრობის თვალსაზრისით.

კარგი ჯანმრთელობა ყველასთვის მნიშვნელოვანია. ეს გავლენას ახდენს ადამიანების ქცევასა და საზოგადოების წევრებად ფუნქციონირების უნარზე. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ციხის დახურული საზოგადოების პირობებში. თავისი ხასიათიდან გამომდინარე, პატიმრობის მდგომარეობამ შეიძლება დამაზიანებელი ეფექტი იქონიოს პატიმრების როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე. ამიტომ ციხის ადმინისტრაცია მოვალეა, უზრუნველყოს არა მხოლოდ სამედიცინო მზრუნველობა, არამედ პატიმრებსაც და ციხის თანამშრომლებსაც შეუქმნას კარგად ყოფნის პირობები. პატიმრები არ უნდა გავიდნენ ციხიდან იმაზე უარეს მდგომარეობაში, რომელშიც ისინი იყვნენ შემოსვლისას. ეს ეხება ციხეში ცხოვრების ყველა ასპექტს, მაგრამ განსაკუთრებით – ჯანმრთელობას⁴⁰².

402 ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უფლებას და ჯანმრთელობის დაზღვევით სარგებლობის ხელმისაწვდომობას, ნებისმიერი ადამიანისთვის, “ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.⁴⁰³” საქართველოს კონსტიტუცია ასევე არეგულირებს ცხოვრების უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას ნებისმიერ შემთხვევაში ნებისმიერი ადამიანისთვის “ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.”

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, ევროპის სასამართლოს პრაქტიკის განხილვისას ვხვდებით არაერთ საქმეს, რომელიც ეხება სასჯელალსრულების დანესებულებებში პატიმართა სამედიცინო მომსახურების სფეროში არსებულ ხარვეზებს, მაგალითად საქმე ლარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ “საქართველოს მთავრობამ არ წარმოადგინა არავითარი მტკიცებულება, რომ მომჩივანს ჰქონდა სათანადო კვება და რომ მის ანორექსიასა და გადაღლილობას მიექცა საჭირო სამედიცინო ყურადღება. სასამართლო ასევე ვერ დაარწმუნა მთავრობის პასუხმა, რომ ორი ექოსკოპია საკმარისი იყო იმის დასადგენად, რომ მომჩივნის ღვიძლთან დაკა-

პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის, თბილისი, 2007, გვ 53

403 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37

ვშირებული ჩივილი არ საჭიროებდა არავითარ სამედიცინო ჩარევას. სამედიცინო თვალსაზრისით ცნობილია, რომ *“gamma GT”*-ის მაღალი ტიტრი შეიძლება მიუთითებდეს საკმაოდ მწვავე *“C”* ჰეპატიტზე და რომ ექოსკოპია არ არის სარწმუნო საშუალება ღვიძლის ქსოვილის დაზიანების ხარისხის განსასაზღვრავად. სასამართლომ დაადგინა, რომ პაციმრის ჯანმრთელობის დასაცავად საკმარისი არ არის მისი გამოკვლევა და დიაგნოზის დასმა. აუცილებელია დიაგნოზის შესაბამისი სამედიცინო მკურნალობის უზრუნველყოფა, ისევე, როგორც სათანადო სამედიცინო მეთვალყურეობა. შესაბამისად, სასამართლომ მიუღებლად მიიჩნია, რომ მომჩივნის არაერთგზის მოთხოვნა მისთვის მკურნალობის განწევასთან დაკავშირებით დარჩა უპასუხოდ ან უყურადღებოდ.”

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ წარმოებაში 40-მდე საჩივარი იყო ქართულ ციხეებში არსებული სამედიცინო დახმარების შესახებ და მიიჩნია, რომ არსებობდა სისტემური პრობლემა ავადმყოფი, მათ შორის ვირუსული *“C”* ჰეპატიტით დაავადებული პაციმრების არასათანადო მკურნალობის თვალსაზრისით. მან მიიჩნია, რომ ეს ამძიმებდა საქართველოს პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კუთხით და, ამასთანავე, წარმოადგენდა საფრთხეს თვით კონვენციის სისტემის ეფექტიანობისთვის. აქედან გამომდინარე, 46-ე მუხლის თანახმად (განჩინების სავალდებულო ძალა და აღსრულება), სასამართლომ მოუწოდა საქართველოს, დაუყოვნებლივ მიიღოს საჭირო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული ვირუსული *“C”* ჰეპატიტის გავრცელება ციხეებში, დანერგოს იქ ამ დაავადების ადრეულ ეტაპზე გამოვლენის მექანიზმები და უზრუნველყოს ამ ვირუსით დაავადებული პაციმრების დროული და ეფექტიანი მკურნალობა. ყოველივეს გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ ვირუსული *“C”* ჰეპატიტით დაავადებულ მომჩივანს პაციმრობის პერიოდში ვერ გაუწიეს სათანადო მკურნალობა, რაც კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,

სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ: ა) დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა) ვირუსული “C” ჰეპატიტით დაავადებული პაციმარი მომჩივნისთვის, სათანადო სამედიცინო მკურნალობის გაუწევლობის გამო; საქმეში არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ 2001 წლის 26 მაისს განმცხადებელს დაენიშნა დამცველი - ბ-ნი ს. იმავე დღეს რუსთავის რაიონულმა სასამართლომ განიხილა რობერტ ლარიბაშვილის პაციმრობის საკითხი, რის შემდეგაც იგი გადაიყვანეს თბილისის №5 საპყრობილეში, სადაც მას ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმება. განმცხადებლის მტკიცებით, ექიმმა მისი გასინჯვის შემდეგ უარი განაცხადა, სამედიცინო ყურნალში შეეტანა მის სხეულზე აღმოჩენილი სასტიკი მოპყრობის კვალი. 2001 წლის 11 ივლისს განმცხადებელმა შეიტანა საჩივარი გამოძიების დროს არსებულ სხვადასხვა პროცედურულ დარღვევაზე და მოითხოვა, რომ გამოძიებელი, ბატონი მ. ჩამოეშორებინათ საქმისგან და დაენიშნათ სხვა გამოძიებელი. მან დაადანაშაულა ბატონი მ. მიკერძოებაში, მაგრამ საჩივარი არ აღუძრავს სასტიკ მოპყრობაზე, ან ზენოლის ფაქტებზე.”⁴⁰⁴ სასამართლომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს პაციმართა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის საკითხს, კერძოდ პაციმრობის კოდექსი განმარტავს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის დაცვის უფლებას, რომ უფლება აქვს, ისარგებლოს საჭირო სამედიცინო მომსახურებით, ასევე განმარტავს მედიკამენტების მიღების ხელმისაწვდომობის და დაწესებულებაში მიღების დროს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების სავალდებულოობის საკითხს. “ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ისარგებლოს საჭირო სამედიცინო მომსახურებით. ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს პაციმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში

404 CASE of POGHOSYAN v. GEORGIA (#9870/07)

ნებადართული სამკურნალო საშუალებები. მოთხოვნის შემთხვევაში ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მიერ შექმნილზე მეტი ღირებულების ან ანალოგიური თვისებების მქონე სამკურნალო საშუალების საკუთარი სახსრებით შექმნის უფლება.⁴⁰⁵” მნიშვნელოვანია ასევე კანონში არსებული დათქმა პირადი ექიმის მოწვევასთან დაკავშირებით, რომელიც პატიმრებს აძლევს უფლებას სურვილის შემთხვევაში ისარგებლოს პირადი ექიმის მომსახურებით “დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, დეპარტამენტის თავმჯდომარის ნებართვით ბრალდებულს/ მსჯავრდებულს აქვს პირადი ექიმის საკუთარი სახსრებით მოწვევის უფლება.”

ასევე მნიშვნელოვანია კანონის მოთხოვნა პატიმრის მიღების დროს ჯანმრთელობის შემონიშნასთან დაკავშირებით, “პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიღებისას სავალდებულოა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემონიშნა, რის შესახებაც დგება ცნობა, რომელიც შემდგომ მის პირად საქმეში ინახება.”

კანონმდებლობა ასევე ადგენს თუ რა პირობებში და სტანდარტებით უნდა ხდებოდეს მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურება და ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლი, რომ “ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო მომსახურება უნდა ხორციელდებოდეს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ქვეყანაში დადგენილი სამედიცინო მომსახურების მოთხოვნების შესაბამისად. ასევე უნდა ხდებოდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლი და მკურნალობა⁴⁰⁶”. კანონმდებლობა ასევე ადგენს, თუ როგორი უნდა იყოს სამედიცინო მომსახურების საქმიანობა დაწესებულებებში. “ბრალდებულის/ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა მონიშნა ნელინადში ერთხელ მაინც. დაავადე-

405 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 24. ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის დაცვის უფლება

406 პატიმრობის კოდექსი, სამედიცინო მომსახურების ორგანიზება

ბულ ბრალდებულს/ მსჯავრდებულს უტარდება გადაუდებელი მკურნალობა⁴⁰⁷.”

კანონმდებლობა განიხილავს თუ როგორი ტიპის სამედიცინო ობიექტები უნდა შეიქმნას სასჯელალსრულების დაწესებულებაში და რა შემთხვევაში უნდა მოხდეს პატიმრის გადაყვანა მრავალპროფილიან სამედიცინო დაწესებულებებში “ყველა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა შეიქმნას საექიმო-სამედიცინო პუნქტი. თუ ბრალდებულის/ მსჯავრდებულის მკურნალობა არ შეიძლება განხორციელდეს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში, იგი შეიძლება გადაყვანილ იქნას დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან საერთო პროფილის საავადმყოფოში.⁴⁰⁸”

საერთაშორისო სტანდარტების განხილვისას ასევე ვხვდებით არაერთ რეკომენდაციას ციხის ჯანდაცვის სფეროს განხილვისას, ამ თემაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(98)7, რომელიც განიხილავს პატიმართათვის ექიმის ხელმისაწვდომობას, ჯანდაცვის ეკვივალენტობას, ქალთა განსაკუთრებულ საჭიროებებს და პატიმრის დაწესებულების გარეთ გაყვანის სტანდარტებს, კონფიდენციალობის საკითხებს, ექიმის კვალიფიკაციას და მათ პერიოდულ ტრენინგებს, გადამდები დაავადებების მართვას და სხვა საკითხებს.

ექიმის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით რეზოლუცია განმარტავს, რომ “ციხეში მიყვანისას და შემდგომ, პატიმრობაში ყოფნის პერიოდში, პატიმრებს ნებისმიერ დროს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ექიმზე ან კვალიფიციურ ექთანზე, მიუხედავად მათი პატიმრობის რეჟიმისა, ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე, თუ ამას საჭიროებს მათი ჯანმრთელობა. ყველა პატიმარმა

407 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 120, 1. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მისვლისთანავე ბრალდებულს/მსჯავრდებულს გადას სამედიცინო შემოწმებას.

408 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 121. მკურნალობა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში

უნდა გაიაროს სათანადო სამედიცინო შემოწმება ციხეში მიყვანისას. სპეციალური ყურადღება უნდა დაეთმოს ფსიქიკური აშლილობის, ციხესთან ფსიქოლოგიური ადაპტაციის გაშუქებას, ნარკოტიკული საშუალებების, მკურნალობისა და ალკოჰოლის მიღებისგან გამომდინარე სიმპტომების მოშორებას და დაავადებათა გადამდებ და ქრონიკულ პირობებს. პატიმრებს ექიმზე ხელი უნდა მიუწვდებოდებოდეთ ნებისმიერ დროს, დღის და ღამის ნებისმიერ შუალედში. ციხის ტერიტორიაზე ყოველთვის უნდა იმყოფებოდეს პირველადი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის მქონე. სერიოზული, გადაუდებელი შემთხვევისას უნდა მოხდეს ექიმის, ერთ-ერთი ექთნისა და ციხის ადმინისტრაციის გაფრთხილება; მნიშვნელოვანია საპატიმროს თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობა და ხელშეწყობა. სადაც, სპეციფიკური მომსახურებით უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ქალი პატიმრები. ორსული პატიმრების მიმართ უნდა წარმოებდეს სამედიცინო ზედამხედველობა და ისინი გადაყვანილ უნდა იქნან გარე საავადმყოფოში, სადაც იქნება სათანადო პირობები. საავადმყოფოში ბადრაგირებისას პაციენტს, საჭიროებისდა მიხედვით, უნდა ახლდეს სამედიცინო სამსახურის თანამშრომელი ან ექთანი.⁴⁰⁹”

განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს რეზოლუციის მიდგომა ჯანმრთელობის დაცვის ეკვივალენტობასთან დაკავშირებით, სადაც რეზოლუციაში ვხვდებით სტანდარტს, რომლის მიხედვითაც ციხეში ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა უნდა იყოს ინტეგრირებული ქვეყანაში არსებულ სტანდარტებთან “ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა პატიმრობაში ინტეგრირებული უნდა იყოს და შეესაბამებოდეს ჯანდაცვის ეროვნულ პოლიტიკას. ციხის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებამ უნდა უზრუნველყოს სამედიცინო, ფსიქიატრიული და სტომატოლოგიური მკურნალობა და განახორციელოს ჰიგიენისა და პრევენციული მედიცინის პროგრამები იმავე პირობებით, რომლებითაც სარგებლობს საზოგადოება. ციხის ექიმებს უფლება უნდა

409 რეკომენდაცია №R(98) 7 ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტების შესახებ, რომელიც უკავშირდება ჯანდაცვას ციხეში, თავი - ექიმის ხელმისაწვდომობა

ჰქონდეთ გამოიძახონ სპეციალისტები. თუ მეორე აზრი საჭიროა, სამსახურის ვალდებულებაა მისი უზრუნველყოფა⁴¹⁰.”

რეკომენდაცია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს კონფიდენციალურობას და მის გარანტიებს “სამედიცინო კონფიდენციალურობა გარანტირებული და პატივცემული უნდა იყოს იმავე წესით, როგორც დანარჩენ მოსახლეობასთან მიმართულებით. წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს უფლება უნდა ჰქონდეთ მიიღონ კონსულტაცია, თავიანთი ხარჯებით, საკუთარი ან ციხის გარეთ დასაქმებული ექიმისგან. მსჯავრდებულებს შეუძლიათ მიიღონ განსხვავებული სამედიცინო აზრი და ციხის ექიმი ამას გაგებით უნდა მოეკიდოს. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი მოთხოვნა მის უშუალო პასუხისმგებლობაში ექცევა.⁴¹¹”

ასევე მნიშვნელოვანია რეკომენდაცია ექიმების საქმიანობასთან და მათ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით “ციხეში მომუშავე ექიმებმა უნდა უზრუნველყონ ინდივიდუალური პატიმრის ჯანმრთელობის დაცვა იმავე სტანდარტებით, რომლებითაც უზრუნველყოფილი არიან პაციენტები საზოგადოებაში. პატიმრის ჯანმრთელობის საჭიროებები ექიმის განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა იყოს.”

ასევე მნიშვნელოვანია ექიმის მოვალეობები, ტრენინგები და მომზადება, რომელსაც რეკომენდაცია განიხილავს, კერძოდ “ციხის ექიმის უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს სათანადო სამედიცინო დახმარების განევა და რჩევის მიცემა იმ პატიმართათვის, რომლებზეც იგი პასუხისმგებელია. აღნიშნული აგრეთვე გულისხმობს ციხის ადმინისტრაციის რჩევებით უზრუნველყოფას კვების ან პატიმრის საცხოვრებელ გარემოსთან, ჰიგიენისა და სანიტარულ პირობებთან დაკავშირებით. ციხის ექიმებს გამოცდილება უნდა ჰქონდეთ როგორც ზოგად

410 რეკომენდაცია №R(98) 7 ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტების შესახებ, რომელიც უკავშირდება ჯანდაცვას ციხეში, თავი - ჯანმრთელობის დაცვის ექვივალენტობა

411 რეკომენდაცია №R(98) 7 ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტების შესახებ, რომელიც უკავშირდება ჯანდაცვას ციხეში, თავი - პაციენტის თანხმობა და კონფიდენციალურობა

სამედიცინო, ასევე ფსიქიატრიულ დაავადებებში. მათი ტრენინგი უნდა მოიცავდეს დაწყებითი თეორიული ცოდნის შეძენას, ციხის გარემოს გაცნობიერებას და მის გავლენას ციხეში სამედიცინო პრაქტიკაზე, მათი უნარ-ჩვევების შეფასებასა და სტაჟირებას ზემდგომი კოლეგის ხელმძღვანელობის ქვეშ. მათთვის უნდა ტარდებოდეს აგრეთვე სისტემური შიდა მომსახურების ტრენინგი.”

რეკომენდაცია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ციხეში მიყვანილი პატიმრის ინფორმირებაზე მის უფლებებთან დაკავშირებით იცოდეს ვის მიმართოს და მიიღოს საინფორმაციო პაკეტი პატიმრის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით “ციხეში მიყვანისთანავე თითოეულმა პატიმარმა უნდა მიიღოს ინფორმაცია უფლებებსა და ვალდებულებებზე, დაწესებულების შინაგანანესზე, აგრეთვე მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ და სად უნდა მიიღოს დახმარება და რჩევა. ეს ინფორმაცია ყველა პატიმარმა უნდა გააცნობიეროს. სპეციალური ინსტრუქციები უნდა მიეცეს ნერა-კითხვის უცოდინარ პატიმრებს. ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა იყოს შემუშავებული ციხის ყველა დაწესებულებაში. პატიმრებმაც და ციხის ადმინისტრაციამაც, უნდა მიიღონ ჯანდაცვის განვითარების საინფორმაციო პაკეტი პატიმრობაში მყოფი პირების ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.⁴¹²”

ქართული პრაქტიკისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მიდგომას წარმოადგენს ის განსხვავებული პრაქტიკა, რომელსაც ადგენს რეკომენდაცია ძალადობის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, ასევე ინფექციური, სექსუალური გზით გადამდები დაავადებების პრევენცია, “პატიმრების ციხეში მიყვანისას ნებისმიერი სახის ძალადობის ნიშნის გამოვლენის შემთხვევა სამედიცინო შემონმებისას სრულყოფილად წერილობით უნდა იქნას აღწერილი ექიმის მიერ პატიმრის ნებისმიერ განცხადებასა და ექიმის დასკვნასთან ერთად. პატიმრის თანხმობით, ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი შეიძლება იყოს ციხის ადმინისტრაცი-

412 რეკომენდაცია №R(98) 7 ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტების შესახებ, რომელიც უკავშირდება ჯანდაცვას ციხეში, თავი - ინფორმაცია ჯანმრთელობის შესახებ, პრევენცია და სწავლება.

ციისთვის. ციხეში სექსუალური გზით გადამდები ინფექციების პრევენციის მიზნით სათანადო პროფილაქტიკური ზომები უნდა იქნას მიღებული. პაციენტის იზოლირება ინფექციის გამო გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი ზომა მიიღება ციხის გარე სამყაროში ანალოგიური სიტუაციისას.”

გარდა №R(98) 7 რეკომენდაციისა პატიმართა ჯანდაცვის საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სხვა საერთაშორისო დოკუმენტებიც, კერძოდ პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები განმარტავს, რომ ყველა დაწესებულებას უნდა ჰყავდეს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფსიქიატრის და სტომატოლოგის მომსახურებას. წესები ყურადღებას უთმობს მსჯავრდებულთა სამედიცინო შემოწმებას, რათა გამოვლინდეს ფიზიკური და გონებრივი ნაკლოვანებები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს პატიმრების გამოსწორებას. “ყველა დაწესებულებას უნდა ჰყავდეს ერთი ისეთი კვალიფიციური მედიცინის მუშაკი მაინც, რომელსაც ფსიქიატრიაშიც ექნება განათლება. საჭიროა სამედიცინო მომსახურების ორგანიზება ჯანდაცვის ადგილობრივ ან სახელმწიფო ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტში. იგი უნდა მოიცავდეს ფსიქიატრიულ დიაგნოსტიკურ სამსახურებს და, სადაც ეს აუცილებელია, ფსიქიურად დაავადებულთა მკურნალობას. ავადმყოფი პატიმრები, რომლებსაც სპეციალისტთა ყურადღება ესაჭიროებათ, უნდა გადაიყვანონ სპეციალურ დაწესებულებებში ან სამოქალაქო საავადმყოფოში. ციხის საავადმყოფოებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სამედიცინო მომსახურებისთვის და მათი მკურნალობისთვის საჭირო დანადგარები, პრეპარატები და მედიკამენტები, აგრეთვე საკმარისად კვალიფიციური პერსონალი. თითოეულ პატიმარს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ ისარგებლოს კვალიფიციური სტომატოლოგის მომსახურებით.⁴¹³”

მნიშვნელოვანია მინიმალური სტანდარტული წესების მიდგომა ექიმის ვალდებულებებთან დაკავშირებით, იმასთან დაკავშირებით, რომ იგი უნდა ზრუნავდეს პატიმართა ფიზიკურ და

413 გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 22 - 23 - 24

ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რომელიც ყოველდღიურად უნდა იღებდეს ან ნახულობდეს ავადმყოფებს, ყველას, ვინც თავს შეუძლოდ გრძნობს. ასევე ექიმი ვალდებულია აცნობოს ადმინისტრაციას პაციმრის მდგომარეობის გართულებასთან დაკავშირებით “ყოველთვის როდესაც ექიმს მიაჩნია, რომ პაციმრის ფიზიკური ან გონებრივი წონასწორობა დარღვეულია, ან შეიძლება დაირღვეს მისი პაციმრობაში ყოფნის ან პაციმრობის სხვა პირობების გამო, მან ამის შესახებ უნდა მოახსენოს დირექტორს.”

გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლისა წესები ავალდებულებს ციხის ექიმს რეგულარულად განახორციელოს ინსპექტირება და ჩააბაროს ანგარიში დირექტორს შემდეგი საკითხების შესახებ: საკვების რაოდენობა, ხარისხი, მომზადების და განაწილების პირობები; დანესებულებისა და მისი კონტინგენტის ჰიგიენა და სისუფთავე; სანიტარული მდგომარეობა, გათბობა, განათება და ვენტილაცია დანესებულებაში; პაციმრების ტანსაცმლისა და საძილე ნივთების ვარგისიანობა და სისუფთავე. ფიზკულტურასა და სპორტთან დაკავშირებული წესების დაცვა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სამუშაო არ ეკისრება სპეციალიზებულ პერსონალს. ექიმმა ყოველდღიურად უნდა მოინახულოს ის პაციმრები, რომლებსაც მისჯილი აქვთ სასჯელის ასეთი ზომა და, თუ პაციმრის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით თვლის, რომ სასჯელი უნდა შეწყდეს ან შეიცვალოს, საკუთარი მოსაზრება ციხის დირექტორს უნდა შეატყობინოს.”

ევროპული ციხის წესები განსაზღვრავს ციხის სამედიცინო სამსახურისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობას და მის შესაბამისობას, ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ჯანდაცვის უზრუნველყოფას ციხეში დისკრიმინაციის გარეშე. ევროპული ციხის წესები განმარტავს სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალის კვალიფიკაციას და მათ საქმიანობის სტანდარტებს და მათ მოვალეობებს. “ციხეში სამედიცინო სამსახური უნდა იყოს ორგანიზებული სახელმწიფოსა ან საზოგადოების ზოგადი ჯანდაცვის ადმინის-

ტრაციასთან ახლო თანამშრომლობით. პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ქვეყანაში არსებულ ჯანდაცვის სამსახურზე, მათი სამართლებრივი მდგომარეობის საფუძველზე, დისკრიმინაციის გარეშე.⁴¹⁴”

მნიშვნელოვანია ევროპული ციხის წესების მიდგომა ფიზიკურ და ფსიქიკურ დაავადებებთან ან დეფექტების მქონე პირებთან მიმართებაში “ციხეში სამედიცინო სამსახურები უნდა ცდილობდნენ, გამოიკვლიონ და უმკურნალონ ფიზიკურ და ფსიქიკურ დაავადებებს ან დეფექტებს, რომელიც პატიმრებს აწუხებს. პატიმრებს უნდა გაენიოთ ყველა საჭირო სამედიცინო, ქირურგიული და ფსიქიატრიული მომსახურება, მათ შორის ისეთიც, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფარგლებში ტარდება.”

ექიმის მოვალეობებთან დაკავშირებით ევროპული ციხის წესები ადგენს საკითხების ნუსხას, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ექიმმა ან მედდამ, “პატიმრის გასინჯვისას, მედიცინის მუშაკი ან კვალიფიციური მედდა განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა მოეპყროს შემდეგ საკითხებს: სამედიცინო საიდუმლოების ნორმალური წესების დაცვა; ფიზიკური ან ფსიქიატრიული დაავადების დიაგნოზირება და მის სამკურნალოდ საჭირო ზომების მიღება, ასევე, მიმდინარე სამედიცინო მკურნალობის გაგრძელება; პატიმართა მიმართ ძალადობრივი მოპყრობის ნებისმიერი ნიშნის ან გამოვლინების დაფიქსირება და შესაბამისი ხელმძღვანელობისთვის შეტყობინება; ნარკოტიკების, მედიკამენტებისა და ალკოჰოლის გამოყენების შედეგად გამოვლენილი აბსტინენციის სიმპტომების მკურნალობა; თავისუფლების აღკვეთის ფაქტით გამოწვეული ნებისმიერი ფსიქოლოგიური ან სხვა სტრესული ნიშნების გამოვლენა; იმ პატიმრების იზოლირება, რომელთაც სავარაუდოდ აქვთ ინფექციური ან გადამდები დაავადებები ინფექციის პერიოდის განმავლობაში და მათთვის სათანადო მკურნალობის უზრუნველყოფა; იმის უზრუნველყოფა, რომ აივინფექციით დაავადებული პატიმრების იზოლირება არ მოხდეს მხოლოდ ამ ნიშნით;

414 ევროპის ციხის წესები, ციხეში ჯანდაცვის ორგანიზაცია წესი 40.1 -40.5

იმ ფიზიკური და ფსიქიკური დეფექტების შენიშვნა, რომლებმაც შეიძლება შეაფერხონ გათავისუფლების შემდგომი ადაპტაციის პროცესი. ყოველი პატიმრის მდგომარეობის მუშაობისა და ვარჯიშისთვის შესაბამისობის დადგენა; საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებების მიღწევა ნებისმიერი აუცილებელი სამედიცინო და ფსიქიატრიული მკურნალობის გაგრძელების შესახებ გათავისუფლების შემდგომ, თუ პატიმრები თანხმობას განაცხადებენ ასეთ შეთანხმებაზე.” ნესები ასევე განიხილავს პატიმართა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვის სტანდარტებს და სამედიცინო სისტემის მოწყობის სხვა თავისებურებებზე ციხის სისტემაში. ასევე პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებებს და მათი ინტერესების დაცვის ვალდებულებას “პატიმრები არ უნდა გახდნენ ექსპერიმენტის ობიექტი მათივე თანხმობის გარეშე. პატიმრებზე ექსპერიმენტები, რომლებიც იწვევს ფიზიკურ დაზიანებას, ფსიქიკურ აშლილობას ან ჯანმრთელობის სხვაგვარ დაზიანებას, უნდა აიკრძალოს.”

საერთაშორისო პრაქტიკის განხილვისას ირლანდიის პრაქტიკაში ყურადღება ეთმობა პატიმართა შემოწმებას და მიზნებს, რისთვისაც აღნიშნული შემოწმება უნდა განხორციელდეს: „ყველა პატიმარი უნდა იყოს შემოწმებული ექიმის მიერ ცალკე, მისი საპატიმრო დანესებულებაში მიღების დღეს იმ მიზნით, რომ: მოხდეს ნებისმიერი ფიზიკური თუ ფსიქიკური დაავადების დიაგნოზირება და მიღებულ იქნას ზომები, რათა მოხდეს მათი შესაბამისი მკურნალობა; პატიმრის იზოლირება სამედიცინო საფუძვლით, ხდება თუ არსებობს ეჭვი რომ ის არის გადამდები ინფექციური დაავადების მატარებელი ან არსებობს სხა რისკი, რამაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს სხვა პატიმრებს ან პირებს, ვისაც შესაძლებელია ამასთან ჰქონდეთ კონტაქტი. მსჯავრდებულის დასაქმებისთვის შესაბამისობის შემოწმება; ნებისმიერი ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამოვლენა, რომელმაც შესაძლებელია პირს ხელი შეუშალოს, როგორც ციხის პირობებთან ასევე გათავისუფლების შემდეგ საზოგადოებასთან ინტეგრაციაში; მხედველობაში იქნას მიღებული ნებისმიერი ტრავმა; ნებისმიერი მედიკამენტის აღრიცხვა გაკეთება, რომელსაც გამონერილი ჰქონდა პატიმარს.”

ესტონეთის პრაქტიკაში განხილვისას⁴¹⁵ მნიშვნელოვანია განსხვავებული პრაქტიკა, რომელიც გამოიხატება სამედიცინო მომსახურების დონეებზე დაყოფაში, ანუ პირველი დონის საერთო და სპეციალური ამბულატორიული მომსახურება და სტაციონალური მკურნალობა. ასევე განხილულია მსჯავრდებულისათვის მედიკამენტების მიწოდების სპეციფიკა და ექიმთან მიღების განსხვავებული პრაქტიკა “მსჯავრდებულს შეეთავაზება პირველი დონის საერთო და სპეციალური ამბულატორიული მომსახურება, ასევე სტაციონალური მკურნალობა. შესაძლებლობის არ არსებობისას მსჯავრდებული იგზავნება გეგმიურად საერთო პროფილის სამკურნალო დაწესებულებაში. ამბულატორიული მიღება ხდება წინასწარი რეგისტრაციით რეგიტობის მიხედვით. მსჯავრდებულს ელექტრონული წესით არეგისტრირებს საკონტაქტო პირი და პასუხი ელექტრონულად უნდა გასცეს ექიმმა არაუმეტეს 5 დღეში. არასამუშაო და დღესასწაულის დღეებში მსჯავრდებულებს გაენევათ მხოლოდ გადაუდებელი დახმარება. მსჯავრდებული, რომელიც მიმართავს სამედიცინო განყოფილებას ვალდებულია სამედიცინო მოსამსახურეს წარუდგინოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ და საუკეთესო საშუალებით გადმოსცეს ყველა გარემოება, ასევე სამედიცინო მოსამსახურეს გაუწიოს თანამშრომლობა რაც აუცილებელია სამედიცინო მომსახურების გასაწევად. ზედამხედველი აძლევს მსჯავრდებულს წამალს განსაზღვრული დროის მიხედვით. მსჯავრდებული ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს წამალი ზედამხედველის თანდასწრებით. თუ მსჯავრდებული უარს ამბობს წამლის მიღებაზე ზედამხედველი აცნობებს სამედიცინო განყოფილებას, სადაც გადაწყდება საჭიროა თუ არა წამლის მიღების გაგრძელება და ასევე კეთდება შესაბამისი ჩანაწერი სამედიცინო ბარათში. წამალი, რომელიც შედის ნარკოტიკულ ან ფსიქოტროპული წამლების სიაში მსჯავრდებულს ეძლევა მედდა-სპეციალისტის მიერ დაფქულ მდგომარეობაში, მსჯავრდებული ვალდებულია მიიღოს წამალი დაუყოვნებლივ მედდის თანდასწრებით.”⁴¹⁶

415 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 20. პატიმრის სამედიცინო მომსახურება

416 Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007, Prison Rules, Published by the stationery office Dublin To be purchased directly from the Government Publications

მსჯავრდებულის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით საინტერესოა მიდგომები საქმეში კალაშნიკოვი⁴¹⁷ რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც მნიშვნელოვანი მაგალითია საპატიმრო დაწესებულებაში, არასათანადო სამედიცინო მომსახურებასთან და არაჰიგიენურ პირობებთან მიმართებაში, სადაც განმცხადებელი დაავადდა სხვადასხვა დაავადებებით, რაც სასამართლომ მიიჩნია, როგორც არაჰუმანური მოპყრობა. საქმეში აღნიშნულია, რომ “ განმცხადებელი დაავადდა კანისა და სოკოვანი დაავადებებით, რის შედეგადაც დაკარგა ზედა და ქვედა კიდურების ფრჩხილების ნაწილი. 1996 წლის 11 ნოემბრიდან 1997 წლის 23 აპრილამდე და 1999 წლის 15 აპრილიდან 1999 წლის 3 აგვისტოს პერიოდებში სასამართლო მოსმენები შეჩერდა რათა განმცხადებელს მისცემოდა მუნის მკურნალობის შესაძლებლობა. 6 შემთხვევაშივე განმცხადებლის საკანში სხვა პატიმრები მოათავსეს, რომლებიც დაავადებული იყვნენ სეფსისითა და ტუბერკულოზით, აღნიშნულ პერიოდში განმცხადებელს უკეთებდნენ პროფილაქტიკურ ანტიბიოტიკურ აცრებს.

ევროპის სასამართლომ საქმესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ “განმცხადებლის საკანში არსებული მკვებარების გასანადგურებლად სანიტარული ღონისძიებები არ ხორციელდებოდა მთავრობამ მოცემული პრობლემები აღიარა და აღნიშნა, რომ მინისტრის 1989 წ. ბრძანების საფუძველზე ციხის ადმინისტრაცია ვალდებული იყო მიეღო ზომები დაწესებულების მკვებარ მწებისგან განმედიის მიზნით, თუმცა განმცხადებლის საკანში აღნიშნული ზომები არ განხორციელებულა. პატიმრობის განმავლობაში განმცხადებელი დაავადდა კანის სხვადასხვა მათ შორის სოკოვანი დაავადებებით. ამ მიზეზით 1996; 1997; 1999 წწ საჭირო გახდა სასამართლო მოსმენების გადადება, მიუხედავად იმისა, რომ ბატონ კალაშნიკოვს მკურნალობდნენ პატიმრობის სავალალო პირობების გამო დაავადებები განმეორებით აღმოცენდა. სასამართლო დიდ ყურადღებას უთმობს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელთან ერთად საპატიმროში იმყოფებოდნენ სიფი-

Office - Medical Examinationa

417 კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (განაცხადი 47095/99) Kalashnikov v. Russia (სტრასბურგი 15 ივლისი 2002 წელი)

ლისითა და ტუბერკულოზით დაავადებული პაციმრები.

ზემოთ განხილულის საფუძველზე პაციმრობის იმ პირობებს, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა გადატვირთულობისა და ანტიანტიბიოტიკების პირობებთან ერთად, რომელმაც გამანადგურებელი ეფექტი იქონია განმცხადებლის ჯანმრთელობაზე ასევე ხანგრძლივ პაციმრობას სასამართლო მიიჩნევს დამამცირებელ მოპყრობად.”

პაციმრის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზრუნვა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება სასჯელალსრულების სისტემის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას წარმოადგენს, რაც განაპირობებს მსჯავრდებულის საზოგადოებაში დაბრუნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს, რომ ციხეში ყოფნამ არ გამოწვიოს გამანადგურებელი ეფექტი ადამიანისთვის და ის საზოგადოებას დაუბრუნდეს ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელ მდგომარეობაში.

6.11 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

“თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ შეიძლება თვითნებურად დააპაციმრონ ან პაციმრობაში აიყვანონ. არავის შეიძლება თავისუფლება აღუკვეთონ სხვაგვარად, თუ არა ისეთ საფუძველზე და ისეთი პროცედურის შესაბამისად, რომლებიც კანონით არის დანესებული⁴¹⁸.”

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას პირველად საერთაშორისო დონეზე შეეხო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც განმარტავს, რომ “არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივისა და რეპუტაციისა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისა-

418 სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 9

გან⁴¹⁹.” გამომდინარე მოცემული განმარტებიდან დეკლარაციის მიხედვით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა რამდენიმე კომპონენტად განიხილება, როგორცაა: პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა; საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების ხელშეუხებლობა ან/და მისი პატივისა და რეპუტაციის ხელშეუხებლობა.

ადამიანის უფლებათა დეკლარაციის შემდგომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებამ ასახვა ჰპოვა სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში, რომელმაც აღნიშნულ მოთხოვნას იმპერატიული ძალა მიანიჭა, კერძოდ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტი მ-16, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია მ-8 და სხვ. მაგალითად ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია შემდეგნაირად განმარტავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას “ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმონერას. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისთვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად⁴²⁰.”

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას განმარტავს სიმონ პაპუაშვილი თავის სტატიაში “თავისუფლებადკვეთილი პირის უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მიხედვით⁴²¹”, რომელშიც 419 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წლის 10 დეკემბერი, მუხლი 12

420 ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია, მუხლი 8

421 იხ.: ს. პაპუაშვილი, თავისუფლებადკვეთილი პირების უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. სტატიათა კრებული. თბილისი 2006. გვ. 244-254.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა განხილულია რამდენიმე მიმართულებით: პირადი ცხოვრების უფლება, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა და კორესპონდენციების ხელშეუხებლობა, სტატია განიხილავს თუ როგორ უნდა იყოს დაცული პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მისი საპატიმრო დანესებულებაში ყოფნის დროს “პირადი ცხოვრების უფლება უზრუნველყოფს ადამიანის კერძო სფეროს დაცვას მასში სხვა პირების ჩარევისაგან. რთული და, ალბათ, შეუძლებელია, პირადი ცხოვრების კონცეფციის ამომწურავად განსაზღვრა. საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამომწურავად არასოდეს განუსაზღვრავს პირადი ცხოვრების კონცეფცია. საქმეზე - კოსტელო-რობერტის გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Costello-Roberts v. the United Kingdom*), 1993 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრება ფართო კონცეფციაა, რომელიც „არ ექვემდებარება ამომწურავად განსაზღვრას“. „სასამართლო არ თვლის შესაძლებლად ან აუცილებლად, ამომწურავად განსაზღვროს „პირადი ცხოვრების“ კონცეფცია. თუმცა მეტად შეზღუდული იქნებოდა ამ კონცეფციის შემოფარგვლა „შიდა წრით“, რომელშიც ინდივიდი შეიძლება თავისივე არჩეული პირადი ცხოვრებით ცხოვრობდეს და მისგან გამორიცხავდეს გარესამყაროს, რომელიც არ შედის ამ წრეში. პირადი ცხოვრების პატივისცემა ასევე უნდა მოიცავდეს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას.“

ევროპული კონვენცია და სასამართლოს პრაქტიკა დასაშვებად მიიჩნევს სამართლო პატიმრობის, როგორც დისციპლინური სადამსჯელო ზომის, გამოყენებას. თუმცა საპატიმრო დანესებულების მიერ აღნიშნული ღონისძიება გამოყენებული უნდა იქნას როგორც უკიდურესი ზომა, რომელიც აუცილებელია უსაფრთხოების ან წერიგის დაცვისთვის და მხოლოდ შეზღუდულ პერიოდში.”

ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის ფარგლებში სტატია განმარტავს, რომ “ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის

იცავს ადამიანის, მათ შორის თავისუფლებააღკვეთილი პირების, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის უფლებას. საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ ფიზიკურ ან მორალურ ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული პრეტენზია შეიძლება განიხილოს კონვენციის მე-3 მუხლის ქრილში და, შესაბამისად, დაადგინოს დარღვევა, თუ მოპყრობა სცილდება კონვენციითა და სასამართლო პრაქტიკით დადგენილი მოპყრობის მინიმალურ ზღვარს.”

რაც შეეხება ოჯახის წევრებთან ურთიერთობას, ასევე განიხილავს ავტორი სტატიის და განმარტავს რომ “თვით პატიმრობის ცნება გულისხმობს, რომ დაპატიმრებულების ურთიერთობა და კონტაქტები გარესამყაროსთან მნიშვნელოვნად არის შეზღუდული. გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 61-ე წესის თანახმად: „პატიმრებთან მოპყრობისას ხაზი უნდა გაესვას არა საზოგადოებისაგან მათ გარიყვას, არამედ იმას, რომ ისინი რჩებიან საზოგადოების სრულფასოვან წევრებად.“ პრინციპი - პატიმარი ინარჩუნებს გარკვეულ საზღვრებში ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს – უკავშირდება მოსაზრებას, რომ, ჩვეულებრივ, თავისუფლებააღკვეთილი პირები უბრუნდებიან საზოგადოებას, სადაც უნდა მოხდეს მათი, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეების, რეინტეგრაცია და ისინი კვლავ უნდა გახდნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. ამგვარად, გარესამყაროსთან კონტაქტები საზოგადოებაში პატიმრის რეინტეგრაციის მნიშვნელოვანი ნაწილია”

პატიმრობის შემთხვევაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს ასევე წარმოადგენს კორესპონდენციების ხელშეუხებლობა, სადაც სტატიის ავტორი განმარტავს, რომ “პოზიცია, რომელიც ცალსახად იკვეთება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან, საკმაოდ მაღალი ხარისხით იცავს პატიმრის კორესპონდენციის ხელშეუხებლობის უფლებას.⁴²² სასამართლო სახელმწიფოსგან ითხოვს, რომ ნებისმიერი ჩარევა კორესპონდენციის თავისუფ-

422 Jacobs&White, The European Convention on Human Rights, 2002

ფლებში მკაფიოდ და ცალსახად იყოს განსაზღვრული. სახელმწიფოები ვალდებული არიან, წარმოადგინონ მტკიცებულებები, რომლებიც კორესპონდენციის თავისუფლებაში ჩარევას ახსნიან და გაამართლებენ. საქმეზე - დომენიჩინი იტალიის წინააღმდეგ (*Domenichini v. Italy*), 1996 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება. სასამართლომ დაადგინა დარღვევა იმის გამო, რომ იტალიის კანონმდებლობა ითვალისწინებდა არაგონივრულად ფართო დისკრედიტაციას პატიმართა კორესპონდენციის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით⁴²³

გარდა საერთაშორისო დოკუმენტებისა, საქართველოს კონსტიტუცია ანალოგიურ კონტექსტში განიხილავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, “ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმონერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.”

საქართველოს “პატიმრობის კოდექსი” განიხილავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კომპონენტს, თუმცა არა როგორც პატიმრების უფლებების ნუსხაში ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა იგი შესაბამის მუხლებში პირდაპირ თუ ირიბად ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, კერძოდ, არეგულირებს პატიმრის/

423 იხ.: ს. პაპუაშვილი, თავისუფლებადაკვეთილი პირების უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. სტატიათა კრებული. თბილისი 2006. გვ. 244-254.

მსჯავრდებულისა და მისი ნივთების შემონმების სტანდარტებს მისი დაწესებულებაში მიღების დროს – “პატიმრობის დაწესებულებაში მიღებისას ბრალდებული და მისი პირადი ნივთები საგულდაგულოდ მოწმდება, რის შესახებაც დგება შესაბამისი აქტი. ბრალდებულის შემონმებას ახორციელებს პატიმრობის დაწესებულების იმავე სქესის თანამშრომელი.⁴²⁴”

კანონმდებლობა ასევე განიხილავს ისეთ კომპონენტებს, როგორცაა კორესპონდენციის ხელშეუხებლობა⁴²⁵ და არეგულირებს მისი შემონმების სტანდარტებს კანონით დადგენილი აუცილებლობის შემთხვევაში, “ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია ექვემდებარება შემონმებას, რაც მოიცავს ვიზუალურ დათვალიერებას, კორესპონდენციის შინაარსის გაცნობის გარეშე, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, დასაბუთებული ვარაუდისას, თუ შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, ადმინისტრაცია უფლებამოსილია გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და საჭიროებისამებრ შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა, რის თაობაზედაც დაუყოვნებლივ ეცნობება კორესპონდენციის გამგზავნს. დახურული კონვერტით მიღებული კორესპონდენცია უნდა გაიხსნას ბრალდებულის/ მსჯავრდებულის თანდასწრებით. აღნიშნული კორესპონდენცია ექვემდებარება ვიზუალურ დათვალიერებას, შინაარსის გაცნობის გარეშე.”

პატიმრობის კოდექსი ასევე განმარტავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კომპონენტს მისი ოჯახის წევრებთან შეხვედრის ნაწილში და განმარტავს თუ რა შემთხვევაში და რა ფორმით არის შესაძლებელი შეხვედრის კონტროლი⁴²⁶ “პირებთან ბრალდებულის/მსჯავრდებულის ურთიერთობის კონტროლი უნდა განხორციელდეს მისი პატივისა და ღირსების შეულახავად.”

საქართველოს კანონმდებლობაში ვხვდებით ასევე დათქ-

424 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 75. პატიმრობაში მიღება, პ 2

425 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 16. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმონწერა, პ. 4, 5

426 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 17. პაემნის უფლება, პ 3

მას თავისუფლებაა აღკვეთილი პირის კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კომპონენტში “სატელეფონო საუბარი ხორციელდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის ხარჯით და ადმინისტრაციის კონტროლით⁴²⁷”

ევროპის სასამართლო პრაქტიკის განხილვისას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის მიმართულებით შეგვიძლია განვიხილოთ საქმე ლარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, სადაც სასამართლო შეგვახსენებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი სათუთად იცავს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში კრძალავს წამებას, ან არაადამიანურ, ან ღირსების შემლახველ მოპყრობას, ან დასჯას. სასამართლო მრავალ გარემოებაზე დაყრდნობით ადგენს, რომ ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას პირის ხელშეუხებლობა პატიმრობისას, მიუხედავად ამ პირის მიმართ არსებული გონივრული ეჭვისა, რაც გამყარებულია მტკიცებულებებით. ეს მტკიცება შეიძლება მომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, ნათელი და შეთანხმებული დასკვნის ერთობლიობიდან⁴²⁸.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან დათქმებს ვხვდებით სხვადასხვა იმ საერთაშორისო სტანდარტების განხილვისას, რომლებიც განსაზღვრავენ პატიმრობის პირობებს, კერძოდ ევროპის ციხის წესები განიხილავს პატიმრის საკუთრებას, როგორც ცალკე თავს⁴²⁹ “პატიმრის საკუთრება”, სადაც საუბარია პატიმრის პირადი ნივთების შენახვის ვალდებულებაზე, მათ შესაბამის მდგომარეობაში შენახვის წესებს და გათავისუფლების შემთხვევაში მისი გადაცემის საკითხებს. “პატიმრის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ნივთი, რომელიც აკრძალულია ციხის შიდა რეგულაციებით (ნორმატიული აქტებით), შენახული უნდა იქნას პატიმრის დაწესებულებაში მიღებისას. პატიმარმა, რომლის საკუთრებაში არსებუ-

427 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 19. სატელეფონო საუბარი, ამანათისა და ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნა

428 CASE of GHARIBASHVILI v. GEORGIA (#11830/03)

429 ევროპის პენიტენციური წესები, თავი პატიმრის საკუთრება წესი 31.1-31.7

ლი ნივთები ინახება დანესებულებაში, ხელი უნდა მოანეროს ამ ნივთების ჩამონათვალს. ამ საკუთრების კარგ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად უნდა გატარდეს ზომები. თუ საჭირო იქნა ცნობილი ასეთი საკუთრების განადგურება, ეს უნდა დაფიქსირდეს და პატიმარს ეცნობოს ამის შესახებ. თუ პატიმრებს უფლება ეძლევათ, საკუთრებაში არსებული ნივთები თან იქონიონ, დანესებულების ხელმძღვანელობამ ზომები უნდა მიიღოს მათ დასაცავად.”

რაც შეეხება საერთაშორისო პრაქტიკის გახილვას, ამ შემთხვევაში შესაძლებელია განვიხილოთ ირლანდიის კანონმდებლობა, სადაც ვხვდებით პირდაპირ მითითებას პატიმრის პირად საკუთრებასთან დაკავშირებით⁴³⁰, სადაც აღნიშნულია, რომ “ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია აწარმოოს პატიმრის პირადი ნივთების აღრიცხვა, ფულის ჩათვლით, რომელიც მას აქვს ან გადმოეგზავნა მისი პირადი მოხმარებისთვის და ყოველი ეს ნივთი უნდა იყოს შენახული მსჯავრდებულის გათავისუფლებამდე.”

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის უზრუნველყოფა მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს პატიმრის ციხეში ყოფნის პერიოდში, რათა მან შეძლოს შეინარჩუნოს მისი ინდივიდუალურობის დაცულობის შეგრძნება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მისი რესოციალიზაციის პროცესს და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

6.12 საარჩევნო უფლება

ხმის მიცემის უფლება არ არის პრივილეგია. ეს ნათლად ილუსტრირებულია გაერთიანებული სამეფოსა და სხვა ქვეყნების საპარლამენტო ისტორიით, სადაც საუკუნეების განმავლობაში არჩევნებში მონაწილეობის უფლება ნელ-ნელა გაფართოვდა ცალკეული ინდივიდებიდან, ელიტარული ჯგუფებიდან მოსახლეობის ფართე ფენებამდე, რაც მხარდაჭერილ იქნა ხელი-

430 Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007, Prison Rules, Published by the stationery office Dublin To be purchased directly from the Government Publications Office

სუფლების მიერ. საყოველთაო საარჩევნო უფლება⁴³¹ საბაზისო პრინციპი გახდა.⁴³²

საყოველთაო საარჩევნო უფლების განსამტკიცებლად შესაბამისი დებულებები ჩაიდო სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტში. ამ მხრივ აღსანიშნავია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, რომლის 25-ე მუხლი ადგენს, რომ „თითოეულ მოქალაქეს მე-2 მუხლში ნახსენები რაიმე დისკრიმინაციისა და დაუსაბუთებელი შეზღუდვების გარეშე⁴³³ უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა: (a) მონაწილეობდეს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში, როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით. (b) მისცეს ხმა...“

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ 1996 წლის 12 ივლისს მიღებულ ზოგად კომენტარებში, კომიტეტი აცხადებს, *inter alia*, 25-ე მუხლით გარანტირებულ უფლებასთან დაკავშირებით: „თავიანთ ანგარიშებში მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიუთითონ და ახსნან ის საკანონმდებლო დებულებები, რომლებიც ართმევს მოქალაქეებს ხმის მიცემის უფლებას. ასეთი ჩამორთმევის საფუძველი უნდა იყოს ობიექტური და გონივრული. თუ მსჯავრდება დანაშაულისთვის არის ხმის მიცემის უფლების შეჩერების საფუძველი, შეჩერების ხანგრძლივობა უნდა იყოს თანაზომიერი დანაშაულისა და სასჯელისა. პირებს, რომლებსაც თავისუფლება აღკვეთილი აქვთ, მაგრამ არ აქვთ მსჯავრი დადებული, არ უნდა წაერთვათ ხმის მიცემის უფლების განხორციელების საშუალება.“

431 მსჯავრდებულის საარჩევნო უფლების შესახებ, ასევე იხ.: კ. ნიკოლეიშვილი, თავისუფლება აღკვეთილ პირთა საარჩევნო უფლება: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. კ. კორკელია (რედ.) ადამიანის უფლებების და სამართლის უზენაესობა, სტატიათა კრებული, თბილისი, 2013, გვ. 237-265.

432 მეთიუ-მოჰინი და კლერფაუტი ბელგიის წინააღმდეგ (*Matheiu-Mohin and Clerfayt v Belgium*), 1987 წლის 2 მარტი. 51-ე პუნქტი

433 დისკრიმინაციის საფუძველებია: რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულება, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობა, ქონებრივი, დაბადების ან სხვაგვარი მდგომარეობა.

სხვადასხვა ქვეყანაში არსებული პრაქტიკის ანალიზით დადგინდა, რომ საარჩევნო უფლება შეიძლება შეიზღუდოს შვიდი პოტენციური გარემოებით – მინიმალური ასაკის განსაზღვრით, ამომრჩევლის სულიერი აშლილობის მდგომარეობით, მოქალაქეობის მოთხოვნით, საარჩევნო ოლქში ცხოვრების ვალდებულებით, ქვეყანაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცხოვრების აუცილებლობით, უცხოეთში მცხოვრებ მოქალაქეებთან დაკავშირებული პირობებითა და პატიმრობით. მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში ჩამოთვლილი შვიდი გარემოებიდან ყველაზე ხშირად პირველი ორის საფუძველზე გვხვდება საარჩევნო უფლების შეზღუდვა.⁴³⁴

პატიმართათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევა მომდინარეობს რწმენიდან, რომ სამოქალაქო საზოგადოება დაფუძნებულია ფუძემდებლურ ხელშეკრულებაზე, რაც ყველას ავალდებულებს დაიცვას კანონი. ის, ვინც კანონს არღვევს, დადებულ პირობას არღვევს და მისი დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობის მიღება არასათანადოდ მიიჩნევა. პატიმართათვის საარჩევნო უფლების მიცემა რიგ პრაქტიკულ პრობლემებს წარმოშობს, კერძოდ კი, როგორ და სად განახორციელონ ხმის მიცემა. პოლიტიკური უფლებების მინიჭება პატიმართათვის კამათის საგანია. თანამედროვე სასჯელალსრულების რეჟიმის მიზანია მოახდინოს პატიმრის რეაბილიტაცია და არა დასჯა, ხოლო პატიმართა საარჩევნო უფლების დაცვა აიოლებს მათ სოციალურ რეინტეგრაციას. ზოგიერთის მოსაზრებით განსხვავება უნდა არსებობდეს მსუბუქი და მძიმე დანაშაულის ჩამდენ პატიმრებს შორის იმ კუთხით, რომ მხოლოდ ეს უკანასკნელნი დაექვემდებარონ არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევას.⁴³⁵

ქვეყნები, რომლებიც ზღუდავენ პატიმართა ხმის მიცემის უფლებას, სხვადასხვა ფორმით ახდენენ აღნიშნულს. ყველაზე აპრობირებული გზა არის საარჩევნო უფლების დაკავშირება მისჯილი თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობასთან. დადგენილ მინიმალურ ვადაზე მეტი ხანგრძლივობის თავისუფლე-

434 A. Blais, L. Massicotte, A. Yoshinaka, *Deciding Who Has the Right to Vote: a Comparative Analysis of Election Laws*, Electoral Studies, 20, 2001, pp. 41-62.

435 *Ibid.*

ბის აღკვეთა არჩევნებში ხმის მიცემის უფლების დაკარგვის მომასწავლებელია. ასე მაგალითად, შრი ლანკაში ეს ვადა 6 თვეა, კანადაში – 2 წელი, ახალ ზელანდიაში – 3 და ავსტრალიაში – 5 წელინაღია. იაპონიასა და გაერთიანებულ სამეფოში პატიმრებს ყველანაირი საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვთ, მაშინ როდესაც დანიაში, ირლანდიაში, ისრაელში, შვედეთსა და შვეიცარიაში ეს უფლება შენარჩუნებულია პატიმრობის ვადის მიუხედავად. სამი ქვეყანა განსაკუთრებით საინტერესოა: საფრანგეთი, გერმანია და საბერძნეთი. საფრანგეთში თავისუფლების აღკვეთა რიგი დანაშაულის ჩადენისთვის არის უფლებების ჩამორთმევის საფუძველი, გერმანიაში, მსგავს რამ ხდება სახელმწიფოს ან დემოკრატიული წყობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისას, ხოლო საბერძნეთში, უფლების ჩამორთმევა შეიძლება სანქციის შემადგენელი ნაწილი იყოს და მასზე გადაწყვეტილება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად მიიღება.⁴³⁶

ორ ქვეყანაში, ბელგიასა და ფილიპინებში, არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევის პერიოდი პატიმრობის ვადაზე ხანგრძლივია. ბელგიაში პატიმრებს, რომელთაც 5 ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, სიცოცხლის ბოლომდე ჩამორთმევა ხმის მიცემის უფლება. 3-დან 5 წლამდე თავისუფლება აღკვეთილ პირებს, ეს უფლება შეუჩერდებათ 12 წლით, ხოლო 4 თვიდან 3 წლამდე მსჯავრდებულებს – 6 წლით. ფილიპინებში ერთი ან მეტი წლის ვადით მსჯავრდებულებს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აღუდგებათ სასჯელის მოხდიდან 5 წლის შემდეგ. შეერთებული შტატების 14 შტატი მსჯავრდებულებს ხმის მიცემის უფლებას სამუდამოდ ართმევს.⁴³⁷

საკითხის სიღრმისეულად გაანალიზებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენის მიზნით, ქვემოთ წარმოდგენილია რიგი ქვეყნებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა პატიმართა მიერ საარჩევნო უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით.

436 N. Mbodla, *Should Prisoners Have a Right to Vote?*, *Journal of African Law*, Vol. 46, No. 1, 2002, pp. 92-102.

437 A. Blais, L. Massicotte, A. Yoshinaka, *Deciding Who Has the Right to Vote: a Comparative Analysis of Election Laws*, *Electoral Studies*, 20, 2001, pp. 41-62.

(ა) კანადა

1992 წელს კანადის უზენაესმა სასამართლომ ერთსულოვნად გააუქმა საკანონმდებლო დებულება, რომელიც უკრძალავდა პატიმრებს ხმის მიცემას.⁴³⁸ შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელმაც შეზღუდა ორი წლით და მეტი ვადით მსჯავრდებულის პატიმრების მიმართ აკრძალვა. ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა ამ დებულებას. ამასთან ამ საქმეზე კომპეტენციის დამდგენი სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, უზენაესმა სასამართლომ 2002 წლის 31 ოქტომბერს საქმეში *საუვე კანადის იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ* (no. 2) ხუთი ხმით ოთხის წინააღმდეგ დაადგინა, რომ 1985 წლის კანადის საარჩევნო აქტის 51(e)-ე ნაწილი, რომელიც კრძალავდა ხმის მიცემის უფლებას გამოსასწორებელ დაწესებულებაში მყოფი ყველა პატიმრისთვის, რომელიც იხდიდა ორწლიან ან უფრო ხანგრძლივ სასჯელს, არაკონსტიტუციურია, რადგან ის არღვევს უფლებათა და თავისუფლებათა კანადის ქარტიის 1-ელ და მე-3 მუხლებს, რომლის თანახმად:

„1. უფლებათა და თავისუფლებათა კანადის ქარტია უზრუნველყოფს მასში განმტკიცებულ უფლებებსა და თავისუფლებებს მხოლოდ ისეთი გონივრული შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც დაშვებულია კანონით და შეიძლება იყოს ნათლად გამართლებული თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებაში.“

„3. კანადის ყველა მოქალაქეს აქვს უფლება ხმა მისცეს თემთა პალატისა ან საკანონმდებლო ასამბლეის წევრთა არჩევნებში და იყოს თავად არჩეული.“⁴³⁹

(ბ) სამხრეთ აფრიკა

საქმე ავეუსტი და სხვები საარჩევნო კომისიისა და სხვების წინააღმდეგ (*August and another v. Electoral Commission and others*) (CCT8/99: 1999 (3) SA 1) არის ერთადერთი სამხრეთაფრიკული საქმე, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა პა-

438 *საუვე კანადის წინააღმდეგ* (*Sauve v. Canada*) (no. 1), [2002] 3 S.C.R. 519.

439 *ჰირსტი ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Hirst v UK*) (No. 2), განაცხადი No. 74025/01, 2005 წლის 6 ოქტომბერი, 35-ე პუნქტი.

ტიმართა საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებული განაცხადი. პირველი განმცხადებელი სასჯელს თაღლითობისთვის იხდიდა, ხოლო მეორე – მიუსჯელი (ბრალდებული) იყო. ორივე პატიმრობაში იმყოფებოდა ამომრჩეველთა ეროვნულ სიაში რეგისტრაციისას. მათ სურდათ მოახლოებულ არჩევნებში ხმის მიცემა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიმოიხილა სამხრეთ აფრიკის კონსტიტუცია და არჩევნებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და ვერ აღმოაჩინა პატიმართა მიერ არჩევნებში ხმის მიცემასთან დაკავშირებით რაიმე დამაბრკოლებელი ნორმა.

ამ საქმის შედეგი სამხრეთ მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, საარჩევნო სიებში რეგისტრაციის პერიოდში პატიმრობაში მყოფ პირებს უნდა მიეცეთ დარეგისტრირების შესაძლებლობა. მეორე რიგში, პატიმრობაში მყოფ ყველა რეგისტრირებულ პირს, მათ შორის მათ, ვისაც ეხება დარეგისტრირების ბრძანება, უნდა მიეცეთ ხმის მიცემის უფლება. და ბოლოს, სამხრეთ აფრიკის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ხმის მიცემა როგორც შესაძლებელი, ისე განხორციელებადი გახდა.⁴⁴⁰

სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციით, ყოველი სრულწლოვანი მოქალაქის უფლება, ხმა მიეცა საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში, დადგენილი იყო უპირობოდ და ეს ხაზს უსვამს უფლების მნიშვნელობას: „ხმის მიცემის უფლების საყოველთაო მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიისათვის. თითოეული და ყველა მოქალაქის ხმა არის ნიშანი ღირსებისა და ინდივიდუალობისა. გადაუჭარბებელი იქნებოდა იმის თქმა, რომ ყველა ადამიანი მნიშვნელოვანია.“⁴⁴¹

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ხმის მიცემის უფლება თავისი ხასიათით საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებებს და საარჩევნო აქტი უნდა განიმარტოს ისე, რომ კონსტიტუციური დეკლარაციები, გარანტიები და პასუხისმგებლობა ეფექტიანი

440 N. Mbodla, *Should Prisoners Have a Right to Vote?*, *Journal of African Law*, Vol. 46, No. 1, 2002, pp. 92-102.

441 *ავგუსტი და სხვები საარჩევნო კომისიისა და სხვების წინააღმდეგ (August and another v. Electoral Commission and others)* (CCT8/99: 1999 (3) SA 1), 17-ე პუნქტი.

იყოს. მან მიუთითა, რომ ბევრი დემოკრატიული საზოგადოება გარკვეული კატეგორიის პატიმრების მიმართ ითვალისწინებს საარჩევნო შეზღუდვებს.⁴⁴² მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში არ არის შესაბამისი დებულებები, ის აღიარებს, რომ შეზღუდვები შეიძლება დანესდეს ფუნდამენტური უფლებების განხორციელებაზე, თუ ისინი, *inter alia*, არის გონივრული და გამართლებული. საკითხი, არის თუ არა გამართლებული კონსტიტუციის მიხედვით ისეთი კანონმდებლობის არსებობა, რომელიც პატიმართა უფლებებს შეზღუდავდა, არ წამოჭრილა სამართალწარმოების დროს და რომ ეს გადაწყვეტილება არ უნდა იქნას იმგვარად გაგებული, თითქოს ის უკრძალავს პარლამენტს გარკვეული კატეგორიის პატიმრების მიმართ არ დაუშვას არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა. ასეთი კანონმდებლობის არარსებობის პირობებში, პატიმრებს აქვთ კონსტიტუციური უფლება, ხმა მისცენ და არც საარჩევნო კომისია და არც საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი ჩამოართვას მათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.⁴⁴³

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის⁴⁴⁴ მე-3 მუხლი თავისუფალი არჩევნების უფლებას ეხება: „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებებს, გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომელიც საკანონმდებლო ორგანოების არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას.“

კონვენციის აღნიშნული მუხლით გარანტირებული უფლების რეალიზაცია განხილულ იქნა არაერთხელ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. პატიმართა საარჩევნო უფლების

442 იქვე, 26-ე პუნქტი.

443 იქვე, 31-ე პუნქტი.

444 პარიზი, 1952 წლის 20 მარტი.

ჩამორთმევასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი და პრეცედენტული საქმეა *ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hirst v. UK)*.⁴⁴⁵

მსჯავრდებულ ჰირსტმა, რომელსაც 1983 წლის სახალხო აქტის წარმომადგენლობის მე-3 ნაწილით აეკრძალა საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებში ხმის მიცემა, აღძრა სამართალწარმოება უმაღლეს სასამართლოში 1998 წლის ადამიანის უფლებათა აქტის მე-4 თავის საფუძველზე და მოითხოვა, რომ ეს დებულება გამოეცხადათ შეუსაბამოდ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან.⁴⁴⁶

სხვა სახელმწიფოებში არსებული პრაქტიკის შესწავლისას, მან დაასკვნა, რომ ევროპაში მხოლოდ რვა ქვეყანა, გაერთიანებული სამეფოს ჩათვლით, არ ანიჭებს მსჯავრდებულს ხმის მიცემის უფლებას, მაშინ როდესაც ოცი სახელმწიფო არ ართმევს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, ხოლო რვა სახელმწიფო არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევაზე შეზღუდვებს აწესებს.⁴⁴⁷

საქმესთან დაკავშირებული გარემოებების განხილვის შედეგად სასამართლომ აღნიშნა, რომ ის [1983 წლის სახალხო აქტის წარმომადგენლობის მე-3 ნაწილი] ართმევს კონვენციით გათვალისწინებულ ხმის მიცემის უფლებას პირთა მნიშვნელოვან კატეგორიას და ამას ახდენს განურჩევლად. დებულება ადგენს ბლანკეტურ შეზღუდვას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი ყველა მსჯავრდებულის მიმართ. ის გამოიყენება ავტომატურად ასეთი პირების მიმართ, მიუხედავად მათი სასჯელის ხანგრძლივობისა და მიუხედავად დანაშაულის ხასიათისა და სიმძიმის, მათი ინდივიდუალური გარემოებებისა. ასეთი ზოგადი, ავტომატური და განურჩეველი შეზღუდვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კონვენციისეული უფლებისა, სცილდება რაიმე მისაღები შეფასების ფარგლებს, რაც არ უნდა ფართო

445 *ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hirst v UK) (No. 2)*, განაცხადი No. 74025/01, 2005 წლის 6 ოქტომბერი.

446 იქვე, 14-ე პუნქტი.

447 იქვე, 16-ე პუნქტი.

იყოს ეს ფარგლები და უნდა იქნას მიჩნეული პირველი ოქმის მე-3 მუხლთან შეუთავსებლად.⁴⁴⁸

საქმეში *ფროლდი ავსტრიის*⁴⁴⁹ წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (პირველი სექცია) შეშფოთებას გამოხატავდა ავსტრიის კანონმდებლობის იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც არჩევნებში ხმის მიცემის უფლება ჩამოერთვა დანაშაულის ჩადენის მცდელობაში მსჯავრდებულ პირებს, რომელთაც ერთი ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ.⁴⁵⁰ სასამართლომ დაადგინა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა, დაეფუძნა რა დიდი პალატის გადაწყვეტილებას *ჰირსტის* საქმესთან დაკავშირებით: „*ჰირსტის* ტესტის მიხედვით, მიუხედავად ავტომატური და ბლანკეტური შეზღუდვების არსებობისა, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, აუცილებელი ელემენტია არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევის თაობაზე მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღება, და რომ უნდა არსებობდეს კავშირი ჩადენილ დანაშაულსა და არჩევნებთან და დემოკრატიულ ინსტიტუტებთან დაკავშირებულ საკითხებს შორის“.⁴⁵¹ სასამართლომ დამატებით განაცხადა, რომ „აღნიშნული კრიტერიუმის მიზნის არსი არის არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობის, როგორც გამონაკლისი შემთხვევის, დამკვიდრება, თუნდაც მსჯავრდებულებთან მიმართებით“.⁴⁵²

ფროლდის მოტივაცია გათვალისწინებულ იქნა სასამართლოს (მეორე სექცია) მიერ საქმის *სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ*⁴⁵³ განხილვისას. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ პატიმართათვის, რომელთაც სამი და მეტი წლით თავისუფლების

448 იქვე, 76-ე პუნქტი.

449 *ფროლდი ავსტრიის წინააღმდეგ (Frold v Austria)*, 2010 წლის 8 აპრილი.

450 S. Briant, *The requirements of prisoners voting rights: mixed messages from Strasbourg*, *The Cambridge Law Journal*, Volume 70, Issue 02, July 2011, pp. 279-282.

451 *ფროლდი ავსტრიის წინააღმდეგ (Frold v Austria)*, 2010 წლის 8 აპრილი, 34-ე პუნქტი.

452 იქვე, 35-ე პუნქტი.

453 *სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ (Scopolla v Italy)*, (no. 3), 2012 წლის 22 მაისი.

აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა კონვენციის პირველი ფაკულტატიური ოქმის მე-3 მუხლის დარღვევად სცნო. სასამართლოს უკმაყოფილება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა „ავტომატურად“ იყო გამოწვეული თავისუფლების აღკვეთით, რაც ხდებოდა სასამართლოს მიერ იმის განხილვის გარეშე, თუ რამდენად დაკავშირებული იყო ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა.⁴⁵⁴

ჰირსტის საქმის ერთგვარი გაგრძელება იყო საქმე *გრინსი და მ.ტ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.⁴⁵⁵ განმცხადებლები ასაჩივრებდნენ, რომ როგორც პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებული პირები, ისინი დაექვემდებარნენ ბლანკეტურ ნორმას არჩევნებში ხმის მიცემის აკრძალვასთან დაკავშირებით და, შესაბამისად, ვერ შეძლეს ხმა მიეცათ ევროპარლამენტის არჩევნებში 2009 წლის ივნისსა და საერთო არჩევნებში 2010 წლის მაისში, რაც არღვევს კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლით გარანტირებულ უფლებებს.⁴⁵⁶

საქმის განხილვის შედეგად სასამართლომ დაასკვნა, რომ შესაბამისმა კანონმდებლობამ, კერძოდ 1983 წლის აქტის მე-3 ნაწილმა არ განიცადა დამატება *ჰირსტის* საქმის შემდეგ, რის გამოც განმცხადებლებმა ვერ შეძლეს ხმა მიეცათ გაერთიანებული სამეფოს საერთო არჩევნებში 2010 წლის მაისში. ბლანკეტური აკრძალვა, რომელიც შემოღებული იქნა 1983 წლის აქტის მე-3 ნაწილით, გავრცელდა ევროპარლამენტის არჩევნებზე 2002 წლის აქტის მე-8 ნაწილის საფუძველზე, რის გამოც განმცხადებლებმა ვერ შეძლეს ხმა მიეცათ 2009 წლის ივნისის ევროპარლამენტის არჩევნებში.⁴⁵⁷ აღნიშნული მოსაზრებები საკმარისი აღმოჩნდა სასამართლოს დასკვნისთვის, რომ ორივე განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლი.

454 S. Briant, *The Requirements of Prisoners Voting Rights: Mixed Messages from Strasbourg*, *The Cambridge Law Journal*, Volume 70, Issue 02, July 2011, pp. 279-282.

455 *გრინსი და მ.ტ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Greens and M.T. v UK)*, 2010 წლის 23 ნოემბერი.

456 იქვე, 73-ე პუნქტი.

457 იქვე, 78-ე პუნქტი.

საქართველო

ახლო წარსულში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილულ იქნა კონსტიტუციური სარჩელი N431 საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.⁴⁵⁸ დავის საგანი იყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვების, „ან სასამართლოს განაჩენით სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში იმყოფება“, კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-7⁴⁵⁹ და 28-ე⁴⁶⁰ მუხლებთან მიმართებით. მოსარჩელე, საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საკონსტიტუციო სარჩელის წარდგენის მომენტისთვის იყო მსჯავრდებული, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 29 მარტის განაჩენით დამნაშავედ იქნა ცნობილი გამოძალგაში და იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს კონსტიტუციის მე-7 და 28-ე მუხლებზე. მისი განცხადებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში, კონკრეტულად კი – 28-ე მუხლში გათვალისწინებული უფლებები, მათი შეზღუდვისას, უნდა ყოფილიყო განხილული საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლთან კავშირში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი არის თანაზომიერების პრინციპის ზოგადი საფუძველი.⁴⁶¹

კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნული იყო, რომ კონს-

458 N2/1/431, ქ. ბათუმი, 2008 წლის 31 მარტი.

459 სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

460 არჩევნებსა და რეფერენდუმებში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ სცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.

461 იქვე, ნაწილი I, მე-4 პუნქტი.

ტრუქციის თვალსაზრისით, სადავო ნორმა და საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი იდენტურია, მაგრამ აქტიური საარჩევნო უფლების შეზღუდვის წესი აზრობრივად იქ არ მთავრდება, სადაც 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი. კონსტიტუციურ ნორმაში გადმოცემული ნამდვილი აზრის გასაგებად საჭიროა არა მხოლოდ გრამატიკული, არამედ სისტემური ანალიზის გამოყენებაც. ამ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის ინტერპრეტაცია, კონსტიტუციის მე-7 მუხლის გათვალისწინებით, შემდეგნაირი იქნება: არჩევნებში და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არ აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ სცნო ქმედუვნაროდ ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელალსრულების დაწესებულებაში, რამდენადაც ეს აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად დემოკრატიულ საზოგადოებაში. სადავო ნორმა არაპროპორციულად ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლით დადგენილ საარჩევნო უფლებას. ის ვერ ჩაითვლება თანაბარზომიერად იმ ლეგიტიმურ მიზნებთან მიმართებით, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში შეიძლება გააჩნდეს სახელმწიფოს.⁴⁶²

მოსარჩელე პარალელს ავლებდა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლსა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლს შორის. ორივე ნორმა არ შეიცავს მოთხოვნას, რომ საარჩევნო უფლების შეზღუდვა ლეგიტიმური მიზნის პროპორციულად უნდა მოხდეს. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არ უნდა განხორციელდეს აქტიური საარჩევნო უფლების არაპროპორციული შეზღუდვა.⁴⁶³

მოსარჩელის განცხადებით, კონსტიტუცია უნდა იქნას განხილული, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც მუდმივად ვითარდება ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში არსებული ვი-

462 იქვე, ნაწილი I, მე-5 პუნქტი.

463 იქვე, ნაწილი I, მე-6 პუნქტი.

თარების შესაბამისად. ამის გათვალისწინებით, უნდა მოხდეს კონსტიტუციის ამა თუ იმ ნორმის ინტერპრეტაცია. იგი თვლიდა, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებებში მყოფი პირების ნაწილს, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის მიხედვით, უნდა მიეცეს აქტიური საარჩევნო უფლება.⁴⁶⁴

მოსარჩელის აღნიშნული განცხადება არის დემოკრატია სამართლის მეშვეობით ევროპული კომისიის მიერ (ვენეციის კომისია) თავის 51-ე პლენარულ სხდომაზე (2002 წლის 5-6 ივლისი) მიღებული და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისთვის 2002 წლის 6 ნოემბერს წარდგენილი დოკუმენტის გამომხაურება. დოკუმენტი შეიცავს კომისიის სახელმძღვანელო პრიციპებს იმ გარემოებების მიმართ, როდესაც შეიძლება ჩამორთმეულ იქნას ხმის მიცემისა და კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება:

„d. ...

i. შეიძლება დაწესდეს დებულება, ხმის მიცემისა და კენჭისყრის უფლების პირისთვის ჩამორთმევის შესახებ, მაგრამ მხოლოდ შემდეგი კრებითი პირობების საფუძველზე:

ii. ის უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული;

iii. უნდა იყოს დაცული თანაზომიერების პრინციპი; არჩევნებში კენჭისყრის უფლების ჩამორთმევის პირობები შეიძლება ნაკლებად მკაცრი იყოს, ვიდრე ხმის უფლების ჩამორთმევა;

iv. ჩამორთმევა უნდა ეფუძნებოდეს გონებრივ უუნარობას ან სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას სერიოზული დანაშაულისთვის.

v. ამასთანავე, პოლიტიკურ უფლებათა ჩამორთმევა ან გონებრივი უუნარობის დადგენა შეიძლება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით.⁴⁶⁵

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის ნორმები ადგენენ არა მხოლოდ ძირითადი უფლებების შინაარსსა და ფარგლებს, არამედ ამ უფლებების სუბიექტთა წრეს. ზოგ შემთხვევაში ეს წრე შეუ-

464 იქვე, ნაწილი I, მე-8 პუნქტი.

465 ჰირსტი *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hirst v UK)* (No. 2), განაცხადი No. 74025/01, 2005 წლის 6 ოქტომბერი, 32-ე პუნქტი.

ზღუდავია, ხოლო ხშირად იგი გარკვეულ ფარგლებშია მოქცეული ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით. საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის ნორმების უმრავლესობა სწორედ ამ მიზანს ემსახურება. 28-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვთ იმ პირებს, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, ასევე მათ, ვინც არიან საქართველოს მოქალაქეები, მაგრამ არ შესრულებიათ 18 წელი. 28-ე მუხლის მეორე პუნქტი კი ამომრჩეველთა რიგებიდან გამორიცხავს სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ მოქალაქეებს და მოქალაქეებს, რომლებიც სასამართლოს განაჩენით იმყოფებიან სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში. ეს მოქალაქეები, კონსტიტუციის მიხედვით, იზოლირებული არიან საარჩევნო პროცესისგან და არ არსებობს რაიმე პირობა, გარდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის დასრულებისა, რომელიც მათ საარჩევნო უფლების მქონე სუბიექტთა წრეში დააბრუნებდა. კონსტიტუცია მკაფიოდ ადგენს, რომ სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში სასამართლოს განაჩენით მყოფ მოქალაქეს „არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს...“. ამ ჩანაწერით კანონმდებელს მოეჭრა საარჩევნო უფლების სუბიექტთა წრის გაფართოების გზა. აბსოლუტურად უშედეგო იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება, რადგანაც ეს არ გამოიყვანს მოსარჩელეს საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი აკრძალვის მოქმედების არეალიდან. ამისთვის საჭიროა კონსტიტუციის შესაბამის ნორმაში ცვლილებების განხორციელება, რაც სცილდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე არ არის იმ ძირითადი უფლების სუბიექტი, რომელთან დაკავშირებითაც მას აქვს შემოტანილი კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში,⁴⁶⁶ რის გამოცა მას უარი ეთქვა საკონსტიტუციო სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე.

466 საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საკონსტიტუციო სარჩელი №431, N2/1/431, ქ. ბათუმი, 2008 წლის 31 მარტი, ნაწილი II, მე-2 პუნქტი.

ვენეციის კომისიის აქტიური ჩართულობითა და წარდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2011 წლის 27 დეკემბერს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელდა რიგი ცვლილებები, მათ შორის, ცვლილება შეეხო კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის რედაქციით ბრალდებულის გარდა, არჩევნებში ხმის მიცემის უფლება მიეცა ყველა იმ პირს, რომელმაც ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩაიდინა.⁴⁶⁷ აღნიშნული კონსტიტუციური ცვლილება აისახა საქართველოს საარჩევნო კოდექსში, რომლის მე-3 მუხლის „ა.გ.“ ქვეპუნქტის საფუძველზე „არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება არა აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც . . . სასამართლოს განაჩენით იმყოფება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული“.

ცვლილებების განმტკიცებისა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მსჯავრდებულთა შესაბამისი კატეგორიის ხმის მიცემის უზრუნველსაყოფად, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 184-ე მუხლის 9¹-ე პუნქტით საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დაევალა 2012 წლის 15 ივლისამდე გადაეცა ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიისთვის მონაცემები საარჩევნო უფლების მქონე იმ პირთა შესახებ, რომელთაც ჰქონდათ ჩადენილი ნაკლებად მძიმე დანაშაული. იმის გათვალისწინებით, რომ საპარლამენტო არჩევნები 2012 წლის 1 ოქტომბერს ჩატარდა და უზრუნველყოფილ იყო პატიმრობაში/თავისუფლების აღკვეთის ადგილებში აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა შეყვანა ამომრჩეველთა სიაში, საქართველოს საარჩევნო კოდექსმა დაადგინა „ამომრჩეველთა ერთიანი სიის განახლების მიზნით ამ მუხლის მე-5 პუნქტის ... „ზ“ ქვეპუნქტებში მითითებული დაწესებულებები [საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო] – წელიწადში ოთხჯერ საარჩევნო

467 არჩევნებსა და რეფერენდუმებში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუწუნაროდ სცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული.

უფლების არმქონე პირთა შესახებ განახლებულ ან ახალ მონაცემებს გადასცემენ ცესკოს ამ პუნქტით განსაზღვრულ ვადებში [ყოველი წლის 1 თებერვალს, 1 მაისს, 15 ივლისს და 1 ნოემბერს],⁴⁶⁸ და „ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეჰყავთ: გ) ამომრჩეველები, რომლებიც კენჭისყრის დღეს პატიმრობაში იმყოფებიან. ამ პირთა სიას ადგენს შესაბამისი სასჯელალსრულების დანესებულების ხელმძღვანელი და კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-6 დღისა გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას“.⁴⁶⁹ იმ პოზიტიური ფაქტის პარალელურად, რაც უკავშირდება მსჯავრდებულთა შესაბამისი კატეგორიის მონაწილეობას 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენ მსჯავრდებულებთან მიმართებით, რომელთაც თავისუფლების აღკვეთა 2012 წლის 16 ივლისიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე მიესაჯათ, კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საარჩევნო კოდექსის მე-3 მუხლის „ა.გ.“ ქვეპუნქტის მოთხოვნა უგულებელყოფილ იქნა.

პატიმრებისთვის ხმის მიცემის უფლების უარყოფა შეიძლება მიჩნეულ იქნას გზავნილად, რომელიც ძირს უთხრის კანონისა და დემოკრატიის პატივისცემას, ვიდრე გზავნილად, რომელიც ზრდის ამ ფასეულობებს. კანონის ლეგიტიმურობა და ვალდებულება, რომ დაემორჩილო კანონს, პირდაპირ გამომდინარეობს თითოეული მოქალაქის უფლებიდან მისცეს ხმა. ხმის მიცემის უფლების აკრძალვა პატიმრებისთვის არის დემოკრატიული ფასეულობებისა და სოციალური პასუხისმგებლობის მათთვის სწავლების მნიშვნელოვანი საშუალების ხელიდან გაშვება და ეს ეწინააღმდეგება ჩართულობის, თანასწორობისა და მოქალაქეობრივი მონაწილეობის დემოკრატიულ პრინციპებს და შეუთავსებელია თითოეული ადამიანის ღირსების პატივისცემასთან.⁴⁷⁰

468 მუხლი 31, მე-6 პუნქტი.

469 მუხლი 32, „გ“ ქვეპუნქტი.

470 ჰირსტი *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hirst v UK)* (No. 2), განაცხადი No. 74025/01, 2005 წლის 6 ოქტომბერი, 35-ე პუნქტი.

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, თუ რატომ უნდა იქნას მიჩნეული ფუნდამენტური დემოკრატიული უფლების [ხმის მიცემის უფლების] აკრძალვა, სახელმწიფო დასჯის ფორმად. ის არც კანონიერი სასჯელის ფორმად უნდა ჩაითვალოს, რადგან არის თვითნებური და არ ემსახურება სისხლისსამართლებრივ მიზანს. ის არ არის მორგებული ინდივიდუალური კანონდამრღვევის მოქმედებებზე და გარემოებებზე და ფაქტობრივად არანაირი კავშირი აქვს კანონდამრღვევის კონკრეტულ დანაშაულთან, რადგან არსებული მონაცემები არ იძლევა საშუალებას განვაცხადოთ, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევამ შეამცირა დანაშაული ან მოახდინა დამნაშავეთა რეაბილიტაცია.⁴⁷¹

ზემოთ ჩამოყალიბებული პოზიციის მიუხედავად, გასათვალისწინებელია ის აზრი, რომ ყველა კატეგორიის პატიმარს არ უნდა ჰქონდეს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება. ეს პოზიცია, დაფუძნებულია სამოქალაქო პასუხისმგებლობასა და სამართლის უზენაესობის პატივისცემაზე და ორ ძირითად მიზანს ემსახურება - სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნახალისებასა და სისხლისსამართლებრივი სანქციის ზოგადი მიზნების გაზრდას. მიზანი, რომ გაიზრდოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა და სამართლის უზენაესობის პატივისცემა, უკავშირდება კარგი მოქალაქეობის ნახალისებას. სერიოზული დანაშაულის სოციალური უარყოფა ასახავს იმ ზნეობრივ საზღვარს, რომელიც იცავს სოციალურ კონტრაქტსა და სამართლის უზენაესობას, ზრდის ინდივიდებსა და საზოგადოებას შორის კავშირის მნიშვნელობას.

სისხლისსამართლებრივი სანქციის ზოგადი მიზნების გაზრდა წარმოადგენს მართებულ მიზანს ხელისუფლებისთვის, რომ განავითაროს სათანადო სანქციები და სასჯელები განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირისთვის. არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა არის სამოქალაქო უფლება-უუნარობა, რომელიც გამომდინარეობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან. ის შეიძლება იყოს თანაზომიერი, ვინაი-

471 იქვე.

დან ღონისძიება შესაძლოა რაციონალურად იყოს დაკავშირებული მიზნებთან და იყოს ფრთხილად მორგებული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩამდენი დამნაშავეების მიმართ გამოსაყენებლად. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირებისთვის არჩევნებში ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა გზავნილია როგორც საზოგადოებისთვის, ისე თავად დამნაშავეებისთვის, რომ საზოგადოება არ მოითმენს სერიოზულ სისხლისსამართლებრივ დანაშაულს. ამ მოსაზრების მიხედვით, საზოგადოებას შეუძლია აირჩიოს, რომ დროებით შეუზღუდოს ხმის მიცემის უფლების შესაძლებლობა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირებს, დაჟინებით მოითხოვოს, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობა და სამართლის უზენაესობის პატივისცემა, როგორც მიზნები, რომელთა მიღწევაც დიდი მნიშვნელობისაა, იყოს დემოკრატიული მონაწილეობის წინაპირობა.⁴⁷²

472 იქვე, 37-ე პუნქტი.

მეშვიდე თავი

სასჯელადსრულების სისტემის გადატვირთულობა და მისი აღმოფხვრის მექანიზმები

7.1. გადატვირთულობა

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გადატვირთულობა და ციხის მოსახლეობის ზრდა წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ადმინისტრაციისთვის და სისხლის სამართლებრივი სისტემისთვის როგორც ადამიანის უფლებების, ასევე სასჯელადსრულების ინსტიტუტების ეფექტური მენეჯმენტის მიმართულებით.⁴⁷³

გადატვირთულობის მაქსიმალური დონეების თავიდან ასაცილებლად, უნდა განისაზღვროს სასჯელადსრულების ინსტიტუტების მაქსიმალური შესაძლებლობები.⁴⁷⁴ წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა აღიარა, რომ გადატვირთულობის პრობლემა პირდაპირ ჯდება მის მანდატში. თუ დადგენილზე მეტი პატიმრის განთავსება მოხდება დაწესებულებაში, ამას უარყოფითი ზეგავლენა ექნება პატიმართათვის მოქმედ ყველა მომსახურებასა და აქტივობაზე. ცხოვრების პირობების არსებული ხარისხი შემცირდება, რიგ შემთხვევაში მნიშვნელოვნადაც. უფრო მეტიც, დაწესებულებას ან მის რომელიმე ნაწილში გადატვირთულობა, თავისი ფიზიკური მდგომარეობით, შესაძლოა გაუთანაბრდეს არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას.⁴⁷⁵

როდესაც დგას გადატვირთულობის პრობლემა, ყურადღება უნდა გამახვილდეს ადამიანურ ღირსებაზე, პატიმრობისა

473 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №(99)22 ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე, პრეამბულა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები სასჯელადსრულებისა და პრობაციის სფეროში, ს.ს.ი.პ. სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 145

474 იქვე, მუხლი 6, გვ. 148

475 2nd General Report of the CPT, CPT/Inf (92) 3, paragraph 46, at <http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-02.htm#III.b>.

და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია უნდა ისწრაფოდეს გამოიყენოს ადამიანური და პოზიტიური მოპყრობა, მოახდინოს პერსონალის როლის სრული აღქმა და დანერგოს ეფექტური თანამედროვე მენეჯმენტის მიდგომები.⁴⁷⁶ პატიმრობისთვის უზრუნველყოფილი შენობა, განსაკუთრებით კი საძინებელი კორპუსი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემის და, შეძლებისდაგვარად, განმარტოების მოთხოვნებს. გარდა ამისა, დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, კლიმატური პირობებისა და, განსაკუთრებით, ფართის ოდენობის, ჰაერის მოცულობის, განათებისა და ვენტილაციის პირობების გათვალისწინებით.⁴⁷⁷ ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს იმას, რომ ამ მოთხოვნების დარღვევა არ მოხდეს ციხეების გადატვირთულობით.⁴⁷⁸

პროკურორები და მოსამართლეები უნდა ჩაერთონ სისხლის სამართლის პოლიტიკის დაგეგმვაში ციხის მოსახლეობის ზრდასთან და ციხის გადატვირთულობასთან დაკავშირებით, იმ აზრით, რომ გამოხატონ საკუთარი მხარდაჭერა და თავიდან აიცილონ სანინააღმდეგო შედეგების მომცემი სასჯელების პრაქტიკა.⁴⁷⁹

ევროპის საბჭო ნევრი სახელმწიფოების ხელისულებას მოუწოდებს ხელი შეუწყონ იმ ზომების განვითარებას, რომელიც შეამცირებს არსებული სასჯელის მოხდის ვადებს, რომლის დროსაც უპირატესობა მიეცემა ინდივიდუალურ ზომებს, როგო-

476 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №(99)22 ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე, მუხლი 7, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სფეროში, ს.ს.ი.პ. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 148

477 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №(2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ, წესი 18.1, პრობაციის საერთაშორისო სტანდარტების კრებული – სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის, თბილისი 2010, გვ. 66

478 იქვე, წესი 18.4, გვ. 67

479 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №(99)22 ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე, მუხლი 19, გვ. 151

რიცაა პირობით ვადამდე გათავისუფლება, ვიდრე კოლექტიურ ზომებს ციხის გადატვირთულობის მენეჯმენტისას (ამნისტია, კოლექტიური შეწყალება).⁴⁸⁰

საქართველოში ბოლო ათი წლის განმავლობაში მკვეთრად იცვლებოდა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სტატისტიკა. კერძოდ, 2004წ. – 7867 ბრალდებული/მსჯავრდებული, 2007წ. – 18309, 2010წ. – 23684,⁴⁸¹ ხოლო 2013 წლის ივლისის მდგომარეობით ამ ციფრმა 9255 ბრალდებული/მსჯავრდებული შეადგინა.⁴⁸²

საერთაშორისო პრაქტიკაში დადგენილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის გამოთვლა ასი ათას მოსახლეზე. აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით საქართველოში ყოველ ასი ათას მოსახლეზე (Eurostat-ის ოფიციალური მონაცემებით 4.54 მილიონ მოსახლეობაზე) შემდეგი რაოდენობის ბრალდებული/მსჯავრდებული მოდიოდა: 2004წ. – 182, 2007წ. – 418 და 2010წ. – 530.⁴⁸³ ანალოგიური პრინციპით, 2013 წლის მდგომარეობით საქართველოს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კოეფიციენტი შეადგენს 204-ს. ანალოგიური მაჩვენებელი სხვა ევროპულ ქვეყნებში შემდეგია: გერმანია – 79 (მარტი, 2013წ.), ესპანეთი – 147 (აგვისტო, 2013წ.), საფრანგეთი – 102 (ივნისი, 2013წ.), ირლანდია – 92 (ივლისი, 2013წ.), მოლდოვა – 188 (აპრილი, 2013წ.), პოლონეთი – 218 (ივლისი, 2013წ.), უკრაინა – 298 (აგვისტო, 2013წ.), რუსეთი – 477 (აგვისტო, 2013წ.).⁴⁸⁴

480 იქვე, მუხლი 23, გვ. 152

481 Prison Studies Centre მონაცემები, იხ. <http://prisonstudies.org/info/world-brief/wpb-country.php?country=122>

482 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წერილი MCLA 3 13 00014973, 26.08.2013

483 Prison Studies Centre მონაცემები, იხ. <http://prisonstudies.org/info/world-brief/wpb-country.php?country=122>

484 Prison Studies Centre 2013 წლის მონაცემები, იხ. <http://prisonstudies.org/info/worldbrief/?search=europe&x=Europe>

7.2 გადატვირთულობის პრობლემის მოხსნის მექანიზმები

7.2.1 სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა

პირობით ვადამდე გათავისუფლების⁴⁸⁵ უფლება წარმოადგენს ყოველი თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლებას, რომლის არსებობის გარეშე ფაქტიურად შეუძლებელია პატიმართა რესოციალიზაციაზე საუბარი.

პირობით ვადამდე გათავისუფლება მიზნად უნდა ისახავდეს მსჯავრდებულის დახმარებას, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ცხოვრება გარდაქმნას საზოგადოებაში კანონმორჩილ ცხოვრებად გათავისუფლების შემდგომი პირობების შექმნითა და ზედამხედველობით, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ამ მიზნის მიღწევას და წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და დანაშაულის შემცირებაში.⁴⁸⁶

ვადამდე გათავისუფლების მარეგულირებელი სამართალი და პოლიტიკა უმნიშვნელოვანესია თავისუფლების აღკვეთის დაკისრებისა და აღსრულებისთვის, რამეთუ ისინი ცხადჰყოფენ იმ რეალობას, რომლითაც დგინდება თუ რამდენად ხორციელდება კონსტიტუციური წყობილების ქვეყანაში დასჯის ძალაუფლების შეზღუდვა უფრო ზოგადი პრინციპებით, რომელიც სასჯელის მიზანს ემსახურება.⁴⁸⁷

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გადატვირთულობა, რაც დღესდღეობით ბევრ ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენს, აიძულებს ხელისუფლებას იმსჯელოს სასჯელის განსაზღვრის პოლიტიკაზე, რომ შეზღუდოს ან შეამციროს პატიმრობის მაჩვენებლები. ამგვარი ინიციატივები დაფუძნებულია „ნინა კარის“ ან/და „უკანა კარის“ სტრატეგიაზე, რაც

485 მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასების შესახებ იხ., მ. შალიკაშვილი/დ. ჩიხლაძე, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისათვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი. თბილისი 2013.

486 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, პრეამბულა

487 D. van Zyl Smit and Sonja Snacken, Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights, Oxford University Press Inc., New York, 2011, p. 316

გულისხმობს მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირებას გამოწვეულს ალტერნატიული სასჯელების გამოყენების ზრდით („ნინა კარის“ სტრატეგია) და პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა რაოდენობის გაზრდას („უკანა კარის“ სტრატეგია).⁴⁸⁸ 2006–დან 2013 წლამდე საქართველოში „ნინა კარის“ სტრატეგია უფრო აქტიურად გამოიყენებოდა, ვიდრე პირობით ვადამდე გათავისუფლება,⁴⁸⁹ თუმცა, აღნიშნული იმდენად არ იყო გამოხატული ალტერნატიული სასჯელების გამოყენების ზრდით, რამდენადაც – პირობითი მსჯავრის შეფარდებით.

ევროპის საბჭო წარმოადგენს იმ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების განტვირთვა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობა წარმოადგენს. აღნიშნული მიზნის მიღწევაში მნიშვნელოვანწილად აქცენტი კეთდება ეფექტური პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის ფუნქციონირებაზე წევრ სახელმწიფოებში. პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის სწორად წარმართვისა და ეფექტური სისტემების ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა სპეციალური რეკომენდაციაც მიიღო და რიგ სხვა რეკომენდაციებშიც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ამ საკითხზე.

ამ მხრივ აღსანიშნავია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2003) 22 რეკომენდაცია, რომლითაც პირობით ვადამდე გათავისუფლების როგორც სტატისტიკური აღრიცხვიანობის წარმოების აუცილებლობა, ასევე - გაფართოებულ კონტექსტში კვლევითი საქმიანობის წარმოება განისაზღვრა, რაც არსებული

488 F. Dunkel, Kommentierung §57 StGB, in U. Kindhauser, U. Neumann and H. Paeffgen (eds) *Nomos Kommentar zum Strafgesetzbuch. Vol. 1* (3rd edn.). Baden-Baden: Nomos Verlag 2010

489 ციხის საერთაშორისო რეფორმის სამხრეთ კავკასიის ოფისის მიერ 2012 წლის 9 თებერვალს მოწოდებული სტატისტიკის თანახმად 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 24114 პატიმარი და მსჯავრდებული იყო განთავსებული საქართველოს სასჯელალსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებებში, ხოლო პრობაციის ეროვნული სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა 38681 მსჯავრდებული

პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის შესაბამისობასა და მის შემდომ განვითარებაზე მეტი ცოდნისა და ინფორმაციის მიღების საშუალების პირობას ქმნის.

ევროპაში პირობით ვადამდე გათავისუფლების ორი ფუნდამენტური სახე არსებობს, დისკრეციული და სავალდებულო ანუ ავტომატური გათავისუფლების სისტემა. ორივე ეს სისტემა აღიარებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2003)22 რეკომენდაციით.

დისკრეციული გათავისუფლების სისტემა გულისხმობს პირობით ვადამდე გათავისუფლების მოპოვებისთვის მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადის განსაზღვრას კანონით.⁴⁹⁰ დისკრეციული გათავისუფლების სისტემა, რაც ეფუძნება ინდივიდუალურ შეფასებას, გამოიყენება ისეთ ქვეყნებში როგორცაა ავსტრია, ხორვატია, ესტონეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუსეთის ფედერაცია, სლოვენია, ესპანეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა.⁴⁹¹ საქართველოც, არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის თვალსაზრისით, სწორედ ევროპული ქვეყნების ამ ჯგუფს მიეკუთვნება.

სავალდებულო პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში უნდა მოხდეს სასჯელის იმ პერიოდის განსაზღვრა, რომელიც მსჯავრდებულმა უნდა მოიხადოს იმისათვის, რომ გათავისუფლების უფლება მოიპოვოს. სავალდებულო პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემისას მხოლოდ კანონით განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევები უნდა არსებობდეს გათავისუფლების გადასავადებლად. ამასთანავე, გათავისუფლების გადავადების შემთხვევაში უნდა განისაზღვროს პირობით ვადამდე გათავისუფლების ახალი თარიღი. ფინეთმა, საბერძნეთმა, შვედეთმა და თურქეთმა პირობით ვადამდე გათავისუფლების სავალდებულო ფორმა დანერგეს პრაქტიკაში.⁴⁹²

ევროპის საბჭო უპირობოდ ემხრობა პირობით ვადამდე გა-

490 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, პუნქტი 16

491 N. Padfield, D. van Zyl Smit and F. Dunkel, Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, pg. 420

492 იქვე.

თავისუფლების სისტემის დანერგვას წევრ სახელმწიფოებში, რაც სისხლის სამართლის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. ამ მხრივ საყურადღებოა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (99)22 ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის ზრდის თაობაზე, რომლის პრეამბულაც მიუთითებს, რომ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გადატვირთულობა და „ციხის მოსახლეობის“ ზრდა წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას დაწესებულების ადმინისტრაციისა და სისხლის სამართლის სისტემისთვის როგორც ადამიანის უფლებების, ისე სასჯელაღსრულების ინსტიტუტების ეფექტური მართვის თვალსაზრისით. ამასთანავე, რეკომენდაცია მიუთითებს, რომ „თავისუფლების აღკვეთა უნდა განიხილებოდეს როგორც უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებელი სანქცია ან ზომა და შესაბამისად უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა დანაშაულის სიმძიმე სხვა სანქციებისა და ზომების გამოყენებას აშკარად არაადეკვატურად გამოაჩენს.“⁴⁹³

რეკომენდაცია ხაზგასმით აყალიბებს მნიშვნელოვან პოსტულატს, რომლის თანახმად „ხელი უნდა შეეწყოს იმ ზომების განვითარებას, რომლებიც შეამცირებს არსებული სასჯელის მოხდის ვადებს, რომლის დროსაც უპირატესობა მიეცემა ინდივიდუალიზებულ ზომებს, როგორცაა პირობით ვადამდე გათავისუფლება, ვიდრე კოლექტიურ ზომებს ციხის გადატვირთულობის მართვისას (ამნისტია, კოლექტიური შეწყალება).“⁴⁹⁴

ვადამდე გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების აქტიურად გამოყენებისადმი დამოკიდებულება დღითიდღე პოზიტივისკენ იცვლება, სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება შეინყალოს მსჯავრდებულები კვლავაც კონტინენტის ბევრ სახელმწიფოში რჩება მსჯავრდებულთა ვადამდე გათავისუფლების ყველაზე ეფექტურ საშუალებად. მასიური შეწყალების პროცესი კვლავაც რეალობას წარმოადგენს. მათი გამოყენება გან-

493 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (99)22 ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის ზრდის თაობაზე, პუნქტი 1

494 იქვე, პუნქტი 23

საკუთრებით აღინიშნება როგორც დიდი პოლიტიკური ცვლილებების პერიოდში (მაგალითად როგორსაც ადგილი ჰქონდა კომუნიზმის შემდგომ პერიოდში აღმოსავლეთ ევროპაში), ასევე - როგორც ჩვეულებრივი მექანიზმი მსჯავრდებულთათვის სასჯელის შემსუბუქების ან სულაც გასათავისუფლებლად (ასე მაგალითად საფრანგეთში).⁴⁹⁵

საქართველოც არ წარმოადგენს ხსენებული ტენდენციიდან გამონაკლისს. 2012 წლამდე საქართველოში ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა წლიური სტატისტიკის მიხედვით მონინავე პოზიცია პრეზიდენტის მიერ შეწყალებით გათავისუფლებულ მსჯავრდებულებს ეკავა, მხოლოდ შემდეგ მოდიოდა პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა რაოდენობა და ბოლო ადგილზე იყო ამნისტიით გათავისუფლებულთა რაოდენობა. ასე მაგალითად, 2006-2011 წლებში შეწყალებით გათავისუფლდა 6303 მსჯავრდებული (მათ შორის 5942 მამაკაცი, 282 ქალი და 79 არასრულწლოვანი), პირობით ვადამდე გათავისუფლდა 2896 მსჯავრდებული (მათ შორის 2699 მამაკაცი, 166 ქალი და 31 არასრულწლოვანი), ხოლო 2007-2009 წლებში განხორციელებული ამნისტიით გათავისუფლდა 701 მსჯავრდებული (მათ შორის 635 მამაკაცი, 60 ქალი და 6 არასრულწლოვანი).⁴⁹⁶ განსხვავებული სურათი დაფიქსირდა 2013 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისამდე პერიოდში (6 თვე). კერძოდ, პრეზიდენტის შეწყალებას დაექვემდებარა 652 მსჯავრდებული (მათ შორის 617 მამაკაცი, 30 ქალი და 5 არასრულწლოვანი),⁴⁹⁷ პირობით ვადამდე გათავისუფლდა 1852 მსჯავრდებული (მათ შორის 1655 მამაკაცი, 177 ქალი და

495 R. Levy, *Pardon and Amnesties as Policy Instruments in Contemporary France* (2007) 36, Crime and Justice, pp 551-590

496 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ოფიციალური წერილი №2249/01/01, 21.02.2012

497 Response of the Georgian Government to the Report of the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or punishment (CPT) on its visit to Georgia from 19 to 23 November 2012, CPT/Inf (2013) 19, Attachment No.9, at www.cpt.coe.int/documents/geo/2013-19-inf-eng.pdf

20 არასრულწლოვანი) და ამნისტიის კანონი შეეხო 17706 მსჯავრდებულს (მათ შორის 16818 მამაკაცს, 822 ქალს და 66 არასრულწლოვანს).⁴⁹⁸

რეკომენდაციაში (99)22 ასახული მიდგომა გამყარებულია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით (2003)22, რომელიც პირობით ვადამდე გათავისუფლებას განმეორებითი სამართალდარღვევის აცილებისა და პატიმრის საზოგადოებაში ინტეგრაციის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და კონსტრუქციულ საშუალებად აღიარებს.⁴⁹⁹ რეკომენდაცია პირობით ვადამდე გათავისუფლებას განმარტავს, როგორც მსჯავრდებულის ვადამდე გათავისუფლებას, შემდგომი ინდივიდუალური პირობებით. ამასთანავე, რეკომენდაცია არ ეხება ამნისტიასა და შეწყალების საკითხებს.⁵⁰⁰

პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის აღსრულებისა და მისი ეფექტურობის მიღწევის მარეგულირებელი სტანდარტები მოცემულია მინისტრთა საბჭოს კიდევ ერთ ფუძემდებლურ დოკუმენტში - რეკომენდაცია (2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ. კერძოდ, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში უნდა გატარდეს ზომები მსჯავრდებულთა თანდათანობით საზოგადოებაში დასაბრუნებლად, რაც მიღწეულ უნდა იქნას გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი პროგრამების არსებობითა და ნაწილობრივ ან პირობით ვადამდე გათავისუფლებით.⁵⁰¹

ნამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა დიდი ხნის წინათ აღიარა, რომ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დანესებულებების გადატვირთულობა პირდაპირ კავშირშია წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის გამოწვევასთან, რომლის პრევენციაც მის კომპეტენციას განეკუთვნება.⁵⁰² ბოლო წლებში კომიტეტმა გააფარ-

498 იქვე, Attachment no.7

499 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, პრეამბულა

500 იქვე, პუნქტი 1

501 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ, წესი 107

502 CPT 7th General Report [CPT/Inf (97)10] ss. 12-15

თოვა თავისი ხედვა და განმარტა, რომ სახელმწიფოების მიერ ისეთი სისტემის დანერგვა, რაც ამცირებს თავისუფლებათა დაცვით მსჯავრდებულთა რაოდენობას, წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ საშუალებას ცუდი მოპყრობის პრევენციის მიზნით.⁵⁰³ ერთ-ერთ გზას, რაც თავისუფლებათა დაცვით მსჯავრდებულთა რიცხოვნებას აკონტროლებს, პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა წარმოადგენს და ისიც კომიტეტის მიერ იქნა მხარდაჭერილი; კომიტეტმა გამორჩეული განცხადება გააკეთა, რომლითაც წევრ ქვეყნებს მოუწოდა, რომ ყველა თავისუფლებათა დაცვით მსჯავრდებულს, მათ შორის უვადო თავისუფლებათა დაცვით პირებსაც, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ და მონაწილეობდნენ პირობით ვადამდე გათავისუფლების მოსამზადებელ პროგრამებში და მათი პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი უნდა დაექვემდებაროს განხილვას.⁵⁰⁴

რიგით საქმეში პირობით ვადამდე გათავისუფლება ჩვეულებრივ მოვლენას უნდა წარმოადგენდეს, და მხოლოდ იმ შემთხვევებში, სადაც აშკარაა მსჯავრდებულთან დაკავშირებული ნეგატიური პროგნოზები, არ უნდა ხდებოდეს მისი ვადამდე გათავისუფლება. ამგვარ პრაქტიკას ვაწყდებით ბელგიაში, დანიაში და შვეიცარიაში. მაგალითისთვის, შვედეთში მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება ხდება სასჯელის ვადის ორი მესამედის მოხდის შემდეგ, თუ არ არსებობს რიგი წინააღმდეგობრივი გარემოებებისა. 2007 წლის 1 იანვრიდან ერთ-ერთ ასეთ საფუძველს წარმოადგენს პირობითი სასჯელის დარღვევა, რასაც მისი გაუქმება მოჰყვება შედეგად.⁵⁰⁵

ფრანგული სისხლის სამართლის პროცედურები შეიცავს ზოგიერთ ყურადსაღებ ელემენტს. კერძოდ, იმის მაგიერ, რომ მსჯავრდებულმა წარადგინოს თავის რესოციალიზაციასთან დაკავშირებით მყარი მტკიცებულებები, მან უბრალოდ უნდა აჩვენოს, რომ იგი პოზიტივისკენ შეიცვალა. პირობით ვადამდე

503 CPT 11th General Report [CPT/Inf (2001)16] s. 28

504 CPT Hungary Visit 2007 [CPT/Inf (2007)24] s. 33

505 N. Padfield, D. van Zyl Smit and F. Dunkel, Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, pg. 421

მსჯავრდებულის გათავისუფლება საფრანგეთში სასჯელის ვადის ნახევრის მოხდის შემდეგ, ხოლო რეციდივისტების შემთხვევაში - ორი მესამედის გასვლის შემდეგ არის შესაძლებელი. მსჯავრდებულს, რომელსაც ჰყავს ათ წლამდე მცირეწლოვანი შვილი და რომელიც მასთან იზრდებოდა მის თავისუფლების აღკვეთამდე, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას აღნიშნულ გარემოებას არსებითი ყურადღება ექცევა, რაც განპირობებულია ოჯახური კავშირების გამყარების ხელშეწყობითა და თავისუფლების აღკვეთის უარყოფითი ასპექტების შემცირებით. ასეთი შემთხვევებისთვის პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის აღარ არსებობს მინიმალურად სავალდებულო ვადა და პირი შესაძლოა თავისუფლების აღკვეთიდან უმცირეს ვადაში გათავისუფლდეს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი პრაქტიკა ძალზედ იშვიათად გამოიყენება. მსგავს ოჯახურ ურთიერთობებზე ორიენტირებული პირობით ვადამდე გათავისუფლების რეგულაციები მოქმედებს იტალიაშიც.⁵⁰⁶

საქართველოს კანონმდებლობა სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულზე სასჯელის სათანადო მინიმალურ მოსახდელ ვადას აწესებს. კერძოდ, ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში მსჯავრდებულს მოხდელი უნდა ჰქონდეს სასჯელის ნახევარი, მძიმე დანაშაულის შემთხვევაში - სასჯელის ორი მესამედი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში - სასჯელის სამი მეოთხედი; აგრეთვე, სამი მეოთხედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელიც წინათ პირობით ვადამდე გაათავისუფლეს, ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლება გაუუქმდა პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების ჯიუტად თავის არიდებისათვის, ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისთვის, ან განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის.⁵⁰⁷

განსხვავებული მიდგომაა საქართველოს კანონმდებლობაში არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებ-

506 Ibid.

507 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 40.1, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 72.3

თან მიმართებით. არასრულწლოვანი მსჯავრდებულების საკითხი პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე განხილვას დაექვემდებარება შემდეგი თანაფარდობით: ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში მსჯავრდებულს მოხდელი უნდა ჰქონდეს სასჯელის ერთი მესამედი, მძიმე დანაშაულის შემთხვევაში - სასჯელის ნახევარი, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში - სასჯელის ორი მესამედი.⁵⁰⁸

ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა ორგანოები იხილავენ და იღებენ პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე გადაწყვეტილებას. ყველგან არ არის გერმანიის მსგავსი სისტემა, სადაც დამოუკიდებელი სასამართლო იღებს ამგვარ გადაწყვეტილებას. ბელგიაში მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის კომპეტენციას განეკუთვნება პირობით ვადამდე გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღება ყველა იმ საქმეში, როდესაც მსჯავრდებულს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი; ყველა სხვა შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს სასჯელის აღმსარულებელი სასამართლოები, რომელიც სამი წევრისგან - მოსამართლისგან, სოციალური ინტეგრაციის ექსპერტისა და პენიტენციურ საკითხებში ექსპერტისგან შედგება. ევროპის კონტინენტზე წარმოდგენილია ქვეყნები,⁵⁰⁹ სადაც რიგ შემთხვევებში გადაწყვეტილებას იღებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია, ხოლო რიგ შემთხვევებში - იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. ინგლისსა და უელსში ფუნქციონირებს პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭო, რომელიც ბელგიის მსგავსად შედგება სხვადასხვა სფეროს წარმომადგენ-

508 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 40.2, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის №97 ბრძანება პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 101.1

509 დანია, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია

ლებისგან. სხვა ქვეყნებში სპეციალიზირებული მოსამართლის შემოღება ან ტრიბუნალის შექმნა იქნა მხარდაჭერილი (ასე მაგალითად, ხორვატიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, უნგრეთში, იტალიაში, პოლონეთში, სლოვენიაში და ესპანეთში). მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში ამგვარი კომპეტენციით აღჭურვილია პირველი ინსტანციის სასამართლოები (ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, საბერძნეთი და ლიტვა). ყველასგან გამორჩეულ სისტემას გვთავაზობს ჰოლანდია, სადაც გადანყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელია საზოგადოებრივი პროკურორი.⁵¹⁰

საქართველომ პირობით ვადამდე გათავისუფლების ოთხი სისტემა გამოსცადა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. 2006 წლამდე მოქმედებდა სისტემა, რომლის მიხედვით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი წარადგენდა მსჯავრდებულის საქმეს ტერიტორიული სასამართლოს წინაშე პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადანყვეტილების მისაღებად. 2006 წლიდან ეს ფუნქცია დაწესებულების დირექტორებს ჩამოერთვათ და სასჯელსრულების დეპარტამენტში შექმნილ კომისიას გადაეცა, რომელიც ერთგვარი „ფილტრის“ ფუნქციას ასრულებდა, განიხილავდა რა ყველა მსჯავრდებულის საქმეს, რომელმაც პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის საჭირო მინიმალური სასჯელის ვადა მოიხადა, და იღებდა გადანყვეტილებას რომელი საქმე წარედგინა სასამართლოში საბოლოო განხილვისა და გადანყვეტილების მისაღებად. ამ შემთხვევაშიც საბოლოო სიტყვა სასამართლოს რჩებოდა.

2009 წლის სექტემბერში პირობით ვადამდე გათავისუფლების ეს მოდელიც გაუქმდა და იგი ჩაანაცვლა საქართველოს სასჯელსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედა კომისიამ. ამ შემთხვევაში საკითხის განხილვის კომპეტენციამ დეპარტამენტიდან სამინისტროს დონეზე გადაინაცვლა იმ განსხვავებით, რომ საკითხს განიხილავდა და საბოლოო გადანყვეტილებას მიიღებდა მუდმივმოქმედი კომისია და არა სასამართლო.

510 N. Padfield, D. van Zyl Smit and F. Dunkel, Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, pg. 425

2010 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს პატიმრობის ახალი კოდექსი, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ქვეყანაში მოქმედი პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა და გარკვეულწილად იგი ინგლისსა და შოტლანდიაში მოქმედი სისტემის იდენტურად ჩამოაყალიბა. კერძოდ, შეიქმნა ადგილობრივი საბჭოები,⁵¹¹ რომელთაც დაევალებათ მსჯავრდებულთა საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული სისტემის შემოღებით სასამართლოს საბოლოოდ ჩამოერთვა პირობით ვადამდე გათავისუფლების საქმეებზე განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია. მართალია მხარეს დარჩა უფლება ადმინისტრაციული წესით ერთჯერადად გაასაჩივროს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლოში, მაგრამ იმ შემთხვევაშიც თუ სასამართლო დაადგენს, რომ მიღებული გადაწყვეტილებისას არ იყო გათვალისწინებული ყველა გარემოება, რასაც შეეძლო არსებითი ზეგავლენა მოეხდინა საბოლოო ვერდიქტზე, იგი უფლებამოსილია მხოლოდ დაუბრუნოს ადგილობრივ საბჭოს საქმე ხელახალი განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად.

ადგილობრივი საბჭოების ინსტიტუტის შემოღებით არ მომხდარა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის გაუქმება. მართალია, კანონმდებლობამ არ განსაზღვრა მუდმივმოქმედი კომისიის მაკოორდინირებელი როლი ადგილობრივ საბჭოებთან მიმართებით, მაგრამ დაუნესა ადგილობრივ საბჭოებს სამ თვეში ერთხელ განეული საქმიანობის შესახებ მუდმივმოქმედი კომისიისთვის ანგარიშის წარდგენა და მათ საქმიანობაზე საერთო ზედამხედველობა. განსაკუთრებით საყურადღებოა მუდმივმოქმედი კომისიის ფუნქცია, განიხილოს იმ მსჯავრდებულთა საქმეები, რომლებსაც ადგილობრივი საბჭოების განხილვისას უარი ეთქვათ პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე და მიიღოს ადგილობრივი საბჭოებისგან განსხვავებული გადაწყვეტილება,

511 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის №151 ბრძანებით განისაზღვრა აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო, დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო და არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო

რაც ზემდგომი იურიდიული ძალისაა და პირი დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ექვემდებარება.⁵¹² 2011 წლის განმავლობაში სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის მიერ პირობით ვადამდე გათავისუფლდა 28 მსჯარდებული (მათ შორის 24 მამაკაცი, 3 ქალი და 1 არასრულწლოვანი), რომელთაც უარი ეთქვათ ადგილობრივი საბჭოების მიერ.⁵¹³

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, სადაც გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ავტომატურად იხილავს პირობით ვადამდე გათავისუფლების საქმეებს და გამოაქვს გადაწყვეტილება, თუ აღნიშნული ხდება მაშინ, როდესაც მას მოუხმობენ აღნიშნული ფუნქციის განსახორციელებლად. იმ დროს როდესაც გერმანიაში სასჯელის აღსრულებაზე პასუხისმგებელი საბჭო წარადგენს პატიმრის საკითხს განსახილველად, რომელსაც გასდის დადგენილი სასჯელის მოხდის ორი მესამედი, სხვა ქვეყნებში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციას⁵¹⁴ ან პროკურატურასაც⁵¹⁵ უფლება აქვს გააკეთონ სათანადო წარდგინებები.⁵¹⁶

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 განსაზღვრავს, რომ შესაბამისმა ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს საჭირო პროცედურები იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს

512 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №185 ბრძანება მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 4; საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის №151 ბრძანება ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 22.2

513 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ოფიციალური წერილი №2249/01/01, 21.02.2012

514 ბულგარეთი, ხორვატია, დანია, საბერძნეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლატვია. პოლონეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, თურქეთი

515 ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, საფრანგეთი, სლოვაკეთი, თურქეთი

516 H. Tubex and P.V. Tournier (2003) *Study of Conditional Release (Parole) in the Member States, Analysis of Replies to the General Questionnaire* (Council for Penological Co-operation, PC-CP (2000) 24 Rev 4 [restricted])

პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, როგორც კი პატიმარი მოიხდის მინიმალურ პერიოდს.⁵¹⁷ აღნიშნული სტანდარტი მიუთითებს ხელისუფლების წარმომადგენელთა ვალდებულებაზე განახორციელოს ყველა ის აქტივობა, რაც უზრუნველყოფს პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის სრულფასოვან განხილვას, დაწყებული საქმის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოსთვის წარდგენიდან, დასრულებული დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მსჯავრდებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლებითა და შესაბამის საზედამხედველო ორგანოსთვის მსჯავრდებულის საქმის გადაგზავნით. საქართველოში 2013 წლის 1 იანვრამდე მოქმედი კანონმდებლობა არ მოდიოდა შესაბამისობაში აღნიშნულ სტანდარტთან, რადგან საქმის პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე ადგილობრივი საბჭოს წინაშე განსახილველად წარდგენა ძირითადად თავად მსჯავრდებულის, მისი დამცველის/კანონიერი წარმომადგენლის ან ახლო ნათესავის ტვირთს წარმოადგენდა. საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის ივნისში საქართველოს პატიმრობის კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, 2013 წლიდან ეს მანკიერი პრაქტიკა გაუქმდა და დაწესებულების ადმინისტრაციას დაევალა საქმის მომზადება და შესაბამისი ორგანოსთვის განსახილველად დროულად გადაგზავნა.⁵¹⁸ ცვლილებების გატარებამდე, აღნიშნული სამართლებრივი საფუძველი რიგ პრობლემებს წარმოშობდა; კერძოდ, შესაძლოა მსჯავრდებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასწორედ მომხდარიყო სასჯელის ვადის გამოთვლა და თუნდაც ერთი დღის ცდომილების შემთხვევაში, თუ დადგინდებოდა, რომ წარდგენილი შუამდგომლობა ვადაზე ადრე გაკეთდა, სრულწლოვანი მსჯავრდებულის შემთხვევაში გამოიწვევდა მისი საქმის განხილვის ექვსი თვით, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში – 3 თვით გადადებას.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ამგვარ წარდგინებებთან მიმართებაში მსჯავრდებულთა პროცედურული უფლებები თითქ-

517 პუნქტი 17

518 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 42.1

მის ერთნაირია. უმრავლეს ქვეყანაში მსჯავრდებულს უფლება აქვს მოისმინოს და თითქმის ყველგან მას ეძლევა დადგენილ პროცედურებში მონაწილეობის მიღება (განხილვაში ან ზეპირ მოსმენაში). დოკუმენტებთან ხელმისაწვდომობის უფლება (ზოგიერთ შემთხვევაში არა პირდაპირ, არამედ ადვოკატის მეშვეობით) აღიარებულია კონტინენტის მრავალ ქვეყანაში, მაგრამ არა ბულგარეთში, ხორვატიაში, კვიპროსში, ლიტვაში, ლატვიაში, მალტაში, პოლონეთში, პორტუგალიაში, სლოვაკეთსა და თურქეთში. მიუხედავად აღნიშნულისა, ყველა ქვეყანაში მსჯავრდებულს ეცნობება განხილვის შედეგები.⁵¹⁹ საქართველოც არ წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს და უნდა ითქვას, რომ ახალი სისტემის დანერგვით შესაძლებელი გახდა მსჯავრდებულის ზეპირ მოსმენაზე მონაწილეობა. ამასთან, მსჯავრდებული უფლებამოსილია ზეპირ მოსმენაზე იყოლოს დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი; აგრეთვე, მონაწილეობის მიღება შეუძლია იმ დაწესებულების წარმომადგენელსაც, სადაც მსჯავრდებული იხდოდა ან იხდის სასჯელს.⁵²⁰

პერიოდი, როდესაც ახალი განაცხადი არ შეიძლება იყოს წარდგენილი, განსაზღვრულია ევროპის ყველა ქვეყანაში, გამონაკლისს წარმოადგენს შვედეთი. ამგვარი პერიოდის მაქსიმუმია ერთი წელი, რაც დადგენილია ბელგიაში, პორტუგალიაში, რუმინეთში, შოტლანდიაში, სლოვაკეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში, მაშინ როდესაც ევროპის უმრავლეს ქვეყანაში ეს პერიოდი როგორც წესი ერთი, ორი, სამი ან ექვსი თვეა.⁵²¹ საქართველოში პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის ხელახალი განხილვა შესაძლებელია ყოველ ექვს თვეში ერთხელ,⁵²² გამო-

519 N. Padfield, D. van Zyl Smit and F. Dunkel, Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, pg. 426

520 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის №151 ბრძანება ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 13.2

521 N. Padfield, D. van Zyl Smit and F. Dunkel, Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, pg. 426-427

522 გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა არ აღე-

ნაკლისს წარმოადგენს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეები, რომელთა ხელახალი განხილვა სავალდებულოა ყოველ სამ თვეში ერთხელ.⁵²³

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რიგ საქმეებში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმეორებით განხილვის ვადებზე და მიუთითა, რომ, მაგალითად საქმეში *ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*⁵²⁴, იმის განსასაზღვრად, წარმოადგენდა თუ არა მსჯავრდებული კვლავაც საშიშროებას, უნდა განხილულიყო გონიერი ინტერვალებით, და ორი წელი განხილვებს შორის ზედმეტად დიდი შუალედის იყო.⁵²⁵

პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის განხილვისას აქტუალურია საკითხი უვადო თავისუფლება აღკვეთილ პირებთან დაკავშირებით. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა თავისი რეკომენდაციით (2003)23, რომელიც ციხის ადმინისტრაციის მიერ სამუდამო და გრძელვადიანი პატიმრების მართვას ეხება, უვადო თავისუფლება აღკვეთილ პირთა პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა ამ უფლების მინიჭების აუცილებლობას და რეფერირება მოახდინა (2003)22 რეკომენდაციაზე.⁵²⁶

უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება პირობით ვა-

მატება ექვს თვეს ან/და თუ არსებობს რაიმე განსაკუთრებული გარემოება 523 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 42.6; საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის №97 ბრძანება პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 101.2

524 *ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hirst v. United Kingdom)* 24 ივლისი 2001 წელი

525 D. van Zyl Smit and Sonja Snacken, *Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights*, Oxford University Press Inc., New York, 2011, p. 332

526 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)23 ციხის ადმინისტრაციის მიერ სამუდამო და გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ, პუნქტი 34

დამდე გათავისუფლების უფლების გარეშე არ უნდა იქნას გამოყენებული არცერთი კატეგორიის მსჯავრდებულთან მიმართებაში. ამგვარი უფლების არარსებობა შეესაბამება არა მარტო არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას, არამედ ხელს უშლის მსჯავრდებულის რესოციალიზაციას. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების გარეშე, ადამიანის ღირსების შემლახველია; მისივე განმარტებით, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება ადამიანის ღირსების შესაბამისი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს გათავისუფლების კონკრეტული და შესაძლებელი მოლოდინი. ადამიანის ღირსება შელახულია, თუ მსჯავრდებული, მისი პირადი განვითარების მიუხედავად, დაკარგავს ოდესმე თავისუფლების დაბრუნების ყველანაირ იმედს.⁵²⁷

უვადო თავისუფლება აღკვეთილ პირთა მიერ სასჯელის მოხდის პერიოდი და პირობით ვადამდე გათავისუფლების პირობები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. ასე მაგალითად, გერმანიაში უვადო თავისუფლება აღკვეთილ პირთა პირობით ვადამდე გათავისუფლება არ შეიძლება მანამ, სანამ ისინი არ მოიხდიან სულ მცირე თხუთმეტწლიან სასჯელს. ინგლისსა და უელსში მსგავსი მინიმალური ვადა თოთხმეტი წელიწადია.⁵²⁸ საქართველოში უვადო თავისუფლება აღკვეთილ პირთა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა შესაძლებელია მას შემდეგ, რაც ისინი თავისუფლების აღკვეთის 25 წელს მოიხდიან.⁵²⁹

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, თუ რამდენად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს, პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების არქონა. საქმეში *ეინჰორნი საფრანგეთის წინააღმდეგ* სასამართლომ

527 გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლება აღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, თბილისი, 2008 წელი, გვ. 48-49

528 იქვე, გვ. 44

529 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 40.6, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 72.7

აღნიშნა, რომ ისეთი უვადო თავისუფლების აღკვეთის დაკისრებამ, რომელიც გამორიცხავს სხვა სახის სასჯელით შეცვლის შესაძლებლობას, შეიძლება წამოჭრას კონვენციის მე-3 მუხლით დაცული უფლების დარღვევის საკითხი.⁵³⁰

საქმეში *კაფკარისი კვიპროსის წინააღმდეგ* ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის წინაშე დადგა უვადო თავისუფლების აღკვეთით კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი, რადგან განმცხადებელს არ ჰქონდა გათავისუფლების შესაძლებლობა. თუმცა, სასამართლომ თავი აარიდა საკითხს, განაცხადა რა, რომ საქმის ზოგიერთი ფაქტის ვინრო ინტერპრეტაციის გათვალისწინებით შეუძლებელი იყო იმის თქმა, რომ კაფკარისს არ ჰქონდა გათავისუფლების შესაძლებლობა.⁵³¹

კაფკარისის საქმეში რამდენიმე აშკარა მინიშნებაა იმის თაობაზე, რომ თუ სამომავლოდ სასამართლოს წინაშე დადგება შეუმცირებადი უვადო თავისუფლების აღკვეთის საკითხი, იგი მიიჩნევს აღნიშნულს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად. მტკიცებულების ნიშნად შეიძლება მოვიშველიოთ სასამართლოს განცხადება, რომლის თანახმად „მე-3 მუხლის მიზნებისთვის საკმარისია ის გარემოება, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა *de jure* და *de facto* შემცირებადია“.⁵³² აღნიშნული პოზიცია კიდევ უფრო გამყარებულ იქნა მოსამართლე ბრატცას განსხვავებულ აზრში, სადაც მან განაცხადა, რომ „დადგა დრო, როდესაც სასამართლომ ღიად უნდა დაადასტუროს, რომ შეუმცირებადი უვადო თავისუფლების აღკვეთის მისჯა, თუნდაც სრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის, პრინციპში ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს“.⁵³³

530 *ეინჰორნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Einhorn v. France)*, 16 ოქტომბერი 2001 წელი, 27-ე პუნქტი

531 D. van Zyl Smit and Sonja Snacken, *Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights*, Oxford University Press Inc., New York, 2011, p. 331

532 *კაფკარისი კვიპროსის წინააღმდეგ (Kafkaris v. Cyprus)*, 12 თებერვალი 2008 წელი, 98-ე პუნქტი

533 იქვე, მოსამართლე ბრატცას განსხვავებული აზრი (შიდა პარაგრაფების გარეშე)

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2003)23 რეკომენდაცია უფრო შორს წავიდა, დაადგინა რა სტანდარტი, რომლის თანახმად თუ პირობით გათავისუფლების გაუქმების შემდეგ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი დაბრუნდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, მის მიმართ ხელახლა უნდა განისაზღვროს პროგრამები მისი საზოგადოებაში ხელახალი დამკვიდრების მომზადების მიზნით.⁵³⁴ ამ კუთხით საყურადღებოა ევროპული სასამართლოს მონინავე საქმე *სტაფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.⁵³⁵ აღნიშნულ საქმეში განმცხადებელი, რომელიც დამნაშავედ იქნა ცნობილი მკვლელობაში, პირობით ვადამდე გათავისუფლდა უვადო თავისუფლების აღკვეთისგან. საზოგადოებაში დაბრუნების შემდეგ მას არაძალადობრივი და წინა დანაშაულთან კავშირის არმქონე ახალი დანაშაულის ჩადენისთვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა. განსახილველი საკითხი ეხებოდა იმას, უნდა გაეგრძელებინა თუ არა მას თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდა მას შემდეგ, რაც მეორე დანაშაულის ჩადენისთვის განკუთვნილი ვადა ამოიწურებოდა იმ საფუძველზე, რომ მან დაარღვია პირობით ვადამდე გათავისუფლებით ნაკისრი პირობა. სასამართლოს მიერ არსებითად იქნა მხარდაჭერილი პოზიცია, რომლის მიხედვითაც თაღლითობის, არაძალადობრივი დანაშაულის, ჩადენა არ წარმოადგენს ჩადენილი მკვლელობისთვის თავისუფლების აღკვეთის სახით შემდგომი სასჯელის მოხდის საფუძველს.⁵³⁶

7.2.2 ამნისტია და შეწყობა

ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ. ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისგან ანდა მისთვის დანიშნული სას-

534 პუნქტი 35

535 *სტაფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Stafford v. United Kingdom)* 28 მაისი 2002 წელი

536 D. van Zyl Smit and Sonja Snacken, *Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights*, Oxford University Press Inc., New York, 2011, p. 333

ჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სას-
ჯელით. სასჯელმოხდის ამნისტიის⁵³⁷ აქტით შეიძლება მოეხს-
ნას ნასამართლობა.⁵³⁸

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში (მე-20 საუკუნის
დასასრულიდან) თორმეტი ამნისტიის კანონი იქნა მიღებული.⁵³⁹
მათ შორის ყველაზე მასობრივი ხასიათის ამნისტია საქართვე-
ლოს პარლამენტის მიერ 2012 წლის 28 დეკემბერს მიღებული
კანონი იყო, რომლის საფუძველზეც საპატიმრო სასჯელისგან
გათავისუფლდა 8 718 ბრალდებული/მსჯავრდებული (მათ შო-
რის 8 260 მამაკაცი, 433 ქალი და 25 არასრულწლოვანი მამაკა-
ცი), საპატიმრო სასჯელი გაუნახევრდა 769 ბრალდებულს/
მსჯავრდებულს (მათ შორის 740 მამაკაცს, 12 ქალს და 17 არას-
რულწლოვან მამაკაცს) და საპატიმრო სასჯელი შეუმცირდა 8
231 ბრალდებულს/მსჯავრდებულს (მათ შორის 7 829 მამაკაცს,
378 ქალს და 24 არასრულწლოვან მამაკაცს).⁵⁴⁰ ამნისტია საერ-
თო ჯამში შეეხო 17 718 ბრალდებულსა და მსჯავრდებულს.⁵⁴¹

იმავე კანონით პირობითი მსჯავრი მოეხსნა 17 876 მსჯავრ-
დებულს (მათ შორის 16 449 მამაკაცს, 1 172 ქალს და 166 არას-
რულწლოვანს (მათ შორის 156 მამაკაცს და 10 ქალს)), გაუნახე-
ვრდა 2803 მსჯავრდებულს ((მათ შორის 2 436 მამაკაცს, 203
ქალს და 154 არასრულწლოვანს (მათ შორის 150 მამაკაცს და 4
ქალს)) და შეუმცირდა 8517 მსჯავრდებულს ((მათ შორის 7 777
მამაკაცს, 646 ქალს და 15 მამაკაც არასრულწლოვანს).⁵⁴² ამნის-

537 ამნისტიის შესახებ იხ.: ბურჯანაძე, გ. ამნისტიის განხორციელების
უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები. კ. კორკელია (რედ.) ადამიან-
ის უფლებები და სამართლის უზენაესობა. სტატიათა კრებული. თბილისი
2013. გვ.9-29

538 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 77

539 1995 წლიდან 2013 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში, იხ. ს.ს.ი.პ. „საქა-
რთველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალური ვებ-გვერდი: www.matsne.gov.ge

540 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახ-
მარების საკითხთა სამინისტროს წერილი MCLA 3 13 00014973, 26.08.2013

541 იქვე

542 იქვე

ტია საერთო ჯამში შეეხო 29 916 პირობით მსჯავრდებულს.⁵⁴³ დანაშაულის კატეგორიის მიხედვით ამნისტირებულ პირობით მსჯავრდებულთა მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა: პირობითი მსჯავრი მოეხსნა 10 280 ნაკლებად მძიმე, 3 271 მძიმე და 4 325 განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირს; პირობითი მსჯავრი გაუნახვერდა 249 ნაკლებად მძიმე, 2 137 მძიმე და 417 განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირს; პირობითი მსჯავრი შეუმცირდა 1 295 ნაკლებად მძიმე, 6 018 მძიმე და 1 204 განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირს.⁵⁴⁴

საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლი მე-2 პუნქტი კრძალავს რეფერენდუმის მოწყობას ამნისტიისა და შეწყალების გამო. კონსტიტუციის 73-ე მუხლის თანახმად მსჯავრდებულთა შეწყალება საქართველოს პრეზიდენტის უშუალო კომპეტენციას წარმოადგენს.⁵⁴⁵ შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ. შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით. სასჯელმოხდელს შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.⁵⁴⁶

წინა თავში (იხ. თავი „სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა“) აღინიშნა, რომ საქართველოში 2012 წლამდე პრეზიდენტის შეწყალებით გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა აღემატებოდა პირობით ვადამდე გათავისუფლებულ და ამნისტიის შედეგად თავისუფლების აღკვეთისგან გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა რაოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და ამნისტიის ხვედრთი წილი ბოლო 18 თვის განმავლობაში გაიზარდა, პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულთა შეწყალებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „ციხის მოსახლეობის“ საერ-

543 იქვე

544 იქვე

545 მუხლი 73(1)

546 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 78

თო რაოდენობის რეგულირების თვალსაზრისით. აღნიშნულს ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი ციფრები.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად 2012 წელს პრეზიდენტმა შეიწყალა 2 289 პირი (მათ შორის 2 165 მამაკაცი, 118 ქალი და 6 არასრულწლოვანი). შეწყალების აქტით 1 832 მსჯავრდებული გათავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან (მათ შორის 1 732 მამაკაცი, 96 ქალი და 4 არასრულწლოვანი), 306 სასჯელი შეუმსუბუქდა (მათ შორის 290 მამაკაცი, 14 ქალს და 2 არასრულწლოვანს) და 151 მსჯავრდებულს მოეხსნა პირობითი მსჯავრი (მათ შორის 143 მამაკაცი და 8 ქალს).⁵⁴⁷ 2013 წელს (9 აგვისტოს მდგომარეობით) პრეზიდენტმა შეიწყალა 658 მსჯავრდებული (მათ შორის 623 მამაკაცი, 30 ქალი და 5 არასრულწლოვანი). შეწყალების აქტით 480 მსჯავრდებული გათავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან (მათ შორის 461 მამაკაცი და 14 ქალი და 5 არასრულწლოვანი), 122 სასჯელი შეუმსუბუქდა (მათ შორის 112 მამაკაცი და 10 ქალს) და 56 მსჯავრდებულს მოეხსნა პირობითი მსჯავრი (მათ შორის 50 მამაკაცი და 6 ქალს).⁵⁴⁸

პრეზიდენტის მიერ შეწყალების განხორციელება ხდება 2014 წლის 27 მარტის №120 ბრძანებულებით „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში – წესი). წესი განსაზღვრავს მსჯავრდებულთა და იმ სასჯელმოხდელ პირთა შეწყალების წესს, რომლებმაც მოიხადეს სასჯელი და არა აქვთ გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა.⁵⁴⁹

წესი ადგენს იმ პირთა წრეს ვის მიმართ გამოიყენება და არ გამოიყენება შეწყალება. კერძოდ, შეწყალება გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელიც მსჯავრდებულია საქართველოს სასამართლოს მიერ და სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე; იმ პირის მიმართ, რომელიც მსჯავრდებულია სხვა სასამართლოს მიერ და სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებე-

547 საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წერილი MCLA 3 13 00014973, 26.08.2013

548 იქვე

549 მუხლი 1(1)

ბითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; იმ სასჯელმოხდელი პირის მიმართ, რომელსაც არა აქვს გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა.⁵⁵⁰

შენწყალბა არ გამოიყენება იმ მსჯავრდებული პირის მიმართ: ა) რომელსაც შეეფარდა უვადო თავისუფლების აღკვეთა, თუ მას თავისუფლების აღკვეთის სახით არა აქვს მოხდელი 15 წელი; ბ) რომელიც მსჯავრდებულია ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენისთვის და მოხდელი არა აქვს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ნახევარი; გ) რომელიც მსჯავრდებულია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის, შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით და მოხდელი არა აქვს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ნახევარი; დ) რომელიც მსჯავრდებულია არაუმეტეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთით და მოხდელი არა აქვს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ერთი მესამედი; ე) რომელიც წინათ მსჯავრდებული იყო და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული და არა აქვს მოხდელი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ნახევარი; ვ) რომლის მიმართ წინათ გამოყენებულ იქნა ამნისტია ან შეწყალბა და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული და მოხდელი არა აქვს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ორი მესამედი; ზ) რომელიც სასჯელს იხდის პირობითი მსჯავრდებისას სასამართლოს მიერ დანიშნული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩადენილი განზრახი დანაშაულისთვის და მოხდელი არა აქვს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ორი მესამედი; თ) რომელიც

550 იქვე, მუხლი 2(1)

სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდა პირობით ვადამდე და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიღინა განზრახი დანაშაული და მოხდილი არა აქვს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ორი მესამედი; ი) რომელიც სასჯელის მოხდის ადგილიდან ხასიათდება უარყოფითად; კ) რომლის საქმის განხილვა არ არის დასრულებული საქართველოს სამივე ინსტანციის საერთო სასამართლოში ან თუ არ არის გასული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების კანონმდებლობით დადგენილი ვადა; ლ) რომელიც არ ითხოვს შეწყალებას.⁵⁵¹

„შენალები გამოყენების წესის შესახებ“ წინა ბრძანებულებაში (№277, 19.07.2004) 2005 წლის 30 მაისის №395 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებებით გაიზარდა პრეზიდენტის უფლებამოსილება მსჯავრდებულთა შეწყალებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილი გახდა, შეწყალების შუამდგომლობის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე და/ან ამ დებულებით (მუხლი 2(3)) დადგენილი მოთხოვნების დაუცველად, მიეღო გადაწყვეტილება პირის შეწყალების თაობაზე.⁵⁵² აღნიშნული პრეზიდენტს აძლევდა უფლებას, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის მომენტიდან ნებისმიერ დროს, დებულებით განსაზღვრული ყოველგვარი პირობების დადგომის მიუხედავად, ერთპიროვნულად შეენალებინა მსჯავრდებული. აღნიშნული დისკრეციული უფლებამოსილება პრეზიდენტს მიენიჭა ახალი წესითაც.⁵⁵³

შენალების შესახებ შუამდგომლობათა წინასწარი განხილვისა და მსჯავრდებულთა შეწყალების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტისათვის წინადადებათა წარდგენის მიზნით შექმნილია შეწყალების საკითხთა კომისია, რომლის შემადგენლობა (თავმჯდომარე, წევრები) განისაზღვრება საქართველოს

551 იქვე, მუხლი 2(2)

552 იქვე, მუხლი 2(7)

553 იქვე მუხლი 3(2)

პრეზიდენტის ბრძანებულებით. კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს საქართველოს სახალხო დამცველი და სხვა წევრები.⁵⁵⁴ 2013 წლის 26 ნოემბერს პრეზიდენტის №928 ბრძანებულებით განხორციელდა შეწყალების კომისიის შემადგენლობის დაკომპლექტება. შემადგენლობა განისაზღვრა 11 წევრით, მათ შორის სახალხო დამცველი, საპატრიარქოს წარმომადგენელი, ფსიქოლოგი, 3 უფლებადამცველი, 3 მწერალი და 2 ჟურნალისტი.

საქართველოს პრეზიდენტს შეწყალების თაობაზე თხოვნით მიმართავს მსჯავრდებული, სასჯელმთხრობის პირი, რომელსაც არა აქვს გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა ან ნებისმიერი სხვა პირი.⁵⁵⁵

შეწყალების კომისიის მიერ მომზადებულ რეკომენდაციას შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე განიხილავს საქართველოს პრეზიდენტი და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.⁵⁵⁶ შეწყალების აქტი გამოიცემა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით.⁵⁵⁷

მსჯავრდებულის შეწყალების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება შესასრულებლად დაუყოვნებლივ ეგზავნება საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, ხოლო ცნობისთვის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. სასჯელმთხრობის პირის შეწყალების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება შესასრულებლად დაუყოვნებლივ ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.⁵⁵⁸ მსჯავრდებულის შეწყალების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების შესრულებას დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს სასჯელის აღმასრულებელი ორგანო.⁵⁵⁹

554 იქვე, მუხლი 1(3)

555 იქვე, მუხლი 7(1)

556 იქვე, მუხლი 3(1)

557 იქვე, მუხლი 5(1)

558 იქვე, მუხლი 11(1)

559 იქვე, მუხლი 12(1)

შენწყალების საქმე კომისიას განმეორებით წარედგინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულმა ან სასჯელმობ-დილმა პირმა შეწყალების განმეორებითი თხოვნით საქართვე-ლოს პრეზიდენტს მიმართა კომისიის შესაბამისი სხდომის შედე-გად შეწყალების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის განკარ-გულების გამოცემის დღიდან ოთხთვე-ნახევრის შემდეგ.⁵⁶⁰ შენ-წყალების საქმეს კომისია განმეორებით არ განიხილავს კომისიის შესაბამისი სხდომის შედეგად შეწყალების თაობაზე საქართვე-ლოს პრეზიდენტის განკარგულების გამოცემის დღიდან ექვსი თვის გასვლამდე.⁵⁶¹

7.2.3 ავადმყოფობის და ხანდაზმულობის გამო სასჯელისგან გაათავისუფლება

სასამართლოს, ხოლო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრ-დების შემთხვევაში – საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთე-ლობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდ-მივმოქმედ კომისიას (შემდგომ ტექსტში „კომისია“) შეუძლია სასჯელისგან გაათავისუფლოს ის, ვინც დანაშაულის ჩადენამ-დე ან ჩადენის შემდეგ დაავადდა მძიმე ავადმყოფობით,⁵⁶² რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას.⁵⁶³

კომისია შედგება 4 წევრისაგან: 1. კომისიის თავმჯდომარე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური და-ცვის მინისტრის მოადგილე; 2. კომისიის თავმჯდომარის მოად-გილე და კომისიის წევრი - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წარდგინებით; 3. კომისიის მდივანი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაც-

560 იქვე, მუხლი 6(1)

561 იქვე, მუხლი 6(2)

562 ავადმყოფობათა ნუსხა განსაზღვრულია „იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომლებიც წარმოად-გენს სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძ-ველს“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 27 მარტის №72/ნ ბრძანებით

563 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 74(2)

ვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელი.⁵⁶⁴ კომისიის საქმიანობაში შემთხვევების განხილვის ფარგლებში მონაწილეობას იღებენ მოწვეული, შესაბამისი პროფილის ექიმი-სპეციალისტ(ებ)ი. მოწვეული ექიმ-სპეციალისტები სამედიცინო ეთიკის პრინციპებიდან გამომდინარე, არ სარგებლობენ ხმის უფლებით მსჯავრდებულის ავადმყოფობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელისგან გათავისუფლების შესახებ კენჭისყრაში.⁵⁶⁵ კომისიის წევრებს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრთან შეთანხმებით.⁵⁶⁶

კომისია განიხილავს ავადმყოფობის გამო სასჯელისგან გათავისუფლების შესახებ მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის, სხვა კანონიერი წარმომადგენლის, დანესებულების სამედიცინო პერსონალის ან დანესებულების ადმინისტრაციის განცხადების დაშვების საკითხს, რის შედეგსაც წერილობით აცნობებს განმცხადებელს.⁵⁶⁷ ავადმყოფობის შემთხვევაში, განცხადების დაშვებისთვის აუცილებელია მას თან ერთოდეს ცნობა მსჯავრდებულის პირადი საქმიდან, მსჯავრდებულის სამედიცინო (სტაციონარული ან/და ამბულატორიული) ბარათის ასლი - ფორმა №IV – 100ა (უახლესი ინფორმაციით და შესაბამისი გამოკვლევებით) და სტაციონარული სამკურნალო დანესებულების მთავარი ექიმის/კლინიკური ხელმძღვანელის მიერ შედგენილი სამედიცინო ცნობა, რომელიც უნდა მოიცავდეს ზოგად ინფორმაციას მსჯავრდებულისთვის ჩატარებული გამოკვლევების, დიაგნოზის, დაავადების მიმდინარეობისა და ჯანმრთე-

564 საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №181/№01-72/6 (18.12.2012) საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ, მუხლი 3(1,2)

565 იქვე, მუხლი 3(3)

566 იქვე, მუხლი 3(4)

567 იქვე, მუხლი 4(4)

ლობის მდგომარეობის სიმძიმის შესახებ, ასევე რეკომენდაციას განცხადების განხილვის შემჭიდროებულ ვადებზე, თუ ასეთი ზომების მიღება არის საჭირო.⁵⁶⁸

კომისიის მიერ განცხადების დაშვების შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით, კომისიის სამდივნო უზრუნველყოფს სამედიცინო პროფესიული ასოციაციების მეშვეობით და დიაგნოსტიკური ჯგუფის გათვალისწინებით შესაბამისი პროფილის კვალიფიციური ექიმ-სპეციალისტ(ებ)ის მოწვევას მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლის მიზნით.⁵⁶⁹ მოწვეული ექიმ-სპეციალისტ(ებ)ი შეისწავლის წარმოდგენილ სამედიცინო დოკუმენტაციას, საჭიროების შემთხვევაში ახდენს პაციენტის კლინიკურ შემოწმებას და ნიშნავს პარაკლინიკურ გამოკვლევებს. მოწვეული ექიმ-სპეციალისტ(ებ)ის მიერ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლის და მსჯავრდებულის დიაგნოზის, დაავადების მიმდინარეობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის შესახებ მეორე სამედიცინო აზრის წერილობით წარდგენის შემდეგ კომისია იღებს გადაწყვეტილებას.⁵⁷⁰

კომისიის გადანყვევტილება (დასკვნა) უნდა იყოს დასაბუთებული და ეფუძნებოდეს: ა) მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას; ბ) მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისობას „იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომლებიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველს“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 27 მარტის №72/ნ ბრძანებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან; გ) დარჩენილი სასჯელის მოხდის მიზანშეწონილობას.

გამოჯანმრთელების შემთხვევაში პირს შეიძლება კვლავ დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და დაენიშნოს სასჯელი, თუ არ გასულა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით (მუხლი 71 და 76) გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები.⁵⁷¹

568 იქვე, მუხლი 4(6)

569 იქვე, მუხლი 4(7)

570 იქვე, მუხლი 4(8)

571 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 74(4)

სასამართლოს, ხოლო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდების შემთხვევაში კომისიას⁵⁷² შეუძლია სასჯელის შემდგომი მოხდისგან გაათავისუფლოს სასჯელის მოხდის პერიოდში ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირი (ქალები – 65 წლიდან, მამაკაცები – 70 წლიდან), თუ მისჯილი არა აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდილი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი.⁵⁷³

კომისია განიხილავს ხანდაზმულობის გამო სასჯელისგან გაათავისუფლების შესახებ მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის, სხვა კანონიერი წარმომადგენლის, დანესებულების სამედიცინო პერსონალის ან დანესებულების ადმინისტრაციის განცხადების დაშვების საკითხს, რის შედეგსაც წერილობით აცნობებს განმცხადებელს.⁵⁷⁴

ხანდაზმული ასაკის შემთხვევაში, განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მსჯავრდებულის ასაკის დამადასტურებელი საბუთის (პირადობის დამადასტურებელი მოწმობა) ასლი (ასეთის არქონის შემთხვევაში სასჯელალსრულების დეპარტამენტის მიერ გაცემული ცნობა მსჯავრდებულის ასაკის დადასტურების თაობაზე), სასამართლოს განაჩენი, სასჯელალსრულების დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ გაცემული ცნობა მსჯავრდებულის პირადი საქმის მიხედვით, რომელშიც დაზუსტებული იქნება სასჯელის მოხდილი პერიოდი.⁵⁷⁵

საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების თა-

572 წინამდებარე კომისია არის იგივე კომისია, რომელიც განიხილავს მსჯავრდებულთა გაათავისუფლების საკითხს ავადმყოფობის გამო

573 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 74(6)

574 იქვე, მუხლი 4(4)

575 საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №181/№01-72/6 (18.12.2012) საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ, მუხლი 4(12)

ნახმად, არც 2010 და არც 2011 წელს არცერთი მსჯავრდებული გათავისუფლებულა ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო; 2012 წელს – 4 გათავისუფლდა ავადმყოფობის გამო (მათ შორი 3 მამაკაცი და 1 ქალი), ხოლო 21 – ხანდაზმულობის ასაკის გამო (მათ შორის 16 მამაკაცი და 5 ქალი); 2013 წლის აგვისტოს მდგომარეობით (8 თვე) – 51 გათავისუფლდა ავადმყოფობის გამო (მათ შორის 50 მამაკაცი და 1 ქალი), ხოლო 33 – ხანდაზმულობის ასაკის გამო (21 მამაკაცი და 12 ქალი).⁵⁷⁶

7.2.4 განაჩენის აღსრულების გადავადება

მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, განაჩენის აღსრულება შეიძლება გადაავადოს განაჩენის გამომტანმა სასამართლომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განაჩენით, ხოლო მისი გამომტანის შემდეგ – განჩინებით, შემდეგი საფუძვლების არსებობისას: ა) მსჯავრდებული დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, – მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე; ბ) მსჯავრდებული განაჩენის აღსრულების მომენტისთვის ორსულადაა – მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე.⁵⁷⁷

განაჩენის აღსრულების გადავადების საკითხს სასამართლო განიხილავს მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის, კანონიერი წარმომადგენლის ან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შუამდგომლობით.⁵⁷⁸

მძიმე ავადმყოფობის გამო განაჩენის აღსრულების გადავადებისას გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ იმავე განაჩენით (განჩინებით) უნდა დაადგინოს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა ექსპერტიზით მსჯავრდებულის ხარჯით, წელიწადში სულ მცირე ერთხელ ჩატარებისა და

576 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წერილი MCLA 3 13 00014973, 26.08.2013

577 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 283(1)

578 იქვე, მუხლი 283(2)

მსჯავრდებულმა ექსპერტიზის დასკვნა უნდა წარმოადგინოს. თუ მსჯავრდებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შესაბამისი პერიოდულობით არ წარუდგენს ექსპერტიზის დასკვნას, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ.⁵⁷⁹ მსჯავრდებულის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის შემთხვევაში განაჩენის აღსრულების გადავადების გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას განაჩენის აღსრულების გადავადების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ ან გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ.⁵⁸⁰

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედი კომისიის მიერ განცხადება ავადმყოფობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელისგან გათავისუფლების შესახებ არ დაიშვება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო განაჩენის აღსრულების გადავადებულ მსჯავრდებულთა შემთხვევაში.⁵⁸¹

თუ მსჯავრდებული, რომელსაც ორსულობის გამო, მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე სასამართლოს მიერ გადავადებული აქვს სასჯელის აღსრულება, უარს აცხადებს შვილზე ან თავს არიდებს მის აღზრდას, პრობაციის ოფიცერი აფრთხილებს მას წერილობით, რომ ასეთი ქმედება არის „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს

579 იქვე, მუხლი 283(3)

580 იქვე, მუხლი 283(4)

581 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №181/№01-72/6 (18.12.2012) საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ, მუხლი 4(5)

კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წარდგინებით სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი,⁵⁸² რაზედაც ღგება შესაბამისი ოქმი.⁵⁸³ თუ აღნიშნული მდგომარეობა ერთი კვირის ვადაში არ გამოსწორდა, პრობაციის ბიუროს უფროსი სასამართლოს მიმართავს წარდგინებით სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმებისა და განაჩენით დანიშნულ ადგილას მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად გაგზავნის შესახებ.⁵⁸⁴

თუ მსჯავრდებული უარს იტყვის შვილზე ან თავს აარიდებს შვილის აღზრდას მას შემდეგ, რაც იგი გააფრთხილა პრობაციის ბიურომ, განაჩენის აღსრულების გადავადების გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით, პრობაციის ბიუროს წარდგინებით გააუქმოს სასჯელის მოხდის გადავადება და მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად გაგზავნოს განაჩენით დანიშნულ ადგილას.⁵⁸⁵ როდესაც მსჯავრდებულის შვილი 1 წლის ასაკს მიაღწევს, განაჩენის აღსრულების გადავადების გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით ათავისუფლებს მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისგან ან სასჯელის მოუხდელ ნაწილს შეუცვლის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ანდა მიიღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დანესებულებაში დაბრუნების შესახებ.⁵⁸⁶

თუ მსჯავრდებული სასჯელის მოხდის გადავადების პე-

582 „1. პრობაციის ბიუროს უფროსი სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს მიმართავს ერთ-ერთი შემდეგი წარდგინებით: ... თ) სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმებისა და განაჩენით დანიშნულ ადგილას მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად გაგზავნის შესახებ;...“

583 საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ, მუხლი 42(1)

584 იქვე, მუხლი 42(2)

585 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 283(5)

586 იქვე, მუხლი 283(6)

რიოდში ახალ დანაშაულს ჩაიდენს, სასამართლო მას დაუნიშნავს სასჯელს სისხლის სამართლის კოდექსით (61-ე მუხლით) გათვალისწინებული წესით.⁵⁸⁷

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად განაჩენის აღსრულების გადავადება ავადმყოფობის და ორსულობის საფუძველზე 2010 წელს 28 პირს შეეხო; 2011 წელს – 46 პირს; 2012 წელს – 104-ს (მათ შორის 90 მამაკაცსა და 14 ქალს); 2013 წლის აგვისტოს მდგომარეობით (8 თვე) – 3 მამაკაცს.⁵⁸⁸

7.2.5 სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა და მისი აღსრულება

მსჯავრდებულს, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს ან ახლო ნათესავს უფლება აქვს წარუდგინოს სასჯელაღსრულებისა და სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს (შემდგომ ტექსტში „საბჭო“) მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განსახილველად აუცილებელი დოკუმენტაცია და შესაბამისი შუამდგომლობა.⁵⁸⁹

საბჭოს განხილვა ტარდება ზეპირი მოსმენით ან/და ზეპირი მოსმენის გარეშე, ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით.⁵⁹⁰ საბჭო მხოლოდ ზეპირი მოსმენით იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ.⁵⁹¹

კანონმდებლობა „მსუბუქი სახის სასჯელში“ ამ შემთხვევაში მოიაზრებს მხოლოდ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას ან თავისუფლების შეზღუდვას (როგორც ძირითად სასჯელს),

587 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 75(4)

588 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წერილი MCLA 3 13 00014973, 26.08.2013

589 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 43(1)

590 იქვე, მუხლი 43(3)

591 იქვე, მუხლი 43(5)

რადგან პატიმრობის კოდექსის 43-ე მუხლი მეექვსე ნაწილით ადგენს, რომ საბჭო გადანყვეტილებას მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების შეზღუდვით შეცვლის შესახებ იღებს მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში.

საბჭოს გადანყვეტილება მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება ადმინისტრაციული წესით ერთჯერადად გასაჩივრდეს სასამართლოში.⁵⁹² თუ საბჭო მიიღებს გადანყვეტილებას მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ, იმავე საკითხზე მსჯავრდებულის შუამდგომლობის ხელახლა განხილვა შეიძლება მხოლოდ 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა არ აღემატება 6 თვეს ან/და თუ არსებობს რაიმე განსაკუთრებული გარემოება.⁵⁹³

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო.⁵⁹⁴ როგორც წესი, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ინიშნება ორმოციდან რვაას საათამდე ვადით; თუ საბჭოს გადანყვეტილებით მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვლება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით, იგი შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც (მსგავს შემთხვევაში კანონმდებლობა არ განსაზღვრავს საათების მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობას). ამასთანავე, მსჯავრდებული შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფდეს დამატებითი სასჯელის⁵⁹⁵ მოხდისგან (გარდა ქონების ჩამორთმევისა). ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს.⁵⁹⁶

592 იქვე, მუხლი 43(7)

593 იქვე, მუხლი 43(8)

594 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 44(1)

595 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 41(2) მუხლის თანხმად „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ასევე დამატებით სასჯელად...“

596 იქვე, მუხლი 44(2) და მუხლი 73(3)

თავისუფლების შეზღუდვა ნიშნავს განაჩენის გამოტანის მომენტისთვის თოთხმეტ წელს მიღწეული მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლაციის გარეშე მოთავსებას თავისუფლების შეზღუდვის დანესებულებაში მასზე ზედამხედველობის განხორციელებით.⁵⁹⁷ თავისუფლების შეზღუდვა ენიშნება ნასამართლობის არმქონე მსჯავრდებულს ერთიდან ხუთ წლამდე ვადით.⁵⁹⁸ თავისუფლების აღკვეთის თავისუფლების შეზღუდვით შეცვლის შემთხვევაში იგი შეიძლება დაინიშნოს ერთ წელზე მცირე ვადით.⁵⁹⁹

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მეოთხე ნაწილითა და 47-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულია იმ პირთა ჩამონათვალი, რომელთაც არ დაენიშნება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა და თავისუფლების შეზღუდვა – პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე განვეულ სამხედრო მოსამსახურეს. აღნიშნული ნორმა, მიუხედავად თავისი ზოგადი ხასიათისა, არ ეხება მსჯავრდებულთა შესაბამის კატეგორიებს (პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები, ორსული ქალი, ქალი, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირი), რადგან შესაბამისი დათქმა გაკეთებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73 მუხლის მე-3 და მე-3¹ ნაწილებში.

სასჯელის მოუხდელი ნაწილის მსჯავრდებულისთვის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა შესაძლებელია, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა სასჯელის არანაკლებ ერთი მესამედი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, არანაკლებ ნახევარი – მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, არანაკლებ ორი მესამედი – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში და ორი მესამედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელიც

597 იქვე, მუხლი 47(1)

598 იქვე, მუხლი 47(2)

599 იქვე, მუხლი 47(3)

პირობით ვადამდე გაათავისუფლეს, ხოლო პირობით ვადამდე გაათავისუფლება გაუუქმდა სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მეექვსე ნაწილის⁶⁰⁰ საფუძველზე.⁶⁰¹

მსჯავრდებულს, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის არ შესრულებია 18 წელი, სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეიძლება შეეცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა სასჯელის არანაკლებ ერთი მეოთხედი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, არანაკლებ მესამედი – მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, არანაკლებ ნახევარი – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში.⁶⁰²

მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოხდელი თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა იყოს სამ თვეზე ნაკლები. ეს წესი არ ვრცელდება მსჯავრდებულზე, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის არ შესრულებია 18 წელი.⁶⁰³

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების ასლის აღსასრულებლად მიღების შემდეგ პრობაციის ბიურო განუსაზღვრავს მსჯავრდებულს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის სახესა და ყოველდღიურ ხანგრძლივობას.⁶⁰⁴ პრობაციის ბიუროსა და დამსაქმებელს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც მიეთითება

600 თუ მსჯავრდებულმა სასჯელის მოუხდელ ვადაში: ა) ჯიუტად თავი აარიდა პირობით ვადამდე გაათავისუფლებისას მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, სასამართლოს შეუძლია ამ მუხლის მე-5 ნაწილში აღნიშნული ორგანოების წარდგინებით დაადგინოს, რომ გაუქმდეს პირობით ვადამდე გაათავისუფლება და აღსრულდეს სასჯელის მოუხდელი ნაწილი; ბ) გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაიდინა, პირობით ვადამდე გაათავისუფლების გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წყვეტს სასამართლო; გ) განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო დაუნიშნავს მას სასჯელს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. იმავე წესით დაინიშნება სასჯელი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისათვის, თუ სასამართლო გააუქმებს პირობით ვადამდე გაათავისუფლებას.

601 იქვე, მუხლი 73(4)

602 იქვე, მუხლი 73(5)

603 იქვე, მუხლი 73(6)

604 საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მუხლი 29(1)

მსჯავრდებულის მიერ შესასრულებელი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის სახე, მთლიანი ვადა, ყოველდღიური ხანგრძლივობა, სამუშაო ადგილი, დამსაქმებლის დასახელება და მისამართი.⁶⁰⁵

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის სრულფასოვანი აღსრულების და მისი ჯეროვანი კონტროლის მიზნით, პრობაციის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან ან სხვა დამსაქმებელთან გააფორმოს/დადოს შესაბამისი შეთანხმება/ხელშეკრულება.⁶⁰⁶

მსჯავრდებული, მისი სოციალური მდგომარეობისა და სამუშაო პირობების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იქნება კვებით ან მას პრობაციის ეროვნული სააგენტო აუნაზღაურებს კვების ხარჯებს.⁶⁰⁷ მსჯავრდებულს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დროს, შესასრულებელი სამუშაოს გათვალისწინებით, პრობაციის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს სათანადო სახის დაზღვევით.⁶⁰⁸

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა შეიძლება შესრულდეს დღის ნებისმიერ მონაკვეთში. მსჯავრდებულს თავისი სურვილით, სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში, უფლება აქვს საზოგადოებისთვის სასარგებლოდ იმუშაოს დასვენების დღეებში.⁶⁰⁹

მსჯავრდებულის მიერ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის ხანგრძლივობის, შესრულებული სამუშაოს მოცულობის აღრიცხვას ახორციელებს და შესაბამის ჩანაწერებს აწარმოებს დამსაქმებელი. პრობაციის ოფიცერი პერიოდულად აკონტროლებს დამსაქმებლის ჩანაწერების სისწორეს, მსჯავრდებულის მიერ შესრულებულ სამუშაოს და სამუშაოს შესრულების შესახებ მონაცემები შეაქვს ოქმში.⁶¹⁰

პრობაციის ოფიცერი აფრთხილებს მსჯავრდებულს საზო-

605 იქვე, მუხლი 29(2)

606 იქვე, მუხლი 29(3)

607 იქვე, მუხლი 29(4)

608 იქვე, მუხლი 29(5)

609 იქვე, მუხლი 30

610 იქვე, მუხლი 32(1)

გადოებისთვის სასარგებლო შრომის წესებისა და პირობების დარღვევისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის თაობაზე.⁶¹¹ თუ მსჯავრდებული უარს განაცხადებს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაზე ან ჯიუტად თავს აარიდებს მას, ეს სასჯელი შეიცვლება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის ხუთი საათი – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.⁶¹²

თავისუფლების შეზღუდვის აღსრულება ხორციელდება დაწესებულების ტერიტორიაზე მსჯავრდებულის ინდივიდუალური გეგმის (პროგრესული გეგმის) მიხედვით, რომლის პირობებსაც განსაზღვრავს დაწესებულების უფროსი.⁶¹³

სასჯელის სახით თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სამართლებრივი აქტის აღსასრულებლად მიღების შემდეგ მსჯავრდებულს, საჭიროებიდან გამომდინარე, განესაზღვრება დაწესებულებაში არსებულ სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის ვალდებულება, ასევე მისი თანხმობით, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით, შესაბამისი მომზადების გავლის შემდეგ განესაზღვრება შრომითი საქმიანობა პრობაციის ეროვნული სააგენტოს სამენარმეო ან არასამენარმეო იურიდიულ პირში.⁶¹⁴ თავისუფლებაშეზღუდული პირის შრომითი საქმიანობა ანაზღაურებადია.⁶¹⁵

თავისუფლების შეზღუდვის მოხდის პირობები გულისხმობს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის დაწესებულებაში მუდმივად ყოფნას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არასამუშაო და უქმე დღეებისა, თუ დაწესებულების

611 იქვე, მუხლი 33(1)

612 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 44(3)

613 საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მუხლი 44'(1)

614 იქვე, მუხლი 44'(2)

615 იქვე, მუხლი 44'(3)

ტიპური დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.⁶¹⁶

თავისუფლების შეზღუდვის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს ეკრძალება დაწესებულების ტერიტორიიდან გასვლა დაწესებულების უფროსის წერილობითი ნებართვის გარეშე. ნებართვა შეიძლება გაიცეს მხოლოდ ტერიტორიის დატოვების მიზეზის დასაბუთების შემდეგ.⁶¹⁷

დაწესებულებაში ყოფნისას მსჯავრდებული სარგებლობს ინტერნეტით, სატელეფონო და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით, აგრეთვე ხანმოკლე პაემნის უფლებით.⁶¹⁸ ხანმოკლე პაემნის უფლება მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს მშობელთან, მშვილებელთან, შვილთან, ნაშვილებთან, მეუღლესთან, დასთან, ძმასთან.⁶¹⁹

თუ მსჯავრდებული ჯიუტად თავს აარიდებს თავისუფლების შეზღუდვას, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით – განაჩენით დანიშნული თავისუფლების შეზღუდვის ვადით. ამასთან, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდის ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.⁶²⁰

616 იქვე, მუხლი 44²(1)

617 იქვე, მუხლი 44²(2)

618 იქვე, მუხლი 44²(3)

619 იქვე, მუხლი 44²(4)

620 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 47(4)

მერვე თავი

მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა მოვალეობები და პასუხისმგებლობის სახეები

8.1 მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა მოვალეობები

მსჯავრდებულს შესაძლებელია ისეთი სახის ვალდებულებები დაეკისროს, რომელიც მკაცრად იქნება დადგენილი სამართლებრივი აქტებით და რომლის შესრულების აუცილებლობაც ცნობილია მსჯავრდებულისთვის.

პატიმრობის კოდექსის 30-ე მუხლი არ გვთავაზობს მსჯავრდებულთა/ ბრალდებულთა მიერ შესასრულებელ ვალდებულებათა ჩამონათვალს. პატიმრობის კოდექსის 30-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებული/ბრალდებული ვალდებულია „ა) დაიცვას პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულება და შეასრულოს ადმინისტრაციის კანონიერი მოთხოვნები; ბ) დაიცვას პირადი ჰიგიენა, სუფთად და წესრიგში იქონიოს ტანსაცმელი, საწოლი და საცხოვრებელი სადგომი; გ) სურვილის შემთხვევაში იმუშაოს მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილ სამუშაო ადგილზე, ამ კოდექსითა და პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულებით დადგენილი პირობებით.“

„პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრის დებულებების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის №97 ბრძანება განსაზღვრავს მსჯავრდებულისა და ბრალდებულის მოვალეობებს და აკრძალვებს.

აღნიშნული ნორმა შეიცავს ჩამონათვალს კონკრეტული ქმედებების, რომლის შესრულებაც ევალება მსჯავრდებულს/ბრალდებულს. ბრალდებული/მსჯავრდებული ვალდებულია: ა)

დაიცვას პატიმრობის კოდექსითა და ამ დებულებით დადგენილი წესები და პირობები, აგრეთვე შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობანი და ადმინისტრაციის კანონიერი მოთხოვნები; ბ) გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს დაწესებულების ან სხვა პირის ქონება; გ) თავაზიანად მოეპყროს სხვა ბრალდებულებსა და დაწესებულების პერსონალს, შეასრულოს მათი კანონიერი მოთხოვნები; დ) დაიცვას პირადი ჰიგიენა, სუფთად და წესრიგში იქონიოს საცხოვრებელი და სხვა სადგომები, სამუშაო ადგილი, ტანსაცმელი, საწოლი, შეინახოს საკვები პროდუქტები და ინდივიდუალური მოხმარების საგნები ამისთვის გამოყოფილ ადგილებსა და სათავსებში, ატაროს დაწესებული სპეციალური ტანსაცმელი და ტანსაცმელზე დადგენილი ბრალდებულთა გამოსაცნობი ნიშნის გულსაბნევი და სამკლავური; ე) სურვილის შემთხვევევაში იმუშაოს მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილ სამუშაო ადგილზე დადგენილი წესითა და პირობებით.

ამ ბრძანების თანახმად, მსჯავრდებულს/ბრალდებულს არ დაეკისრება ისეთი ვალდებულება, რაც შელახავს მის პატივისა და ღირსებას.

აღნიშნული ბრძანების მიხედვით მსჯავრდებულს/ბრალდებულს ეკრძალება: ა) დაარღვიოს ობიექტების დაცვის ხაზი, ან დაწესებულების ტერიტორიის საზღვრები; ბ) დაარღვიოს დაწესებულებაში გადაადგილების წესები (ბრალდებულის გადაადგილების დროს დაწესებულების შესაბამის თანამშრომელს უფლება აქვს უსაფრთხოების დაცვის მიზნით მოსთხოვოს მას ხელების ზურგს უკან დალაგება); გ) ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე გავიდეს საცხოვრებელი და დაწესებულების ტერიტორიაზე შექმნილი საწარმოების ტერიტორიის იზოლირებული მონაკვეთებიდან; დ) ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე იმყოფებოდეს სხვა საკანში, სადაც იგი არ ცხოვრობს ან დაწესებულების ტერიტორიაზე შექმნილ საწარმოო ობიექტზე, სადაც იგი არ მუშაობს; ე) შეიძინოს, დაამზადოს, შეინახოს ან/და გამოიყენოს აკრძალული ნივთები⁶²¹; ვ) მოსწიოს თამბაქო

621 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2011 წლის 30 მაისის №97-ე ბრძანების თანახმად, აკრძალულ ნივთებს მიეკუთვნება: 1. სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნები, ნივთები და

ამისთვის გამოყოფილი ადგილების გარეთ; ზ) გაყიდოს ან გამორჩენის მიზნით სხვაგვარად გაასხვისოს საკვები პროდუქტები, პირად სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული საგნები, ნაკეთობები, სხვა ნივთები ან ნივთიერებები; თ) ითამაშოს ბანქო ან სხვა თამაშები მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით; ი) ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე გაცვალოს საძინებელი ადგილები, აგრეთვე მოაწიოს საძინებელი ადგილები დაწესებულების ტერიტორიაზე შექმნილ საწარმოებში, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სხვა სამსახურებრივ და დამხმარე ნაგებობებში; კ) ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე იყოლიოს ცხოველები და ფრინველები, მისდიოს მებოსტნეობას, მოამენოს დეკორატიული თევზები ან ოთახის მცენარეები; ლ) გამოფინოს ფოტოგრაფიები, რეპროდუქციები, ბარათები, ამონაჭრები გაზეთებიდან და ჟურნალებიდან კედლებზე, ტუმბოებსა და სანოლებზე; მ) თვითნებურად მოაწიოს საწარმოო ან სხვა ობიექტებზე სხვადასხვა ნაგებობები, კარადები, სეიფები და სხვა; ნ) ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე გამოიყენოს მონეობილობები, ინსტრუმენტები, ელექტროენერგია, არასაწარმოო მიზნით გამოყენებადი მექანიზმები და მასალები; ო) მოამზადოს და გამოიყენოს საჭმელი ამისთვის გაუთვალისწინებელ ადგილებში; პ) ავი-

ნივთიერებები; 2. ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ყველა სახეობა. 3. სატრანსპორტო საშუალებები; 4. ქიმიკატები, ფეთქებადი, მომწამლავი და ცეცხლსაშიში ნივთიერებები; 5. ფული, ფასეული ნივთები, ფასიანი ქაღალდები; 6. ოპტიკური ხელსაწყოები, 7. საკვები პროდუქტები, რომლებიც საჭიროებენ სითბურ დამუშავებას (ყავა-ჩაის გარდა), საფუარი, შაქარი; 8. ალკოჰოლური სასმელების ყველა სახეობა, ლუდი; 9. სუნამოები, ოდეკოლონები და სხვა სპირტზე დამზადებული ნივთიერებები; 10. გადასამრავლებელი აპარატები; 11. დანები, სხვა ბასრი და მჩხვლეტავი საგნები, მათ შორის, კუსტარულად დამზადებული ან/და დამლილი ან/და გადაკეთებული ერთჯერადი სამართებელი; 12. ნაჯახები, ჩაქურები და სხვა ინსტრუმენტები; 13. ბანქო; 14. ფოტოაპარატები, ფოტომასალები, აუდიო-ვიდეო და ფიქსაციის სხვა საშუალებები; 15. მობილური ტელეფონები; 16. ნებისმიერი დოკუმენტი (სასამართლოს განაჩენებისა და გადანყვეტილების ასლების, შესანახად ჩაბარებული ფულის, ნივთებისა და ფასეულობების ქვითრის გარდა); 17. კომპასები; 18. დაუდგენელი ნიმუშის სამხედრო და სხვა ფორმის ტანსაცმელი და ამ სახეობის ტანსაცმელს მიკუთვნებული ზედა სამოსი, ქუდები და ფეხსაცმელი; 19. საღებავები და კოპირების ქაღალდები.

დეს შენობების, საამქროებისა და ნაგებობების სახურავებზე, მიუახლოვდეს შიდა აკრძალული ზონის ზღვარს; ჟ) ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე დატოვოს სამუშაო ადგილი, საკანი, აგრეთვე შენობა, სადაც მასობრივი ღონისძიებები ტარდება; რ) სიტყვიერი შეურაცხოფა მიაყენოს ან სხვაგვარად შელახოს დანესებულების მოსამსახურის ან სხვა პირის ღირსება; ს) რაიმე სახით ხელი შეუშალოს დანესებულებაში არსებული დაცვის ან სხვა ტექნიკური საშუალებების მუშაობას; ტ) შექმნას კონფლიქტური სიტუაცია; უ) ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე დაამზადოს რაიმე სახის ელექტრო ან მექანიკური მოწყობილობა; ფ) იხმაუროს, რაც დაარღვევს წესრიგს და ხელს შეუშლის დანესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას; ქ) უკანონო ფორმებით მიანოღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია საკნიდან საკანში ან დანესებულების გარეთ; ლ) მოახდინოს ფიზიკური ზემოქმედება ბრალდებულზე ან სხვა პირზე; ყ) ჩაიდინოს სხვა ნებისმიერი ქმედება, რაც არღვევს ამ დებულებას, კანონს ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა ნორმებს.

მოცემული მოვალეობები და აკრძალვები ემსახურება სასჯელალსრულების დანესებულების უსაფრთხოებასა და წესრიგს. როგორც დისციპლინურ ღონისძიებებს, ასევე მოვალეობებს და აკრძალვებს პრევენციული ხასიათი გააჩნია და მიმართულია მსჯავრდებულის/ბრალდებულის გაფრთხილებისკენ, რათა მან არ ჩაიდინოს ისეთი საქციელი რისთვისაც შესაძლებელია მისი დასჯა მოხდეს.⁶²²

თითოეული ზემოთჩამოთვლილი მოვალეობის ან აკრძალვის შინაარსი უნდა იყოს რეალური და დაკონკრეტებული. არ უნდა ხდებოდეს მისი არასწორად შეფასება და მოვალეობის დარღვევად მიჩნევა. მაგალითისთვის საინტერესოა სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიში, სადაც მითითებულია, რომ მომსახურე პერსონალის მხრიდან არაადეკვატურად იყო აღქმული ხმაური. ის რაც სცილდებოდა ჩურჩულს ითვლებოდა ხმაურად და მსჯავრდებულთა დასჯას იწვევდა.⁶²³ ხმაურად

622 R-P. Calliess/H. Müller-Dietz, Strafvollzugsgeasetz-Kommentar. München 2000. S. 468.

623 მსჯავრდებულებს ეკრძალებოდათ „ნორმალურ ხმაზე საუბარი საკან-

ითვლებოდა ასევე ექიმის მოთხოვნაც რაც დასჯის საბაზი შეიძლება გამხდარიყო.⁶²⁴

„ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) 2010 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გლდანის N8 საპყრობილეში ვიზიტის დროს კომიტეტს პრაქტიკულად არ მიუღია განცხადებები არასათანადო მოპყრობის შესახებ. თუმცა, მოგვიანებით, სხვა დაწესებულებებში განთავსებულმა რამდენიმე პატიმარმა განუცხადა დელეგაციის წევრებს, რომ მათ გლდანის საპყრობილეში ყოფნისას არასათანადოდ ექცეოდნენ თანამშრომლები, განსაკუთრებით კი „კარცერსა“ და საშხაპეებში, ასევე დაწესებულებაში მიღების დროს. როგორც პატიმრები ამტკიცებდნენ, ფიზიკური შეურაცხყოფა (კეტით, მუშტით, წიხლით ცემა) მოჰყვებოდა ისეთ დარღვევებს, როგორცაა საკნის კარზე დაკაკუნება, ერთმანეთში ხმამაღალი ლაპარაკი ან სხვა საკნებში განთავსებულ პატიმრებთან გამოლაპარაკება. დელეგაციამ აღნიშნა, რომ გლდანის საპყრობილეში ვიზიტის დროს საკნებში უჩვეულო სიჩუმე სუფევდა.“⁶²⁵

მსჯავრდებულს ეკრძალება შემდეგი, (ლ) გამოფინოს ფოტოგრაფიები, რეპროდუქციები, ბარათები, ამონაჭრები გაზეთებიდან და ჟურნალებიდან კედლებზე, ტუმბოებსა და სანოლებზე. აღნიშნული აკრძალვა კარგი მაგალითია იმისთვის, რომ გავიგოთ რა არ უნდა იყოს მსჯავრდებულისთვის/ ბრალდებულისთვის აკრძალული. ციხეში პატიმრის მდგომარეობა ითხოვს მის მიერ ოჯახის წევრებთან კონტაქტის იმიტაციას სწორედ ისეთი საშუალებებით, რაც პატიმარს მათთან სიახლოვეს აგრძნობინებს, სწორედ ასეთი საშუალება არის ოჯახის წევრების ფოტოების გაკვრა ან გამოფენა მისთვის თვალსაჩინო ადგილას. ეს შეიძლება ჩაითვალოს პატიმრის პირადი ცხოვრების ნაწი-

ში და ერთმანეთში საუბრობდნენ ჩურჩულით; ეკრძალებოდათ სიცილი; ეკრძალებოდათ რადიოს მოსმენა ისეთ ხმაზე, რომელზეც ზოგადად შესაძლებელია რადიოს სმენა და მხოლოდ ყურზე მიდებულ მდგომარეობაში ჰქონდათ რადიოს მოსმენის საშუალება, სხვა შემთხვევაში რადიოს ხმის გაგონება უბრალოდ შეუძლებელი იყო“. იხ.: საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში. გვ. 17.

624 საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში. გვ. 18.

625 საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში. გვ. 19.

ლად, რომელიც რესოციალიზაციისთვის არის აუცილებელი და რომლის აკრძალვაც არ შეიძლება. ასეთი აკრძალვა არ ემსახურება სასჯელალსრულებით დანესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აკრძალვა არ შეიძლება იყოს ისეთი, რაც შესაძლებელია ნორმალურად ითვლებოდეს პიროვნების განვითარებისთვის.⁶²⁶

აკრძალვის აუცილებლობა განხილულ უნდა იქნას თანაფარდობის კონსტიტუციური პრინციპის გამოყენებით. რაც გულისხმობს, რომ აკრძალვა აუცილებელი და საჭირო უნდა იყოს მიზნის მისაღწევად.⁶²⁷ თუ სასჯელალსრულების დანესებულების მიზანია უსაფრთხოების და წესრიგის დაცვა, პატიმრის მიერ ფოტოგრაფიების, რეპროდუქციების, ბარათების, ამონაჭრები გაზეთებიდან და ჟურნალებიდან კედლებზე, ტუმბოებსა და საწოლებზე გამოფენა პირდაპირ კავშირში არ არის სასჯელალსრულების დანესებულებებში უსაფრთხოების და წესრიგის დაცვასთან. ეს აკრძალვა შესაძლებელია არღვევდეს მსჯავრდებულის თავისუფალი განვითარების უფლებას.

8.2 ბრალდებულის/მსჯავრდებულის დისციპლინური პასუხისმგებლობა

8.2.1 საკანონმდებლო რეგულირება

თავისი ხასიათით, ციხე დახურული დანესებულებაა, რომელშიც ხალხის დიდ ჯგუფებს ამყოფებენ მათი ნების საწინააღმდეგოდ, შეზღუდული უფლებების პირობებში. დროდადრო გარდაუვალია ზოგიერთი პატიმრის მიერ ციხის წესების სხვადასხვაგვარი დარღვევა. ეს შეიძლება გამოიხატოს სხვა პირზე ფიზიკური თავდასხმით, ისეთი რამის აღებით, რაც მას არ ეკუთვნის, ყოველდღიური განაწესის შესრულებაზე უარის თქმით, მართლზომიერი წესრიგის დაუმორჩილებლობით, ციხეში აკრ-

626 საინტერესოა გერმანიის მაგალითი. გერმანიაში ციხიდან ისე გაქცევა, რასაც არ მოჰყოლია ვინმეს ან რაიმეს დაზიანება არ ითვლება აკრძალვად. გერმანიის სს კოდექსი არ სჯის ასეთი ქმედებისათვის პატიმარს. K. Laubenthal, Strafvollzug. Sechste Auflage. Heidelberg 2011. S. 445,446.

627 R-P. Calliess/H. Müller-Dietz, Strafvollzugsgesetz-Kommentar. München 2000. S. 468, 469.

ძალული საგნების შეტანის მცდელობით ან რაიმე სხვა სახით. ასეთი ინციდენტების განხილვა-გადანყვეტისთვის საჭიროა არსებობდეს მკაფიოდ განერილი პროცედურები.

პატიმრობის კოდექსი არეგულირებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს. კერძოდ, დისციპლინურ დარღვევად მიჩნეულ ქმედებებს, დისციპლინური სახდელის სახეებს, დისციპლინურ სამართალწარმოებასა და გასაჩივრების წესს. განვიხილოთ თითოეული მათგანი.⁶²⁸

დისციპლინის დარღვევა

პატიმრობის კოდექსის მე-80 მუხლით დისციპლინურ დარღვევად მიიჩნევა: ა) სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა; ბ) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების დარღვევა; გ) დაწესებულების მოსამსახურისა და სხვა პირისთვის მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას წინააღმდეგობის განევა; დ) განზრახი ქმედების ჩადენა, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვა პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, აგრეთვე სხვა პირის ღირსებისა და ხელშეუხებლობის შელახვა; ე) დაწესებულების ან სხვა პირის ქონების დაზიანება/განადგურება, მათ შორის, მისი ვიზუალური მხარის ცვლილებით; ვ) დაწესებულების მიერ დადგენილი გადაადგილების შეზღუდვების/საზღვრების უნებართვოდ გადაკვეთა; ზ) დაწესებულების ტერიტორიაზე სარგებლის მიღების მიზნით საქმიანობა ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე; თ) დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულ მოწყობილობათა/სისტემების ფუნქციონირებაში ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე ჩარევა, შენობა-ნაგებობების დიზაინსა და ფუნქციებში ცვლილებების თვითნებურად შეტანა; ი) დაწესებულების ტერიტორიაზე აკრძალული ნივთის დამზადება, ფლობა ან სარგებლობა; ი¹) დაწესებულების ტერიტორიაზე ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნა; კ) ხმაური ან სხვაგვარი ქმედება, რომელიც არღვევს წესრიგს

628 ე. კოილი, პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან. თბილისი 2007. გვ. 84.

და ხელს უშლის დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას; ლ) ნებისმიერი სახის ინფორმაციის უკანონო ფორმით მიწოდება საკნიდან საკანში ან დაწესებულების გარეთ; მ) დაწესებულების დებულების, დაწესებულებაში დადგენილი დღის განრიგისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ნორმების დარღვევა.

ზემოთჩამოთვლილი ქმედებები ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ შესასრულებელი ვალდებულებებია. მოცემული ვალდებულებებიდან რამდენიმე მეტად პრობლემურია, და შესაძლებელია ადმინისტრაციის თვითნებობა გამოიწვიოს. ასეთი სახის ვალდებულებებია: კ) ხმაური ან სხვაგვარი ქმედება, რომელიც არღვევს წესრიგს და ხელს უშლის დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას; ლ) ნებისმიერი სახის ინფორმაციის უკანონო ფორმით მიწოდება საკნიდან საკანში ან დაწესებულების გარეთ. ხმაურთან დაკავშირების ზემოთ გვექონდა უკვე საუბარი და ამ პრობლემას აღარ შევხებით. რაც შეეხება ნებისმიერი ხასიათის ინფორმაციის უკანონო ფორმით მიწოდება საკნიდან საკანში ვფიქრობთ მეტად ზოგადი ჩანაწერია. ინფორმაციის უკანონო ფორმით მიწოდებაში შესაძლებელია ჩაითვალოს საკნიდან საკანში გადალაპარაკება (დახილი), რაც ციხის ცხოვრების ნორმალური პროცესია და არ შეიძლება დისციპლინურ დარღვევად იქნას მიჩნეული.

დისციპლინური სახდელი

ციხის ევროპულის წესების(56) მიხედვით, დისციპლინური სახდელი გამოყენებულ უნდა იქნას, როგორც უკიდურესი საშუალება. ციხის ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს მედიაციის ყველა შესაძლებლობა, რათა გადაჭრას კამათი პატიმრებთან და პატიმრებს შორის. ციხის ევროპული წესები ხაზს უსვამენ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას და არა ადმინისტრაციის მიერ საკუთარი ძალის დემონსტრირებას.

დისციპლინური ღონისძიების გამოყენება ატარებს ზოგადი და კერძო პრევენციის მნიშვნელობას. დისციპლინური სახდელის ზოგადი პრევენცია მდგომარეობს იმაში, რომ სხვა მსჯავრდებულები მიხვდნენ (დაშინდნენ) და აღარ ჩაიდინონ მათთვის

აკრძალული ქმედება, ხოლო კერძო პრევენციის კუთხით დისციპლინური სახდელის მიზანია ბრალდებულის/მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, ანუ დისციპლინური სახდელი არის ციხეში ახალი სოციალიზაციისთვის საჭირო, უკიდურესი (ალმზრდელობითი) ღონისძიება.⁶²⁹

დისციპლინური სახდელის დაკისრებით უნდა მოხდეს ადმინისტრაციას და პატიმარს შორის არსებული კონფლიქტის დასრულება. დაუშვებელია ციხის ადმინისტრაციამ წესრიგის დასამყარებლად მიმართოს სხვა პატიმრებს (მაგ. მაყურებლებს) და სთხოვოს ციხეში დისციპლინის დამყარება.⁶³⁰

კანონის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის დისციპლინური დარღვევისთვის გამოყენებული სახდელი უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული, უნდა განხორციელდეს მხოლოდ დისციპლინური სამართალწარმოების საფუძველზე და ინდივიდუალური ბრალის დადგენით ანუ დაუშვებელია ჯგუფური დასჯის გამოყენება.

პატიმრობის კოდექსის 82-ე მუხლი თანახმად, დისციპლინური სახდელის სახეებია: ა) გაფრთხილება; ბ) საყვედური; გ) მუშაობის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 6 თვის ვადით; დ) ნებადართული ნივთებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 6 თვის ვადით; ე) ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა არა უმეტეს 6 თვის ვადით; ვ) საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში გადაყვანა 6 თვემდე ვადით; ზ) სამარტოო საკანში მოთავსება 20 დღემდე ვადით; თ) სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით; ი) პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით; კ) პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მალაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით; ლ) ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით; მ) კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა არა უმეტეს წელიწადში 6-ჯერ.

629 K. Laubenthal, Strafvollzug. Sechste Auflage. Heidelberg 2011. S. 442.

630 პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები. პრაქტიკული სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო წესების ეფექტური გამოყენებისათვის. თბილისი 2000. გვ. 50.

დისციპლინური სახდელის სახეები მეტად პრობლემურია რამდენიმე გარემოების გამო:

- გ), დ), ე) და ვ) სახდელების მოქმედების ვადა არის ექვსი თვე. ვფიქრობთ ექვსი თვე მეტად დიდი პერიოდია და უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს მსჯავრდებულის რესოციალიზაციაზე. მსჯავრდებულისთვის მუშაობის უფლების შეზღუდვა 6 თვის ვადით შეიძლება პირდაპირი დარღვევა იყოს სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპის, რომელიც სახელმწიფოს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას ავალდებულებს. პატიმარს უნდა ჩამოუყალიბდეს დამოუკიდებელი ცხოვრების უნარი და სურვილი. მსჯავრდებულის რესოციალიზაცია შესაძლებელია სასჯელის მოხდის პირობებში ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებით.⁶³¹ ექვსი თვით პატიმრის სამუშაოსგან მოწყვეტა გამოიწვევს, როგორც მისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას, ასევე შესასრულებელ სამუშაოზე დაბრუნების სურვილის არქონას ან სამუშაოს გადაჩვევას. მოცემული დისციპლინური სახდელების მოქმედების ვადები უნდა შეიზღუდოს სამ თვემდე.
- მეტად პრობლემურია სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით და კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა არა უმეტეს წელიწადში 6-ჯერ. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპში შემავალი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლის მიზანია მსჯავრდებულის გამოსწორება. პატიმრის რესოციალიზაცია ემსახურება საზოგადოებას, რომელიც დაინტერესებულია, რომ დამნაშავემ აღარ ჩაიდინოს დანაშაული.⁶³² რესოციალიზაცია შეუძლებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის გარეშე, შესაბამისად, რესოციალიზაციის ხელის შეშ-

631 ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 2011. გვ. 216.

632 იგივე, გვ. 215.

ლად უნდა ჩაითვალოს ისეთი დისციპლინური სახდელელები, რომლებიც საკმაოდ ზღუდავენ პატიმრის გარესამყაროსთან ურთიერთობას. მაგალითად, დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფი პირისთვის კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა წელიწადში 6-ჯერ გულისხმობს, რომ მას წელიწადში მხოლოდ 6 ხანმოკლე პაემანი ექნება განსახორციელებელი, რაც პირდაპირ ხელს შეუშლის მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესს. აღნიშნული დისციპლინური სახდელელები შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-16 და 36-ე მუხლებს.

საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში გადაყვანა 6 თვემდე ვადით და სამარტოო საკანში მოთავსება 20 დღემდე ვადით არ გამოიყენება ორსული ქალების, მცირეწლოვანი ბავშვების დედებისა და 65 წელს გადაცილებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ არ გამოიყენება სამარტოო საკანში მოთავსება 20 დღემდე ვადით.

პატიმრობის კოდექსის 82-ე მუხლს აქვს შენიშვნა რომლის მიხედვითაც, დისციპლინური გადაცდომისთვის გათვალისწინებული შეზღუდვა - პირადი ხასიათის კორექსონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არა უმეტეს 3 თვის ვადით - არ ვრცელდება იმ კორექსონდენციაზე, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, დეპარტამენტი, საქართველოს სახალხო დამცველი, დამცველი, პროკურორი.

ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელსაც ბრალად ედება დისციპლინური დარღვევის ჩადენა, უფლება აქვს ა) მისთვის გა-

საგებ ენაზე ეცნობოს დარღვევის არსი და საფუძველი; ბ) ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალება დაცვის მოსამზადებლად; გ) მისი საქმე განხილულ იქნას ზეპირი მოსმენით და ისარგებლოს იურიდიული დახმარებით, მათ შორის, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით, ამ კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ამას თავად მოითხოვს; დ) მოითხოვოს მოწმეთა დასწრება დისციპლინურ განხილვაზე და დაკითხოს მოწმეები; ე) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით, თუ მას არ ესმის სამართალწარმოების ენა.

დისციპლინური დარღვევის საქმეს განიხილავს დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. 84-ე მუხლის თანახმად, განხილვა ხორციელდება ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენებისას გაითვალისწინება ბრალდებულის/ მსჯავრდებულის პიროვნება და მისი ქცევა, აგრეთვე გარემოებები, რომლებშიც იქნა ჩადენილი დისციპლინური დარღვევა, ბრალდებულის/მსჯავრდებულის განმარტება დარღვევასთან დაკავშირებით. საქმის განხილვის შემდეგ, მტკიცებულების შეფასების საფუძველზე დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. დისციპლინური სახდელის დაკისრება უნდა მოხდეს დისციპლინური დარღვევის გამოვლენის დღიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

დისციპლინური დარღვევის საქმის განხილვა დაწესებულების დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ ექცევა ოპორტუნობის პრინციპის ქვეშ.⁶³³ დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. იგი თავად წყვეტს რა შემთხვევაშია გამოსაყენებელი კონკრეტული მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიება და რა შემთხვევაშია შესაძლებელი უარი თქვას ასეთ ღონისძიებაზე. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება უნდა შეე-

633 K. Laubenthal, Strafvollzug. Sechste Auflage. Heidelberg 2011. S. 451.

საბამებოდეს სასჯელაღსრულების დანესებულების ამოცანებს (უსაფრთხოება, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია).⁶³⁴

დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულება უნდა შეიცავდეს: ა) უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარსა და სახელს; ბ) შედგენის თარიღს, დროს და ადგილს; გ) სარეგისტრაციო ნომერს; დ) მონაცემებს დარღვევის ჩამდენი პირის შესახებ (გვარი, სახელი, დაბადების თარიღი და სხვა); ე) დარღვევის ჩადენის ადგილს, დროს და დარღვევის არსს, ასევე მისი გამოვლენის დროს. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დისციპლინური დარღვევის ჩადენის დროის განსაზღვრა, დისციპლინური დარღვევის ჩადენის დროდ ჩაითვლება მისი გამოვლენის დრო; ვ) მონაცემებს მოწმის, დაზარალებულის შესახებ, მათი არსებობის შემთხვევაში; ზ) მითითებას საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა მტკიცებულებებზე, მათი არსებობის შემთხვევაში.

დისციპლინური სახდელის აღსრულება უნდა დაიწყოს მისი დაკისრებიდან 1 თვის ვადაში.

გასაჩივრება

პატიმრობის კოდექსის 86-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების გადაცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ერთჯერადად გაასაჩივროს სასამართლოში მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელი. გასაჩივრება არ აჩერებს დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების აღსრულებას.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება არის საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება, რომლის მიზანია

634 ადმინისტრაციული ორგანოს ოპორტუნობის პრინციპთან დაკავშირებით იხ.: გ. თუმანიშვილი, პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები. თსუ-ს ჟურნალი „სამართალი“. 2009, №1, გვ. 44.

„უზრუნველყოს სამართლებრივი მშვიდობა და სამართლებრივი უსაფრთხოება“.⁶³⁵

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, „ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე“. სასამართლო იურისდიქციაში იგულისხმება, რომ ეროვნული სასამართლო იყოს კანონის საფუძველზე შექმნილი და ამ საქმის განხილვის კომპეტენციით აღჭურვილი (ე.წ. კანონისმიერი სასამართლოს უფლება).⁶³⁶

საკითხავია, სამართლის რომელი დარგის მოსამართლემ უნდა განიხილოს მსჯავრდებულის მიერ დისციპლინური ღონისძიების გასაჩივრება: სისხლის სამართლის თუ ადმინისტრაციული სამართლის სასამართლოში.

ბრალდებულის/ მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობისას აუცილებელია შემდეგი საკითხების დაცვა: 1. დაუშვებელია ერთი დისციპლინური დარღვევისთვის დისციპლინური სახდელის 2-ჯერ დაკისრება; 2. დისციპლინური სახდელი არ უნდა იყოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის დამამცირებელი და მისი პატივისა და ღირსების შემლახველი; 3. დაუშვებელია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, თუ დისციპლინური დარღვევის ჩადენიდან გასულია 1 წელი; 4. დისციპლინურსახდელდაუდებლად ითვლება პირი, რომელიც დისციპლინური სახდელის მოხდიდან 6 თვის განმავლობაში კვლავ არ ჩაიდენს დისციპლინურ დარღვევას. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს/მსჯავრდებულს დაეკისრება ამ კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სახდელები, იგი დისციპლინურსახდელდაუდებლად ჩაითვლება, თუ დისციპლინური სახდელის მოხდიდან 1 წლის განმავლობაში კვლავ არ ჩაიდენს დისციპლინურ დარღვევას; 5. დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა შეუძლია დანესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს, თუ სახდელის მიზანი მიღწეულია.

635 მ. ტურავა, 42-ე მუხლის კომენტარი. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბილისი 2013. გვ. 517.

636 იგივე, გვ. 527-528.

სამართლო საკანში მოთავსება

„პატიმრობის კოდექსის“ მიხედვით სამართლო საკანში მოთავსება, როგორც დისციპლინური სახდელი, გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

„პატიმრობის კოდექსი“ მკაფიოდ არ განსაზღვრავს იმ წესებს რომლის დარღვევის შემთხვევაშიც შესაძლებელია სამართლო საკანში მოთავსება. საერთაშორისო მიდგომები სწორედ მკაფიო განსაზღვრულობას მოითხოვენ, როცა საუბარია სამართლო საკანის გამოყენებაზე.⁶³⁷

სამართლო საკანში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ეკრძალება პაემანი, სატელეფონო საუბარი, კვების პროდუქტების შეძენა. მას აქვს ყოველდღიურად 1-საათიანი გასეირნების უფლება. სამართლო საკანი უნდა იყოს განათებული და ვენტილაციით უზრუნველყოფილი; ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს სკამი და საწოლი. მას უფლება აქვს, მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს საკითხავი მასალა. დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსება სრული სენსორული იზოლაციის პირობებში. ადმინისტრაცია ვალდებულია სამედიცინო პერსონალს აცნობოს სამართლო საკანში პირის მოთავსების შესახებ. სამართლო საკანში პირი უნდა იყოს სამედიცინო პერსონალის ყოველდღიური, განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ. აუცილებლობის შემთხვევაში სამართლო საკანში ყოფნის ხანგრძლივობა შეიძლება შემცირდეს ექიმის დასკვნის საფუძველზე.

პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების თანახმად, დისციპლინური ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებს მსჯავრდებულის იზოლირებას, შეიძლება განხორციელდეს ექიმის წერილობითი დასკვნის შემდეგ და მისი მეთვალყურეობის ქვეშ (წესი №32).

ევროკავშირის ქვეყნებში მსჯავრდებულების/ბრალდებულების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად ხშირად გამოიყენება სამართლო პატიმრობა. ადამიანის უფლებათა

637 პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები. პრაქტიკული სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო წესების ეფექტური გამოყენებისათვის. თბილისი 2000. გვ. 58.

ევროპული სასამართლო ამ კონკრეტული ღონისძიების გამოყენების მიმართ ვერავითარ პრობლემას ვერ ხედავს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სამარტოო საკანის გამოყენების ხანგრძლივობაში ხედავს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.⁶³⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მსჯავრდებულის მიმართ სამარტოო საკანის გამოყენებას, ანუ მსჯავრდებულის სრულ იზოლაციას განიხილავს სასჯელაღსრულების დანესებულების უსაფრთხოების და იზოლაციის აუცილებლობასა და გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებით. მაგალითად, საქმეებში კროშერი შვეიცარიის წინააღმდეგ და მიულერი გერმანიის წინააღმდეგ⁶³⁹ ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ იზოლაცია გრძელდებოდა მხოლოდ ერთი თვე და იზოლაცია აუცილებელი იყო საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დასაცავად.⁶⁴⁰ ერთთვიან სამარტოო საკანში მოთავსებაზე სხვა დამოკიდებულება აქვს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს. კერძოდ, საქმეში ლაროსა ურუგვაის წინააღმდეგ (*Larrosa vs. Uruguay* 88/1981) გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ერთთვიანი სამარტოო პატიმრობა ძალიან ხანგრძლივად ჩათვალა და შეაფასა პატიმრის ღირსების შემლახავად.⁶⁴¹

638 ს. პაპუაშვილი, თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. კ. კორკელია (რედ.) ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობაზე. თბილისი 2006. გვ. 246.

639 ტერორიზმში ექვმიტანილი ეს ორი პირი განთავსდნენ სამარტოო საკანში. მათ გარშემო საკნები დაცარიელდა ისე, რომ მათ არ ქონდათ არც ერთმანეთთან და არც სხვა მსჯავრდებულებთან ურთიერთობის შესაძლებლობა, ხოლო აეკრძალათ ტელევიზორით და ჟურნალ-გაზეთებით სარგებლობა და ერთი თვის მანძილზე არ ქონდათ ადვოკატთან შეხვედრის უფლება. ს. პაპუაშვილი, თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. კ. კორკელია (რედ.) ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობაზე. თბილისი 2006. გვ. 246.

640 იქვე.

641 პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები. პრაქტიკული სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო წესების ეფექტური გამოყენებისათ-

8.2.2 არსებული მდგომარეობის ანალიზი

სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო მოხსენებაში ნათქვამია, „სპეციალური პრევენციული ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დანესებულებების სამართლო საკნებში არსებულ მდგომარეობას, ესაუბრება მონიტორინგის მომენტისთვის იქ განთავსებულ ყველა მსჯავრდებულს, ამონებს მათი განთავსების პროცედურებს როგორც გასაუბრების გზით, ასევე დოკუმენტაციით“.⁶⁴²

სახალხო დამცველის 2012 წლის მოხსენებიდან ირკვევა, რომ პატიმრები ექიმის გამოსაძახებლად ხშირად მიმართავენ საკნის რკინის კარზე ბრახუნს, რაც იწვევს ხმაურს. ციხის ადმინისტრაციის მიერ აღნიშნული ქმედება ისჯება დისციპლინური წესით.⁶⁴³

სამართლო საკანთან დაკავშირებით CPT-მ საქართველოს ხელისუფლებას მისცა რეკომენდაცია, „გაატაროს ზომები, რომ პატიმრის დისციპლინურ საკანში მოთავსება არ აკარგავინებდეს მას ოჯახთან კონტაქტის საშუალებას. ნებისმიერი აკრძალვა ოჯახთან კონტაქტისა, როგორც სასჯელის ფორმა, უნდა დაიშვებოდეს მხოლოდ მაშინ, როცა ამგვარ კონტაქტებს დანაშაული უკავშირდება“⁶⁴⁴ სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო მოხსენებაში მოყვანილია დისციპლინური სახდელების სტატისტიკური მონაცემები. ამ მონაცემების თანახმად, 2012 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით სამართლო საკანში მოთავსებული იქნა 1709 პატიმარი, აქედან სამართლო საკანში მოთავსება – გაასაჩივრა ერთმა პატიმარმა. 2012 წლის 01 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით სამართლო საკანში მოთავსებული იქნა 921 პატიმარი – გაასაჩივრა ერთმა პატიმარმა.⁶⁴⁵

მოცემული სტატისტიკიდან საინტერესოა სამართლო საკანში მოთავსების გასაჩივრების ასეთი ძალიან დაბალი მაჩვენებელი.

ვის. თბილისი 2000. გვ. 56.

642 სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში. გვ. 66.

643 იგივე, გვ. 67.

644 იქვე.

645 იგივე, გვ. 64.

ბელი. ამ მხრივ საინტერესოა ნასწავლი დაუხმარებლობის ანუ დასწავლილი უმწეობის თეორია.⁶⁴⁶

სამარტოო საკანში მოთავსებას შეუძლია ძალიან მავნე გავლენა მოახდინოს მსჯავრდებულის ფსიქიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ამიტომ ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია რაც შეიძლება იშვიათად და რა თქმა უნდა არავითარ შემთხვევაში განმეორებით არ გამოიყენოს მსჯავრდებულის მიმართ.⁶⁴⁷

სახალხო დამცველი 2012 წლის ანგარიშში მიუთითებს დისციპლინური წესით მსჯავრდებულთა კოლექტიურ დასჯას უსაფრთხოების ზომების მიზეზით.⁶⁴⁸ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულით მოხდა პატიმრობის კოდექსში გამოხატული სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის დარღვევა, ვინაიდან კანონის დარღვევის შემთხვევაში დისციპლინური სახდელის გამოყენება მოხდა არა ინდივიდუალურად და არამედ კოლექტიურად.

საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სასჯელალსრულების დაწესებულებებში 2013 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სხვადასხვა დისციპლინური დარღვევისთვის პატიმრების მიმართ 1 408 შემთხვევაში იქნა გამოყენებული დისციპლინური სახდელი. აქედან 532 პატიმარს შეეფარდა სამარტოო საკანში მოთავსება: სასჯელალსრულების №2 დაწესებულებაში - 43 შემთხვევა; №8 დაწესებულებაში - 306 შემთხვევა; №15 დაწესებულებაში - 66 შემთხვევა. საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელალ-

646 დასწავლილი უმწეობის თეორიის თანახმად, ადამიანები წარსული, განვლილი ცხოვრებიდან სწავლობენ, რომ რაც არ უნდა მოიმოქმედონ უარყოფით შედეგს ვერ აიცილებენ თავიდან. ვრცლად თეორიის შესახებ იხილეთ: მ. შალიკაშვილი, ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ. თბილისი 2011. გვ. 51.

647 პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები. პრაქტიკული სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო წესების ეფექტური გამოყენებისათვის. თბილისი 2000. გვ. 56.

648 სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში. გვ. 65- 66.

სრულების დეპარტამენტიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს ადმინისტრაციული პატიმრობა გამოყენებული იყო ერთი პატიმრის მიმართ.

2013 წელს დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ განკარგულება გაასაჩივრა ოთხმა. აღსანიშნავია ასევე, რომ პატიმრები დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ ბრძანების გასაჩივრებისგან თავს იკავებენ იმ მიზეზით, რომ მათი განმარტებით აზრი არ აქვს გასაჩივრებას. სასჯელაღსრულების სისტემაში არსებობს დისციპლინური სახდელების არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს პატიმართა პროტესტი⁶⁴⁹.

8.3 მსჯავრდებულის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

პატიმრობის კოდექსის მე-15 თავი არეგულიერებს მსჯავრდებულის ადმინისტრაციული პატიმრობას. პატიმრობის კოდექსის 90-ე მუხლის მიხედვით, თუ მსჯავრდებულმა დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადაში განმეორებით ჩაიდინა ამ კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური დარღვევა, მას შესაძლებელია დაეკისროს ადმინისტრაციული პატიმრობა არაუმეტეს 60 დღე-ღამის ვადით, ხოლო ერთი წლის განმავლობაში შეფარდებული ადმინისტრაციული პატიმრობების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 90 დღე-ღამეს.

ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეეფარდებათ ორსულ ქალებსა და არასრულწლოვან მსჯავრდებულებს.

ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების გამოცემის უფლებამოსილება აქვს დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს.

ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების გამოცემისას მსჯავრდებულს განემარტება უფლება – გაეცნოს განკარგულებას, მისცეს ახსნა-განმარტება, წარადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს შუამდგომლობა,

649 საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში გვ. 33-34.

გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის ან/და ადვოკატის (დამცველის) მომსახურებით, გაასაჩივროს განკარგულება ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ. აღნიშნული განმარტების თაობაზე აღინიშნება ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულებაში.

ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების 1 ასლი გამოცემისთანავე გადაეცემა მსჯავრდებულს. ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულება გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში წარედგინება უფლებამოსილ სასამართლოს დანესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით. მტკიცების ტვირთი ეკისრება განკარგულების გამომცემ თანამდებობის პირს.

მოსამართლე ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულებას განიხილავს ერთპიროვნულად, ღია სასამართლო სხდომაზე, მისი წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში. საქმის განხილვის შემდეგ დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა იქნას გამოტანილი. დაუშვებელია დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის სხვა დროისათვის გადადება. სასამართლოში საქმე განიხილება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით.

სასამართლოში საქმე განიხილება თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მსჯავრდებული სარგებლობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გარანტირებული ყველა უფლებით. მას სრული თანასწორობის საფუძველზე უფლება აქვს, წარადგინოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მათ გამოკვლევაში, მოინვიოს მოწმეები, მისცეს ახსნა-განმარტება, განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება, გამოთქვას საკუთარი აზრი საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. სასამართლოში საქმის განხილვისას მსჯავრდებულს უფლება აქვს, გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის ან/და ადვოკატის (დამცველის) მომსახურებით. თუ მსჯავრდებულს არა აქვს ადვოკატის (დამცველის) აყვანის შესაძლებლობა, სასამართლო ვალდებულია დაუ-

ნიშნოს მას ადვოკატი (დამცველი) სახელმწიფოს ხარჯზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) სააპელაციო სასამართლოში შეიძლება გაასაჩივრონ მხარეებმა ან მათმა წარმომადგენლებმა მათთვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით გადაწყვეტილების (განჩინების) ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში. შემოსულ საჩივარს სასამართლო დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს და მოწინააღმდეგე მხარეს. სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივარს განიხილავს კოლეგიურად – 3 მოსამართლის შემადგენლობით, ღია სასამართლო სხდომაზე. სააპელაციო სასამართლო საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილება (განჩინება) გამოაქვს პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის ამ კოდექსით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახალხო დამცველის 2012 წლის მოხსენების თანახმად, 2012 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა 13 პატიმარს, აქედან მხოლოდ ერთი პატიმრის მიერ იქნა გასაჩივრებული. 2013 წელს მხოლოდ ერთ მსჯავრდებულს შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა.⁶⁵⁰

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ კანონისმიერი განსაზღვრულობის ვალდებულება, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს პირნციპის ერთ-ერთი ელემენტია, აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული დისციპლინური და ადმინისტრაციული ვალდებულების დაკისრების დროს. კერძოდ, დისციპლინური და ადმინისტრაციული დასჯადობის წინაპირობები მსჯავრდებულისთვის თვითონ კანონიდან გამომდინარე უნდა იყოს ნათელი და არა მისი განმარტებებისა თუ სხვაგვარი დაკონკრეტების მეშვეობით.⁶⁵¹ კანონისმიერი განსაზღვრულობის პრინციპის არსი არის ის, რომ მსჯავრდებულს საკუთარი

650 სახალხო დამცველის 2012 და 2013 წლის ანგარიში. გვ. 64.32.

651 ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 2011. გვ. 372.

პასუხისმგებლობით შეეძლოს თავისი ქმედების ისე წარმართვა, რომ არ ჰქონდეს სახელმწიფოს მხრიდან მოულოდნელი რეაგირების შიში.⁶⁵²

⁶⁵² იქვე.

მაცხრა თავი

განსაკუთრებული პატივმრების პატივრები (მიუსჯელი პატივრები, რელიგიური უმცირესობები, შვი პატივრები, უცხოელი პატივრები)

მსჯავრდებულთა განსაკუთრებული კატეგორიები მნიშვნელოვან მონყვლად ჯგუფს ნარმოადგენს სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში მათი ყოფნის შემთხვევაში, რადგანაც განსაკუთრებული კატეგორიები თავისი სპეციფიურობით და განსაკუთრებული საჭიროებების გავალისწინებით მალალი რისკის მატარებელი არიან, უფლებების დარღვევის თვალსაზრისით. საერთაშორისო სტანდარტები და შესაბამისად ეროვნული კანონმდებლობა განიხილავს სხვადასხვა განსაკუთრებულ კატეგორიებს, მათ შორის: უცხოელი პატიმრები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სულიერად დაავადებული და ფსიქიკური დარღვევების მქონე პატიმრები, მიუსჯელი პატიმრები და რელიგიური უმცირესობები, რომლებიც განხილულია სახელმძღვანელოს მეცხრე თავში.

9.1 უცხოელი პატიმრები

უცხოელი პატიმრები, მონყვლად ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, მაგალითად მათ ენის არ ცოდნის გამო ხშირ შემთხვევაში უჭირთ ან საერთოდ ვერ ახერხებენ კომუნიკაციას პერსონალთან და სხვა პატიმრებთან, ვისთან ერთადაც იმყოფებიან საკანში, ასევე მათ პრობლემა აქვთ ან/და უმეტეს შემთხვევაში ვერ სარგებლობენ ოჯახის წევრებთან შეხვედრის უფლებით, რადგანაც ტერიტორიულად მოშორებული არიან ოჯახს და ოჯახის წევრები ვერ ახერხებენ განახორციელონ ვიზიტი ციხეებში, სადაც ისინი იმყოფებიან.

“პატიმრების შემთხვევაში. უცხოეთის მოქალაქე პატიმრებს, განსაკუთრებით, რომლებიც წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან, უნდა მიეცეთ ყველა გონივრული საშუალება მათი სახელმწიფოს ნარმოადგენლებთან დაკავშირებისა და შეხვედრის-

თვის. თუ ისინი არიან ლტოლვილები და იმყოფებიან მთავრობათაშორისი ორგანიზაციის დაცვის ქვეშ, მაშინ მათ უფლება აქვთ დაუკავშირდნენ და შეხვდნენ კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი კონტაქტი შეიძლება მოხდეს მხოლოდ დაკავებულის თანხმობით. შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევებს, როდესაც უცხოეთის მოქალაქე პატიმრებს ესაჭიროებათ იმ სახელმწიფოში გაძევების ან რეპატრაციისგან დაცვა, რომელშიც, არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ისინი დაექვემდებარებიან წამებას ან არასათანადო მოპყრობას.⁶⁵³ განმარტავს ენდროუ კოილი წიგნში “პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან.”

საქართველოს კანონმდებლობა უცხოელ პატიმრებთან მიმართებაში განიხილავს ორ ძირითად მიდგომას, პირველი რომელიც განმარტავს, რომ პატიმრობის კოდექსი ვრცელდება, როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არ მქონე პირებზე. “პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა გამოიყენება, როგორც საქართველოს მოქალაქეთა, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა მიმართ, საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი წესით⁶⁵⁴.”

მეორე შემთხვევაში უცხოელ პატიმრებთან მიდგომას ვხვდებით პატიმრის უფლებების ნაწილში, მაგალითად როგორცაა შეხვედრის უფლება⁶⁵⁵, რომელიც ძირითადად განიხილავს საკონსულოს ან საელჩოს წარმომადგენლებთან შეხვედრას. “ბრალდებულს/ მსჯავრდებულს უფლება აქვს: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფილი

653 ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის, თბილისი, 2007, გვ 43

654 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 4. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოქმედება სივრცეში და პირთა წრის მიხედვით.

655 მუხლი 14. ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებები, მუხლი 17. პაემნის უფლება

იყოს: ახლო ნათესავებთან შეხვედრით (პაემნით), დამცველ-თან, საკონსულოს და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებთან (უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის) შეხვედრით; ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, უფლება აქვს, შეუზღუდავად შეხვდეს თავისი ქვეყნის საკონსულოს წარმომადგენელს ან იმ ქვეყნის უფლებამოსილ დიპლომატიურ წარმომადგენელს, რომელიც საქართველოში ითავსებს მისი ქვეყნის ინტერესების დაცვას. უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ ურთიერთობები თავიანთი ქვეყნების დიპლომატიურ დაწესებულებებთან და საკონსულოებთან. იმ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოში დიპლომატიური დაწესებულებები და საკონსულოები არ გააჩნიათ, უფლება აქვთ, ჰქონდეთ ურთიერთობები იმ სახელმწიფოთა დიპლომატიურ დაწესებულებებთან და საკონსულოებთან, რომლებმაც საკუთარ თავზე აიღეს მათი ინტერესების დაცვა, ან სახელმწიფოთაშორის ორგანოებთან, რომლებიც ამ პირთა ინტერესებს იცავენ.⁶⁵⁶

გარდა ეროვნული კანონმდებლობისა საერთაშორისო სტანდარტები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს უცხოელი პატიმრების მდგომარეობას ციხეში, ამ შემთხვევაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია⁶⁵⁷ უცხოელი პატიმრების შესახებ, სადაც განხილულია უცხოელი პატიმრების უფლებებისა და ინტერესების პატივისცემა, მათი განსაკუთრებული საჭიროებები და პერსონალი, რომელიც უნდა იყოს სპეციალურად მომზადებული უცხოელ პატიმრებთან სამუშაოდ, ასევე სხვა საკითხები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული უცხოელ პატიმრებთან მუშაობის დროს. “უცხოელ პატიმრებს უნდა ეპყრობოდნენ ადამიანის უფლებების პატივისცემის დაცვით და მათი კონკრეტული მდგომარეობისა და ინდივიდუალუ-

656 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 14. პ. 1. მსჯავრდებულს უფლებები; 17. პ. 13.

657 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)12 წევრი სახელმწიფოებისადმი უცხოელი პატიმრების შესახებ

რი საჭიროებების გათვალისწინებით. პოზიტიური ზომები უნდა იქნას მიღებული დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და სპეციფიკური პრობლემების მოგვარების მიზნით, რომლებიც შესაძლოა უცხოელ პირებს ჰქონდეთ საზოგადოებრივი სასჯელების ან ზომების შეფარდებისას, ციხეში, სახელმწიფოსთვის გადაცემის დროს და გათავისუფლების შემდეგ. უცხოელ პატიმრებს, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ხელმისაწვდომობა თარგმანზე და თარგმნისთვის განკუთვნილ საშუალებებზე და შესაძლებლობა, ისწავლონ ის ენა, რომელიც მათ უფრო ეფექტიანი კომუნიკაციის საშუალებას მისცემს. ციხის რეჟიმი უნდა აკმაყოფილებდეს უცხოელი პატიმრების განსაკუთრებულ სოციალურ საჭიროებებს, ამზადებდეს მათ გათავისუფლებისა და სოციალური რეინტეგრაციისთვის. საკმარისი რესურსები უნდა იქნას გამოყოფილი კონკრეტული სიტუაციისა და უცხოელი პატიმრების განსაკუთრებული საჭიროებების ეფექტიანად უზრუნველყოფის მიზნით. სათანადო ტრენინგი უცხოელ ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან ურთიერთობების კუთხით უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი ხელისუფლების ორგანოებისთვის, უწყებებისთვის, პროფესიონალებისა და ასოციაციებისთვის, რომლებსაც რეგულარული კონტაქტი აქვთ ასეთ პირებთან.”

ევროპის საბჭოს რეზოლუცია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს უცხოელი პატიმრების მიმართ სასჯელის გამოყენების პროცესს, რადგანაც ალტერნატიული სასჯელის გამოყენება უცხოელების მიმართ უნდა იყოს პრიორიტეტი, ისევე როგორც ამავე ქვეყნის მოქალაქის მიმართ და ასევე რეზოლუცია ადგენს უცხოელი პატიმრების მიმართ სასჯელის მოხდისგან ვადამდე ადრე გათავისუფლების ინსტიტუტის გამოყენების ვალდებულებას, აღნიშნული საკითხების განხილვისას არ უნდა იყოს დაშვებული დისკრიმინაციული მიდგომები მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ პატიმარი უცხოელია. “უცხოელ ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ მათ მიმართ განხილული იქნას ისეთივე არასაპატიმრო სასჯელები და ზომები, როგორც სხვა ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების

მიმართ; მათ არ უნდა ეთქვათ უარი განხილვაზე თავიანთი სტატუსის გამო. უცხოელი ბრალდებულები და მსჯავრდებულები არ უნდა იმყოფებოდნენ პატიმრობაში ან არ უნდა შეეფარდოთ საპატიმრო სასჯელები თავიანთი სტატუსის გამო, არამედ მხოლოდ მაშინ, სხვა ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების მსგავსად, როდესაც მკაცრ აუცილებლობას წარმოადგენს, უკიდურესი ზომის სახით. უცხოელ მსჯავრდებულებს, რომლებსაც შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა, უნდა ჰქონდეთ პირობით ვადამდე გათავისუფლების სრული განხილვის უფლება.”

ასევე მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს რეკომენდაცია უცხოელი პატიმრის ექსტრადაციასთან დაკავშირებით, სადაც ის განმარტავს, რომ ასეთი გადაწყვეტილება უნდა იყოს ორიენტირებული ადამიანის უფლებების დაცვაზე “უცხოელ პატიმართა იმ სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება, რომელთანაც მას აქვს კავშირი, მიღებული უნდა იყოს ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველზე, მართლმსაჯულების ინტერესებისა და აღნიშნული პატიმრების სოციალური რეინტეგრაციის საჭიროების გათვალისწინებით.”

უცხოელ პატიმრებთან მუშაობას და მათთან მოპყრობის თავისებურებებს მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ევროპის ციხის წესები 37.1-37.5, სადაც საუბარია მათ კონტაქტზე გარე სამყაროსთან, მათ ინფორმირებულობასა და განსაკუთრებულ საჭიროებებზე, “უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ, რომ აქვთ უფლება, მოითხოვონ კონტაქტი და სათანადო საშუალებები თავიანთი სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლებთან. პატიმრები, რომლებიც არიან იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომელსაც არ გააჩნია აღნიშნულ სახელმწიფოში დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობა, არიან დევნილები ან მოქალაქეობის არმქონე პირები, უნდა იქნან უზრუნველყოფილი მსგავსი საკომუნიკაციო საშუალებით იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან დასაკავშირებლად, რომელიც იცავს მათ ინტერესებს, ეროვნულ ან საერთაშორისო ხელმძღვანელობასთან, რომლის ამოცანაა ასეთი კატეგორიის პირების ინ-

ტერესების დაცვა. ციხეში მყოფი უცხოელი მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე, რომელთაც შეიძლება გააჩნდეთ განსაკუთრებული საჭიროებები, ციხის ადმინისტრაციამ სათანადოდ უნდა ითანამშრომლოს ამ პატიმართა დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლებთან. იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებით კონკრეტული ინფორმაცია უნდა მიენოდოს პატიმრებს, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან. პატიმრებს, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან, უნდა ეცნობოთ იმის შესახებ, რომ მათ აქვთ თავიანთი სასჯელების სხვა ქვეყანაში აღსრულების მოთხოვნის შესაძლებლობა.” იგივე მიდგომებით განიხილავს გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურის სტანდარტები უცხოელ პატიმრებთან მიდგომებს, რომელიც როგორც ევროპული ციხის წესები ყურადღებას უთმობს დიპლომატიურ წარმომადგენლებთან ურთიერთობას “უცხოელ პატიმრებს უნდა შეექმნათ პირობები მათი ქვეყნის დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლებთან ურთიერთობისთვის⁶⁵⁸”, სხვა განსაკუთრებულ მიდგომას მინიმალურ წესებში არ ვხვდებით.

საერთაშორისო პრაქტიკის განხილვისას ირლანდიის კანონმდებლობაში ვხვდებით ცალკე თავებს უცხოელები და უცხოელებთან ვიზიტი⁶⁵⁹, სადაც განმარტებულია, რომ უცხოელ პატიმრები უნდა იყვნენ აღჭურვილი ყველა საშუალებით, რომ დაუკავშირდნენ და შეხვდნენ თავისი ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლებს, ასევე ადგილი ეთმობა მათ ინფორმირებულობას, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ლტოლვილებზე და თავშესაფრის მაძიებელ პირებზე.

საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოცემული პერიოდისთვის იმყოფება 100-ზე მეტი უცხოელი პატიმარი, რომელთაგან არიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები.

658 გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურის სტანდარტული წესები, წესი 38

659 Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007, Prison Rules, 2007. Published by the stationery office Dublin To be purchased directly from the Governement Publications Office, Foreign nationals, Visit to foreign national

დგენლები, მაგალითად რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ირანი, ჩინეთი და სხვ. სხვადასხვა საერთაშორისო ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მომზადებულია სასაუბროები, რომელიც მათ აძლევთ კომუნიკაციის საშუალებას ელემენტარულ დონეზე, თუმცა მნიშვნელოვანია პრობლემები, რომელიც დარეგულირებას საჭიროებს, ეს არის თარჯიმნის სამსახურის ადგილზე არ ქონა, ენის შემსწავლელი კურსების არ არსებობა და სხვა ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც სისტემაში უცხოელი პატიმრის ადეკვატური პირობების უზრუნველყოფის ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

9.2 მიუსჯელი პატიმრები

განსაკუთრებულ კატეგორიებში განიხილება მიუსჯელი პატიმრები, რომლებიც სასამართლოს განაჩენით ჯერ არ არიან ცნობილი დამნაშავედ და ამდენად მათთან მოპყრობა საქართველოს კონსტიტუციის თანახმად უნდა მოხდეს, როგორც უდანაშაულო პირის მიმართ “ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული განაჩენით⁶⁶⁰”, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა ეს ადამიანები იმყოფებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და ამდენად მათ შეზღუდული აქვთ ყველა ის უფლება, რომლის შეზღუდვა დაკავშირებულია პატიმრობასთან.

ენდროუ კოილი წიგნში “პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან” ფართოდ განმარტავს მიუსჯელ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებებს, როგორც სრულწლოვნებთან ასევე არასრულწლოვნებთან მიმართებაში, და განიხილავს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებს, “არსებობს ქვეყნები, სადაც დაკავებული პირების დიდი ნაწილისთვის, ხშირად უმრავლესობისთვისაც კი, გამამტყუნებელი განაჩენი ჯერ არ გამოუტანიათ. ზოგის საქმე შესაძლებელია ჯერ კიდევ გამოძიებაშია, არ არის დადგენილი, იქნება თუ არა სასამართლო ან, უბრალოდ, ელოდება სასამართლო პროცესს. წინასწარი

660 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 40

პატიმრობის დაწესებულებების მართვისას, მნიშვნელოვანია, რომ თავისუფლებაშეზღუდული პირები ითვლებოდნენ უდანაშაულოდ მანამდე, სანამ საპირისპიროს არ დაადგენს სასამართლო. მსჯავრდებული პატიმრებისგან განსხვავებით, მათი თავისუფლების შეზღუდვა არ წარმოადგენს სასჯელს, რადგანაც არ არის დადგენილი, არიან თუ არა ეს უკანასკნელნი დამნაშავეები. ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ ამ პირებისადმი მოპყრობა შეესაბამებოდეს და ასახავდეს მათ სტატუსს. დაკავებულ პირთა დიდი რაოდენობა სასამართლოში უმეტესწილად გამამართლებელ გადაწყვეტილებას იღებს, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება იმის აუცილებლობა, რომ წინასწარი დაკავებისას, ისინი აუცილებლად უდანაშაულოდ უნდა იყვნენ აღიარებულნი.

ხშირია შემთხვევები, როდესაც შემდგომში ბრალდებულად ცნობილი პატიმრები იმაზე დიდხანს ატარებენ წინასწარი დაკავების საკნებში, ვიდრე სასამართლო შემდეგ დაადგენს ხოლმე. აღნიშნული, როგორც წესი, ნელი სამართალწარმოების ბრალია. მსგავსი ფაქტები, პატიმრებში აღძრავს უკმაყოფილების გრძნობას, რაც შემდეგ აისახება კიდევ მათ საქციელზე. ციხის ადმინისტრირებისას, მოცემული ფაქტორი აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული. სახელმწიფოში სასამართლო წარმოების ნელი ტემპი პირდაპირ აისახება წინასწარ გამოძიებაში მყოფი პატიმრების გადაჭარბებულ რაოდენობასა და ციხის გადატვირთვაზე. ერთ-ერთი მიზეზი პატიმართა სიღარიბეც გახლავთ, რადგანაც მათ არ ძალუძთ გირაოს გადახდა. მსოფლიოში, ცალკეულ რეგიონებში, ციხეში მყოფ პირთა ნახევარზე მეტს სწორედ წინასწარ გამოძიებაში მყოფი პატიმრები წარმოადგენენ. მაგალითად ჰონდურასში, ბურუნდიში, მოზამბიკსა და ინდოეთში მათი რაოდენობა 70%-ს აჭარბებს. დაუშვებელია წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების იმგვარ პირობებში ჩაყენება, რომ ისინი აიძულო, ითანამშრომლონ გამოძიებასთან ან, თუნდაც, აღიარონ ბრალი. გამოძიების ორგანოსა თუ პროკურატურის წარმომადგენელს არ უნდა შეეძლოს მოახდინოს ზეგავლენა ციხის ადმინისტრაციაზე და მიუთითოს, თუ როგორ

მოექცნენ წინასწარ პატიმრობაში მყოფ ამა თუ იმ პატიმარს. ინდოეთში, ერთ ან ორ თვეში ერთხელ ხდება უზენაესი მაგისტრების ციხეში გაგზავნა. მოცემული აქტივობა წარმოადგენს “ხალხის სასამართლოს” პროგრამის ერთ-ერთ კომპონენტს. ამგვარი პროგრამის, სახელად “ლოკ ადალატ” მაგალითია მაგისტრის გაგზავნა რაჯაჰმუნდრის ცენტრალურ ციხეში, სადაც მაგისტრმა შეძლო დღეში 23 საქმის განხილვა, რასაც, ჩვეულებრივი პროცედურის მიხედვით, საკმაოდ დიდი დრო დასჭირდებოდა”.

წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები უდანაშაულოდ ითვლებიან და, შესაბამისად, არ უნდა ემორჩილებოდნენ იგივე წესებსა და კანონებს, რაც განსაზღვრულია მსჯავრდებულებისადმი. ამ სახელმძღვანელოს მესამე თავი ეხება ციხეში მიღების პირობებს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც პატიმრობის პირველი წუთები, უმეტესი დაკავებული პირისთვის წინასწარი პატიმრობით იწყება. მათთვის ციხეში ყოფნის პირველი დღეები განსაკუთრებით რთული იქნება. ამიტომაც, ყოველივე ზემოთ აღნიშნული აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ციხის ადმინისტრაციამ.

“ციხეები, ზოგადად, იმართება დანესებულების ხელმძღვანელობისთვის ყველაზე ხელსაყრელი მეთოდებით. ამის შედეგად შესაძლებელია, რომ ყველა დაკავებული პირისადმი მოპყრობა იდენტური იყოს, იქნება იგი ქალი თუ მამაკაცი, ზრდასრული თუ არასრულწლოვანი, მსჯავრდებული თუ ეჭვმიტანილი. მიუხედავად იმისა, რომ დანესებულებისთვის ამგვარი მიდგომა უფრო იოლია, იგი არ ემსახურება სამართლიანობის ინტერესებს. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები არ არიან დადასტურებული დამნაშავეები და მათ არ უნდა მოექცნენ მსჯავრდებულების მსგავსად. სასამართლო ხელისუფლებამ მოითხოვა მათი თავისუფლების შეზღუდვა და არ დაუნესებია მათთვის დამატებითი სასჯელი. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები უნდა იყვნენ მსჯავრდებულებისგან განცალკევებულნი. მრავალ ქვეყანაში ასეთი განცალკევების უშუალო შედეგი არის ის, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები მრავალგზის უარეს პირობებში აღ-

მოჩნდებიან, ვიდრე მსჯავრდებულები. ციხე გადატვირთულია, საცხოვრებლად ძალიან ცუდი პირობებია და ნაკლებია შეხება ციხის სხვა საშუალებებთან. საჭიროა, რომ მსგავსი შედეგები თავიდან ავიცილოთ. ის ფაქტი, რომ აღნიშნული პირები უდანაშაულოდ ითვლებიან, უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ მათი საცხოვრებელი პირობები უკეთესი თუ არა, ტოლფასი მაინც იქნება მსჯავრდებულთა პირობებისა. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების შესახებ წესები უნდა მოიცავდეს ისეთ პრაქტიკულ საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად, როდის შეიძლება ჩაიცვან მათი საკუთარი ტანსაცმელი, ხელმისაწვდომობა საკვებზე, წიგნებსა და სხვა მასალებზე, ასევე, ვიზიტებზე. დაუშვებელია, მათ მოვთხოვოთ მუშაობა, მაგრამ, სურვილის შემთხვევაში, ამის საშუალება უნდა არსებობდეს. “

მნიშვნელოვანია ენდროუ კოილის განმარტება ციხის დაცულობასთან და რისკის შეფასებასთან დაკავშირებით, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ყველა პატიმარი, მსჯავრდებული თუ ექვმიტანილი, უნდა განთავსდეს შესაბამისად დაცულ ციხეში. ხშირია შემთხვევები, როდესაც მსჯავრდებული პატიმრები განთავსებული არიან სხვადასხვა რეჟიმის ციხეებში, ხოლო წინასწარ პატიმრობაში მყოფები კი, ყოველთვის მკაცრი რეჟიმის ციხეებში ხვდებიან. აღნიშნული მიდგომა გაუმართლებელია. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრებიც უნდა დაექვემდებარონ მათგან გამომდინარე რისკის შეფასებას. გაუმართლებელია, ნაკლებად და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილი პირები ერთნაირ რეჟიმში იყვნენ განთავსებულნი.

აღსანიშნავია საქართველოს კანონმდებლობის მიდგომა მიუსჯელ პატიმრებთან მიმართებაში, სადაც საქართველოს პატიმრობის კოდექსი⁶⁶¹ ცალკე თავს უთმობს პატიმრობის აღსრულების წესისა და პირობების განმარტებას, სადაც განხილულია, როგორც პატიმრობის აღსრულების ადგილი, ასევე ყოფნის პირობები, შეხვედრების ორგანიზება დაწესებულებიდან გაყვანისა და შემოყვანის სტანდარტები და სხვა ის სპეციფიური თემები, რომელიც დაკავშირებულია მიუსჯელი პირის პატიმრობის

661 პატიმრობის კოდექსი, თავი XIII პატიმრობის აღსრულების წესი

პროცედურებთან, კანონმდებლობა განმარტავს დაწესებულების ტიპს, სადაც უნდა განთავსდეს ნებისმიერი მიუსჯელი პატიმარი - პირს, რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა, ათავსებენ პატიმრობის დაწესებულებაში.

საქართველოს კანონმდებლობა ასევე განმარტავს თუ რა ტიპის საკნებში უნდა იყვნენ განთავსებული მიუსჯელი პატიმრები, ერთი პატიმრისთვის განსაზღვრულ ფართობს, საკანში მოთავსების თავისებურებას და სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებს “პატიმრობის დაწესებულებაში მყოფი პირი თავსდება საკანში. 1 ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა პატიმრობის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 2,5 კვ. მეტრზე ნაკლები. ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულებს ადმინისტრაცია საჭიროების შემთხვევაში ან გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ცალ-ცალკე ათავსებს. ადმინისტრაცია ვიზუალური და ელექტრონული საშუალებებით ახორციელებს ბრალდებულზე მეთვალყურეობას⁶⁶².

კანონმდებლობა ასევე განმარტავს მიუსჯელი პირის საპატიმრო დაწესებულებაში მიღების საფუძვლებს და პროცედურებს “ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებაში მიღებისას აუცილებელია მისი ფოტოგრაფირება და დაქტილოსკოპირება. ფოტოსურათები და მათი ნეგატივები, აგრეთვე დაქტილოსკოპიური ბარათი, სიტყვიერი პორტრეტი ბარათის მიხედვით ინახება ბრალდებულის პირად საქმეში. ბრალდებულის დაქტილოსკოპიურ ბარათს ადმინისტრაცია უგზავნის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ცენტრალურ ან შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს ან განყოფილებას დაქტილოსკოპირების ჩატარებიდან 7 დღის ვადაში. პატიმრობის დაწესებულებაში მიღებისას ბრალდებული და მისი პირადი ნივთები საგულდაგულოდ მოწმდება, რის შესახებაც დგება შესაბამისი აქტი.

662 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 74. 1. პატიმრობის დაწესებულების სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. პ 2-5

ბრალდებულის შემონმებას ახორციელებს პატიმრობის დაწესებულების იმავე სქესის თანამშრომელი. პატიმრობის დაწესებულებაში მიღებისას ბრალდებულმა უნდა გაიაროს სამედიცინო შემონმება, რომელსაც ახორციელებს პატიმრობის დაწესებულების ექიმი. შემონმების შესახებ დგება შესაბამისი ცნობა. ბრალდებულის სხეულზე დაზიანების დაფიქსირების შემთხვევაში ადმინისტრაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს პროკურორს.”.

ასევე, მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობის მიდგომა საპატიმრო დაწესებულებაში მიუხედავად პატიმრების მიღების დროს მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმირებულებისადმი, “პატიმრობის დაწესებულების უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ აცნობს ბრალდებულს მის უფლებებსა და მოვალეობებს მისთვის გასაგებ ენაზე. პატიმრობის დაწესებულებაში ბრალდებულის მიღებიდან არა უგვიანეს 24 საათისა ინფორმაცია ბრალდებულის შესახებ იგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროში⁶⁶³.”.

კანონმდებლობა განიხილავს შემთხვევებს, როცა ბრალდებული შესაძლებელია გაყვანილ იქნას საპატიმრო დაწესებულებიდან ან მოხდეს მისი გადაყვანა სხვა დაწესებულებაში “ბრალდებულის გადაყვანის შესახებ მისი მიმღები პატიმრობის დაწესებულების ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ აცნობებს გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს, ასევე მის ახლო ნათესავს. ბრალდებულის გაყვანის ან გადაყვანის შემთხვევაში პატიმრობის დაწესებულების ექიმი ახორციელებს ბრალდებულის სამედიცინო შემონმებას, რის თაობაზედაც დგება შესაბამისი სამედიცინო ცნობა⁶⁶⁴”.

663 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 75. ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებაში მოსათავსებლად აუცილებელია სასამართლოს გადაწყვეტილება პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ, ბრალდებულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტი ფოტოსურათით. პ. 1.

664 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 76. 1. პატიმრობის დაწესებულებიდან ბრალდებულის გაყვანისა და გადაყვანის წესს ამტკიცებს მინისტრი.

საქართველოს კანონმდებლობაში ასევე ვხვდებით მიუსჯელი პატიმრისთვის პაემნის განხორციელების პროცედურებს და მისი შეწყვეტის შესაძლებლობის კანონით დადგენილ წესს “ბრალდებული სარგებლობს 1 თვის განმავლობაში არა უმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით. აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე. გამომძიებლისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, პატიმრობის დაწესებულების თანამშრომელს, რომელიც ვიზუალურად აკვირდება ბრალდებულის ხანმოკლე პაემანს, შეუძლია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მისი მსვლელობა.”⁶⁶⁵ “

დადებით პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს საქართველოს კანონმდებლობის დათქმა, რომელიც განსაზღვრავს მიუსჯელი პირის მიერ საპატიმრო დაწესებულების დროებით დატოვების შესაძლებლობას, მისი ნათესავის ავადმყოფობის ან გარდაცვალების შემთვევაში, აქვე კანონი განმარტავს ხარჯების ანაზღურების წესს და პროცედურებს, “თუ მიღებული იქნება სარწმუნო ცნობა ბრალდებულის ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისთვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე, ასევე თუ აუცილებელია ბრალდებულის მონაწილეობა საპროცესო მოქმედებაში, გამომძიებელს ან პროკურორს შეუძლია გასცეს ბრალდებულის მიერ პატიმრობის დაწესებულების დროებით დატოვების ნებართვა 2 დღემდე ვადით. პატიმრობის დაწესებულების დროებით დატოვებასთან დაკავშირებული ხარჯები დაეკისრება ბრალდებულს, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც დაკავშირებულია ბრალდებულის გაყვანასთან საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად.”⁶⁶⁶“

საქართველოს კანონმდებლობაში ასევე განმარტებულია იმ უფლებების ნუსხა, რომელიც პატიმრებს შეიძლება ჰქონდეთ მათი საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნის დროს, მოცემულ შემთხვევაში პატიმრობის კოდექსის 79-ე მუხლში განმარტებულია ის უფლებები, რომელიც მას აქვს, როგორც პატიმარს

665 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 77. 1.

666 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 78.

“ბრალდებულს პატიმრობის დანესებულებაში ყოფნისას უფლება აქვს: პატიმრობის დანესებულების ტერიტორიაზე არსებულ მალაზიაში შეიძინოს კვების პროდუქტები იმ თანხით, რომელიც მის პირად ანგარიშზე ჩარიცხეს ახლო ნათესავებმა ან სხვა პირებმა. კვების პროდუქტების შესაძენად პირადი თანხის გამოყენება დაიშვება მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით; ატაროს პირადი ტანსაცმელი, ხოლო თუ ასეთი ტანსაცმელი არ გააჩნია – ადმინისტრაციის მიერ გაცემული, სეზონის შესაფერისი ტანსაცმელი; ადმინისტრაციის კონტროლით, საკუთარი ხარჯით აწარმოოს მიმოწერა და 1 თვის განმავლობაში 3-ჯერ ჰქონდეს სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა; ისარგებლოს ბიბლიოთეკის წიგნებით და პრესით; ადმინისტრაციის ნებართვით იქონიოს საკუთარი რადიომიმღები ან ტელევიზორი⁶⁶⁷.” კანონმდებლობა უშვებს გამონაკლისს, როდესაც შესაძლებელია გარკვეული შეზღუდვების დაშვება, რომელიც შეიძლება დაიშვას გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით.

როდესაც ვსაუბრობთ მიუსჯელი პატიმრების უფლებებზე და ყოფნის პირობებზე მნიშვნელოვან მიდგომებს ვხვდებით, როგორც ევროპული ციხის წესების, ასევე გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების გაცნობისას. მიუსჯელ პატიმრებთან მოპყრობის და მათთან მუშაობის თავისებურებების განხილვისას, მინიმალური სტანდარტული წესები⁶⁶⁸ მნიშვნელოვან ადგილს უთმობს იმ გარემოებას, რომ წინასწარ გამოძიებაში მყოფი პატიმრები ითვლებიან უდანაშაულოდ და მათ შესაბამისად უნდა ეპყრობოდნენ, რაშიც მოიაზრება მათი ინორმირებულობა, შეხვედრები და ყველა ის სპეციფიური მიდგომა, რომელმაც მათ უნდა შეუმსუბუქოს ციხეში ყოფნის პირობები. „პირები, რომლებიც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ბრალდებით არიან დაკავებულნი და იმყოფებიან პატიმრობაში პოლიციის განყოფილებაში ან ციხეში, მაგრამ ჯერ არ წარმდგარან

667 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 79.

668 გაეროს წინასწარ გამოძიებაში მყოფ პატიმრებთან მოპყრობის ძირითადი პრინციპები წესი 84-93

სასამართლოს წინაშე და მათი ბრალეულობა ჯერ არ დამტკიცებულა, ქვემოთ მოცემულ წესებში მოიხსენიებიან, როგორც “წინასწარ გამოძიებაში მყოფი პატიმრები. წინასწარ გამოძიებაში მყოფი პატიმრები უდანაშაულოდ ითვლებიან და მათ შესაბამისად უნდა ეპყრობოდნენ. წინასწარ გამოძიებაში მყოფი პატიმრებისადმი მოპყრობის შესახებ საკანონმდებლო დებულებების დაცვის პირობებში, აღნიშნული კატეგორიის პატიმრების მიმართ გამოიყენება სპეციალური რეჟიმი, რომლის ძირითადი დებულებები მოყვანილია ქვემოთ მოცემულ წესებში.⁶⁶⁹”

მინიმალური სტანდარტული წესები ასევე ადგენს მიუხედავად პირის დაწესებულებაში განთავსების თავისებურებებს, როგორც სრულწლოვანი ისე არასრულწლოვანი პირების მიმართ “განსასჯელი პირები უნდა მოთავსდნენ იმ პატიმართაგან განცალკევებით, რომლებიც ექვემდებარებიან სასამართლო განაჩენს. არასრულწლოვანი განსასჯელი პირები უნდა მოთავსდნენ სრულწლოვანთაგან განცალკევებით, ამასთანავე, ისინი უნდა იმყოფებოდნენ განცალკევებულ დაწესებულებებში. განსასჯელ პირებს სძინავთ განცალკევებით მდებარე ოთახებში, ამასთანავე, გათვალისწინებულია გარკვეული შეზღუდვები ადგილობრივი ჩვეულების საფუძველზე. როდესაც ეს არ არღვევს დაწესებულებაში მიღებულ წესრიგს, გამოძიებაში მყოფ პატიმრებს შეიძლება დაერთოთ ნება, რომ სურვილის შემთხვევაში მიიღონ საკვები გარედან საკუთარი დანახარჯებით – ციხის ადმინისტრაციის, ოჯახის წევრების ან მეგობრების მეშვეობით. სხვა შემთხვევაში, პატიმრის კვებას უზრუნველყოფს ადმინისტრაცია. გამოძიებაში მყოფ პატიმრებს უფლება აქვთ ატარონ სამოქალაქო ტანსაცმელი იმ პირობით, რომ იგი სუფთად და შესაფერისად უნდა გამოიყურებოდეს. ხოლო თუ გამოძიებაში მყოფი პატიმრები ატარებენ ციხის უნიფორმას, ის უნდა განსხვავდებოდეს მსჯავრდებულთა უნიფორმისგან. განსასჯელ პირს ყოველთვის შესთავაზებენ მუშაობის შესაძლებლობას, მაგრამ ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს აუცილებელ მოთხოვნილებას. იმ შემთხვევაში, თუ კი განსასჯელი თავად აირჩევს სამუშაოს, მას

⁶⁶⁹ გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 84

განეული მუშაობისათვის გადაუხდიან. ყველა ბრალდებულ პატიმარს უნდა ჰქონდეს საშუალება საკუთარი სახსრებით ან მესამე პირების მეშვეობით შეიძინოს წიგნები, გაზეთები, საწერი და სხვა ნივთები, რომლებიც მისცემენ მათ დროის ნაყოფიერად გამოყენების საშუალებას, იმის გათვალისწინებით, რომ ეს თავსებადია სამართლის აღსრულების ინტერესებთან, უსაფრთხოებისა და დანესებულებაში ნორმალური ცხოვრების მოთხოვნებთან.⁶⁷⁰”

ყურადღებას იპყრობს განსხვავებული მიდგომები, რომლებსაც ვხვდებით გაეროს მინიმალური წესების განხილვისას, როგორცაა მიუსჯელი პირების უფლება ისარგებლონ პირადი ექიმის მომსახურებით, “ბრალდებულ პატიმრებს უფლება უნდა მიეცეთ, რათა ციხეში ყოფნის პერიოდში ისარგებლონ საკუთარი ექიმის ან სტომატოლოგის მომსახურებით იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ასეთი მოთხოვნა გამართლებულია და თუ მათ შეუძლიათ დაფარონ ამ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები.⁶⁷¹”

ასევე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ოჯახის წევრების ინფორმირების, ასევე ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ურთიერთობის ხელმისაწვდომობა, თუ რაიმე სახის შეზღუდვა არ იქნება კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში უფლებამოსილი პირების გადანყვეტილებით, “დაპატიმრებულ პირს უნდა მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ დაუყოვნებლივ შეატყობინოს თავის ოჯახს დაპატიმრების შესახებ. მას უნდა მიეცეს აგრეთვე ყველა საშუალება ოჯახთან და მეგობრებთან ურთიერთობისთვის და მათი ვიზიტებისთვის, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს ან შედგეს ზედამხედველობის ქვეშ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა სამართლის აღსრულების, უსაფრთხოებისა და დანესებულებაში წესრიგის შესარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე.⁶⁷²”

670 გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 85 -89

671 გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 91

672 გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 92

ასევე მინიმალური სტანდარტული წესები განიხილავს მიუსჯელი პატიმრების ურთიერთობას მის დამცველთან, ურთიერთობის კონფიდენციალობას და კანონით დადგენილი კონტროლის სტანდარტებს „წინასწარ პატიმრობაში მყოფ თავისუფლებაალკვეთილ პირს უფლება აქვს მიიღოს თავისი ადვოკატი დაცვის მომზადებისა და მისთვის კონფიდენციალური ინსტრუქციების მიცემის მიზნით. ამისთვის, მისი სურვილის შემთხვევაში, მას უნდა მიენოდოს საწერი მასალები. ადვოკატსა და პატიმარს შორის საუბარი უნდა იმართებოდეს პოლიციელის ან ციხის თანამშრომლის ზედამხედველობით, მაგრამ ამ უკანასკნელთ არ უნდა ესმოდეთ მათი საუბარი⁶⁷³.“

ევროპული პენიტენციური წესები ასევე განიხილავს მიუსჯელ პატიმრებთან (ბრალდებულებთან) მუშაობის სპეციფიკას, მათ სტატუსს - მიუსჯელი პირის სტატუსის მცნებას ევროპის ციხის წესები განიხილავს ისე, როგორც საქართველოს კანონმდებლობაშია განსაზღვრული „ციხის ევროპული წესების მიზნებისთვის, მიუსჯელი პატიმრები არიან ის პირები, რომლებიც იმყოფებიან ციხეში სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენის გამოტანამდე. სახელმწიფოს შეუძლია პატიმრები მიიჩნიოს მიუსჯელად იმ შემთხვევაშიც, თუ მათ მიმართ სააპელაციო/საკასაციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება არ გამოუტანია.⁶⁷⁴“

წესები ასევე განიხილავს ამ კატეგორიის პატიმრებთან მიდგომას, განთავსების თავისებურებებს, ტანსაცმელს, კონტაქტს გარე სამყაროსთან და დასაქმების საჭიროებას, “მიუსჯელი პატიმრებისთვის არსებული რეჟიმი არ უნდა გულისხმობდეს იმას, რომ პატიმრები შესაძლოა მომავალში გახდნენ მსჯავრდებულები. ციხის წესების ამ ნაწილში მოცემული დებულებები წარმოადგენს დამატებითი უსაფრთხოების გარანტიებს

673 გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 93

674 ევროპის პენიტენციური წესები 94.1 - 100.2: წესი. 94 მიუსჯელი პატიმრების სტატუსი; წესი 95 მიუსჯელი პატიმრებისადმი მიდგომა, წესი 96 განთავსება, წესი 97 ტანსაცმელი; წესი 98 სამართლებრივი დახმარება, წესი 99 კონტაქტი გარე სამყაროსთან, წესი 100 - სამუშაო

მიუსჯელი პატიმრებისთვის. წინასწარი პატიმრობის ციხეების ადმინისტრაციამ უნდა იხელმძღვანელოს ამ წესებით და ნება დართოს პატიმრებს, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობაში, რომლებიც მოცემულია წინამდებარე წესებში. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ შეიძლება ამის პრაქტიკაში გატარება, მიუსჯელ პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, აირჩიოს, სურს თუ არა ოთახში მარტო ცხოვრება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეიძლება უკეთესი იყოს მიუსჯელ პატიმართან ერთად მისი ცხოვრება, ან სასამართლოს მიუსჯელი პატიმრის განთავსებასთან დაკავშირებით მიღებული აქვს სპეციალური გადაწყვეტილება. მიუსჯელი პატიმრები უფლებამოსილი უნდა იყვნენ, ატარონ საკუთარი ტანსაცმელი, თუ ეს კონკრეტულ ციხეში ყოფნის შესაბამისია. იმ მიუსჯელ პატიმრებს, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარი ტანსაცმელი, უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ციხის ადმინისტრაციის მიერ უნიფორმით, რომელიც, თავის მხრივ, უნდა იყოს ისეთივე, როგორსაც ატარებენ მისჯილი პატიმრები ციხეებში. მიუსჯელი პატიმრები უნდა იყვნენ სრულად ინფორმირებულნი მათი უფლების შესახებ სამართლებრივი რჩევის მიღების თაობაზე. ყველა ციხის შენობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი იმისთვის, რომ მიუსჯელ პატიმრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოემზადონ დასაცავად და შეხვდნენ საკუთარ წარმომადგენლებს/იურისტებს.”

ევროპული ციხის წესები განმარტავს, რომ თუ სასამართლო არ დაადგენს რაიმე სახის შეზღუდვებს, რომელიმე კონკრეტული პატიმრის მიმართ, მათ ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სხვადასხვა სერვისებზე, კერძოდ “გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილება დროის განსაზღვრულ პერიოდზე და, კონკრეტულ შემთხვევებში, მიუსჯელ პატიმრებზე: უნდა ჰქონდეთ ვიზიტები და იყვნენ უფლებამოსილი, იკონტაქტონ საკუთარ ოჯახთან და სხვა პირებთან ისეთივე წესების დაცვით, როგორც მისჯილმა პატიმრებმა; უნდა გააჩნდეთ დამატებითი ვიზიტები და ხელმისაწვდომობა სხვა სახის კომუნიკაციაზე და უნდა გააჩნდეთ ხელმისაწვდომობა წიგნებზე, გაზეთებსა და სხვა საინფორმაციო საშუალებე-

ბზე. მიუსჯელ პატიმრებს უნდა შესთავაზონ სამუშაო, მაგრამ არ შეიძლება მოეთხოვოთ მუშაობა.”

მიუსჯელ პატიმრებთან მუშაობას და მათთან მოპყრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც საერთაშორისო სტანდარტების ასევე ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებშიც, რადგანაც ეს ადამიანები მოცემულ ეტაპზე ითვლებიან უდანაშაულოდ და მათ იცავს უდანაშაულობის პრეზუმფიცია, ამასთან მათი უმეტესობა პირველად ხვდებიან საპატიმრო დანესებულებაში, ამდენად განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან ციხის პირობებისა და მათი მოპყრობის მიმართ, ციხის პირობებმა მათ მიმართ არ უნდა იქონიოს დამანგრეველი ეფექტი ხელი შეუწყონ მათ ადაპტირებას ციხის გარემოსთან ვიდრე ისინი დარჩებიან ციხეში, ხოლო გათავისუფლების შემთხვევაში მათ ინტეგრირებას საზოგადოებასთან.

9.3 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სულიერად დაავადებული და ფსიქიკური დარღვევების მქონე და ხანდაზმული პატიმრები

განსაკუთრებული კატეგორიების ნაწილში საერთაშორისო სტანდარტები განიხილავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სულიერად დაავადებული, ფსიქიკური დარღვევების მქონე და ხანდაზმულ პატიმრებს, რომლებიც მათი ფიზიკური, ასაკობრივი და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე განიხილებიან, როგორც განსაკუთრებულად მონყვლადი კატეგორია. ყოველ მათგანს აქვთ განსაკუთრებული საჭიროებები, როგორც ზოგადად განთავსებისა და საყოფაცხოვრებო პირობების თვალსაზრისით, ასევე ხშირ შემთხვევაში ასეთი კატეგორიის პატიმრები საჭიროებენ განსხვავებულ ინფრასტრუქტურას, ამასთან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებენ სპეციფიურ/პროფილურ სამედიცინო მომსახურებას. ყოველივე აღნიშნული საჭიროებები ხშირ შემთხვევაში არ არის ორგანიზებული და ხელმისაწვდომი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ამდენად ეს ადამიანები ხშირად ან დგებიან უფლებების დარღვევის რისკის ქვეშ ან ირღვევა მათი უფლებე-

ბი. ციხეების ადმინისტრაციას ჭირდება მეტი ძალისხმევა, რათა ეს ადამიანები იმყოფებოდნენ შესაბამის საყოფაცხოვრებო და მოვლის პირობებში.

მნიშვნელოვანია გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების⁶⁷⁵ დამოკიდებულება სასჯელის მიზნის მიღწევასთან დაკავშირებით, სადაც წესები სახელმწიფოებს მოუწოდებს სასჯელის მოხდის პროცესის ორგანიზებისა და გათავისუფლების პროცესის დაგეგმვისას ყურადღება დაუთმონ, როგორც სხვა გარემოებებს, ასევე პატიმრის ფიზიკურ და გონებრივ ჯანმრთელობას და შესაძლებლობებს. თავისუფლებაა ლკვეთილი ან მსგავსი ღონისძიება შეფარდებული პირების მოპყრობის მიზანი, რამდენადაც სასჯელის ვადა იძლევა ამის შესაძლებლობას, უნდა იყოს მათში იმ სურვილის ჩანერგვა, რომ გათავისუფლების შემდეგ ისინი გახდნენ კანონმორჩილი, ციხეებში მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილება პიროვნული შეცვლისა და განვითარებისთვის შესაძლებლობების მიცემა, საქმიანობებით უზრუნველყოფის ვალდებულება კანონმორჩილი და თვითუზრუნველყოფადი ცხოვრებით, აგრეთვე, მოპყრობა უნდა იყოს ისეთი, რომ ხელს უწყობდეს მათში თავმოყვარეობის და პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივებას. ამ მიზნით, გამოყენებული უნდა იქნას ყველა შესაფერისი საშუალება, მათ შორის რელიგიური ზრუნვა იმ ქვეყნებში, სადაც ეს შესაძლებელია, განათლება, პროფესიულ-ტექნიკური ინსტრუქტაჟი და სწავლება, სოციალური საკითხების გარჩევა, კონსულტაცია დასაქმებასთან დაკავშირებით, ფიზიკური განვითარება და მორალური ხასიათის გაძლიერება, თითოეული პატიმრის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად და მისი სოციალური და დანაშაულებრივი ისტორიის, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების, პირადი ტემპერამენტის, სასჯელის ხანგრძლივობის და გათავისუფლების შემდგომი პერსპექტივების გათვალისწინებით.

ენდროუ კოილი თავის ნაშრომში ყურადღებას უთმობს ხანდაზმულ პატიმრებთან მოპყრობას. ზოგ ქვეყანაში ხანგრძლივი ან განუსაზღვრელი ვადით სასჯელის მზარდი გამოყენება იწვე-

675 გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები

ვს ციხის მოსახლეობაში ასაკთან დაკავშირებული სამედიცინო პრობლემების მომრავლებას. ეს დამატებით მოთხოვნებს აყენებს ციხის ადმინისტრაციის წინაშე, კერძოდ, მან უნდა უზრუნველყოს სათანადო ჯანდაცვის ღონისძიებების დაგეგმვა. ხანშიშესულ პატიმრებთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები მიმოხილულია სახელმძღვანელოს მე-14 თავში.⁶⁷⁶

ასევე ნებისმიერი კატეგორიის პატიმრისთვის ადეკვატური პირობების უზუნველყოფის ვალდებულებას ადგენს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, რომელიც განმარტავს, რომ "ბევრი ქვეყანა დიდ სიძნელეებს განიცდის ზოგადად მოსახლეობისთვის მაღალი ხარისხის ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების თვალსაზრისით. ამ პირობებშიც კი, პატიმრებს აქვთ უფლება, მიიღონ მაქსიმალურად მაღალი ხარისხის ჯანდაცვის მომსახურება და თანაც უფასოდ. წამების თავიდან აცილების ევროპის კომიტეტმა განაცხადა, რომ მძიმე ეკონომიკური სიდუხჭირის დროსაც კი, ვერაფერი გაათავისუფლებს სახელმწიფოს იმ მოვალეობისგან, რომ მან ცხოვრებისთვის საჭირო პირობებით უზრუნველყოს ისინი, ვისაც ის თავისუფლებას ართმევს. კომიტეტს ასევე ნათლად აქვს ნათქვამი, რომ ცხოვრებისთვის საჭირო პირობები მოიცავს საკმარის და სათანადო სამედიცინო უზრუნველყოფასაც.⁶⁷⁷"

ქართული კანონმდებლობა პრაქტიკულად გვერდს უვლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მათ მდგომარეობას, მათთან მოპყრობასა და მოვლის პირობებს, კანონმდებლობაში მხოლოდ ვხვდებით რამდენიმე მოკლე ჩანაწერს კანონში ამ საკითხებთან მიმართებაში, კერძოდ პირველ მიმართულებას, სადაც კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მოიხსენიებს არის საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფა მათი მდგომარეობიდან გამომდინარე "ორსულ

676 ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის, თბილისი, 2007, გვ 54

677 წამების და არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის თავიდან აცილების ევროპის კომიტეტის ანგარიში მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობის მიმართ მოლდოვაში განხორციელებულ ვიზიტთან დაკავშირებით, 2001 წლის 10-22 ივნისი [CPT/Inf (2002)11, პარაგრაფები 69 და 95

ქალებს, მეძუძურ დედებს, არასრულწლოვნებს, ავადმყოფებს, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხანდაზმულებს (ქალებს – 60 წლიდან, მამაკაცებს – 65 წლიდან) უნდა ჰქონდეთ სხვა ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან შედარებით გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.⁶⁷⁸

ასევე ანალოგიურ, ზოგადი ხასიათის დათქმას ქართულ კანონმდებლობაში ვხვდებით კვების ორგანიზების ნაწილში “ორსულ ქალებს, მეძუძურ დედებს, არასრულწლოვნებს, ავადმყოფებს, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხანდაზმულებს (ქალებს – 60 წლიდან, მამაკაცებს – 65 წლიდან) უნდა შეექმნათ მათი მდგომარეობის შესაბამისი კვების პირობები⁶⁷⁹.”

უმთავრესი დათქმა, რომელსაც ქართული კანონმდებლობა განიხილავს არის ავადმყოფობა და ხანდაზმულობა, როგორც სასჯელის მოხდისგან მსჯავრდებულის გათავისუფლების ერთ-ერთი საფუძველი⁶⁸⁰, მოცემულ ნაწილში პატიმრობის კოდექსი განმარტავს, რომ მსჯავრდებულს აძლევს უფლებას მიმართონ კომისიას გათავისუფლების მოთხოვნით “ავადმყოფობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო მსჯავრდებულის გათავისუფლებლად მსჯავრდებული, მისი კანონიერი წარმომადგენელი ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი კანონით დადგენილი წესით, მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ საექიმო დასკვნის საფუძველზე მიმართავს სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას.”

678 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 15. საცხოვრებელი პირობები, პ 5

679 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 23. ბრალდებულის/მსჯავრდებულის კვება, პ 4

680 პატიმრობის კოდექსი, თავი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება, მუხლი 37. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გათავისუფლების საფუძველები

პატიმრობის კოდექსი ასევე განიხილავს ფსიქიური⁶⁸¹ პრობლემების მქონე პირებთან მიმართებაში გარკვეულ დამოკიდებულებას, რომელიც ითვალისწინებს მათ განთავსებას შესაბამისი ტიპის დაწესებულებაში “თუ ამბულატორიული დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ მსჯავრდებულს აღენიშნება ფსიქიკური აშლილობის ნიშნები და დეპარტამენტის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების განევის საჭიროებას, ადმინისტრაცია დეპარტამენტის კომისიის დასკვნის საფუძველზე მიმართავს ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციას „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების თაობაზე. მსჯავრდებულის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გამოტანამდე მის ბადრაგირებას უზრუნველყოფს დეპარტამენტი.”

საერთაშორისო სტანდარტების განხილვისას ვხვდებით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას⁶⁸² №R (98)7, რომელიც დაკავშირებულია ციხეებში ჯანმრთელობის დაცვის ეთიკურ და ორგანიზაციულ ასპექტებთან და მასში საუბარია ფიზიკური ნაკლის მქონე პირების განთავსებასთან და დაწესებულებების შესაბამის მონყობასთან დაკავშირებით, პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ რეკომენდაცია გრძელვადიანი პატიმრობის შემაფერხებელ გარემოებად განიხილავს, ფიზიკურ შეზღუდულობას, ასაკს და ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემებს “განგრძობადი თავისუფლების აღკვეთისთვის შეუსაბამო პირები: სერიოზული ფიზიკური ნაკლის მქონე პირები, მოხუცები, მოკლევადიანი ფატალური პროგნოზები”

რეკომენდაციაში ვხვდებით სტანდარტებს, რომელიც განმარტავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ხანდაზმულ პატიმართათვის ადეკვატური საცხოვრებელი პირობების შექმნის ვალდებულებას “სერიოზული ფიზიკური ნაკლის მქონე და

681 მუხლი 122. მსჯავრდებულის ფსიქიატრიული დახმარება

682 რეკომენდაცია №R (98)7, 8 04 1998

მოხუცებული პატიმრები უნდა განთავსდნენ ცხოვრებისთვის შეძლებისდაგვარად ნორმალურ პირობებში და არ უნდა იქნან იზოლირებული სხვა პატიმრებისგან. სტრუქტურული ცვლილებები უნდა განხორციელდეს ეტლზე მიჯაჭვული და ფიზიკური ნაკლის მქონე პირების ხელშესაწყობად, მსგავსად იმისა, როგორც გარე სამყაროში ხდება.⁶⁸³

რეკომენდაცია განიხილავს იმ პატიმრებთან მოპყრობის სპეციფიკას, რომლებსაც აღენიშნებათ ფსიქიატრიული სიმპტომები, ფსიქიკური აშლილობა და ძირითადი პიროვნული მოშლილობა, ასევე თვითმკვლელობის რისკი, “ციხის ადმინისტრაციამ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელმა სამინისტრომ უნდა ითანამშრომლონ პატიმართათვის ფსიქიატრიული მომსახურების ორგანიზების მიზნით. ციხეებში მიმაგრებული ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურები მიზნად უნდა ისახავდნენ დახმარებისა და კონსულტაციის გაწევას პატიმართათვის და მათი დაძლევისა და საადაპტაციო უნარ-ჩვევების გაძლიერებას. ამ სამსახურებმა უნდა მოახდინონ თავიანთი მოქმედებების კოორდინაცია, თავიანთი საპასუხისმგებლო საკითხების გათვალისწინებით. მათი პროფესიული დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ციხის კონტექსტის სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით.⁶⁸⁴”

მინიმალური სტანდარტული ნესები ასევე უთმობს ყურადღებას პირებს, რომლებიც სხვა სულიერი დაავადებებით არიან დაავადებულები, კერძოდ აქცენტს აკეთებს მათთან მოპყრობის თავისებურებებსა და გათავისუფლების საკითხებზე, “ციხეში არ უნდა იქნან მოთავსებულნი ის პირები, რომლებიც აღიარებულნი არიან სულიერად დაავადებულებად, ამიტომ საჭიროა ზომების მიღება მათი სულიერად დაავადებულთა დაწესებულებებში სასწრაფოდ გადასაყვანად. პატიმრები, რომლებიც სხვა სულიერი დაავადებებით არიან დაავადებულები, მოთავსებულ უნდა იქნან მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ და მათი მკურნალობა უნდა ხორციელდებოდეს სპეციალურ დაწესებულებებში ექიმ-

683 რეკომენდაცია №R (98)7, 8 04 1998, პ 50

684 რეკომენდაცია №R (98)7, 8 04 1998, პ 52-53

თა ხელმძღვანელობით. ამ კატეგორიის პატიმრები ციხეში ყოფნისას ექიმთა განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ. სამედიცინო ან ფსიქიატრიულმა სამსახურებმა, რომლებიც პენიტენციურ დაწესებულებებთან ფუნქციონირებენ, უნდა უზრუნველყონ ყველა იმ პატიმრის ფსიქიატრიული მკურნალობა, რომელიც ამას საჭიროებს. სასურველია, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, კომპეტენტურ დაწესებულებებთან ერთად მიღებულ იქნას ზომები გათავისუფლებულ პატიმართა ფსიქიატრიული მკურნალობისთვის, ასევე, როგორც მათი სოციალურ-ფსიქიატრიული მეურვეობისთვის.⁶⁸⁵

ევროპის სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით არაერთ საქმეს⁶⁸⁶, რომელიც ასახავს სულიერად დაავადებული პირების უფლებების დარღვევის ფაქტებს მათი საპატიმრო დაწესებულებებში ყოფნის დროს, რომელიც განხილულ იქნა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ სადაც სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტი. კერძოდ, საქმე კანანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სადაც სასამართლომ ფაქტი შეაფასა, როგორც ადამიანის უფლებათა კონვენციის მესამე მუხლის დარღვევა “მოცემულ განაცხადთან მიმართებით ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ვალდებულება, რომელიც თავისუფლება აღკვეთილი პირების ჯანმრთელობის დაცვაში მდგომარეობს (Hurtado v Switzerland, judgment of 28 January 1994, სერია ა. №280-ა, opinion of the Commission გვ 15-16 & 79), სათანადო სამედიცინო მომსახურების არ არსებობამ შეიძლება განაპირობოს მესამე მუხლის დარღვევა (Ylham v Turkey {GC} NO. 22277/93, &87, ECHR 2000-VII). მოცემული საკითხის შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სულით ავადმყოფ პატიმრებთან მიმართებით, იმის გათვალისწინებით, რომ მათ ხშირად არ შესწევთ უნარი გამოხატონ საკუთარი რეაქცია მოპყრობასთან დაკავშირებით (Aerst v Belgium, judgment of 30 July 1998, Report 1998-V გვ 1966 &66). სასამართლო აღნიშნავს, რომ კონანი დაავადებული იყო ქრონიკული ფსიქიკური აშლილობით,

685 პატიმრობის მინიმალური სტანდარტული წესები წესი 82-83

686 კონანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (განაცხადი №27229/95), გადაწყვეტილება სტრასბურგი 3 აპრილი 2001 წ.

რომელსაც თან ახლდა ფსიქოზური და პარანოიდული ეპიზოდები, მას აგრეთვე დაუდგინდა პირადი მოშლილობის დიაგნოზი, ექსტერის ციხეში 1994 წლის 14 აპრილის შემდგომ პერიოდში, მისი პატიმრობის ისტორიის შესწავლის შედეგად გამოვლინდა მისი აფორიაქებული ქცევა, რის გამოც საავადმყოფოს განყოფილებიდან ჩვეულებრივ განყოფილებაში გადაიყვანეს, ამავე პერიოდში ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობის ტენდენციებს, პარანოიდურ შიშებს, აგრესიული და ძალადობრივი გამოვლინებებით, უდავოა რომ იგი მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში ფიზიკურ ტანჯვასა და ტკივილს განიცდიდა, ექიმისთვის გაგზავნილი წერილი, რომელიც ადრესატამდე კონანის სიკვდილის შემდეგ მივიდა აჩვენებს დეპრესიის მაღალ დონეს (იხ &44), თუმცა კომისიის წევრთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად განაპირობა პატიმრობის პირობებმა აღნიშნული სიმპტომები და კონანის გარდაცვალება.

სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული სირთულე არ წყვეტს საკითხს, კონანის დასჯისას შეასრულა თუ არა ხელისუფლებამ მესამე მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებები, მაშინ როდესაც განცდილი ფიზიკური თუ ფსიქიკური ტანჯვის ხარისხი წარმოადგენს მნიშვნელოვან გარემოებას იმ საქმეში, რომლებზეც სასამართლომ იმსჯელა მესამე მუხლიდან გამომდინარე, არსებობს გარემოებები, როდესაც პიროვნების მიერ განცდილი ზემოქმედება შეიძლება არ იყოს გადამწყვეტი ფაქტორი მაგ. თავისუფლება აღკვეთილი პირის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება, რომლის აუცილებლობაც არ გამომდინარეობს თავად დაკავებული პირის ქცევიდან და იწვევს ადამიანური ღირსების დამცირებას და წარმოადგენს მესამე მუხლის საწინააღმდეგო ქმედებას (*Ribich v Austria*, judgment december 1995 სერია ა. №336 გვ 26 & 38, Taken cited above გვ 1517-18, &53), ანალოგიურად სულით ავადმყოფ პირთა მიმართ განხორციელებული მოპყრობა შეიძლება წარმოადგენდეს ადამიანის ღირსების დამცირებას მესამე მუხლის საწინააღმდეგოდ, მიუხედავად იმისა შეუძლია თუ არა აღნიშნულ პიროვნებას მიუთითოს იმ უარყოფით ფაქტორებზე, რომლებიც მოპყრობის შედეგად

დადგა. სასამართლო მხედველობაში იღებს სამედიცინო ჩანაწერის არასაკმარისობას ადამიანთან მიმართებით, რომელიც თვითმკველელობისკენ იყო მიდრეკილი და დისციპლინური სასჯელიდან გამომდინარე იმყოფებოდა დამატებითი სტრესული ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ 1993 წლის 5 მაისიდან 15 მაისამდე - მისი გარდაცვალების დღემდე სამედიცინო ჟურნალში ჩანაწერი არ გაკეთებულა იმის გათვალისწინებით, რომ იმყოფებოდა რამდენიმე ექიმი, რომლებსაც მარკ კონანის მეთვალყურეობა ევალებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ზედამხედველობის პროცესის ეფექტურობის საკითხი.

დამატებით იმის გათვალისწინებით, რომ ციხის უფროსმა, სამედიცინო ოფიცერმა კონანის საპატიმროში მიღებისას კონსულტაციები გაიარა კონანის მკურნალ ექიმთან და 1993 წლის 29 აპრილს იგი ვიზიტორმა ფსიქიატრმა მოინახულა, სასამართლო აღნიშნავს, რომ ვერ იქნა უზრუნველყოფილი ფსიქიატრს სათანადო ჩართულობა.

კონანის მდგომარეობის მონიტორინგის არასაკმარისობის ფაქტი, რომელიც გამოიხატებოდა ასევე ფსიქიატრიული შეფასების არასათანადოობაში, წარმოადენს თვითმკველელობისადმი მიდრეკილების მქონე სულით ავადმყოფი პატიმრის მკურნალობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან პრობლემას. სადამსჯელო საკანში 7 დღით განცალკევებით მოთავსება და დამატებით 28 დღიანი დისციპლინური სასჯელის განხორციელების პროცედურის განეღვამ, რასაც ადგილი ჰქონდა განმცხადებლის გათავისუფლებიდან 9 დღით ადრე საფრთხე შეუქმნა კონანის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგრალობას, რაც წარმოადენს სულით ავადმყოფ პატიმრებთან მოპყრობის სტანდარტის სანინაალმდეგო მოქმედებას, იგი უნდა ჩაითვალოს არაადამიანურ დამამცირებელ მოპყრობად და იყოს დასჯადი კონვენციის მესამე მუხლიდან გამომდინარე. შესაბამისად სასამართლო ადგენს აღნიშნული დებულების დარღვევას.”

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დამოკიდებულება და მათთვის სასჯელის მოხდის შესაფერისი და ღირსეული გარემოს უზრუნველყოფა უნდა იყოს სასჯელალსრულებ-

ბის დანესებულებების ადმინისტრაციის უმთავრესი პროორი-
ტეტი მისი ფუნქციონირების ფარგლებში.

9.4 რელიგიური უმცირესობები

აზრის სინდისისა და რელიგიის თავისუფლება ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, რომელსაც ეხმიანება, არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც განმარტავს რელიგიისა და სინდისის თავისუფლებას, როგორც ყველასთვის თანაბარ უფლებას და მისი შეზღუდვა დასაშვებია იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია პირის თავისუფლების აღკვეთასთან, თუმცა ეს შეზღუდვა უნდა იყოს მინიმალური თავისუფლების აღკვეთის პირობებიდან გამომდინარე “ყველას აქვს აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას, აგრეთვე, მარტო ან სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძოდ, რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლებას სწავლებით, პრაქტიკით, საკულტო მსახურებით და წესების შესრულებით“.⁶⁸⁷

ანალოგიურ მიდგომას ვხვდებით სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტში, “ყველას აქვს აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება; ეს უფლება მოიცავს საკუთარი არჩევანით რელიგიის ან რწმენის ქონის ან მიღების თავისუფლებას, აგრეთვე, ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძოდ, რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლებას საკულტო მსახურებით, წესების შესრულებით, პრაქტიკით და სწავლებით.“⁶⁸⁸

მიუხედავად აღნიშნული მიდგომებისა პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიების განხილვისას მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს რელიგიური უმცირესობები, რომლებიც ასევე მონყვლად კატეგორიას მიეკუთვნებიან მათი რელიგიური შეხედულებებისა და აქედან გამომდინარე განსაკუთრებული საჭიროებების მიხედვით. მათ შეზღუდული აქვთ გარკვეული რელი-

687 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მუხლი 18

688 სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 18

გიური საჭიროებების ხელმისაწვდომობა მათი თავისუფლების აღკვეთის გათვალისწინებით, თუმცა ეს შეზღუდვა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზემოაღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნას, თუ ამას არ მოითხოვს კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები, რომელიც დაკავშირებულია მის პატიმრობასთან.

ენდროუ კოილი წიგნში “პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან” საუბრობს რელიგიური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებით, და მნიშვნელოვან განმარტებას აკეთებს როგორც რელიგიური უმცირესობებისათვის ადეკვატური გარემოს შექმნაზე, ასევე ყურადღებას უთმობს იმ პირების საჭიროებებს და მათი ინტერესების დაცვის აუცილებლობაზე, რომლებიც არ მიეკუთვნებიან არცერთ რელიგიას “აღნიშნული დებულებები ეხება ყველა აღიარებული რელიგიის აღმსარებელ ჯგუფს და მათი გამოყენება არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ ქვეყანაში არსებული ძირითადი რელიგიებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უმცირესობის ჯგუფების წარმომადგენელი პატიმრების რელიგიურ საჭიროებებს. ასევე მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ პატიმრებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან არც ერთ რელიგიურ ჯგუფს, ან რომელთაც არ სურთ რელიგიის აღმსარებლობა, არ აიძულონ ამის გაკეთება. პატიმრებს არ უნდა მიეცეთ დამატებითი პრივილეგიები და არ უნდა იცხოვრონ უკეთეს პირობებში მათი რელიგიური კუთვნილების ან პრაქტიკის გამო⁶⁸⁹.”

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიური მოთხოვნების დაკმაყოფილებას ზოგადად ეხმიანება ქართული კანონმდებლობა და განიხილავს მის აუცილებლობას სხვადასხვა ასპექტებში, თუმცა არა როგორც რელიგიური უმცირესობების წრეში. პირველ რიგში რელიგიურ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება გვხვდება პატიმართა უფლებების ნაწილში, “ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, დადგენილი წესით მიიღოს მონაწილეობა რელიგიურ რიტუალებში და შეხვდეს სასულიერო

689 ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის, თბილისი, 2007, გვ. 67

პირებს, თან იქონიოს და ისარგებლოს რელიგიური ლიტერატურითა და საკულტო საგნებით⁶⁹⁰.”

შემდეგი კომპონენტი, რომელშიც პატიმრობის კოდექსი და სასჯელალსრულების დაწესებულებების დებულებები ეხმიანება რელიგიურ ჭრილში მსჯავრდებულთა საჭიროებებს, არის მათთვის რელიგიური ლიტერატურის გამოწერის ხელმისაწვდომობა “ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუძლია საკუთარი სახსრებით, გონივრული ოდენობით გამოიწეროს სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, რელიგიური და მხატვრული ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, მიიღოს საწერი საშუალებები, გარდა მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული აკრძალული ნივთებისა.⁶⁹¹ “

გარდა პატიმრობის კოდექსისა მსჯავრდებულთა რელიგიურ საჭიროებებს ეხმიანება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულება, რომელიც განმარტავს, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებებში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები: ბრალდებულის/მსჯავრდებულის რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის და სასულიერო პირებთან შეხვედრის წესი.⁶⁹²

საქართველოს პრაქტიკაში ვხვდებით რეგულაციებს, რომელიც მიმართულია მსჯავრდებულების რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობაზე, რომელიც განმარტავს თუ რა პროცედურების უნდა გაიაროს მსჯავრდებულმა იმისთვის, რომ მიიღოს ნებართვა თავისი რელიგიის წარმომადგენელთან შესახვედრად “თანხმობა უნდა გაიცეს შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სადაც მითითებული უნდა იყოს ორგანიზაციის დასახელება, წარმომადგენლის ვინაობა, ვიზიტის მიზანი და სავარაუდო ხანგრძლივობა”, ასევე სად უნდა მოხდეს რელიგიური რიტუალების განხორციელება და რა შემთხვევაში შეიძლება აკრძალოს რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა “არ დაიშვება რელიგიური

690 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 14

691 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 20. 4.

692 პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულება, მუხლი 52.

რიტუალის შესრულება, რომელიც არღვევს სხვა ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებებს.⁶⁹³”

საერთაშორისო სტანდარტების განხილვისას ვხვდებით გარკვეულ დათქმებს, რომლებიც აქცენტირებულია პატიმართა მრწამსისა და რელიგიური ღირებულებების პატივისცემაზე. მნიშვნელოვან და საქართველოს პრაქტიკისაგან განსხვავებულ მიდგომებზე საუბრობს მინიმალური სტანდარტული წესები⁶⁹⁴, რომელიც უთითებს რელიგიის წარმომადგენლის დანიშვნაზე ციხეში, ასევე მასთან შეხვედრის ხელმისაწვდომობასა და რელიგიურ რიტუალებში პატიმართა მონაწილეობაზე, „აუცილებელია მოსახლეობის ამა თუ იმ დაჯგუფების წარმომადგენელ პატიმართა რელიგიური მრწამსისა და მორალური ღირებულებების პატივისცემა. იმ დაწესებულებებში, სადაც საკმარისი რაოდენობით არიან ერთი სარწმუნოების პატიმრები, უნდა დაინიშნოს იმ კულტის კვალიფიციური მსახური, ან მიეცეს მას იქ შესაბამისი რიტუალების ჩატარების უფლება. თუ ამგვარი პატიმრების რიცხვი საკმაოდ დიდია და არსებობს შესაბამისი შესაძლებლობები, ასეთი კულტის მსახური უნდა დაინიშნოს სრული განაკვეთით. კულტის მსახურს, რომელიც დაინიშნება ან დაშვებული იქნება დაწესებულებაში პირველი პუნქტის საფუძველზე, უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ ჩაატაროს რელიგიური რიტუალები და, ამისთვის გამოყოფილ დროს, რელიგიურ თემებზე სასაუბროდ პერიოდულად განმარტოებით შეხვდეს მისი სარწმუნოების წარმომადგენელ პირებს. არ შეიძლება პატიმრების შეზღუდვა ნებისმიერი სარწმუნოების კვალიფიციურ წარმომადგენელთან ურთიერთობაში. მეორეს მხრივ, თუ პატიმარი აპროტესტებს კულტის მსახურის ვიზიტებს, მისი პოზიცია სრული პატივისცემით უნდა იქნას აღქმული. შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს თავისი რელიგიური მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალება. მას უნდა

693 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №187, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ

694 მინიმალური სტანდარტული წესები, ზოგადი პრინციპები ნესი 41-42

შეეძლოს დაწესებულების შიგნით რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა და გააჩნდეს საჭირო რელიგიური ლიტერატურა.⁶⁹⁵”

რაც შეეხება ევროპის პენიტენციურ წესებს⁶⁹⁶, აზრის სინდისისა და რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ძირითად აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ციხეების რეჟიმი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ შეძლებისდაგვარად საშუალება მისცეს პატიმრებს, თავიანთ რელიგიას და რწმენას მისდიონ, რელიგიის და სარწმუნოების აკრედიტებული წარმომადგენლების მიერ ჩატარებულ ღვთისმსახურებას და შეხვედრებს დაესწრონ. “პატივი უნდა ეცეს პატიმართა აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლებას. ციხეების რეჟიმი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ შეძლებისდაგვარად საშუალება მისცეს პატიმრებს, თავიანთ რელიგიას და რწმენას მისდიონ, რელიგიის და სარწმუნოების აკრედიტებული წარმომადგენლების მიერ ჩატარებულ ღვთისმსახურებას და შეხვედრებს დაესწრონ, კერძოდ, შეხვდნენ თავიანთი რელიგიის წარმომადგენლებს და საკუთრებაში იქონიონ თავის რელიგიასთან ან მრწამსთან დაკავშირებული ლიტერატურა ან წიგნები. პატიმრებს არ უნდა აიძულებდნენ, მისდიონ რელიგიას ან სარწმუნოებას, დაესწრონ ღვთისმსახურებას ან შეხვედრებს, მიიღონ მონაწილეობა რელიგიურ ცერემონიაში ან შეხვდნენ რომელიმე რელიგიის ან სარწმუნოების წარმომადგენლებს.”

რაც შეეხება საერთაშორისო პრაქტიკას, მნიშვნელოვან მიდგომებს ვხვდებით ირლანდიის პრაქტიკაში, სადაც საუბარია მსჯავრდებულებისთვის რელიგიური რიტუალების, საგნებისა და ლიტერატურის ხელმისაწვდომობაზე, ასევე კანონი ცალსახად უთითებს, რომ არ შეიძლება პატიმრის იძულება მონაწილეობა მიიღოს სხვა რელიგიურ ღონისძიებებში, რაც მისი უფლებების დაცვის ერთ-ერთ გარანტს წარმოადგენს. “რელიგიური სულიერი და მორალური ცხოვრება, ყველა მსჯავრდებულს, რამდენადაც ეს შესაძლებელია სასჯელის მოხდის რეჟიმისა და

695 პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 41-42

696 ევროპის პენიტენციური წესები, აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება

უსაფრთხოების წესების დაცვით, შეუძლია, დაიცვას წესები და მიიღოს მონაწილეობა იმ რელიგიის რიტუალებს, რომლის მიმდევარი ან წევრი ის არის. თუ მსჯავრდებული იცვლის რელიგიას ან აღმსარებლობას ამის შესახებ უნდა იყოს ინფორმირებული ადმინისტრაცია, რათა მოხდეს ჩანაწერებში შესწორებების შეტანა. სასჯელის მოხდის რეჟიმისა და უსაფრთხოების წესების დაცვით ყოველ მსჯავრდებულს შეუძლია ჰქონდეს რელიგიური წიგნებთან ხელმისაწვდომობა პირადი გამოყენებისთვის, ასევე ჰქონდეს წიგნები და საგნები, საშუალებები, რომელიც მას სჭირდება იმ რელიგიის მიხედვით რომლის წევრიც ის არის. მსჯავრდებულის იძულება მიიღოს მონაწილეობა რომელიმე რელიგიურ რიტუალში ან შეხვედრაზე დაუშვებელია.⁶⁹⁷ ირლანდიის პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა კაპელანის ინსტიტუტს და მის არსებობას ციხეში, თუმცა ეს არ ზღუდავს სხვა რელიგიის წარმომადგენელს ან მსჯავრდებულის სურვილს შეხვდეს არა ციხეში დანიშნულ, არამედ სხვა წარმომადგენელს. ასევე კანონი განმარტავს კაპელანის ვალდებულებებს, კაპელანის მომსახურების არეალს, დროს და ადგილს.

9.5 არასრულწლოვან ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიერ სასჯელის მოხდის თავისებურებანი

9.5.1 არასრულწლოვანი პატიმრები

სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებული მნიშვნელობით იყენებს ტერმინებს “არასრულწლოვანი” და “ბავშვი”. ამასთან, ხშირად სამართლებრივი სისტემები ბავშვისა და არასრულწლოვანის ცნებების ბუნდოვან განმარტებებს შეიცავენ. წინამდებარე თავში გამოყენებულია განმარტება, რომელიც მოცემულია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის პირველ მუხლში: “ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო

697 Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007 `Prison Rules`, Published by the stationery office Dublin To be purchased directly from the Government Publications Office, Foreign nationals, Visit to foreign national

ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას”. მსგავსი აზრია გატარებული გაეროს წესების მე-11 წესში თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, რომლის თანახმადაც “არასრულწლოვანი არის 18 წლამდე ასაკის ადამიანი. ...”

ასაკი, რომლიდანაც იწყება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ სხვადასხვა ასაკი, როდესაც არასრულწლოვანი შეიძლება მოთავსებულ იქნას სარეაბილიტაციო დაწესებულებაში. თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი ძალიან დაბალი ზღვრისთვის არის დადგენილი, ან თუ საერთოდ არ არსებობს ქვედა ზღვარი, მაშინ პასუხისმგებლობის ცნება კარგავს თავის მნიშვნელობას.

რიგ ქვეყნებში დანერგულია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სარეაბილიტაციო დაწესებულებებში შექმნილია სპეციალური პირობები იმ მიზნით, რომ 21 წლის ასაკის მიღწევამდე მოხდეს მსჯავრდებულთა განცალკევება ზრდასრული პატიმრებისგან. უფრო მეტიც, არის ქვეყნები (მაგალითად, იაპონია), სადაც ეს ასაკი 24 წლამდეა გაგრძელებული.⁶⁹⁸

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს 14 წლიდან განსაზღვრავს.⁶⁹⁹ პატიმრობის კოდექსის თანახმად მსჯავრდებული, რომელსაც დაწესებულებაში შესახლების მომენტისთვის არ შესრულებია 18 წელი, თავსდება არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში.⁷⁰⁰

პატიმრობის კოდექსი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აწესებს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა იზოლირებულად განთავსებას სრულწლოვანი მსჯავრდებულებისგან.⁷⁰¹ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად არასრულწლოვანი ბრალდე-

698 გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 9-10

699 მუხლი 80

700 მუხლი 67

701 მუხლი 50 (1)

ბულები განცალკევებით უნდა იყვნენ სრულწლოვნებისგან და დაუყოვნებლივ უნდა წარდგენენ სასამართლოს წინაშე გადანყვეტილების მიღების მიზნით.

რიგი ქვეყნის სასჯელალსრულების სისტემა უშვებს არასრულწლოვანი და სრულწლოვანი ასაკის ქალი პატიმრების ერთად განთავსებას. აღნიშნული წარმოადგენს არასრულწლოვანი პატიმრების რეაბილიტაციის ერთგვარ ფორმას, რადგან როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ადგილი აქვს სრულწლოვანი პატიმრების მხრიდან მზრუნველობას არასრულწლოვანი პატიმრებისადმი. რადიკალურად განსხვავებულ სურათს ვიღებთ არასრულწლოვანი და სრულწლოვანი მამაკაცი პატიმრების ერთად განთავსების შემთხვევაში. რაც უფრო სერიოზული კრიმინალური გამოცდილების მქონე სრულწლოვან პატიმრთან ერთად მოხდება არასრულწლოვანი პატიმრის განთავსება, მით უფრო მეტი ნეგატიური გავლენა შეიძლება იქონიოს მან არასრულწლოვან პატიმარზე. პრაქტიკაში გავრცელებულია სრულწლოვანი პატიმრების მხრიდან არასრულწლოვან პატიმრებზე სექსუალური ძალადობისა და მათი წამების ფაქტების სიხშირე. რიგ ქვეყნებში დანერგილი არასრულწლოვანი პატიმრების სრულწლოვან პატიმრებთან ერთად განთავსების პრაქტიკა, ამ უკანასკნელთა მიერ მათზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, წარმოადგენს სერიოზულ რისკს არასრულწლოვან პატიმრებთან მიმართებაში სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენაში არასრულწლოვნების დაყოლების ან მათზე ძალადობის განხორციელების კუთხით.⁷⁰²

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ საქმეში *გუვერი თურქეთის წინააღმდეგ*⁷⁰³ გამოიტანა გადანყვეტილება ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-3 მუხლის⁷⁰⁴ დარღვევასთან დაკავშირებით, რაც გამონეუული იყო პატიმრობის

702 გ.მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებაალკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, სასჯელალსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 11–12

703 *გუვერი თურქეთის წინააღმდეგ (Guvec v Turkey)*, 2009 წლის 20 იანვარი

704 არვინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს

პერიოდში არასრულწლოვანი პირის სრულწლოვან პატიმრებთან ერთად განთავსებით. სასამართლომ დაადგინა, რომ არასრულწლოვანი პატიმრის სრულწლოვან პატიმართათვის განკუთვნილ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსება ეწინააღმდეგებოდა თურქეთის მოქმედ კანონმდებლობასა და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლის მონაწილეც თურქეთი არის.⁷⁰⁵ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის გამოსავლენად სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ნიშნები საპატიმროში ყოფნის პერიოდში განუვითარდა.⁷⁰⁶

საქართველოს პატიმრობის კოდექსი უშვებს შესაძლებლობას, გამონაკლის შემთხვევაში, არასრულწლოვანი მსჯავრდებული 20 წლის შესრულებამდე დატოვოს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში.⁷⁰⁷ უკრაინის კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სარეაბილიტაციო დაწესებულებაში დატოვება შესაძლებელია მანამ, სანამ მსჯავრდებულს შეუსრულდება 22 წელი.⁷⁰⁸ ესტონეთის კანონმდებლობა უშვებს გამონაკლისს მსჯავრდებულის ხასიათიდან და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური პროგრამიდან გამომდინარე, 18-დან 21 წლამდე ასაკის მსჯავრდებულის ზრდასრულთათვის გათვალისწინებულ დახურული ტიპის სარეაბილიტაციო დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე.⁷⁰⁹

ესტონეთის სასჯელაღსრულების კოდექსი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ნაცვლად ამკვიდრებს ახალგაზრდა მსჯავრდებულის ტერმინს. ახალგაზრდა მსჯავრდებულად იწოდება პირი, რომელსაც სასჯელის აღსრულების მომენტისთვის

705 *გუვეჩი თურქეთის წინააღმდეგ (Guvec v Turkey)*, 2009 წლის 20 იანვარი, პუნქტი 88

706 იქვე, პუნქტი 89

707 მუხლი 69(2, 3)

708 Уголовно-исполнительные Кодексы, Уголовно-исполнительный Кодекс Украины, статья 148(1), Донецкий Мемориал, Донецк, 2004, ст. 379

709 იქვე, Закон Эстонии об Исполнении Наказаний связанных с изоляцией от общества, статья 82(2), ст. 399

არ შესრულება 21 წელი.⁷¹⁰ მათი განთავსება ხდება სპეციალურად გათვალისწინებულ დახურული ან ღია (ახალგაზრდების სარეაბილიტაციო დაწესებულება) ტიპის დაწესებულებაში ან დახურული ტიპის დაწესებულების იზოლირებულ განყოფილებაში (ახალგაზრდების განყოფილება).⁷¹¹ კანონმდებლობის თანახმად ახალგაზრდების სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ან ახალგაზრდების განყოფილებაში ერთმანეთისგან იზოლირებულად არიან განთავსებული: (ა) პირები, რომელთაც არ შესრულებიათ 15 წელი; (ბ) 15-დან 16 წლამდე ასაკის პირები; (გ) 16-დან 18 წლამდე ასაკის პირები; (დ) 18-დან 21 წლამდე ასაკის პირები.⁷¹²

კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს არასრულწლოვანთა საკითხებს, ორიენტირებული უნდა იყოს ახალგაზრდების კეთილდღეობაზე და მიზნად ისახავდეს მათ რეაბილიტაციას და არა დასჯას.

2014 წლის მაისიდან ძალაში შევიდა საქართველოს პატიმრობის კოდექსის ცვლილებები და დამატებები, რომლის ფარგლებშიც ფართოდ იქნა მიმოხილული და განსაზღვრული ფუძემდებლური პრინციპები დაკავშირებული არასრულწლოვანი ბრალდებულების პატიმრობისა და არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიერ სასჯელის მოხდის პირობებთან.

კოდექსით განსაზღვრული დაწესებულებიდან, ერთ-ერთი არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაა. აღნიშნულით, საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში დაფიქსირდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთათვის იზოლირებული, სტატუსის მქონე სარეაბილიტაციო დაწესებულების არსებობა, რაც უზრუნველყოფს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განცალკევებას სრულწლოვანი მსჯავრდებულებისგან და შესაბამისობაშია გაეროსა და ევროპულ სტანდარტებთან.

პატიმრობის კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არასრულწლოვანი მსჯავრდებულები განთავსებული არიან სპეციალურ საცხოვრებელ-

710 იქვე, статья 77

711 იქვე, статья 78

712 იქვე, статья 81

ში.⁷¹³ დანესებულებაში მსჯავრდებულებს დღის განმავლობაში დღის განრიგით დადგენილი წესითა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური მოხდის გეგმის შესაბამისად შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილდნენ დანესებულების ტერიტორიაზე.⁷¹⁴

საქართველოს პატიმრობის კოდექსი მართალია ყველა კატეგორიის მსჯავრდებულზე განსაზღვრავს ერთიან საცხოვრებელი ფართის ნორმას – არანაკლებ 4მ²,⁷¹⁵ თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ არასრულწლოვნებს, სხვა განსაკუთრებული კატეგორიის პატიმრების მსგავსად, უნდა ჰქონდეთ სხვა ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან შედარებით გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები.⁷¹⁶ რაც შეეხება არასრულწლოვან ბრალდებულებს, კოდექსის 15(3) მუხლის თანახმად მათზე ვრცელდება ბრალდებულთათვის დადგენილი ზოგადი სტანდარტი – არანაკლებ 3მ². აღნიშნული საცხოვრებელი ნორმის განსაზღვრით საქართველოს კანონმდებლობამ მსჯავრდებულებთან დაკავშირებით დააკმაყოფილა წამების პრევენციის ევროპის კომიტეტის საქართველოს მიმართ განეული რეკომენდაცია – საერთო საცხოვრებელში/საკანში ერთ პატიმარზე არანაკლებ 4მ² ფართი.⁷¹⁷

სრულწლოვანებას მიღწეული მსჯავრდებული, რომელიც მისი პიროვნებისა და ქცევის გათვალისწინებით არ შეიძლება პირობით ვადამდე იქნას გათავისუფლებული ან არასრულწლოვანთა სპეციალურ დანესებულებაში იქნას დატოვებული, სასჯელის შემდგომი მოხდისთვის გაგზავნილ უნდა იქნას ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში.⁷¹⁸

განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოადგენს არასრულწლოვანი ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სამედიცინო

713 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 12²(2)

714 იქვე, მუხლი 12²(3)

715 იქვე, მუხლი 15(2)

716 იქვე, მუხლი 15(5)

717 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში 2012 წლის ვიზიტის ანგარიში, პარაგრაფი 33, იხ. <http://www.cpt.coe.int/documents/geo/2013-18-inf-eng.htm#-Toc352679620>

718 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 69 (5)

მომსახურებით უზრუნველყოფა, რომელიც ქვეყანაში დამკვიდრებული სამედიცინო მომსახურების ადეკვატური უნდა იყოს. გარდა იმ უფლებისა, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულისთვის (მსჯავრდებულისთვის) ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიმრობის ან სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ნებადართული სამკურნალო საშუალებები, მას აქვს დაწესებულების მიერ შეძენილზე მეტი ღირებულების ან ანალოგიური თვისებების მქონე სამკურნალო საშუალებების საკუთარი სახსრებით შეძენის უფლება. დამატებით, საჭიროების შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული მოთხოვნა და დეპარტამენტის თავმჯდომარის ნებართვით შეუძლია პირადი ექიმის საკუთარი სახსრებით მონვევის უფლება.⁷¹⁹

არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებით შეიძლება გამოყენებულ იქნას დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები: ა) გაფრთხილების მიცემა; ბ) საყვედურის გამოცხადება; გ) ნებადართული ნივთებით (გარდა ექიმის მიერ დანიშნული კვების აუცილებელი პროდუქტებისა და მედიკამენტებისა) სარგებლობის უფლების შეზღუდვა 1 თვის ვადით; დ) დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა 1 თვის ვადით; ე) ამანათისა და გზავნილის მიღების უფლების შეზღუდვა 1 თვის ვადით; ვ) სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა 1 თვის ვადით; ზ) საკნის ტიპის საცხოვრებელში გადაყვანა 1 წლის განმავლობაში 6 თვემდე ვადით.⁷²⁰ ამასთან, „გ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თითოეული უფლების შეზღუდვის ვადა 1 წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის სანიმუშო ყოფაქცევის ან/და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში ადმინისტრაცია უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს ნახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) დაკისრებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა; გ) და-

719 იქვე, მუხლი 24(1)

720 იქვე, მუხლი 71'(1)

მატებითი ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა; დ) დამატებითი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა; ე) დამატებითი ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლების მიცემა; ვ) დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლების მიცემა; ზ) დაწესებულების გარეთ დამატებითი ხანმოკლე გასვლის უფლების მიცემა; თ) ამანათით ან ფოსტით ისეთი ნივთების, ნივთიერებებისა და ნაკეთობების მიღება, რომელთა ქონის უფლებაც მსჯავრდებულს სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, ჩვეულებრივ, არ აქვს, მაგრამ რომლებიც აკრძალული არ არის; ი) კომპიუტერული თამაშების უფლების მიცემა; კ) აუდიო და ვიდეო ტექნიკით სარგებლობის უფლების მიცემა.⁷²¹

საქართველოს პატიმრობის კოდექსი ითვალისწინებს მსაჯვრდებულთა ადმინისტრაციულ პატიმრობას მსჯავრდებულის მიერ დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადაში განმეორებით ჩადენილი დისციპლინური დარღვევისთვის. თუმცა, იქვე მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეეფარდებათ არასრულწლოვან მსჯავრდებულებს.⁷²²

არასრულწლოვანი პატიმრის ურთიერთობა გარე სამყაროსთან უზრუნველყოფილი უნდა იქნას ყველა საშუალებით, რაც სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობის არსებით ნაწილს შეადგენს და მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის საზოგადოებისკენ მოსაბრუნებლად. თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა კონტაქტი გარე სამყაროსთან უნდა განიხილებოდეს როგორც მათი უფლება და არა როგორც პრივილეგია. ამიტომ ასეთი კონტაქტები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ნახალისების ან დასჯის ფორმა.

პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები (37-ე და 92-ე წესები) ეხება საოჯახო კონტაქტებს. მათი დებულებები თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მიმართებაში ეხმაურება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ „არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ

721 იქვე, მუხლი 71(1)

722 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 90(3)

ცხოვრებაში, აგრეთვე არ შეიძლება მისი საცხოვრებელი ბინის, კორესპონდენციის საიდუმლოების ან მისი პატივისა და ღირსების თვითნებური ხელყოფა. ყოველ ადამიანს აქვს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისგან დაცვის უფლება“. შესაძლოა, ეს დებულება უფრო მნიშვნელოვანია სარეაბილიტაციო დაწესებულების შიგნით, ვიდრე მის გარეთ. ხშირად, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სარეაბილიტაციო მანძილზე, თავისუფლებააღკვეთილი პირისთვის მხოლოდ ნათესავებთან ურთიერთობაა გარე სამყაროსთან კავშირის ერთადერთი საშუალება. ასევე ცნობილია, რომ ოჯახთან და მეგობრებთან დაშორება ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული მომენტია.⁷²³

ოჯახთან და მეგობრებთან კავშირის შენარჩუნების მნიშვნელობა უპირველეს ყოვლისა თავს იჩენს პატიმრის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს განთავსებაში. თუ პატიმრები განთავსდებიან სახლიდან ძალზედ დაშორებით, მათი მონახულება (ისევე, როგორც სახლში დროებითი გაშვება) უფრო დიდ ძალისხმევასთან და უფრო დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.

ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, არასრულწლოვანი პატიმრების საცხოვრებელთან ახლოს მდებარე პატიმრობის/სარეაბილიტაციო დაწესებულებაში განთავსება სირთულეს წარმოადგენს, რისი მიზეზიც არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი პატიმრობის/სარეაბილიტაციო დაწესებულებების სიმცირე წარმოადგენს. საქართველოში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი სარეაბილიტაციო დაწესებულება განკუთვნილი მსჯავრდებული არასრულწლოვანი ვაჟებისთვის (ქ.თბილისის №11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება, ლიმიტით 160 მსჯავრდებულზე).⁷²⁴ არასრულწლოვანი

723 ციხის პერსონალის გადამზადების სახელმძღვანელო, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი/იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, 2005, გვ.115

724 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და სარეაბილიტაციო დაწესებულებების შესახებ ბრძანება №184, 27.12.2012, მუხლი 1(ლ)

მსჯავრდებული გოგონები განთავსებული არიან ქ.რუსთავის №5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მოქმედ იზოლირებულ განყოფილებაში.⁷²⁵

გარე სამყაროსთან (განსაკუთრებით კი ოჯახის წევრებთან) რეგულარული კონტაქტი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რეაბილიტაციის ერთ-ერთ უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს. შესაბამისად, არასრულწლოვან მსჯავრდებულსა და მისი ოჯახის წევრებს შორის კავშირის უზრუნველყოფა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. შესაძლებლობის ფარგლებში და კანონით დადგენილ შემთხვევებში, არასრულწლოვან მსჯავრდებულს ხანმოკლე ვადით შინ ნასვლისა და ოჯახის წევრთა მონახულების უფლება უნდა მიეცეს. როგორც წესი, ეს ვადა ყოველ ჯერზე რამდენიმე დღეს შეადგენს. საქართველოში აღნიშნული ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც.⁷²⁶ სარეაბილიტაციო დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.⁷²⁷

განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა სარეაბილიტაციო დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით სარგებლობის პერიოდულობის მხრივ. საქართველოში ამ უფლებით სარგებლობა შესაძლებელია წელიწადში სამჯერ.⁷²⁸

აღნიშნული უფლებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ იმ არასრულწლოვან მსჯავრდებულს, რომელმაც ფაქტობრივად მოიხადა:

(ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;

(ბ) მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;

(გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი

725 იქვე, მუხლი 1(ე) და მუხლი 2

726 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 27(1)

727 იქვე, მუხლი 27(10)

728 იქვე, მუხლი 27(1)

სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.⁷²⁹

პატიმრობის კოდექსის თანახმად არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციამ შეიძლება უფლება მისცეს მსჯავრდებულს, განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით დროებით დატოვოს სარეაბილიტაციო დაწესებულება, თუ მიღებულია სარწმუნო ცნობა მისი ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისთვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე.⁷³⁰ სარეაბილიტაციო დაწესებულების დროებით დატოვების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 დღეს, რომელშიც შედის მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც.⁷³¹ დაწესებულების დროებით დატოვება მსჯავრდებულს შეუძლია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ გამცილებელ თანამშრომლებთან ერთად. სარეაბილიტაციო დაწესებულების დროებით დატოვების ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.⁷³²

მსგავსი პრაქტიკა არის დანერგილი პატიმრობის კოდექსის მიერ ბრალდებულთან მიმართებაში (მათ შორის არასრულწლოვან ბრალდებულთან დაკავშირებითაც), იმ განსხვავებით, რომ ბრალდებული არასრულწლოვანის მიერ პატიმრობის დაწესებულების დროებით დატოვების ნებართვას გასცემს გამომძიებელი ან პროკურორი და ეს ნებართვა შეიძლება გაიცეს 2 დღემდე ხანგრძლივობით.⁷³³

მიზანშეწონილია სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციამ ხელი შეუწყოს ოჯახის წევრებს ხშირად მივიდნენ არასრულწლოვანთა მოსანახულებლად (კანონით დადგენილი ყოველთვიური პაემნების ფარგლებში) და იქონიონ კონტაქტი წერილებისა და ტელეფონის საშუალებით. პატიმრობის კოდექსი არასრულწლოვან მსჯავრდებულს 1 თვის განმავლობა-

729 იქვე, მუხლი 27(3)

730 იქვე, მუხლი 26(1)

731 იქვე, მუხლი 26(3)

732 იქვე, მუხლი 26(4)

733 იქვე, მუხლი 78(1)

ში საკუთარი ხარჯით 5 და წახალისების ფორმით ულიმიტო,⁷³⁴ ხოლო ბრალდებულს – მხოლოდ გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ნებართვით 3 სატელეფონო საუბრით სარგებლობის უფლებას აძლევს,⁷³⁵ თითოეული არა უმეტეს 15 წუთის ხანგრძლივობისა. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები დადგენილი წესითა და ადმინისტრაციის კონტროლით. მიმონერა ხორციელდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის ხარჯზე.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის თანახმად არასრულწლოვანი ბრალდებული სარგებლობს მხოლოდ ხანმოკლე პაემნის უფლებით, ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებული - ხანმოკლე პაემნის, ხანგრძლივი პაემნისა და ვიდეოპაემნის უფლებით.

ხანმოკლე პაემნის ხანგრძლივობა ერთნაირია როგორც არასრულწლოვანი, ასევე სრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისთვის. ხანმოკლე პაემანი ეწყობა 1-დან 2 საათამდე ვადით.⁷³⁶ პატიმრობის კოდექსის 77-ე და 123-ე მუხლები ადგენს 1 თვის განმავლობაში ბრალდებულის მიერ ხანმოკლე პაემნით სარგებლობის მაქსიმალურ (4) და არა მინიმალურ ოდენობას, აგრეთვე განსაზღვრავს აღნიშნული პაემნის განხორციელებაზე შეზღუდვის დამწესებელ სუბიექტებს და ადგენს ნორმის ამ ფორმით მოქმედების კონკრეტულ ვადას. უფრო დეტალურად კი, ბრალდებულს (მათ შორის არასრულწლოვან ბრალდებულს) 2016 წლის 1 იანვრამდე შეუძლია ისარგებლოს 1 თვის განმავლობაში არა უმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით, პროკურორის ან გამომძიებლის ნებართვის საფუძველზე.⁷³⁷ რაც შეეხება არასრულწლოვან მსჯავრდებულებს, პატიმრობის კოდექსის თანახმად ისინი ყოველთვიურად 4 ხანმოკლე პაემნით სარგებლობენ და დანესებულების დირექტორს წახალისების ფორმით შეუძლია მისცეს 2 დამატებითი პაემანი.⁷³⁸

ხანგრძლივი პაემანი არის არასრულწლოვანი მსჯავრდე-

734 იქვე, მუხლი 70(2)

735 იქვე, მუხლი 79(1) და 124

736 იქვე, მუხლი 17(7)

737 იქვე, მუხლი 123

738 იქვე, მუხლი 70(2)

ბულის არაუმეტეს 23 საათის ვადით ახლო ნათესავთან ერთად ცხოვრება სარეაბილიტაციო დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, ადმინისტრაციის წარმომადგენლის დაუსწრებლად.⁷³⁹ არასრულწლოვანი მსჯავრდებულებს წელიწადში 4 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 6 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი აქვთ.⁷⁴⁰ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება არ მიეცემათ საკარანტინო რეჟიმში მყოფ არასრულწლოვან მსჯავრდებულებს ან რომელთაც დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი.⁷⁴¹

სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვან მსჯავრდებულს, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულისა და საქართველოს პატიმრობის კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირისა,⁷⁴² უფლება აქვს, ისარგებლოს ვიდეოპაემნით ნებისმიერ პირთან.⁷⁴³ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება არასრულწლოვან მსჯავრდებულს ეზღუდება დისციპლინური სახდელის მოქმედების ან სარეაბილიტაციო დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღების პერიოდში.⁷⁴⁴ საქართველოს პატიმრობის კოდექსის თანახმად, არასრულწლოვან მსჯავრდებულს შეუძლია ჰქონდეს თვეში 4 ვიდეოპაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 ვიდეოპაემანი.⁷⁴⁵

პაემნებსა და შვებულებებს შორის საინტერესო კომპრომისის მაგალითია გერმანია, სადაც ის ცნობილია ტერმინ „busuxs-

739 იქვე, მუხლი 17²(1, 5)

740 იქვე, მუხლი 70(2)

741 იქვე, მუხლი 17²(6)

742 განსაკუთრებით საშიშ პირებს, რომელთა პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან სარეაბილიტაციო დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სარეაბილიტაციო დაწესებულებისა და მათ გარშემომყოფთა უსაფრთხოებას.

743 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 17¹(1)

744 იქვე, მუხლი 17¹(2)

745 იქვე, მუხლი 70(2)

augang“-ის (შვებულება ვიზიტის ნაცვლად) სახელით. ზოგიერთ თავისუფლებააღკვეთილ პირს საშუალება ეძლევა შეხვდეს თავის მნახველს სარეაბილიტაციო დაწესებულების კედლებს გარეთ იმ დროის განმავლობაში, რა დროითაც პაემანი უნდა გაგრძელებულიყო. ასეთ გადაწყვეტილებას ის უპირატესობა აქვს, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირი და მისი მნახველი თვითონ არჩევენ შეხვედრის ადგილს და პირობებს, ხოლო სარეაბილიტაციო დაწესებულების პერსონალს აღარ უხდება ამ პრობლემებზე ზრუნვა.⁷⁴⁶

უკრაინის სასჯელაღსრულების კოდექსის 144-ე მუხლის თანახმად თანახმად, კარგი ქცევის, შრომისა და სწავლის მიმართ კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, თვითშემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობაში და აღმზრდელობით ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის გამო არასრულწლოვანი მსჯავრდებულები შეიძლება წახალისდნენ. კერძოდ, წახალისების ფორმად შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიება:

(ა) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების თანამშრომლების თანხლებით კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე დასწრებით დაწესებულების ფარგლებს გარეთ;

(ბ) მშობლების ან სხვა ახლო ნათესავების თანხლებით აღმზრდელობითი დაწესებულების გარეთ გასვლის უფლების მიცემით.

ამასთან, დაწესებულების გარეთ გასვლის ხანგრძლივობას განსაზღვრავს დაწესებულების დირექტორი, მაგრამ იგი არ შეიძლება აღემატებოდეს 8 საათს. აკრძალულია დაწესებულების ფარგლებს გარეთ იმ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე დასწრება, რომელიც საღამოს 8 საათის შემდეგ ეწყობა.⁷⁴⁷

ხშირია შემთხვევები, როდესაც თავისუფლების აღკვეთის გამო არასრულწლოვანი მსჯავრდებულები კარგავენ კავშირს საკუთარ ოჯახებთან. არასრულწლოვანის მიერ ახალი სისხლის-

746 ციხის პერსონალის გადამზადების სახელმძღვანელო, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი/იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, 2005, გვ. 118

747 Уголовно-исполнительные Кодексы, Уголовно-исполнительный Кодекс Украины, статья 144, Донецкий Мемориал, Донецк, 2004, ст. 378

სამართლებრივი დანაშაულის ჩადენის პრევენციისა და მისი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებული უნდა იყოს დაადგინოს დაწესებულებიდან გასვლის შემდეგ რომელ არასრულწლოვანს აღარ აქვს კონტაქტი საკუთარ ოჯახთან და შესაბამის სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირის დამყარებისა და თანამშრომლობის საფუძველზე, დაეხმაროს სარეაბილიტაციო დაწესებულებიდან გათავისუფლებულ არასრულწლოვანს ამ კავშირის აღდგენაში.

საქართველოს პატიმრობის კოდექსი განმარტავს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, როგორც მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას, ხოლო რესოციალიზაციის ძირითად საშუალებებად ასახელებს: (ა) სასჯელის მოხდას დადგენილი წესის შესაბამისად; (ბ) სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებას; (გ) აღმზრდელობით მუშაობას არასრულწლოვანთან მიმართ; (დ) მსჯავრდებულთა დასაქმებას; (ე) ზოგადი და პროფესიული განათლების მიღებას; (ვ) საზოგადოებასთან ურთიერთობას.⁷⁴⁸

არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების გაზრდის მიზნით მიზანშეწონილია არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლობა იმ დაწესებულებებთან, რომლებიც ზოგადად არასრულწლოვანთა საკითხებზე, მათ განათლებასა და განვითარებაზე მუშაობენ (მაგალითად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ბავშვის უფლებებსა და ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ.).

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში აუცილებელია მუდმივ შტატზე მუშაობდეს ან ხელშეკრულებით იყოს აყვანილი ფსიქოლოგი, რომლის საქმიანობაც ხელს შეწყობს არასრულწლოვანთა რეაბილიტაციას.

748 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 116(1,2)

რესოციალიზაციის ფარგლებში არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს არასრულწლოვანთა განათლება წარმოადგენს. სასკოლო ასაკის ყველა არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს მიიღოს მისი მოთხოვნებისა და შესაძლებლობების შესაბამისი განათლება,⁷⁴⁹ რაც ხელს შეუწყობს მის საზოგადოებაში დაბრუნებასა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის აცილებას. ამგვარი განათლება უნდა უზრუნველყონ კვალიფიციურმა მასწავლებლებმა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირებული პროგრამების საშუალებით იმგვარად, რომ გათავისუფლების შემდგომ არასრულწლოვანმა დაუბრკოლებლად შეძლოს სწავლის გაგრძელება.

არასრულწლოვანთა განათლების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ფუნქციონირებდეს სკოლა ან არასრულწლოვნებს ჰქონდეთ სარეაბილიტაციო დაწესებულების დატოვების საშუალება საჯარო სკოლაში სწავლის მიზნით. სკოლა სწავლების საერთო ეროვნული პროგრამის ფარგლებში უნდა ახორციელებდეს უწყვეტ სასწავლო პროცესს. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოქმედი სკოლა უნდა ექვემდებარებოდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მასში დასაქმებული უნდა იყვნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სერტიფიცირებული მასწავლებლები. სკოლის დასრულების შემდეგ განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატის (ატესტატის) გადაცემა უნდა ხდებოდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლების და არა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ. სერტიფიკატში (ატესტატში) არ უნდა იყოს მითითებული, რომ სკოლა, რომელიც არასრულწლოვანმა დაამთავრა, ფუნქციონირებდა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში. სკოლას, სხვა საჯარო სკოლების მსგავსად, უნდა ჰქონდეს ჩვეულებრივი რიგითი ნომერი.⁷⁵⁰

749 იქვე, მუხლი ბ14(1)

750 მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლო-

პატიმრობის კოდექსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების მიღების უზრუნველყოფას სარეაბილიტაციო დაწესებულებებში და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აღნიშნული განათლების ფორმების არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში დანერგვასთან მიმართებაში. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია შექმნას ყველა პირობა, რომ მსჯავრდებულმა მიიღოს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლება.

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს უცხოელი ან განსხვავებული კულტურული ან ეთნიკური წარმომავლობის მქონე არასრულწლოვნებისთვის განათლების ხელმისაწვდომობას. არასრულწლოვნებს, რომელთაც არ იციან წერა-კითხვა ან აქვთ სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები, უფლება უნდა ჰქონდეთ მიიღონ სპეციალური განათლება. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, უნდა შეექმნას პირობები მის შესასწავლად.⁷⁵¹

ყოველ პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში (მათ შორის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში) უნდა ფუნქციონირებდეს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილი იქნება როგორც საგანმანათლებლო, ასევე, არასრულწლოვანთა შემთხვევაში, შესაფერისი გასართობი წიგნებითა და ჟურნალებით. დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს ბიბლიოთეკა პატიმრობის კოდექსისა და პატიმრობის საერთაშორისო ნესების ტექსტებით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის გასაგებ ენაზე.

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში უნდა შეიქმნას პირობები მსჯავრდებულთა პროფესიული განათლების უზრუნველყოფისა და პროფესიული დონის ამაღ-

გიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, სასჯელსრულები და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 147

751 იქვე

ლების მიზნით. პროფესიული სწავლება მსჯავრდებულთათვის ნებაყოფლობით ხასიათს უნდა ატარებდეს. არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პროფესიული სწავლების დანერგვისა და განხორციელების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ პროფესიებს, რომელთა ორგანიზება და შესწავლა დანესებულების პირობებშია შესაძლებელი და რომელთა მიმართაც დასაქმების ბაზარზე არსებობს მოთხოვნა. ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს პროფესიული კვალიფიკაციის მიღებისა და სასჯელის მოხდის შემდეგ გათავისუფლებისას სამუშაოს მოძიებასა და დასაქმებაში.

ყოველ არასრულწლოვან მსჯავრდებულს, რომელიც მუშაობს, უნდა ჰქონდეს განხორციელებული საქმიანობის ადეკვატური ანაზღაურება.⁷⁵² არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მუშაობა დასაშვებია სწავლისგან თავისუფალ დროს. ამასთანავე, სწავლისა და მუშაობის დრო ერთობლივად, არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს.⁷⁵³

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დანესებულებაში შემუშავებულ უნდა იქნას ნარკოტიკების აკრძალვასა და ნარკოტიკული და ალკოჰოლური დამოკიდებულების მქონე მსჯავრდებულთა რეაბილიტაციასთან დაკავშირებული პროგრამები, რომლებიც წარიმართება კვალიფიციური პერსონალის მიერ. ეს პროგრამები უნდა განხორციელდეს ასაკის, სქესის და არასრულწლოვანთა სხვა სპეციფიური მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

ყოველ არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს, განურჩევლად მისი რელიგიური მრწამსისა, უფლება უნდა ჰქონდეს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები რელიგიასა და სულიერ ცხოვრებასთან დაკავშირებით, კერძოდ, იმ მსახურებაზე ან შეხვედრებზე დასწრების გზით, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სარეაბილიტაციო დანესებულებაში, აგრეთვე, უფლებით, იქონიოს რელიგიური ხასიათის წიგნები და საგნები, რათა მისდიოს საკუთარ აღმსარებლობას.

752 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 110(5)

753 იქვე, მუხლი 112(2)

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში დასაბრუნებლად მომზადების მიზნით დაინერგა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა, რაც თითოეული არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის ინდივიდუალურად შედგენილ აქტივობათა ერთობლიობას წარმოადგენს.⁷⁵⁴

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა წარმოადგენს რესოციალიზაციის მიზნით კონკრეტული არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის ინდივიდუალურად შედგენილ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვეს, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს კიდევ 6 თვით.⁷⁵⁵ ინდივიდუალური გეგმის დამტკიცებიდან 5 სამუშაო დღეში კოორდინატორი (არასრულწლოვანი მსჯავრდებულის დაწესებულებაში მიღებისთანავე დაწესებულების დირექტორის მიერ დაწესებულების სოციალური განყოფილების უფროსის წარდგინების საფუძველზე ინიშნება ინდივიდუალური გეგმის კოორდინატორი, რომელიც შეიძლება იყოს ფსიქოლოგი ან სოციალური მუშაკი)⁷⁵⁶ მსჯავრდებულთან ერთად ადგენს ერთვინან სამოქმედო გეგმას. ერთვინანი სამოქმედო გეგმის შედგენიდან არა უადრეს 25 დღისა მულტიდისციპლინური საბჭო ახორციელებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგს და მომდევნო სამოქმედო გეგმის შედგენას.⁷⁵⁷

ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული აქტივობების ჩამონათვალს, მის განსახორციელებლად განსაზღვრული დროისა და არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პასუხისმგებელი თანამშრომლების მითითებით. ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნას აქტივობები დაკავშირებული არასრულწლოვან მსჯავრდებულთან სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, ექიმისა და მასწავლებლის როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ

754 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №19 სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, 02.02.2012

755 იქვე, მუხლი 1(1)

756 იქვე, მუხლი 1(4,5)

757 იქვე, მუხლი 2(1)

მუშაობასთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნული აქტივობები შესაძლებელია მოიცავდეს შეხვედრებს ფსიქოლოგთან, მონანი-ლეობას ფსიქო-სოციალური თერაპიის კურსებში, სხვადასხვა საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობებში.

ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას თითოეულ არასრულწლოვან მსჯავრდებულთან მიმართებაში ადგენს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოქმედი მულტიდისციპლინური საბჭო, რომელიც შედგება დაწესებულების შემდეგი თანამშრომლებისგან: სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ექიმი და მასწავლებელი.⁷⁵⁸ მულტიდისციპლინური საბჭოს ფუნქციას წარმოადგენს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ბიოფსიქოსოციალური პორტრეტის შექმნა, გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავება და მის განხორციელებაზე მონიტორინგი.⁷⁵⁹

თითოეული არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა მულტიდისციპლინური საბჭოს მიერ დასამტკიცებლად წარედგინება სარეაბილიტაციო დაწესებულების დირექტორს.⁷⁶⁰

ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის განხორციელება ვრცელდება არასრულწლოვან მსჯავრდებულზე მანამ, სანამ ის სასჯელის მოსახდელად იმყოფება არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში. ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა წარმოადგენს არასრულწლოვან მსჯავრდებულთან დაკავშირებით რისკის განსაზღვრის ერთ-ერთ საფუძველს, რაც გათვალისწინებული იქნება პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხის განხილვის დროს.

მოლდოვაში დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომელიც გამოსწორების გზას ადგას, გათავისუფლებამდე 3 თვით ადრე, გათავისუფ-

758 იქვე, მუხლი 3(1)

759 იქვე, მუხლი 3(3)

760 იქვე, მუხლი 1(10)

ფლებისთვის მომზადების მიზნით, შეიძლება გადაყვანილ იყოს საერთო რეჟიმიდან რესოციალიზაციის პირობებში. ასეთ შემთხვევაში, ისინი ცხოვრობენ დანესებულების გარეთ, სოციალური რეაბილიტაციის ცენტრში, ყოველგვარი დაცვის გარეშე, მაგრამ ზედამხედველობის ქვეშ. მათ უფლება აქვთ ისარგებლონ თვეში დამატებითი 1 ხანგრძლივი პაემნით და განუსაზღვრელი რაოდენობის ხანმოკლე პაემნით.⁷⁶¹

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლება უნდა გამოიყენებოდეს შესაბამისი ორგანოების მიერ, შეძლებისდაგვარად ფართო მასშტაბით და ადრეულ ვადებში.⁷⁶²

გაეროს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, არასრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ შეზღუდვის საშუალებებისა და ძალის გამოყენება მხოლოდ იმ გამონაკლის შემთხვევებშია ნებადართული, როდესაც ამონურულია კონტროლის ყველა სხვა მეთოდი და მათ ვერ გაამართლეს. შეზღუდვის საშუალებების გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის დამცირება და შეურაცხყოფა და გამოყენებულ უნდა იქნას ძალიან შეზღუდულად და მაქსიმალურად მცირე ვადით. დანესებულების დირექტორის ბრძანებით ამგვარი შეზღუდვის საშუალებების გამოყენებას შესაძლოა მიმართონ არასრულწლოვანის მიერ თვითდაზიანების მიყენების, სხვათა დაზიანების ან ქონების განადგურების პრევენციის მიზნით. ამ შემთხვევებში, დირექტორი უნდა მოეთათბიროს სამედიცინო და სხვა შესაბამის პერსონალს და ამის შესახებ მოახსენოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.⁷⁶³

761 Уголовно-исполнительные Кодексы, Уголовно-исполнительный Кодекс Республики Молдова, статья 109(1), Донецкий Мемориал, Донецк, 2004, ст. 211-212

762 იხ. თავი „სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება“

763 გაეროს წესები თავისუფლებაალკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, რეზოლუცია 45/113, 14.12.1990, წესი 64, ადამიანის უფლებები და სასჯელალსრულების დანესებულებები – მართლმსაჯულების განხ-

აღნიშნული სტანდარტების შესაბამისად, პერსონალის მიერ იარაღის ტარება და გამოყენება აკრძალულია ნებისმიერ დაწესებულებაში, სადაც განთავსებული არიან არასრულწლოვნები.⁷⁶⁴

საქართველოს პატიმრობის კოდექსის მიხედვით პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გაქცევის შემთხვევაში, გამონაკლისი ღონისძიების სახით, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია დაწესებულების მოსამსახურის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, თუ სხვა საშუალებით შეუძლებელია აღნიშნული მოქმედების აღკვეთა. გამოყენებული ძალა უნდა იყოს კანონიერი მიზნისა და იმ საფრთხის პროპორციული, რომელიც შესაძლებელია საზოგადოებას დაემუქროს ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაქცევის შემთხვევაში. გამოყენებული ძალა უნდა იყოს მინიმალური, რაც აუცილებელია გაქცეული ბრალდებულის/მსჯავრდებულის შესაჩერებლად. თუმცა, კოდექსი იქვე მიუთითებს, რომ არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაქცევის დროს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დაუშვებელია.⁷⁶⁵

მოლდოვას სასჯელაღსრულების კოდექსი პირდაპირ განსაზღვრავს არასრულწლოვანი პატიმრების მიმართ იარაღის გამოყენების დაუშვებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი მხრიდან დგება ჯგუფური, მათ შორის, შეიარაღებული თავდასხმა, შეიარაღებული წინააღმდეგობის განწევა, რაც საფრთხეს უქმნის გარშემომყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.⁷⁶⁶

საქართველოს პატიმრობის კოდექსი არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მიმართებით იარა-

ორციელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, პროფესიული ტრენინგების სერია №11, საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის პუბლიკაცია, ნიუ-იორკი და ჟენევა 2005, თბილისი, 2007, გვ. 299-300

764 იქვე, წესი 65, გვ. 300

765 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 57²(2)

766 Уголовно-исполнительные Кодексы, Уголовно-исполнительный Кодекс Республики Молдова, статья 101(5), Донецкий Мемориал, Донецк, 2004, ст. 209

ლის გამოყენების აკრძალვასთან ერთად აღნიშნული კატეგორიის პატიმრებთან მიმართ ისეთი სპეციალური საშუალებების გამოყენებას კრძალავს, როგორცაა: დამანყნარებელი პერანგი, დამანყნარებელი სკამი, დამანყნარებელი სანოლი, წინაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა და სასამსახურო ძალღი. არასრულწლოვან ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან მიმართებაში შესაძლებელია მხოლოდ ხელბორკილის გამოყენება, რის შესახებ დანესებულების დირექტორმა უნდა აცნობოს სამედიცინო მუშაკს.⁷⁶⁷

2014 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედდა ნორმა, რომლის თანახმად არასრულწლოვნების მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ხელბორკილი, ხოლო ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღსაკვეთად, თავდასხმის მოსაგერიებლად და შეიარაღებული პირის დასაკავებლად შესაძლებელია აგრეთვე გამოყენებულ იქნას რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი და წყალსატყორცნი.⁷⁶⁸

საერთაშორისო სტანდარტები ერთხმად დეკლარირებენ პრინციპს, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანის მოთავსება თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში უნდა იყოს უკიდურესი ზომა და გამოიყენებოდეს მაქსიმალურად იშვიათად.⁷⁶⁹

გაეროს მეექვსე კონგრესმა “დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევთა მოპყრობის შესახებ” მე-4 რეზოლუციაში, რომელიც შეეხებოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტანდარტებს, განაცხადა, რომ წინასწარი დაკავება უნდა გამოიყენებოდეს, როგორც უკანასკნელი საშუალება და არასრულწლოვნები უნდა განთავსდნენ ისეთ შენობა-767 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 57(2)

768 იქვე, 57(15)

769 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ, წესი 11.2; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებსა ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებთან დაკავშირებით, წესი 10

ში, სადაც ისინი არ დაექვემდებარებიან სრულწლოვანი სამართალდამრღვევების უარყოფით გავლენას.⁷⁷⁰

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ბავშვთან დაკავშირებით მართლმსაჯულების განხორციელებასა და აღსრულებასაც ეხება. კერძოდ, კონვენცია დაუშვებლად მიიჩნევს ბავშვისთვის თავისუფლების უკანონოდ და თვითნებურად აღკვეთას, რადგან დაკავება, დაპატიმრება ან თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში მოთავსება უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ კანონის თანახმად და განიხილებოდეს უკიდურეს ზომად მაქსიმალურად მცირე დროის განმავლობაში.⁷⁷¹

თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში ბავშვის მოთავსების შემთხვევაში კონვენცია ადგენს, რომ მისდამი მოპყრობა ჰუმანურ და მისი ღირსების პატივისცემის ხასიათს ატარებდეს, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი ასაკისთვის დამახასიათებელი მოთხოვნები. ამ მიზნით კონვენცია ასახელებს რამდენიმე უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომლის რეალიზაციაც სახელმწიფოების ვალდებულებას წარმოადგენს. უფრო კონკრეტულად ეს პრინციპები შეეხება თავისუფლებააღკვეთილი ბავშვის უფროსებისგან განცალკევებით განთავსებას, თუ არ იქნება მიჩნეული, რომ ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებისთვის აღნიშნულის გაკეთება არ არის საჭირო; აგრეთვე, ბავშვის უფლებას, კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან მიმოწერის ან შეხვედრების ფორმით, განსაკუთრებულ გარემოებათა გამოკლებით.⁷⁷²

770 გ.მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 10

771 გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, რეზოლუცია 44/25, 20.11.1989, წესი 37(ბ), ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დანესებულებები – მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, პროფესიული ტრენინგების სერია №11, საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის პუბლიკაცია, ნიუ-იორკი და ჟენევა 2005, თბილისი, 2007, გვ. 104

772 იქვე, წესი 37(გ)

კონვენცია ხაზს უსვამს თავისუფლებააღკვეთილი ბავშვის-თვის გადაუდებელი სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარების გაწევის თაობაზე, აგრეთვე, სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს წინაშე სარეაბილიტაციო კანონიერების გასაჩივრების უფლებას, რაც დაუყოვნებლივ განხილულ უნდა იყოს და აღნიშნულზე შესაბამისი გადაწყვეტილება იქნას გამოტანილი.⁷⁷³

გაეროს სისტემაში ფუნქციონირებს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომელსაც წევრი სახელმწიფოები ბავშვის უფლებათა კონვენციის 44-ე მუხლის თანახმად წარუდგენენ კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით პერიოდულ ანგარიშს. წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე კომიტეტი შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს კონკრეტულ სახელმწიფოებთან მიმართებაში.

საქართველოს მიერ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტისთვის წარდგენილი მესამე პერიოდული ანგარიში განხილულ იქნა კომიტეტის მიერ 2008 წელს. აღნიშნული განხილვის შედეგად გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა ჩამოაყალიბა საქართველოსთან მიმართებით კონკრეტული რეკომენდაციები დაკავშირებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან. კერძოდ:

(ა) მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყოს არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე სასამართლოების შემოღება და არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე მოსამართლეების დანიშვნა ქვეყნის ყველა რეგიონში.

(ბ) უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე ყველა ადამიანს ჩაუტარდეს ტრენინგი შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებში.

(გ) თავისუფლების აღკვეთა განიხილოს მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა და რაც შეიძლება მოკლე ვადით; დაიცვას თავისუფლებააღკვეთილ ბავშვთა უფლებები და გააკონტროლოს მათი პატიმრობის პირობები; უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ყოფნისას ბავშვ-

773 იქვე, წესი 37(დ)

ვებს მუდმივად ჰქონდეთ კონტაქტი საკუთარ ოჯახებთან.

(დ) დაამკვიდროს ერთიანი და პრევენციული მიდგომა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრობლემისადმი (მაგალითად, განმაპირობებელი სოციალური ფაქტორების მოგვარება), რასაც კონვენცია ითვალისწინებს, რათა ადრეულ ეტაპზე გაუწიოს დახმარება რისკის ჯგუფში შემავალ ბავშვებს პატიმრობის ალტერნატიული ზომების გამოყენებით, როგორც არის პრობაცია, კონსულტაციები, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა.

(ე) შემოიღოს ბავშვებისთვის იურიდიული და სხვა სახის დახმარება ადრეულ ეტაპზე და უზრუნველყოს მათთვის პატიმრობისას ძირითადი მომსახურებების (სწავლისა და ჯანდაცვის) მიწოდება.⁷⁷⁴

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა 2007 წელს გამოცემულ №10 ზოგად კომენტარებში ხაზი გაუსვა შემდეგი პრინციპებისა და წესების დაცვის აუცილებლობას თავისუფლების აღკვეთის ყველა შემთხვევისას:

(ა) ბავშვების ფიზიკური და საცხოვრებელი გარემო ინსტიტუციაში უნდა ემსახუროდეს რეაბილიტაციის მიზნებს. შესაბამისი ყურადღება უნდა დაეთმოს პირადი ცხოვრების, სენსორული სტიმულაციის, თანატოლებთან ურთიერთობის, სპორტულ და გამაჯანსაღებელ სავარჯიშოებში მონაწილეობის, აგრეთვე ხელოვნებას და თავისუფალი დროის აქტივობების საჭიროებას. სასკოლო ასაკის ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს ის განათლება, რაც შეესაბამება მის საჭიროებებს და შესაძლებლობებს და რომლის მიზანია მოამზადოს ის საზოგადოებაში დაბრუნებისთვის. გარდა ამისა, ყველა ბავშვმა, უნდა გაიაროს პროფესიული მომზადების ტრენინგი, რომელიც სავარუდოდ ხელს შეუწყობს მას სამომავლო დასაქმებაში.

(ბ) ყველა ბავშვი ინსტიტუციაში მიღებისას უნდა შემონმდეს ექიმის მიერ. მას უფლება აქვს მიიღოს ადეკვატური სამედიცინო დახმარება და ზრუნვა მისი ინსტიტუციაში ყოფნის მთელი

774 გაეროს სახელმეკრულებო ორგანოთა დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეორე და მესამე პერიოდულ ანგარიშებზე, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 82-83

პერიოდის განმავლობაში, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნას, შესაძლებლობის შემთხვევაში, სათემო სამედიცინო დანესებულების ან სერვისების მიერ.

(გ) თავისუფლების აღკვეთის დანესებულების თანამშრომლებმა ხელი უნდა შეუწყონ ბავშვის ხშირ კონტაქტს ფართო საზოგადოებასთან. აქ იგულისხმება კომუნიკაცია ოჯახთან, მეგობრებთან და მაღალი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ბავშვს უნდა მიეცეს შესაძლებლობა სახლში მოინახულოს ოჯახი.

(დ) შეზღუდვისა და ძალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი ფიზიკური დაზიანების საფრთხის ქვეშ აყენებს საკუთარ თავს ან სხვებს და როდესაც ამგვარ სიტუაციაზე კონტროლის სხვა ყველა მექანიზმის გამოყენება უშედეგოდ დასრულდა.

(ე) ნებისმიერი დისციპლინარული ზომის გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის ღირსების გრძნობის შენარჩუნებას და ინსტიტუციური ზრუნვის ძირითად ამოცანებს. მკაცრად უნდა აიკრძალოს კონვენციის 37-ე მუხლით განსაზღვრული ისეთი დისციპლინარული ზომები, როგორცაა ფიზიკური დასჯა, ბნელ საკანში მოთავსება, დახურულ და შემოსაზღვრულ სივრცეში მარტო მოთავსება. ასევე უნდა აიკრძალოს დასჯის ყველა ის ფორმა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვის გონებრივ ჯანმრთელობას და კეთილდღეობას.

(ვ) ბავშვს აქვს უფლება საჩივრით, ცენზურის გარეშე, მიმართოს ცენტრალურ ადმინისტრაციას, სამართლებრივ ან სხვა შესაბამის დამოუკიდებელ ორგანოს და დაყოვნების გარეშე მიიღოს პასუხი. ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია, რომ მათ შეუძლიათ ამგვარი მექანიზმების გამოყენება.

(ზ) დამოუკიდებელ და კვალიფიციურ ინსპექტორებს უფლება უნდა ჰქონდეთ რეგულარულად აწარმოონ შემოწმება, მათ შორის წინასწარი გაფრთხილების გარეშე საკუთარი ინიციატივით. შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვებთან საუბარს კონფიდენციალურ გარემოში.⁷⁷⁵

775 General Comments NO. 10 (2007) Children's rights in juvenile justice, COMMITTEE ON THE RIGHTS OF THE CHILD, Forty-fourth session Geneva, 15 January – 2 Feb-

გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად მოიცავს ყველა მოთხოვნას, რაც განმტკიცებულის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში და სხვა აქტებში, რომლებიც სრულწლოვნებს ეხება. თუმცა, თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის წესები უფრო მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს ადამიანის უფლებათა დაცვის კონტექსტში მოპყრობის, განათლებისა და რეაბილიტაციის საკითხებზე, ისევე როგორც სტიგმატიზაციისგან დაცვაზე.

გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არასრულწლოვანთათვის ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შექმნას.⁷⁷⁶

განსაკუთრებული პრინციპებია დამკვიდრებული არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვის, რომლის ამომავალი პრინციპი ხაზს უსვამს მოვალეობების განხორციელებისას პერსონალის მიერ არასრულწლოვანთა ადამიანური ღირსებისა და ფუნდამენტური უფლებების პატივისცემასა და დაცვას. პერსონალი მოვალეა უზრუნველყოს არასრულწლოვანთა ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის სრული დაცვა, მათ შორის, დაცვა ფიზიკური, სექსუალური და ემოციური ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან და საჭიროების შემთხვევაში უნდა გაატარონ გადაუდებელი სამედიცინო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ქმედებები.⁷⁷⁷

არასრულწლოვან პატიმართა მიმართ სანქციებისა და ზო-

ruary 2007, pg. 23-24, AT <http://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/GC10-en.doc>

776 გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, რეზოლუცია 45/113, 14.12.1990, წესი 30, ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები – მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, პროფესიული ტრენინგების სერია №11, საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის პუბლიკაცია, ნიუ-იორკი და ჟენევა 2005, თბილისი, 2007, გვ. 290

777 იქვე, წესი 87, გვ. 305–306

მების გამოყენების თაობაზე ევროპული წესები (შემდგომ ტექსტში წესები) ეხება საზოგადოებაში როგორც სანქციებისა და ზომების შეფარდებას, ასევე მათ აღსრულებას, აგრეთვე – თავისუფლების აღკვეთას.

წესები ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თავისუფლების აღკვეთის ყველა ფორმა უნდა ექვემდებარებოდეს სასჯელის მოხდისგან ვადამდე გათავისუფლების სისტემას.⁷⁷⁸ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა არსებობდეს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს ვადამდე ადრე გათავისუფლების ისეთ წინაპირობებს როგორცაა მცირე დრო, რომელიც არასრულწლოვანმა ვადამდე ადრე გათავისუფლებამდე სასჯელის სახით უნდა მოიხადოს, პროგნოზირებადი შეფასებები და გათავისუფლების შემდეგ ზედამხედველობის პერიოდი და პირობები. ვადამდე ადრე გათავისუფლების მსგავსმა სქემამ დაადასტურა მისი მხრიდან წვლილის შეტანა სოციალური რეინტეგრაციის პროცესში. მათი ზეგავლენა ცხადია მაშინ, როდესაც ის შეადგენს გათავისუფლებისთვის პროგრესული მზადებისა და განვრცობადი მზრუნველობის შემადგენელ ნაწილს.

წესები მოიცავს ზოგად პრინციპებს თავისუფლების აღკვეთის დანესებულების ფარგლებში ყოველდღიური აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებით, რაც მიზანმიმართული უნდა იყოს არასრულწლოვანთა რეინტეგრაციის გაუმჯობესებისკენ. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს უნდა შეეთავაზოთ აზრობრივი ღონისძიებები და ჩართულობა, რაც ასახული უნდა იყოს მათთვის შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში. ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის, საკუთარი თავისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძობის განვითარების მიზანი ზემოქმედებას ახდენს წესების ადამიანურ მიდგომაზე. თავისუფლების აღკვეთის დანესებულების ვალდებულებაა მსგავსი აქტივობებისა და ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც მხარდაჭერილ უნდა იყოს არასრულწლოვანის მიერ, მათში მონაწილეობის მიღე-

⁷⁷⁸ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებსა ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებთან დაკავშირებით, წესი 49.2

ბის ფორმით. არასრულწლოვანის მიერ აქტიური მონაწილეობა დაგეგმილ ღონისძიებათა წარმატების აუცილებელი პირობაა, რაც მხარდაჭერილ უნდა იქნას ნახალისებებისა და მიღწევების აღნიშვნის სრულყოფილი სისტემით. მსგავსმა სისტემამ უნდა მოიცვას სასწავლო და პროფტექნიკური ტრენინგები, ისევე, როგორც მუშაობა და დასვენება.

წესები ავალდებულებს სახელმწიფოს დაიცვას ყველა, მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ადამიანი სხვა თავისუფლებააღკვეთილი პირების ან პერსონალის მხრიდან განხორციელებული ძალადობისგან. სწორედ ამიტომ, შესაძლოა მოხდეს უფრო ახალგაზრდა არასრულწლოვნების უფრო ზრდასრული არასრულწლოვნებისგან ცალკე განთავსება,⁷⁷⁹ რისი მიზეზიც მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების უკეთ დაცვა იქნება. პრიორიტეტი უნდა მიეცეს იმ სტრატეგიებსა და ზომებს, რომლებიც ახდენენ დანაშაულებრივი ქმედებების პრევენციას (ძალადობა, დაშინება ან შანტაჟი, რომლებიც რიგ შემთხვევებში შეიძლება ასოცირდებოდეს სუბკულტურასთან) დროებით სხვადასხვა არასრულწლოვნების ერთმანეთისგან იზოლირებით, თუმცა, სპეციფიურ შემთხვევებში უფრო მიზანშეწონილი იქნება მსხვერპლის დაცვა უფრო დაცულ სხვა დაწესებულებაში ან დაწესებულების განყოფილებაში გადაყვანის გზით.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ფუნქციონალური განსხვავება წარმოადგენს ფუნდამენტურ პრინციპს იმ ინსტიტუტებისთვის, რომლებიც ორიენტირებული არიან დააკმაყოფილონ იქ მოთავსებულ არასრულწლოვანთა სოციალური და საგანმანათლებლო საჭიროებები. ინდივიდუალური მოპყრობის გეგმები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, რომლებიც კონცენტრირებული არიან არასრულწლოვანთა მოთხოვნებსა და საჭიროებებზე. დიდი ზომის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ინდივიდუალური მიდგომის შესანარჩუნებლად, საჭიროა კონკრეტული ფუნქციების მატარებელი სხვადასხვა განყოფილებების არსებობა სპეციფიური მოპყრობისა და სა-

779 იქვე, წესი 59.1

განმანათლებლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ნამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა თურქეთში 2004 წელს განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში აღნიშნა, რომ არასრულწლოვანის პატიმრობისთვის დამახასიათებელი გარემო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: (1) ცხოვრება პატარა სათავსოებში; (2) შეფასების სათანადო სისტემა განყოფილებების შესაფერისი განთავსების უზრუნველსაყოფად; (3) მულტიდისციპლინური გუნდი (მიზანშეწონილია რომ წარმოდგენილი იყოს ორივე სქესის წარმომადგენლები), რომელთაც გავლილი ექნებათ არასრულწლოვანებთან მუშაობის კურსები; (4) განათლების სრული პროგრამა მათთვის ვისაც ჯერ არ შესრულებია სკოლის დამთავრების ასაკი, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წერა-კითხვისა და მათემატიკის სწავლას, ისევე როგორც უფროსი ასაკის არასრულწლოვანთათვის სწავლის გაგრძელებისა და პროფტექნიკური სწავლების ორგანიზება; (5) შენობა-ნაგებობები, რომლებმაც საშუალება უნდა მისცენ არასრულწლოვნებს ახლო კონტაქტი იქონიონ თავიანთი ოჯახის წევრებთან. ნამების პრევენციის კომიტეტი რეკომენდაციას უწევს ზემოხსენებული კომპონენტების არსებობას არასრულწლოვანთათვის მოქმედ და მომავალში გახსნილ ყველა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იმისდა მიუხედავად, იქნება ეს პატიმრობის თუ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება.⁷⁸⁰

არასრულწლოვანების ინსტიტუტები უნდა იყოს მართვადი ზომის. შეუძლებელია ევროპის მასშტაბით განისაზღვროს სპეციალური მაქსიმალური ზომა. არასრულწლოვანების თავისუფლების აღკვეთის ზოგიერთი ინსტიტუტი შედარებით დიდია რამდენიმე ასეული ადგილით (როგორც აღმოსავლეთ ევროპასა ან გერმანიაში), მაშინ როცა ამის სანინააღმდეგოდ, სხვა ქვეყნებს ხშირად აქვთ მხოლოდ 15-30 ადგილი, როგორც მაგალითად სკანდინავიის ქვეყნებში ან შვეიცარიაში. უკანასკნელი ფრანგული მიდგომა შექმნილიყო ახალგაზრდული პენიტენციური ინსტიტუტი არაუმეტეს 60 ადგილით, მიჩნეულ უნდა

780 Report to the Turkish Government on the visit to Turkey carried by the CPT from 16 to 29 March 2004 (CPT/Inf2005)18, paragraph 73), www.cpt.coe.int

იქნას როგორც კარგი პრაქტიკა, პერსონალის დონის და იმ აქტივობების დიაპაზონის გათვალისწინებით, რასაც ადგილი აქვს აღნიშნულ ინსტიტუტში. ამავდროულად, ფრანგული მიდგომა, შეექმნათ დახურული საგანმანათლებლო ინსტიტუტი ასევე იმსახურებს პოზიტიურ შეფასებას. ასეთ დახურულ ინსტიტუტებს აქვთ არაუმეტეს 10 ადგილისა (საგანმანათლებლო პერსონალის დაახლოებით 20 ადგილით). ინსტიტუტის მთლიანი ზომის მიუხედავად, მნიშვნელოვანია დაიყოს ინსტიტუტები საცხოვრებელ ნაწილებად, რომელსაც ექნება დაახლოებით 10, მაგრამ არაუმეტეს 15 ადგილისა. ინსტიტუტების უფრო პატარა საცხოვრებელ ნაწილებად დაყოფა არის ინტერვენციის ეფექტური სისტემის ორგანიზების ყველაზე ეფექტური გზა. აღნიშნული ასევე ეხება წინასწარი დაკავების დანესებულებებს, თუმცა ასეთ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას პრაქტიკული სიძნელეები, ვინაიდან როგორც წესი არასრულწლოვნები, რომლებიც ბრალდებულნი არიან ერთსა და იმავე დანაშაულში მონაწილეობისთვის ცალცალკე იმყოფებიან. ამასთან, სოციალური უნარები უფრო ადვილად ისწავლება პატარა ჯგუფებში. პატარა ჯგუფების ცხოვრების დინამიკა მეტად უბიძგებს არასრულწლოვნებს საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა მათი ყოველდღიური ცხოვრების ორგანიზებაზე. ეს გულისხმობს საკუთარი თავის მოვლას და უფრო ფართოდ სხვებთან პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას დემოკრატიული გზით.⁷⁸¹

სპეციფიურ ჯგუფს განეკუთვნებიან არასრულწლოვნები, რომელთაც ფიზიკური ნაკლოვანებები გააჩნიათ.⁷⁸² წესები პირდაპირ მიუთითებს, რომ არ შეიძლება ამგვარი თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების სეგრეგირება. შესაბამისად, ისინიც ჩვეულებრივ თავისუფლების აღკვეთის დანესებულე-

781 მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, სასჯელსრულები და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 188

782 იხ. თავი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრები“

ბებში უნდა იყვნენ განთავსებულნი.⁷⁸³ დაწესებულებაში უნდა ფუნქციონირებდეს სპეციალური სასკოლო მეთოდები, პროფესიული დახელოვნების კურსები და სხვა პროგრამები, რომლებიც უნარშეზღუდულ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა საჭიროებებს შეესაბამება. იმ შემთხვევაში, თუ ვერ იქნება მოძიებული ჩვეულებრივი თავისუფლების დაწესებულება, სადაც შეზღუდული უნარების მქონე არასრულწლოვნების სპეციალური მოთხოვნილებები იქნება დაკმაყოფილებული, ისინი გადაყვანილ უნდა იქნენ ისეთ სპეციალიზირებულ დაწესებულებაში, სადაც აღნიშნული პირობები იქნება დაცული.⁷⁸⁴

9.5.2 ქალი პატიმრები

სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკის ანალიზს და შედარებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ პატიმართა საერთო რაოდენობის უდიდესი უმრავლესობა ზრდასრული (18 წელს მიღწეული) მამაკაცები არიან და მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენენ ქალი პატიმრები (ზოგადად სტატისტიკური მაჩვენებელი 2-დან 8%-მდე მერყეობს, საშუალოდ 4-5%, რაც იმას ნიშნავს, რომ მიახლოებით ყოველ 20 პატიმარში 1 ქალია).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოთხოვნას, რაც დაუშვებლად მიიჩნევა ქალი პატიმრების განთავსებას მამაკაცი პატიმრებისთვის განკუთვნილ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. რიგ ქვეყნებში, და მათ შორის საქართველოშიც, ფუნქციონირებს შერეული ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებები, სადაც ქალი და მამაკაცი პატიმრები ერთ დაწესებულებაში, მაგრამ ერთმანეთისგან იზოლირებულად არიან განთავსებული (ასე მაგალითად, ქუთაისის №2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, სადაც შექმნილია ბრალდებულ ქალთა განყოფილება, იზოლირებულია ბრალდებული და მსჯავრდებული მამაკაცებისგან).

783 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებსა ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებთან დაკავშირებით, წესი 107.1

784 იქვე, წესი 107.2

საქართველოში ქალ მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის მოსახდელად ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი დაწესებულება - №5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. ამავე დაწესებულებაში, განცალკევებულ ფლიგელში, განთავსებული არიან ის ქალი ბრალდებულები, რომელთა მიმართ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის გამო წარმოებს გამოძიება.

საქართველოს კანონმდებლობით ქალ მსჯავრდებულებზე ვრცელდება ნახევრად ღია ტიპის დაწესებულების მსჯავრდებულთათვის დადგენილი ნორმები. ვადიანი თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული ქალები განთავსდებიან დაწესებულების ნახევრად ღია ტიპის, ხოლო უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული ქალები განთავსდებიან დახურული ტიპის განყოფილებაში. ერთ ქალ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა არ უნდა იყოს 4მ² ნაკლები.⁷⁸⁵

ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს: (ა) 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი;⁷⁸⁶ (ბ) 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 5 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი – არა უმეტეს 15 წუთისა;⁷⁸⁷ (გ) 10 კალენდარული დღის განმავლობაში ჰქონდეს 1 ვიდეოპაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ვიდეოპაემანი;⁷⁸⁸ (დ) ორსულ ქალებსა და 3 წლამდე ბავშვის დედას უფლება აქვთ, წელიწადში სამჯერ ისარგებლონ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით, ხოლო მსჯავრდებულ ქალებს, ვინც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში და რომლის მიმართაც არ მოქმედებს დისციპლინური სახდელი ან

785 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 72(2)

786 იქვე, მუხლი 72(5)

787 იქვე, მუხლი 72(6)

788 იქვე, მუხლი 72(9)

ადმინისტრაციული პატიმრობა, უფლება აქვს, წელიწადში ორჯერ ისარგებლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით (არაუმეტეს 5 დღის ვადით);⁷⁸⁹ (ე) 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 საოჯახო პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი საოჯახო პაემანი.⁷⁹⁰

საოჯახო პაემანი არის ქალი მსჯავრდებულის შვილთან, ნამვილებთან, მეუღლესთან, მშობელთან (მშვილებელთან), დასთან და ძმასთანამ შეხვედრა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. საოჯახო პაემანი გრძელდება არა უმეტეს 3 საათისა.⁷⁹¹

პატიმრობის კოდექსის თანახმად ქალთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ შეიძლება უფლება მისცეს მსჯავრდებულს, განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით დროებით დატოვოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, თუ მიღებულია სარწმუნო ცნობა მისი ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისთვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე.⁷⁹² თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 დღეს, რომელშიც შედის მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც.⁷⁹³ დაწესებულების დროებით დატოვება მსჯავრდებულს შეუძლია სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ გამცილებელ თანამშრომლებთან ერთად. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.⁷⁹⁴

მსგავსი პრაქტიკა არის დანერგილი პატიმრობის კოდექსის მიერ ბრალდებულთან მიმართებაში (მათ შორის ქალ ბრალდებულთან დაკავშირებითაც), იმ განსხვავებით, რომ ბრალდებუ-

789 იქვე, მუხლი 27(1)

790 იქვე, მუხლი 72(8)

791 იქვე, მუხლი 17³

792 იქვე, მუხლი 26(1)

793 იქვე, მუხლი 26(3)

794 იქვე, მუხლი 26(4)

ლი ქალის მიერ პატიმრობის დაწესებულების დროებით დატოვების ნებართვას გასცემს გამომძიებელი ან პროკურორი და ეს ნებართვა შეიძლება გაიცეს 2 დღემდე ხანგრძლივობით.⁷⁹⁵

ციხის ხელმძღვანელობამ, ქალი პატიმრებისთვის, მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ისეთი შესაძლებლობები, როგორცაა შევებულება, ღია ტიპის ციხეები, გარდამავალი დაწესებულებები (halfway houses).⁷⁹⁶

ქმედითი ზომები უნდა იქნას მიღებული რათა ჩხრეკის დროს დაცული იყოს პატიმარი ქალების ღირსება და პატივი. ჩხრეკა უნდა ჩატარდეს მხოლოდ ქალი თანამშრომლის მიერ, რომელიც სათანადოდ იქნება მომზადებული ჩხრეკის შესაბამის მეთოდებში და დადგენილი პროცედურების მიხედვით განახორციელებს მას.⁷⁹⁷

შემონმების ალტერნატიულმა მეთოდებმა, როგორცაა სკანირება, უნდა ჩაანაცვლოს შიშველი ჩხრეკა და სხეულის აგრესიული (ინვაზიური) ჩხრეკა, რადგან თავიდან იქნას აცილებული მათგან მიღებული საზიანო ფსიქოლოგიური და შესაძლო ფიზიკური გავლენა.⁷⁹⁸

ციხის თანამშრომლებმა უნდა გამოავლინონ კომპეტენცია, პროფესიონალიზმი და თანაგრძნობა და უნდა შეინარჩუნონ პატივისცემა და ღირსება, როდესაც ჩხრეკენ ბავშვს, რომელიც დედასთან ერთად იმყოფება ციხეში, და ასევე მასთან პაემანზე მისულ ბავშვს.⁷⁹⁹

ორსული ქალების, მცირეწლოვანი ბავშვების დედებისა და 65 წელს გადაცილებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის (მათ შორის ქალის) მიმართ არ გამოიყენება ისეთი დისციპლინარული სახდელები, როგორცაა სამართო საკანში მოთავსება 20 დღემდე ვადით და საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში გა-

795 იქვე, მუხლი 78(1)

796 გაეროს წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), 06.10.2010, წესი 45, იხ. <http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf>

797 იქვე, წესი 19

798 იქვე, წესი 20

799 იქვე, წესი 21

დაყვანა 6 თვემდე ვადით.⁸⁰⁰ სამარტოო საკანში მოთავსება ან დისციპლინური იზოლირება, როგორც სასჯელი, არ უნდა იქნას გამოყენებული ციხეში ორსული ქალების, ახალშობილი ბავშვინი ქალებისა და მეძუძური დედების მიმართ.⁸⁰¹ ქალი პატიმრების მიმართ დისციპლინური სანქციები არ უნდა ითვალისწინებდეს ოჯახთან, განსაკუთრებით ბავშვებთან კონტაქტის აკრძალვას.⁸⁰² დამატებით, ორსულ ქალებს არ შეეფარდება ადმინისტრაციული პატიმრობა.⁸⁰³

ბრალდებული/მსჯავრდებული ქალის მიმართ დამაწყნარებელი პერანგი არ გამოიყენება.⁸⁰⁴ დაუშვებელია აგრეთვე, ქალის დაწესებულებიდან გაქცევის დროს, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება.⁸⁰⁵

2014 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედდა ნორმა, რომლის თანახმად ქალი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ხელბორკილი, ხოლო ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღსაკვეთად, თავდასხმის მოსაგერიებლად და შეიარაღებული პირის დასაკავებლად შესაძლებელია აგრეთვე გამოყენებულ იქნას რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი და წყალსატყორცი.⁸⁰⁶

ქალი პატიმარი განეკუთვნება პატიმართა განსაკუთრებულ კატეგორიას, რაც განპირობებულია მათი სპეციფიური საჭიროებებით. აგრეთვე, ქალი პატიმრები ხშირად ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არიან, ბევრი მათგანი სხვადასხვა დაავადების მატარებელია. სწორედ აღნიშნული გარემოებები განაპირობებს მათდამი მოპყრობის თავისებურების საჭიროებას.

პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ბრალდე-

800 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 82(2)

801 გაეროს წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), 06.10.2010, წესი 22, იხ. <http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf>

802 იქვე, წესი 23

803 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 90(3)

804 იქვე, მუხლი 57(2)

805 იქვე, მუხლი 57(5)

806 იქვე, 57'(15)

ბული ქალი ფეხმძიმედაა. ამ გარემოების გათვალისწინებით, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოები უნდა შეეცადონ მაქსიმალურად თავი შეიკავონ ორსული ქალის პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებისგან.⁸⁰⁷ სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, კანონმდებლობა ითვალისწინებს ფეხმძიმე ქალისთვის სასჯელის მოხდის გადავადების შესაძლებლობას.⁸⁰⁸

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადანყვეტილებით ორსული ქალი მოთავსდება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მისთვის უნდა შეიქმნას ყველა პირობა, აუცილებელი ნორმალური ორსულობისა და ბავშვის მოვლისთვის. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ ყველა ზომა უნდა მიიღოს, რომ მშობიარობა განხორციელდეს სამოქალაქო საავადყოფოში. ამ მხრივ საქართველოს კანონმდებლობა სავალდებულო ხასიათს ატარებს - დაწესებულებამ და დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყონ ორსული ქალის საერთო პროფილის საავადყოფოში მშობიარობა.⁸⁰⁹ მიზანშეწონილია ორსული პატიმრის ბადრაგის თანხლებით სამოქალაქო სამშობიაროში მშობიარობამდე რამდენიმე დღით ადრე გადაყვანა და არა მშობიარობის დაწყების დროს. აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება პროფესიონალი სამედიცინო პერსონალის სისტემატური მეთვალყურეობის ქვეშ ორსულობის ნორმალურად მიმდინარეობა და მშობიარობა. ამასთანავე, სამშობიარო სახლში გაჩენილი ბავშვის დაბადების ადგილად მითითებული იქნება აღნიშნული დაწესებულება და არა პატიმრობის ან თავისუფლე-

807 გ.მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, სასჯელაღსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 36

808 იხ. თავი „სასჯელის მოხდის გადავადება“
809 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №97 (30.05.2011) პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზის სამკურნალო და თავისუფლების აღკვეთის ცენტრის დებულებების დამტკიცების შესახებ, დანართი №2 „თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულება“, მუხლი 90(4)

ბის აღკვეთის დაწესებულება. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შეუძლებელი იქნება ორსული პატიმარი ქალის სამოქალაქო საავადმყოფოში მშობიარობამდე გადაყვანა და მშობიარობა მოწვეული გინეკოლოგის დახმარებით სასჯელალსრულების დაწესებულებაში განხორციელდება (საამისოდ სპეციალურად მომზადებულ სამედიცინო ნაწილის დანაყოფში), ბავშვის დაბადების ადგილად დაბადების მოწმობაში არ უნდა ჩაინეროს სასჯელალსრულების დაწესებულება.⁸¹⁰

დედასა და შვილს შორის ურთიერთობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, რაც უპირველესად ბავშვის ინტერესებითაა განპირობებული, სხვადასხვა ქვეყნები თავის კანონმდებლობაში განსაზღვრავენ დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაში პატიმრობაში მყოფ ქალს უფლებას აძლევენ თან იყოლიოს მცირეწლოვანი ბავშვი. აღნიშნული ვადა შეიძლება იყოს 9, 18, 48 თვე ან უფრო მეტი ხანგრძლივობის მქონე პერიოდი. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქიროების შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ეწყობა სპეციალური განყოფილება ფეხმძიმე ქალებისა და ბავშვებისთვის. დედის შუამდგომლობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ნებართვითა და ადმინისტრაციის თანხმობით, შეიძლება დედისა და 3 წლამდე ბავშვისთვის ერთად ცხოვრების პირობების შექმნა.⁸¹¹ თუმცა, დაწესებულების ადმინისტრაციას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია დედას აუკრძალოს არასრულწლოვან შვილებთან ურთიერთობა.⁸¹²

810 პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები, 1955, წესი 23(1), ადამიანის უფლებები და სასჯელალსრულების დაწესებულებები – მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, პროფესიული ტრენინგების სერია №11, საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის პუბლიკაცია, ნიუ-იორკი და ჟენევა 2005, თბილისი, 2007, გვ. 197

811 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 72(2)

812 საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №97 (30.05.2011) პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო

ორსულ ქალებსა და მეძუძურ დედებს ექმნებათ სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები⁸¹³ და შესაბამისი კვება.⁸¹⁴ ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული, რათა დაკმაყოფილებულ იქნას იმ ორსულ ქალთა სპეციფიური დიეტის მოთხოვნები, რომლებსაც ალკვეთილი აქვთ თავისუფლება, მათ უნდა შესთავაზონ საკვები პროტეინების მაღალი შემცველობით, დიეტა, რომელიც მდიდარია ცოცხალი ხილითა და ბოსტნეულით.⁸¹⁵ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით (№87-83/ნ, 20-25.05.2011) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ, განისაზღვრა სხვადასხვა ტიპის დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და სხვადასხვა კატეგორიის, მათ შორის ორსულ და მეძუძურ ქალთა,⁸¹⁶ და აგრეთვე, დაწესებულებებში მყოფ ჩვილ ბავშვთა⁸¹⁷ კვირის სასურსათო ნორმები.⁸¹⁸

მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ბავშვი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იზრდება, დედის და მისი საცხოვრებელი პირობები და გარემო უნდა იყოს სათანადო. მოქმედი კანონმდებლობით, დაწესებულება ვალდებულია იზრუნოს დაწესებულებაში მსჯავრდებულ დედებთან მცხოვრებ ბავშვებზე, უპირატესად დაიცვას მათი ინტერესები და შეუქმნას მათ კანონმდებლობით გათვალისწინებული საუკეთესო პირო-

დაწესებულებისა და ტუბერკულოზის სამკურნალო და თავისუფლების აღკვეთის ცენტრის დებულებების დამტკიცების შესახებ, დანართი №2 „თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულება“, მუხლი 89(6)

813 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 15(5)

814 იქვე, მუხლი 23(4)

815 ამონარიდი მე-10 საერთო ანგარიშიდან (CPT/Inf (2000) 13), ციხეში ჯანმრთელობის დაცვის საკითხების მარეგულირებელი ევროპის საბჭოს რეკომენდაციებისა და სტანდარტების კრებული, თბლისი, 2012. გვ. 57

816 მუხლი 14(ზ)

817 მუხლი 14(თ)

818 იხ. თავი „კვება“

ბები.⁸¹⁹ ამ მიზნით, ქალთა სპეციალურ დანესებულებაში იქმნება დედათა და ბავშვთა სახლი, რომელიც გამოყოფილი უნდა იყოს სხვა მსჯავრდებულთა საცხოვრებელისაგან და აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი ინვენტარით.

მიღებულ უნდა იქნას ზომები, რათა ნორმალურად ვითარდებოდეს თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში მყოფი ბავშვის ფიზიკური და შემეცნებითი ზრდა. კერძოდ კი, მათ უნდა ჰქონდეთ თამაშისა და ვარჯიშის სათანადო საშუალებები, და როცა არსებობს ამის შესაძლებლობა, დატოვონ დანესებულება და გამოცადონ ჩვეულებრივი ცხოვრება მის კედლებს გარეთ. ბავშვის გონებრივი განვითარების ხელშეწყობა დანესებულების ფარგლებს გარეთ მყოფი ოჯახის წევრების მიერ, ასევე შეიძლება დაეხმაროს ბავშვის აღზრდის ტვირთის განაწილების უზრუნველყოფას (მაგალითად, ბავშვის მამის მიერ). როცა ეს არ არის შესაძლებელი, მიღებულ უნდა იქნას ზომები ბაგა-ბაღის ტიპის დანესებულებების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ასეთი ღონისძიებები შესაძლებლობას მისცემს ქალებს, რომელთაც აღკვეთილი აქვთ თავისუფლება, მონაწილეობა მიიღონ მუშაობაში და თავისუფლების აღკვეთის დანესებულების ფარგლებს გარეთ სხვა საქმიანობაში უფრო მეტ წილად, ვიდრე ეს სხვა ვითარებაში იქნებოდა შესაძლებელი.⁸²⁰ პატიმარ ქალებს, რომელთაც ციხეში ჰყავთ საკუთარი შვილები, უნდა მიეცეთ საშუალება, მაქსიმალური დრო გაატარონ მათთან ერთად.⁸²¹

819 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №97 (30.05.2011) პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დანესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულებისა და ტუბერკულოზის სამკურნალო და თავისუფლების აღკვეთის ცენტრის დებულებების დამტკიცების შესახებ, დანართი №2 „თავისუფლების აღკვეთის დანესებულების დებულება“, მუხლი 90(2)

820 ამონარიდი მე-10 საერთო ანგარიშიდან (CPT/Inf (2000) 13), პუნქტი 29, ციხეში ჯანმრთელობის დაცვის საკითხების მარეგულირებელი ევროპის საბჭოს რეკომენდაციებისა და სტანდარტების კრებული, თბილისი, 2012. გვ. 58

821 გაეროს წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), 06.10.2010,

მცირენლოვანი ბავშვების სასჯელალსრულების დაწესებულებაში დიდი ხნის განმავლობაში ყოფნა მიზანშეუწონელია, რადგან დაწესებულების სპეციფიკური გარემო ბავშვის განვითარებაზე ადრეული ასაკიდანვე ახდენს გავლენას. შესაბამისად, კანონმდებლობით განსაზღვრული აუცილებელი გონივრული ვადის გასვლის შემდეგ, მართებულია ბავშვმა დატოვოს სასჯელალსრულების დაწესებულება. დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა იზრუნოს ბავშვის დედასთან დაშორების მომენტისათვის ბავშვის შინაგან განცდებზე და ამ მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლოს დაშორების პროცესი.⁸²²

ხანგრძლივი დროისთვის განკუთვნილი ღონისძიებები, კერძოდ ბავშვის საზოგადოებისთვის გადაცემა, რომელიც მოიცავს მის დედისგან განშორებას, უნდა წყდებოდეს თითოეულ შემთხვევაში პედო-ფსიქიატრიული და სამედიცინო-სოციალური მოსაზრებების გათვალისწინებით.⁸²³

ბავშვისა და დედის დაშორების და მისი ოჯახთან ან ნათესავთან დაბინავების ან სხვა ალტერნატიული მზრუნველობის უზრუნველყოფის შემდეგ, პატიმარ ქალებს უნდა მიეცეთ მაქსიმალურად ბევრი საშუალება და შესაძლებლობა შეხვდნენ საკუთარ ბავშვებს, მაშინ როცა ეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებში იქნება, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დათმობის გარეშე.⁸²⁴

წესი 50, იხ. <http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf>

822 საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №97 (30.05.2011) პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზის სამკურნალო და თავისუფლების აღკვეთის ცენტრის დებულებების დამტკიცების შესახებ, დანართი №2 „თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულება“, მუხლი 90(5)

823 ამონარიდი მე-3 საერთო ანგარიშიდან (CPT/Inf (93) 12), პუნქტი 66, ციხეში ჯანმრთელობის დაცვის საკითხების მარეგულირებელი ევროპის საბჭოს რეკომენდაციებისა და სტანდარტების კრებული, თბილისი, 2012. გვ. 50

824 გაეროს წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), 06.10.2010,

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ოჯახის სხვა წევრებისთვის აღსაზრდელად გადაცემა ვერ ხერხდება სხვადასხვა მიზეზის გამო (მაგალითად, სახეზე არ არის ოჯახის სხვა წევრი), დაწესებულების ადმინისტრაციამ შუამდგომლობით უნდა მიმართოს მზრუნველობისა და მეურვეობის შესაბამის სახელმწიფო ორგანოს, სახელმწიფო მზრუნველობის სათანადო დაწესებულებაში განთავსების მიზნით.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ზოგიერთ ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხს, რომლითაც თავისუფლებალკვეთილი ქალების მოთხოვნები მნიშვნელოვანწილად განსხვავდება იგივე მდგომარეობაში მყოფი მამაკაცების მოთხოვნებებისგან. ქალთა ჰიგიენის სპეციფიური მოთხოვნები განხილულ უნდა იქნას სათანადო წესით. საპირფარეოსა და შხაპის მუდმივ ხელმისაწვდომობას, სისხლით დაღაქული საგნების წესრიგში მოსაყვანი საშუალებების მოსახერხებელ განლაგებას, ისევე, როგორც, ჰიგიენური საშუალებების მარაგს, მაგალითად, როგორც არის სუფთა პირსახოცები და ტამპონები, გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა. ასეთი ძირითადი აუცილებლობებით უზრუნველყოფის არ არსებობა შეიძლება შეიცავდეს პატივისა და ღირსების შემლახველ მოპყრობას.⁸²⁵

ჯანმრთელობის თანასწორუფლებიანი დაცვა აგრეთვე მოითხოვს, რომ ქალთა უფლება ფიზიკურ მთლიანობაზე დაცულ იქნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ისევე, როგორც მის ფარგლებს გარეთ საზოგადოებაში. ამგვარად, სადაც ე. წ. “morning after” (დილის შემდგომი) აბი და/ან ორსულობის მოშლის სხვა ფორმები ორსულობის უფრო გვიანდელ საფეხურზე, ხელმისაწვდომია იმ ქალებისთვის, რომელნიც თავისუფალნი არიან, ასეთ საშუალებებზე ხელი უნდა მიუწვდებოდეთ იმ ქალებსაც, რომელთაც აღკვეთილი აქვთ თავისუფლება.⁸²⁶

რაც შეეხება კონტრაცეპტივებს, ეს წამალი შეიძლება გა-

ნესი 52(3), იხ. <http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf>

825 იქვე, პუნქტი 30-31, გვ. 59

826 იქვე, პუნქტი 32, გვ. 59-60

მონერილ იყოს სამედიცინო მიზნისთვის და არა, როგორც პროფილაქტიკური საშუალება (მაგ.: რათა შემსუბუქებულ იქნას ტკივილები მენსტრუაციის დროს). ის ფაქტი, რომ ქალთა თავისუფლების აღკვეთა შეიძლება, თავისთავად, დიდად ამცირებდეს ჩასახვის ალბათობას თავისუფლების აღკვეთის პერიოდში, არ არის საკმარისი მიზეზი ამგვარ სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმისთვის.⁸²⁷

რესოციალიზაციის მიზნით აუცილებელია ქალ მსჯავრდებულთათვის პროფესიული უნარ-ჩვევების დასაუფლებელი საგანმანათლებლო კურსების ორგანიზება და მცირე სანარმოების მონყობა მათი დასაქმების უზრუნველსაყოფად. დასაქმების მხრივ ყველაზე გავრცელებული მაგალითია ქალთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოქმედი სამკერვალოები და სამრეცხაოები.

განსაკუთრებული ღონისძიებები უნდა გატარდეს იმ ქალ პატიმართა სპეციალური სამსახურების მომსახურებით უზრუნველყოფისთვის, რომელთაც გადაიტანეს ფიზიკური, მორალური ან სექსუალური შეურაცხყოფა.⁸²⁸

9.5.3 უვადო თავისუფლება აღკვეთილი პირები

უვადო თავისუფლების აღკვეთა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმოადგენს მაქსიმალურ სადამსჯელო ზომას. მიუხედავად იმისა, რომ ამ კატეგორიის პატიმართა მიმართ გამოიყენება ტერმინი „უვადო“ ან „სამუდამო“, როგორც წესი, პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევა, როდესაც მსჯავრდებულს მთელი ცხოვრების სასჯელალსრულების დაწესებულებაში გატარება უწევს.⁸²⁹ ასეთი კატეგორიის მსჯავრდებულებს, გარკვეული ვადის

827 იქვე, პუნქტი 33, გვ. 60

828 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, წესი 34.2, პრობაციის საერთაშორისო სტანდარტების კრებული - სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის, სასჯელალსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის პუბლიკაცია, თბილისი, 2010, გვ. 82

829 ე. კოილი, პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისთვის. თბილისი, 2007, გვ. 145

გასვლის (თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდის) შემდეგ, ათავისუფლებენ შესაბამისი სამსახურების ზედამხედველობის ქვეშ.⁸³⁰

მართალია უვადო თავისუფლების აღკვეთის მისჯა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის დროს ხდება, სხვადასხვა ქვეყნებში მისი შეფარდება განსხვავებული დანაშაულის შემთხვევაში არის შესაძებელი (ტრეფიკინგი, იარაღისა და ნარკოტიკული საშუალებების გარკვეული ოდენობის უკანონოდ დამზადება-გასაღება). ძირითადად, სასჯელის ეს ფორმა განზრახ მკვლელობის ჩადენის დროს გამოიყენება. ასე მაგალითად, ინგლისსა და უელსში უვადო თავისუფლებაღკვეთილთა 80%-ს ეს სასჯელი განზრახ მკვლელობის ჩადენისთვის განესაზღვრა, 12%-ს კი – გაუპატიურებისა და სხვა სახის სექსუალური დანაშაულისთვის.⁸³¹

საქართველოში უვადო თავისუფლების აღკვეთა შეეფარდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულის ჩამდენ პირს: განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში,⁸³² არასრულწლოვანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი),⁸³³ სტაციონარული პლატფორმის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება, განადგურება ან დაზიანება,⁸³⁴ ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება,⁸³⁵ საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა,⁸³⁶ სა-

830 იხ. თავი „სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება“

831 Life Imprisonment, United Nations Office at Vienna, Crime Prevention and Criminal Justice Branch, Vienna, 1994 ix. <http://www.penalreform.org/wp-content/uploads/2013/06/UNODC-1994-Lifers.pdf>

832 მუხლი 109(3)

833 მუხლი 143²(4)

834 მუხლი 227²(3)

835 მუხლი 260(3)

836 მუხლი 262(4)

ქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა,⁸³⁷ საბოტაჟი,⁸³⁸ ტერორისტული აქტი,⁸³⁹ საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა,⁸⁴⁰ საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დანესებულებაზე თავდასხმა,⁸⁴¹ სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით,⁸⁴² ტერორიზმის დაფინანსება,⁸⁴³ პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დანესებულებაზე თავდასხმა,⁸⁴⁴ აგრესიული ომის გაჩაღება ან წარმოება,⁸⁴⁵ გენოციდი,⁸⁴⁶ დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ.⁸⁴⁷

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 51(2) მუხლის თანახმად უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისთვის შეუსრულდა სამოცი წელი. აღნიშნული ნორმა ეხმიანება გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციას, რომლის თანახმად „...დაუშვებელია სიკვდილით დასჯა ან სამუდამო პატიმრობა, როდესაც აღნიშნული არ ითვალისწინებს გათავისუფლების შესაძლებლობას, შეეფარდოს 18 წლამდე ასაკის პირებს ჩადენილი დანაშაულისთვის“.⁸⁴⁸

837 მუხლი 308(2)

838 მუხლი 318(3)

839 მუხლი 323(3)

840 მუხლი 325

841 მუხლი 326

842 მუხლი 330(2)

843 მუხლი 331'(3)

844 მუხლი 353'(3)

845 მუხლი 404(2)

846 მუხლი 407

847 მუხლი 408

848 გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, რეზოლუცია 44/25, 20.11.1989, მუხლი 37(ა), ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დანესებულებები – მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, პროფესიული ტრენინგების სერია №11, საქართველოში გაეროს ადამიანის

ყველა ქვეყანა არ იყენებს სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას. მსგავსი სასჯელი აკრძალულია ბრაზილიაში, კოლუმბიაში, ელ სალვადორში, ნიკარაგუაში, ვენესუელაში, ხორვატიაში, პორტუგალიაში, ესპანეთსა და ნორვეგიაში. თუმცა, აღნიშნული არ გამორიცხავს მსჯავრდებულთა მიერ გრძელვადიანი სასჯელის მოხდას ამ ქვეყნებში. მსჯავრდებულმა შესაძლოა ფაქტობრივად იმაზე მეტი ხანი დაჰყოს თავისუფლების აღკვეთის პირობებში, ვიდრე უვადო თავისუფლება აღკვეთილი პირისთვის პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის მოხდის მინიმალური ვადაა განსაზღვრული. ესპანეთის სისხლის სამართლის დოქტრინა მიუთითებს, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა არაკონსტიტუციურია, რომ სასჯელალსრულების დაწესებულების ვალდებულება დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ მსჯავრდებული „სოციალურად რეაბილიტირებული“ უნდა იყოს, ხოლო უვადო თავისუფლების აღკვეთა ამ დებულების საწინააღმდეგოა.⁸⁴⁹

დღეს არსებული ტენდენცია მიუთითებს უვადო თავისუფლება აღკვეთილ მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდაზე. საქართველოში 2013 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით 85 უვადო თავისუფლება აღკვეთილი პირია (მათ შორის 4 ქალი).⁸⁵⁰ 85 უვადო მსჯავრდებულისგან 12 სასჯელს იხდის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260(3) მუხლით (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) (მათ შორის 4-ვე ქალი), 3 – 323(3) მუხლით⁸⁵¹ და 70 – 109(3) მუხლით⁸⁵² გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის პუბლიკაცია, ნიუ-იორკი და ჟენევა 2005, თბილისი, 2007, გვ. 104

849 ე.კოილი, პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისთვის. თბილისი, 2007, გვ. 146

850 საქართველოს სასჯელალსრულების დეპარტამენტის ოფიციალური სტატისტიკა

851 ტერორისტული აქტი

852 განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში

ინგლისსა და უელსში ამ კატეგორიის მსჯავრდებულთა რაოდენობა მე-20 საუკუნის ბოლო ათი წლის განმავლობაში 75%-ით გაიზარდა, აშშ-ში – 83%-ით, ხოლო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში – 1000%-ით. აღსანიშნავია, რომ 2005 წლის სტატისტიკური მონაცემებით, გაერთიანებულ სამეფოში უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობამ მთელი ევროპის მაჩვენებლის თითქმის ნახევარი შეადგინა.⁸⁵³

ცნობილია, რომ ევროპის უმრავლეს ქვეყანაში მსჯავრდებულთა უმეტესი ნაწილი მოკლევადიან სასჯელს იხდის. ამისდა მიუხედავად, არის ქვეყნები, სადაც სასჯელის საშუალო ხანგრძლივობა რამდენიმე წელს აღწევს. უკანასკნელი წლების განმავლობაში შეიმჩნევა კანონმდებლობის გამკაცრებისა და სასამართლოების მიერ გრძელვადიანი სასჯელის შეფარდების ზრდის ტენდენცია. მართალია, მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ფონზე, უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა ხვედრითი წილი ძალზე მცირეა, ორგანიზაციულ-მენეჯერული თვალსაზრისით მათ საკმაოდ დიდი ყურადღება და ძალისხმევა ესაჭიროებათ. ამ კატეგორიის პატიმრებმა სასჯელალსრულების ადმინისტრაციებს, განსაკუთრებით კი, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, მრავალი პრობლემა გაუჩინეს. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული 21-ე საუკუნის დასაწყისით დამთავრებული, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეტაპობრივად განხორციელდა სიკვდილით დასჯის გაუქმება ან მის გამოყენებაზე მორატორიუმის დადება, რასაც სასჯელის უმკაცრესი ზომის სახით ჩაენაცვლა უვადო თავისუფლების აღკვეთა. შესაბამისად, ეს ერთგვარი სიახლე იყო აღმოსავლეთ ევროპის პენიტენციური სისტემისთვის და პერსონალი არ იყო სათანადოდ მომზადებული აღნიშნული კატეგორიის პატიმრებთან სამუშაოდ.

უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა კატეგორია მაღალი რისკის მომცველია. ეს ის ადამიანები არიან,

853 გ.მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, სასჯელალსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 45

რომელთაც უმძიმესი დანაშაული აქვთ ჩადენილი და საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგს. სასჯელალსრულების დანესებულების ადმინისტრაციის უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას მაღალი რისკის მატარებელი უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირისგან სხვა მსჯავრდებულთა და დანესებულების პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს. თუმცა, ეს სრულადაც არ ნიშნავს, რომ ისინი სრულიად იზოლირებული უნდა იყვნენ სხვა მსჯავრდებულებისგან. გაუმართლებელია ამ კატეგორიის მსჯავრდებულთა ინდივიდუალური ან ჯგუფური იზოლაცია მხოლოდ იმ მოტივით, რომ ისინი უვადო თავისუფლების აღკვეთას იხდიან.

უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებში ფსიქიკური დაავადებების წარმოშობის მეტი რისკია, ვიდრე სხვა კატეგორიის პატიმრებში. ასე მაგალითად, 2004 წელს აშშ-ში ჩატარებულმა კვლევამ ცხადჰყო, რომ ყოველ მეხუთე უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს აღენიშნებოდა ფსიქიკური აშლილობა სასჯელის მოხდის სხვადასხვა პერიოდში.⁸⁵⁴

გაეროს დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის განყოფილების 1994 წლის ანგარიშში, რომელიც უვადო თავისუფლების აღკვეთას ეხება, ხაზგასმით ნათქვამია, რომ მსჯავრდებულები, რომელთაც უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, შეიძლება განიცდიდნენ ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ პრობლემებს, რაც შესაძლოა გარდაიქმნას მათ დესოციალიზაციასა და დამოკიდებულებაში, რაც საზიანოა მსჯავრდებულის ჯანმრთელობისთვის. უვადო თავისუფლების აღკვეთას მსჯავრდებულზე შესაძლოა ღრმა სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური გავლენა ჰქონდეს. ეს ერთგვარად უვადო თავისუფლების აღკვეთის განუსაზღვრელი ბუნების შემადგენელი ნაწილია. სტრესი და ნევროზი გამოწვეულია სოციალური ურთიერთქმედების ნორმალური პირობების არსებობითა და მსჯავრდებულთა მიერ სხვათა მხარდაჭერის შეუძლებლობით. ისინი მოკლებული არიან არა მხოლოდ ოჯახებთან და შვილებთან ხშირი ურთიერთობას, არამედ შვილის ყოლის შესაძლებლობასაც. დროში განვრცობილი პატიმრობისგან გამოწვეულმა პასუხისმ-

854 იქვე, გ. 46-47

გებლობის გრძნობის დაკარგვამ და დამოკიდებულების ფაქტორის გაზრდამ, შედეგად შეიძლება რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელის შეშლა გამოიწვიოს.⁸⁵⁵

უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები შეიძლება განიცდიდნენ განსხვავებულ მოპყრობასა და სასჯელის უფრო ცუდ პირობებს, ვიდრე სხვა კატეგორიის მსჯავრდებულები. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მე-11 საერთო ანგარიშში აღწერილია მსგავსი სიტუაციები, როდესაც მსჯავრდებულები ექვემდებარებოდნენ სპეციალურ აკრძალვებს გრძელვადიანი პატიმრობისთვის დამახასიათებელი მანვნი ეფექტების გასაძლიერებლად. მოყვანილი მაგალითებიდან შეიძლება დავასახელოთ: განცალკევება სხვა მსჯავრდებულებისგან; ხელბორკილის დადება საკნიდან გამოყვანის დროს; სხვა მსჯავრდებულებთან კომუნიკაციის აკრძალვა; პაემნების მაქსიმალური შეზღუდვა.⁸⁵⁶

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ განვრცობილ და დროში განუსაზღვრელ პატიმრობას არაერთხელ მოჰყვა უვადო მსჯავრდებულის მიერ სუიციდი. ორგანიზაცია Prison Reform Trust-ის მიერ ინგლისსა და უელსში ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სუიციდის მაჩვენებელი მამაკაც პატიმრებს შორის ხუთჯერ მეტია, ვიდრე დანარჩენ საზოგადოებაში. კვლევამ დამატებით გამოავლინა, რომ პატიმრობაში მოხვედრილ მამაკაცთა მეხუთედს და ქალების თითქმის ნახევარს ციხეში მოხვედრამდე ჰქონდა სუიციდის მცდელობა.⁸⁵⁷

სასჯელალსრულების დანესებულების ადმინისტრაციამ და პერსონალმა სპეციალური ყურადღება უნდა მიაქციოს და განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინოს იმ მსჯავრდებულთა პრობლემების მიმართ, რომელთაც, სავარაუდოდ, მთელი ცხო-

855 Life Imprisonment, United Nations Office at Vienna, Crime Prevention and Criminal Justice Branch, Vienna, 1994 ix. <http://www.penalreform.org/wp-content/uploads/2013/06/UNODC-1994-Lifers.pdf>

856 11th General Report of the CPT's Activities, CPT/Inf (2001)16, paragraph 33, ib. <http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-11.htm#Toc523890680>

857 Dead Inside, Prison Reform Trust, 2013 ib. <http://www.prisonreformtrust.org.uk/ProjectsResearch/Mentalhealth/TroubledInside/Deadinside>

ვრება სასჯელალსრულების დაწესებულებაში უნდა გაატარონ. კერძოდ, მათი სასჯელის მოხდის დაგეგმვა უნდა იყოს სათანადოდ დინამიური და უფლებას აძლევდეს მსჯავრდებულს მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საქმიანობასა და პროგრამებში, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ცხოვრებისა და სასჯელის მოხდის პირობების ადაპტაციის ხელშესაწყობად სპეციალურად შექმნილ ინტერვენციისა და ფსიქო-თერაპიის პროგრამებში.

საქართველოს პატიმრობის კოდექსი არეგულირებს უვადო თავისუფლების აღკვეთის აღსრულების საკითხებს. კერძოდ, უვადო თავისუფლება აღკვეთილი პირი თავსდება დახურული ტიპის დაწესებულებაში,⁸⁵⁸ რაც წარმოადგენს განსაკუთრებულად დაცულ, როგორც შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილ, ისე სასიგნალიზაციო სისტემით აღჭურვილ, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმულ დაწესებულებას, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა.⁸⁵⁹ დახურული ტიპის დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მათი ან სხვა პირთა უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვის მიზნით შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან ელექტრონული მეთვალყურეობა.⁸⁶⁰ აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით დაწესებულების დირექტორის წარდგინების საფუძველზე.⁸⁶¹

პატიმრობის კოდექსი აწესებს დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან ნახევრად ღია ტიპის

858 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 64(1)

859 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 12(1)

860 იქვე, მუხლი 12(2)

861 საქართველოს სასჯელალსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №97 პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზის სამკურნალო და თავისუფლების აღკვეთის ცენტრის დებულებების დამტკიცების შესახებ, 30.05.2011, დანართი №2 „თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულება“, მუხლი 19(2)

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის (მათ შორის უვადო თავისუფლებააღკვეთილის) გადაყვანის შესაძლებლობას, თუ მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობებს,⁸⁶² უფრო კონკრეტულად, დახურული ტიპის დაწესებულების მსჯავრდებულის სანიმუშო ყოფაქცევის ან/და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში დაწესებულების ადმინისტრაცია უფლებამოსილია მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენოს ნახალისების სახით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის წინაშე შუამდგომლობა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ.⁸⁶³ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე განსაზღვრავს იმ დაწესებულების ტიპს და კონკრეტულ დაწესებულებას, სადაც მსჯავრდებულმა უნდა მოიხადოს სასჯელი. შესაბამისი დაწესებულების დირექტორის წარდგინებით მსჯავრდებულს უცვლის დაწესებულების ტიპს; მსჯავრდებულის ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანის ბრძანებას.⁸⁶⁴ კანონმდებლობა არ განსაზღვრავს კონკრეტულ მინიმალურ ვადას, რომლის გასვლის შემდეგ დაწესებულების დირექტორს სათანადო შუამდგომლობით შეუძლია მიმართოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს.

მსგავსად დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული სხვა ვადიანი მსჯავრდებულებისა,

862 იქვე, მუხლი 64(3)

863 საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №97 პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზის სამკურნალო და თავისუფლების აღკვეთის ცენტრის დებულებების დამტკიცების შესახებ, 30.05.2011, დანართი №2 „თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულება“, მუხლი 74(ბ)

864 საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №176 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, 17.12.2012, მუხლი 4(2(თ))

უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი სარგებლობს შემდეგი უფლებებით: (ა) დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში კვების პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების საგნების შესაძენად მის პირად ანგარიშზე არსებული თანხიდან ყოველთვიურად დახარჯოს მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტის შესაბამისი თანხა;⁸⁶⁵ ბ) 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო ნახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი; გ) 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო ნახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა;⁸⁶⁶ დ) ერთი წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი და ნახალისების ფორმით – წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.⁸⁶⁷ დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ერთ მსჯავრდებულზე გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართი არ უნდა იყოს 4მ²-ზე ნაკლები.⁸⁶⁸

ბელარუსში უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები სასჯელს იხდიან განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში.⁸⁶⁹ ისინი განთავსებული არიან სასაკნე ან საცხოვრებელი ტიპის სადგომში და ატარებენ სპეციალური ნიმუშის ტანსაცმელს.⁸⁷⁰ თუ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი მოთავსებულია საკნის ტიპის სადგომში, როგორც წესი ორ მსჯავრდებულზე მეტის ერთად განთავსება არ ხდება.⁸⁷¹ საცხოვრებელი ტიპის სადგომში უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის გადაყვანა შეიძლება არანაკლებ ათი წლის თავისუფლების აღკ-

865 იხ. თავი „პატიმართა კვება“

866 მუხლი 65(1)

867 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 65(1)

868 მუხლი 15(2)

869 Уголовно-исполнительные Кодексы, Уголовно-исполнительный Кодекс Республики Беларусь, статья 172(1), Донецкий Мемориал, Донецк, 2004, ст. 104

870 იქვე, статья 173(1)

871 იქვე, статья 173(2)

ვეთის მოხდის შემდეგ.⁸⁷² უვადო თავისუფლებააღკვეთილი სარგებლობს წელიწადში ორი ხანმოკლე პაემნითა და ყოველდღიურად ნახევარსაათიანი გასეირნებით.⁸⁷³

უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და სასჯელაღსრულების დაწესებულების ეფექტურად მართვის მიზნით, დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს ყველა ზომა მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამებში ჩასართავად. არ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული არ უნდა ჩაერთოს დასაქმების, განათლების, რეაბილიტაციისა თუ სხვა სახის პროგრამებში. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული რესურსებია ხელმისაწვდომი მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის აქტივობებში მონაწილეობისთვის, მიზანშეწონილია პრიორიტეტი მიენიჭოს უვადო თავისუფლებააღკვეთილებს სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით. აღნიშნულს განაპირობებს მათი დიდი ხნით (ხოლო რიგ შემთხვევაში მთელი სიცოცხლის მანძილზე), იზოლირება საზოგადოებისა და საკუთარი ოჯახებისგან. შესაბამისად, მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება და თავისუფლების აღკვეთის პროგრამებში მონაწილეობა ხელს შეუწყობს ციხის ცხოვრების მიმართ ადაპტირებაში.⁸⁷⁴

საერთაშორისო დოკუმენტთა ნუსხა, რომლებიც არეგულირებენ უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებთან დაკავშირებულ საკითხებს, სულ რამდენიმე დოკუმენტს მოიცავს; კერძოდ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია გრძელვადიანი პატიმრების მოპყრობის თაობაზე და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის თაობაზე.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ ჯერ კიდევ

872 იქვე, статья 173(3), ст. 105

873 იქვე, статья 173(5)

874 გ.მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 52

1976 წელს მიღებული რეზოლუციის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა იმ პატიმარსა და მასზე დამოკიდებულ პირებზე უარყოფითი გავლენის აღმოფხვრა და შემცირება, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს გრძელვადიანი პატიმრობის აღსრულებით.⁸⁷⁵ მართალია რეზოლუცია გრძელვადიან პატიმრებს ეხება, მე-11 პუნქტში მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს ანალოგიურად გამოიყენონ რეზოლუციაში ასახული პრინციპები უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებთან მიმართებით.⁸⁷⁶

მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა ასახული რეზოლუციაში, რომელიც ეხება გარე სამყაროსთან პატიმრის კონტაქტის გაძლიერებასა⁸⁷⁷ და ციხის დასატოვებელი პერიოდების მიცემას, როგორც მოპყრობის პროგრამის არსებითი ნაწილი.⁸⁷⁸ რეზოლუცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს აღნიშნული კატეგორიის პატიმართათვის ციხეში შექმნან შესაბამისი სამუშაო გარემო და ანაზღაურების ადეკვატური სისტემა.⁸⁷⁹

რეზოლუციაში ჩამოყალიბებული პრინციპები საფუძვლად დაედო 2003 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ რეკომენდაციას.⁸⁸⁰ რეკომენდაციის პრეამბულამ განსაზღვრა მისი ძირითადი მიზანი დაკავშირებული პატიმრობის აღსრულების ბალანსის დაცვასთან, ერთი მხრივ, სასჯელალსრულების ინსტიტუტებში უსაფრთხოების მიზნების უზრუნველყოფით, წესრიგითა და დისციპლინით და მეორეს მხრივ, პატიმრებისთვის მისაღები საცხოვრებელი პირობების, აქტიური რეჟიმისა და გათავისუფლებისათვის კონსტრუქციული მომზადების უზრუნველყოფით.⁸⁸¹

875 პრეამბულა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია (76)2 გრძელვადიან პატიმრებთან მოპყრობის შესახებ, 17.02.1976, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები სასჯელალსრულებისა და პრობაციის სფეროში, სასჯელალსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 200

876 იქვე, პუნქტი 11

877 იქვე, პუნქტი 7

878 იქვე, პუნქტი 8

879 იქვე, პუნქტი 4

880 Rec(2003)23, 09.10.2003

881 პრეამბულა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია

რეკომენდაციამ ჩამოაყალიბა უვადო პატიმრისა და გრძელვადიანი პატიმრის განმარტებები. კერძოდ, უვადო პატიმრად განსაზღვრულ იქნა პირი, რომელიც სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას იხდის, ხოლო გრძელვადიან პატიმრად – პირი, რომელიც იხდის სასჯელს ან რამდენიმე სასჯელს, რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს ხუთი ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთას.⁸⁸²

რეკომენდაციის თანახმად უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების სწორი და ეფექტური მართვა დამოკიდებულია ექვსი ძირითადი პრინციპის განხორციელებაზე. კერძოდ:

(ა) **ინდივიდუალიზაციის პრინციპი** – მხედველობაში უნდა იქნას მიღებული განსხვავებები უვადო და სხვა გრძელვადიან პატიმრობაში მყოფი პირების პიროვნულ მახასიათებლებში და უნდა მოხდეს მათი გათვალისწინება სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენისას;⁸⁸³

(ბ) **ნორმალიზაციის პრინციპი** – ციხის ცხოვრება ისე უნდა მოეწყოს, რომ მაქსიმალურად მიახლოებული იყოს საზოგადოების რეალურ ცხოვრებასთან;⁸⁸⁴

(გ) **პასუხისმგებლობის პრინციპი** – პატიმრებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ციხის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიმუშაონ პირადი პასუხისმგებლობა;⁸⁸⁵

(დ) **უსაფრთხოებისა და დაცვის პრინციპი** – ნათელი განსხვავება უნდა გაკეთდეს უვადო პატიმრობაში მყოფებისა და სხვა გრძელვადიანი პატიმრებისგან წამოსულ ნებისმიერ რისკს შორის, რომელიც მიმართულია გარე საზოგადოების, საკუთარი თავების, სხვა პატიმრებისა და იმ პირების მიმართ, რომლებიც

Rec(2003)23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის თაობაზე, 09.10.2003, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სფეროში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 182

882 იქვე, პუნქტი 1,

883 იქვე, პუნქტი 3,

884 იქვე, პუნქტი 4

885 იქვე, პუნქტი 5

მუშაობენ მათთან ან სტუმრობენ მათ;⁸⁸⁶

(ე) **სეგრეგაციის დაუშვებლობის პრინციპი** – მხედველობაში უნდა იქნას მიღებული უვადო პატიმრებისა და სხვა გრძელვადიანი პატიმრების სეგრეგაციის დაუშვებლობა მხოლოდ მათი სასჯელის გამო;⁸⁸⁷

(ვ) **პროგრესის პრინციპი** – უვადო ან სხვა გრძელვადიანი პატიმრის ცხოვრების ინდივიდუალური დაგეგმვა მიზნად უნდა ისახავდეს პროგრესულ სვლას ციხის სისტემის ფარგლებში.⁸⁸⁸

886 იქვე, პუნქტი 6

887 იქვე, პუნქტი 7

888 იქვე, პუნქტი 8

მათა თაჰი

კრიმინალური სუბკულტურა

10.1 კრიმინალური სუბკულტურა პენიტენციურ სისტემაში

სუბკულტურა, როგორც დამოუკიდებელი კულტურული ერთეული საკუთარი ღირებულებებითა და ქცევის ნორმებით, რომელიც საზოგადოებაში წარმოიშვება, გვხვდება სასჯელალსრულების დაწესებულებებშიც.

პატიმართა სუბკულტურა, როგორც მსჯავრდებულთა „მმართველობის ორგანო“⁸⁸⁹ ციხის „ტოტალური ინსტიტუციურობის“⁸⁹⁰ პირობებში გარე სამყაროსგან დამოუკიდებელი მნიშვნელოვნად დახვეწილი კრიმინალური ჯგუფია. რაც უფრო დიდია პატიმრებზე ციხის ადმინისტრაციიდან ზენოლა, მით უფრო დიდია ალბათობა ციხის შიგნით ძლიერი სუბკულტურული ჯგუფის ჩამოყალიბების.⁸⁹¹

გრატიცის აზრით ციხის ადმინისტრაციის მმართველობა პატიმართა მიერ არ არის მიღებული, რაც ხელს უწყობს პატიმართა შორის საპირისპირო მმართველობის რგოლების ჩამოყალიბებას. „პატიმართა ლოზუნგია, მართალია თქვენს ხელშია ძალაუფლება ჩვენ აქედან (ციხიდან) არ გაგვიშვათ, მაგრამ თქვენს ხელთ არ არის ძალაუფლება ჩვენი გამოსწორების. რაც უფრო დიდი იქნება თქვენი ზენოლა ჩვენზე, მით უფრო დიდი იქნება ჩვენგან წინააღმდეგობა. ყოველი ჩვენი შევიწროვება, არის ჩვენთვის გამონვევა მოვახდინოთ მისგან თავის დაღწევა“.⁸⁹²

ერვინი და კრესი (Irwin, Cressey) პატიმართა სუბკულტურის სამ კატეგორიას გამოყოფენ: კრიმინალური სუბკულტურა; პატიმართა სუბკულტურა და ლეგიტიმური სუბკულტურა:⁸⁹³

889 W. Gratz, Voraussetzung und Möglichkeiten wirksamer Autoritäten im Strafvollzug. In: Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe (ZfStrVo) 1999, S. 9.

890 E. Goffman, Asyle. Über die soziale Situation psychiatrischer Patienten und anderer Insassen. Frankfurt am Main. 1972. S. 16.

891 W. Gratz, Das System Gefängnis oder: ist das Gefängnis mit System zu ändern? In: Neue Kriminalpolitik 1995. S. 31.

892 W. Gratz, Voraussetzung und Möglichkeiten wirksamer Autoritäten im Strafvollzug. In: Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe (ZfStrVo) 1999, S. 10.

893 Irwin, J./Cressey, D.R., Thieves, Convicts and the Inmate Culture. Social Problems 10/1964. S. 142-155.

1. კრიმინალური სუბკულტურის არსი ნათელი ხდება ქურდების სუბკულტურის მაგალითზე. ამ კულტურის ღირებულებები შეესაბამებიან „კაი ბიჭის“ – „right guy“ - როლს და ხასიათდებიან, როგორც მიმდობები. იმ პირებისთვის, რომლებიც ქურდების სუბკულტურისკენ არიან ორიენტირებულები უნდა გააჩნდეთ Miller-ის სიძლიერე, გონიერება და ავტონომია.⁸⁹⁴ ქურდების სუბკულტურისთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ლოიალობა საკუთარი ჯგუფისადმი, მიუხედავად შიდა სადამსჯელო მექანიზმებისა. ვინაიდან დაპატიმრება, როგორც ყოველდღიური პროფესიული რისკი გარდაუვალია, სუბკულტურის მიზანია, ციხეში დროის რაც შეიძლება ადვილად გატარება.
2. პატიმართა სუბკულტურა უტილიტარიზმის ცენტრალური ღირებულების მმართველობის ქვეშ ექცევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვინც მეტ ოინს ფლობს, თავის საკუთარ ანგარებას ოპტიმალურად მიყვება და სხვა პატიმრების ექსპლუატაციის მეშვეობით მატერიალურ უპირატესობებს და გავლენიან პოზიციებს აღწევს. ეს სუბკულტურა ახალაგაზრდა ნასამართლევე პატიმრებისთვის განსაკუთრებულად პატივსაცემია. ამავე დროს ამ სუბკულტურის ურთიერთობები შემოიფარგლება ძირითადად საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდით.
3. ლეგიტიმური სუბკულტურა მოიცავს პატიმრებს, რომლებიც ორივე განსხვავებულ სუბკულტურაზე უარს ამბობენ. ამის გამო ისინი მათგან იზოლირებული არიან. ამ სუბკულტურის წევრები ორიენტირებული არიან მიზნების იმ საშუალებით მიღწევაზე, რომლებიც ციხის გარეთ ლეგიტიმურად მიიჩნევა.

განვითარება თეორისაა, რომელიც ხსნის თუ რომელი პირობებისგან წარმოიქმნება პატიმართა ანუ ციხის სუბკულტურა და რაზე დამოკიდებული ამ არაფორმალური ჯგუფის სტრუქტურა და წევრების ორგანიზაცია და მათი სუბკულტურის ნორმე-

⁸⁹⁴ მილერის სუბკულტურის თეორია იხ.: მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია. მეორე გამოცემა. თბილისი 2011. გვ. 53.

ბისადმი დამორჩილება, ციხის სოციოლოგიაში განმარტებულია სტრუქტურულ ფუნქციონალური ნარმონაქმნის ჩარჩოებში.⁸⁹⁵ ამის დადასტურებაა კლემერის⁸⁹⁶ (Clemmer) კლასიკური ნაშრომი პრიზონიზაციის და საკის⁸⁹⁷ (Syke) დეპრივაციის მოდელის შესახებ.

ციხის სუბკულტურის თეორიების განხილვამდე საინტერესოა პატიმართა ნორმების და ღირებულებების ორიენტაციის საკითხის განხილვა.

ციხის სუბკულტურის ნორმად გვევლინება ისეთი ხასიათის წინადადებები, რომელიც კონკრეტულ ქცევას გამოხატავს, აღიარებს ან კრძალავს. როდესაც ღირებულებებს და ნორმებს არა მხოლოდ ერთი ადამიანი, არამედ ადამიანების გარკვეული ჯგუფი აღიარებს, მაშინ საქმე გვაქვს სოციალურ ნორმასთან, ღირებულებასთან.⁸⁹⁸ ციხის სუბკულტურული ნორმები ამ კონკრეტული ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი და გამოხატავს იმ მდგომარეობაში (ციხეში) თავის გადარჩენის ან მდგომარეობის შემსუბუქების, გაუმჯობესების შესაძლებლობას, რომელშიც ისინი იმყოფებიან. განვიხილოთ ყველაზე გავრცელებული პატიმართა ნორმები/ღირებულებები.⁸⁹⁹

- ერთად დგომა და სოლიდარობა

მსჯავრდებულებს შორის ერთად დგომა და სოლიდარობა ყველაზე მაღალი კლასის ღირებულებაა. მსჯავრდებულები ერთიანდებიან ციხის დანესებულების ადმინისტრაციის (შტაბის) წინააღმდეგ. მსჯავრდებულების ლოზუნგია: არასოდეს დაეხმარო შტაბს, თუ იგი პატიმრის ინტერესის წინააღმდეგ არის მიმართული! არასოდეს ითანამშრომლო შტაბთან!

895 H. Klingemann, u.a., Prüfung der kulturellen Übertragungstheorie und der strukturell- funktionalen Theorie als Erklärungsansätze für die Insassensubkultur im Jugendstrafvollzug. In: Kriminologisches Journal 1978. S. 142.

896 D. Clemmer, The Prison Community. New York 1958.

897 G. M. Sykes, The society of captives. A Study of Maximum Security Prisons. Princeton 1958.

898 S. Harbordt, Die Subkultur des Gefängnisses. Eine soziologische Studie zur Resozialisierung. Stuttgart 1967. S. 21.

899 S. Harbordt, Die Subkultur des Gefängnisses. Eine soziologische Studie zur Resozialisierung. Stuttgart 1967. S. 22-25.

სოლიდარობის მიზანია შტაბთან დისტანციის დაჭერა და კონფლიქტის შემთხვევებში მსჯავრდებულებს შორის მხარდაჭერის გამოხატვა. მსჯავრდებულები, რომლებიც ორიენტირებულები არიან აღნიშნულ ლოზუნგებზე და იცავენ ამ ნორმას, შანსი აქვთ გახდნენ ავტორიტეტები და მისაბაძნი სხვა მსჯავრდებულებისთვის.

- ძალაუფლება

ძალაუფლება განიხილება როგორც საშუალება, რათა შტაბიდან წამოსული ზენოლა იქნას განეიტრალებული, მოგერიებული. მსჯავრდებული, რომელიც შეძლებს გაუძლოს შტაბის ზენოლას, ან შტაბს და სხვა მსჯავრდებულებს საკუთარი სურვილი მოახვიოს თავზე, შეძლებს გახდეს „დამოუკიდებელი“. ძალაუფლების დემონსტრირების ერთ-ერთი შესაძლებლობაა ახალბედა მსჯავრდებულისგან მატერიალური მოგების, სექსუალური ან სხვაგვარი უპირატესობის მიღება.

- სიმშვიდე

სიმშვიდე, როგორც ნორმა შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: 1) მშვიდად იყავი. არ დაკარგო თავი! ნუ შეხვალ ზედამხედველებთან და მსჯავრდებულებთან კონფლიქტში. ამ ნორმით მსჯავრდებულს სასჯელალსრულებით დაწესებულებაში არსებული მისთვის არასასურველი მდგომარეობის მიუხედავად, მოეთხოვება იაზროვნოს რაციონალურად და აიყვანოს ხელში საკუთარი თავი; 2) არ შეიშინებო. გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა მისჯილი მსჯავრდებულებისთვის, რომელთაც უკვე დაალაგეს ურთიერთობა შტაბთან მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მშვიდ ვითარებაში მოიხადონ სასჯელი.

- მამაკაცურობა

მამაკაცურობის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ჰეტეროსექსუალური ურთიერთობები. ვინაიდან ჰეტეროსექსუალური ურთიერთობები ციხის პირობებში შეუძლებელია, წინა პლანზე იწევს მამაკაცურობის სხვა კრიტერიუმები. დეპრივაციის და სიმკაცრის მიუხედავად არ დაკარგო ღირსება. მამაკაცურობა გამოიხატება ლოზუნგებში: არ დაგიმორჩილონ! არ აჩვენო სისუსტე! ისწავლე აღებ-მიცემობა როგორც მამაკაცმა!

მამაკაცურობის ერთ-ერთი ნიშანია მსჯავრდებულის მიერ სხვა მსჯავრდებულების მხრიდან თავდასხმის მოგერიება და არავითარ შემთხვევაში ასეთ საკითხებზე შტაბთან თანამშრომლობა.

- თანამოსაკნის გაფრთხილება

თანამოსაკნის გაფრთხილების პუნქტში გამოკვეთილია რამდენიმე მსჯავრდებულისთვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი: 1) არასოდეს ჰკითხო თანამოსაკნეს რა დანაშაულზე იხდის სასჯელს; 2) თანამოსაკნის მიმართ ისე არ წარმოაჩინო თავი, თითქოს მორალურად მასზედ უკეთესი იყო; 3) ნუ იფიქრებ, რომ სასამართლო განაჩენი სამართლიანია. ეცადე სხვა ადამიანებს დააბრალო შენი დანაშაული; 4) არასოდეს აღიარო, რომ ციხეში შეიძლება გამოსწორდე.

- ნდობა, ლოიალობა, სამართლიანობა, დახმარების განეხილვა.

ციხის სუბკულტურისთვის არსებობს ორი კლასიკური განმარტების მოდელი: დეპრივაციის თეორია⁹⁰⁰ და კულტურული გადატანის თეორია (Deprivationstheorie und die kulturelle Übertragungstheorie). პირველი თეორიის მიხედვით, სუბკულტურის არსებობა შინაგანი ფაქტორებით აიხსნება, მეორე - გარეგანი ფაქტორებით.

10.1.1 დეპრივაციის თეორია

Syke-ს მიერ 1958 წელს „The society of captives“ განვითარებული იქნა დეპრივაციის თეორიის ძირითადი თეორიული კონცეფცია. დეპრივაციის მოდელი ეფუძნება სასჯელაღსრულებით დაწესებულების შეცნობას, როგორც ტოტალურ ინსტიტუციას და განასახიერებს პატიმრების რეაქციის გამოვლენის ფორმებს საპატიმრო დეპრივაციის გამო. ამასთან გოფმანის თანახმად, ტოტალური ინსტიტუცია გამოიხატება შემდეგი ნიშნებით:

1. ცხოვრების ყველა საქმიანობა ციხეში ხორციელდება ერთი და იგივე ადგილას ერთი და იგივე ავტორიტეტების მიერ.

900 Deprivation – არის გაჭირვების მდგომარეობა, რომელიც წარმოიქმნება იზოლაციის ან თავისუფლების აღკვეთის გამო.

2. ინსტიტუციის წევრები თავიანთი ყოველდღიური სამუშაოს ყველა ფაზას ახორციელებენ “შემთხვევითი მეგობრების” დიდი ჯგუფის უშუალო საზოგადოებაში, რომელთაც ყველას ერთნაირი მოქცევა ხვდა წილად და რომლებიც მსგავს საქმიანობას ასრულებენ.
3. სამუშაოს ყველა ფაზა ზუსტად არის დაგეგმილი. ერთ საქმიანობას მოსდევს მეორე წინასწარ ცნობილი დროის მონაკვეთების მიხედვით. საქმიანობის მთელი მიმდინარეობა არის ზემოდან ფორმალური წესებისა და შტაბის (ციხის ადმინისტრაციის) მუშაკების მიერ წინასწარ დაწერილი.
4. განსხვავებული იძულებითი საქმიანობები ერთიანდებიან შტაბის რაციონალურ გეგმაში, რომელიც თითქოსდა ინსტიტუციის ოფიციალური მიზნების მიღწევას ემსახურება.

პატიმრები პასიურად არ ეგუებიან დაწესებულების სიტუაციას, არამედ მათი დიდი რაოდენობა ეძებს პირობებს სოციალური ინტერაქციის სისტემის შერბილებისთვის, იმ მიზნით რათა შეზღუდული ციხის ცხოვრება სხვა ფორმებით დაიკმაყოფილოს.

ჰარბორდტი ეთანხმება Syke-ს და საუბრობს 5 კომპონენტზე ე.წ. „pains of imprisonment“ (თავისუფლების აღკვეთის ტკივილებზე), რომელიც პატიმრებს ცხოვრებას უმძიმებს. დაუგეგმავი, არაპირდაპირი აუცილებელი სულიერი ტანჯვა პატიმრებისა არის არანაკლებ მავნებელი. ეს ტანჯვა გამოწვეულია სხვადასხვაგვარი გაჭირვებითა და აკრძალვებით. ესენია: თავისუფლების დაკარგვა, მატერიალურ და არამატერიალური სიკეთეების (უფლებების) ჩამორთმევა, ავტონომიის შეზღუდვა, უსაფრთხოების ნაკლებობა კრიმინალი თანაპატიმრების მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში და ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების შეუძლებლობა. ეს 5 ნიშანი ჰარბორტის მიერ შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:⁹⁰¹

ა) თავისუფლების დაკარგვა

901 S. Harbordt, Die Subkultur des Gefängnisses. Eine soziologische Studie zur Resozialisierung. Stuttgart 1967. S. 11.

თავისუფლების დაკარგვა იწვევს პატიმრებისთვის სოციალური ურთიერთობების რადიკალურ შეზღუდვას, ამასთანავე სოციალური როლის დაკარგვას, მაგალითად მამის, ძმის ან მეგობრის როლის.

ბ) მატერიალური ან არამატერიალური სიკეთეების ჩამორთმევა

მატერიალური ან არამატერიალური სიკეთეების ჩამორთმევა ბუნებრივია არ შეეხება საარსებო მინიმუმს, მაგრამ თითქმის ყველა პირადი საკუთრების დროებითი დაკარგვა და იძულებითი უარის თქმა მათ გამოყენებაზე იწვევს გაღარიბების შეგრძნებას.

გ) ჰეტეროსექსუალური ურთიერთობის შეუძლებლობა

ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების შეუძლებლობა არის პატიმრების ძირითადი პრობლემა. წლების განმავლობაში სექსუალური მოთხოვნა იწვევს ამ დარგში ფიქრებისა და შეგრძნებების უზომო კონცენტრაციას. პატიმარს ენატრება ქალის სახის დანახვა და სიცილის გაგონება. შიში მამაკაცობის დაკარგვაზე გავლენას ახდენს პატიმრების ფსიქიკაზე. ამის საფუძველზე კი ეწყებათ ჰომოსექსუალური მიდრეკილებები.

დ) ავტონომიის შეზღუდვა

ავტონომიის შეზღუდვა ანუ პატიმრის პერსონალური თვითგამორკვევა რესოციალიზაციის თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია. სასჯელაღსრულების დანესებულებების დეტალიზირებული განანესისა და განკარგულებების შესახებ არ არსებობს არავითარი დისკუსია. ეს ემსახურება იმას, რომ მოხდეს პატიმარის კონტროლი და მისი დამორჩილება. ყოველთვის სხვა პირები განსაზღვრავენ თუ რისი გაკეთების უფლება აქვს პატიმარს და როდის. პატიმრებს ექცევიან არა როგორ ზრდასრულ პირს, არამედ როგორც ბავშვს, რომელმაც ყოველთვის რაღაც უნდა ისწავლოს.

ე) კრიმინალი პატიმრებისგან უსაფრთხოების ნაკლებობა

დაბოლოს, უსაფრთხოება თანაპატიმრებისგან სულაც არ არის ყოველთვის საკმარისი. თუმცა პატიმართა კოდექსი პატიმრებს სოლიდარობისკენ მოუწოდებს. მაგრამ პატიმართა

დაჯგუფებებს შორის ჩხუბი ყოველთვის დგას დღის წესრიგში. ამას კი შედეგად მოყვება პატიმრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და მისი ციხის ქონების უსაფრთხოების პრობლემები.

აქ მოყვანილი კომპონენტები პატიმრებზე ახდენენ უარყოფით გავლენას. თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილების არასაკმარისობის გამო პატიმრები განიცდიან ძლიერ იმედგაცრუებას. სხვებისთვის „თავისუფლების აღკვეთის გამო ტანჯვის“ საფუძველზე ხდება საკუთარი ღირსების შეგრძნების ძლიერი დაზიანება. Syke-ის თანახმად, პატიმარს აქვს ერთადერთი შესაძლებლობა თავის ტანჯვის წინააღმდეგ საბრძოლველად. მას შეუძლია შეუერთდეს სხვა პატიმრებს, გამოუცხადოს მათ სოლიდარობა და ამით თავისი „დამჩაგრელების“ ანუ შტაბის (სასჯელალსრულების დაწესებულების) წინააღმდეგ წავიდეს, თვითონ შექმნას ან გაერთიანდეს ციხის სუბკულტურაში.

ლაუბენტალი (Laubenthal) აღწერს არა 5 არამედ 9 კომპონენტს, რომლებიც პატიმრების დეპრივაციას იწვევენ.⁹⁰² ავტონომიის დაკარგვა, დროებითი გათავისუფლება საკუთარ თავზე ზრუნვისგან და საკუთარი თავის წინაშე პასუხისმგებლობისგან, პირადი სფეროს ნაკლებობა, უსაფრთხოების დაკარგვა, ჰეტეროსექსუალური კონტაქტების არქონა, ნათესავებისგან მოცილება და დეპრივაცია სენსორულ სფეროში (რეალიზაციის შეზღუდული შესაძლებლობა - ინტელექტუალური და კოგნიტიური სიცარიელე), დროის ფაქტორი და მომავლის პერსპექტივების ნაკლებობა, (უპირველეს ყოვლისა გრძელვადიანი სასჯელების დროს).

დეპრივაციის თეორიის დებულებაში, რომ სუბკულტურული პოზიციები სასჯელალსრულებით დაწესებულებაში გამოუმუშავდება, ჰურლიმანის (Hurlimann) მიერ გათვალისწინებულია როგორც სწავლების თეორიები.⁹⁰³ მას პოტენციურ ამოსავალ ნერტილად მიაჩნია სათერლენდის დიფერენცირებული ასოციაციების თეორია. ჰურლიმანის აზრით კრიმინალური შეხედულებები წარმოიქმნებიან არსებულ სოციალურ სისტემებში და ისი-

902 K. Laubenthal, Strafvollzug. Sechste Auflage. Heidelberg 2011. S. 112-115.

903 M. Hurlimann, M. Führer und Einflußfaktoren in der Subkultur des Strafvollzugs. Pfaffenweiler 1993, S. 20.

ნი პატიმართა მიერ შეისწავლებიან. პატიმრების სუბკულტურა ფლობს ძალიან დიფერენცირებულ იერარქიულ სოციალურ სტრუქტურას. სავარაუდოა, რომ განსაკუთრებით გავლენიან პატიმრებს (არაოფიციალურ მმართველებს) დიდი რაოდენობით კრიმინალური ენერგია ახასიათებთ და ამის შედეგად ისინი სხვა პატიმრებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.⁹⁰⁴

10.1.2 კულტურული გადატანის თეორია

კულტურული გადატანის (გადაცემის) თეორია არის პატიმართა სუბკულტურის განმარტების მეორე თეორიული შესაძლებლობა. იგი ირვინისა და კრესის მიერ სტატიაში „Thieves, convicts and the inmate culture“ იქნა განხილული.⁹⁰⁵ ავტორთა მიხედვით, პატიმართა სუბკულტურა განიხილება, როგორც ნაწარმი სოციალური დაბალი ფენებისა, რაც იმას გულისხმობს, რომ არსებული სუბკულტურული სტრუქტურები და ნორმები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გარედან “შეიტანება”, და იგი იქ განაგრძობს არსებობას.

კულტურული გადატანის (გადაცემის) თეორიის მიხედვით პატიმრები ციხემდე უკვე ფლობდნენ შესწავლილ და ქცევის „ღირებულებებს“ და პატიმართა ქცევის კოდექსი არის ნაწილი კრიმინალური კოდექსისა, რომელიც აგრეთვე ციხის გარეთაც არსებობს. ციხეში მსგავსი სოციალური წარმომავლობით და ქცევის წესებით, წარმოიშვება შესაბამისი ფარული კულტურა“. ამის გამო ციხის სუბკულტურა არის “პროდუქტი ექსტრამორალური გავლენისა და წინა ინსტიტუციონალური ბიოგრაფიის“.

დებრივაციულ და კულტურული გადატანის თეორიისადმი მრავალი ემპირიული კვლევა იქნა განხორციელებული. თუმცა ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ორივე თეორიის მონაწილეობას (კომბინაციას) უკეთ შეუძლია სუბკულტურის წარმოქმნის ახსნა-განმარტება. მაიერის ციხეში “სავაჭრო საქმიანობის” მაგა-

904 იქვე.

905 Irvin, J./Cressey, D.R., Thieves, Convicts and the Inmate Culture. Social Problems 10/1964. S. 142 – 155.

ლითზე, ნათელი ხდება დეპრივაციულ და კულტურული გადატანის თეორიების კომბინაციის აუცილებლობა.⁹⁰⁶ დეპრივაციის თეორია ადასტურებს საქონლის არალეგალურ ბრუნვას მატერიალური სიკეთეების ნაკლებობის კომპენსაციის გამო. კულტურული გადატანის თეორია კი ხსნის ციხეში კონტრაბანდული ორგანიზაციის სისტემის საქმიანობას, პატიმართა სპეციალური ცოდნის (კონტრაბანდის ბრუნვაზე) საფუძველზე, რომელიც მათ ციხის გარეთ შეიძინეს და ციხის პირობებში იყენებენ.

10.2 კრიმინალური სუბკულტურის განვითარების ეტაპები

პენიტენციურ სისტემაში დღეს არსებული კრიმინალური სუბკულტურის გააზრება, შეუძლებელია მისი აღმოცენებისა და განვითარების სტადიების მიმოხილვის გარეშე. ჩამოყალიბებისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპების ანალიზი მოგვცემს შესაძლებლობას დავინახოთ, თვითგადარჩენის მიზნით, როგორ ცვლიდა ორგანიზებული დანაშაულის ეს ფორმა თავის წესებს და ნორმებს. ამის ანალიზი მოგვცემს ასევე შესაძლებლობას იმის შესაფასებლად, რომ დღევანდელ სუბკულტურაში არსებული ნორმები, ორგანოები და მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი არ არის სტატიკური და ნებისმიერი გამომწვევისას იცვლის ფორმას. თუმცა ასევე შევეხებით იმ ნორმებს, რომლებიც მისი ჩამოყალიბების შემდგომაც პირველადი სახით არის შენარჩუნებული.

„კანონიერი ქურდების“ ფენომენის და მასთან დაკავშირებული სუბკულტურის აღმოცენების და განვითარების სტადიები რამდენიმე ეტაპად შეიძლება დავყოთ⁹⁰⁷:

906 Meier, A., Subkultur im Jugendstrafvollzug im Kontext von Jugendlichen-biographien. In: Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe (ZfStrVo) 2002. S. 140.

907 გ.ლობჯანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ.41

10.2.1 კრიმინალური სუბკულტურის პირველი ეტაპი – (20-50-იანი წლები) – სტალინის მმართველობის პერიოდი და კანონიერი ქურდების პირველადი ფორმა

ამ ეტაპის დანაშაულებრივ სამყაროში, საწყის პერიოდში გამოიყოფოდა 2 ძირითადი მიმართულება: პირველი - დამნაშავეები რევოლუციამდელი სტაჟით, მეორე - პირები, რომლებიც დანაშაულის გზას დაადგენენ საბჭოთა ხელისუფლების ზენოლის შედეგად (1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ). ამ უკანასკნელებს „ჟიგანები“ ეწოდათ. „ჟიგანებმა“ ძველი კრიმინალური სამყაროს ტრადიციები ახალ პირობებს მიუსადაგეს⁹⁰⁸. „ჟიგანებმა“ ჩამოაყალიბეს თავიანთი წესები და „კანონები“, რომლებიც იმ პერიოდისთვის ოპოზიციური იდეოლოგიით იყო გამყარებული, კერძოდ:

- საზოგადოებისთვის სასარგებლო რაიმე სამუშაოს შესრულების აკრძალვა;
- ოფიციალური ოჯახის შექმნის აკრძალვა;
- იარაღით ხელში სახელმწიფოს დაცვაში მონაწილეობის აკრძალვა;
- ოფიციალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის აკრძალვა;
- საერთო სალაროში ფულის შეტანის ვალდებულება.

არსებითად, ეს წესები იქცა პირველ ნაბიჯად ახალი ტრადიციების და ადრე-წესების ფორმირებისკენ, რომლებმაც ტრადიციულ ატრიბუტებთან (ჟარგონი, ჟესტი) და ემოციურ ელემენტებთან (სიმღერა, პროზა, თხრობა) ერთად პროფესიული დამნაშავის არსი განსაზღვრა⁹⁰⁹. ეს არის ის პირველადი წესები, რომლებიც შეიქმნა მაშინდელ კრიმინალურ სამყაროში, რომელსაც დაეფუძნა შემდგომში „კანონიერი ქურდებისთვის“ დამახასიათებელი ნორმები. შემდგომში ამ საკითხების მიმოხილვისას

908 ბ.ვოდალაზკი, ი.ბაკუტინი, დანაშაულებრივი დაჯგუფებები, მათი წესები, ტრადიციები და „კანონები“, ომსკი, 1979.

909 გ.ლობჟანიძე, ორგანიზებული დანაშაულობა და ხელისუფლება, ქუთაისი, 2010, გვ. 34.

გამოჩნდება, რომ „ჟიგანების“ მიერ შექმნილი წესები დიდად არ განსხვავდება ე.წ. „კანონიერი ქურდების“ მიერ დადგენილი წესებისგან.

1929 წლიდან, როდესაც სსრ კავშირში რეპრესიების ახალი ტალღა დაიწყო, დაპატიმრებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჩამოყალიბდა ე.წ. „გულაგების“⁹¹⁰ სისტემა. დაწესებულებებში ხალხის დიდი მასების კონტროლის მიზნით, ხელისუფლება ცდილობდა შიდა კონტროლის მექანიზმის შექმნას, რის გამოც გადმოიბირეს მაშინდელ კრიმინალურ სამყაროში იერარქიის ქვედა საფეხურზე მდგარი კრიმინალები, რომლებსაც „ურკიგანები“, „ურკები“ ეწოდებოდათ. დაწესებულების ადმინისტრაციებმა დაიწყო მათი გადმოიბირება, დაუპირისპირეს „ჟიგანებს“ და გარკვეული პრივილეგიები მიანიჭეს⁹¹¹. მათ დაევალათ დაწესებულებებში წესრიგის დამყარება. ამის გამო მათ ჰქონდათ დაწესებულების ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა, იყვნენ შედარებით მსუბუქ რეჟიმში. ასეთ პირებს ზედმეტსახელად „ბლატნოე“ ანუ „ბლათიანები“ შეარქვეს⁹¹².

„ურკებმა“ სახელმწიფოს ხელშეწყობით გაიმარჯვეს „ჟიგანებთან“ დაპირისპირებაში. პატიმართა ამ კატეგორიას შემდგომში „კანონიერი ქურდები“ უწოდეს.

„კანონიერი ქურდების“ ტერმინის წარმოშობის თაობაზე სხვადასხვა ვერსიები არსებობს. ეს სახელი სავარაუდოდ აგენტებმა თავის თავს უწოდეს, რაც ნიშნავდა იმ ავტორიტეტის აღიარებას, რასაც დაწესებულების ადმინისტრაცია ხელს უწყობდა და „აკანონებდა“⁹¹³. თუმცა აღნიშნული ტერმინის წარმოშობის შესახებ ლიტერატურაში არის ასევე სხვა მოსაზრებებიც. ერთის მიხედვით აღნიშნული ტერმინით მაშინდელი საბჭოთა მილიცია

910 ტერმინი რუსულ ენაზე განიმარტება როგორც: **Главное управление лагерей и мест заключения - ГУЛАГ**

911 გ.პოდლესკიხი, ა.ტერეშენოკოვი, კანონიერი ქურდები: ნახტომი ხელისუფლებისკენ, ქუთაისი, 1995წ. გვ. 119.

912 გ.პოდლესკიხი, ა.ტერეშენოკოვი, კანონიერი ქურდები: ნახტომი ხელისუფლებისკენ, ქუთაისი, 1995წ. გვ. 121.

913 იქვე, გვ. 119.

მოიხსენიებდა დანაშაულებრივ სამყაროში გამორჩეულ ლიდერებს, სხვა ვერსიით ტერმინი წარმოიშვა თვითონ დანაშაულებრივ წრეებში დაუნერეელი „ქურდული კანონების“ შექმნის შემდეგ, ვინაიდან ამ „კანონის“ დამცველები თავიანთ თავს „კანონიერ ქურდებს“ უწოდებდნენ. არის მოსაზრება, რომ დამნაშავე სამყაროს წარმომადგენლები თავიანთ თავს „სამართლიან ქურდებს“, „კანონიერი ქურდებს“ უწოდებდა, რაც აღნიშნავდა დამნაშავე პირს, რომელიც კრიმინალური სამყაროს ტრადიციებით ცხოვრობდა⁹¹⁴. არის ასევე ვერსია, რომ „კანონიერი ქურდების“ ფენომენია შექმნილია KGB-ს მიერ და ისინი „კანონიერი ქურდების“ მეშვეობით ცდილობდნენ დამნაშავეთა სამყაროს კონტროლს⁹¹⁵.

თუმცა ფაქტია, რომ აღნიშნული ტერმინის წარმოშობა უკავშირდება პირველ რიგში ე.წ „გულაგის“ სისტემის ჩამოყალიბებას⁹¹⁶. „კანონიერ ქურდების“ მიერ აღიარებული წესები დაეფუძნა „ჟიგანების“ მიერ ჩამოყალიბებულ პირველად წესებს.

40-50-იან წლებში განხორციელდა ქურდული გაერთიანებების გარკვეული ტრანსფორმაცია. ფაშისტურ გერმანიასთან ომში, საჯარიმო ბატალიონებში, სასჯელის შემსუბუქების მიზნით, მონაწილეობა მიიღო ქურდების ნაწილმა, ხოლო მეორე ნაწილმა კატეგორიული უარი განაცხადა. ბევრი ქურდი დაიღუპა ფრონტზე, გადარჩენილთაგან ნაწილი კვლავ აღმოჩნდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში და დანაშაულებრივ სფეროში ინტეგრირება დაიწყო. ამას წინ აღუდა ქურდების ის ნაწილი, რომლებმაც არ უღალატა „რწმენას“ (იარაღით ხელში სახელმწიფოს დაცვაში მონაწილეობის აკრძალვა). დაბრუნებულ ქურდებს ისინი „გამყიდველ ძუკნებს“, „ფრონტავიკებს“, „ავტომატჩიკებს“ უწოდებდნენ. ამ ჯგუფებს შორის წარმოიშვა

914 მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 96

915 იქვე, გვ. 96

916 გ.ნაჭყებია, გ.გორაშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალაძე, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012წ, გვ. 509-510.

დაპირისპირება, რომელიც „ძუკნების ომის“ („სურჩაია ვაინა“⁹¹⁷) სახელით არის ცნობილი.

ფრონტიდან დაბრუნებული ქურდები ცდილობდნენ გარკვეული ცვლილებების შეტანას ქურდულ „კანონებში“ და ეს ძირითადად სახელმწიფოსთან საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობას გულისხმობდა. ეს დაპირისპირება ეფექტურად გამოიყენა ციხის ადმინისტრაციებმა, ნააქეზა დაპირისპირებული მხარეები, რითაც მნიშვნელოვნად დაასუსტა კრიმინალური სამყარო. საბოლოო ჯამში ორთოდოქსული ქურდები ნაწილობრივ დათმობებზე წავიდნენ და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა გარკვეულ პირობებში მისაღებ წესად იქნა მიჩნეული. **ეს იყო ერთ-ერთი პირველი შემთხვევა, როდესაც საკუთარ წესებში „კანონიერმა ქურდებმა“ ცვლილებები შეიტანეს. შემდეგ ეტაპებზე კიდევ განხორციელდება ცვლილებები სხვადასხვა შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.**

ომის შემდგომ პერიოდში წინააღმდეგობები კიდევ უფრო გაღრმავდა. ამ პერიოდში კრიმინალური საზოგადოების ზრდის გამო, ქურდების სალარო, ე.წ. „ობშიაკი“ ველარ აკმაყოფილებდა ქურდების მოთხოვნებს, რის გამოც იძულებული გახდნენ პატიმრებისთვის გამოიმუშავებული თანხის ნაწილი ჩამოერთმიათ (პირველ ეტაპზე ე.წ. „ობშიაკში“ თანხა ძირითადად ქურდებს შეჰქონდათ. ქვემოთ ამ საკითხს დეტალურად შევეხებით). ამან ძირითადი მასის („მუჟიკები“) უკმაყოფილება და მათთან დაპირისპირება გამოიწვია.

ამ პერიოდში გამოჩნდა ასევე სხვადასხვა სახის კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებიც სხვადასხვა მძიმე დანაშაულებისთვის იხდიდნენ სასჯელს. ამ კატეგორიის პატიმრებს „განდგომილები“ ან „პოლონელი ქურდები“ უწოდეს. ისინი შეეცადნენ ქურდული კანონები გამოეყენებინათ ასევე სხვა პატიმრებზე კონტროლისთვის (ძირითადად „ობშიაკის“ დაუფლებისთვის) და დაუპირისპირდნენ „კანონიერ ქურდებს“.

ამ დაპირისპირებამ ასევე შეასუსტა ორთოდოქსული ქურდე-

917 მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 92-93

ბის კასტა. ამას დაემატა ასევე მაშინდელი ხელისუფლების (განსაკუთრებით სტალინის სიკვდილის, 1953 წლის შემდეგ). მიერ გადადგმული ნაბიჯები. 1950 წლების ბოლოს პირველად ჩამოყალიბდა სხვადასხვა ტიპის დანესებულებები, სადაც პატიმრების განთავსება კატეგორიების მიხედვით ხდებოდა. სპეციალური ნორმატიული აქტის საფუძველზე⁹¹⁸ ჩამოყალიბდა: საერთო, გაძლიერებული, მკაცრი და განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიები. მკაცრად კონტროლდებოდა სხვადასხვა კოლონიებს შორის პატიმართა კონტაქტი. ეს იყო ასეთი სახით პატიმართა რისკების მიხედვით გადანაწილების პირველი მცდელობა, რამაც იმ პერიოდისთვის გარკვეული შედეგები გამოიღო. თუმცა როგორც შემდგომში აღმოჩნდა, მხოლოდ ეს არ იყო საკმარისი საბოლოო მიზნის მისაღწევად. თუმცა დანესებულებების ეფექტურად მართვის მიზნით, პატიმართა გადანაწილებას რისკების მიხედვით ალტერნატივა არ აქვს.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების მიზეზი იყო ის რომ, 40-50-იან წლებში „კანონიერი ქურდების“ ორგანიზაცია დიდი ტემპებით ვითარდებოდა და მათმა რაოდენობამ ათასს გადააჭარბა. საბჭოთა ხელისუფლებისთვის ამ „ელიტის“ ესოდენ სწრაფი ზრდა საფრთხის შემცველი იყო და მათი გამოყენების პრაგმატული ელემენტი ფაქტობრივად აღარ არსებობდა⁹¹⁹. ამის გამო საბჭოთა ხელისუფლების მიერ იყო მიღებული გადანაცვეტილება, რომ „კანონიერი ქურდების“ გავლენა შეესუსტებინათ.

1956 წელს, ქ. სოლიკამსკში დაარსდა სპეციალური, განსაკუთრებული რეჟიმის კოლონია N6, სადაც „კანონიერი ქურდების“ უდიდესი ნაწილი მოათავსეს. ამ კოლონიას ხალხში „თეთრ გედს“ უწოდებდნენ. ამ იზოლაციით შეეცადნენ „კანონიერი ქურდების“ გავლენა სხვა დანესებულებებზე მნიშვნელოვნად შეემცირებინათ. ამ კოლონიაში იყო საკმაოდ მძიმე რეჟიმი, რის

918 საქართველოს უმაღლესი საბჭოს უწყებები. 1971. N12

919 გ.ნაჭყებია, გ.გორაშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალიძე, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012წ, გვ. 511

გამოც ამ პირობებს „კანონიერი ქურდების“ უდიდესმა ნაწილმა ვერ გაუძლო და უარი თქვა თავის წოდებაზე. ეს ნაბიჯი ძალიან გავს უკვე 2000-იან წლებში, საქართველოში „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლის იმ ეტაპს, რა დროსაც, მათი უდიდესი ნაწილი მოათავსეს ქ. თბილისის N7 დაწესებულებაში (ამჟამადაც ამ დაწესებულებაში არიან განთავსებული), რითაც მოხდა სხვა დაწესებულებებიდან მათი მოცილება (ამ საკითხს ქვემოთ უფრო დეტალურად შევეხებით).

50-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა ხელისუფლების შეფასებით, მთელი რიგი წარმატებული ოპერაციების ჩატარების შემდეგ, საბჭოთა კავშირის სამართალდამცავმა ორგანოებმა ცენტრალურ კომიტეტს „კანონიერი ქურდების“ დანაშაულებრივი ორგანიზაციის საბოლოო განადგურების შესახებ უპატაკა. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან კრიმინალურ სამყაროზე გავლენის შესუსტება, რაც ალბათ ყველაზე დიდი შეცდომა იყო. ზუსტად ამ ეტაპზე იჩენს თავს ამ ფენომენის საოცარი მუტაციის უნარი. მიუხედავად ყველაზე მკაცრი და „დრაკონული“ ღონისძიებებისა, რომელიც სახელმწიფომ გაატარა, „კანონიერი ქურდების“ ძირითადად მასამ არა მხოლოდ გადარჩენა მოახერხა, არამედ შესანიშნავად შეეგუა ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებს.

10.2.2 კრიმინალური სუბკულტურის მეორე ეტაპი - (60-70-იანი წლები) - ე.წ. პოსტსტალინისტური პერიოდი და მაფიოზური ტიპის პირველი ორგანიზებულ დანაშაულებრივი ჯგუფები

„კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტის აღორძინებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ პერიოდში სამართალდამცავი ორგანოების ილუზორულმა დამოკიდებულებამ და რწმენამ - საბჭოთა კავშირში დანაშაულობის სრული აღმოფხვრის შესაძლებლობის შესახებ⁹²⁰.

ამ დამოკიდებულებას მოყვა შესაბამისი ორგანოების აქტი-

920 გ.გლობუანიძე, გ.გლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 55

ვობის დაქვეითება. საუწყებო დოკუმენტებიდან ამოიღეს ისეთი ცნებები, როგორიცაა „კანონიერი ქურდი“. ასეთი სახის რეფორმებმა მნიშვნელოვნად დაასუსტა სამართალდამცავი ორგანიზების მუშაობის ეფექტურობა. შედეგად აღმოცენდა „კანონიერი ქურდების“ მოდიფიცირებული ტალღა, რომელიც მოერგო ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალიებს⁹²¹. განსაკუთრებით საშიში ლიდერების არასათანადო შეფასებამ, სახელმწიფოს მხრიდან „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებამ, მათ ერთგვარი შესვენების საშუალება მისცა, რამაც „კრიმინალურ-ნეგატიური“ იდეოლოგიის ფართოდ გავრცელებამდე და ქურდული მოძრაობის ზრდის სტიმულირებამდე მიიყვანა საზოგადოება⁹²².

„კანონიერმა ქურდებმა“ გარკვეული ცვლილებები შეიტანეს თავიანთ წესებში. პირველ რიგში მათ დასაშვებად მიიჩნიეს ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და ძირითადად ეკონომიკურ საქმიანობაში თანამონაწილეობა. გაჩნდა მაფიოზური ტიპის ორგანიზებული დანაშაულის ნიშნები. ამას ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირში 60-70-იან წლებში ჩრდილოვანი ეკონომიკის და კრიმინალური მენარმეობის გაჩენამ, სადაც კრიმინალური ელიტა ამ საქმიანობის მფარველად მოგვევლინა. დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართული აღმოჩნდნენ ჩინოვნიკები მინისტრების ჩათვლით. ზოგადად ჩრდილოვანი ეკონომიკის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო პირველადი მოხმარების საქონელზე, სამრეწველო საქონელზე, ტექნიკაზე და სხვა პროდუქციაზე დეფიციტის არსებობამ.

ამ პროცესებმა განსაკუთრებით თავი საქართველოში იჩინა, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკა, სპეკულაცია, არნახული კორუფცია ყვაოდა და სახელისუფლებო სტრუქტურების ხრწნა მიმდინარეობდა⁹²³.

„კანონიერი ქურდების“ სოციალური სტატუსსა და საქმიანო-

921 იქვე, გვ. 113.

922 ვ.რაზინკინი, ა.ტატბარინი, კრიმინალური სამყაროს ელიტა, მოსკოვი, 1997წ. გვ. 15

923 გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 57.

ბაში ცვლილებები ქურდულ „კანონებში“ ცვლილებებს მოითხოვდა. ასეთი სახის გადაწყვეტილებები სპეციალურ შეკრებებზე წყდებოდა (ე.წ. „სხოდკებზე“). სხვადასხვა წყაროები ადასტურებენ, რომ ასეთი სახის შეკრება, რომელსაც ესწრებოდნენ „კანონიერი ქურდები“ და იატაკქვასეთთა ბიზნესის წარმომადგენლები, შედგა 1979 წელს, ქ. კისლოვოდსკში. ამ შეხვედაზე გადაწყდა, რომ „კანონიერ ქურდებს“ ბიზნესმენების შემოსავლიდან ათი პროცენტი მიეღოთ⁹²⁴. ასევე წყაროებში არის ცნობილი „კანონიერი ქურდების“ შეკრება თბილისში - 1982 წელს. როგორც ცნობილია ამ შეხვედრაზე გადაწყდა ეკომომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში „კანონიერი ქურდების“ მონაწილეობის საკითხი⁹²⁵. ამ შეკრებაზე გადამწყვეტი იყო ქართველი „კანონიერი ქურდების“ პოზიცია⁹²⁶. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, 1990 წლების დასაწყისში კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებმა, სამწუხაროდ, მართლაც დიდი როლი ითამაშეს საქართველოს უახლესი ისტორიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

10.2.3 კრიმინალური სუბკულტურის მესამე ეტაპი - (80-იანი წლები) ორგანიზებული დანაშაულის საბოლოო ფორმირება საბჭოთა კავშირში

80-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში იწყება პოლიტიკური რეჟიმის სრული დეგრადაციის პროცესი. ეს პერიოდი „ოქროს ხანად“ შეიძლება ჩაითვალოს ორგანიზებული დანაშაულისთვის, განსაკუთრებით „კანონიერი ქურდებისთვის“. კრიმინალური სამყაროს ორგანიზებული ჯგუფები საჭირო აღმოჩნდნენ სანარმოო სიმძლავრეების მიტაცებისა და მართვის, პერსონალის ექსპლუატაციის და დანაშაულებრივი გზით ნაშოვნე ფულის გათეთრებისთვის⁹²⁷.

924 ი.კოსტიუკოვსკი, რუსული ორგანიზებული დანაშაულის ისტორია. www.narcom.ru/cabinet/online12.html.

925 გ.ლობჟანიძე, გ.ლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 67-68.

926 მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 93

927 გ.ლობჟანიძე, გ.ლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 114-115.

80-იანი წლების ბოლოს, არსებული მონაცემებით, დანაშაულებრივი ჯუფების სათავეში მდგომი პიროვნებების 80% ეკონომიკის სფეროში მოქმედი წარმოება-დანესებულებების ხელმძღვანელები იყვნენ. მათ მფარველობას და დახმარებას დანაშაულებრივი ჯგუფები (ძირითადად „კანონიერი ქურდები“) უწევდნენ. არსებობდა ასევე ფაქტები დამნაშავე ელემენტების სასამართლო ორგანოებთან ურთიერთობების შესახებ⁹²⁸.

„კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის როლის გაზრდისთვის განსაკუთრებულ იმპულსად მოგვევლინა „კოოპერატივების შესახებ“ კანონის მიღება. ამ პერიოდში იწყება ჩრდილოვანი ეკონომიკის ლიდერების ზედა ფენაზე ამოსვლა. კრიმინალურმა სამყარომ ძირშივე მოახდინა კოოპერატიული მოძრაობის დისკრედიტაცია. არაკეთილსინდისიერ კონკურენციის პირობებში ხელში ჩაიგდო თითქმის მთლიანი ბაზარი⁹²⁹. სახელმწიფო ფუნქციონირებებსა და პროფესიულ დამნაშავეებს შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა. ამ პროცესებს შედეგად სახელმწიფოს კანონზომიერი რყევა მოჰყვა.

10.2.4 კრიმინალური სუბკულტურის მეოთხე ეტაპი (90-იანი წლები) - საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება და დანაშაულებრივი კლანები; „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის ტრანსფორმირების პროცესი დასავლური ტიპის განგსტერულ-მაფიოზურ დაჯგუფებების მსგავს კრიმინალურ ორგანიზაციებად

ეს არის პერიოდი საბჭოთა კავშირის რღვევის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩამოყალიბების, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლები. ამ პერიოდში საკმაოდ მძლავრი იყო ნაციონალურ-პატრიოტული

928 გ.პოდლესკიხი, ა.ტერეშონოვი, კანონიერი ქურდები: ნახტომი ხელისუფლებისკენ, ქუთაისი, 1995წ, გვ. 166-167 - სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შიფოგრამა N22.07.88. ნეგატიურ პროცესებზე თავისუფლების აღკვეთის დანესებულებებში.

929 გ.გლობუანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 72-73.

მოძრაობა, რის გამოც ხელისუფლებაში (საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ) საექვო კვალიფიკაციის და რეპუტაციის ხალხი მოვიდა. საკმაოდ სუსტი და ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო სახელმწიფო სახელისუფლებო აპარატი. ეს აღმოჩნდა საკმაოდ ხელსაყრელი პერიოდი კრიმინალური სამყაროსთვის. „კანონიერმა ქურდებმა“ და სხვა სახის კრიმინალურმა ელემენტებმა, ამ პერიოდში ჩამოაყალიბეს დანაშაულებრივი დაჯგუფებები. ეს დაჯგუფებები პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებების, საძმობის და სხვა სახით მოგვევლინენ.

ქართული კრიმინალური დაჯგუფებები იმდენად გავლენიანი გახდნენ, რომ უმეტესი სახელისუფლებო სტრუქტურები ჩაანაცვლეს. უფრო მეტიც, 1991-92 წლებში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, ძალაუფლების სათავეში აღმოჩნდა ტრიუმვირატი (თ.სიგუა, თ.კიტოვანი და ჯ.იოსელიანი), რომლის ერთ-ერთი წევრი წარსულში ცნობილი და გავლენიანი „კანონიერი ქურდი“ ჯაბა იოსელიანი იყო. ეს პერიოდი შეიძლება შეფასდეს, როგორც სახელმწიფოს სრული დეზორგანიზების პერიოდი, რომელიც ხასიათდებოდა ძალადობრივი დანაშაულებით და სხვადასხვა კრიმინალური დაჯგუფებების მკვეთრი ზრდით⁹³⁰. სიტუაცია შედარებით შეიცვალა 90-იანი წლების ბოლოს 2000-იანი წლების დასაწყისში, რაც შედარებით პოლიტიკურ სტაბილურობაში და კრიმინოგენური მდგომარეობის გაუმჯობესებაში გამოიხატებოდა. თუმცა ქვეყანაში ჯერ კიდევ საკმაოდ მჭიდრო კავშირი არსებობდა ჩინოვნიკებსა და ორგანიზებული დანაშაულის წარმომადგენლებს შორის და კორუფციასაც არნახული მასშტაბები ჰქონდა.

10.2.5 კრიმინალური სუბკულტურის მეხუთე ეტაპი (2003-2012 წლები) - „კანონიერი ქურდები“ 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ არსებითად შეიცვალა საქართველოში სახელმწიფოს დამოკიდებულება ორგანიზებუ-

930 გ.ლობჯანიძე, გ.დლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 75.

ლი დანაშაულის მიმართ. სახელმწიფოს მიერ გადაიდგა მთელი რიგი კარდინალური ნაბიჯები. ეს პოლიტიკა ზოგადად ცნობილია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის „ნულოვანი ტოლერანტობის“ სახელით⁹³¹. ალბათ ნაადრევია ამ ეტაპზე სახელმწიფო პოლიტიკის შედეგების ერთიანად შეფასება, ვინაიდან საკმაოდ მცირე პერიოდი არის გასული და შემდგომში აუცილებელი იქნება უფრო სიღრმისეული ანალიზი, თუმცა აუცილებლად უნდა შევეხოთ მთელ რიგ საკითხებს, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაზე, განსაკუთრებით პენიტენციურ სისტემაში.

ამ ეტაპზე უკვე შეგვიძლია შევაფასოთ, რომ საკმაოდ ეფექტური იყო სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები, განსაკუთრებით კორუფციასთან ბრძოლის კუთხით⁹³². კორუმპირებული სახელმწიფო აპარატი არის ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ძირითადი მასაზრდოებელი, რის გამოც კორუფციის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯის შედეგად მნიშვნელოვნად შესუსტდა საქართველოში „კანონიერი ქურდების“ მფარველები და ფინანსური წყარო.

მარტო პენიტენციურ დაწესებულებაში წესრიგის დამყარებისა და პოლიციის მიერ კრიმინალთან ბრძოლის გააქტიურებით, შეუძლებელი იქნებოდა ორგანიზებული დანაშაულების ლიდერების გისოსებს მიღმა მოხვედრა, რადგან, როგორც წესი, მათ მიერ ხდებოდა კრიმინალური აქტების დაგეგმვა და არა აღსრულება. შესაბამისად, 2005 წლის 20 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“. კანონით მოხდა „კანონიერი ქურდის“, „ქურდული სამყაროსა“ და „რეკეტიორის“ განმარტება და განისაზღვრა სანქციები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში იმავე თარიღით შეტანილი ცვლილებებით. შევიდა დამატებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომლის საფუძველზეც

931 საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა პარლამენტში 2006 წლის 14 თებერვალს. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=11761>.

932 საერთაშორისო გამჭვირვალობა: 2012 წლის კორუფციის აღქმის ინდექსი საქართველოში. <http://transparency.ge/post/corruption-perception-index-cpi/2012-tslis-korupsiis-aghkmis-indeqsi>.

შესაძლებელი გახდა ორგანიზებული დანაშაულების წარმომადგენელთათვის უკანონო გზით შექმნილი ქონების ჩამორთმევა. მითითებული საკანონმდებლო ცვლილებები, დამატებით ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა და მისი პრევენცია, სრულიად ახალ საფეხურზე გადავიდა.

საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ის რეფორმები, რომლებიც განხორციელდა პენიტენციურ სისტემაში „კანონიერი ქურდების“ გავლენის შემცირების მიზნით. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო ყველა „კანონიერი ქურდის“ ერთ დანესებულებაში განთავსება, კერძოდ, თბილისის N7 დანესებულებაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელისუფლების მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი წააგავს 50-იანი წლების ბოლოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ N6 კოლონიის დაარსებას (ე.წ. „თეთრი გედი“) და იქ ყველა „კანონიერი ქურდების“ მოთავსებას.

აღნიშნულმა ღონისძიებამ მნიშვნელოვნად შეამცირა „კანონიერი ქურდების“ გავლენა სხვა დანესებულებებზე. ამის პარალელურად მთლიანად ქვეყანაში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ერთიანმა პოლიტიკამ მინიმუმამდე დაიყვანა „კანონიერი ქურდების“ გავლენა მთლიანად ქვეყანაში.

თუმცა, ასევე შეიძლება უკვე ითქვას, რომ „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკამ შექმნა საკმაოდ დიდი პრობლემები, ზოგადად სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელებისთვის. ამ პოლიტიკის შედეგი იყო ციხეების არანორმალური გადატვირთვა, რაც დანესებულებებში სიტუაციის კონტროლს შეუძლებელს ხდიდა. ამ და სხვა ფაქტორებმა (დაუსჯელობის სინდრომი) ხელი შეუწყო არასათანადო მოპყრობის ფაქტებს პატიმრების წინააღმდეგ⁹³³, რამაც საბოლოოდ გამოიწვია „სისტემური მარცხი“, რომელიც საჯაროდ იქნა გაცხადებული 2012 წლის ბოლოს⁹³⁴.

933 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2011 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ. <http://ombudsman.ge/uploads/other/0/85.pdf>.

934 საქართველოს პრეზიდენტის განცხადება, 19.09.2012წ. <http://www.ambebi.ge/politika/61187-mikheil-saakashvili-realurad-mokhda-sistemuri-marckhi.html>.

შეუძლებელია ამავე ეტაპისთვის ამ პერიოდში გადადგმული ნაბიჯები ერთმნიშვნელოვნად დადებითად ან უარყოფითად შეფასდეს. აუცილებელია ამ პერიოდში სახელმწიფოს მიერ გადადგული ყველა ნაბიჯის შეფასება და ანალიზი. პირველ რიგში, რომ არ მოხდეს „კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტის, ზოგადად ორგანიზებული დანაშაულობის შეუფასებლობა. ამ ფენომენს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გააჩნია მუტაციის უნარი, რაც არაერთხელ დაამტკიცა მისი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე. იგი ცდილობს და აქვს უნარი ალლო აულოს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, აილოს პაუზა საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს შიდა წესები, ნორმები და მოძებნოს ალტერნატიული გზები გადარჩენისთვის, შემდგომი გაძლიერებისთვის. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც 60-იანი წლები, როცა ხელისუფლებამ „კანონიერი ქურდები“ ფაქტობრივად დამარცხებულად გამოაცხადა, შეასუსტა ბრძოლა მათ წინააღმდეგ, რითაც დაუშვა უდიდესი შეცდომა, რაც შემდგომში ნათლად გამოჩნდა.

„კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის ჩამოყალიბების და მისი არსებობის ეტაპების განხილვა მნიშვნელოვანია ზოგადად ამ ფენომენის გასააზრებლად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეუძლებელია ამ ფენომენის საფუძველზე აღმოცენებული სუბკულტურა შევისწავლოთ, თუ არ ვიცით მისი წარმოშობის ისტორია, როგორ მიმდინარეობდა მისი ევოლუცია, სად პოულობდა ყველაზე მეტ საყრდენს და რა ფაქტობრივი გარემოებები უწყობდა ხელს მას არსებობის შენარჩუნებაში. ზუსტად ამ მიზნით არის წარმოდგენილი ეს მოკლე ისტორიული მიმოხილვა. ეს ინფორმაცია ხელს შეგვიწყობს საქართველოში კრიმინალურ სუბკულტურასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები უფრო დეტალურად განვიხილოთ.

10.3 „ქურდული კანონები“

როგორც უკვე აღვნიშნეთ ე.წ. „ქურდული კანონები“ პირველადი ფორმით ჩამოაყალიბეს „უიგანებმა“ 20-იან წლებში და ეს ძირითადად ოპოზიციურ განწყობებს გამოხატავდა. 30-იან

ნლებში „ურკებისა“ და „უიგანების“ დაპირისპირების შედეგად, როდესაც დაწესებულებების ადმინისტრაციის ხელშეწყობით გავლენისთვის ბრძოლაში წარმატებას „ურკებმა“ მიაღწიეს, მათ ჩამოაყალიბეს ე.წ. „ქურდული კანონები“. სავარაუდოდ, უკვე ამის შემდეგ იწოდება ეს ჯგუფი „კანონიერ ქურდებად“. პირველად ჩამოყალიბებული „ქურდული კანონები“ შემდეგი დებულებებისგან შედგებოდა⁹³⁵:

1. ქურდული იდეის ერთგულება;
2. სამართალდამცავ ორგანოებთან კონტაქტის დაუშვებლობა;
3. უარი ნებისმიერი ფორმით სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობაზე;
4. სხვა ქურდების პატივისცემა და თანადგომა;
5. ახალი წევრების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ჩართვის ვალდებულება;
6. პოლიტიკური მოღვაწეობის აკრძალვა;
7. კონტროლი დაწესებულებებში, კონფლიქტების გარჩევა, ადგილებზე ქურდების ძალაუფლების დამყარება;
8. უარი ჩვენების მიცემაზე, დანაშაულის აღიარებაზე;
9. საკუთრების და დანაზოგის არქონა;
10. ოჯახის არყოლა;
11. პერიოდული პატიმრობა;
12. უარი იარაღზე;
13. ნებისმიერ პირობებში მუშაობაზე უარი;
14. „უარგონის“ ცოდნა;
15. ქურდული სალაროს შევსება;
16. ჩანერის (რეგისტრაციის) არქონა.

„კანონიერ ქურდებს“ საწყისი ეტაპიდანვე ახასიათებდათ ასევე გარკვეული თავისებურებები⁹³⁶:

1. „კანონიერი ქურდი“ ყველაფერს თავისი ხელით უნდა აკეთებდეს;

935 გ.გლობუანიძე, გ.ლოლონი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 116-117.

936 გ.პოდლესკიხი, ა.ტერეშონოვი, კანონიერი ქურდები: ნახტომი ხელისუფლებისკენ, ქუთაისი, 1995წ, გვ.166-167.

2. შემგუებლობის უნარი (ტაქტიკის სწრაფად ცვლა გარემოებების შესაბამისად);
3. სიმკაცრე და ანგარიშსწორება განდგომილებისადმი;
4. „კანონიერი ქურდების“ გმირული სახე ხალხში.

შესაძლებელია ასევე გარკვეულწილად გავმიჯნოთ ქურდული და ციხის კანონები. ქურდული კანონები არის სავალდებულო შესასრულებელი ქურდების მიერ, თუმცა უმეტესი დებულებების შესრულება ევალებათ ასევე სხვა პატიმრებს. ამიტომ შესაძლებელია ვისაუბროთ ცალკე „ციხის კანონებზე“⁹³⁷, რომლებიც ყველა პატიმარზე ვრცელდებოდა:

1. „საერთო სალაროში“ წილის შეტანის ვალდებულება;
2. კრძალავს ძალადობის გამოყენებას „კანონიერი ქურდების“ მიმართ;
3. მშობლების, უფროსების პატივისცემა;
4. შეურიგებელია დაბეზლებისადმი;
5. კრძალავს უსაფუძვლოდ რაიმეს წართმევას;
6. კრძალავს ვინმეს მიმართ მტკიცებულებების გარეშე ბრალდების (პრეტენზიის) წაყენებას;
7. კრძალავს შეურაცხყოფას, უცენზურო გინებას;
8. კრძალავს თავისიანების გაქურდვას;
9. კრძალავს ოფიციალურ ორგანოებთან თანამშრომლობას.

„ციხის კანონების“ დაცვა სავალდებულო იყო, როგორც „კანონიერი ქურდებისთვის“, ასევე სხვა პატიმრებისთვის, ხოლო ზემოთ აღნიშნული ზოგიერთი დებულების დაცვა მხოლოდ „კანონიერი ქურდებისთვის“ იყო სავალდებულო. კრიმინალური ავტორიტეტები ცდილობენ ე.წ. „ციხის კანონებით“, კრიმინალური სუბკულტურის თავისებურებების გამოყენებით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მიაღწიონ სრულ გავლენას პატიმართა ყველა კატეგორიაზე.

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, კრიმინალური სუბკულტურის არსებობის სხვადასხვა ეტაპზე, „კანონიერი ქურდები“ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად ცვლიდნენ პირველად წესებს და ნორმებს.

937 Ю. К. Александров, очерки криминальной субкультуры, 2001. – 37с.

პირველი წესი რომლის შეცვლაც მოხდა იყო 40-50-იან წლებში და შეეხებოდა სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობას. ეს ცვლილება გამოიწვია მეორე მსოფლიო ომში „კანონიერი ქურდების“ ნაწილის მონაწილეობამ.

დაახლოებით უკვე 60-იანი წლებიდან „კანონიერი ქურდებისთვის“ არ წარმოადგენდა აუცილებელ მოთხოვნას, რომ მას ოჯახი არ უნდა ჰყოლოდა და არ უნდა ჰქონოდა პირადი საკუთრება.

შემდეგი წესი, რომელიც უკვე 60-70 იან წლებში შეიცვალა არის, ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით სახელმწიფო ჩინოვნიკებთან კორუფციულ გარიგებებში შესვლა და შეთანხმება, რომ მათგან შემოსავლის 10% მიეღოთ. ეს შემოსავალი არამარტო ე.წ. ქურდულ სალაროში შედიოდა, არამედ ისინი ამ თანხებს პირადი კომფორტისთვის და ფუფუნებისთვის მოიხმარდნენ. შეიძლება ითქვას, რომ უკვე ამ პერიოდიდან ქურდული ცხოვრების წესი „კანონიერი ქურდების“ მხრიდან გადაიქცა ანგარების შენიღბვის განსაკუთრებულ ხერხად⁹³⁸.

უკვე აღარ წარმოადგენდა „კანონიერ ქურდად“ გახდომისთვის სავალდებულოს, რომ პირი პატიმრობაში უნდა ყოფილიყო ნამყოფი (შემდგომში დეტალურად შევეხებით „კანონიერ ქურდად“ კურთხევის პროცედურებს).

გარდა ამისა, 70-80 წლებში „კანონიერი ქურდების“ მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ძალაუფლების გამყარების მიზნით პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართულიყვნენ. ეს ყველაფერი შემდგომში ნათლად გამოჩნდა 90-იანი წლების დასაწყისში.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, „ქურდულ კანონებში“ განხორციელდა უკვე 2003 წლის შემდეგ, როცა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ სახელმწიფოს მხრიდან საკმაოდ გაბედული და ეფექტური ნაბიჯები იქნა გადადგმული. „კანონიერმა ქურდებმა“ შეცვალეს წესი, რომელიც გულისხმობდა ჩვენების მიცემაზე უარის თქმას სამართალდამცავი ორ-

938 გ.ნაჭყებია, გ.გორაშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალიძე, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012წ, გვ. 493.

განოებისთვის. ამ წესში ცვლილება ძირითადად გამოიყენეს იმ მიზნით, რომ მათთვის არასასურველი ოფიციალური თანამდებობის პირები მოეშორებინათ. საკმაოდ ხშირი იყო კოლექტიური განცხადებები და საჩივრები პატიმრების მხრიდან ამა თუ იმ ჩინოვნიკის წინააღმდეგ, სადაც მათ სხვადასხვა საკითხებში დებდნენ ბრალს. ხშირ შემთხვევაში ასეთი სახის განცხადებები და საჩივრები უსაფუძვლო იყო.

განსაკუთრებით საინტერესოა კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ მოიშორეს ქ.რუსთავში ერთ-ერთი დაწესებულების დირექტორი:

„2012 წლის ციხის სკანდალური ფაქტების გახმაურების შემდეგ, ქვეყანაში მოხდა ხელისუფლების ცვლილება. მთლიანად შეიცვალა მაშინდელი პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელობა. ეს პერიოდი გამოირჩეოდა პატიმრების მხრიდან ხშირი საპროტესტო აქციებით (უმეტეს შემთხვევაში სამართლიანი). ამ პერიოდში უკვე გამოიკვეთა მცდელობა კრიმინალური ავტორიტეტების მხრიდან, აღედგინათ ძველი გავლენა დაწესებულებებში. ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია და საზოგადოებაში არსებული განწყობები, კრიმინალურმა ავტორიტეტებმა საწყის ეტაპზე ეფექტურად გამოიყენეს და დაწესებულებების უმრავლესობაში თავიანთი გავლენის დამყარება შეძლეს. რუსთავის ერთ-ერთი დაწესებულების ახლად დანიშნულმა დირექტორმა უარი განაცხადა რაიმე სახის გარიგებაში შესულიყო კრიმინალურ ავტორიტეტებთან და შეეცადა დაწესებულებაში დაემყარებინა წესრიგი. მისი დანიშნიდან დაახლოებით 1 კვირის მერე იწყება ამ დაწესებულებაში პატიმართა მასობრივი პროტესტი ციხის ხელმძღვანელის მიმართ. მას ბრალი დასდეს პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობაში და მუქარაში. პატიმრების მხრიდან დაინერა კოლექტიური საჩივრები ამ პიროვნების მიმართ. პენიტენციური ადმინისტრაციის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ საჩივრებში დაფიქსირებული ფაქტების დადგენამდე დროებით შეუჩერა დირექტორს უფლებამოსილება (რაც ალბათ შეცდომა იყო). დირექტორმა შემდგომში დატოვა თანამდებობა, ხოლო საჩივრებში აღნიშნული ფაქტები არ და-

დასტურებულა. ამ პატარა წარმატების შემდეგ, ამ დანესებულებაში, შემდგომში უკვე ახალი ადმინისტრაციის კონტროლი მინიმუმამდე იყო დაყვანილი. დანესებულებაში ყველაფერს აკონტროლებდნენ კრიმინალური ავტორიტეტები, ე.წ. „მაყურებლები“. შემდგომში სიტუაცია იმდენად დამძიმდა ამ დანესებულებაში, რომ 2013 წლის დასაწყისში, დროებით, საერთოდ დახურეს ეს დანესებულება და პატიმრები სხვა დანესებულებებში გადაანაწილეს. სხვა ნაბიჯები ფაქტობრივად არაეფექტური გამოდგა“.

„კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტი პირველადი ფორმიდან, ეტაპობრივად გარდაიქმნა კლასიკურ კრიმინალურ-მაფიოზურ დაჯგუფებად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ნორმები, რომლებიც თავდაპირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა, დღესაც იმავე ფორმით არსებობს. კერძოდ: 1. ზოგადად ქურდული იდეების ერთგულება; 2. სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის დაუშვებლობა. (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უამრავი წყარო ადასტურებს იმ ფაქტს, რომ „კანონიერი ქურდების“ უმრავლესობა სამართალდამცავ ორგანოებთან აქტიურად თანამშრომლობდა); 3. თავიანთ წრეებში ახალი წევრების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ჩართვის ვალდებულება. ეს ფაქტი აიხსნება ძირითადად იმით, რომ აუცილებელია „მომავალი თაობის“ აღზრდაზე ზრუნვა; 4. უარი ჩადენილი დანაშაულის აღიარებაზე; 5. ნებისმიერ პირობებში მუშაობაზე უარის თქმა; 6. ქურდული სალაროს (ე.წ. „ობშიაკის“) შევსება.

თუ მივაქცევთ ყურადღებას ძირითადი ცვლილებები, რაც ამ წესებში განხორციელდა, უმეტეს შემთხვევაში შეეხება პირადად „კანონიერ ქურდებს“. ეს ცვლილებები ნაკლებად აისახა ე.წ. „ციხის კანონებზე“, რომლებიც ყველა პატიმრისთვის არის სავალდებულო შესასრულებელი. ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა არის კონტროლის და გავლენის შენარჩუნების მცდელობა პატიმრებზე. თუ გარკვეული ცვლილებები შეეხო ზოგადად პატიმრებსაც, მხოლოდ ე.წ. „ქურდულ კანონებში“ ცვლილების შეტანის გამო (მაგ. ჩვენების მიცემა) და იმ მიზნით, რომ ძალაუფლება შეენარჩუნებინათ.

10.4 „ქურდული სანქციები“

როგორც ყველა კანონის დარღვევისთვის, ასევე „ქურდული კანონების“ დარღვევისთვის თავიდანვე ჩამოყალიბებული იყო გარკვეული სანქციები. ეს წესები, სხვა წესების მსგავსად, დროთა განმავლობაში სახეცვლილებას განიცდიდა. სანქციებიდან შეიძლება გამოვყოთ უშუალოდ „კანონიერი ქურდის“ წინააღმდეგ როგორი სახის სანქციები გამოიყენება და ზოგადად სხვა პატიმრების მიმართ, რომლებიც ამ რანგს არ განეკუთვნებიან. „კანონიერი ქურდების“ მიმართ გამოიყენება⁹³⁹:

1. სახალხოდ სილის განვნა - ეს შეიძლება მხოლოდ ქურდმა გააკეთოს, ძირითადად უსაფუძვლო შეურაცხყოფისთვის;
2. „ყურებში ჩარტყმა“, „გაჩერება“ - ამ დროს გადაჰყავთ უფრო დაბალ კატეგორიაში, ე.წ. არაქურდული საქციელის გამო, არაქურდად აცხადებენ;
3. სიკვდილი - მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, საერთო კრებაზე „სხოდკაზე“ „კანონიერი ქურდების“ მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

„კანონიერი ქურდის“ სტატუსის შეჩერების თაობაზე დოკუმენტური ფაქტის მოძიება შესაძლებელია ინტერნეტ სივრცეში. ვიდეორჩანაწერები ეხება სხვადასხვა „კანონიერი ქურდის“, ე.წ. „გაჩერებას“, არაქურდად გამოცხადებას, რომელიც ქ.თბილისის N7 დაწესებულებაში არის გადაღებული. უდავოა, რომ ამ ვიდეოების გასაჯაროება ხელისუფლებამ განახორციელა „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის დისკრედიტაციის მიზნით⁹⁴⁰. „კანონიერი ქურდის“ სტატუსის გაჩერება შეუძლია მხოლოდ „კანონიერ ქურდებს“ „სხოდკაზე“ და აუცილებელია ამის დეტალურად დასაბუთება.

სხვა დანარჩენი დამნაშავეების მიმართ არსებობს სხვადასხვა სახის სანქციები, რომლებიც გამოიყენებოდა სანყის ეტაპზე: 1. ცემა; 2. მამათმავლობის ძალადობრივი აქტი - ყველაზე და-

939 გ.ლობჟანიძე, გ.ლოლოტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 119.

940 <http://www.youtube.com/watch?v=PxxJhhjzxB0>. <http://www.youtube.com/watch?v=WdOq7XJWlOQ>. <http://www.youtube.com/watch?v=TpXxBRT3FMQ>.

მამცირებელ ჯგუფში გადაყვანა (ე.წ. „ქათმებში“); 3. დაკავებულ სტატუსის ჩამორთმევა, (ყურებში ჩარტყმა) - უფრო დაბალ კატეგორიაში გადაყვანა; 4. პარაფინი, მამათმავლობის სიმბოლური აქტი; 5. ხელების (ფეხების) დამტვრევა; 6. ე.წ. „ფუფლი-ჟნიკად“ გამოცხადება - გამოიყენება იმ პირთა მიმართ, ვინც ნააგო აზარტული თამაშის დროს და ვერ გადაიხადა დროულად; 7. სიკვდილი - საკმაოდ იშვიათად გამოიყენებოდა და ისიც საკმაოდ უხეში დარღვევისთვის და ამისთვის მხოლოდ „კანონიერი ქურდის“ თანხმობა იყო საჭირო.

უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ზოგიერთი სანქციები აღარ არის მიჩნეული ბოლომდე მისაღებად. ეს ეხება მამათმავლობის ძალადობრივ და სიმბოლურ აქტებს. თუმცა არც თუ იშვიათად მსგავსი ფაქტები ისევ ფიქსირდება პრაქტიკაში. მაგალითად:

„2011 წელს ერთ-ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმარ X-ს, ვისი „გაფუჭებაც“ უნდოდათ, ძილის დროს პატიმარმა Y-მა ტუჩებზე დაადო „სასქესო ორგანო“. ამ ფაქტის საფუძველზე პატიმარ X-ს შეეცვალა სტატუსი და დაქვეითდა „ქათმების“ კატეგორიაში. პატიმარ Y-ს შემდგომში სხვა უფრო ავტორიტეტულმა პატიმრებმა პასუხი მოთხოვეს და ისინიც „ქათმების“ კატეგორიაში დააქვეითეს. თუმცა ამან ვერ შეცვალა პატიმარ X-ს სტატუსი“.

დღესდღეობით პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად გამოიყენება სანქციის სახე, ე.წ. „დაყენება“. ეს შეიძლება გარკვეულწილად იყოს „ყურებში ჩარტყმის“ ანალოგი. ამ სანქციის გამოყენება ხდება სხვადასხვა სახის არასწორი საქციელის გამო. დამსჯელი შეიძლება იყოს მხოლოდ კრიმინალური ავტორიტეტი ე.წ. „მაყურებელი“ ან „მაყურებლები“. ამ დროს დამნაშავეს არ აქვს წინააღმდეგობის განწევის უფლება. „დაყენების“ დროს „მაყურებელი“ მხოლოდ რამდენიმეჯერ ურტყავს ხელს დამნაშავეს. ამ დროს არ ხდება ცემა კლასიკური გაგებით. არ შეიძლება „მაყურებელმა“ გამოიყენოს ამ დროს დარტყმისთვის რაიმე ნივთი, უფრო მეტიც დარტყმის დროს ხშირ შემთხვევაში ბეჭედსაც კი იხნიან, რომ მხოლოდ სუფთა ხელი მოხვდეს. „დაყენების“ დროს ხშირ შემთხვევაში ხდება მხოლოდ დამნაშავეს დასჯა და მის

სტატუსში რაიმე ცვლილებები არ ხდება. თუმცა შესაძლებელია სტატუსშიც განხორციელდეს ცვლილება.

სუფთა ხელით დარტყმა უნდა მოხდეს აუცილებლად „კაი ბიჭის“ მიერ, ხოლო თუ ისჯება იერარქიის ქვედა საფეხურზე მყოფი პირი, მაგალითად ე.წ. „ქათამი“ (ქვემოთ განვიხილავთ), როგორც წესი, მას პირიქით, სუფთა ხელით არ ეხებიან და ფეხით ან რაიმე ნივთის გამოყენებით სჯიან. მაგალითად - „ერთ-ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში მაყურებელი დასჯის მიზნით ქათამებს ცემდა ხის ძირიანი ჩუსტებით და ე.წ. „დრინით“⁹⁴¹.

დღესდღეობით საკმაოდ ხშირად გამოიყენება ასევე ცემა და ე.წ. „დალენვა“, იგივე ხელების (ფეხების) დამტვრევა სხვადასხვა დარღვევებისთვის. ამ სასჯელის აღსრულებაში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს „მაყურებლის“ გარდა სხვა კატეგორიის პატიმრებმაც. უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილებას სანქციების გამოყენების თაობაზე, დღესდღეობით უმეტეს შემთხვევებში იღებენ კრიმინალური ავტორიტეტები - „მაყურებლები“. ამის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ „კანონიერი ქურდები“ აღარ არიან დაწესებულებებში და ამ კუთხით ეს ფუნქცია „მაყურებლებმა“ შეითავსეს.

10.5 „კანონიერ ქურდად“ კურთხევა - „ნათლობა“

„კანონიერ ქურდად“ ჩამოყალიბებისთვის დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ქურდული სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რიტუალი, „კანონიერ ქურდად“ კურთხევა⁹⁴². ძნელია იმის თქმა, თუ როდის ჩამოყალიბდა ზუსტად ეს ტრადიცია, თუმცა ზოგიერთი ავტორიტეტული „კანონიერი ქურდი“ საქართველოში, მაგალითად ჯაბა იოსელიანი საერთოდ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ სანყის ეტაპზე რაიმე სახის რიტუალები სრულდებოდა⁹⁴³. თუმცა ამის საპირისპიროდ მეტყველებს უამრავი ფაქტი,

941 დრინი - სხვადასხვა ნივთისგან დამზადებული ხელკეტი.

942 გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 122-127.

943 ჟურნალ „რეიტინგის“ სტატია, თბილისი, 10.03. 2003წ. <http://www.reitingi.ge/aqtualuri-sakhe/1511-ratom-gakhda-jaba-ioseliani-qurdi-disertacia-thurme-chemma-dam-damitsera.html?lang=ka-GE>.

რომლებიც სხვადასხვა წყაროებშია მითითებული.

„კანონიერ ქურდად“ კურთხევის რიტუალში, ქურდად გახდომამდე, კანდიდატს უწოდებენ ე.წ. „პალაჟენცს“, „მაყურებელს“, „მომავალს“. „მაყურებელი“, „პალაჟენცი“, როგორც წესი, ქურდად გახდომამდე განსაზღვრულ ტერიტორიას (დანესებულებას) აკონტროლებს „კანონიერი ქურდის“ მფარველობის ქვეშ. მათ ზოგ შემთხვევაში „თავადებს“, „თამადას“ უწოდებენ ქართულ სინამდვილეში. რაც შეეხება ტერმინს „მომავალი“, ამის ტერმინის ქვეშ ზოგადად მომავალი „კანონიერ ქურდი“ იგულისხმება. არის ასევე შემთხვევები, როდესაც „კანონიერ ქურდებს“ მოიხსენიებენ, როგორ „მამაო“, რაც საქართველოში არსებული ქრისტიანული, განსაკუთრებით მარლთმადიდებლური კულტურის არსებობის გამო უნდა იყოს გამონწვეული.

„კანონიერ ქურდად“ კურთხევისთვის, როგორც წესი, საჭიროა პირს გავლილი ჰქონდეს 3 წლიანი გამოსაცდელი ვადა და საჭიროა 2 ან 3 კანონიერი ქურდის რეკომენდაცია. რეკომენდატორი გარკვეულწილად პასუხს აგებს თავის კანდიდატზე. „კანონიერ ქურდად“ კურთხევა ხდება ქურდების საერთო შეკრებებზე, ე.წ. „სხოდკებზე“.

რეკომენდაციის განწევს წესი გამოიყენება დღესდღეობით უკვე „მაყურებლების“ მიმართაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმების შედეგად „კანონიერი ქურდები“ ფაქტობრივად აღარ არიან დანესებულებებში და მათ ფუნქციას ითავსებენ „მაყურებლები“. იმ შემთხვევაში თუ „მაყურებელი“ თავისუფლდება თავისუფლების აღკვეთის დანესებულებიდან ან გადადის სხვა დანესებულებაში, იგი ვალდებულია დატოვოს მემკვიდრე, ვინც იგივე ფუნქციას შეასრულებს. მანამდე ეს კანდიდატი „მაყურებელმა“ უნდა დაუხასიათოს და შეუთანხმოს „კანონიერ ქურდს“ და აიღოს მასზე პასუხისმგებლობა. „კანონიერი ქურდისთვის“ კანდიდატის შეთანხმებას „მაყურებლები“ დღესდღეობით ძირითადად სატელეფონო საუბრებით ახერხებენ. ამჟამად „კანონიერი ქურდების“ ძირითადი ნაწილი საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება.

არის კატეგორია პატიმრებისა, რომლებიც „კანონიერი ქურ-

დები“ ვერასოდეს ვერ გახდებიან („ქათმები“, „ფუფლიჟნიკები“, „ბეზპრედელშიკები“, „გაქცეულები“, „გადაკეტილები“, ყოფილი ჩინოვნიკები, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები), მაშინ როდესაც არსებობს იერარქიაში ქვედა ფენა (მაგ. „პატიოსნები“) რომლებსაც „კარიერული წინსვლის შესაძლებლობა აქვთ“. ზემოაღნიშნული კატეგორია, ასევე ვერ გახდება „მაყურებელი“.

უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით 90-იანი წლებიდან „კანონიერ ქურდად“ კურთხევის რიტუალმა დისკრედიტაცია განიცადა. დაფიქსირდა შემთხვევები, როცა ზოგმა ქართველმა „კანონიერმა ქურდებმა“ ეს ტიტული მოსყიდვით მიიღეს. ხშირი არის შემთხვევები, როცა „კანონიერ ქურდად“ აკურთხეს ისეთი ადამიანები, რომლებაც ციხე საერთოდ არ უნახავთ⁹⁴⁴ (მანამდე პატიმრობა ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო „კანონიერ ქურდად“ გახდომისთვის). საინტერესოა ასევე ქართველი „კანონიერი ქურდების“ თავისებურება ქურდული დინასტიების, ქურდული ოჯახების შექმნის კუთხით. მაგ. *გარდაცვლილ კანონიერ ქურდ ჯემალ (არსენა) მიქელაძის ორივე ვაჟი - მამუკა და ჯემალი ქურდები გახდნენ*⁹⁴⁵; „*კანონიერი ქურდები*“ არიან *ძმები კახა და ლაშა შუშანაშვილები და ა.შ.*

გარდა ამისა, ძირითადად ადრე მიჩნეული იყო, რომ „კურთხევის“ რიტუალი არ შეიძლებოდა შესრულდეს მიმონერით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით. თუმცა დღესდღეობით ფიქსირდება სხვადასხვა ფაქტები, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, „კანონიერი ქურდის“ skype-ით „მონათვლის“ შესახებ⁹⁴⁶, რაც არ უნდა ძალიან გასაკვირი იყოს ამ ფენომენის ადაპტაციის უნარიდან გამომდინარე.

944 გ.ნაჭყებია, გ.გორაშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალიძე, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალმეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012წ, გვ. 486.

945 გ.გლობუანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 146.

946 <http://www.internet.ge/?l=GE&m=6&sm=0&ID=12138>.

10.6 იერარქია

კრიმინალურ სუბკულტურაში არსებობს იერარქია, რომელიც ფუნქციურად ანაწილებს როლებს მის წევრებს შორის. რასაკვირველია „კანონიერ ქურდებს“ დანაშაულებრივი იერარქიის ყველაზე მაღალი საფეხური უკავიათ. ეს იერარქია ყველაზე კარგად ჩანს პენიტენციურ სისტემაში, სადაც ფუნქციების გადანაწილება ამ წევრებს შორის სამთავრობო დანესებულებების სტრუქტურას მოგვაგონებს. თუმცა ამ იერარქიამ, კრიმინალური სუბკულტურის ჩამოყალიბების შემდეგ გარკვეული ცვლილებები განიცადა, განსაკუთრებით იმ უკვე 2000-იან წლებში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ გადატარებული პოლიტიკის შედეგად, რის შემდეგაც „კანონიერი ქურდები“ პენიტენციურ დანესებულებებში (გარდა იშვიათი გამონაკლისისა) აღარ იმყოფებიან. თუმცა საინტერესო იქნება განვიხილოთ, სანცის ეტაპზე რა სახის იყო ეს იერარქია, რა შეიცვალა, რამ განიცადა ტრანსფორმაცია და დღეს რა ფორმით არის ფაქტობრივად ჩამოყალიბებული. ციხის იერარქია შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვყალიბოთ⁹⁴⁷:

„კანონიერი ქურდები“

როგორც უკვე აღვნიშნეთ ქურდები წარმოადგენენ იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მყოფ პირებს. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით პენიტენციური სისტემის დანესებულებებში აღარ იმყოფებიან ქურდები, ისინი მაინც ახერხებენ მითითებების მიცემას იერარქიის ქვედა რგოლში მყოფი პირებისთვის სხვადასხვა კომუნიკაციის საშუალებებით და ძირითადად საქართველოს ფარგლებს გარედან.

„ბლატნოები“⁹⁴⁸, „კაი ბიჭები“

მათ ადრე ასევე ეძახდნენ „ფახანები“, „ბუგრები“, „შერსტი“. დღესდღეობით საქართველოში ეს ტერმინები ნაკლებად გამოი-

947 გ.ლობჟანიძე, გ.ლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 148-153.

948 მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 97

ყენება. ეს არის დანაშაულებრივი სამყაროს ერთგვარი „მინი ელიტა“ დანესებულებებში. დღესდღეობით ამ კატეგორიას საქართველოში ძირითადად ეძახიან „ბლატნოეს“ და „კაი ბიჭებს“. აღსანიშნავია, რომ „კაი ბიჭის“ ინსტიტუტი შეიძლება ვთქვათ ისეთივე დოზით არის გავრცელებული ციხის გარეთაც, თუმცა ციხეში მათ იერარქიულად სულ სხვა ფუნქცია გააჩნიათ. ეს არის ის კატეგორია, რომელთა უმრავლესობას აქვთ იმის პრეტენზია, რომ გახდნენ „კანონიერი ქურდები“. იმ პირებს, რომლებიც ამკარად აფიქსირებენ „კანონიერი ქურდობის“ სურვილს, როგორც უკვე აღვნიშნეთ „მომავალსაც“ უწოდებენ. „ბლატნოე“ „კანონიერ ქურდად“ კურთხევის შემდეგაც „ბლატნოედ“ რჩება⁹⁴⁹.

„პალაჟენეცები“, „მაყურებლები“

ეს არის „ბლატნოების“, „კაი ბიჭების“ კატეგორია, რომლებსაც დანესებულებებში მთლიანი ან გარკვეული ნაწილების ზედამხედველები არიან. დღესდღეობით ტერმინი „პალაჟენეციც“ გამოიყენება, თუმცა ამ კატეგორიის მიმართ ძირითადად ტერმინი „მაყურებელი“ გამოიყენება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ „მაყურებლების“ როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა „კანონიერი ქურდების“ იზოლირების შემდეგ. თითქმის ყველა დანესებულებაში არის „მაყურებელი“, რომლებიც ერთგვარად „კანონიერი ქურდების“ ფუნქციას ასრულებენ. ისინი მუდმივად ცდილობენ შეინარჩუნონ კავშირი გარეთ „კანონიერ ქურდებთან“ და სხვადასხვა საკითხებზე პერიოდულად გაიარონ კონსულტაციები და მიიღონ მითითებები.

„მაყურებლებს“, როგორც წესი, ჰყავთ ერთი ან ორი თანაშემწე. ასევე ისინი ცდილობენ დანესებულებებში ყველა სექტორში დაამყარონ კონტროლი. ისინი ე.წ. „კაი ბიჭებს“ იყენებენ მხოლოდ ამ ფუნქციების შესასრულებლად, მათაც ხშირ შემთხვევაში „მაყურებლებს“ ეძახიან, რომლებიც რაღაც სექტორს აკონტროლებენ. ასეთი სახის „მაყურებლები“ განაწილებულნი არიან საცხოვრებელი კორპუსების მიხედვით, საკნებში, სასადილოში, სამედიცინო პუნქტში, სანარმოო ზონაში და საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში (ამის არსებობის შემთხ-

949 იქვე, გვ. 97

ვევაში). უფრო მეტიც არის პატიმართა კატეგორია, რომლებიც აკონტროლებს დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა გადაადგილებას, მორიგეობენ ლამე. მათ დეტალურად აქვთ შესწავლილი თანამშრომელთა მორიგეობის ყველა ცვლა, იციან რომელი თანამშრომლები არიან უფრო ყურადღებიანი, რომლები ნაკლებად. ისინი ასევე ცდილობენ თანამშრომლების ბიოგრაფიის შესწავლას და მათთან კონტაქტზე გასვლას სხვადასხვა გზებით, მათგან რაღაც სარგებლის მიღების მიზნით. მაგალითად:

„პატიმართა გაკვეთილი კატეგორია ცდილობს დაწესებულების თანამშრომელთა ე.წ. „დამუშავებას“. პირველ ეტაპზე განსაკუთრებით ახალ თანამშრომლებთან ცდილობენ მეგობრული ურთიერთობის აწყობას. ეკითხებიან - რა უბნელი ხარ? სად ცხოვრობ? ამ ადამიანს იცნობ? დ ა.შ. ამით ცდილობენ საერთო ნაცნობის და საერთო შეხების ნერტილის პოვნას, რომლის მეშვეობით შეეცდებიან შემდომში ამ ადამიანზე გავლენის მოხდენას. გავლენის მოხდენის მიზანია აკრძალული ნივთის შემოტანა, ინფორმაციის გადაცემა/მიღება სხვა პირებზე და ა.შ.“

„მაყურებლები“ მუდმივად აკონტროლებენ, იმყოფება თუ არა დაწესებულების ხელმძღვანელობა დაწესებულებაში. მაგალითად:

„რომელიმე ნახევრად ღია (ზონის) ტიპის დაწესებულებაში შიდა პერიმეტრზე ადმინისტრაციის წარმომადგენლის შესვლისას, პატიმართა გარკვეული რაოდენობა იწყებს სტვენას, რომელიც ყველა სექტორზე ვრცელდება. ამის მიზანია გააგებინონ პატიმართა უმავლესობას, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები შემოვიდნენ ტერიტორიაზე და ყურადღებით უნდა იყვნენ“.

„მაყურებლებს განსაზღვრული ჰყავთ პატიმართა კატეგორია, ვინც თვალყური უნდა ადევნოს დაწესებულების ხელმძღვანელობის გადაადგილება. ისინი განაწილებილი არიან პოსტებზე. მაგალითად: საცხოვრებელი ტერიტორიის შემოსასვლელში, სადაც კარგად ჩანს დაწესებულებაში შემომსვლელ პირთა ვინაობა; რომელიმე საკანში, საიდანაც კარგად ჩანს დაწესებულების ტერიტორია და ა.შ.“

ფუნქციების ასეთი სახის განაწილების მიზანია დაწესებულების ყველა სექტორში შეინარჩუნონ გავლენა და დაამყარონ თავისებური წესრიგი. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დროს ადმინისტრაციის პოზიციას. თუ დაწესებულების ადმინისტრაცია ამ პროცესს ხელს არ უწყობს და ცდილობს ხელი შეუშალოს, „მაყურებლები“ ვერ ახერხებენ ყველა სექტორზე გავლენის შენარჩუნებას. თუმცა ადმინისტრაციის ძალისხმევის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში, რთულია დაწესებულების ზოგიერთ სექტორზე ფუნქციების ასეთი განაწილების აღკვეთა. მაგალითად:

„საკნის და კორპუსის მაყურებელი ადმინისტრაციის ხელშეწყობის გარეშეც იარსებებს, რთულია ამის კონტროლი“.

„მაყურებლის“ ფუნქციას წარმოადგენს დაწესებულებაში ახალი პატიმრის მიღებისას მისი იდენტიფიცირება, თუ რა კატეგორიას წარმოადგენს და შემდგომში მისი განაწილება ფუნქციურად და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მაგალითად:

„დაწესებულებაში პატიმრის მიღებისას მაყურებელი თანაშემწეებთან ერთად მას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ესაუბრება. საუბარი მიმდინარეობს ერთგვარად ჯვარედინი დაკითხვის რეჟიმში, ცდილობენ ამ ადამიანის გატეხვას და მისგან ინფორმაციის მიღებას, წარსული პერიოდის განმავლობაში რაიმე სახის არაქურდული საქციელი ხომ არ ჩაუდენია“.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ „მაყურებლების“ არსებობა და მათ მიერ დაწესებულების სხვადასხვა სექტორში კონტროლის დაწესება ძირითადად ადმინისტრაციის პირდაპირი ან ირიბი თანხმობით ხორციელდება. მაგალითად:

„დაწესებულების ადმინისტრაცია ფაქტობრივად ემორჩილება ციხეში არსებულ იერარქიას და ამ იერარქიის მიხედვით ახორციელებს პატიმართა გადაწინაწილებას საცხოვრებელი სადგომების მიხედვით. პატიმრის სტატუსს იერარქიაში, როგორც აღვნიშნეთ, განსაზღვრავს მაყურებელი. დაწესებულების ადმინისტრაცია თვითონვე ცდილობს პატიმრების კატეგორიების მიხედვით იდენტიფიცირებას მათივე უსაფრთხოების მიზნით, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას სტატუსის განსაზღვრის თაობაზე მაყურებლები იღებენ“.

ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, რაც მთავარ „მაყურებელს“ აკისრია არის მედიატორის როლი პატიმრებსა და ადმინისტრაციას შორის. პატიმართა ძირითადი ნაწილის თხოვნა და მოთხოვნები ადმინისტრაციას „მაყურებლების“ მეშვეობით მიენოდეება. თხოვნების საპასუხოდ „მაყურებელი“ ადმინისტრაციას პირდება კონტროლს და წესრიგს დაწესებულებაში, რისი შესაძლებლობაც როგორც აღვნიშნეთ მათ გააჩნიათ. მაგალითად:

„მაყურებლები ადმინისტრაციას პირდებიან, რომ დაწესებულების ადმინისტრაციისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციები, როგორიც არის შემონახვა, ჩხრეკა უპრობლემოდ ჩატარდება, დაარეგულირებენ პატიმრებს შორის არსებულ კონფლიქტებს და ა.შ. ამის საფასურად „მაყურებლები“ ხშირ შემთხვევაში გარკვეულ პრივილეგიებს ითხოვენ. პრივილეგია პირველ რიგში გულისხმობს დაწესებულების ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილებას (ამას ძირითადად იმით ასაბუთებენ, რომ წესრიგის დასამყარებლად ჭირდებათ), აკრძალული პროდუქტის მიღებას, აკრძალული ნივთებით სარგებლობას და ა.შ.“

პატიმართა იერარქია საკმაოდ კარგად აისახება ასევე საკნებში მათ განლაგებაზე. „მაყურებლის“ საწოლი, როგორც წესი, არის ფანჯარასთან ახლოს, მაშინ როცა იერარქიაში ყველაზე დაბალი საფეხურზე მყოფი პირის საწოლი იქნება ტუალეტთან („პარაშასთან“) ახლოს. უფრო მეტიც არსებობს „მაყურებლების“ საკნები, რომლებიც, როგორც წესი, არის გამორჩეული ნივთებით, ავეჯით და მოწყობით (თუ ადმინისტრაცია ამის უფლებას აძლევს). ალბათ ბევრს ახსოვს ორთაჭალაში N5 საპყრობილეში ფაქტობრივად 2005 წლამდე „კანონიერი ქურდების“ ცნობილი საკანი 4.9. (ეს იყო საკნის ნომერი). მის გაუქმებამდე ამ საკანში იყო დაგებული ლამინატი, გაკრული იყო შპალერი, ედგათ მაცივარი და ჰქონდათ სხვადასხვა ნივთები. ეს საკანი შიგნიდან საკნის ასოციაციას ფაქტობრივად არ ტოვებდა.

თუ დავაკვირდებით „მაყურებლის“ ფუნქცია და როლი ემყარება თავის დროზე „ურკებისთვის“, „ბლატნოებისთვის“, (შემდგომში უკვე „კანონიერი ქურდები“) ადმინისტრაციების მიერ ჯერ კიდევ 30-იან წლებში მინიჭებულ ფუნქციებს. მათ ენიჭებოდათ გარკვეული პრივილეგიები (მათ შორის დაწესებულების

ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილება), დაწესებულებაში სხვადასხვა კატეგორიაზე კონტროლი და ზოგადად წესრიგის დაცვა დაწესებულებაში.

„მუჟიკები“⁹⁵⁰, „პატიოსნები“

ეს არის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფენა პატიმრებისა და ალბათ ყველაზე ღირსეულიც, რომელიც დაწესებულებაში იმყოფება. ეს კატეგორია საკმაოდ პატივისცემით სარგებლობს დაწესებულებაში და მათ ერთგვარი ავტორიტეტიც გააჩნიათ. ესენი არ არიან ე.წ. „ელიტა“ („კაი ბიჭები“, „ბლატნოე“) და ამის გამო მათ არ აქვთ უფლება ჩაერიონ ქურდული საკითხების გადაწყვეტაში. უნდა აღინიშნოს, რომ „მუჟიკებს“ თავის დროზე ეძახდნენ მათ, ვინც გამოსწორების გზაზე დგას, კეთილსინდისიერად მუშაობს და არ შედის დაწესებულების პერსონალთან კონფლიქტში. „მუჟიკები“, იგივე „პატიოსნები“, როგორც წესი, არ მონაწილეობენ ქურდული საკითხების გადაწყვეტაში, თუმცა ზოგ შემთხვევებში მათ შეიძლება მოუწიოთ „მაყურებლის“ მითითების შესრულებაც. დღესდღეობით ამ კატეგორიას ძირითადად „პატიოსნებად“ მოიხსენიებენ.

„ხარები“, „პეხოტა“

ეს არის კატეგორია, რომლებიც შეიძლება ითქვას სანქციების პირდაპირი შემსრულებლები არიან. მათ ასევე ჯარისკაცებსაც უწოდებენ. ამ კატეგორიაში შეიძლება „კაი ბიჭებიც“ იყვნენ და ასევე ქვედა ფენის წარმომადგენლებიც. ქვედა ფენას („კოზლები“, „ბოზები“, „ნაბოზერები“, „ქათმები“) ხშირ შემთხვევაში შავი სამუშაოს შესასრულებლად იყენებენ. მაგალითად:

„პეხოტას შეიძლება მიეცეთ მითითება ადმინისტრაციის წარმომადგენელს ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხობა მიაყენონ, დააზიანონ რალაც ნივთები, დაამზადონ აკრძალული ნივთები და ა.შ.“

„პატიოსნების“ გამოყენება ასეთი სახის სამუშაოს შესასრულებლად, როგორც წესი, რთულია. კონკრეტულ პიროვნებებზეა დამოკიდებული. თუმცა ხაზი უნდა გაეუსვას, რომ „ქურდული

950 მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 97.

სანქციები“ მხოლოდ „კაი ბიჭმა“, „ბლატნოემ“ შეიძლება აღასრულოს. ტერმინი „ხარები“ ქართულ სინამდვილეში ფაქტობრივად აღარ გამოიყენება.

„კოზლები“⁹⁵¹, „აპუშენი“⁹⁵², „ბოზები“, „ნაბოზვრები“, „გაქცეულები“, „გადაკეტილები“

ეს ტერმინები უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთის სინონიმებია. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ფენა პატიმრებისა. ეს არის კატეგორია, ვინც მხილებულია სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობაში, ვინც ვერ გადაიხადა ნაგებული თანხა (ე.წ. „თავანი“), ყოფილი „კაი ბიჭები“ და „პატიოსნები“, რომლებმაც დაარღვიეს „ქურდული კანონები“ და იერარქიის ქვედა საფეხურზე გადაინაცვლეს. ამ კატეგორიის ადამიანები ხშირ შემთხვევაში არიან იზოლირებული მათივე უსაფრთხოების მიზნით. მათ ე.წ. ქურდულ საკითხებში ჩარევის უფლება არ აქვთ, უფრო მეტიც, ისინი ვალდებული არიან შეასრულონ „მაყურებლის“ მითითება (თუ იზოლირებული არ არიან და მაყურებლებს ხელი არ მიუწვდებათ), წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მკაცრად დაისაჯონ. მაგალითად:

„2012 წელს ერთ-ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრებმა გადაწყვიტეს გამოეხატათ პროტესტი დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართ. მიზეზი იყო, რომ ადმინისტრაცია არ ასრულებდა მათ გარკვეულ მოთხოვნებს. პროტესტის გამოხატვის მიზნით, მათ გამოიყენეს პატიმართა ზემოაღნიშნული კატეგორია. ამ პატიმრებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს დაწესებულების თანამშრომლებს, არღვედნენ სხვადასხვა ფორმით დაწესებულების რეჟიმს და არ ასრულებდნენ თანამშრომელთა კანონიერ მითითებებს. ამის პარალელურად „მაყურებლები“ მშვიდად ადევნებდნენ თვალყურს მიმდინარე პროცესს და თვითონ ამ პროცესში არანაირ მონაწილეობას არ იღებდნენ“.

951 მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 97-98

952 იქვე, გვ. 98

ამ კატეგორიას იყენებენ ე.წ. „შესტიორკებად“⁹⁵³, „შნირებად“ (ტერმინი, პატიმრების კატეგორიისა, როცა ზედა ფენის ყველა მითითებას ასრულებენ) „მაყურებლები“ და „კაი ბიჭები“.

ამ კატეგორიის პატიმრებს თეორიულად აქვთ შესაძლებლობა დაკარგული სტატუსი აღიდგინონ, გახდნენ ისევ „კაი ბიჭები“, „პატიოსნები“. მაგალითად:

„კაი ბიჭებს, პატიოსნებს უფლება აქვთ რომელიმე ავტორიტეტულ მაყურებელთან ან კანონიერ ქურდთან დააყენონ საკითხი, რომ მათი დაქვეითება არასწორი იყო. მათ ეს უნდა დაასაბუთონ. სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, ის პირები, ვინც მათ სტატუსი არასწორად განუსაზღვრა ისჯებიან ანალოგიური წესით, სტატუსის დაქვეითებით. სტატუსის აღდგენის თეორიული შანსიც კი არ აქვთ ქათმებს“.

ტერმინი „კოზლები“ და „აპუშენი“ დღევანდელ სინამდვილეში ხშირად აღარ გამოიყენება.

მუშა პატიმრები, „აბსლუგა“

ეს არის პატიმართა კატეგორია, რომლებიც მუშაობენ დაწესებულების სამეურნეო მომსახურებაში ადმინისტრაციის სასარგებლოდ. მაგალითად, საჭმლის დარიგება, დაწესებულების დასუფთავება და ა.შ. მათ ამისთვის გარკვეული პრივილეგიები ენიჭებათ. დღესდღეობით ისინი მცირე ხელფასსაც იღებენ ადმინისტრაციის მხრიდან. მუშა პატიმარი, როგორც წესი, არის ნებიერი კატეგორიის პირი, გარდა „მაყურებლების“, „კაი ბიჭებისა“. თუმცა ასევე არის სამუშაოს ფორმა, მაგალითად ტუალეტის დალაგება, რომელსაც, როგორც წესი, მხოლოდ იერარქიაში ქვედა საფეხზე მყოფი პატიმრები ასრულებენ, ე.წ. „ქათმები“.

„პიდარასტები“, „ქათმები“

ეს არის ციხის იერარქიაში ყველაზე დაბალი და უუფლებო ფენა. დღესდღეობით ამ კატეგორიას ძირითადად მოიხსენიებენ „ქათმებად“. ამ კატეგორიაში შეიძლება მოხვდეს:

953 იქვე, გვ. 97

- თუ პირი პირადად არის ჰომოსექსუალი;
- თუ პირის მიმართ განხორციელდა სექსუალური ძალადობის იძულებითი ან სიმბოლური აქტი. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება პატიმართა ე.წ. „გასაფუჭებლად“. მიუხედავად იმისა, რომ ეს პირის ნების საწინააღმდეგოდ ხდება და შეიძლება მოძალადეც დაისაჯოს, თუნდაც იმავე კატეგორიში გადაყვანით, ასეთი აქტის შემდეგ პირი ასეთი სტატუსის მატარებელი ხდება ავტომატურად;
- გაუპატიურებისთვის მსჯავრდებული პატიმრები. საინტერესოა რომ ამ მიმართულებით შიდა წესები ხშირად იცვლება. დღესდღეობით ფაქტობრივად სრულწლოვანი ქალის გაუპატიურება აღარ იწვევს ამ კატეგორიაში გადაყვანას. თუმცა არასრულწლოვანი გოგოს ან ბიჭის გაუპატიურება ისჯება ე.წ. „ქათმების“ კატეგორიაში გადაყვანით.

ხშირი არის შემთხვევები, როცა „ქათმების“ კატეგორიაში ხვდებიან სრულიად გაუგებარი და უაზრო მიზეზებით. მაგალითად:

„შხაპის მიღების დროს ხელი მოუხვდა შემთხვევით სასქესო ორგანოზე“, „ან შეხვდა სასქესო ორგანოს“ და ა.შ.

პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როცა „მაყურებლები“ ცდილობდნენ დაკავშირებოდნენ კრიმინალურ ავტორიტეტებს, „კანონიერ ქურდებს“ და მიეღოთ უფრო კომპეტენტური პასუხი ისეთ საკითხზე, რომელიც სასაცილო და აბსურდულად მოგვიწვევებოდა, თუმცა საინტერესო დასკვნის საშუალებას მოგვცემთ:

ერთ-ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში იყო პატარა აუზი რომელიც ორი ნაწილისგან შედგებოდა (პატარა შადრევანთან ერთად არსებობდა და არ იყო თავდაპირველად საბანაოდ განსაზღვრული). ერთ ნაწილში ბანაობდნენ „კაი ბიჭები“ და „პატიოსნები“, ზოგადად ზედა ფენა, ხოლო მეორე ნაწილში ე.წ. „ქათმები“. ამ ბანაობის დროს ხანდახან აუზის ერთი ნაწილიდან მეორეში წვეთები ისხმებოდა. საკითხი, რომლის გარკვევასაც „მაყურებლები“ ცდილობდნენ (თვითონ არ ჰქონდათ ამ კითხვაზე პასუხი) იყო ის, რომ - იმ შემთხვევაში, თუ აუზის იმ

ნანილიდან, სადაც „ქათმები“ ბანაობენ გადმოისხმება წვეთები აუზის მეორე ნანილში, ეს ხომ არ შეიძლება გახდეს „კაი ბიჭების“ ე.წ. „გაქათმების“ მიზეზი“.

„ქათმებს“, როგორც წესი იყენებენ ე.წ. „შნირებად“, ალაგებინებენ საკნებს, არეცხინებენ ჭურჭელს. ისინი აუცილებლად ცალკე საკანში ცხოვრობენ, რომელსაც „საქათმეს“ უწოდებენ. სხვა კატეგორიის პატიმრებს, როგორც წესი, ამ საკანში შესვლა ეკრძალებათ. თუმცა ზოგიერთ დაწესებულებაში ფიქსირდება ფაქტები, რომ ამ საკანში მცირე ხნით შესვლა აღარ წარმოადგენს „ქურდული კანონის“ დარღვევას, მაშინ როცა ადრე ასეთ საკანში ფეხის დადგმაც კი ავტომატურ „გაქათმებას“ იწვევდა. მაგალითად:

„არასრულწლოვანთა დაწესებულებაში ქათმების საკანში ჩვეულებრივ შედიან სხვა კატეგორიის პატიმრები. ერთადერთი პირობა ამ საკანში შესვლის არის, ის რომ დიდხანს ამ საკანში არ უნდა გაჩერდნენ და საკნის კარები არ უნდა ჩაკეტონ“.

სხვა კატეგორიის პატიმრებს ეკრძალებათ „ქათმებთან“ ახლო კონტაქტი - ხელის ჩამოართვა, მათთან ერთად ჭამა და თამაში. მაგალითად:

„პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ სასადილოებში სადილის დროს, უმეტეს შემთხვევაში „ქათმები“ არ იმყოფებიან. ისინი, როგორც წესი, სადილობენ ამავე სასადილოში სხვა პერიოდში ან უშუალოდ საკნებში. არის დაწესებულებები, სადაც ქათმების ადგილი ცალკე არის გამოყოფილი სასადილოში, კუთხეში და იქ სადილობენ. თუმცა ეს არის იშვიათი გამონაკლისი“.

სამწუხაროდ დაწესებულებების პერსონალი ხშირ შემთხვევაში თვითონ უწყობს ხელს ე.წ. „ქათმების“ დისკრიმინაციას. მაგალითად:

„უმეტეს შემთხვევაში, სხვა პატიმრების მსგავსად, დაწესებულების პერსონალი თვითონაც არ ართმევს ხელს ე.წ. „ქათმებს“ და მათთან ახლო კონტაქტს ერიდება“.

„ქათმებს“ „მაყურებლები“ ასევე ხშირად იყენებენ აკრძალული ნივთების დასამზადებლად. მაგალითად:

„2012 წელს ერთ-ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდა პატიმრების ამბოხი, ე.წ. „ბუნტი“. „ბუნტის“ აღკვეთის შემდეგ

დანესებულების ადმინისტრაციამ ჩხრეკის შედეგად ამოიღო დიდი ოდენობით კუსტარულად დამზადებული ბასრი და მჭხ-ვლეთავი ნივთები, ე.წ. „შტირები“, რომლებიც როგორც შემდგომ აღმოჩნდა დამზადებული იყო ძირითადად „ქათმების“ მიერ, „მაყურებლის“ მითითებით.

წარსულში ასევე არსებობდა პატიმართა კატეგორია, რომლებსაც „მესამრიდები“ ეწოდებოდათ. ისინი „კანონიერ ქურდებს“, ავტორიტეტებს იურიდიული კუთხით იცავდნენ, დანაშაულის თავის თავზე ალებით. ასეთი ტერმინი ჩვენ ფაქტობრივად აღარ გვხვდება, თუმცა ფიქსირდება სხვადასხვა კატეგორიის პატიმრების მიერ დანაშაულის თავის თავზე ალების ფაქტები.

არსებობს ასევე უქონელი პატიმრების მიმართ ზრუნვის შემთხვევები, მათ აძლევენ ტანსაცმელს, ჰიგიენურ საშუალებებს და ა.შ. ასეთი კატეგორიის პატიმრებს „ბედალაგებს“ ეძახიან. თუმცა ასეთი შემთხვევები არ არის ხშირი.

საერთო ჯამში პენიტენციურ სისტემაში დღესდღეობით იერარქია და ამ იერარქიაში არსებული ტერმინები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ: 1. კანონიერი ქურდები; 2. მაყურებლები; 3. კაი ბიჭები; 4. პატიოსნები; 5. მუშა პატიმრები; 6. ბოზები, ნაბოზერები; 7. ქათმები.

10.7 საერთო კრება - „სხოდკა“

ქურდულ სამყაროში ერთგვარ მაორგანიზებელ და ხელმძღვანელ რგოლად ითვლება ქურდების შეკრება („სხოდკა“)⁹⁵⁴. უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილებების მიღება ერთგვარად დემოკრატიულ პრინციპებზე არის აგებული და ხორციელდება საერთო მსჯელობის და დისკუსიის შედეგად. ამ შეკრების მოწვევა შესაძლებელია, ნებისმიერი „კანონიერი ქურდის“ მოთხოვნით გაიმართოს. „სხოდკაზე“, როგორც წესი, განიხილება სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები - ე.წ. „ქურდული პოლიტიკის“ შემუშავება, „ქურდულ კანონებში“ ცვლილებები, „კანო-

954 გ.ლობჯანიძე, გ.ლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 130-136.

ნიერ ქურდად“ ვინმეს კურთხევა, გავლენის სფეროების გადანაწილება, სადამსჯელო აქციების შესახებ გადანყვეტილების მიღება, ვალების გადაუხდელობის გამო (საწარმოებიდან, ბიზნეს სექტორიდან) და ა.შ. ეს არის ქურდულ სამყაროში ერთგვარად უმაღლესი ორგანო.

„საერთო კრების“ ჩატარების დრო და რეგულარობა არის ყოველთვის მკაცრად კონფიდენციალური, თუმცა არსებობს უამრავი შემთხვევა, როდესაც ასეთი შეკრებები მონაწილეთა დაპატიმრებებით მთავრდება. მაგალითად:

„1995 წელს სოჭში შსს-ს თანამშრომლებმა ჩაშალეს საერთაშორისო შეკრება, რომელიც ქალაქის სასაფლაოზე ტარდებოდა. ოპერაციის შედეგად დააკავეს დაახლოებით 500 ავტორიტეტი და „ბოვეიკი“, აქედან დაახლოებით 60 „კანონიერი ქურდი“ იყო. ამ შეკრებაში მონაწილეობდნენ ქურდები აშშ-დან, საბერძნეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. დაკავებულთა შორის აღმოჩნდა ასევე, კრასნოდარის მხარის პროკურორის თანაშემწე, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ზედამხედველობის დარგში“.

„80-90-იან წლებში, როცა ქურდულ სამყაროს მოქმედებისთვის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი იყო, არსებული მონაცემებით⁵⁵, სხვადასხვა პერიოდში ჩატარდა დიდი რაოდენობის შეხვედრები, კერძოდ, 1989-92 წლებში - 26 შეკრება, 1993 წელს - დაახლოებით - 100, 1994 წელს - არანაკლებ 413“.

პენიტენციურ სისტემაში „სხოდკის“ ჩატარება უფრო ბევრ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამას ძირითადად განაპირობებს კონკრეტული დაწესებულებაში არსებული რეჟიმი და ზედამხედველობის სისტემა. საქართველოში 2003 წლის შემდეგ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, პენიტენციურ სისტემაში „კანონიერი ქურდების“ მიერ „სხოდკის“ ჩატარების ფაქტები ფაქტობრივად აღარ დაფიქსირებულა. თუმცა გამონაკლის წარმოადგენს ის დაწესებულება, სადაც დღესდღეობით „კანონიერი ქურდები“ არიან კომპაქტურად განთავსებულნი (თბილისის N7 დაწესებულება). შესაძლებელია მსგავსი ტიპის შეკრებები ტარ-

955 იქვე, გვ. 131.

დებოდეს, თუმცა აქ მიღებულ გადაწყვეტილებებს ვერ ექნებათ ისეთი ძალა, როგორც საერთაშორისო შეკრებების დროს მიღებულ გადაწყვეტილებებს. ასეთი სახის შეკრებებზე ძირითადად პენიტენციურ სისტემის შიგნით მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიიღება გადაწყვეტილება.

როგორც წესი, ყველა „სხოდკის“ მერე იწერება მიმართავა („ქსივა“, „მალიავა“⁹⁵⁶), რომელშიც იწერება მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსი და რეკომენდაციები პატიმრების სხვადასხვა კატეგორიის მიმართ. „ქსივის“ გავრცელებას დაწესებულებებში სხვადასხვა მეთოდებით ცდილობენ. შესაძლებელია ასევე „ქსივის“, „მალიავას“ მეშვეობით ან ზეპირი მითითებით ე.წ. „პრაგონის“⁹⁵⁷ გაშვება. მაგალითად:

„2013 წელს პენიტენციური სისტემის მაცურებლების მიერ, „კანონიერ ქურდებთან“ შეთანხმების საფუძველზე, დაწესებულებებში გაშვებულ იქნა პრაგონი. ამ პრაგონის მიხედვით ნებისმიერი „კაი ბიჭი“, „ბლატნოე“ ვალდებული იყო მოეკლა ვინმე პატიმარი X. ამ პრაგონის მიზეზი, მათი განმარტებით იყო პატიმარ X-ს მიერ წლების განმალობაში არაქურდული საქციელი და „კაი ბიჭების“ და „ბლატნოების“ უპატივცემულობა“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღესდღეობით „კანონიერი ქურდები“ ძირითადად ალარ არიან პენიტენციურ დაწესებულებებში და მათ ფუნქციებს, გარკვეულწილად ადგილებზე „მაცურებლები“ ითავსებენ. ამიტომ დღესდღეობით ჩვენ გვხვდება შემთხვევები, როცა პატარა „სხოდკები“ ტარდება დაწესებულებებში „მაცურებლის“ ორგანიზებით. ამ „სხოდკებზე“ მიიღება გადაწყვეტილებები უშუალოდ დაწესებულებაში გასატარებელი „პოლიტიკის“ შესახებ. კერძოდ - ურთიერთობა ადმინისტრაციის წარმომადგენლთან, მათთან კორუფციულ გარიგებებში შესვლა; ადმინისტრაციაზე ზემოქმედების ღონისძიებები, რომ გარკვეულ დათმობებზე წაიყვანონ; ე.წ. „ობშიაკის“; სხვადასხვა ფორმით ამოღების საკითხები (მოგვიანებით შევეხებით ამ საკი-

956 ქსივა, მალიავა - ქალაქში ან რაიმე ნივთზე დაწერილი ინფორმაცია.

957 პრაგონი - ინფორმაციის გავრცელება პატიმართა ძირითად მასაში, სადაც შესაძლებელია იყოს მითითება გარკვეული სახის მოქმედების მოწოდებისკენ.

თხს); პატიმრების მიმართ სხვადასხვა სანქციების გამოყენების და მათი სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებული საკითხები და ა.შ. შეგვიძლია მოვიყვანოთ ადმინისტრაციაზე ზენოლის მაგალითი უახლესი პერიოდიდან:

„2014 წლის დასაწყისში ცვლილება მოხდა ერთ-ერთი პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციაში. ახალი ადმინისტრაცია შეეცადა გაეუქმებინა პატიმრებისთვის ყველა ის უკანონო შეღავათი, რის უფლებასაც წინა ადმინისტრაცია აძლევდა (აკრძალულ ნივთებზე და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობა, გარკვეული შეღავათები ავტორიტეტების მიმართ და ა.შ.). დაწესებულებაში განთავსებულმა ავტორიტეტებმა გადაწყვიტეს ახალი ადმინისტრაციის ჩამოშორება და გარკვეული გეგმა შეიმუშავეს ადმინისტრაციის მიმართ - დაიგეგმა და განხორციელდა გარკვეული პროვოკაციები, ადმინისტრაციის წარმომადგენლების წინააღმდეგ და შემდგომში მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაში დასდეს ბრალი; 1000-მდე პატიმარმა (უდაოდ მაყურებლების მითითებით და „სხოდკაზე“ მიღებული გადაწყვეტილებით) დაიწყო შიმშილობა ადმინისტრაციის შეცვლის მოთხოვნით, მათი მხრიდან არასათანადო მოპყრობის მიზეზით; პატიმრების ნაწილი დაუკავშირდა საზოგადოებაში სხვადასხვა უფლებადამცველებს და მათ დაწესებულებაში არსებული ვითარების მათ მიერ შეთხზული ვერსია შესთავაზეს“.

მხოლოდ ეს ფაქტი გვაძლევს დასკვნის საფუძველს, რომ დღეს არსებული კრიმინალური სუბკულტურის გამო, პატიმრების გარკვეულ ჯგუფს პენიტენციურ დაწესებულებებში რა დონის ორგანიზებულობის უნარი გააჩნიათ, როგორ ცდილობენ საზოგადოებრივ აზრზე მოახდინონ გავლენა და რა მეთოდების გამოყენება შეუძლიათ. ადმინისტრაციაზე ზენოლის მეთოდებს შორის ასევე გვხვდება ჯგუფური „თვითდაზიანებები“ პატიმრების მხრიდან.

პატიმართა უმრავლესობა ვალდებულია „მაყურებლების“ მიერ მიღებული გადაწყვეტილები აღასრულოს. მათ უმეტეს შემთხვევაში არ აქვთ არჩევანი და იძულებულნი არიან, მსგავსი ნაბიჯები გადადგან. ამის მიზეზი არის ის, რომ ადმინისტრაცია

ვერ უზრუნველყოფს პატიმრების უმეტესობის უსაფრთხოების დაცვას, თუ ისინი კრიმინალური ავტორიტეტების ნების სანინაალმდეგოდ წავლენ. პატიმრებს სამწუხაროდ არ აქვთ დაცულობის განცდა.

როგორც წესი, პენიტენციურ დაწესებულებებში, „სხოდკებს“ ესწრებიან მხოლოდ „კაი ბიჭები“, „ბლატნოები“, ხოლო ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ მთავარი და სხვადასხვა სექტორებში განაწილებული „მაყურებლები“. ამ „სხოდკებზე“ ვერ მიიღება გადაწყვეტილებები საერთო „ქურდულ კანონებში“ ცვლილებებთან დაკავშირებით, მათ არ აქვთ ამის უფლებამოსილება, მხოლოდ ადგილობრივი ხასიათის გადაწყვეტილებები.

საინტერესოა დეტალურად შევხვით „სხოდკის“ ჩატარების დღეს არსებულ პროცედურებს პენიტენციურ სისტემაში - „სხოდკის დაწყებამდე მაყურებელი თვითონ ან მისი თამაშემწეების მეშვეობით დაიძახებს - სხოდკა!!!. ყველა პირი ვინც იცის, რომ უნდა მიიღოს მონაწილეობა დაუყოვნებლივ მიემართება იმ საკანისკენ ან კონკრეტული ადგილისკენ დაწესებულებაში, რომელიც, როგორც წესი, წინასწარ არის განსაზღვრული სხოდკის ჩასატარებლად. სხოდკის ჩატარების უსაფრთხოებაზე შემუშავებულია დაცვის სხვადასხვა დონიანი სისტემა. მაგალითად, თუ სხოდკა ტარდება საცხოვრებელი კორპუსის მეორე სართულზე ერთ-ერთ საკანში, დაცვა იქნება დაყენებული საცხოვრებელი კორპუსის შესასვლელში, მეორე სართულის შესასვლელში და საკნის შესასვლელთან, სადაც სხოდკა იმართება. დამცველები ვალდებული არიან დაწესებულების ადმინისტრაციის გადაადგილება სხოდკის ჩატარების ადგილის მიმართულებით დაუყოვნებლივ გააგებინონ მაყურებელს. უფრო მეტიც, განსაკუთრებით ის პატიმრები, ვინც კონკრეტულად საკანს იცავენ, სადაც „სხოდკა“ ტარდება, ვალდებული არიან არ შეუშვან საკანში დაწესებულების პერსონალი, სანამ ამის თაობაზე არ გააფრთხილებს მაყურებელს. საჭიროების შემთხვევაში ისინი გაუწევენ ფიზიკური წინააღმდეგობაც. დამცველებად შეიძლება გამოიყენონ ნებისმიერი კატეგორიის პატიმრები, ქათმების გარდა“.

10.8. ქურდული საერთო, „ობშიაკი“

„ქურდული კანონების“ ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე საერთო სალაროს დანესება კეთილშობილურ მიზანს ისახავდა - დახმარების განევა სხვა პატიმრებისთვის და მათი ოჯახებისთვის. თუმცა როგორც ყველა სხვა წესში ამ ნაწილშიც განხორციელდა ცვლილებები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ კრიმინალური სუბკულტურის ფორმირების საწყის ეტაპზე საერთო სალაროში თანხა შეჭქონდათ მხოლოდ „კანონიერ ქურდებს“. პირველად ცვლილება განხორციელდა 40-50-იან წლებში, როცა „ობშიაკი“ ველარ აკმაყოფილებდა „კანონიერი ქურდების“ მოთხოვნებს და დაიწყეს სხვა პატიმრებისგან თანხების ამოღება⁹⁵⁸. ეს შემდგომში ჩვეულებრივ ნორმად იქცა და დღესაც მოქმედებს.

ჩრდილოვანი ეკონომიკის ჩამოყალიბების შემდეგ „კანონიერი ქურდები“ შედიან გარიგებაში ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან და მათგან იღებენ საერთო შემოსავლის 10%-ს⁹⁵⁹, რომელიც ქურდული „ობშიაკის“ შევსების ერთ-ერთი წყარო ხდება. შემდეგ ეტაპზე „კანონიერი ქურდები“ იყენებენ რეკეტს, ძალადობას და სხვა სახის მეთოდებს თანხის ამოსაღებად, „ობშიაკის“ შესავსებად.

სხვადასხვა წყაროებში არის მონაცემები, რომ არსებობს ერთიანი დიდი სალარო, რომელიც ასეულობით მილიონობით განისაზღვრება. მისი დანიშნულებაა⁹⁶⁰:

- ქურდების, ავტორიტეტების, მათი ოჯახების დახმარება;
- სხვა პატიმრების, მათი ოჯახების დახმარება;
- დანაშაულებრივი ბიზნესის შემდგომი გაფართოება;
- სამართალდამცავი ორგანოების და სახელმწიფო ჩინოვნიკების მოსყიდვა;
- დანაშაულებრივი ბიზნესის ლეგალიზაცია;
- პროპაგანდისტურ-ფსიქოლოგიური ფუნქციების შეს-

958 გ.ლობჟანიძე, გ.ლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 48.

959 იქვე, გვ. 67.

960 იქვე, გვ. 139.

რულება;

- პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციების-თვის წინააღმდეგობის განწევა.

„ობშიაკი“ თავდაპირველად იყო ორი სახის, საბანაკო და თავისუფალი⁹⁶¹.

თავისუფალი „ობშიაკი“ არის იმ სახით, რა სახითაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა და ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

კონკრეტულად საბანაკო ანუ ზონის ობშიაკი ემსახურებოდა შემდეგ მიზანს: ადმინისტრაციის მოსყიდვა; კარცერის და იზოლაციის მხარდაჭერას; სიკვდილმისჯილების, შემდგომში უვადო, თავისუფლებადკვეთილი პატიმრების მხარდაჭერას; სპირტიანი სასმელების და ნარკოტიკების შექცენა; თანხის დიდი ნაწილი ხმარდებოდა ასევე კრიმინალური ავტორიტეტების პირად ხარჯებს.

არსებობდა ადგილობრივი სალარო, ე.წ. „შნიფტი“, სადაც გროვდებოდა სიგარეტი, ჩაი, პროდუქტი, ჰიგიენური საშუალებები და ა.შ.

საერთო სალარო ე.წ. „ქურდული გაგებით“ წმინდა ადგილად ითვლება, რომელსაც ღირსეული ადამიანები იცავდნენ. მათ „მესაჭეებს“ უწოდებდნენ. ამჟამად ამ ფუნქციას „მაყურებლები“ ასრულებენ. „მესაჭეები“ საერთო სალაროში შემდეგნაირად იყვნენ განაწილებულნი⁹⁶²: 1. საერთო სალაროს თავი; 2. პასუხისმგებელი საყოფაცხოვრებო პირობებზე, საცხოვრებელ ზონებზე; 3. პასუხისმგებელი საწარმოო ზონაზე; 4. პასუხისმგებელი იზოლაციორზე, კარცერზე; 5. პასუხისმგებელი სამედიცინო ნაწილზე.

ე.წ. „მესაჭეების“ ფუნქცია იყო არამარტო „ობშიაკისთვის“ თანხების შეგროვება, არამედ წესრიგის უზრუნველყოფა იმ სექტორებზე, სადაც იყვნენ განაწილებულნი.

ეს სტრუქტურა ფაქტობრივად დღესაც არსებობს ცოტა შეცვლილი სახით. ამ ფუნქციას ასრულებს მთავარი „მაყურებელი“ და სხვადასხვა სექტორზე განაწილებული „მაყურებლები“.

961 იქვე, გვ. 136-140.

962 იქვე, გვ. 139.

მათ დღესდღეობით უფრო კონტროლის და წესრიგის უზრუნველყოფის ფუნქცია აქვთ, ვიდრე კონკრეტულად „ობშიაკის“ შეგროვების.

საერთო სალაროში გროვდებოდა თანხები, ბანქოში მოგებულნი თანხებიდან. ფაქტობრივად 2005 წლამდე საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებობდა ბანქოს თამაშის, ე.წ. იძულებითი „კრუგები“. მაგალითად:

„სხვადასხვა საკნებში განთავსებული პატიმრების უმეტესობა, ვალდებული იყვნენ, გარკვეული პერიოდულობით (მაგ. იყო თვეში ერთხელ) ეთამაშათ ბანქო, სადაც იყო განსაზღვრული სავალდებულო მინიმალური შენატანი. წაგებული თანხა მთლიანად მიდიდოდა „ობშიაკში“.

2000-იანი წლების მერე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დაწესებულებაში ბანქოს ქონა ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით. ამ ცვლილებებმა შემდგომში ფაქტობრივად აღკვეთა დაწესებულებებში ბანქოს თამაშის ე.წ. იძულებითი „კრუგები“. თუმცა კონტროლის სისტემის მოდუნების შემთხვევაში, მსგავსი ფაქტები შესაძლებელია კიდევ დაფიქსირდეს.

ბოლო პერიოდამდე დაწესებულებებში გროვდებოდა ორი სახის „ობშიაკი“. ქურდული „ობშიაკი“ და ადმინისტრაციის „ობშიაკი“. ადმინისტრაციის „ობშიაკი“ ხმარდებოდა ადმინისტრაციის მოსყიდვას და შეიძლება ითქვას ამ თანხის ამოღება ადმინისტრაციის ხელშეწყობითაც ხდებოდა.

როგორც აღვნიშნეთ საკნების მიხედვით „ობშიაკის“ შეგროვებას ახორციელებენ საკნის და კორპუსის „მაყურებლები“. „მაყურებლებს“ როგორც წესი, აქვთ ე.წ. „ტყავი“, სადაც აღირიცხება მონაცემები, თითოეული პატიმრების მიერ შენატანის ოდენობის და პიროვნების მითითებით. „ტყავის“ დაცვა არის „მაყურებლის“ ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა. მისი დაკარგვის შემთხვევაში ან თუ „ტყავი“ ჩაუვარდება დაწესებულების ადმინისტრაციას, „მაყურებელი“ მკაცრად ისჯება. იგი ავტომატურად ქვეითდება იერარქიაში და გადადის ქვედა ფენაში (ძირითადად „ბოზებში“, „ნაბოზვრებში“). მის მიმართ შეიძლება

გამოყენებულ იქნას სანქცია - „ხელების (ფეხების) დამტვრევა“ და უკიდურეს შემთხვევაში „სიკვდილიც“ კი. ფატობრივად „მაცურებელი“ ვალდებული არის დაიცვას „ტყავი“ სიცოცხლის ფასადაც კი.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების გამო, მინიმუმამდე დავიდა დანესებულებებში ფულადი სახით „ობშიაკის“ აკრეფის შემთხვევები. ამას ასევე შეუწყო ხელი იმ ფაქტმა, რომ ფულის კუბიურების ქონა დანესებულებაში სისხლისსამართლებრივი წესით ისჯება. პატიმრები დანესებულებებში არსებულ მალაზიებში, პროდუქტების შექმნას უნაღდო ანგარიშსწორებით ახორციელებენ.

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, ფიქსირდება „ობშიაკის“ სხვადასხვა ფორმით შეგროვების ფაქტები. ფულის მიმოქცევის არქონის გამო, დანესებულებებში დღესდღეობით ვალუტად იყენებენ, მაგალითად, ტელეფონის სასაუბრო ბარათებს, სიგარეტს, ჩაის, კვების პროდუქტებს, ჰიგიენურ საშუალებებს და ა.შ.

დღესდღეობით დანესებულებების უმრავლესობაში არის პრაქტიკა, რომ (განსაკუთრებით ნახევრად ღია ტიპის დანესებულებებში), მაცურებლების მიერ გროვდება სიგარეტი, ჩაი, ჰიგენური საშუალებები და სხვა სახის პროდუქტები. ზოგადად ტაქტიკური თვალსაზრისით ამას თვითონაც აღარ უნოდებენ ხშირ შემთხვევაში „ობშიაკს“, თუმცა თავისი შინაარსით ფაქტობრივად არაფრით არ განსხვავდება „ობშიაკის“ პირვანდელი ფორმისგან. მაგალითად:

„ძირითადად ნახევრად ღია ტიპის დანესებულებებში მაცურებლებს“ შემუშავებული აქვთ სხვადასხვა სახის პროდუქტების შეგროვების სისტემა. მაგალითად, კვირაში ერთხელ თითოეული საკანი ვალდებულია საერთოში (იგივე ობშიაკი) შეიტანოს 5 ბლოკი სიგარეტი, 10 კოლოფი ჩაი, 20 ცალი 5 ლარიანი სატელეფონო სასაუბრო ბარათები და ა.შ. ეს ნივთები, როგორც წესი, თავს იყრის მაცურებლის საკანში. ხდება საკნების და პიროვნებების მიხედვით შენატანების აღრიცხვა („ტყავი“). საკნებიდან ამ ნივთების ამოღებაზე პასუხიმგებლები არიან საკნის მაცურე-

ბლები, რომლებიც მთავარი მაცურებლის მიერ არიან დანიშნული“.

10.9 ჟარგონი

ჟარგონი შეიძლება მივიჩნიოთ როგორც კანონზომიერი მოვლენა, რომელიც ასახავს კრიმინალური სუბკულტურის სპეციფიკას. ჟარგონის შექმნის ძირითადი მიზეზი, შეტყობინების დაშიფვრა იყო. მის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენდა, ასევე სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიგზავნილი პირების გამოვლენა⁹⁶³.

ქურდულ ჟარგონებში უამრავი ცვლილება განხორციელდა და საკმაოდ ბევრი სიტყვა პირდაპირ შევიდა საზოგადოების მიმოქცევაში და ხშირ შემთხვევაში აღარ აღიქმება როგორც ქურდული ჟარგონი. მაგალითად:

„მენტი“, „ძაღლი“ (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი), „ბოზი“ (დამბეზღებელი, ჩამშვები) და ა.შ.

ქურდულ ჟარგონებთან ბრძოლა, როგორც გამოცდილება აჩვენებს საკმაოდ ძნელია. ჟარგონები ხშირად იცვლება და ყალიბდება ახალი ტერმინები. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა თვითონ, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები საუბრობენ აღნიშნული ჟარგონებით. მაგალითად:

„დღესდღეობით დაწესებულებაში შემომშვების ჩატარებისას თვითონ ადმინისტრაციის წარმომადგენლები ხშირად იყენებენ ტერმინს - „პრავერკა“, ჩხრეკისას - „შმონი“ და ა.შ.“

იგივე ჟარგონებს იყენებენ პატიმრებიც. აუცილებელია ამ კუთხით პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა მაღალი სამეტყველო კულტურის ჩამოყალიბება.

10.10 ტატუირება, „ნაკოლკა“

ტატუირება, „ნაკოლკის“ გაკეთება სხეულზე კრიმინალური სუბკულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. არსებობდა მრავალი სახის და ფორმის „ნაკოლკა“, რომლებიც

963 გ.ლობჟანიძე, გ.ლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 154-156.

სხვადასხვა პერიოდში იცვლებოდა და დღესაც იცვლება⁹⁶⁴. ტატუირებები სხვადასხვა სახის შინაარსის მატარებელი იყო: საინფორმაციო-იერარქიული, პიროვნების განწყობის გამომხატველი, სასიგნალო, სამახსოვრო და ა.შ.⁹⁶⁵.

დღესდღეობით ყველაზე გავრცელებულია ტატუირების ისეთი ფორმა როგორც არის „ქურდული ვარსკვლავი“, ძირითადად რვა ქიმიანი. ასეთი ვარსკვლავები კეთდება ხშირ შემთხვევაში მხარზე და მუხლებზე. „ქურდულ ვარსკვლავებს“ იკეთებენ „კანონიერი ქურდები“, ასევე „კაი ბიჭები“, „ბლატნოები“, რომლებიც მომავალში „კანონიერ ქურდობას“ აპირებენ.

10.11 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის დამოკიდებულება კრიმინალური სუბკულტურის მიმართ

პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის დამოკიდებულება კრიმინალური სუბკულტურის მიმართ ცალკე განხილვის საკითხია. კრიმინალური სუბკულტურის ჩამოყალიბების პროცესში ხშირი იყო დაწესებულების ადმინისტრაციისა და კრიმინალური ავტორიტეტების თანამშრომლობის შემთხვევები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციები აძლევდნენ ზოგიერთ კრიმინალურ ლიდერებს („ურკებს“) დაწესებულებაში თავისუფალი გადაადგილების უფლებას იმ მიზნით, რომ პატიმრებს შორის კონტროლი და წესრიგი დაემყარებინათ. შეიძლება ითქვას, იმ დროისთვის დაწესებულებებში პატიმართა დიდი რაოდენობის და „გულაგების“ სისტემის ჩამოყალიბების გამო, ადმინისტრაციის მხრიდან ეს იყო ერთგვარად იძულებითი ნაბიჯი, რომ დაწესებულებებში გარკვეული წესრიგი შეენარჩუნებინათ. პატიმართა დიდი რაოდენობა მოითხოვდა შიდა კონტროლის სისტემის არსებობას.

964 Ю. А. Вакутин, Словарь жаргонных слов и выражений. Татуировки, Омск, 1979.

965 გ.გლობჟანიძე, გ.ლლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 156-158.

ადმინისტრაციის და კრიმინალური ავტორიტეტების ურთიერთობა შემდგომში გარკვეულწილად აისახა „ქურდულ კანონებზე“. „კანონიერი ქურდები“ აცნობიერებდნენ, რომ დაწესებულებაში თავიანთი გავლენის მოპოვების გამო, აუცილებელი იყო დაწესებულების ხელმძღვანელობასთან შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა. ამ გარიგების საფუძველზე „კანონიერი ქურდები“ (შემდგომში უკვე მაყურებლები) ხელს უწყობდნენ, პენიტენციურ დაწესებულებებში შემონმების და ჩხრეკის ჩატარებას, წესრიგის შენარჩუნებას და ა.შ. თუმცა ამ ნაბიჯების საპასუხოდ გარკვეულ შეღავათებსაც ითხოვდნენ. პენიტენციური დაწესებულებებში ჩამოყალიბული იყო ორხელისუფლებიანობა კრიმინალური ავტორიტეტების და ადმინისტრაციის მხრიდან. მოგვიანებით ეს თანამშრომლობა გადაიზარდა ფინანსური სარგებლის მიღებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაწესებულებებში გროვდებოდა ორი სახის „ობშიაკი“, ქურდული და ადმინისტრაციის. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სახის თანამშრომლობის შედეგად, დაწესებულებების ხელმძღვანელობა კომფორტულად გრძობდა თავს - იგი ინარჩუნებდა წესრიგს დაწესებულებაში და მოგვიანებით ჰქონდა უკვე ფინანსური სარგებელი. ასეთი სახის ურთიერთობების საფუძველზე ფაქტობრივად ჩამოყალიბდა ადმინისტრაციასა და პატიმრებს შორის ერთიანი სალაპარაკო ენა, ჟარგონები, რომლებიც „ქურდულ კანონებს“ ეფუძნება.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, შეიძლება ითქვას, რომ ნებისთინ უნებლიეთ, ადმინისტრაციები ფაქტობრივად დაწესებულების მმართველობაში კრიმინალური სუბკულტურის მიერ შემოთავაზებული თამაშის წესებით მოქმედებენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ კრიმინალურ ელემენტებთან თანამშრომლობა დაწესებულებების გადატვირთვამ და ე.წ. „გულაგების“ სისტემის ჩამოყალიბებამ გამოიწვია. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, პირველი შედეგები იყო 50-იანი წლების ბოლოს, როცა განახორციელეს პატიმართა გადანაწილება კატეგორიების მიხედვით და ჩამოყალიბდა სხ-

ვადასხვა რეჟიმის დანესებულებები⁹⁶⁶. შეიძლება ითქვას, რომ კრიმინალური სუბკულტურის ჩამოყალიბების და გაძლიერების ძირითადი მიზეზი იყო პატიმართა და დანესებულების თანამშრომელთა რაოდენობის სრული დისბალანსი, რასაც ხელს უწყობდა დანესებულების ინფრასტრუქტურაც.

მიუხედავად ბოლო პერიოდში გადადგმული ნაბიჯებისა (პატიმართა რაოდენობის შემცირება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება), დღესდღეობით ჯერ კიდევ პრობლემად რჩება კოლონიის ტიპის დანესებულებების არსებობა, სადაც 1000-დან 2000-მდე პატიმარი იხდის სასჯელს, ხოლო ამის საპირისპიროდ დანესებულების თანამშრომელთა რაოდენობა 24 საათიან ცვლაში შეიძლება 50 კაცს არ აღემატებოდეს. აღნიშნული პრობლემების არსებობა ართულებს და ზოგ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის, კრიმინალური სუბკულტურის წინააღმდეგ ბრძოლას პენიტენციურ სისტემაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პენიტენციურ სისტემაში, არსებული კრიმინალური სუბკულტურა რთულ ფენომენს წარმოადგენს. ჩამოყალიბების შემდეგ, არსებობის სხვადასხვა ეტაპზე იგი ახდენდა ადაპტაციას არსებული სიტუაციის შესაბამისად, განიცდიდა ევოლუციას. ეს სუბკულტურა საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდა და დღესაც ახდენს ახალგაზრდა თაობის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე. ამიტომ ამ სუბკულტურის გასააზრებლად, საჭიროა ერთიანად გავაანალიზოთ, როგორც მისი წარმოშობის მიზეზები და განვითარების ეტაპები, ასევე მისგან წარმოშობილი ის ფსევდო ღირებულებები, რამაც როგორც პენიტენციურ სისტემაში, ასევე მთლიანად საზოგადოების ცნობიერებაში შეაღწია.

966 საქართველოს უმაღლესი საბჭოს უწყებები. 1971. N12.

მეთერთმეტე თავი

პრობაციის სამსახური

11.1 საკანონმდებლო რეგულირება და საერთაშორისო სტანდარტები

პრობაციის სამსახურის სამართლებრივი რეგულირება ხდება 2007 წლის 19 ივნისის საქართველოს კანონით „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან მნიშვნელოვანია: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №903 „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“; საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 26 აპრილის ბრძანება №74 „პრობაციის ბიუროს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“; საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №56 „მსჯავრდებულის რისკების შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 5 აპრილის ბრძანება №55 „მსჯავრდებულთან ვიდეოკამერით სარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე“ და სხვ.⁹⁶⁷

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი შედგება 47 მუხლისგან და

967 პრობაციის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტები იხ.: <http://www.probatation.gov.ge> (25.02.2014)

არეგულირებს საქართველოში არასაპატიმრო სასჯელების და პრობაციის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. კეროდ, კანონის გამოყენების სფერო (მუხლი 1.); არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის სტრუქტურა და პრობაციის ბიუროები (მუხლები 3-5); პრობაციის ეროვნული სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიზნები (მუხლები 6-7); პრობაციის ეროვნული სამსახურის თანამშრომელთა სამართლებრივი სტატუსი, სოციალური და სამართლებრივი გარანტიები (მუხლები 8-9); მსჯავრდებულთა უფლება-მოვალეობები (მუხლები 10-11); პირობით მსჯავრდებულისა და პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირის მიმართ პრობაციის ბიუროში გამოცხადების დადგენილი რეჟიმის დარღვევისთვის მათი დაჯარიმების წესს (მუხლები 12-15); სამართლებრივი აქტის აღსრულების წესი (16-24); სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის აღსრულება (მუხლები 25-27); სასჯელის სახით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის აღსრულება (მუხლები 29-33) და სხვ.

არასაპატიმრო სასჯელთა შესახებ გარდა შიდა სამართლებრივი რეგულირებისა, საინტერესო საერთაშორისო აქტები. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს შემდეგი სამართლებრივი დოკუმენტები: არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები (ტოკიოს წესები), მიღებული გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის №45/110 რეზოლუციით; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010) 1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევრო საბჭოს პრობაციის წესების შესახებ, მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 20 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 1075-ე შეხვედრაზე და სხვ.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010) 1-ის თანახმად, „პრობაცია არის დაკავშირებული საზოგადოებისგან იზოლაციის გარეშე სასჯელებისა და ღონისძიებების აღსრულებასთან, რომელიც მსჯავრდებულისთვის კანონით არის განსაზღვრული და შეფარდებული. ეს მოიცავს

სხვადასხვა ღონისძიებას და ინტერვენციას, რომლებიც დაკავშირებულია სამართალდამრღვევთა სოციალურ ჩართულობასა და ზედამხედველობასთან, ხელმძღვანელობასა და დახმარების აღმოჩენასთან“.

პრობაცია წარმოადგენს ციხის ალტერნატივას. პრობაციას ციხესთან შედარებით ნაკლები ეკონომიკური ხარჯი გააჩნია, ჰუმანურია და მსჯავრდებულს სოციალური გარემოდან არ წყვეტს.⁹⁶⁸

სახელმწიფოს გარდა პრობაციისა, შეუძლია სხვადასხვა პროგრამების (განრიდება, მედიაცია) მეშვეობით კანონდამრღვევი ააცილოს სასჯელალსრულებით დაწესებულებას.

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4-ე მუხლის მიხედვით, პრობაციის ეროვნული სააგენტო არის საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილება განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრი. პრობაციის ეროვნულ სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრი.

ამავე კანონის მესამე და მეხუთე მუხლების თანახმად, პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აღსასრულებლად გადაეცემა შემდეგი სამართლებრივი აქტები: სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ; სასჯელის სახით იურიდიული პირისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ; სასჯელის სახით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შესახებ; სასჯელის სახით გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნის შესახებ; სასჯელის სახით თავისუფლების შეზღუდვის შესახებ; პირობითი მსჯავრის დანიშვნის შესახებ; სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შე-

968 G. Kaiser/H.-J., Kerner/H. Schöch, Strafvollzug. Ein Lehrbuch. Heidelberg 1982. S. 477.

სახებ; სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ (ორსული ქალისთვის - მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე); განრიდების სუბიექტის მიერ ნაკისრი საზოგადოებისთვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულების შესახებ. ზემოთჩამოთვლილი სამართლებრივი აქტების (გარდა სასჯელის სახით თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სამართლებრივი აქტისა) სამართლებრივი აქტების აღსრულებას უზრუნველყოფს პრობაციის ოფიცერი.

11.1.1 პრობაციის ოფიცერი

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი ერთმანეთისგან ანსხვავებს ორი სახის ოფიცერს: პრობაციის ოფიცერი და თავისუფლების შეზღუდვის ოფიცერი. თავისუფლების შეზღუდვის ოფიცერი პასუხისმგებელია მხოლოდ სასჯელის სახით თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სამართლებრივი აქტის აღსრულებაზე.

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ და 9² მუხლების თანახმად, პრობაციის ოფიცერი და თავისუფლების შეზღუდვის ოფიცერი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვს უმაღლესი განათლება და გადის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სპეციალურ სასწავლო კურსს, რომლის დასრულებისას აბარებს შესაბამის გამოცდას.

იურიდიულ ლიტერატურაში პრობაციის ოფიცერი ხასიათდება შემდეგი უნარ-ჩვევებით და განათლებით: გამოცდილი, ინტელიგენტი სოციალური მუშაკი; იდეალისტი; მოტივირებული, სიცოცხლით სავსე; ნამდვილი დამხმარე; კომუნიკაბელური; ნდობის მოპოვების შემძლე, ურყევი ხასიათის მქონე და მომთმენი.⁹⁶⁹

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40-ე მუხლის თანახმად, პრობაციის ოფიცრის უფლებამოსილებანი სამართლებრივი აქტების აღსრულების პროცესში შემდეგია: ა) აკონტროლებს

969 H. Diemer, A. Schoreit, B-R. Sonnen, Jugendgerichtsgesetz. Kommentar. 3. Auflage. Heidelberg 1999. S. 251.

სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას; ბ) აკონტროლებს მსჯავრდებულის ყოფაქცევას და დახმარებას უწევს მას; გ) მსჯავრდებულთან ატარებს აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს; დ) შექლებისდაგვარად ეხმარება მსჯავრდებულს შრომით მონყობაში; ე) ახორციელებს სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, რისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, ამყარებს საქმიან ურთიერთობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებთან; ვ) შესაბამისი სამართლებრივი აქტის აღსრულებას ახორციელებს მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის მიხედვით, რომლის შედგენის პრინციპებს, წესსა და ფორმას განსაზღვრავს სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი. ამ ფუნქციის შესრულებისას პრობაციის ოფიცერი თანამშრომლობს სოციალურ მუშაკთან.

პრობაციის ოფიცერს სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების დროს მისი ყოფაქცევის კონტროლის განხორციელებისას უფლება აქვს: ა) დადგენილი პერიოდულობით დაიბაროს მსჯავრდებული აღრიცხვისთვის; ბ) ჩამოართვას მსჯავრდებულს ახსნა-განმარტება; გ) მსჯავრდებულის ყოფაქცევის შესახებ ინფორმაცია მიიღოს მისი ნათესავებისგან, ნაცნობებისგან, სამუშაო ადგილიდან და სასწავლო დაწესებულებიდან; დ) გამოითხოვოს მსჯავრდებულის შესახებ შესაბამის სახელმწიფო და სამკურნალო დაწესებულებებში არსებული ინფორმაცია.

მსჯავრდებულთან აღმზრდელობითი ხასიათის საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელია პრობაციის ოფიცრის და მსჯავრდებულს შორის ნდობის ჩამოყალიბება.⁹⁷⁰ პრობაციის ოფიცრის „ორმაგი ფუნქცია“ - ზედამხედველობა და დახმარება - ნდობის პრობლემას უქმნის მსჯავრდებულს.⁹⁷¹

970 U. Eisenberg, Jugendgerichtsgesetz. Kommentar. 11. Auflage. München 2006. S. 270.

971 U. Eisenberg, Jugendgerichtsgesetz. Kommentar. 11. Auflage. München 2006. S.

პრობაციის ოფიცერი მსჯავრდებულს გვერდში უდგას და ეხმარება პრობლემების მოგვარებაში. მსჯავრდებულს შესაძლებელია გააჩნდეს როგორც სწავლასთან, საცხოვრებელთან, უმუშევრობასთან, სამსახურთან დაკავშირებული, ასევე სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის პრობლემები.⁹⁷²

11.1.2 პრობაციონერი

პრობაციის დაქვემდებარებაში შესაძლებელია მოხვდნენ მსჯავრდებულები, რომელთაც სასამართლოს მიერ სასჯელის სახით მიესაჯათ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (იურიდიული პირის შემთხვევაში), საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, პირობითი მსჯავრი, გათავისუფლდნენ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე, გადაუვადდათ სასჯელის მოხდა (ორსული ქალისათვის - მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე), განრიდების სუბიექტი. „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის მიერ დადგენილი რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში პრობაციის ბიუროს უფლებამოსილი პირი (პრობაციის ოფიცერი) ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, რომელიც მსჯავრდებულს უშუალოდ გადაეცემა ან ფოსტით ეგზავნება (ფოსტით გაგზავნისას კეთდება სათანადო ჩანაწერი).

მსჯავრდებულის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საკითხებს არეგულირებს ზემოაღნიშნული კანონის მე-12, 12¹ და მე-13-ე მუხლები.

მსჯავრდებული უფლებამოსილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის/გაფრთხილების შესახებ ოქმის გაცნობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს იგი პრობაციის ბიუროს უფროსთან, რომელიც საკითხს განიხილავს და წყვეტს 15 სამუშაო დღის ვადაში.

271; K. Laubenthal, Strafvollzug. Sechste Auflage. Heidelberg 2011. S. 407.

972 U. Eisenberg, Jugendgerichtsgesetz. Kommentar. 11. Auflage. München 2006. S. 271.

მსჯავრდებული ვალდებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაცნობიდან 30 დღის ვადაში გადაიხადოს მისთვის დაკისრებული ჯარიმა.

თუ მსჯავრდებული პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროსა და ადგილას გამოცხადდა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, არ ემორჩილება პრობაციის ოფიცრის კანონიერ მოთხოვნას ან არაკორექტულად იქცევა და დაარღვევს ამ კანონის მე-12 მუხლის 4 და 4¹ მუხლებით გათვალისწინებულ გამოცხადების ვალდებულებას დაჯარიმდება 100 ლარით. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით ერთი წლის განმავლობაში გამოიწვევს მსჯავრდებულის დაჯარიმებას 200 ლარით. არასრულწლოვანის და სოციალურად დაუცველის მიერ განსაზღვრული რეჟიმის დარღვევა - მის გაფრთხილებას (5¹ მუხლი), განმეორების შემთხვევაში (ერთი წლის განმავლობაში) - ისევე გაფრთხილებას.

მსჯავრდებულის მიერ დადგენილი რეჟიმის სამჯერ ან მეტჯერ დარღვევა ბოლო დარღვევიდან ერთი წლის განმავლობაში იწვევს ჯარიმას 300 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულის მიერ დადგენილი რეჟიმის მესამედ და მეტჯერ დარღვევა ასევე შეიძლება გახდეს პრობაციის ბიუროს უფლებამოსილი პირის მიერ სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის საფუძველი.

პრობაციის ოფიცერი უფლებამოსილია პირობით მსჯავრდებულსა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირს, მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასების საფუძველზე,⁹⁷³ დააკისროს სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ დადგენილი შესაბამისი სავალდებულო სარეაბილიტაციო კურსის გავლის ვალდებულება:

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის მიერ ამ კანონით დადგენილი რეჟიმის დარღ-

973 მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასების შესახებ იხ., მ. შალიკაშვილი / დ. ჩიხლაძე, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისათვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი. თბილისი 2013.

ვევა საპატიოდ შეიძლება ჩაითვალოს, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება: ა) მსჯავრდებულის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც შეუძლებელს ხდის დადგენილი რეჟიმის შესრულებას, რასაც ადასტურებს ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა; ბ) მსჯავრდებულის ახლო ნათესავის (მშობელი, მშვილებელი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული)) ან მასთან მუდმივად მცხოვრები პირის გარდაცვალება; გ) მსჯავრდებულის სამსახურებრივ ან პროფესიულ, ანდა სპორტულ, კულტურულ ან საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული მივლინება, რასაც ადასტურებს შესაბამისი დოკუმენტი; დ) მსჯავრდებულის მიერ დადგენილი რეჟიმის დარღვევა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) არსებობისას, კერძოდ, სტიქიური უბედურების, ავარიის, ხანძრის, მასობრივი არეულობის, სამხედრო მოქმედების, კარანტინის ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, რასაც ადასტურებს შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი; ე) მსჯავრდებულისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება, აგრეთვე მსჯავრდებულის მონაწილეობა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილ საპროცესო მოქმედებებში, ასევე სამართალდამცავი ორგანოების „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაში, რასაც ადასტურებს შესაბამისი დოკუმენტი; ვ) მსჯავრდებულის სამხედრო სარეზერვო სამსახურში ყოფნა, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით, რომელიც წარედგინება პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის სამხედრო სარეზერვო სამსახურში განვევამდე.

ჩამოთვლილი გარემოების დამადასტურებელ დოკუმენტს მსჯავრდებული წარუდგენს შესაბამის პრობაციის ბიუროს.

11.2 არსებული მდგომარეობის ანალიზი

არსებული მდგომარეობის ანალიზისთვის პირველ რიგში აუცილებელია გავეცნოთ პრობაციის ეროვნული სააგენტოს

სტატისტიკურ მონაცემებს. ამ მონაცემების თანახმად, პრობაციონერთა რაოდენობა წლების და ასაკის მიხედვით შემდეგია:⁹⁷⁴

წელი	პრობაციონერთა საერთო რაოდენობა	საქმეების რაოდენობა ერთ ოფიცერზე
2011	38 681	264
2012	33 109	161
2013	13 642 მათ შორის:	80
კაცი - 12352/ 93%		
ქალი - 680/5%		
არასრულწლოვანი - 298/2%		

სტატისტიკური მონაცემების ანალიზი მიუთითებს ქვეყანაში გატარებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ კრიმინალური პოლიტიკიდან ლიბერალურ-კრიმინალური პოლიტიკაზე გადასვლას.⁹⁷⁵

დანაშაულისადმი „ნულოვანი ტოლერანტობის“ კრიმინალური პოლიტიკის განხორციელებამ და „ყველა ციხეში“ პრინციპის გატარებამ გამოიწვია როგორც სასჯელალსრულების დაწესებულებების გადატვირთვა, ასევე პრობაციონერთა რაოდენობის ზრდა. პრობაციონერთა რაოდენობის ზრდამ პიკს 2012 წლის ივნისში მიაღწია, როდესაც პრობაციის ეროვნული სააგენტოს

974 <http://www.probatation.gov.ge/cms/site-images/pdf/oriatascameti.pdf>, 2014 წლის 22 თებერვლის მდგომარეობით.

975 ბოლო წლებში განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგების შესახებ იხილეთ: მ. შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები. თბილისი 2013. გვ. 25-27.

მონაცემთა ბაზაში 40 469 პრობაციონერი დაფიქსირდა.⁹⁷⁶

საქმეების რაოდენობა ერთ ოფიცერზე არის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საკითხი. როგორც უკვე აღინიშნა პრობაციის ოფიცერი სისტემატურად მუშაობს პრობაციონერთან. ოფიცრის მუშაობის ხარისხი სხვა ასპექტებთან ერთად პრობაციონერთა რაოდენობაზეა დამოკიდებული. ოფიცერმა უნდა შეძლოს არა ფორმალური, არამედ რეალური კონტროლი და დახმარება გაუწიოს პრობაციონერს.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით 11 პრობაციის ბიურო არსებობს საქართველოში. ერთ პრობაციის ოფიცერზე სამეთვალყურეოდ და დასახმარებლად მოდის 80 პრობაციონერი. ევროპული (გერმანული) პრაქტიკა ამ მხრივ არ არის უკეთესი. გერმანიაშიც ერთ პრობაციის ოფიცერზე საშუალოდ 60-80 პრობაციონერი მოდის.⁹⁷⁷ თუმცა უნდა აღინიშნოს ის განსხვავება რაც ამ ორ ქვეყანაში არსებობს პრობაციონერების დახმარების კუთხით:

1) სოციალური სახელმწიფო

გერმანია სოციალური სახელმწიფოს პრინციპის მიმდევარი და პრაქტიკაში განმახორციელებელია. შესაბამისად, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია სახელმწიფო უმაღლეს საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზეა აყვანილი. სოციალური სახელმწიფოს პირობებში პრობაციონერისთვის დახმარების განევა სახელმწიფოს ვალდებულებად არის მიჩნეული და არა როგორც ჩვენი საკანონმდებლო აქტით არის რეგულირებული, რომ პრობაციის ოფიცერი შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს დაეხმაროს პრობაციონერს;

2) ფულის ქონა

გერმანული კანონმდებობის მიხედვით, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია ხდება სავალდებულო სამუშაოს განხორციელების მეშვეობით. „კანონით გათვალისწინებული რესოციალიზაცია სავალდებულო სამუშაოს შესრულების მეშვეობით, რომელიც ექვემდებარება მხოლოდ ან უმთავრესად ფინანსურ

976 <http://www.probation.gov.ge/cms/site-images/pdf/oriatascameti.pdf>, 2014 წლის 22 თებერვლის მდგომარეობით.

977 <http://www.justiz.bayern.de/gericht;>

ანაზღაურებას მხოლოდ მაშინ აკმაყოფილებს კონსტიტუციით გათვალისწინებული რესოციალიზაციის იდეას, როდესაც შესაძლებელია პატიმრისთვის განკუთვნილი ანაზღაურებით, მისი ოდენობიდან გამომდინარე, მისთვის ცხადი გახდეს ის გარემოება, რომ მუდმივი სამუშაო თავის რჩენის მიზანშეწონილი და გონივრული საშუალებაა“.⁹⁷⁸

სავალდებულო ანაზღაურებადი სამუშაოს პირობებში, მსჯავრდებულს შეუძლია თანხა დააგროვოს და ციხიდან გამოსვლის შემდეგ, როგორც პრობაციონერს ნაკლები სოციალური ხასიათის (ბინა, საკვები, ჩასაცმელი და ა.შ.) პრობლემები ექმნება;

3) ციხიდან გამოდის გარკვეული პროფესიული ცოდნით

გერმანიის სასჯელაღსრულების დაენესებულებაში მსჯავრდებულს შესაძლებლობა აქვს დაეუფლოს სხვადასხვა სახის პროფესიებს და მიიღოს შესაბამისი სერტიფიკატი. ციხიდან გამოსულ პრობაციონერს, რომელსაც გარკვეული სამუშაო პროფესიული გამოცდილება აქვს უფრო დიდი შანსი აქვს დასაქმების, ვიდრე პრობაციონერს, რომელსაც არავითარი სამუშაო გამოცდილება არ გააჩნია;

4) ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია პრობაციონერისთვის დახმარების განევის საკითხში. სამუშაო ადგილების არსებობა ან პრობაციონერისთვის გარკვეული პერიოდით საცხოვრებელი საშუალების მიცემა, დამოკიდებულია სწორედ ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობაზე.

პრობაციის სამსახური აქტიურად უნდა მუშაობდეს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და რელიგიურ ჯგუფებთან. პრობაციის ოფიცერმა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით შესაძლებელია სწრაფად გადაუჭრას პრობაციონერს ან ციხიდან გამოსულ მსჯავრდებულს სამუშაოს და საცხოვრებელი ადგილის პოვნის ან იმ თანხის მიღების საკითხი, რაც საჭიროა სახლამდე მისასვლელად.⁹⁷⁹

978 ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 2011. გვ. 217.

979 ე. კოილი, პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან. თბილისი 2007. გვ. 102.

მნიშვნელოვანია პრობაციის ოფიცრების გადამზადების საკითხი. იმისათვის, რომ პრობაციის ოფიცრმა მასზე დაკისრებული „ორმაგი ფუნქცია“ - ზედამხედველობა და დახმარება - შეასრულოს საჭიროა მისი სისტემატური გადამზადება და პროფესიული ამაღლება. პრობაციის ოფიცრებმა 2013 წელს გაიარეს შემდეგი სახის ტრენინგები:⁹⁸⁰ არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამა, პრობაციის ოფიცრის როლი სოციალურ სამუშაოში, სამართლებრივი მართლწერა, შეფასების უნარების განვითარება, მსჯავრდებულის მომზადება გათავისუფლებისათვის, ადამიანური რესურსების მართვა, პერსონალის მართვა, პერსონალური ინფორმაციის დაცვა, ოჯახური ძალადობის საკითხები და სხვ.

11.3 თავისუფლების შეზღუდვის აღსრულება

ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გადასვლის ფარგლებში მოხდა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების აშენება. სახელმწიფოს მხრიდან არის მცდელობა, რომ სასჯელის ეს ფორმა გამოყენებულ იქნას პრაქტიკაში.

2011 წლის 27 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებით „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა **X¹ თავი**, რომელიც არეგულირებს თავისუფლების შეზღუდვის აღსრულებას. აღნიშნული კანონის **44¹ მუხლის** მიხედვით, თავისუფლების შეზღუდვის აღსრულება ხორციელდება დაწესებულების ტერიტორიაზე მსჯავრდებულის ინდივიდუალური გეგმის (პროგრესული გეგმის) მიხედვით, რომლის პირობებსაც განსაზღვრავს დაწესებულების უფროსი. სასჯელის სახით თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სამართლებრივი აქტის აღსასრულებლად მიღების შემდეგ მსჯავრდებულს, საჭიროებიდან გამომდინარე, განესაზღვრება დაწესებულებაში არსებულ სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის ვალდებულება, ასევე მისი თანხმობით, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით,

980 <http://www.probatation.gov.ge/cms/site-images/pdf/oriatacameti.pdf>, 2014 წლის 22 თებერვლის მდგომარეობით.

შესაბამისი მომზადების გავლის შემდეგ განესაზღვრება შრომითი საქმიანობა პრობაციის ეროვნული სააგენტოს სამენარმეო ან არასამენარმეო იურიდიულ პირთან. თავისუფლებაშეზღუდული პირის შრომითი საქმიანობა ანაზღაურებადია.

თავისუფლების შეზღუდვის მოხდის პირობები გულისხმობს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის დაწესებულებაში მუდმივად ყოფნას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არასამუშაო და უქმე დღეებისა, თუ დაწესებულების ტიპური დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თავისუფლების შეზღუდვის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს ეკრძალება დაწესებულების ტერიტორიიდან გასვლა დაწესებულების უფროსის წერილობითი ნებართვის გარეშე. ნებართვა შეიძლება გაიცეს მხოლოდ ტერიტორიის დატოვების მიზეზის დასაბუთების შემდეგ. დაწესებულებაში ყოფნისას მსჯავრდებული სარგებლობს ინტერნეტით, სატელეფონო და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით, აგრეთვე ხანმოკლე პაემნის უფლებით მშობელთან, მშვილებელთან, შვილთან, ნაშვილებთან, მეუღლესთან, დასთან, ძმასთან.

დაწესებულებაში მსჯავრდებულთან ტარდება სარეაბილიტაციო მუშაობა. სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზებას უზრუნველყოფს დაწესებულება. პრობაციის ეროვნული სააგენტო მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის მიზნით თანამშრომლობს სახელმწიფო უწყებებთან და სხვა ორგანიზაციებთან. მსჯავრდებულთან სარეაბილიტაციო მუშაობა ტარდება მისი პიროვნული თვისებებისა და ჩადენილი დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით.

მეთორგეტი თავი

ბრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის შედეგები

ევროსაბჭოს მინისტრთა საბჭოს 2003 წლის 23-ე რეკომენდაციით (Rec(2003) 23) გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთად ითვლება თავისუფლების აღკვეთა ხუთი და მეტი ვადით.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, დღეის მდგომარეობით გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთას იხდის მსჯავრდებულთა 91 პროცენტი.

გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის მიზეზი არის სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელის მაღალი ზომები და შეკრებილობის პრინციპის ხშირი გამოყენება.

კრიმინოლოგიაში ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ „ნორმალური ცხოვრების დანაკლისი და განსაცდელი, რომელიც თან სდევს პატიმრობას აახლოვებს პატიმარს ციხის ნორმებთან და დანაშაულებრივ სამყაროსთან, რის შედეგადაც ხშირია საყოველთაოდ მიღებული სოციალური ფასეულობების უარყოფა“.⁹⁸¹

გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის შედეგები ინდივიდუალურია თითოეული მსჯავრდებულისთვის, თუმცა კრიმინოლოგიურმა კვლევებმა გამოკვეთა ის ძირითადი პრობლემებიც, რაც შეიძლება გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულში იწვევდეს.

12.1 უკულტურობის პროცესი

ციხისათვის დამახასიათებელი შეზღუდვების (კონტაქტების, უფლებების შეზღუდვა) გამო მსჯავრდებულში იწყება მისთვის ცნობილი ურთიერთობების დავიწყების პროცესი (Verlern-Prozess). რაც უფრო მაღალია თავისუფლების აღკვეთის

981 პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები. პრაქტიკული სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო წესების ეფექტური გამოყენებისათვის. თბილისი 2000. გვ. 27.

ზომა, მით უფრო დიდხანს არის მოწყვეტილი მსჯავრდებული რეალობას - საზოგადოებრივ ცხოვრება და ურთიერთობება და მით უფრო მძიმეა უკულტურობის პროცესის შედეგი.⁹⁸²

12.2 სოციალური კონტაქტების დაკარგვა

ის რეალობა, რომ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს არ შეუძლია სრულყოფილად მიიღოს მონაწილეობა საკუთარი ოჯახის დახმარების საკითხში, მეტად მძიმე ფსიქოლოგიური და მატერიალური პრობლემის წინაშე აყენებს ოჯახს. გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში ხშირია ოჯახის დანგრევის პრობლემა. ჰარალდ პროისკერმა (Harald Preusker) გამოკითხა თავისუფლება აღკვეთილი მსჯავრდებულები სასჯელის აღსრულების დაწყებამდე მათი ოჯახური კონტაქტების შესახებ ანუ, რას ფიქრობდნენ ისინი, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მათი ქორწინება, პარტნიორთან ურთიერთობა. გამოკითხულ პატიმართა 65 პროცენტი ციხეში შესვლისას ფიქრობდა, რომ მათ ქორწინებას საფრთხე არ ემუქრებოდა. გამოკითხულთა 87 პროცენტს პატიმრობაში ყოფნიდან რამდენიმე წელში დაენგრა ოჯახი.⁹⁸³

12.3 კრიმინალური სუბკულტურისადმი მიდრეკილება

რაც უფრო გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა, მით უფრო დიდია რისკი, რომ პატიმრები გაერთიანდნენ ციხის სუბკულტურაში.⁹⁸⁴

982 ყოფილი მსჯავრდებული, რომელის პრობაციის ოფიცერთან ერთად დასაქმების ოგანოში მივიდა, ყოველი კარის წინ ჩერდებოდა და ელოდებოდა, რომ პრობაციის ოფიცერს მისთვის კარი „გაეხსნა“, როგორც იყო იგი ციხეში შეჩვეული. G. Kawamura-Reindl, Entlassung nach langem Freiheitssentzug – Voraussetzungen und Efordernisse für eine Rückkehr in die Gesellschaft. In. Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe. Heft 5, 2004. S. 283.

983 H. Preusker, Stationen im Vollzug der lebenslangen Freiheitsstrafe. In: W. Nickolai/R. Reindl, Lebenslänglich – Zur Diskussion um die Abschaffung der lebenslänglichen Freiheitsstrafe. Freiburg 1993. S. 20.

984 კრიმინალური სუბკულტურის შესახებ იხ. 10.1 ქვეთავი.

12.4 სოციალური გაუცხოება

ადამიანებისათვის, რომლებიც გრძელვადიან სასჯელს იხდიან დამახასიათებელია თანამოქალაქეებისადმი დამოკიდებულების შეცვლა.⁹⁸⁵ სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებაში ისინი ხშირად ღიზიანდებიან, აგრესიულოები ხდებიან, ურთიერთობებში შიშით ან გადამეტებული მგრძნობელობით გამოირჩევიან, რაც ართულებს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას.⁹⁸⁶ მაღალია ასეთი ადამიანების მხრიდან თვითდაზიანების და სუიციდის რისკები.⁹⁸⁷

სოციალურად ახლო მდგომ ადამიანებთან გაუცხოვების გამო, ბევრი ყოფილი მსჯავრდებული კარგავს საკუთარი თავის იმედს,⁹⁸⁸ ველარ უმკლავდება ყოველდღიურ პრობლემებს და ნასწავლი დაუხმარებლობის, დასწავლილი უმწეობის მდგომარეობაში ვარდება.⁹⁸⁹ ყოველდღიური პრობლემების დაძლევის უნარი ხშირად მსჯავრდებულებს ციხეში მოხვედრამდე არ გააჩნდათ, აკლდათ.⁹⁹⁰ ციხის პირობებში, რატქმა უნდა ეს უნარი მათ უფრო დაკარგეს, რადგან ციხეში მათ რეალურად აღარაფრის გადანყვეტა არ ევალებათ. მათთვის გადანყვეტილებას იღებს დაწესებულების ხელმძღვანელობა.

985 G. Kawamura-Reindl, Entlassung nach langem Freiheitsentzug – Voraussetzungen und Efordernisse für eine Rückkehr in die Gesellschaft. In. Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe. Heft 5, 2004. S. 284.

986 იქვე.

987 მ. შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია. თბილისი 2012. გვ. 155.

988 W. Greve/D. Hossler/ Ch. Pfeiffer, Gefängnis und die Folgen. Identitätsentwicklung und kriminelles Handeln während und nach Verbüßung einer Jugendstrafe. KFN Bericht #64. . Hannover 1997. S.13.

989 G. Kawamura-Reindl, Entlassung nach langem Freiheitsentzug – Voraussetzungen und Efordernisse für eine Rückkehr in die Gesellschaft. In. Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe. Heft 5, 2004. S. 284; W. Greve/D. Hossler/ Ch. Pfeiffer, Gefängnis und die Folgen. Identitätsentwicklung und kriminelles Handeln während und nach Verbüßung einer Jugendstrafe. KFN Bericht #64. . Hannover 1997. S.14.

990 W. Greve/D. Hossler/ Ch. Pfeiffer, Gefängnis und die Folgen. Identitätsentwicklung und kriminelles Handeln während und nach Verbüßung einer Jugendstrafe. KFN Bericht #64. Hannover 1997. S.13.

12.5 ჯანმრთელობის და ფსიქოსომატური პრობლემები

პატიმრებს შორის ფსიქოსომატური პრობლემები უფრო ხშირია, ვიდრე მოსახლეობის სხვა ნაწილში.⁹⁹¹ ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ მამაკაც პატიმართა 2/3 ფსიქიკურად არაჯანმრთელი და სამკურნალო იყო.⁹⁹² ციხის სიტუაცია პატიმრის ფსიქიკისათვის მეტად რთული ასატანია. პატიმრებში ფსიქიკური არასტაბილურობა ხშირად იწვევს ნანლავეურ და სისხლის მიმოქცევით პრობლემებს. დაწესებულების ექიმის არაკვალიფიციურობის ან არასაკმარისი გამოცდილების გამო ხშირად ჯანმრთელობის გაუარესების დროს ზუსტი დიაგნოზის დადგენა ძალიან რთულია.

12.6 ნაციხარის ეტიკეტირება და დისკრიმინაცია

ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ციხიდან გამოსული ადამიანის დამნაშავედ ეტიკეტირების პრობლემა.⁹⁹³ ეტიკეტირებულის მხრიდან ხდება დამნაშავის იარღილის მორგება და გამართლება, რაც განმეორებით დანაშაულის ჩადენაში ვლინდება.⁹⁹⁴ საქართველოში 2013 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მზად ინტეგრირება მოახდინოს ციხიდან გამოსული პიროვნების. ხშირია დამსაქმებლების მხრიდან უარი მათ სამსახურში აყვანაზე.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მსჯავრდებულებს, რომლებმაც გრძელვადიანი სასჯელი მოიხადეს, უნდა მომზადდნენ გათავისუფლებისთვის, რადგან მათი დაპატიმრების

991 G. Kawamura-Reindl, Entlassung nach langem Freiheitsentzug – Voraussetzungen und Efordernisse für eine Rückkehr in die Gesellschaft. In. Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe. Heft 5, 2004. S. 284.

992 W. Greve/D. Hossler/ Ch. Pfeiffer, Gefängnis und die Folgen. Identitätentwicklung und kriminelles Handeln während und nach Verbüßung einer Jugendstrafe. KFN Bericht #64. Hannover 1997. S.14.

993 მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია. მეორე გამოცემა. თბილისი 2011. გვ.208

994 W. Greve/D. Hossler/ Ch. Pfeiffer, Gefängnis und die Folgen. Identitätentwicklung und kriminelles Handeln während und nach Verbüßung einer Jugendstrafe. KFN Bericht #64. Hannover 1997. S.13.

დროს საზოგადოებასა და სახელმწიფოში მოქმედი სტრუქტურები, რომელებიც მათ ციხიდან გამოსვლის შემდეგ დახმარებას გაუწევდნენ შეიძლება აღარც კი არსებობდნენ.⁹⁹⁵ პენიტენციური ორგანოები ვერ მოამზადებენ პატიმრებს გასათავისუფლებლად სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული სხვა დაწესებულებების დახმარების გარეშე. სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად უნდა ჩაებან საზოგადოებაში მათი ხელახალი ინტეგრაციის დაგეგმვაში. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელებიც გათავისუფლების შემდეგ ყოფილ პატიმრებთან მუშაობენ უნდა მივიდნენ ციხეში და დაამყარონ ურთიერთობა პატიმრებთან მათ გათავისუფლებამდე.⁹⁹⁶

995 ე. კოილი, პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან. თბილისი 2007. გვ. 103.

996 იქვე.

მეცამეტა თავი

სასჯელდღრულები სისტემის ეროვნული და საერთაშორისო მონიტორინგის სისტემა

13.1 საქართველოს სახალხო დამცველი

ინდივიდის უფლებათა დამცავი სხვადასხვა საშუალების არსებობის მიუხედავად, ფაქტად რჩება ის გარემოება, რომ პიროვნება იურიდიულად დაუცველია სხვადასხვა უწყების, დაწესებულების, თანამდებობის პირისა და თვით სახელმწიფოსგან, რადგან კონსტიტუციაში საკმაოდ ფართედ დეკლარირებული ადამიანის უფლებები ვერ იცავს მას ადმინისტრაციის თვითნებობისა და უსამართლობისგან. ეს ხდება მაშინ, როდესაც არსებობს სამართლებრივი მექანიზმი იმ ბიუროკრატიული მანქანის წინააღმდეგ, რომელსაც კანონი ან კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე დიდი უფლებამოსილება აქვს.⁹⁹⁷

სახელმწიფოს მხრიდან უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა, წარმოადგენს ხელისუფლების შეზღუდვის თავისებურ მექანიზმს, რომელიც ყოველთვის მიისწრაფვის ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში გაძლიერებისა და გაფართოებისკენ. სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი ახალი სამართლებრივი ხასიათის მექანიზმების შექმნა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ, მოქმედის სრულყოფა.⁹⁹⁸

ომბუდსმენის ინსტიტუტს განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ მექანიზმებს შორის, რომლებიც იცავენ ადამიანის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა თვითნებობისგან. ომბუდსმენის ინსტიტუტის შემო-
997 გ.მიქანაძე, სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობისა და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2006, გვ. 211

998 გ.მიქანაძე, ევროპის ომბუდსმენები, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ – გამოცემა, თბილისი, 1999, გვ. 10

ღება განპირობებული იყო სახელმწიფო ორგანოთა მიერ ადამიანის უფლებების დარღვევისას უფლებების დაცვის მექანიზმის განმტკიცების, მოქალაქეებში ბიუროკრატიული სისტემის მიმართ დაუცველობის გრძნობის შემცირების, მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებისა და პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ჰუმანიზირების მიზნით.⁹⁹⁹

მთელს მსოფლიოში სახელმწიფო საქმიანობის კრიტიკის მიუხედავად, ომბუდსმენი ხელს უწყობს ადმინისტრაციისადმი ნდობის გაზრდას. სწორედ ამიტომ ეს ინსტიტუტი ითვლება აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში კანონიერებისა და სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცების მნიშვნელოვან ფაქტორად, არასასამართლო კონტროლის ფორმად. მისი მთავარი პრინციპია ადამიანის უფლებების დაცვა, განსხვავებული საპარლამენტო, სასამართლო, ადმინისტრაციული თუ სხვაგვარი კონტროლისა და ზედამხედველობის ფორმისგან.¹⁰⁰⁰

საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი) არის კონსტიტუციური ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას.¹⁰⁰¹

საქართველოს სახალხო დამცველი განიხილავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ განცხადებასა და საჩივარს იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი სადავოდ ხდის: (ა) საჯარო დანესებულების გადაწყვეტილებას; (ბ) სასა-

999 გ.მიქანაძე, სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში: პრობლემები და პრიორიტეტები, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 2002, გვ. 177

1000 გ.მიქანაძე, სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობისა და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2006, გვ. 212

1001 ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, მუხლი 3(1,2)

მართლო განხილვის პროცესში საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას ან დარღვევას; (გ) დაკავებული, დაპატიმრებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უფლებების დარღვევას; (დ) ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან შესაბამისობას; (ე) რეფერენდუმისა და არჩევნების მონესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობას.¹⁰⁰²

საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს¹⁰⁰³ (იხ. თავი „პრევენციის ეროვნული მექანიზმი“).

საქართველოს სახალხო დამცველი განიხილავს საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა ქმედებებს ან აქტებს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა, აგრეთვე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებებით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ, რომელთა მონანილაც არის საქართველო.¹⁰⁰⁴

სახალხო დამცველს უფლება აქვს არ განიხილოს განცხადება ან საჩივარი, რომლის თაობაზეც მას მიღებული ჰქონდა გა-

1002 იქვე, მუხლი 14(1)

1003 იქვე, მუხლი 3'(1)

1004 იქვე, მუხლი 13

დანყვეტილება, თუ არ წარმოიქმნება ახალი გარემოებანი.¹⁰⁰⁵

განცხადება და საჩივარი არ იბეგრება სახელმწიფო გადასახადით.¹⁰⁰⁶ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დაინტერესებული პირისათვის განეული სამსახური უფასოა.¹⁰⁰⁷ სახალხო დამცველი განიხილავს მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან დაკავშირებით.

განცხადება ან/და საჩივარი უნდა იყოს დაწერილი სახალხო დამცველის სახელზე, გარკვევით, ქართულ ენაზე, უნდა მოიცავდეს ძირითადი საკითხის, გარემოებების აღწერას და განმცხადებლის ზუსტ მისამართს. განცხადება ან/და საჩივარი შეიძლება სახალხო დამცველს გადაეგზავნოს ფოსტით ან მოქალაქემ უშუალოდ მიიტანოს სახალხო დამცველის ოფისში.

დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში მყოფ პირთა მიერ საქართველოს სახალხო დამცველისათვის გაგზავნილი განცხადებები, საჩივრები და წერილები კონფიდენციალურია, მათი გახსნა და ცენზურა აკრძალულია; ისინი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს საქართველოს სახალხო დამცველს.¹⁰⁰⁸

უფლებების დარღვევის შემთხვევაში სახალხო დამცველს შეუძლია:

- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფის, დაკავებულთა, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა პირობებისა და მათ მიმართ მოპყრობის გაუმჯობესების, აგრეთვე წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონპროექტებთან დაკავში-

1005 იქვე, მუხლი 14(2)

1006 იქვე, მუხლი 16(1)

1007 იქვე, მუხლი 16(2)

1008 იქვე, მუხლი 15

რებით წინადადებები, შენიშვნები და რეკომენდაციები წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს ან სხვა შესაბამის ორგანოს;

- ადამიანის დარღვეულ უფლებათა და თავისუფლებათა აღსადგენად წინადადებები და რეკომენდაციები გაუგზავნოს იმ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა;
- წინადადებით მიმართოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით, თუ საქმის განხილვის შედეგად მივა დასკვნამდე, რომ არსებობს დანაშაულის ნიშნები;
- შესაბამის ორგანოებში შეიტანოს წინადადებები იმ პირთა დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა;
- ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (*Amicus Curiae*) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აცნობოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით ჩატარებული შემონმების შედეგები;
- მიღებული გადაწყვეტილებები შეიტანოს ყოველწლიურ და სპეციალურ ანგარიშებში;
- წერილობით მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს, თუ მიიჩნევს, რომ მის განკარგულებაში არსებული რეაგირების საშუალებები არასაკმარისია;
- საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს კონსტიტუციური სარჩელით რეფერენდუმისა და არჩევნების მო-

მწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, ან თუ ნორმატიული აქტით ან მისი ცალკეული ნორმებით დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი;

- განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართოს საქართველოს პარლამენტს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნისა და პარლამენტის მიერ საკითხის განხილვის მოთხოვნით.¹⁰⁰⁹

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს წელიწადში ერთხელ, კალენდარული წლის მარტში წარუდგენს ანგარიშს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.¹⁰¹⁰ სახალხო დამცველის ანგარიშში უნდა მიეთითოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ის ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებიც არღვევდნენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, არ ითვალისწინებდნენ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ამ უფლებათა აღდგენის ღონისძიებების შესახებ.¹⁰¹¹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში უნდა შეიცავდეს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ზოგად შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს.¹⁰¹²

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს საგაზაფხულო სესიაზე ყოველწლიურ ანგარიშთან დაკავშირებით წარუდგენს მოხსენებას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ.¹⁰¹³

1009 იქვე, მუხლი 21

1010 იქვე, მუხლი 22(1)

1011 იქვე, მუხლი 22(2)

1012 იქვე, მუხლი 22(3)

1013 იქვე, მუხლი 22(4)

13.2 პრევენციის ეროვნული მექანიზმი

2009 წლის 16 ივლისს “სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად სახალხო დამცველის ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს.¹⁰¹⁴ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი ვალდებულია ითანამშრომლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის ორგანოებთან და მექანიზმებთან, აგრეთვე საერთაშორისო, რეგიონალურ და ეროვნულ ინსტიტუტებთან ან ორგანიზაციებთან.¹⁰¹⁵

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შექმნილია პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც რეგულარულად ამონმებს დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა მდგომარეობას და მათდამი მოპყრობას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან დაცვის მიზნით. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს სათანადო განათლება, პროფესიული გამოცდილება და საქმიანი და მორალური თვისებებით შეუძლია შეასრულოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციები. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულებისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები მოქმედებენ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნების საფუძველზე და ანგარიშვალდებული არიან მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველის წინაშე. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წე-

1014 იქვე, მუხლი 3'(1)

1015 იქვე, მუხლი 3'(3)

ვრებს უფლება აქვთ, არ მისცენ ჩვენება იმ ფაქტის გამო, რომელიც მათ გაანდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულებისას. მათ ეს უფლება უნარჩუნდებათ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც. არ შეიძლება სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრისთვის განკუთვნილ საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციაზე, საფოსტო გზავნილზე ყადაღის დადება, მათი შემონმება და ამოღება.¹⁰¹⁶

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ამონმებს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას.¹⁰¹⁷ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი: ა) ამონმის გარეშე, პირადად ან თარჯიმნის მეშვეობით ხვდება და ესაუბრება დაკავებულებს, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირებსა და მსჯავრდებულებს, ფსიქიატრიულ დანესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ აღნიშნულ პირთა უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ბ) ამონმებს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დანესებულებებში, დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში, აგრეთვე ფსიქიატრიულ დანესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირთა იქ ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.¹⁰¹⁸

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის შეხვედრა დაკავებულებთან, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან და მსჯავრდებულებთან, აგრეთვე ფსიქიატრიულ დანესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირებთან კონფიდენციალურია. რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი დაუშვებელია.¹⁰¹⁹

1016 იქვე, მუხლი 19¹

1017 იქვე, მუხლი 19(1)

1018 იქვე, მუხლი 19(2)

1019 იქვე, მუხლი 19(3)

საზოგადოებრივი მონიტორინგის გაძლიერების მიზნით, გაფართოვდა პრევენციის ეროვნულ მექანიზმში მონაწილე ექსპერტთა სია. 2013 წლის ივლისში სპეციალურმა კომისიამ შეარჩია 40 ექსპერტი, რომლებიც წარმოადგენენ 20-მდე არასამთავრობო ორგანიზაციას და მედია საშუალებებს, ასევე, არიან დამოუკიდებელი ექსპერტები, ხოლო 27 ექსპერტი აყვანილ იქნა რეზერვში.¹⁰²⁰

13.3 წამების საწინააღმდეგო გაეროს კომიტეტი და პრევენციის ქვე-კომიტეტი

წამების საწინააღმდეგო კომიტეტი გაეროს ადამიანის უფლებათა სისტემის ფარგლებში მოქმედი განსაკუთრებული ორგანოა, რომელშიც გაერთიანებული არიან დამოუკიდებელი ექსპერტები. მის უმთავრეს ფუნქციას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობა წარმოადგენს. კომიტეტი შედგება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში აღიარებული ათი ექსპერტისგან.¹⁰²¹

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა წამების საწინააღმდეგო გაეროს კომიტეტს უნდა წარუდგინონ წერილობითი მოხსენება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. კომიტეტი ამომებს მოხსენებას და ატარებს ოფიციალურ საჯარო შეხვედრას სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ერთად. კომიტეტი იღებს დამატებით ინფორმაციას არაოფიციალურად, სხვა წყაროებიდან, როგორცაა მაგალითად არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ პროცესის მიზანს წარმოადგენს კომიტეტის მიერ წევრ სახელმწიფოში წამებისა და ცუდი მოპყრობის შესახებ რეალური სურათის მიღება. აღნიშნულის დადგენის შემთხვევა-

1020 იხ. ექსპერტთა სია ვებ-გვერდზე: <http://ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&id=1747>

1021 წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კონვენცია, მუხლი 17(1)

ში, კომიტეტი გასცემს რეკომენდაციებს, რათა უკეთესად იქნას შესრულებული სახელმწიფოს მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები, წამების თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით.¹⁰²²

კომიტეტი ასევე ახორციელებს კონფიდენციალურ გამოძიებას სისტემური გამოძიების დასასაბუთებლად. ასეთი გამოძიება ჩატარდება, თუ კომიტეტი მიიღებს უტყუარ ინფორმაციას, რომელიც შეიცავს დასაბუთებულ მონაცემებ წამების სისტემატიურ გამოყენებაზე. კომიტეტი სთავაზობს თანამშრომლობას ნევრ სახელმწიფოს.¹⁰²³ კომიტეტმა, სახელმწიფოს თანხმობით, შესაძლოა გამოძიების ფარგლებში განახორციელოს ვიზიტი მის ტერიტორიაზე.¹⁰²⁴ მოპოვებული მასალის გამოკვლევის შემდეგ, კომიტეტი გადაუგზავნის სახელმწიფოს აღნიშნულ მასალას იმ კომენტარებთან ან წინადადებებთან ერთად, რომლებიც გამომდინარეობს არსებული სიტუაციიდან.¹⁰²⁵ ჩატარებულ გამოძიებასთან დაკავშირებული პროცედურების დასრულებისას, კომიტეტს შეუძლია შესაბამის სახელმწიფოსთან კონსულტაციის შემდეგ, ამ პროცედურის შედეგების მოკლე ანგარიში ჩართოს ყოველწლიურ მოხსენებაში.¹⁰²⁶ სახელმწიფოს თანხმობით კომიტეტის მიერ გამოცემული ერთ-ერთი ბოლო მოხსენება არის კონვენციის მე-20 მუხლის პირობების მიხედვით ჩატარებული გამოძიება მექსიკაში (2001-20026წ.).¹⁰²⁷

კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება აგრეთვე ინდივიდუალურ პირთა ან მათი სახელით წარდგენილი შეტყობინებების განხილვა, რომლითაც მათ მიმართ ხდება მონაწილე სახელმწი-

1022 წამების აღკვეთის პრაქტიკული სახელმძღვანელო, ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2006, გვ. 23

1023 წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კონვენცია, მუხლი 20(1)

1024 იქვე, მუხლი 20(3)

1025 იქვე, მუხლი 20(4)

1026 იქვე, მუხლი 20(5)

1027 Report on Mexico produced by the Committee under article 20 of the convention, and reply from the Government of Mexico : Mexico. 05/26/2003. CAT/C/75. at [http://www.unhchr.ch/tbs/doc.nsf/\(Symbol\)/f2950e0f6a5560f1c1256d5500535b97?OpenDocument](http://www.unhchr.ch/tbs/doc.nsf/(Symbol)/f2950e0f6a5560f1c1256d5500535b97?OpenDocument)

ფოს მიერ კონვენციით დადგენილი დებულებების დარღვევის შესახებ განცხადება. კომიტეტი არ იღებს ანონიმურ შეტყობინებებს. კომიტეტი ატყობინებს შესაბამის სახელმწიფოს წარდგენილი შეტყობინების თაობაზე. სახელმწიფო ვალდებულია ექვესი თვის ვადაში კომიტეტს წარუდგინოს საკითხთან დაკავშირებული წერილობითი ახსნა-განმარტება ან განცხადება იმ საშუალებებისა ან ზომების თაობაზე, რომელთა მიღებასაც შესაძლებლად თვლის.¹⁰²⁸

კომიტეტმა არ უნდა განიხილოს შეტყობინება, სანამ არ გაარკვევს, რომ: ა) იგივე საკითხი არ ყოფილა განხილული ან არ იხილება სხვა საერთაშორისო მექანიზმის ფორმატში; ბ) პირმა ამონურა ყველა ხელმისაწვდომი შიდა მექანიზმი.¹⁰²⁹ კომიტეტი შეტყობინებებს იხილავს დახურულ სხდომაზე.¹⁰³⁰ თავის დასკვნებს კომიტეტი უგზავნის მონაწილე სახელმწიფოსა და განმცხადებელს.¹⁰³¹

კონვენციის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული – წამების საწინააღმდეგო ქვე-კომიტეტი (შემდგომ ტექსტში „პრევენციის ქვე-კომიტეტი“). მისი მანდატია რეგულარული ვიზიტების დაწესება თავისუფლებალკვეთილ პირთა დაკავების ადგილებში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით.¹⁰³²

ფაკულტატური ოქმის მე-4(2) მუხლის თანახმად, თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს ნებისმიერი ფორმით დაკავებას ან დაპატიმრებას ან პირის მოთავსებას საერთო ან ცალკე იზოლატორში, რომლის დატოვებაც პირს არ შეუძლია სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა ორგანოს ბრძანების გარეშე. შესა-

1028 წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კონვენცია, მუხლი 22(1,3)

1029 იქვე, მუხლი 22(5)

1030 იქვე, მუხლი 22(6)

1031 იქვე, მუხლი 22(7)

1032 წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმი, მუხლი 1

ბამისად, პრევენციის ქვე-კომიტეტს შეუძლია ესტუმროს ისეთ ადგილებს, როგორცაა: დროებითი დაკავების იზოლატორი, საპატიმრო, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, არასრულწლოვანთა ცენტრი, საიმიგრაციო ცენტრი, საერთაშორისო სატრანზიტო ზონა, თავშესაფარი, ფსიქიატრიული დაწესებულება, ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილი.¹⁰³³

პრევენციის ქვეკომიტეტის მანდატს განეკუთვნება: ა) მოინახულოს მის კომპეტენციაში შემავალი ადგილები და დაწესებულებები და წარუდგინოს სახელმწიფოს სათანადო რეკომენდაციები თავისუფლებააღკვეთილ პირთა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისგან დაცვასთან დაკავშირებით; ბ) დაეხმაროს სახელმწიფოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნაში; გ) პირდაპირი და საჭიროების შემთხვევაში კონფიდენციალური ურთიერთობის შენარჩუნება პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან, მისი გაძლიერების ხელშეწყობა.¹⁰³⁴

პრევენციის ქვე-კომიტეტი თავის რეკომენდაციებსა და შენიშვნებს კონფიდენციალური წესით გადასცემს სახელმწიფოს და საჭიროების შემთხვევაში, პრევენციის ეროვნულ მექანიზმს. პრევენციის ქვე-კომიტეტი, შესაბამისი სახელმწიფოს მოთხოვნით, აქვეყნებს თავის ანგარიშს სახელმწიფოს მიერ წარდგენილ ნებისმიერ შენიშვნასთან ერთად. თუ სახელმწიფო საჯაროდ ხელმისაწვდომს გახდის ანგარიშის რომელიმე ნაწილს, პრევენციის ქვე-კომიტეტს შეუძლია ასეთი ანგარიშის გამოქვეყნება როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ. პირადი მონაცემები არ ექვემდებარება გამოქვეყნებას დაინტერესებული პირის მკაფიოდ ფორმულირებული თანხმობის გარეშე. თუ სახელმწიფო უარს იტყვის პრევენციის ქვე-კომიტეტთან თანამშრომლობაზე, ან მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ზომების მიღებაზე წარდგენილი რეკომენდაციების შესაბამისად, წამების საწინააღმდეგო გაეროს კომიტეტს, პრევენციის ქვე-კომიტეტის მოთხოვნით და თავისი წევრების ხმათა უმრავლესობით,

1033 წამების აღკვეთის პრაქტიკული სახელმძღვანელო, ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2006, გვ. 146-147

1034 იქვე, მუხლი 11

შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო განცხადების გაკეთების ან პრევენციის ქვე-კომიტეტის ანგარიშის გამოქვეყნების შესახებ, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება მხარის მოსაზრებები. პრევენციის ქვე-კომიტეტი ყოველწლიურად წარუდგენს წამების საწინააღმდეგო გაეროს კომიტეტს თავისი საქმიანობის ანგარიშს.¹⁰³⁵

2013 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით მსოფლიოს 69 ქვეყნამ (მათ შორის საქართველომ) მოახდინა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირება.¹⁰³⁶

13.4 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი¹⁰³⁷ დაარსდა ევროპის საბჭოს “წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა თუ დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის” საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 1989 წელს.¹⁰³⁸ იგი ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს: “არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას”.

წამების პრევენციის კომიტეტის სრული დასახელებაა “წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი”. ეს დასახელება გამოკვეთს ორ მნიშვნელოვან შტრისხს: პირველი, ის ფარავს ევროპას და, მეორე, მოიცავს არა მარტო “წამებას”, არამედ გარემოებათა ფართო სპექტრს, რაც შეიძლება გაუთანაბრდეს “არასათანადო ან ღირსების შემლახველ მოპყრობასა თუ დასჯას”.

1035 იქვე, მუხლი 16

1036 ინფორმაციის წყარო Association of Prevention of Torture ვებ-გვერდი: <http://www.ap.t.ch/en/opcat-database/>

1037 თავში მოცემული ინფორმაცია აღებულია წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდიდან, იხ. <http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-leaflet.pdf>

1038 იხ. <http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-convention.pdf>

წამების პრევენციის კომიტეტი არ არის საგამომძიებო ორგანო, არამედ ის უზრუნველყოფს არასამართლებრივ აღმკვეთ მექანიზმს თავისუფლებაალკვეთილ პირთა დასაცავად წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებისაგან. ამდენად, იგი ავსებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართლებრივ მუშაობას.

წამების პრევენციის კომიტეტის წევრები არიან სხვადასხვა პროფესიის მქონე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექსპერტები, მათ შორის, იურისტები, ექიმები და სპეციალისტები ციხისა ან პოლიციის საკითხებში.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ირჩევს თითო წევრს თითოეული წევრი სახელმწიფოდან. ეს წევრი მოქმედებს პირადი შესაძლებლობების ფარგლებში (ანუ არ წარმოადგენს იმ სახელმწიფოს ინტერესებს, რომლიდანაც ის შეირჩა). დამოუკიდებლობის გარანტიისათვის, წევრები არ მიდიან ვიზიტით იმ ქვეყნებში, საიდანაც ისინი შეირჩნენ.

წამების პრევენციის კომიტეტის სამდივნო შეადგენს ევროპის საბჭოს “ადამიანის უფლებათა და სამართლებრივ საქმეთა დეპარტამენტის” ნაწილს.

წამების პრევენციის კომიტეტი ორგანიზებას უწევს ვიზიტებს დაკავების ადგილებში, რათა შეაფასოს თუ როგორ ეპყრობიან თავისუფლებაალკვეთილ პირებს. ეს ადგილები მოიცავს: ციხეებს, არასრულწლოვანთა დაკავების ადგილებს, პოლიციის განყოფილებებს, იმიგრირებულ პირთა დაკავების ადგილებს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს, სოციალური დაცვის სახლებსა და სხვ.

ჩვეულებრივ, ვიზიტებს ახორციელებენ დელეგაციები, შემდგარი კომიტეტის რამდენიმე წევრისაგან. დელეგაციას თან ახლავს კომიტეტის სამდივნოს თანამშრომლები და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ექსპერტები და თარჯიმნები.

წამების პრევენციის კომიტეტის დელეგაციები ვიზიტებს ახორციელებენ პერიოდულად (ჩვეულებრივ, 4 წელიწადში ერთხელ), თუმცა, აუცილებლობის შემთხვევაში ხორციელდება დამატებითი საგანგებო ვიზიტები, ე.წ. „*ad hoc*“ ვიზიტები.¹⁰³⁹

1039 საქართველოში 2012 წლის დასასრულს განხორციელებული ვიზიტი,

კომიტეტმა უნდა აცნობოს შესაბამის სახელმწიფოს, რომ აპირებს ვიზიტის განხორციელებას. შეტყობინების შემდეგ დელეგაციას შეუძლია ნებისმიერ დროს მივიდეს ნებისმიერ ისეთ ადგილას, სადაც თავისუფლებაა ლკვეთილი პირი შეიძლება იყოს.

წამების პრევენციის კომიტეტის დელეგაციები სარგებლობენ შეუზღუდავი შესვლისა და გადაადგილების უფლებით დაკავების ადგილებში. ისინი პირადად ესაუბრებიან თავისუფლებაა ლკვეთილ პირებს და ასევე თავისუფლად უკავშირდებიან ნებისმიერ ადამიანს, ვისაც კი შეუძლია ინფორმაციის მიწოდება.

თითოეული ვიზიტის შემდეგ წამების პრევენციის კომიტეტი შესაბამის სახელმწიფოს უგზავნის დეტალურ ანგარიშს. ეს ანგარიში მოიცავს წამების პრევენციის კომიტეტის მოპოვებულ მონაცემებს, მის რეკომენდაციებს, შენიშვნებსა და მოთხოვნებს გარკვეული ინფორმაციის მიწოდებაზე. წამების პრევენციის კომიტეტი მოითხოვს ასევე დეტალურ პასუხს ანგარიშში დასმულ საკითხებზე. ეს ანგარიშები და პასუხები ქმნიან ერთგვარ დიალოგს შესაბამის სახელმწიფოებთან.

საერთაშორისო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც დაარსებულია წამების პრევენციის კომიტეტი, ითვალისწინებს თანამშრომლობისა და კონფიდენციალურობის პრინციპებს.

ეროვნულ ხელისუფლებებთან თანამშრომლობა წამების პრევენციის კომიტეტის მუშაობის ქვაკუთხედაა, რამდენადაც მუშაობის მიზანია თავისუფლებაა ლკვეთილ პირთა დაცვა და არა სახელმწიფოს დადანაშაულება სასტიკი და არასათანადო მოპყრობისათვის.

წამების პრევენციის კომიტეტის მეორე მახასიათებელია კონფიდენციალურობა: კომიტეტის მოპოვებული მონაცემები, მისი ანგარიშები და მთავრობის პასუხები, კონფიდენციალურია. მიუხედავად ამისა, ინფორმაციის დიდი ნაწილი წამების პრევენციის კომიტეტის მუშაობის შესახებ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია.

სწორედ ამგვარ საგანგებო ვიზიტს წარმოადგენდა. იხილეთ ვიზიტის ამსახველი ანგარიში ვებ-გვერდზე <http://www.cpt.coe.int/documents/geo/2013-18-inf-eng.pdf> და მთავრობის ოფიციალური პასუხი ვებ-გვერდზე <http://www.cpt.coe.int/documents/geo/2013-19-inf-eng.pdf>

თავად სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს წამების პრევენციის კომიტეტის ანგარიშის გამოქვეყნება, მისივე პასუხებთან ერთად. ამჟამად, სახელმწიფოთა უმეტესობა ამჯობინებს ამ დოკუმენტების გამოქვეყნებას.¹⁰⁴⁰

თუ სახელმწიფო არ თანამშრომლობს წამების პრევენციის კომიტეტთან ან უარს ამბობს, გააუმჯობესოს არსებული ვითარება კომიტეტის რეკომენდაციების კვალად, კომიტეტმა შეიძლება გადაწყვიტოს “საჯარო განაცხადის” გაკეთება.

საქართველოში წამების პრევენციის კომიტეტმა პირველი ვიზიტი 2001 წელს, ხოლო ბოლო – 2012 წელს განახორციელა.¹⁰⁴¹ საქართველოს მთავრობამ მოითხოვა ყველა ანგარიშის გასაჯაროვება. 2012 წლის ანგარიში 2013 წლის 31 ივლისს გასაჯაროვდა.

გარდა ამისა, წამების პრევენციის კომიტეტი შეიმუშავებს “საერთო ანგარიშს” მისი საქმიანობის შესახებ, რომელიც ქვეყნდება წელიწადში ერთხელ.¹⁰⁴²

1040 წამების პრევენციის კომიტეტის ვიზიტების ანგარიშები, მთავრობების პასუხები, საჯარო განცხადებები და ზოგადი ანგარიშები ხელმისაწვდომია წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ვებ გვერდზე (www.cpt.coe.int)

1041 საქართველოში ვიზიტების ამსახველი ანგარიშები და მთავრობის მიერ მომზადებული ოფიციალური პასუხი შესაძლოა იხილოთ ვებგვერდზე <http://www.cpt.coe.int/en/states/geo.htm>

1042 წამების პრევენციის კომიტეტმა შეიმუშავა თავისუფლებააღკვეთილ პირთა მოპყრობასთან დაკავშირებული სტანდარტები. აღნიშნული სტანდარტები გამოქვეყნებულია ბროშურაში “წამების პრევენციის კომიტეტის სტანდარტები” [CPT/Inf/E (2002) 1]. იხ. <http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf>

ბიბლიოგრაფია

ადამიანის უფლებები და სასჯელალსრულების დაწესებულებები – მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, პროფესიული ტრენინგების სერია №11, საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის პუბლიკაცია, ნიუ-იორკი და ჟენევა 2005, თბილისი 2007.

ბალიაშვილი, მ.

სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი 2010.

ბოხაშვილი, ბ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. თბილისი 2004.

ბოხაშვილი, ბ. /

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები – პრეცედენტული სამართალით დადგენილი უახლესი სტანდარტები. ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები. **კორკელია, კ. (რედ.)**, სტატიათა კრებული. თბილისი 2009.

ბურჯანაძე, გ.

ამნისტიის განხორციელების უფლებამოსილება და ადამიანის უფლებები. **კ. კორკელია (რედ.)** ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა. სტატიათა კრებული. თბილისი 2013. გვ.9-29

გაბრიჩიძე, გ. /

თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. **კორკელია, კ. (რედ.)**, თბილისი 2006.

გაეროს სახელმწიფოებრივ ორგანოთა დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეორე და მესამე პერიოდულ ანგარიშებზე, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის გამოცემა, თბილისი 2008.

გამყრელიძე, ო.

სისხლის სამართლის პრობლემები. მესამე ტომი. თბილისი 2013.

გიდენსი, ე.

სოციოლოგია. თბილისი 2011.

გივიაშვილი, ი.

გადანყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პროცედურული მოთხოვნა და მისი კავშირი დემოკრატიასთან. ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამონწვევები. **კორკელია, ვ. (რედ.)**. სტატიათა კრებული. თბილისი 2012.

დემეტრაშვილი, ა. /კობახიძე, ი.

კონსტიტუციური სამართალი. თბილისი 2011.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №(99)22 ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე, მუხლი 7, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები სასჯელალსრულებისა და პრობაციის სფეროში, ს.ს.ი.პ. სასჯელალსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები სასჯელალსრულებისა და პრობაციის სფეროში, სასჯელალსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა. თბილისი 2008.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №(2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ. პრობაციის საერთაშორისო სტანდარტების კრებული – სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის, თბილისი 2010.

ერემაძე, ქ.

ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში. თბილისი 2013.

ვოდალაზკი, ბ. ბაკუტინი, ი.

დანაშაულებრივი დაჯგუფებები, მათი წესები, ტრადიციები და „კანონები“, ომსკი, 1979.

ზაალიშვილი, თ.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, მისი ელემენტები და ადამიანის ღირსების უფლება - საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის საფუძველი. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, 2012.

ზოიძე, ბ.

საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა კონტროლი საქართველოში. თბილისი 2007.

ზოიძე, ბ.

სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა: უპრატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში. თბილისი 2013.

თუმანიშვილი, გ.

პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, 2009, №1.

იზორია, ლ.

თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია. თბილისი 2009.

იზორია, ლ.

ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი. ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში. სტატიათა კრებული. თბილისი 2002.

იზორია, ლ.

საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. (მუხლი 39). თბილისი 2013.

კალჭუნი, ქ./ლაითი, დ. / კელერი, ს.

სოციოლოგია (თავები 2,3,4). თბილისი 2007.

კალჭუნი, ქ. / ლაითი, დ./ კელერი, ს.

სოციოლოგია (თავები 5-13). თბილისი 2007.

კაჟაშვილი, გ.

კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნის პრინციპები. ზურაბ ახვლედიანის 80 წლის საიუბილეო გამოცემა (დავით ბატონიშვილის ინსტიტუტის სტატიათა კრებული). თბილისი 2013.

კობახიძე, ი.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, N1, 2013, გვ. 307-327.

კოილი, ე.

პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან – სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისთვის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა. თბილისი 2007.

კორკელია, კ.

როგორ უზრუნველყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით. თბილისი 2010.

კოსტიუკოვსკი, ი.

რუსული ორგანიზებული დანაშაულის ისტორია. www.nar-com.ru/cabinet/online12.html.

კუბლაშვილი, კ.

ძირითადი უფლებები. თბილისი 2003.

კუბლაშვილი, კ. /

სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველო კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. **კორკელია, კ. (რედ.)**. სტატიათა კრებული. თბილისი 2006

ლაცაბიძე, გ.

განვითარების თეორიები. მეორე გამოცემა. თბილისი 2010

ლობჯანიძე, გ. / ლლონტი, გ.

კანონიერი ქურდები საქართველოში. თბილისი 2004.

ლობჯანიძე, გ.

ორგანიზებული დანაშაულობა და ხელისუფლება, ქუთაისი, 2010.

ლოლაძე, ბ.

სოციალური სახელმწიფო -საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის? ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები. **კორკელია, კ. (რედ.)**, სტატიათა კრებული. თბილისი 2012.

მიქანაძე, გ.

არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებალკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, თბილისი 2008.

მიქანაძე, გ.

სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობისა და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი 2006.

მიქანაძე, გ.

ევროპის ომბუდსმენები, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ –ს გამოცემა, თბილისი 1999.

მიქანაძე, გ.

სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში: პრობლემები და პრიორიტეტები, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 2002.

მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ქ.

სანქციები არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში გერმანული კანონმდებლობის მიხედვით. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები. ლეკვეიშვილი, მ./შალიკაშვილი, მ. (რედ.). სტატიათა კრებული. თბილისი 2011.

ნაჭყებია, გ. /დვალიძე ი. (რედ.).

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი: სახელმძღვანელო. თბილისი 2007.

ნაჭყებია, გ. / გორაშვილი, გ. / მამულაშვილი, გ. / თოდუა, ნ. / გოგშელიძე, რ. სულაქველიძე, დ. / დვალიძე, ი.

ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაცია და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბილისი 2012.

ნიკოლაიშვილი გ.

საქართველოს ციხეები. თბილისი 2001.

ნიკოლეიშვილი კ.

თავისუფლებადკვეთილ პირთა საარჩევნო უფლება: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო

სტანდარტებთან. კ. კორკელია (რედ.) ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა. სტატიათა კრებული. თბილისი 2013. გვ. 237-265.

პაპუაშვილი, ს.

თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობა-სა და პრაქტიკაზე. **კორკელია, კ. (რედ.)**. სტატიათა კრებული. თბილისი 2006.

პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები. პრაქტიკული სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო წესების ეფექტური გამოყენებისათვის. თბილისი 2000.

პატნემი, რ. დ.

როგორ ვამუშაოთ დემოკრატია. თბილისი 2005.

პოდლესკიხი, გ./ ტერეშენოკოვი, ა.

კანონიერი ქურდები: ნახტომი ხელისუფლებისკენ, ქუთაისი, 1995.

რაზინკინი, ვ./ ტატბარინი, ა.

კრიმინალური სამყაროს ელიტა. მოსკოვი 1997.

საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში. გვ. 12, 122-126.

საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს უწყებები. 1971. N12.

ტურავა, მ.

დანაშაულის მოძღვრება. თბილისი 2011.

ტურავა, მ.

წამება და წამების მუქარა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად... სისხლისსამართლებრივად ნებადართული ღონისძიება? (ეროვნული და ევროპული მიდგომები მაგნუს გეფგენის საქმის მიხედვით. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო. კორკელია, კ. (რედ.). სტატიათა კრებული. თბილისი 2011.

ტურავა, მ.

საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. (მუხლი 42). თბილისი 2013.

ტულუში, თ./ ბურჯანაძე, გ./ მშვენიერაძე, გ./ გოცირიძე, გ./ მენაბდე, ვ.

ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. თბილისი 2013.

ქირია, ა.

სამართლის ეკონომიკური ანალიზი და მისი მეთოდოლოგიური საზღვრები. ი. ბურდული (რედ.) საკორპორაციო სამართლის კრებული II. თბილისი 2014

შალიკაშვილი, მ.

არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები. თბილისი 2013.

შალიკაშვილი, მ. / მიქანაძე, გ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები. თბილისი 2011.

შალიკაშვილი, მ./ჩიხლაძე,დ.

პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისათვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი 2013.

შალიკაშვილი, მ.

კრიმინოლოგია. მეორე გამოცემა. თბილისი 2011.

შალიკაშვილი, მ.

ძალადობის კრიმინოლოგია. თბილისი 2012.

შალიკაშვილი, მ.

ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ. თბილისი 2011.

შვაბე, ი.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები. თბილისი 2011.

ჩიქოზავა, არნ. (მთ. რედ.).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი 1986.

ციხეში ჯანმრთელობის დაცვის საკითხების მარეგულირებელი ევროპის საბჭოს რეკომენდაციებისა და სტანდარტების კრებული. თბილისი 2012.

ციხის პერსონალის გადამზადების სახელმძღვანელო, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი/იუსტიციის სამინისტრო. თბილისი 2005.

ცნობილაძე, პ. (რედ.).

კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართალი. ცნობარი. თბილისი 1998.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, ევროპის საბჭოს გამოცემა. თბილისი 2014.

ნამების აღკვეთის პრაქტიკული სახელმძღვანელო, ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2006.

ჭანტურია, ლ.

სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი 2011.

ხასია, მ.

პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა სახელმძღვანელო. თბილისი 2008.

ხეცურიანი, ჯ.

ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში. თბილისი 2011.

ხუბუა, გ.

სამართლის თეორია. თბილისი 2004.

ხუბუა, გ. / თორთლაძე, ლ. (რედ.),

განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი. თბილისი 2012.

Александров, Ю. К.

очерки криминальной субкультуры, 2001.

Вакутин, Ю. А.

Словарь жаргонных слов и выражений. Татуировки, Омск , 1979.

Blais, A. / Massicotte, L. / Yoshinaka, A.

Deciding Who Has the Right to Vote: a Comparative Analysis of Election Laws, Electoral Studies, 20, 2001.

Briant, S.

The requirements of prisoners voting rights: mixed messages from Strasbourg, The Cambridge Law Journal, Volume 70, Issue 02, July 2011.

Calliess, R-P. / Müller-Dietz, H.

Strafvollzugsgesetz-Kommentar. München 2000.

Clemmer, D.

The Prison Community. New York 1958.

Cornel, H. / Kavamura-Reindl, G. / Maelicke, B. / Sonnen, B.R. (Hrsg.).

Resozialisierung. 3. Auflage. Baden-Baden 2009.

Drenkhahn, K.

Langstrafenvollzug und Menschenrechte. In: Neue Kriminalpolitik 1/2009.

Diemer, H. / Schoreit, A. / Sonnen, B-R.

Jugendgerichtsgesetz. Kommentar. 3. Auflage. Heidelberg 1999.

Dünkel, F./ Geng, B.

Fakten zur **Überbelegung** im Strafvollzug und Wege zur Reduzierung von Gefangenenraten. In: Neue Kriminalpolitik 3/2004.

Dunkel, F.

Kommentierung §57 StGB, in U. Kindhauser, U. Neumann and H. Paeffgen (eds) Nomos Kommentar zum Strafgesetzbuch. Vol. 1 (3rd edn.). Baden-Baden: Nomos Verlag

Eisenberg, U.

Jugendgerichtsgesetz. Kommentar. 11. Auflage. München 2006.

Goffman, E.

Asyle. Über die soziale Situation psychiatrischer Patienten und anderer Insassen. Frankfurt am Main 1972.

Greve, W. /Hosser, D./ Pfeiffer, Ch.

Gefängnis und die Folgen. Identitätsentwicklung und kriminelles Handeln während und nach Verbüßung einer Jugendstrafe. KFN Bericht #64. . Hannover 1997.

Gratz, W.

Das System Gefängnis oder: ist das Gefängnis mit System zu ändern?
In: Neue Kriminalpolitik 1995.

Gratz, W.

Voraussetzung und Möglichkeiten wirksamer Autoritäten im Strafvollzug. In: Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe (ZfStrVo) 1999.

Harbordt, S.

Die Subkultur des Gefängnisses. Eine soziologische Studie zur Resozialisierung. Stuttgart 1967.

Hufen, F.

Staatsrecht II. Grundrechte. München 2007.

Hürlimann, M. M.

Führer und Einflußfaktoren in der Subkultur des Strafvollzugs. Pfaffenweiler 1993.

Irvin, J./Cressey, D.R.,

Thieves, Convicts and the Inmate Culture. Social Problems 10/1964.
S. 142-155.

Jacobs&White,

The European Convention on Human Rights, 2002.

Jehle, J-M.

Ein Problemabriss unter Datenschutzaspekten. In: J-M. Jehle (Hrsg.),
Datenzugang und Datenschutz in der kriminologischen Forschung. Wiesbaden 1987.

Kaiser, G. / Kerner H-J, / Schöch H,

Strafvollzug. Ein Lehrbuch. Heidelberg 1982.

Kaiser, G.

Kriminologie. 3. Auflage. Heidelberg 1996.

Kawamura-Reindl, G.

Entlassung nach langem Freiheitsentzug – Voraussetzungen und Erfordernisse für eine Rückkehr in die Gesellschaft. In: Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe. Heft 5, 2004.

Klingemann, H. u.a,

Prüfung der kulturellen Übertragungstheorie und der strukturell-funktionalen Theorie als Erklärungsansätze für die Insassensubkultur im Jugendstrafvollzug. In: Kriminologisches Journal 1978.

Kommentar zum Srafvollzugsgesetz. 3. Auflage. Darmstat 1990.

Laubenthal, K.

Strafvollzug. Sechste Auflage. Heidelberg 2011.

Levy, R.

Pardon and Amnesties as Policy Instruments in Contemporary France (2007) 36, Crime and Justice, pp 551-590

Making Standards Work, Penal Reform International, 2006, 1-8

Mbodla, N.

Should Prisoners Have a Right to Vote?, Journal of African Law, Vol. 46, No. 1, 2002.

Meier, A.

Subkultur im Jugendstrafvollzug im Kontext von Jugendlichen-biographien. In: Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe (ZfStrVo) 2002.

Opp, K-D.

Abweichendes Verhalten und Gesellschaftsstruktur. Neuwid 1974. S. 60.

N. Padfield, D. van Zyl Smit and F. Dunkel,

Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010.

Preusker, H.

Stationen im Vollzug der lebenslangen Freiheitsstrafe. In: W. Nickolai/R. Reindl, Lebenslänglich –Zur Diskussion um die Abschaffung der lebenslänglichen Freiheitsstrafe. Freiburg 1993.

Schneider, H.J.

Kriminologie der Gewalt. Leipzig 1994.

Schönke, A. / Schröder, H.

Strafgesetzbuchkommentar. 27. Auflage, München 2006.

Schrag, C.

Some Foundation for a Theory of Correction. In: D. Cressey, (Ed.): The Prison. New York 1964.

Statutory instruments, S.I. No. 252 of 2007, Prison Rules, 2007. Published by the stationery office Dublin To be purchased directly from the Governement Publications Office.

Sykes, G. M

The society of captives. A Study of Maximum Security Prisons. Princeton 1958.

Tubex , H. / Tournier, P.V. (2003)

Study of Conditional Release (Parole) in the Member States, Analysis of Replies to the General Questionnaire (Council for Penological Co-operation, PC-CP (2000) 24 Rev 4 [restricted]

van Zyl Smit, / D. Snacken, Sonja

Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights, Oxford University Press Inc., New York, 2011.

Уголовно-исполнительные Кодексы, Уголовно-исполнительный Кодекс Украины, статья 148(1), Донецкий Мемориал, Донецк 2004.

სასამართლო გადაწყვეტილებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (BverGE) 35, 202 - ლებახის საქმე.

გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BverfGE) 45, 187 (229).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება.

Kadikis v. Latvia, (განაცხადი №62393/00, 2006 წლის 4 მაისი).

Peers v. Greece (განაცხადი №28524, 2001 წლის 5 აპრილი).

Poghosian v. Georgia (განაცხადი №9870/07, 2009 წლის 24 თებერვალი).

Ghvtadze v. Georgia (განაცხადი №23204/07, 2009 წლის 3 მარტი)

CASE of ALIEV v. GEORGIA (#522/04)

კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (განაცხადი 47095/99) Kalashnikov v. Russia (სტრასბურგი 15 ივლისი 2002 წელი) განაცხადი - 1998 წლის 1 დეკემბერი

CASE of RAMISHVILI And KOKHREIDZE v. GEORGIA (#1704/06)

მოჰინი-მეთიუ და კლერფაუტი ბელგიის წინააღმდეგ (Mathieu-Mohin and Clerfayt v Belgium), 1987 წლის 2 მარტი.

საუვე კანადის წინააღმდეგ (Sauve v. Canada) (no. 1), [2002] 3 S.C.R. 519.

ავგუსტი და სხვები საარჩევნო კომისიისა და სხვების წინააღმდეგ (*August and another v. Electoral Commission and others*) (CCT8/99: 1999 (3) SA 1).

ფროლდი ავსტრიის წინააღმდეგ (*Frold v Austria*), 2010 წლის 8 აპრილი.

სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ (*Scopolla v Italy*), (no. 3), 2012 წლის 22 მაისი.

გრინსი და მ.ტ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Greens and M.T. v UK*), 2010 წლის 23 ნოემბერი.

ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Hirst v UK*) (No. 2), განაცხადი No. 74025/01, 2005 წლის 6 ოქტომბერი, 32-ე პუნქტი.

საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საკონსტიტუციო სარჩელი №431, N2/1/431, ქ. ბათუმი, 2008 წლის 31 მარტი.

კაფკარისი კვიპროსის წინააღმდეგ (*Kafkaris v. Cyprus*), 12 თებერვალი 2008 წელი, 98-ე პუნქტი.

სტაფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Stafford v. United Kingdom*) 28 მაისი 2002 წელი

გუვეჩი თურქეთის წინააღმდეგ (*Guvec v Turkey*), 2009 წლის 20 იანვარი

გამოყენებული ინტერნეტ-საიტები

საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა პარლამენტში 2006 წლის 14 თებერვალს.

<http://www.civil.ge/geo/article.php?id=11761>.

საერთაშორისო გამჭვირვალობა: 2012 წლის კორუფციის აღქმის ინდექსი საქართველოში. <http://transparency.ge/post/corruption-perception-index-cpi/2012-tslis-koruptsiis-aghkmis-indeqsi>.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2011 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ. <http://ombudsman.ge/uploads/other/0/85.pdf> .

საქართველოს პრეზიდენტის განცხადება, 19.09.2012წ. <http://www.ambebi.ge/politika/61187-mikheil-saakashvili-realurad-mokhda-sistemuri-marckhi.html>.

ჟურნალ „რეიტინგის“ სტატია, თბილისი, 10.03. 2003წ.

<http://www.reitingi.ge/aqtualuri-sakhe/1511-ratom-gakhda-jaba-ioseliani-qurdi-disertacia-thurme-chemma-dam-damitsera.html?lang=ka-GE>.

General Comments NO. 10 (2007) Children’s rights in juvenile justice, COMMITTEE ON THE RIGHTS OF THE CHILD, Forty-fourth session Geneva, 15 January – 2 February 2007, pg. 23-24, AT

<http://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/GC10-en.doc>

Report to the Turkish Government on the visit to Turkey carried by the CPT from 16 to 29 March 2004 (CPT/Inf2005)18, paragraph 73),

www.cpt.coe.int

Life Imprisonment, United Nations Office at Vienna, Crime Prevention and Criminal Justice Branch, Vienna, 1994

<http://www.penalreform.org/wp-content/uploads/2013/06/UNO-DC-1994-Lifers.pdf>

11th General Report of the CPT's Activities, CPT/Inf (2001)16, paragraph 33,

<http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-11.htm#-Toc523890680>

Dead Inside, Prison Reform Trust, 2013

<http://www.prisonreformtrust.org.uk/ProjectsResearch/Mental-health/TroubledInside/Deadinside>

Report on Mexico produced by the Committee under article 20 of the convention, and reply from the Government of Mexico : Mexico. 05/26/2003. CAT/C/75. At:

[http://www.unhcr.ch/tbs/doc.nsf/\(Symbol\)/f2950e0f6a5560f1c-1256d5500535b97?Opendocument](http://www.unhcr.ch/tbs/doc.nsf/(Symbol)/f2950e0f6a5560f1c-1256d5500535b97?Opendocument)

www.statistics.ge

<http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-02.htm#III.b>.

<http://prisonstudies.org/info/worldbrief/wpb-country.php?country=122>

www.cpt.coe.int/documents/geo/2013-19-inf-eng.pdf

<http://www.cpt.coe.int/documents/geo/2013-18-inf-eng.htm#-Toc352679620>

<http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-16.pdf>

<http://www.internet.ge/?l=GE&m=6&sm=0&ID=12138>.

<http://www.probation.gov.ge> (25.02.2014)

<http://www.probation.gov.ge/cms/site-images/pdf/oriatascameti.pdf>, 2014 wlis 22 Tebervlis mdgomareobiT.

<http://www.justiz.bayern.de/gericht>;

<http://ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&id=1747>

<http://www.apr.ch/en/opcat-database/>

<http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-leaflet.pdf>

<http://www.cpt.coe.int/documents/geo/2013-18-inf-eng.pdf>

<http://www.cpt.coe.int/documents/geo/2013-19-inf-eng.pdf>

www.cpt.coe.int

<http://www.cpt.coe.int/en/states/geo.htm>

<http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf>

სარჩევი

შესავალი	5
პირველი თავი	7
სასჯელალსრულების სამართლის ადგილი	
სამართლის სისტემაში	7
1.1 სასჯელალსრულების სამართლი და მისი ადგილი სამართლის სისტემაში	7
1.2 სასჯელალსრულების სამართლის მიზანი, პრინციპები და მოქმედების სფერო.....	9
1.3 კონსტიტუციური პრინციპები სასჯელალსრულების სამართალში	20
1.3.1 სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი.....	20
1.3.2. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი.....	29
1.3.3. სამართლის ეკონომიკური ანალიზი	34
1.3.4. წამების აკრძალვა	35
1.3.5 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა	49
1.3.6 უფლებების შეზღუდვა სასჯელალსრულების დანესებულებებში	56
1.4 სასჯელალსრულების სამართლის კრიმინოლოგიური ასპექტები	57
1.4.1 კრიმინოლოგიური კვლევის მნიშვნელობა	58
1.4.2 მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მნიშვნელობა	67
მეორე თავი	69
სასჯელალსრულების დანესებულებებისა და	
მსჯავრდებულთა სტატისტიკური ანალიზი	69
2.1 სასჯელალსრულების დანესებულებათა რაოდენობა.....	69
2.2 სასჯელალსრულების დანესებულებათა ლიმიტი	70
2.3 ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სტატისტიკა	71

მესამე თავი	73
სასჯელალსრულების დანესახულების მიზანი.....	73
3.1 საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა	73
3.2 მსჯავრდებულის რესოციალიზაცია	74
მეოთხე თავი	85
სასჯელალსრულების დანესახულების პერსონალი	85
4.1 სასჯელალსრულების პერსონალი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით	85
4.2 სასჯელალსრულების პერსონალი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით	99
4.3 სასჯელალსრულების პერსონალის კრიმინოლოგიური ასპექტი	109
მეხუთე თავი.....	115
ბრალდებულის/მსჯავრდებულის	
სასჯელალსრულების დანესახულებაში მიღება.....	115
5.1 სასჯელალსრულების დანესახულებაში მიღება	115
5.2 რეგისტრაცია/რეესტრი.....	123
5.3 გადაყვანა სასჯელის მოსახდელად	125
მეექვსე თავი.....	132
მსჯავრდებულის უფლებები.....	132
6.1 ადეკვატური საცხოვრებელი პირობები.....	133
6.2 სუფთა ჰაერზე ყოფნა.....	144
6.3. ჰიგიენა.....	148
6.4 თეთრეული და ტანსაცმელი	155
6.5 კვება	160
6.6 უფლება სოციალურ ურთიერთობაზე გარე სამყაროსთან (მომონერა, სატელეფონო საუბრები, ურთიერთობა ადვოკატთან, პაემანი და სხვა).....	166

6.7 უფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე	187
6.8 განათლების უფლება.....	192
6.9 შრომის უფლება	201
6.10 ჯანმრთელობის დაცვის უფლება	209
6.11 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა	224
6.12 საარჩევნო უფლება	231

მეშვიდე თავი.....249

სასჯელდღესასწაულის სისტემის გადატვირთულობა და მისი აღმოფხვრის მექანიზმები..... 249

7.1. გადატვირთულობა.....	249
7.2 გადატვირთულობის პრობლემის მოხსნის მექანიზმები	252
7.2.1 სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა	252
7.2.2 ამნისტია და შეწყალება.....	269
7.2.3 ავადმყოფობის და ხანდაზმულობის გამო სასჯელისგან გათავისუფლება	276
7.2.4 განაჩენის აღსრულების გადავადება.....	280
7.2.5 სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა და მისი აღსრულება	283

მერვე თავი

მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა მოვალეობები და პასუხისმგებლობის სახეები

8.1 მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა მოვალეობები	290
8.2 ბრალდებულის/მსჯავრდებულის დისციპლინური პასუხისმგებლობა	295
8.2.1 საკანონმდებლო რეგულირება	295
დისციპლინის დარღვევა	296
8.2.2 არსებული მდგომარეობის ანალიზი	306
8.3 მსჯავრდებულის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა	308

მეცხრა თავი 312

**განსაკუთრებული კატეგორიის პატიმრები
(მიუსჯეული პატიმრები, რელიგიური უმცირესობები,
შხმ პატიმრები, უცხოელი პატიმრები)..... 312**

9.1 უცხოელი პატიმრები 312

9.2 მიუსჯეული პატიმრები..... 318

9.3 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სულიერად
დაავადებული და ფსიქიკური დარღვევების მქონე და
ხანდაზმული პატიმრები..... 330

9.4 რელიგიური უმცირესობები..... 339

9.5 არასრულწლოვან ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ
პირთა მიერ სასჯელის მოხდის თავისებურებანი 344

9.5.1 არასრულწლოვანი პატიმრები 344

9.5.2 ქალი პატიმრები 376

9.5.3 უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები 387

მათე თავი..... 401

კრიმინალური სუბკულტურა 401

10.1 კრიმინალური სუბკულტურა პენიტენციურ სისტემაში 401

10.1.1 დეპრივაციის თეორია..... 405

10.1.2 კულტურული გადატანის თეორია 409

10.2 კრიმინალური სუბკულტურის განვითარების ეტაპები 410

10.2.1 კრიმინალური სუბკულტურის პირველი ეტაპი – (20-
50-იანი წლები) – სტალინის მმართველობის პერიოდი და
კანონიერი ქურდების პირველადი ფორმა 411

10.2.2 კრიმინალური სუბკულტურის მეორე ეტაპი – (60-70-იანი
წლები) - ე.წ. პოსტსტალინისტური პერიოდი და მაფიოზური
ტიპის პირველი ორგანიზებულ დანაშაულებრივი
ჯგუფები..... 416

10.2.3 კრიმინალური სუბკულტურის მესამე ეტაპი - (80-იანი წლები) ორგანიზებული დანაშაულის საბოლოო ფორმირება საბჭოთა კავშირში.....	418
10.2.4 კრიმინალური სუბკულტურის მეოთხე ეტაპი (90-იანი წლები) - საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება და დანაშაულებრივი კლანები; „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის ტრანსფორმირების პროცესი დასავლური ტიპის განგსტერულ-მაფიოზურ დაჯგუფებების მსგავს კრიმინალურ ორგანიზაციებად.....	419
10.2.5 კრიმინალური სუბკულტურის მეხუთე ეტაპი (2003-2012 წლები) - „კანონიერი ქურდები“ 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ	420
10.3 „ქურდული კანონები“	423
10.4 „ქურდული სანქციები“	429
10.5 „კანონიერ ქურდად“ კურთხევა - „ნათლობა“	431
10.6 იერარქია.....	434
10.7 საერთო კრება - „სხოდკა“	444
10.8. ქურდული საერთო, „ობშიაკი“	449
10.9 ჟარგონი	453
10.10 ტატუირება, „ნაკოლკა“	453
10.11 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის დამოკიდებულება კრიმინალური სუბკულტურის მიმართ...	454

მეთერთმეტე თავი 457

პრობაციის სამსახური 457

11.1 საკანონმდებლო რეგულირება და საერთაშორისო სტანდარტები	457
11.1.1 პრობაციის ოფიცერი.....	460
11.1.2 პრობაციონერი	462
11.2 არსებული მდგომარეობის ანალიზი	464
11.3 თავისუფლების შეზღუდვის აღსრულება	468

მეთორმეტე თავი	470
გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის შედეგები	470
12.1 უკულტურობის პროცესი.....	470
12.3 კრიმინალური სუბკულტურისადმი მიდრეკილება.....	471
12.4 სოციალური გაუცხოება.....	472
12.5 ჯანმრთელობის და ფსიქოსომატური პრობლემები.....	473
12.6 ნაციხარის ეტიკეტირება და დისკრიმინაცია	473
მეცამეტე თავი	475
სასჯელაღსრულების სისტემის ეროვნული და საერთაშორისო მონიტორინგის სისტემა	475
13.1 საქართველოს სახალხო დამცველი	475
13.2 პრევენციის ეროვნული მექანიზმი	481
13.3 წამების სანინალმდეგო გაეროს კომიტეტი და პრევენციის ქვე-კომიტეტი	483
13.4 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)	487
ბიბლიოგრაფია.....	491
სასამართლო გადაწყვეტილებები	505
გამოყენებული ინტერნეტ-საიტები.....	507



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას ქ. №75

ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

E-mail: Lawyers.world@yahoo.com;

<https://www.facebook.com/PublishingHouseLawyersWorld>

